

30

F



საქართველოს
საქართველოს

საქართველო



3-4

1996

საშუალო

საქართველოს
განათლების

1996/3-4 მაისი-აპრილი (101)

შინაარსი

კრწანთა, კომუნია

მლაღიძის სოლოვიოვი. წერილი იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს. რუსულიდან თარგმნა ნანა ახოზაძემ	3
გაბრიელ ბარსია მარკეზი. მოთხრობები. ესპანურიდან თარგმნა თეა გვახლიამ	7
ედგარ კო. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა	64
ელენა საზანოვიჩი. მუგინიერი მთისკვილე. ძალი. რუსულიდან თარგმნა ელენე ვარაშვილმა	114
ანდრე ბიტონი. ჩიტები, ანუ დამატებითი ცნობები ადამიანებზე. მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა მიმოზა ძიძიგურმა	116
ჯაკომო კაზანოვა. ჩემი თავგადასავალი. დასასრული. ფრანგულიდან თარგმნა ნანა თარგამაძემ	163
ჟორჟ სიმენონი. წერილი დედას. ფრანგულიდან თარგმნა თინა ღარიბაშვილმა	187
სამუელ ტაილორ კოლრიჯი. უილიამ უორდსუორთი. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა თამარ მხარგრძელმა	220
იასუნარი კავაბატა. იძულები მოცეკვავი ზოგონა. მოთხრობა. თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	225

წერილები

რიხარდ ვაგნერი. მომლოცველობა ბეთოვენთან. გერმანულიდან თარგმნა გიორგი მაკუტაძემ	245
ალექსანდრ კრავჩუკი. კლიოპატრა. დასაწყისი. პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშკაშვილმა	260
ბჰაგვან შრი რაჯნეში. არც მს, არც ის. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა	303

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1996 № 3—4

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

ნანა დარჩია
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია ბაჭრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიანიშვილი
ნოდარ გურაშვილი
შაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი ფანჯიკიძე
ნიკო უიანაშვილი
გივი ქნელაძე
დავით წერეთლიანი

ტექნიკური რედაქტორი
ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22, განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 19.02.96 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 13.06.96 წ., ქაღალდის ზომა 70X108₁/16
სააღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7, ტირ. 300. შეკვ. № 179.

შანი 2 ლარი

გამომცემლობა „ხამშობლოს“ სტამბა,
თბილისი, მ. კობტავეს, 14.

კლასიკური სოლოვიოვი

წერილი იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს



თარგმანი ნანა ანოზაძემ

თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, მოწყალეო ხელმწიფევი!

საქმე, რაზეც ჩემი მოვალეობის შეგნებით უნდა ვესაუბრო თქვენს უდიდებულესობას, ფრიად მნიშვნელოვანია რუსეთისა და მთელი მსოფლიოსათვის და მხოლოდ თქვენ ხელგეწიფებათ, შემდგომ უფლისა, მისი აღსრულება.

სრულიად რუსეთის ტახტზე აბრძანების უმაღლესი უდიდებულესობის მიერ გაცხადებული გადაწყვეტილება — დაიცვათ თვითმპყრობელობის ფესვების სიძლიერე, სწორად იქნა აღქმული იმ ხალხის მხრივ, რომელიც თავისუფალი არის ყოველგვარი პოლიტიკური ვნებებისა და აჩემებული აზრებისაგან. ცხადი შეიქნა, რომ თვითმპყრობელობა ძვირფასია მისი ახალი მფლობელისათვის არა მხოლოდ განუსაზღვრელი ხელისუფლების სიყვარულით, არამედ რუსეთის სიყვარულისა და უმაღლესის ნებისადმი მორჩილების გამოც — რომ იგი ძვირფასი და წმინდაა თქვენთვის, ხელმწიფეო, როგორც საუკუნეთა სიღრმიდან ბოძებული ხალხთა კეთილდღეობის ღვთაებრივი ჩანაფიქრის აღმსრულებელი იარაღი. რუსეთმა უწყის, რას უნდა უმაღლოდეს ისტორიულ ძლევამოსილებას, ურომლისოდაც ჩვენი მამული ვერ ეღირობოდა სავარყო პოლიტიკურ დამოუკიდებლობას XV საუკუნეში, XVII საუკუნეში კი დაკარგავდა შიდაეროვნულ თვითმყოფადობას. ჩვენ ვიცით, რომ პეტრე დიდისა და მისი მემკვიდრეების დიდმპყრობელობამ გვარგუნა წარსულ საუკუნეში ზოგადკაცობრიული განათლების საწყისები და წინ წამოსწია რუსეთი, როგორც ახალი მსოფლიო-ისტორიული ძალა; არც ის დაგვივიწყებია, რომ დიდმპყრობელობისვე წყალობით იმპერატორმა ალექსანდრე II შესძლო სწრაფად და მშვიდობიანად ექცია მილიონობით მონა რუს მოქალაქედ, და ბოლოს, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თუ თქვენი უდიდებულესობის მშობელიც თავისი მეფობის პირველ, უმძიმეს წლებში ძალაუფლებას (ბოროტი ძალების გავლენით მისი მამის სიცოცხლე რომ ხელყვეს) სრულად გამოიყენებდა, რუსეთს უმძიმესი შინააშლილობა მოიცავდა, იგი ჩათრეული აღმოჩნდებოდა საშიშ შინაურ ავანტიურებში და მაშინ რუსეთის მეფე ვეღარ შეძლებდა მთელი მსოფლიოს წინაშე ძლევამოსილ მშვიდობისყოფელად წარმსდგარიყო.

ის, რაც იყო ჩვენთვის დიდმპყრობელობა ახლო თუ შორეულ წარსულში, თავდება რუსეთის მომავლისა. ისე რომ, ხელმწიფეო, ტყუილად არ გეპოძათ თქვენის მშობლისაგან ხელისუფლება მტკიცე, დიადი და შეურყეველი (ყოველ ქრისტიანს კარგად მოეხსენება, რომ ნებისმიერი უპირატესობა მოვალეობაა და ხელისუფლება მალლიდან გვებოძება). ერთი სიტყვა! — და თქვენს უდიდებულესობას ხელგეწიფება განასრულოს და დაავვირგვინოს ისტორიული გმირობა პა-



პისა და მშობლისა და, ამასთან, წარმოსდგეს ახალ განმათავისუფლებლად და ახალ მშვიდობისმყოფელად. თქვენ თავისუფლება უნდა უბოძოთ არა მარტოდ ერთ წოდებას, თქვენ უნდა გაათავისუფლოთ ყველა ქვეშევრდომი სულიერი მონობისაგან და შინაური მშვიდობა დაამკვიდროთ რუსეთის სულში.

დიდი ხნის წინათგრძნობა და ხალხთა ბუნდოვანი მოლოდინი ქრისტეშემართლოს და საკუთარი მსოფლიო დანიშნულება აღასრულოს, მტყუნების შესაძლებელია მიაგნოს შინაგან სულიერ ძალებს. ცეცხლითა და მახვილით დამპყრობელს როდი ელიან ჩვენგან ხალხები, იარაღით კი არ უნდა გავერთიანოთ მსოფლიო, არამედ აზრით და ჭეშმარიტებით. რუსეთის სულიერი არსი მართლმადიდებლობაა, ანუ სპეტაკი და სრულქმნილი სახე ქრისტიანობისა, მაგრამ შეიძლება ამგვარი ქრისტიანობა დაემკვიდროს ძალმომრეობით? შესაძლოა იძულებით დავეუფლოთ ადამიანთა სინდისს? ქრისტემ ბრძანა: „მე ვარ კარი“. მართებთ განა ქრისტიანთ, ძალით უბიძგონ ამ კარში ზოგიერთთ და ძალითვე აიძულონ სხვანი არ გამოვიდნენ იქიდან? თქმულა: „ყველაფერი, რასაც მამა მამლევს, ჩემთან მოვა და ჩემთან მოსულს არ გავაძევებ ვარეთ“. ძალით შეთრეულებზე კი არაფერია ნათქვამი. მართლმადიდებლობა გაბატონებული ეკლესიაა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ის ქრისტიანული ეკლესიაა და, მაშასადამე, ბატონობა შეუძლია მხოლოდ შინაგანი სულიერი მიზიდულობის ძალით; ამასთან ამკარა პირველობა და უპირატესობა მას ბუნებრივად მიეკუთვნება იმ უბრალო ფაქტის წყალობით, რომ მართლმადიდებლობას აღიარებს ხელმწიფე და ხალხის დიდი ნაწილი. მაშ, რა საჭიროა ეს იძულება, რა საჭიროა ეს გარეგანი ხელოვნური გაღაგანი, ეს სამწყეობა ალყა სისხლის სამართლის კანონებისა, ადმინისტრაციულ-დამთრგუნველი ღონისძიებებისა და ცენზურული აკრძალვებისა. რა მძიმე და საწყენიც არ უნდა იყოს ამგვარი ბორკილები მორწმუნეთათვის, სხვადასხვა ჯურის გამთიშველთათვის, სექტანტებისა და უცხო სარწმუნოების მიმდევართათვის, — შეუდარებლად უფრო მძიმე და საწყენია ასეთი მდგომარეობა თვით გაბატონებული ეკლესიისათვის: ეს მისთვის პირდაპირ დამღუპელია. ბატონყმურმა წყობილებამ გლეხობა კი დაიმონა, მაგრამ გახრწნა და გადაავგარა თავადაზნაურობა. ადამიანთა მიჯაჭვა მართლმადიდებლობასთან რუსულ ეკლესიას აცლის ზნეობრივ ძალას, ძირს უთხრის მის შინაგან სიცოცხლისუნარიანობას. შეუძლია ღვთის სახლს დედამიწაზე, ჭეშმარიტებისათვის სულიერი ბრძოლის გარეშე გაძლოს? მაგრამ არის კი შესაძლებელი სულიერი ბრძოლა ეკლესიისათვის, რომელიც მტკიცედ არის შემოხლუდული საგნობრივი იარაღით? როგორ გინდა დაარწმუნო შეცდომილნი ჭეშმარიტებაში, რომლის სახელითაც ისინი უკვე სხედან ციხეებში ან გადასახლებაში იმყოფებიან? ეკლესიის იარაღი სიტყვაა, მაგრამ არის შესაძლებელი, ღირსეულად ვამხილოთ სიტყვით ისინი, ვისაც უკვე ძალით დაუხშვეს ბაგე? შეიძლება, პატიოსანი ორთაბრძოლა გავუმართოთ მოწინააღმდეგეს, თუ ის ხელგაკრულია?

თქვენი ხალხი, ხელმწიფეო, თავს აღწევს სულიერ უმწიფრობას და ჭეშმარიტების უღირსი ფორმებით დაცვა უფრო დიდ საცდურს აღუძრავს მას. ვიდრე შეცოდებათა თავისუფალი აღიარება.

რიგითი მართლმადიდებელი შეიძლება მსჯელობდეს ამგვარად (და მსჯელობს კიდევ): ორი რელიგიური საზოგადოებიდან რომელი მეტად შეესატყვისება ქრისტეს სულს და სახარების მცნებებს: მღევნელი თუ ღვენილი? უკეთუ საკითხის ამგვარი დაყენება მცდარია, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ და მხოლოდ ნახევრად, საცდური კი ძალაში რჩება, რამეთუ ყველა ღვენილი როდი ეწამება

სიმართლისათვის, ყველა მდევნელი კი უთუოდ აწამებს სიმართლეს საკუთარ არსებაში. შეუძლებელია მართლმორწმუნე ქრისტიანს დაუმალო ის ფაქტი, რაც ქრისტიან სახარებაში არაერთხელ უთხრა თავის მოწაფეთ: „თქვენ ვაძევებთ ჩემი სახელის გამო“, მაგრამ არც ერთხელ არ უთქვამს: „თქვენ ვაძევებთ ჩემს სხეულს, დევნით სხვები ჩემი სახელით“. ჭეშმარიტად საშიში და მაცდუნებელია შეცოდებათა მხოლოდ საიდუმლო აღიარება და, პირიქით, უძლეობის საშიშროების კანონებიც, ადმინისტრაციული ზემოქმედებაც და სულიერი ტერორიც. საიდუმლო აღსარება საშიში და მაცდუნებელია არა მარტო იმით, რომ იგი არ უფრთხის არანაირ აკრძალვითსა და დამსჯელ ღონისძიებათ, არამედ, და რაც უმთავრესია, იმით, რომ ძალადობის ამ ღონისძიებათაგან ცოდვითა აღმსარებელნი მოიპოვებენ ზნეობითი გმირობის დიად უპირატესობას, რაც ერთობ საზიაროა მათთვისაც და ჭეშმარიტებისთვისაც.

მაგრამ რელიგიური ძალდატანების მომხრენი ამტკიცებენ, რომ იძულება უთუოდ სჭირდება სახელმწიფოს მოღიანობასა და სიმტკიცეს. ამგვარი შეხედულების საფუძვლიანობას, თქვენს იმპერატორობითო უდიდებულესობავ. ადვილად განსჯით ცოცხალი ისტორიული მაგალითებით. ლუდოვიკო XIV, საფრანგეთში, რჯულთშემწყნარებლობის კანონი რომ გააუქმა, განუწყვეტელი დევნით აიძულა ჰუგენოტები დაეტოვებინათ ქვეყანა. მიზანი მიღწეულ იქნა, სრულად აღსდგა სარწმუნოებრივი ერთიანობა. მაგრამ სულ მალე საფრანგეთის რევოლუციამ დაგვანახა, რარაგ საჭირო იყო ზნეკეთილი და ზომიერი პროტესტანტების არსებობა მძვინვარე იაკობინელთა წინააღმდეგ. განდევნეს „ერეტიკოსები“ და აღზარდეს უღმერთონი; განაძვეეს შეცდომილნი, მაგრამ ერთგულა ქვეშევრდომნი, სანაცვლოდ მიიღეს მეფისმკვლელება. არა ჰუგენოტებმა, არამედ ყოველგვარი ერეტიკული სენისაგან განკურნებულმა კათოლიკეთა შვილებმა დაამხეს მონარქია საფრანგეთში და ძირი გამოუთხარეს ეკლესიას (აბატმა სიეიესმა გამოაცხადა ახალი წყობილების დასაწყისი—აღიარა ბურჟუაზიის სრულუფლებიანობა, ხოლო ეპისკოპოსმა ხელი მოაწერა ლუდოვიკო XVI სასიკვდილო განაჩენს). ან ესპანეთის მაგალითი რად ღირს? ოდესღაც პირველმა სახელმწიფომ მსოფლიოში, უნაპირო ეჭვიანობის გამო რომ დაიღუპა თავი, სარწმუნოებრივი ერთიანობისათვის გაულიტა ყველაზე გამრჯე და ენერგიული მოსახლეობა, ამის გამო დაუძღურდა, თანდათან დაკარგა შინაგანი ცხოველყოფილობა და გარეგანი ძალმოსილება, დღეს კი დიდი ძალისხმევით, თუმცა თითქმის უშედეგოდ და უნაყოფოდ, იბრძვის თავისი სამფლობელოების უკანასკნელი გოჯისთვისაც კი იმავე ახალ სამყაროში, რომელიც ოდესღაც მისმა შვილებმა მოიპოვეს და დაუკავშირეს ისტორიულ კაცობრიობას. და მაინც, ყოველივე ამის მიუხედავად, იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ერთმორწმუნეობასა და თანამოაზრეობაზე, რასაც უამრავი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა.

რელიგიასა და პოლიტიკას უდიდეს საშიშროებას უქადის აშკარა გადახვევა ზნეობრივი კანონისაგან, აღიარება-გამოყენება უკულმართი გზებისა და საშუალებებისა, თუნდაც ყველაზე სანუკვარი მიზნების მიღწევას ისახავდნენ ისინი მიზნად. თაობები იცვლებიან, იცვლებიან მიზნებიც, უკულმართი ხერხებისაკენ მისწრაფების ჩვევა-მიდრეკილება კი რჩება და ძლიერდება თანდაყოლილი სენივით.

რუსეთის იმპერიის ტრადიციული პოლიტიკა, პეტრე დიდიდან მოკიდებული ჩვენს დღეებამდე, ადასტურებს რჯულთშემწყნარებლობისადმი მტკიცე სვლას. უკანასკნელი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა 1883 წლის 3 მაისს (მნიშვნელოვანწილად გაფართოებული), რომელიც რუსს როვერებს რამდენიმე საღ-

ეთისმსახურო და სამოქალაქო უფლებას ანიჭებდა. ამ კეთილი განზრთ ადნიშნა განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე III ბოხაში თავისი მეფედკურობეკა. აი, ნიშანი მშობლის ლოცვა-კურთხევისა თქვენი უდიდებულესობისათვის, რაც მოგიწოდებთ, განასრულოთ ძლევამოსილ სამეფო წინამორბედთა დაწვებული, დღეს უკვე მომწიფებული საქმე ჩვენი სულიერი განთავისუფლებისა.

მეუფერებელი და დამღუპველი ნივთიერი იარაღი ებოძა ქვეყნისა (ხელისუფლებისაგან) სახელმწიფოსაგან და (მხოლოდ) უმაღლეს წახელმწიფო ხელისუფლებას (მეუძლია), მხოლოდ ის არის მოწოდებული და უფლებამოსილი, მოხსნას ეკლესიას დამორგუნველი და ტვირთშიმე მიწიერი ჯავშანი და დაუბრუნოს მას სულიერი თავისუფლება. ქრისტიანობას არასოდეს განუკითხავს მიწიერი სამშობლოს იარაღით დაცვა, მაგრამ, როცა მეტისმეტად თავკამოდებულმა მოციქულმა მოისურვა იარაღით დაცვა ხორცშესხმული ჭეშმარიტება, ამ დროს მოესმა: „ჩააგე ხმალი შენი“. თქვენც ისმინეთ, ღვთისმოსავო ხელმწიფე, ქრისტეს სიტყვები, უბრძანეთ თქვენს ქვეშევრდომთ, არ შეურაცხონ ღვთაებრივი ჭეშმარიტება მისივე დაცვისა და გავრცელების უღირსი ხერხებით.

საუბარია არა რომელიმე კერძო სახელმწიფოებრივ ღონისძიებაზე, რომელიც განსახილველად ექვემდებარება ამა თუ იმ უწყებას—საუბარია რუსეთის ბედზე. რაც დღეს უფალმა, ხელმწიფეო, თქვენს სინდისს მიანდო. ნათლისღებიდან მოკიდებული რუსეთის ისტორიაში არ ყოფილა ისე მნიშვნელოვანი საქმე, დღეს რომ თქვენი უდიდებულესობის წინაშე დგას. თქვენივე დიდმა წინაპარდა — პეტრე დიდმა რუსეთი მსოფლიო-ისტორიულ ასპარეზზე გაიყვანა, პაპათქვენმა მონობის ბეჭედი ახსნა და მშობელმა თქვენმა დაუმკვიდრა პოლიტიკური წყობა. დღეს თქვენი უდიდებულესობისაგან რუსეთი მოელის სულიერი თავისუფლების განუზომელ სიკეთეს, ურომლისოდაც ვერ გაამქდავენებს დადებით შინაგან ძალებს და ვერც თავის უმაღლეს დანიშნულებას აღასრულებს. ორმოცი წლის უკან მეფის ერთი სიტყვაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა რუსეთს ასცდენოდა მონობის სირცხვილი. დღესაც, ხელმწიფეო, კვლავ ერთი სიტყვა კმარა, რათა თქვენი ხალხი დაიფაროთ უდიდესი და დამღუპველი ცდუნებისაგან და იხსნათ თქვენგნით აღიარებული ჭეშმარიტება სამართლიანი და სამწუხარო საყვედურის მიზეზისაგან. თუკი უბრძანებთ, ხელმწიფეო, ხმამაღლა ყველას, რომ არ არსებობს თქვენი მეფური ნება ერთგული ქვეშევრდომების შევიწროებისა, ამასთან სინდისისა და რელიგიის შევიწროებისა — ეს უზარმაზარი წყვილია, რომელიც რუსეთს დასწოლია და ქრისტეს ჭეშმარიტების მზე დაუბურავს, ერთბაშად გაიფანტება, ერთბაშად მოეხსნება მძიმე ტვირთი ხალხის სულს!

ხელმწიფეო, უფლის წინაშე, ვისაც ჩვენს სინდისში ვესაუბრებით, ყველა თანასწორნი ვართ. (ჩემი) ზნეობრივი ვალის ნათელი გაცნობიერება (ყოველი მორწმუნის ვალისა) მანიჭებს ძალას და სითამამეს, მოვაგონო თქვენს იმპერატორობით დიდებულებას ის, რასაც მე გულწრფელად მივიჩნევ დღესდღეობითს საჭიროებად რუსეთისათვის. ყველაფერი დანარჩენი თავისთავად მოვკარდება. მტ. ცოდ მჯერა, იგივე ღვთაების ხმა დაუსახავს თქვენს უდიდებულესობას სამართლიან და ბრძნულ გადაწყვეტილებას ამ საქმეში რუსეთისა და მთელი მსოფლიოს საკეთილდღეოდ.

(სულით და გულით შევთხოვ მაღალ ღმერთს თქვენსა და თქვენი დიდებული სახლის ლოცვა-კურთხევასა და დახმარებას). ბედნიერი ვარ, დავშთე მარად თქვენი იმპერატორობათი უდიდებულესობის ერთგულ ქვეშევრდომად.



გაბრიელ ბარსია მარკესი

სიყვარულსა და სხვა დემონებზე



ეს კანურიდან

თარგმნა თეა ბვანსალიანი

ცემილებში განბანულ კარგინ ბალსალს,

როგორც ჩანს, მკვდრით აღდგომა
სხეულის ყველა ნაწილზე ნაკლებად თმას შეუძლია.

თომა აკვინილი

აღმსდგარი სხეულების ერთობლიობისათვის
კითხვა 80, თავი 5

1949 წლის 26 ოქტომბერი დიადი ამბების დღე არ ყოფილა. მაესტრო კლე-
მენტე მანუელ საბალამ, იმ გაზეთის მთავარმა რედაქტორმა, სადაც პირველ ნა-
ბიჯებს ვდგამდი ჟურნალისტიკაში, დილის თათბირი ჩვეულებისამებრ ჩვენთვის
მოცემული ორი თუ სამი დავალებით დაასრულა, თუმცა კონკრეტულად არც ერ-
თი რედაქტორისთვის არ მიუმართავს. ორიოდ წუთში ტელეფონით შეიტყო,
რომ სანტა კლარას მონასტრის ძველ აკლდამებს ანთავისუფლებდნენ და განსა-
კუთრებული ენთუზიაზმის გარეშე დამავალა:

„მიიხედ-მოიხედე, იქნებ რაიმეს გამოჰკრა ხელი“.

საუკუნის წინათ საავადმყოფოდ გადაკეთებულ ისტორიულ მონასტერს გა-
საყიდად ამზადებდნენ, რათა მის ადგილას ხუთვარსკვლაეიანი სასტუმრო აეგოთ.
მშვენიერ სამლოცველოს დაცხავებული ჭერი თითქმის ვერ იცავდა, მაგრამ მის
აკლდამებში სამი თაობის ეპისკოპოსები, აბატი ქალები და სხვა საჩინო გვამები
განისვენებდნენ. საჭირო იყო მათი ნეშტების ამოთხრა, პატრონთათვის გადაცე-
მა, თუკი ასეთნი გამოჩნდებოდნენ და დარჩენილთა საერთო საფლავს მიბარება.

სამუშაო გასაოცარი პრიმიტიულობით სრულდებოდა. მუშები წერაქვითა
და თოხით ხსნიდნენ აკლდამებს, ზემოთ ამოჰქონდათ დამპალი კუბოები, რომ-
ლებიც ოდნავ გარყევაზეც კი ხელში ეფშვნებოდათ და დიდი მონდომებით ანცა-
ლკეებდნენ გამოფიტულ ძვლებს, ტანსაცმლის ნაკუნებსა და დამჭკნარ თმას.
სახელოვან გვამებთან მეტი სიფრთხილით მოქმედებდნენ, რათა ძვლებისთვის
ძვირფასი თვლები და სამკაულები არ გაეყოლებინათ.

ბრიგადირი სასკოლო რვეულში იწერდა საფლავის ქვაზე ამოკითხულ თა-
რილებს, ცალ-ცალკე გროვებდა ალაგებდა ნარჩენებს და ყოველ ასეთ ბორცვ-
ზე, ერთმანეთში რომ არ არეოდა, ფურცელზე დაწერილ სახელს სდებდა. ასე
რომ, პირველი, რაც ტაძარში შესვლისას მეცა თვალში, დაცხავებული სახურა-
ვიდან უმოწყალო თქეშვიით თავსდამტყდარი ოქტომბრის უღმობელი მზის ქვეშ
აჩონჩხილი ძვლების გროვები იყო. მათი ვინაობის ამოცნობა მხოლოდ ქაღალ-

დის ნაგლეჯზე ფანქრით დაჯღაბნილი სახელით შეიძლება. მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ დღემდე შიშს გვერის დროის ყოვლისწამლეკი დინების დამადასტურებელი ის უღმობელი საბუთი.

სხვებთან ერთად იქ განისვენებდნენ პერუს გუბერნატორი და მისი საიდუმლო საყვარელი, იმ ეპარქიის ეპისკოპოსი დონ ტორიბიო დე კასერესი ვირტუდესი, მონასტრის რამდენიმე წინამძღვარი ქალი, მათ შორის დედამწამლეკი მირანდა და ხელოვნების ბაკალავრი დონ კრისტობალ დე ერასო, რომელმაც ნახევარი ცხოვრება ჭერის მოჩუქურთმებას მიუძღვნა. მეორე მარკიზ დე კასალდუეროს: დონ იგნასიო დე ალფარო ი დუენიასის აკლდამა ჯერაც ხელუხლებელი იყო, მაგრამ გახსნისას ცარიელი აღმოჩნდა. მარკიზა დონია ოლალია დე მენდოსას ნეშტი გვერდითა საფლაკში იპოვეს თავის ადგილას. ბრიგადირს ამ ფაქტისათვის ყურადღება არ მიუქცევია. გასაოცარი არაფერი იყო იმაში, რომ წარჩინებულ კრეოლს სიცოცხლეშივე მოერთო საკუთარი საფლაკი, მაგრამ შემდეგ სხვაგან დაეკრძალათ.

საოცრება მთავარი საკურთხევლის გვერდით, მესამე ნიშში გველოდა. აკლდამის სახურავი წერაქვის პირველივე დარტყმაზე აძვრა და იქიდან ცოცხალი, ბრინჯაოსფრად მბზინავი თმის ნაკადი გადმოიღვარა. ბრიგადირმა მუშების დახმარებით სცადა მისი ბოლომდე ამოღება, მაგრამ რაც მეტს ეწეოდნენ მით უფრო ხშირი თმა მოჰყვებოდათ, სანამ ბილოს და ბილოს ბავშვის თავის ქალის მყიფე ნარჩენები არ შერჩათ ხელში. აკლდამაში პატარა, გაფანტული ძვლები და დარჩა. გვერდით შეჭმულ, გათლილ ქვაზე გარდაცვლილის სახელის მეტი არაფერი ეწერა: სიერვა მარია დე ტოდოს ლოს ანხელეს. მზეზე გაფენილი, საუცხოო თმა ოცდაორი მეტრი და თერთმეტი სანტიმეტრი სიგრძისა აღმოჩნდა.

ბრიგადირმა საქმიანად ამიხსნა, ადამიანის თმა სიკვდილის შემდეგ თვეში თითო სანტიმეტრს იმატებს, ოცდაორი მეტრი კი ორასი წლის წინ გარდაცვალებას ნიშნავსო. მე, მისგან განსხვავებით, ეს მოვლენა საკმაოდ უჩვეულო მომჩვენა, რადგან ბავშუობაში ბებიაჩემი ხშირად მიყვებოდა ხოლმე თორმეტი წლის მარკიზას ამბავს, რომელსაც საქორწინო კაბის შლეიფივით თმა ჰქონდა და რომელიც ცოფიანი ძაღლის ნაკბენის შედეგად გარდაიცვალა. კარიბის სოფლებში მას აღმერთებდნენ და ბევრ სასწაულსაც მიაწერდნენ. ის მოსაზრება, რომ საფლაკი შეიძლება სწორედ მისი ყოფილიყო, ჯერ გაზეთში დავბეჭდე, მოგვიანებით კი ამ წიგნს დავუდე საფუძვლად.

გაბრიელ გარსია მარკესი
კარტახენა დე ინდიას. 1994.

პრეტი

დეკემბრის პირველ კვირა დღეს შუბლზე თეთრვარსკვლავიანი ნაცრისფერი ძაღლი ბაზარში შეიჭრა, ბოსტნეულის დახლები ააყირავა, ინდიელთა ტილოს კარვები და ლატარიის ფარდულები მიანგრ-მოანგრიდა და გზად შემხვედრი თბი კაცი დაკბინა. სამი მათგანი ზანგი მონა იყო, მეოთხე კი მარკიზ დე კასალდუეროს ერთადერთი ასული, სიერვა მარია დე ტოდოს ლოს ანხელესი, რომელიც მულატ მოახლე გოგოს გამოჰყოლოდა ბაზარში საკუთარი თორმეტი წლისთვის ეღარუნებას აცმის საყიდლად.

მითითების მიხედვით ვაჭართა უბანს არ უნდა ვასცილებოდნენ, მაგრამ მოახლე ნავსადგურიდან მომავალი ყაყანიტ დაინტერესდა, სადაც გვიანულ მონებს

ჰყიდნენ და ვარეუბან ხეტსემანის ასაწევ ხილამდე მივიდა. „კომპანია გადიტა-
ნა დე ნეგროს“-ის კუთვნილ გემზე მოულოდნელად აუხსნელი საკვდილიანობა
დაიწყო, რის გამოც გემი ერთი კვირა ნაპირს არ მიაკარეს. თავიდან ფაქტის
დასაფარად ქვაშეუბმელი გვამები ჩუმად ჩაუშვეს ზღვაში, მაგრამ სულ მალე
წყლით გაბიჟვინებულები და გაღურჯებულები ზღვამ პლაჟზე კარიყა გემს
ყურის შორიახლო ჩააშვებინეს ღუზა, რადგან შეეშინდათ რომელიმე ქრისტიანულ
ჭირთან არ ჰქონოდათ საქმე, ხანამ არ დარწმუნდნენ, რომ მონები ცუდად შენა-
ხული პროდუქტებით დააწამლნენ.

იმ დღეს, ძალიან რომ ბაზარში შეიჭრა, გემიდან ცოცხლად დარჩენილი,
მაგრამ დასნეულებული და ამის გამო გაუფასურებული ტვირთი ჩამოზიდეს ნავ-
სადგურში და დანაკარგის ანაზღაურებას ერთი ექსპონატით ცდილობდნენ, რო-
მელიც ერთად აღებულ ყველა მონას გადასწონიდა, ეს აბისინიელი ქალი გახლ-
დათ. მისი შვიდ მტკაველიანი¹ სხეული ჩვეული ზეთის ნაცვლად შაქრის ღერ-
წმის ბადავით აეპრიალებინათ და ისე თვალისმოძვრელად ლამაზი იყო, რომ
გამოვიჩინოს ჰგავდა. მოგრძო თავის ქალა ჰქონდა, წამახული ცხვირი, ოდნავ
ელაში თვალები, უნაკლო კბილები და რომელიც გლადიატორის იერი. ის არც
ეზოში დაუდალავთ ჩვეულებასამებრ, არც მისი წლოვანება და ჯანმრთელობის
მდგომარეობა გამოუცხადებიათ სიმღერით, პირდაპირ გასაყიდად გაიყვანეს ოა-
ვისი სილამაზის ანაბარა. ქალი გუბერნატორმა შეისყიდა და ულაპარაკოდ გადაი-
ხადა მისი წონა ოქრო.

იმხანად უპატრონო ძაღლები თითქმის ყოველდღე კბენდნენ ადამიანებს,
თუმცა უფრო კაცებს დასდევდნენ ან სვავეებს ეცილებოდნენ ქუჩის ნაკვის ქექვა-
ში. განსაკუთრებით მაშინ, როცა უამრავი ხალხი გამოეფინებოდა ზოლზე გალე-
ონთა ფლოტის შესახვედრად გამართულ დღესასწაულზე. დღის მანძილზე დაკ-
ბენის ოთხი-ხუთი შემთხვევა ძილს არავის უფრთხობდა, განსაკუთრებით ისეთი
უმნიშვნელო ნაკბენი, სიერვა მარიას ძლივს რომ ეტყობოდა ქუსლზე. ასე რომ,
მოახლე არც შეშფოთებულა. ლიმონითა და გოგირდმჟავით თვითონვე უმკურნა-
ლა გოგონას, კაბიდან სისხლი მოაცილა და დაბადების დღის აურზაურში ეს ამ-
ბავი აღარავის გახსენებია.

ბავშვის დედამ, მარკიზ დე კასალდუეროს უტიტულო მეუღლემ ბერნარდა
კაბრერამ იმ დღით დრამატული სასაქმებელი საშუალება მიიღო: სამი მარცვა-
ლი სურმა ვარდისფერ შაქრთან წყლით. ეს ყოჩაღი მეტიხის ქალი ეგრეთ წოდე-
ბულ „დახლის არისტოკრატიას“ ეკუთვნოდა. ერთ დროს მაცდური, ველური,
მხიარული და მუცელხარბი, რამდენიმე წლის წინათ ქვეყნიერებას განერიდა
ფერმენტირებული თაფლითა და კაკაოს აბებით. ბოშური თვალები ჩაუნავლდა,
გონება დაებინდა, განაეალს სისხლს აყოლებდა, ხველებას — ნახველს, სირი-
ნოზის სხეული გაეფუყა და სამი დღის მიცვალებულივით ბრინჯაოსფერი გაუხ-
და, ხოლო მისი ხმაურიანი და აყროლებული ქარები ეზოში მოდარაჯე ძაღლებს
აფრთხობდა. საწოლი ოთახიდან თითქმის არ გადიოდა და სარეის განიერი პე-
რანგის მეტს არაფერს იცვამდა, რის გამოც მისი სიშიშველე კიდევ უფრო თვალ-
შისაცემი ჩანდა.

იმ დღით სიერვა მარიას დაბრუნებამდე შეიდჯერ გამოირეცხა კუჭი. მო-
ახლეს ძაღლის კბენაზე კრინტიც არ დაუძრავს, სამაგიეროდ დაწვრილებით მო-
უყვა მონა ქალის ამბავი.

„თუ სინამდვილეშიც ისეთი ლამაზია, როგორც ამბობენ, მართლა აბისინიე-“

1. შვიდი მტკაველი დაახლოებით 147 სმ-ია.

ლი იქნება“, თქვა ბერნარდამ, მაგრამ საბას დედოფალიც რომ ყოფილიყო, მისი წონა ოქროს გადახდა მეტიხმეტად ეჩვენებოდა.

„აღბათ ოქროს პესოები¹ იგულისხმეს“, თქვა.

„არა, აუხსნეს, იმდენი ოქრო გადაიხადეს, რამდენსაც ზანგი წონის“.

„შეიდმტკაველიანი ზანგი ას ოც გირვანქაზე მსუბუქი უნდა იქნება“, თქვა ბერნარდამ, — არ არსებობს დედამიწის ზურგზე არც ზანგის² ანუ წონის² წონიანი, ას ოცი გირვანქა ოქრო რომ ღირდეს. თუ, რა თქმა უნდა, ბრილიანტებს არ შვება“.

მონებით ვაჭრობაში მასზე გაქნილი არაეინ იყო და მშვენივრად ხვდებოდა, რომ რახან გუბერნატორმა აბისინიელი შეიძინა, სამხარეულოში არ გაამწესებდა. ამ ლაპარაკში იყვნენ, როცა ფიესტას მაუწყებელი შუშხუნების ტკაცუნი და სალაპურის ხმა მოისმა, რასაც დამწყვდეული ძაღლების ყეფა დაერთო. ამბის გასაგებად ქალი ფორთოხლის კორომში გავიდა.

მეორე მარკიზ დე კასალდუერომ, დარიენის ბატონმა დონ იგნასიო დე ალფარო ი დუენიასმა მუსიკის ხმები ფორთოხლის ხეებს შორის სიესტისთვის ჩამოკიდებულ ჰამაკში გაიგონა. ამ პირქუმ და მუყავე გამომეტყველებიან კაცს ძილში ღამურები კბენდნენ და უკვე იმდენი ხისხლი დაეკარგა, რომ შროშანისფერი გამხდარიყო. სახლში ბედუინის მოსახამითა და ტოლელოდან ჩამოტანილი ჩაჩით დადიოდა, რაც კიდევ უფრო მაუსაფარ იერს აძლევდა. დედიშობილა ცოლის დანახვაზე პირველმა დასვა შეკითხვა:

„რა მუსიკა ისმის?“

„არ ვიცი, უპასუხა ქალმა, რა რიცხვია?“

მარკიზმა არ იცოდა. ძაღზე დაინტერესებული უნდა ყოფილიყო, ცოლისთვის რომ მიემართა, ქალს კი აღბათ ნაღვლის ბუშტმა შვება აგრძნობინა, რახან უსარკაზმოდ გასცა პასუხი. ის იყო ჰამაკში ჩაჯდა სმენაგამახვილებული, რომ შუშხუნების ტკაცუნი განმეორდა.

„ღმერთო დიდებულო, წამოიყვირა, კი მაგრამ, რა დღეა?“

სახლი დივინა პასტორას ქალთა საგიჟეს ესაზღვრებოდა. მუსიკითა და შუშხუნებით აურაამულელებული გიჟები ფორთოხლის კორომზე გამოძავალ ტერასას მისწყდომოდნენ და ყოველ რაკეტას ტაშით აცილებდნენ. მარკიზმა ყვირილით იკითხა, სად იყო ფიესტა, და მათაც წამსვე გაუფანტეს ეჭვები. 7 დეკემბერი იყო, ეპისკოპოსის, წმინდა ამბროსის დღე, ფეიერვერკი კი მონათა ეზოში გაემართათ ხიერვა მარიას პატივსაცემად. მარკიზმა შუბლზე ხელისგული იტკიცა.

„ცხადია, თქვა, რამდენის გახდა?“

„თორმეტის“, თქვა ბერნარდამ.

„მხოლოდ თორმეტის? — დაინტერესდა მარკიზი და ჰამაკში ჩაწვა, — რა ნელა გადის ცხოვრება“.

საუკუნის დასაწყისამდე სახლი ქალაქის სიამაყეს წარმოადგენდა, ახლა კი ჩამოშლილი კედლებითა და მეღანქოლიური იერით უპატრონოს ჰგავდა ცარიელი დარბაზებისა და დაუდევრად მიყრილი ნივთების გამოისობით. სალონებში ჯერაც შემორჩენილიყო მარმარილოს უჯრულა იატაკი და აბლაბუდით დაფარული, ცრემლების ფორმის ბროლის ჭაღები. საცხოვრებელ ოთახებში ყოველგვარ ამინდში გრილოდა სქელი ქვის კედლების, მრავალი წლის მანძილზე დაგმანული კარებისა და ბზარებიდან შემოპარული დეკემბრის ნიავის წყალობით. ყველაფერი სიბნელესა და დამთრგუნველ უსაქმურობას მოეცვა. პირველი მარკიზის

1. აქ სიტყვების თამაშია. peso-ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. წონა, 2. ფულის ერთეული.

ბატონკაცური პატივმოყვარეობის ერთადერთ ნაშთად ხუთი მწევარი დარჩენილიყო, რომლებიც ღამდამობით სახლს დარაჯობდნენ. მონათა ხმაურიანი ეზო, სადაც სიერვა მარიას დღეობას ზეიმობდნენ, პირველი მარკიზის დროს ქალაქში გაშენებულ სხვა ქალაქს ჰგავდა და ასეთივე დარჩა, სანამ ბერნარდა მათქვის შაქრის პლანტაციებიდან მარცხენა ხელით მეთაურობდა ფქვილიდან მასწავლებლით აუდსახსენებელ ვაჭრობას. იმდროინდელი დიდება წარსულს ჰგავდა, მაგრამ ბერნარდა მანვე ჩვევებს აჰყოლოდა, ეზოში კი პალმის ფოთლებით გადახურული ხის ორი ბარაკიღა შემორჩენილიყო ჩაფერფლილი დიდების ნაშთად.

ამ ორ სამყაროს ერთმანეთთან ზანგი ქალი, დომინგა დე ალვიენტრო აკავშირებდა, რომელსაც სიკვდილამდე მტკიცედ ეპყრა ხელთ სახლის მართვის სადავეები. სწორედ ამ მაღალმა, ძვალმსხვილმა და მეტიხსმეტი ჰკუისგან ღამის ნათელმხილველმა ქალმა აღზარდა სიერვა მარია. თვითონ კათოლიკე გახდა, თუმცა საკუთარი, იორუბას რწმენისთვის არ უღალატია და ორივე ღმერთს უსისტემოდ ემსახურებოდა. ამბობდა, სული მშვიდად მაქვს, რადგან რაც ერთ რელიგიას აკლია, მეორე ავსებსო. მხოლოდ მას ჰქონდა მარკიზსა და მის მეუღლეს შორის შუამავლობის უფლება და ორივე ცდილობდა მისი გულის მოგებას, სწორედ დომინგა დე ალვიენტრო ერეკებოდა ცოცხით სოლომურ აღვირაბსნილობაში შემჩნეულ ან ცარიელ ოთახებში ერთმანეთის ცოლებთან შესწრებულ ზანგებს. მისი სიკვდილის შემდეგ მონები შუადღის ხვატისაგან დასაცავად სახლის გრილ კუთხეებში აფარებდნენ თავს, კარდალებიდან აწაპნილ ბრინჯს მიირთმევდნენ და დაჩრდილულ დერეფნებში ლაყბობით ან თამაშით ერთობოდნენ.

მონათა იმ დამორგუნველ სამყაროში მხოლოდ სიერვა მარია იყო თავისუფალი: მხოლოდ იგი და მხოლოდ იქ. დღეობასაც სწორედ მონათა ეზოში უხდიდნენ: მის ნამდვილ სახლში და ნამდვილ ოჯახში.

იმ საღამოს შეძლებისდაგვარად ხელდამშვენებული მეზობელი სახლების მონებიც ესტუმრნენ საცეკვაოდ. ბავშვი ისეთი ჩანდა, როგორც სინამდვილეში იყო; ნამდვილ აფრიკელებზე მოხდენილად და თავისუფლად ცეკვაავდა, აფრიკულ ენებზე მღეროდა და ისე ოსტატურად აჯავრებდა ჩიტებსა და ცხოველებს, რომ მათაც თავისიანი ეკონათ. დომინგა დე ალვიენტროს განკარგულებით ახალგაზრდა მონა ქალები გოგოს ფარულად უმურავდნენ სახეს, ნათლობის ჯვარზე წარმართულ ამულეტებს ჰკიდებდნენ და ომას უვარცხნიდნენ, რომელსაც თორმეტი წლის მანძილზე მაკრატელი არ მიჰკარებოდა და მხოლოდ ყოველ დილით დაწნული, მრავალფა ნაწნავების წყალობით არ უშლიდა ხელს სიარულში.

ამგვარ წინააღმდეგობრივ სამყაროში იფურჩქნებოდა სიერვა მარია. დედისა თითქმის არაფერი ეცხო. სამაგიეროდ, მამისგან გამოჰყოლოდა სიგამხდრე, მოიისფრო კანი, ცისფერი, მელანქოლიური თვალები და ბრინჯაოსფერად მზინვარე საუცხოო თმა. ჩუმად, უჩინმანინიეთ არსებობდა. შეშინებული დედამისი მაჯაზე ზანზალაკებს ამავრებდა ხოლმე, სახლის ბინდბუნდში რომ არ დაჰკარგვოდათ.

ფიესტიდან ორი დღის შემდეგ, ალბათ უფრო დაუდევრობის გამო, მოახლე გოგომ ბერნარდას უამბო, როგორ უკბინა ძაღლმა სიერვა მარიას. ბერნარდამ, რომელიც ძილის წინ ცხელ აბაზანაში სურნელოვანი საპნით უკვე შეექვსედ ბანობდა, მოუსმინა, მაგრამ საწოლ ოთახში დაბრუნებულს ის ამბავი აღარც გახსენებია. სამაგიეროდ მეორე დამეს ძაღლები გათენებამდე უმიზეზოდ ჰყეფდნენ და ქალს შეეშინდა, ხომ არ გაცოფდნენო. მაშინ სანათური აიღო და მონათა ბარაკს მიადგა, სადაც სიერვა მარიას ეძინა დომინგა დე ალვიენტროსგან შემკვიდრეობით მიღებულ ინდიელთა მსუბუქ ჰამაკში. მსახურს არ უთქვამს, რა ადვი-

ლას ჰქონდა ბავშვს ნაკბენი. ამიტომ ტილოს პერანგი აუწია და ტანზე ლომის კუდივით შემოხვეულ ნაწნავქვეშ მთელი სხეული დაუთვალა. ბოლოს მარცხენა ქუსლთან დაბეჭილი და სისხლშემხმარი ნაკაწრიც უპოვნა.

ქალაქის ისტორიაში ცოფის შეყრა არც თუ იშვიათი მოვლენა იყო. ყველაზე გახმაურებული ამბავი ერთ მოხეტიალე ვაჭარს შეემთხვა, რომელიც ადამიანის მანერების მქონე გაწვრონილ მაიმუნს დაატარებდა. ცხოველს ინგლისელთა გემზე შეეყარა ცოფი, პატრონს სახე დაუკბინა და შეზობელ გორაკებს შეაფარა თავი. უბედურ ვაჭარს საზარელი ჰალუცინაციები დაეწყო და კომბლის ცემით ამოხადეს სული. ამ შემზარავი სანახაობის შესახებ დაწერილ კუპლეტებს დედები შესაშინებლად კიდევ მრავალი წლის მანძილზე უყვებოდნენ შვილებს. ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, გორაკიდან ეშმაკისეული მაკაკების ურდო დაიძრა. საღორეებისა და საქათმეების დაწიოკების შემდეგ პირზე სისხლიან დუქმორეული ცხოველები ტაძარში შეიჭრნენ, სადაც ინგლისელთა ესკადრონის დამარცხებას აღნიშნავდნენ და მაინც, ყველაზე შემზარავი დრამები ისტორიის ფურცლებს მიღმა რჩებოდა, რადგან შავკანიანთა შორის თამაშდებოდა. ისინი კი ნაკბენებს მალავდნენ, რათა შემდეგ მიყრუებულ ადგილებში აფრიკული ჯადოქრობით ემკურნალათ.

ამდენი მწარე გაკვეთილის მიუხედავად, არც თეთრკანიანები, არც ხანგები და არც ინდიელები არ ფიქრობდნენ ცოფსა და სხვა უფრო ხანგრძლივი საინკუბაციო პერიოდის მქონე საშინელ დაავადებებზე პირველი შეუქცევადი სიმპტომების გამოჩენამდე. ბერნარდა კაბრერაც ამ კრიტერიუმებით მსჯელობდა. მისი აზრით, მონათა მიერ დაყრილი ჭორები უფრო სწრაფად და უფრო შორს ვრცელდებოდა და ძალის უბრალო ნაკბენსაც კი შეეძლო დაეჩრდილა ოჯახის ღირსება. ისე დარწმუნებული ჩანდა, რომ მოძხდარის შესახებ არც ქმარს აუწყარაიმე და თუითონაც არაფერი გახსენებია მომდევნო კვირა დღემდე, როცა იგივე მოახლე მართო წაეიდა ბაზარში და ხუშის ხეზე ჩამოკიდებულ ძალს წააწყდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცხოველი ცოფით მოკვდა. ქალმა თვალის ერთი შევლევით იცნო ნაცრისფერბეწვიანი, შუბლზე თეთრვარსკვლავიანი ძალლი, რომელმაც სიერვა მარიას უკბინა. ამის გამგონე ბერნარდა არ შეშფოთებულა. საშიში არაფერი იყო: ჭრილობა გამშრალიყო და სისხლჩაქცევების კვალიც არ ჩანდა.

დეკემბერი ცუდად დაიწყო, მაგრამ მალე აღიდგინა ამეთვისტოსფერი საღამოები და ქარიანი, გიჟური დამყები. შობამ გასულ წლებზე მხიარულად ჩაიარა ესპანეთიდან ჩამოსული კარგი ამბების წყალობით. ქალაქი კი გადასხვაფერებულ იყო. მონათა მთავარი ბაზარი ჰავანაში გადაეტანათ და იქაური საბადოებისა და ასიენდების მფლობელები მუშახელის შესყიდვას კონტრაბანდად ან ინგლისური ანტილიის ფასებში ამჯობინებდნენ. მოკლედ, ორი ქალაქი არსებობდა: ერთი მხიარული და ხალხმრავალი იმ ექვსი თვის მანძილზე, როცა ნავსადგურში გალუონები იდგნენ, მეორე — მთვლემარე და მთელი დარჩენილი წლის მანძილზე გალუონთა დაბრუნების მომლოდინე.

იანვრის დასაწყისამდე ნაკბენზე არავის ულაპარაკია, სანამ მოხუცმა ინდიელმა ქალმა საგუნტამ იარკიზის სახლის კარზე არ დააკაკუნა სიესტის წმიდათა წმიდა საათს. მოხუცი ინდიელი პაპანაქებაშიც კი ფეხშიშველი და თეთრ ზეწარში გახვეული დადიოდა, ამბობდნენ, აბორტებს აკეთებს და ქალწულობის დაბრუნება შეუძლიათ, თუმცა ბევრი ემაღლიერებოდა, რადგან ინდიელთა საიდუმლოების წყალობით უიმედო ავადმყოფებიც დაუყენებია ფეხზე.

1. ასიენდა — მამული.

მარკიზი შესასვლელში ფეხზე დამდგარი უკმური გამოქვეყნებით შეხვდა სტუმარს და კარგა ხანს ვერ მიხვდა, რისი თქმა სურდა მიემთხოვების ოსტატ ქალს. საგუნტამ იმდენი უტრიალა სათქმელს გარშემო, რომ მარკიზმა მოთმინება დაჰკარგა:



„რაც უნდა იყოს, პირდაპირ მითხარი“, განუცხადა.

„ცოფის ეპიდემია გვემუქრება, თქვა საგუნტამ, და მხოლოდ შენსივე ხელთ სან უბერტოს გასაღები, რომელიც მონადირეებს მფარველობს და ცოფიანებს არჩენს“.

„უბედურებას არაფერი მოასწავებს, თქვა მარკიზმა, არც კომეტა გამოჩენილა, არც მზის დაბნელება მომხდარა, არც ისეთი ცოდვა ჩაგვიდენია, ღმერთმა რომ ჩვენთვის მოიცალოს“.

საგუნტამ აცნობა, რომ მარტში მზის სრული დაბნელება მოხდებოდა და დაწერილებით მოუყვა დეკემბრის პირველი კვირადღის ინციდენტის შესახებ. ორი დაკბენილი უკვე გამქრალიყო, როგორც ჩანს, თავისიანები მკურნალობდნენ ჯადოქრობით: მესამე კი წინა კვირას მომკვდარა გაცოფებული. მეოთხე მსხვერპლი, რომელიც ძაღლს, მართალია არ დაეკბინა, მაგრამ მისი დუფი კი ბლომად მოხვდა, ამჟამად ამირ დე დიოსის საავადმყოფოში ტანჯვით ლაფავდა სულს. მთავარმა ალგუასილმა² დეკემბერში მოწანწაღე ასობით ძაღლი მოაწამლინა. კიდევ ერთი კვირა და ქუჩაში ერთ ძაღლს ვერ ნახავდით.

„კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ, დაინტერესდა მარკიზი. მით უფრო ასეთ შეუფერებელ დროს“.

„ძაღლმა პირველად თქვენს ქალიშვილს უკბინა“, — აუხსნა საგუნტამ.

„ასე რომ ყოფილიყო, ყველაზე ადრე მე გავიგებდი“, დარწმუნებით განუცხადა მარკიზმა.

ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბავშვი კარგად გრძნობდა თავს და შეუძლებლად მიაჩნდა ასეთი სერიოზული ამბავი მისთვის არ შეეცდებინებინათ, ამიტომ ვიხიტი დასრულებულად ჩათვალა და ძილის გასაგრძელებლად შებრუნდა.

მაგრამ, იმ საღამოს მაინც მოიძია სიერვა მარია მონათა ეზოში. გოგო კურდღლის გატყავებაში ეხმარებოდა მსახურებს, სახე შავად ჰქონდა შეღებილი და ფეხშიშველს მონების ჭრელი ჩაღმა ეხურა თავზე. ჰკითხა, მართლა უკბინა თუ არა ძაღლმა, და გოგომ თვალის დაუხამხამებლად უარყო. თუმცა იმ საღამოს ბერნარდასაგან მაინც გაიგო სიმართლე.

„კი მაგრამ, სიერვა რატომ არ ამხელს?“ იკითხა გაოცებულმა მარკიზმა.

„იმიტომ, რომ სიმართლეს გაზით ვერ ამოგლეჯ“, აუხსნა ბერნარდამ.

„მაშინ მოქმედებაა საჭირო, თქვა მარკიზმა, ძაღლი ცოფიანი იყო“.

„პირიქით, უპასუხა ბერნარდამ, საწყალი ძაღლი ალბათ იმიტომ მოკვდა, რომ სიერვას უკბინა. ეს ამბავი დეკემბერში მოხდა, ეს უხიაგი ბავშვი კი ყვავილივითაა“.

მომდევნო დღეებში ორივე ისმენდა ცოფზე მოარულ ამბებს და საკუთარი სურვილის წინააღმდეგ იძულებულნი გახდნენ საერთო საქმეზე ესაუბრათ, როგორც წინათ, როცა ნაკლებად სძულდათ ერთმანეთი. კაცისათვის ყველაფერი ნათელი იყო. ყოველთვის სჯეროდა, რომ შვილი უყვარდა, თუმცა ცოფისადმი შიშმა აიძულა ეღიარებინა, რომ თავს იტყუებდა. ბერნარდას დაფიქრებაც არ დასჭირვებია, რადგან დარწმუნებული იყო, არც თვითონ უყვარდა შვილი და არც გოგოს ეხატებოდა გულზე დედა. ორივე ამბავი სამართლიანად მიაჩნდა. ცოლ-ქმარს

2. ალგუასილი — პოლიციელი.

ძირითადად იმ მსგავსებათა გამო სძულდათ ბავშვი, ერთმანეთს რომ ავონებდათ. თუმცა ბერნარდა მაინც მზად იყო ღირსების დასაცავად ყალბი ცრემლები დაეღვარა და გულდათუთქული დედის როლი ეთამაშა, იმ პირობით, თუკი ბავშვის სიკვდილის მიზეზიც ღირსეული იქნებოდა.

„სულ ერთია, რით მოკვდება, დააზუსტა, ოღონდ არა მსგავსის მკვლამყოფობით“.

მარკიზი, თითქოს ციური ნიშანი მიიღო, იმ წუთში ჩახვდა თავის ცხოვრების არსს.

„ბავშვი არ მოკვდება, განაცხადა გადაჭრით, მაგრამ თუკი სიკვდილი უწერია, მიზეზს ღმერთი განსაზღვრავს“.

სამშაბათს სან ლასაროს გორაკზე აგებულ ამირ დე დიოსის საავადმყოფოს ესტუმრა იმ გაცოფებულის სანახავად, საგუნტამ რომ მიახწავლა. თვითონ ვერც ხვდებოდა, რომ კატაფალკის მსგავსად კრებგადაკრულ მის ეტლს ხალხი უბედურების კიდევ ერთ სიმპტომად აღიქვამდა, რადგან მარკიზი, კარგა ხანი იყო განსაკუთრებული შემთხვევის გარდა სახლიდან არ გამოდიოდა და კიდევ უფრო მეტი ხანი იყო, რაც განსაკუთრებული შემთხვევები უბედურების მეტს არაფერს ნიშნავდა.

ქალაქი საუკუნეობრივ მარაზმში ჩაძირულიყო, მაგრამ მაინც ბლიმად ხალხმა დაინახა უფერულსახიანი, სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი კაბალიერო, რომლის ეტლმა ქვის გალაყანი გაიარა და სან ლორენსოს გორაკისკენ მიმავალი მინდორი გადაჭრა, საავადმყოფოს აგურის იატაკზე დაყრილმა კეთროვნებმა ფართო ნაბიჯებით მიმავალ პირქუშ უცნობს მოწყალების სათხოვნელად გზა გადაუჭრეს. შლეგი აკადემიოფების განყოფილებაში ერთ-ერთ საწოლზე გაცოფებული დაებათ.

მოხუც მულატს თმა-წვერი სახამებელში ამოვლებულს მიუგავდა. ნახევარი სხეული უკვე დადამბლაკებული ჰქონდა, მაგრამ მეორე ნახევარში ისე გასჯდომოდა ციფი, რომ საწოლზე დააბეს, რათა კედლებს არ შესკდომოდა. მისი მონაყოლიდან ცხადად ჩანდა, რომ მისთვისაც იგივე ნაცრისფერბეწვიან და შუბლზე თეთრვარსკვლავიან ძაღლს ეკბინა. დუფიც ბლიმად მოხვედროდა, მაგრამ ჯანსაღ კანზე კი არა, წვივის ქრონიკულ წყლულზე. მომაკვდავის ხილვით შეძრწუნებული მარკიზი ვერც ამ დაზუსტებამ დაამშვიდა და გულში საბოლოოდ გადაეწურა სიერვა მარიას გადარჩენის იმედი.

სახლისკენ მიმავალმა, გორაკის დაკლაკნილ შარაზე, მკვდარ ცხენთან ქვაზე ჩამომჯდარი ზორბა კაცი დაინახა. მარკიზმა ეტლი გააჩერებინა და როცა უცნობი ფეხზე წამოდგა, ლიცენციატი აბრენუნსიო დე სა პერირა კაო, ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო და ყბადაღებული ექიმი იცნო. შესახედავად ჯვრის პაპას ჰგავდა. ფართოფრთებიანი მზის ქული ეხურა, მხედრის ჩექმები ეცვა და სწავლულის შავი მოსასხამი ემოსა. მარკიზს უჩვეულო ცერემონიულობით მიესალმა. „Benedictus qui venit in nomine veritatis“,¹ თქვა.

მის ცხენს თავდაღმართში ვერ გაეძლო იმ ტვირთისთვის, აღმართში რომ ჩორთით აეტანა და გული გასკდომოდა.

მარკიზის მეეტლემ ნეპტუნომ უნაგირის ახსნა სცადა, მაგრამ ექიმმა დაუშალა.

„უნაგირი რად მიხდა, შესაკაზში აღარავინ შეავს, თქვა, დატოვეთ, მასთან ერთად დალპეს“.

1. კურთხეულ იყოს, ვინც ჭეშმარიტების სახელით მოდის. (ლათ.)

მეეტლე იძულებული გახდა ექიმს ეტლში ასვლაში მიხმარებოდა და მარკიზმა მარჯვნივ მოისვა. აბრენუნსიო თავის ცხენზე ფიქრობდა.

„თითქოს ნახევარი სხეული მომიკვდაო“, ამოიხრა.

„არაფერს მოეკლება ისე იოლად, როგორც ცხენის სიკვდილს“, თქვა მარკიზმა.

„ის სხვანაირი იყო, გაბედა აბრენუნსიომ, საშუალება მქონდა ნაკურთხ მიწაში დავმარხავდი“, იმის გასაკებად, როგორი ზემოქმედება მოახდინა ჩემმა ნათქვამმაო, მარკიზს გახელა და დაასრულა: „ოქტომბერში ასი წლის გახდა“.

„ამდენ ხანს არც ერთი ცხენი არ ცოცხლობს“, თქვა მარკიზმა.

„შემიძლია დავამტკიცო“, თქვა ექიმმა.

სამშაბათობით ამორ დე დიოსის სააკადემიოფოში ამოდიოდა კეთროვანთა სხვა სხეულებებისგან განსაკურნად. თვითონ ასევე პორტუგალიელი ებრაელის, ლიცენციატ ხუან მენდეს ნიეტოს გამორჩეული მოწაფე იყო, რომელსაც ესპანეთში სდევნიდნენ და ამიტომ კარიბს შეაფარა თავი. მასწავლებლის არ იყოს, აბრენუნსიოსაც ნეკრომანტიისა და უსირცხვილო ადამიანის სახელი ჰქონდა გავარდნილი, თუმცა მის განსწავლულობას ეჭვქვეშ ვერავინ აყენებდა. დანარჩენ ექიმებს, რომლებიც ნიჭსა და უცნაურ მეთოდებს ვერ პატიობდნენ, გაუთავებლად ებრძოდა.

სწორედ მან გამოიგონა წელიწადში ერთხელ მისაღები აბი, რომელიც ჯანმრთელობას აუმჯობესებდა და სიცოცხლეს ახანგრძლივებდა, მაგრამ პირველ სამ დღეს გონების ისეთ აღრევას იწვევდა, რომ თვით აბრენუნსიოს მეტი ვერავინ ბედავდა მის მიღებას. პაციენტის სასთუმალთან არფას უკრავდა ხოლმე, რათა ტკივილები სპეციალურად იმ აკადემიოფობისთვის შეთხზული მელოდიით დაეამებინა. ქირურგია პედანტებისა და დალაქების ხელობად მიაჩნდა და თვითონ არ მისდევდა. მის ძარღვებში სისხლის გამყინავი, ვიწრო სპეციალობა აკადემიოფობათვის სიკვდილის ზუსტი დღისა და საათის დასახელება იყო. და მაინც, მასზე მოარულ კარგ და ცუდ ამბებსაც ერთი ფაქტი აკვირგვინებდა. ამბობდნენ, და ეს ამბავი არავის უარყვია, მიცვალებული აღადგინა მკვდრეთითო.

დიდი გამოცდილების მიუხედავად, აბრენუნსიოც შეძრული იყო ცოფიანის ხილვით. „ადამიანის ორგანიზმი არ არის შექმნილი იმ წლებისთვის, რომელთა გავლაც შეუძლია“, თქვა. მარკიზს სიტყვა არ გამორჩენია მისი დაწვრილებითი, მრავალფეროვანი მოხსენებიდან და მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, როცა ექიმს სათქმელი აღარაფერი დარჩა.

„რით ეშველება ამ საცოდავ კაცს?“ იკითხა.

„მოკვლით“, თქვა აბრენუნსიომ.

შეშინებულმა მარკიზმა მისკენ გააპარა თვალი.

„ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა ვიქცეოდეთ, კარგი ქრისტიანები რომ ვიყოთ, უდრტვინველად განაგრძო ექიმმა, სუ გაცოდებით, ბატონო, ქვეყნად იმაზე მეტი ჭეშმარიტი ქრისტიანია, ერთი შეხედვით რომ ჩანს“.

იმ ფერადკანიან ქრისტიანებსაც გულისხმობდა ქალაქგარეთ თუ სოფელში, რომლებსაც გამბედაობა ჰყოფნიდათ და ცოფიანებს საჭმელში საწამლავს უყრიდნენ, რათა მოსალოდნელი უარესი ტანჯვისგან ეხსნათ. გახული საუკუნის ბოლოს მიუღმა იჯახმა შეჭამა მოწამლული კერძი, რადგან ხელი არავის მოუბრუნდა ხუთი წლის გოგონას საჭმელში გაერია შხამი.

„ექიმებმა ვითომ არ ვიცით, ასეთი რამეები რომ ხდება, დაასკვნა აბრენუნსიომ, სინამდვილეში ასე არ არის, მაგრამ მორალური უფლება არა გვაქვს

მსგავსი საქციელი წაკახლისით. ჩვენ კი მომაკვდავს იმას ვუკეთებთ, რაც თქვენი თვალთ იხილეთ. სან უბერტოს ვაბარებთ და საწოლზე ვაბამთ ტანჯვით სულის ამოსახდელად“.

„სხვა საშუალება არ არსებობს?“ იკითხა მარკიზმა.

„ცოფის პირველი სიმპტომების გამოჩენას შემდეგ აღარაფერი უნდა, თქვა ექიმმა. შემდეგ ექიმბაშებზე ილაპარაკა, რომლებიც სხვადასხვა მითითებებს მიმართავდნენ ცოფის სამკურნალოდ: მიწის ტყიურას, სინგურს, მუსკს, ვერცხლისწყალს, anagallis flore pumpureo-ს, იგივე საპოვნელას და სხვა. „საქმე ისაა, რომ ნაკბენის შემდეგ ზოგი ცოფდება, ზოგი — არა, გადარჩენილების განკურნების დაჩემებაზე ადვილი კი არაფერია“. მარკიზის თვალები მოძებნა, რათა დარწმუნებულიყო, არ ჩასძინებიაო, და ჰკითხა:

„საიდან ასეთი ინტერესი?“

„მეცოდებიან“, იცრუა მარკიზმა.

ფანჯრიდან გახედა დღის ოთხი საათის მოვლემარე ზღვას და გულდათუთქულმა აღნიშნა, რომ მერცხლება დაბრუნებულიყვნენ. ნიაკი ჯერ არ ქროდა. რამდენიმე ბავშვი ქვებს ესროდა ბინძურ სანაპიროზე გზააბნეულ ვარხვს. მარკიზმა თვალი გააყოლა ცაში აჭრილ ფრინველს, სანამ იგი ქალაქის გასამაგრებლად აგებული სიმაგრეების მზით განათებულ წვეროებში არ ჩაიკარგა.

ეტლი ქალაქის კედელს ნახევარმოვარის კარიბჭის მხრიდან მიადგა და აბრუნუნსიომ შეეტლეს გარეუბნის ხმაურიან ქუჩებში გააკვლევიანა გზა, რაც არცთუ იოლი გამოდგა. სამოცდაათ წელს გადაცილებული, გაუბედავი და ახლომხედველი ნეპტუნო შეჩვეული იყო — ცხენს თეათონ გაეგნო გზა ქუჩებში, რომლებსაც პატრონზე უკეთ იცნობდა. როცა ბოლოს და ბოლოს ექიმის სახლს მიადგნენ, აბრუნუნსიო პორაციუსის სენტენციით დაემშვიდობა მარკიზს.

„ლათინური არ ვიცი“, მოიბოდიშა მარკიზმა.

„არ არის საჭირო“, თქვა აბრუნუნსიომ, რა თქმა უნდა, ლათინურად.

მარკიზი ისეთი გაოგნებული დაბრუნდა სახლში, რომ ყოვლად უცნაური და მოულოდნელი რამ ჩაიღინა. ნეპტუნოს უბრძანა სან ლორენსოს გორაკიდან მკვდარი ცხენი ჩამოესვენებინა და ნაკურთხ მიწაში დაემარხა, მეორე დღეს კი დილაადრიან აბრუნუნსიოსთვის მისი საჯინიბოს საუკეთესო ცხენი გაეგზავნათ.

სურმით გამოწვეული მოჩვენებითი შვების შემდეგ ბერნარდა შიგნულს წაკიდებული ცეცხლის ჩასაქრობად დღეში სამჯერ დამამშვიდებელ ოყნებს იკეთებდა, ექვსჯერ კი ნერვების დასამშვიდებლად ცხელ წყალში სურნელოვანი საპნით ბანაობდა. იმხანად უკვე აღარაფრით ჰგავდა ახალდაქორწინებულ ბერნარდას, რომელიც ნათელმხილველივით ზუსტად აკვარახჭინებდა კომერციულ საქმეებს იმ ავადსახსენებელ საღამომდე, როცა იუდა ისკარიოტელი გაიცნო და მისი ბედის ჩარზი უკულმა დატრიალდა.

მას შემთხვევით შეხვდა დღესასწაულზე, ცხოველების სადგომში, როცა ნახევრად გახდილი ბიჭი მიშვეული ხელებით ებრძოდა კორიდის ხარს. ისეთი ლამაზი და საშიში იყო, რომ ვერ დაიკიწყა. რამდენიმე დღის შემდეგ კარნავალზე წაბა, სადაც თვითონ ნიღბითა და მათხოვრის ტანსაცმელში გადაცმული გამოცხადდა მარკიზებიერთ გამოწყობილი მონა ქალების თანხლებით, რომლებსაც ძვირფასი ქვებით მოოჭვილი თქროს ყელსაბამები, საყურეები და სამაჯურები აესხათ. იუდა ცნობისმოყვარეებს მოექციათ წრეში და ისიც იმ ქალთან ცეკვაობდა, ვინც ფულს გადაუხდიდა, თან ძლივს ამოშმინებ- გადახდისა და ცეკვის მსურველებს.

ბერნარდამ ჰკითხა, რა ღირდა.

„ნახევარი რეალი“, ცეკვა არ შეუწყვეტია ბიჭს.

ბერნარდამ ნილაბი მოიხსნა.

„გეკითხები, მთელი ცხოვრება რა დამიჯდება-მეთქი“.

იუდა მიხვდა, რომ ქალი არც ისეთი დატაკი იყო, როგორც დაკვამნილ ტანსაცმელში ჩანდა, პარტნიორი გაუშვა და ქალს იუნგას პატივმოყვარეობით მიუახლოვდა, რათა ამ უკანასკნელს კარგად შეეფასებინა მისი ფიქრები.

„ხუთასი ოქროს პესო“, თქვა.

ქალმა გაქნილი ვაჭრის მუშტრული თვალთ შეხვდა. ზორბა ტანისა იყო, სელაპის ტყავი, დატალღული ტორსი, ვიწრო თეძოები და აღნაგი ფეხები ჰქონდა, ნაზი ხელები კი არაფრით შეუფერებოდნენ მის ხელობას.

ბერნარდამ გამოთვალა.

„რვა მტკაველი იქნები“, თქვა.

„და კიდევ სამი გოჯი“, თქვა კაცმა.

ბერნარდამ თავი დაახრევირა, კბილები რომ დაეთვალაიერებინა და მისი იდეების ამონიაკის სუნმა გააბრუა. კბილები ხალი და ჩაწიკწიკებული აღმოაჩნდა.

„შენი პატრონი ალბათ გაგიჟდა, თუკი ფიქრობს, რომ ვინმე ცხენის ფასად გიყიდის“, თქვა ბერნარდამ.

„თავისუფალი ვარ და საკუთარ თავს ვყიდი, უპასუხა მან და შეცვლილი ხმით დაამატა, სენიორა“.

„მარკიზა“, შეუსწორა ქალმა.

იუდამ რევერანსი გაუკეთა, რამაც ქალს სული შეუგუბა და ნახევარ ფასად შეიძინა ბიჭი. „მხოლოდ თვალის დასატკობად“, აღნიშნა თვითონ. სამაგიეროდ თავისუფლება შეუნარჩუნა და ცირკის ხარებთან შესარკინებლად ცოტადროც გამოუყო. თავისი სამიხებლის ახლო, უფროსი მეჯინიბის კუთვნილ ოთახში დააბინა და პირველი დამიდან შიშველი უცდიდა ჩაურაზავ კარს მიღმა, რადგან დარწმუნებული იყო დაუპატიებლად მოვიდოდა, მაგრამ ორი კვირა ამაოდ ელოდა სხეულახურებული.

საქმე ის იყო, რომ როცა იუდა მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე და სახლიც შეგნიდან დაათვალაიერა, მონის შესაფერისი დისტანცია დაიკავა. მაგრამ როცა ბერნარდას ცდა მობეზრდა, ღამის პერანგი ჩაიცვა და კარს ურღული გაუყარა, იუდა ფანჯრიდან გადაძვრა. ბერნარდა ამონიაკის სიმყრალემ გააღვიძა. იგრძნო მინოტავრის სუნთქვა, რომელიც სიბნელეში ხელის ცეცებით ეძებდა, საკუთარ სხეულზე სხვა სხეულის სიმძიმე, მტაცებლის ხელები, რომლებმაც პერანგი შუაზე ჩაუფხრიწეს, და ყურში ველური ჩურჩული: „ბოზო, ბოზო“ ჩაესმა. იმ დამეს მიხვდა ბერნარდა, რომ მთელ დარჩენილ სიცოცხლეში სხვა არაფრის კეთება სურდა.

სიგიჟემდე შეუყვარდა ბიჭი. დამლაშობით გარეუბნებში დადიოდნენ ცეკვებზე. იუდას კაბალიეროსავით ემოსა ბერნარდას ნაყიდი ფილეტი და თავზე მრგვალი ქუდი ეხურა. ქალი თავიდან საკარნავალო კოსტიუმებს ირგებდა, მოკვიანებით კი აღარც მალავდა საკუთარ სახეს. საყვარელს ოქროში აბანავებდა, სამაჯურებს, ბეჭდებსა და საათებს სჩუქნიდა და კბილებში ბრილიანტებიც კი ჩაასმევინა. პირველად რომ შეიტყო, ნებისმიერ გამკლულთან წვებაო, კინაღამ გაგიჟდა, მაგრამ ბოლოს ნარჩენებსაც დასჯერდა. ერთხელ დომინგა დე ადვიენტრო შევიდა მის ოთახში სიესტის დროს, რადგან ბერნარდა შაქრის პლანტაციებში ეკულებოდა და იატაკზე ბურთივით გაგორებულ საყვარლებს წააწყდა. უფრო შეღვატრებულ, ვიდრე გაოცებულ ქალს კარის სახელურიდან არ აუღია ხელი.

„რა მკვდარივით გაშეშებულხარ! დაუყვირა ბერნარდამ, ან აქედან მოუსვა, ან შემოგვიერთდი“.

დომინგა დე ადვიენტრომ ისე გაიჯახუნა კარი, ბერნარდას სიძრს გაწვანა-სავით ჩაესმა, იმავე ღამეს დაიბარა ზანგი და საშინელი სასჯელით დაემუქრა. თუკი ვინმესთან კრინტს დასძრავდა ნანახის შესახებ.

„ნუ გეშინიათ, თეთრო, უთხრა მონამ, თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერი რამ ამიკრძალოთ და მე დაგემორჩილებით, პატრონს შეხედა და დასძინა: უბედურება ისაა, ფიქრს ვერ ამიკრძალავთ“.

თუ მარკიზმა ეს ამბავი იცოდა კიდევ, თავი არაფრით გაუცია. ბოლოს და ბოლოს ცოლ-ქმარს ერთადერთი საერთო — სიერვა მარია გააჩნდა და იმასაც კაცი მხოლოდ ბერნარდას შვილად აღიქვამდა. ქალი ასე არ ფიქრობდა. ისე მიგდებული ჰყავდა ბავშვი, რომ ერთხელ, ხანგრძლივი სეზონის შემდეგ შაქრის პლანტაციებიდან დაბრუნებულს წამოზრდილი და გადასხვაფერებული გოგო სხვაში აერია. დაუძახა, შეათვალიერა და რამდენიმე კითხვა დაუსვა, მაგრამ პასუხს ვერ ეღიროსა.

„მამაშენის ალი-კვალი ხარ, უთხრა, ნადირალა“.

ამგვარ განწყობაზე იყო ორივე იმ დღეს, როცა მარკიზი ამირ დე დიოსის საავადმყოფოდან დაბრუნდა და ბერნარდას განუცხადა თავისი გადაწყვეტილება, მტკიცედ აეღო ხელში სახლის მართვის სადავეები. იყო ამ სწრაფვაში რაღაც გიჟური, რაზეც ბერნარდამ პასუხი ვერ მოიფიქრა.

უპირველეს ყოვლისა, მარკიზმა ბავშვი დააბრუნა ბებიამისის — მარკიზას საწოლ ოთახში, საიდანაც, თავის დროზე, ბერნარდამ მონებთან გააძევა. მტკვრის სქელ საფარქვეშ ხელუხლებლად ინახებოდა წარსულის დიდება: იმპეროული, ბრინჯაოს საწოლი, რომელიც ისე ბზინავდა, მოსამსახურეებს ოქროსი ეგონათ, მოსკიტებისგან თავდასაცავად ჰაერივით გამჭირვალე ქსოვილის საპატარძლო ბაღე, ძვირფასი ტანსაცმელი, თაბაშირის პირსაბანი, სარკესთან ჩამწკრივებული სუნამოს უამრავი ფლაკონი, ღამის ქოთანის, ფაიფურის საფურთხებელი. ამ ილუზორულ სამყაროში ოცნებობდა რევმატიზმით გატანჯული მონ-ხუცი ქალიშვილზე, რომელიც არასდროს ჰყოლია და შეიღიშვილზე, რომელსაც ვერ მოესწრო.

სანამ მონები ოთახს ალაგებდნენ, მარკიზი სახლში წესრიგის დამყარებას შეუდგა. დააფრთხო გრილ დერეფნებში მთვლემარე მონები და რთხვით დაემუქრა ყველას, ვინც სახლის კუთხეებში მოისაქმებდა ან დაკეტილ ოთახებში გააჩაღებდა აზარტულ თამაშებს. ამ განკარგულებებში უჩვეულო არაფერი ყოფილა და უფრო მკაცრადაც სრულდებოდა მაშინ, როცა ძალაუფლება ბერნარდას ებყრა ხელთ და სახლს დომინგა დე ადვიენტრო განაგებდა, მარკიზი კი საამოვნებით გამოთქვამდა ხოლმე საჯაროდ საკუთარ ისტორიულ სენტენციას: „ჩემს სახლში ხდება ის, რასაც მე ვემორჩილები“. მაგრამ, როცა ბერნარდა კაკაოს ჭაობში ჩაეფლო და დივინა დე ადვიენტრომ სული უფალს მიაბარა, მონებმა კვლავ შეაღწიეს სახლში, ჯერ ბავშვიანმა ქალებმა, წვრილმან საოჯახო საქმეებში მოსახმარებლად, შემდეგ გაზულუქებულმა კაცებმა, დერეფნის სიგრილეში მოსასვენებლად. ნგრევის აჩრდილით შეშინებული ბერნარდა მათ ქუჩაში აგზავნიდა საჭმლის სამათხოვროდ. ერთ-ერთი კრიზისის დროს, სამი-ოთხი შინამოსამსახურის გარდა, ყველას განთავისუფლება გადაწყვიტა, რასაც მარკიზი ბრიყვული მოსაზრებით აღუდგა წინ:

„თუკი შიმშილით სიკვდილი უწერიათ, სადღაც გადაკარგულში დახოცვას ასევე აქ დახოცვა უჯობთ“.

თუმცა, როცა სიერვა მარიას ძაღლმა უკბინა, ასე პრიმიტიულად აღარ უაზროვნია. ძაღაუფლება მისი ჭკუით ყველაზე სანდო და პატივსაცემ მონას გადააბარა და ისეთი მკაცრი განკარგულებები გასცა, ბერნარდაც კი შეაშინა. იმ დამეს, როცა დომინგა დე ადვიენტროს გარდაცვალების შემდეგ სახლში პირველად დამყარდა წესრიგი, მარკიზმა მონათა ბარაკში სხვადასხვა ხიმალეებზე დაკიდებულ ჰამაკებში ჩაძინებულ თორმეტამდე მონა ქალს შეურთეს სიერვა მარია მოძებნა და ყველა გააღვიძა, რათა სახლის მმართველობის ახალი კანონები ეუწყებინა.

„დღეიდან ბავშვი სახლში ბრუნდება, გამოაცხადა, და მოელმა ქვეყანამ გაიგოს, რომ მისი ერთადერთი სამყოფელი თეთრკანიანთა შორისაა“.

როცა მარკიზმა შვილის ხელში აყვანა სცადა, სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა დაემტკიცებინა, რომ სამყაროს კაცები განაგებენ ბუბიის საძინებელში, ხანამ მონების ტილოს კაბას ღამის პერანგით უცვლიდა, სიტყვა ვერ დააცდენინა. ბერნარდა კარიდან აღევნებდა თვალს საწოლზე ჩამოხჯდარ პერანგის დიღებთან შერკინებულ მარკიზს და მის წინ ფეხზე მდგარ, აუღელვებელ ბავშვს. ბერნარდამ თავი ვერ შეიკავა. „რატომ არ დაქორწინდებიან? იხუმრა და რადგან მარკიზმა ყურადღება არ მიაქცია, განაგრძო:

„ცუდი არ იქნებოდა ქათმისფეხება, კრეოლი მარკიზების გაჩენა და ცირკისტვის მიყიდვა“.

მასშიც რაღაც შეცვლილიყო, მხეცური სიცოცხლის მიუხედავად, ჩვეული მთავე გამომეტყველება შერბილებოდა, მისი ვერაგობის ფსკერზე კი თანაგრძნობის ნამცეცები დალექილიყო, რაც მარკიზმა ვერ შეამჩნია.

როგორც კი ცოლი შორს დაიგულა, ბავშვს უთხრა:

„ნამდვილი ქოსმენია“.

მოეჩვენა, თითქოს შვილს ინტერესის მარცვალი შეამჩნია:

„იცო, რა არის ქოსმენი?“ ჰკითხა და დაძაბული დაელოდა პასუხს, რომელიც სიერვა მარიამ არ აღირსა. თავი დააწვენინა, ბუმბულის ბალიშის შესწორებისა და კედრის სასიამოვნო სუნით გაჟღენთილი საბნის მუხლებამდე დაფარების უფლება მისცა, თუმცა სამოწყალოდაც არ შეუხედავს მშობლისთვის. კაცმა სინდისის ქეჩხა იგრძნო.

„ძილის წინ არ ღოცულობ?“

ბავშვს ყურადღება არ მიუქცევია, დედის მუცელში მყოფი ჩვილივით მოიკუნტა, როგორც ჰამაკში იყო მიჩვეული და დაუმშვიდობებლად დაიძინა. მარკიზმა დიდი სიფრთხილით ჩამოაფარა მოსკიტებისგან თავდასაცავი ბადე, რათა მძინარე ღამურებს არ დაეკბინათ. ათი საათი იქნებოდა და მონათა განდევნის შემდეგ დადუმებულ სახლში აუტანლად ჟღერიალებდა გიჟების სიმღერა.

მარკიზმა ძაღლები აუშვა. მათ ბუბიის საძინებლამდე მიიბრინეს და ღრუნით დასუნეს კარის სახელოური. მარკიზი თითის წვერებით მიეფერა თავზე ძაღლებს და კარგი ამბით დაამშვიდა:

„ეს სიერვაა. დღეიდან ჩვენთან იცხოვრებს“.

გიჟების გადაძვიდეს, რომლებიც ღამის ორ საათამდე მღეროდნენ, ცოტა და ცუდად ეძინა. მამლის პირველ ყივილზე ადგა, ბავშვის ოთახს მიაშურა და აღმოაჩინა, რომ სიერვა ისევ მონებთან დაბრუნებულიყო. ბარაკის კართან ჩაძინებულ მონას შემკროთალს გაეღვიძა. „მარტო მოვიდა ბატონო, შეკითხვას დაასწრო პასუხი, ვერც კი ვავიგე“.

მარკიზმა იცოდა, რომ მართალი იყო. დაინტერესდა, რომელი მათგანი ახ-

ლდა სიერვა მარიას იმ დღეს, როცა ძაღლმა უკბინა. შიშით აკანკალებული ერთადერთი მულატი, კარიდად დელ კობრე წამოიწია. მარკიზმა დაამშვიდა.

„ბავშვს დომინგა დე ალვიენტროსავეით მოუარე“, უთხრა და თავის მოვალეობები აუხსნა. გააფრთხილა თვალი არ მოეშორებინა სიერვასთვის, სიყვარულით და გაგებით მოჰკიდებოდა, მაგრამ არა მედიდურად, მთავარი იყო მავთულის ღობეს არ გასცილებოდა, რომელიც მონათა ეზოსაკენ სახლს შერის უნდა გაეჭიმა. დილით, გაღვიძებისთანავე და ღამე ძილის წინ, დაწვრილებით უნდა გაეცა პასუხი მარკიზის ნებისმიერ შეკითხვაზე.

„კარგად დააკვირდი, რას აკეთებ და როგორ აკეთებ, დაასკვნა, ჩემი ბრძანებების შესრულებაზე მხოლოდ შენ აგებ პასუხს“.

დილის შვიდ საათზე, ძაღლები დააბა თუ არა, მარკიზი აბრენუნსიოს სახლისკენ გაემართა. კარი თვით ექიმმა გაუღო, რადგან არც მონები ჰყავდა, არც მსახური. მარკიზმა საკუთარ თავს, როგორც თვითონ მიაჩნდა, სამართლიანად უსაყვედურა.

„სტუმრობის დრო არ არის“, თქვა.

ექიმმა გულითადი ძაღლობა მოახსენა ცხენისთვის, რომელიც ის-ის იყო მიეღო. პატიოსმა გაუძღვა და ძველი სამჭედლოს ჩარდახისგან გადაკეთებულ საჯინბოში შევიდნენ, სადაც გრდემლის ნარჩენების მეტი არაფერი დარჩენილიყო. უცხო გარემოში მოხუცდრილი ორი წლის წითური ცხენი ვერცხლის წყალში ამოვლებულს ჰგავდა. აბრენუნსიომ დასამშვიდებლად დრუნჩზე მოუთათუნა ხელი, თან ყურში ლათინურად ცრუ დაპირებებს ეჩურჩულებოდა.

მარკიზმა უთხრა, რომ მკვდარი ცხენი ამირ დე დიოსის საავადმყოფოს მკვლ ბოსტანში დაამარხვინა. ეს ადგილი, ქოლერის ეპიდემიის დროს, მდიდრების სასაფლაოდ იყო ქცეული. აბრენუნსიომ ძაღლობის სიტყვები არ დაიშურა. საუბრისას შეამჩნია, რომ მარკიზი ცხენს არ მიახლოებია. სტუმარი გამოუტყდა, ცხენზე არასოდეს ვმჯდარვარო.

„ცხენების და ქათმების ერთნაირად მეშინია“, თქვა.

„სამწუხაროა, აღნიშნა ექიმმა, ცხენებთან ურთიერთობის უქონლობამ კაცობრიობის განვითარება შეაფერხა. ეს ტაბუ რომ დაგკერლვია, კენტაკრებს გამოვიყვანდი“.

სახლის ინტერიერს დიდ ზღვაზე გამავალი ორი ფანჯარა ანათებდა. იქაურობა ბერბიჭასთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით იყო დალაგებული. პაერში რომელიღაც ბალზამის სუნი ტრიალებდა, რაც მედიცინის ყოვლისშემძლეობაზე აღძრავდა ფიქრს. ოთახში იდგა მოწესრიგებული საწერი მაგიდა და ლათინურწარწერიანი ფლაკონებით სავსე შუშის კარადა. ერთ კუთხეში ოქროსფერი მტვრით დაფარული სამედიცინო არფა მიეყულებინათ. ყველაზე თვალშისაცემი მაინც წიგნები იყო: უმეტესობა ლათინური, ვინიეტებიანი ყუებით. წიგნები ეწყო თაროებზე, ვიტრინებში და იატაკზეც კი. ექიმი ისეთი სიფრთხილით დააბიჯებდა ქალაქის წყებებს შორის, როგორც მარტორქა ვარდების ბაღში. მარკიზი წიგნების რაოდენობამ გააოცა. „ყველაფერი, რაც კაცობრიობამ იცის, ალბათ ამ ოთახშია თავმოყრილი“, თქვა.

„წიგნები არაფრის მაქნისია“, მხიარულად თქვა აბრენუნსიომ.

„მთელი ცხოვრება იმ ავადმყოფებს ვკურნავ, სხვა ექიმებმა თავიანთი წამლებით რომ დამართეს პაციენტებს“. სავარძელში ჩაძინებული კატა გააგლო და მარკიზი მიიპატიჟა, თან საკუთარი ხელით მოღულებული ბალახ-ბულახის ნაყენი შესთავაზა და თავის გამოცდილებაზე განაგრძო საუბარი, ხანამ არ შეამჩნია, რომ მარკიზს ინტერესი გაუქრა. ასეც იყო: უცებ წამოდგა, მასპინძელს ზურვი

შეაქცია და ფანჯრიდან პირქუშ ზღვას ვახედა. ბოლოს მხნეობა მოიკრიბა და თავმოუბრუნებლად დაიწყო.

„ლიცენციატო“, დაიხურხულა.

აბრენუნსიო არ ელოდა მიმართვას.

„ჰა?“

„იმის იმედით, რომ პროფესია დუმილს გავალდებულებს, მხოლოდ ასევე ვიმხელთ, რომ მართალია, რასაც ხალხი ლაპარაკობს“, — თქვა ნალვლიანად მარკიზმა, — „ცოფიანმა ძაღლმა ჩემს შვილსაც უკბინა“.

მხოლოდ ამის შემდეგ ვახედა აუღელვებლად მდგარ ექიმს.

„ვიცი, უპასუხა მან, ვფიქრობ, ეგაა თქვენი ადრიანი ვიზიტის მიზეზი“.

„მართალია, თქვა მარკიზმა და საავადმყოფოში ნანახი გაცოფებულის ბედზე დასმული შეკითხვა გაუმეორა: რით ეშველება ამ საქმეს?“

წინა დღის უხეში პასუხისგან განსხვავებით აბრენუნსიომ სიერვა მარიას ნახვა მოიწადინა. მარკიზსაც სწორედ ამის თხოვნა სურდა. ამიტომ სწრაფად შეთანხმდნენ. ეტლი კართან იცდიდა.

სახლში დაბრუნებულმა მარკიზმა ბერნარდა სარკესთან მიმჯდარი იპოვა. ქალი თმას ივარცხნიდა იმ შორეული წლების კეკლუცობით, უკანასკნელად რომ იცხოვრეს ერთად და რაც მარკიზმა საგულდაგულოდ ამოიშალა მეხსიერებიდან. ოთახი მისი საპნების გაზაფხულის სუნით გაჟღენთილიყო. ქალმა სარკეში დაინახა ქმარი და უჩემური გამომეტყველებით მიმართა: „ვინ ვბრძანდებით, ასე რომ ვარიგებთ ცხენებს?“ მარკიზმა ყურადღება არ მიაქცია, საწოლზე მიგდებული დღის მოსახამი აიღო, ბერნარდას ესროლა და დაუნდობლად უბრძანა: „ჩაიცვით, ექიმი მოვიდა“.

„ღმერთმა დამიფაროს“, თქვა ქალმა.

„თქვენთვის არ მომიყვანია, თუმცა ნამდვილად გჭირდებათ, თქვა მარკიზმა, ბავშვი უნდა ნახოს“.

„ვერაფერს უშეელის, თქვა ქალმა, ან მოკვდება, ან არა, მესამე გზა არ არსებობს. თუმცა ცნობისმოყვარეობამ სძლია: ვინ არის?“

„აბრენუნსიო“, უპასუხა მარკიზმა.

ბერნარდა გაცოფდა. ერჩივნა ასევე მომკვდარიყო, მარტო და შიშველი, ვიდრე თავის ბედი ლტოლვილი ურიისთვის მიენდო. აბრენუნსიო ჯერ კიდევ მისმა მშობლებმა დაითხოვეს სახლიდან, რადგან პაციენტების მდგომარეობას არ ძალაუქმდა, რათა შემდეგ ზუსტი დიაგნოზებით ეტრაბახა. მარკიზმა არ დასთმო.

„თქვენი და იქნებ უფრო მეტად ჩემი სურვილის წინააღმდეგ, ბავშვის დედა ბრძანდებით, — თქვა, — ამ წმინდა უფლების გამო გთხოვთ მისი გასინჯვის ნებას“.

„მე არაფერს დაგიშლით,“ თქვა ბერნარდამ, „მე მკვდარი ვარ“.

მოლოდინის საპირისპიროდ სიერვა მარიამ უდრტკინველად გადაიტანა სხეულის გულმოდგინე გამოკვლევა. „ექიმები ხელებით ვხედავთ“, — უთხრა აბრენუნსიომ. გამხიარულებულმა გოგომ პირველად გაიღიმა.

ბავშვი აშკარად ჯანმრთელი იყო. მოუვლელი, მაგრამ გასაფურჩქნად მოშაღებული, ჰარმონიულად აწყობილი, თითქმის უხიდავი ოქროსფერი ღინღლით დაფარული სხეული ჰქონდა. უნაკლო კბილები, ნათელმზილველის თვალები, დასვენებული ფეხები, ჭკვიანი ხელები და თმის ყოველი ღერი მოსალოდნელ ხანგრძლივ სიცოცხლეს მოასწავებდა. ეშმაკურად დასმულ შეკითხვებს მხიარულად და საზრიანად უპასუხა და ზედმიწევნით კარგად უნდა გცნობოდა იმის მისახვედრად, რომ არც ერთი პასუხი მართალი არ იყო. მხოლოდ მაშინ დაიძაგრა,

როცა ექიმმა ქუსლზე შერჩენილი ციცქნა ნაჭრილობები იპოვა, ისევ აბრენუნსიოს ეშმაკობამ იხსნა.

„დაეცი?“

სიერვას წარბიც არ შეუხრია.

„საქანელიდან ჩამოვუარდი“.

ექიმი ლათინურად გაესაუბრა საკუთარ თავს. მარკიზმა ვერ მოიტანა: „ეს-პანურად მითხარით“.

„თქვენთვის არ ვლაპარაკობ, აუხსნა აბრენუნსიომ, ეს მდაბიური ლათინურია“.

სიერვა მარია მოხიბლული დარჩა აბრენუნსიოს ოსტატობით, სანამ ექიმმა გამოსაკვლევად მკერდზე ყური არ მიაღო. გული ამოვარდნას ლამობდა, კანზე კი ხახვის სუნით გაფლენთილმა ცივმა ოფლმა გამოეონა. დასასრულს ექიმმა ალერსით მოუთათუნა ხელი ლოყაზე.

„ძალიან ძამაცი ხარ“, უთხრა.

მარკიზთან მარტო დარჩენილმა აუხსნა, რომ გოგომ იცოდა ძაღლის გაცოფების ამბავი. მარკიზი ვერ მიხვდა.

„ბევრი ტყუილი კი გითხრათ, თქვა. მაგრამ ძაღლზე ხმა არ ამოუღია“.

„მას არა, უთხრა ექიმმა, მისმა გულმა გამაგებინა, გალიაში ჩამწყვდეულ ბაყაყს ჰგავდა“.

შვილის საოცარი ტყუილებით უფრო გაამაყებულმა, ვიდრე ნაწყენმა მარკიზმა მოსაზრება გამოთქვა:

„იქნებ პოეტი დადგეს“.

აბრენუნსიო არ დაეთანხმა ტყუილების აუცილებლობას ხელოვნებაში.

„რაც უფრო გამჭვირვალეა ნაწერი, მით მეტია პოეზია“, თქვა.

მხოლოდ ბავშვის ოფლში გამჯდარი ხახვის სუნის მიზეზი ვერ ამოხსნა. აქამდე არსად გაეგო ცოფის კავშირი რაიმე სუნთან, ამიტომ არაფრის სიმპტომად არ ჩაუთვლია. მოგვიანებით კარიდად დელ კობრე გამოტყდა, რომ სიერვა მარია საიდუმლოდ მკურნალობდა მონათა მეთოდებით, რომლებიც ხან მანახუს¹ ფოთლებს აღეჭინებდნენ, ხან დედიშობილას კეტავდნენ ხახვის სარდაფში, ძაღლის ავადმყოფობის გასადუნად.

აბრენუნსიოს ცოფის არც ერთი სიმპტომი არ დაუმაღავს. „პირველი ნიშნები მით უფრო სწრაფი და სერიოზულია, რაც უფრო ახლოა ნაკბენი ტვინთან“, თქვა. გაიხსენა პაციენტი, რომელიც დაკბენიდან ხუთი წლის შემდეგ მოკვდა... ჭრილობის სწრაფი შეხორცება არაფერს ნიშნავდა, დროთა განმავლობაში მივიწყებული ჭრილობა შეიძლება გაღიზიანებულიყო, გახსნილიყო და ლბობა დაეწყო. აგონია ისეთი სახარელი იყო, რომ სიკვდილი სჯობდა. ერთადერთი, რაც ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა გაგვეკეთებინა, ავადმყოფის ამორ დე დიოსის საავადმყოფოში მიბარება იყო, სადაც გიჟებისა და ცოფიანების მოვლაში გამობრძმედილი სენეგალელები მსახურობდნენ. ან არადა, მარკიზს თავისი ხელით უნდა მიეხსნა შვილი საწოლზე გარდაუვალი სიკვდილის მოლოდინში.

„კაცობრიობის უკვე ხანგრძლივ ისტორიაში“, დაასკვნა, „არც ერთი ჰიდროფობი² არ გადარჩენილა ცოცხალი“.

მარკიზმა გადაწყვიტა, რაოდენ მძიმეც უნდა ყოფილიყო ჯვარი, თვითონ

1. მანახუ — ზის ჯიში. ძირითადად იზრდება კუბაში.

2. ჰიდროფობია — წყლის შიში. ახასიათებთ გაციოფებულებს.

ეტვირთა. მოკლედ, ბაეში საკუთარ საწოლში მოკვდებოდა. ექიმმა ალტაცებულ-ზე მეტად თანამგრძნობი მხერით დააჯილდოვა.

„თქვენის მხრიდან ნაკლებ კეთილშობილებას არც მოველოდი,“ თქვა, „და ეჭვიც არ მეპარება, რომ სულის სიმტკიცე არ გიმტყუნებთ“.

გაიმეორა, რომ ხიფათი ჯერ არ იგრძნობოდა. ჭრილობა ჯისკის ზიანიდან შორს იყო და არც სისხლგამდინარი ენახა ვინმეს. მეტად სავარაუდოდ რომ სიერვა მარიას ცოფი არ შეეყრებოდა.

„მანამდე რა ვქნა?“ ჰკითხა მარკიზმა.

„მანამდე მუსიკა დაუკარით, სახლი ყვავილებით აავსეთ, ჩიტები აჭიკჭიკით, ბავშვი ზღვაზე წაიყვანეთ დაისის სანახავად, მოკლედ, გააბედნიერეთ,“ თქვა აბრენუნსიომ და ქუდის ქნევითა და მკაცრი ლათინური სენტენციით დაემშვიდობა, რომელიც იმ ჯერზე მარკიზის საპატივცემულოდ თარგმნა: „ვერც ერთი წამალი ვერ განკურნავს იმას, რაც ბედნიერებით არ იკურნება“.

ორი

არავინ იცოდა, როდის მოახერხა მარკიზმა ასე გაზულუქება, ან რატომ შეირთო ყოვლად შეუფერებელი ქალი, მაშინ როცა წესით ქვრივობის სიმშვიდეში უნდა გაეღია ცხოვრება. მისთვის სანტიაგოს ორდენის კავალრის, პირველი მარკიზის სახელის წყალობით ყველა გზა ხსნილი იყო. მამამისი, ზანგებით ვაჭარი, უგულო მემამულე იყო, რომელსაც უფალმა ხელმწიფემ უხვად უბოძა სასულიერო თუ საერო წოდებები და არც ერთი დანაშაულისთვის არ დაუსჯია.

მისი ერთადერთი მემკვიდრე, იგნასიო, აშკარად გონებაჩლუნგი იზრდებოდა, არავინ უყვარდა და კარგა მოზრდილმაც არ იცოდა წერა-კითხვა. სიცოცხლის პირველი ნიშანწყალი ოცი წლისას დაეტყო იმით, რომ დივინა პასტორას ერთ-ერთი პაციენტი შეიყვარა იმ მრავალრიცხოვან გიჟთაგან, რომელთა სიმღერები და ყვირილი მის ბავშვობას ავსებდა და გოგოს ცოლად მოყვანა გადაწყვიტა.

მის რჩეულს დულსე ოლივია ერქვა. მეუნაგირეთა ოჯახის ერთადერთი ასული იყო და თვითონაც იძულებული გახდა უნაგირების კეთება ესწავლა, რათა ოჯახის ორსაუკუნოვანი ტრადიცია არ დარღვეულიყო. ალბათ ამ წმინდა მამაკაცურ ხელობასთან შეჭიდებამ აუბნია გონება ისე სავალალოდ, რომ ძლივს გადააჩვიეს საკუთარი განავლის ჭამას. თუ ამას არ ჩავთვლით, ბრიყვი და უხიაგი კრეოლი მარკიზისთვის უკეთესი თანამეცხედრის მოძებნა არც შეიძლებოდა. დულსე ოლივიას კარგი ხასიათი და სხარტი გონება ჰქონდა და იოლად ვერც მიუხედებოდი სიგიჟეს. ახალგაზრდა იგნასიომ ნახვის დღიდან გამოარჩია ტერასაზე თავშეყრილ გიჟებში და მაშინვე დაიწყო ქვესტ-მიმიკით საუბარი. ქალი ქალღმრთის მტრედების საშუალებით უგზავნიდა ბარათებს. იგნასიომ სპეციალურად ისწავლა წერა-კითხვა ქალისთვის პასუხის გასაცემად და იქიდან აბობოქრდა ვნებათა ზღვა, რომლის გაგება არავინ ისურვა. შემფოთებულმა პირველმა მარკიზმა შვილს უბრძანა სახალხოდ უარეყო ჭორები.

„ჭორები არ არის, შეეპასუხა იგნასიო, ის კი არა, ხელის თხოვნის უფლებაც მომცა“, ხოლო როცა შეახსენეს, გიჟიყო, საკუთარი არგუმენტით უპასუხა: „არც ერთი გიჟი გიჟი არ არის, თუ ჩვენ მის მოსაზრებებს შევეგუებით“.

მაშინ მამამ თავის მამულში გადაასახლა, რაც ცოცხლად დამარხვის ტოლფასი აღმოჩნდა. იგნასიოს ქათმის გარდა ყველა შინაური ცხოველის ეშინოდა.

სოფელში კი ახლოდან ნახა ცოცხალი ქათამი, ძროხისხელად წარმოიდგინა და მიხვდა, რომ მიწის და წყლის ყველაზე შემზარავ ურჩხულთან ჰქონდა საქმე. დამ-დამობით საძოვრების სიჩუმე აფრთხობდა და სულშეხუთულსა და გაოფ-ლილს ეღვიძებოდა. სხვებზე მეტად, პატრონის საძინებლის ქართან თვალისდა-უხამხამებლად მოდარაჯე მწვეარი აფრთხობდა. მოკლედ სიცოცხლით შეშინე-ბულ სულიერად იქცა. გადასახლებაში ჩამოუყალიბდა პირქუჩა გამომუშველე-ბა, ჩაფიქრებული სახე, ზანტი მოძრაობები, დინჯი საუბარი და მისტიკური მოწოდებები, რასაც წესით საყნის კარამდე უნდა მიეყვანა.

გადასახლების პირველი წლის ბოლოს აზვირთებული მდინარის ზათქის მსგავსმა ხმამ გააღვიძა და მოვარის შუქით განათებულ სამყაროში საოცარი სანახაობა იხილა. შინაურმა ცხოველებმა და ფრინველებმა ერთად დატოვეს სადგომი, მამულში, მინდორსა და ჭაობში ყველაფერი გადათელეს და გრძელ მწკრივად ჩაინთქნენ ღამეში, თვით მტრელებიც კი ფეხით მიდიოდნენ. ერთი მწვეარიღა დარჩა პატრონის სადარაჯოდ. იმ დღიდან დაიწყო მარკიზისა და ძაღ-ლის ღამის ადამიანური სიყვარული, რაც სხვა მწვერებზეც ვავრცელდა.

იგნასიომ გაუკაცრიელებულ მამულში კვლარ გასძლო, სიყვარულზე უარი თქვა და მამას ჩაბარდა, რომელმაც სიყვარულის უარყოფა არ აკმარა და ანდერ-ძით დაავალდებულა ესპანელ დიდგვაროვან ქალბატონზე დაქორწინება. ამას მოჰყვა გახმაურებული ჯვრისწერა დონია ოლალია დე მენდოსასთან, ულაამ-ხეს, წარჩინებულ და ჭკვიან ქალბატონთან, რომელიც კარგა ხანს ქალწული და-ტოვა, რათა ბავშვის ჩასახვით გამოწვეული სიხარულიც არ ღირსებოდა. თვი-თონ ისეთივე გამოუსადეგარ მარტოსულად დარჩა, როგორიც დაბადებიდან იყო.

დონია ოლალია დე მენდოსამ ხალხში გამოიყვანა. მოავარ მესაზე თავის საჩვენებლად უფრო დადიოდნენ, ვიდრე სალოცავად. ქალს მარმაშებიანი შავი ქვედაბოლო, მდიდრული მანტილია და კასტილიური ლიმონისფერი მაქმანებით გაწყობილი ქუდი ამშვენებდა. თან აბრეშუმის ტანსაცმელში გამოწყობილი მო-ნები ახლდათ. ქუსლმოჭრილი საშინაო ფეხსაცმლის ნაცვლად, რასაც ყველაზე პრანჭია ქალებიც კი იცვამდნენ ეკლესიაში, დონია ოლალია მარგალიტით გაწ-ყობილი, ტარსიკონის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით დადიოდა. დანარჩენ წარ-ჩინებულთაგან განსხვავებით, რომლებიც ანაქრონულ პარიკს ატარებდნენ და სა-მოსზე ზურმუხტის ღილები ეკვრათ, მარკიზს ბამბის ტანსაცმელი ეცვა და რბი-ლი ბერეტი ეხურა. მუდამ უწადინოდ, იძულებით ესწრებოდა ხოლმე ხალხმრავალ აქტებს, რადგან ვერასდროს სძლია საზოგადოებაში გასვლის შიშს.

დონია ოლალია სევილიელი სკარლატი დომენიკოს მოსწავლე იყო და წარ-მატებით მოიპოვა კიდევ სკოლებსა და მონასტრებში მუსიკისა და სიმღერის სწავლების უფლება. სამშობლოდან დაშლილი კლავიკორდი ჩამოუვიდა, რომე-ლიც სხვა სიმებიან ინსტრუმენტებთან ერთად საკუთარი ხელით ააწყო. ისე ოს-ტატურად უკრავდა და ასწავლიდა დაკვრას, რომ მალე ქალწულთა გუნდიც კი ჩამოაყალიბა, რომელიც იტალიური, ფრანგული თუ ესპანური მელოდიებით ატ-კობდა სახლის საღამოებს. მათზე იმასაც კი ამბობდნენ, სულიწმიდის შეგო-ნებით მღერიათ.

მარკიზს მუსიკის ინჩიბინჩი არ გაეგებოდა. როგორც ფრანგები ამბობდნენ: არტისტის ხელები და არტილერისტის სმენა ჰქონდა, მაგრამ ინსტრუმენტების ყუთების გახსნისთანავე მიაქცია ყურადღება იტალიურ ბარბიოს ორწყება კლა-ვიშების, ბგერის დიაპაზონის, სიმების რაოდენობისა და ნატიფი ხმის გამო. დო-ნია ოლალიამ მისი განსწავლა ითავა ისე, რომ ქმარსაც მასავით დაეკრა. დილა-ობით ბაღში, ხეების ჩრდილში მეცადინეობდნენ, ქალი მოთმინებითა და სიყვა-

რულით, კაცი — ქვისმტეხელის სიჯიუტით, სანამ მონანიე მადრიგალი უმტკიუნეულოდ არ დანებდა.

მუსიკამ ისე განამტკიცა ოჯახური ჰარმონია, რომ დონია ოლალიამ გადაძვევით ნაბიჯის გადადგმა გაბედა. ერთ ჭექა-ქუხილიან ღამეს, ვითომ მუშახე-ბული, ქმრის საძინებელში შევიდა.

„ამ საწოლის ნახევარი ჩემია და კუთვნილის მისაღებად მძვინვარებენ“.

კაცს გადაწვევით არ შეუცვლია. ქალი დარწმუნებული იყო, ძალით თუ ნებით მაინც მიაღწევდა საწადელს, მაგრამ ცხოვრებამ არ დააცადა. ერთ 9 ნოემბერს ფორთოხლის ხეებქვეშ დუეტს რომ ასრულებდნენ, მოწმენდილ ცაზე გამკრთალმა ელვამ დააბრძავათ, სეისმური ჭახანი გაისმა და ელვით განგძირული დონია ოლალია სკამიდან ჩამოვარდა.

გაოგნებულმა ქალაქმა ეს შემთხვევა მიჩქმალული დანაშაულის გამო მოვლენილ ღვთის წყრომად ჩათვალა. მარკიზმა დედოფლის შესაფერისი დაკრძალვა მოაწყო, სადაც პირველად გამოჩნდა შავ თაეთის ტანსაცმელში. იმ დღის მგლოვიარე იერი სამუდამოდ შერჩა, სახლში დაბრუნებულს ფორთოხლის კორომი ქალაქის მტრედებით გადათეთრებული დახვდა. ალაღბედზე აიღო ერთი ცალი, გაშალა და წაიკითხა: „ელვა ჩემი იყო“.

მეუღლის სიკვდილიდან ცხრა დღესაც არ გაეგლო, რომ ეკლესიას მემკვიდრეობით მიღებული მომპოქსისა და აიაპელას მამულები, ქალაქიდან სულ რაღაც ორ ლივზე მღებარე მათესის ორი ათასი ჰექტარი მიწა, ცხენების რემა, საყანე მამულები და კარიბის სანაპიროზე საუკეთესო შაქრის პლანტაციები შესწირა. მის თვალუწვლენელ, გამოუყენებელ მამულებზე ლეგენდები დადიოდა. ამბობდნენ, ვითომ მისი მიწები გუარიპას ჭაობებს ვაღმა, ლა პურესას დაბლობსა და ურაბას მაგნოლიის ჭალებში იკარგებოდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ მათესის შაქრის პლანტაციის ნაწილი და მამისეული სახლი დაიტოვა ძალზე შემცირებული მოსამსახურე პერსონალით. სახლის მმართველობა დომინგა დე ალვიენტროს ჩააბარა. ბებერ ნეპტუნოს მეეტლეობა შეუნარჩუნა და საჯინიბოში დარჩენილი რამდენიმე ცხენის მოვლა დაავალა.

პირველ ხანებში ძლივს იძინებდა ხოლმე წინაპართა დაცარიელებულ სახლში, რადგან წარჩინებულ კრეოლთათვის დამახასიათებელი შიში სტანჯავდა, ძილში მონებს არ მოეკლათ. შემინებულს ეღვიძებოდა და ვერ გაეგო, სარკმელში გამკრთალი თვალები ცოცხალ ადამიანს ეკუთვნოდა თუ ანრდილს. ფეხის წვერებზე მიიპარებოდა კართან, მოულოდნელად აღებდა და ჭუჭრუტანასთან განაბულ ზანგს აწყდებოდა. გრძნობდა მათ ვეფხვის ნაბიჯებს დერეფნებში, შიშვლები და ქოქოსის ზეთში ამოსვრილები რომ დააბიჯებდნენ, რათა ხელი არავის ჩაეელო. ამდენი შიშით დათრგუნულმა ბრძანა, დილაძდე არ ჩაექროთ სანათურები და სახლიდან გააძევა მონები, რომლებიც ხელ-ხელა იპყრობდნენ ცარიელ სივრცეებს. სამაგიეროდ გაწვრთნილი პირველი მწვერები მოიყვანა.

სახლის კარი ჩაიგმანა. ნესტით გაყდენთილი, ხავერდგადაკრული ფრანგული ავეჯი გაიტანეს, გობელენები, ფაიფური და ძვირფასი საათები გაყიდეს და დაცარიელებულ ოთახებში ბირკავას ტოტებიდან დაწნული ჰამაკები დაჰკიდეს. მარკიზი აღარც შესაზე დადიოდა, არც სასულიერო პროცესიებში მონაწილეობდა და არც მარხვას იცავდა, თუმცა საეკლესიო ხარკს პატიოსნად იხდიდა. თავი ჰამაკს შეაფარა, რომელსაც აგვისტოს ხვატში საწოლ ოთახში ჰკიდებდა, დანარჩენ დროს კი — ფორთოხლის ხეებქვეშ. გიჟები საჭმლის ნარჩენებს აყრიდნენ თავზე და სიყვარულით ებიღწსიტყვიებდნენ, მაგრამ როცა მთავრობამ საგიჟის

სხვაგან გადატანის დადგენილება გამოიტანა, მარკიზმა ვიყების ხათრით უარი განაცხადა.

გულის რჩეულის უმოქმედობით თავგზააბნეულმა დულსე ოლივიამ ოცნებებით დაიმშვიდა თავი. ხელსაყრელ შემთხვევას არ უძებნდა, საკუთრიდან ბოსტანში რომ არ ჩაპარულიყო, ძაღლები სატყუართი და ტკბილად მოიშინაურა და სანამ სხვებს ეძინათ, თვითონ სახლს უვლბდა. მისი არასოდეს ყოფილა. ოთახებს რეჰანის ცოცხით ჰვეიდა, რაც სიკეთის მომტანად ითვლებოდა და საწოლ ოთახებში მოსკიტების დასაფრობობად ნივრის გაღებს ჰკიდებდა. ხელმარჯვე დომინგა დე ადვიენტრო ისე მოკვდა, რომ ვერ გაიგო, რატომ ხვდებოდა დილით უფრო სუფთა საღამოს დაგვილი ღერეფნები ან რატომ იცვლიდნენ ადგილს ნივთები. დონია ოლალიას გარდაცვალებიდან თითქმის წელიწადი იყო გასული, როცა მარკიზმა სამზარეულოში მოყუსფუსე დულსე ოლივია შეამჩნია.

„არ მეგონა, ამდენს თუ გაბედავდი“, უთხრა.

„ამიტომ, რომ შენ ისეთივე ბედოულააი ხარ, რაც ადრე იყავი“, უპასუხა ქალმა.

ასე განახლდა აკრძალული მეგობრობა, რომელიც სულ ცოტა ერთხელ მაინც ჰგავდა სიყვარულს. ილუზიები არ ჰქონიათ. გათენებამდე საუბრობდნენ ხოლმე გაუბრაზებლად, მქისე ყოველდღიური ერთფეროვნებისთვის განწირული ბებერი ცოლ-ქმარივით. თავი ბედნიერად მიაჩნდათ და იქნებ იყვნენ კიდევ იქამდე, ვიდრე რომელიმე მათგანს ერთი ზედმეტი სიტყვა არ დასცდებოდა. მაშინ დამე ვანდალური კამათით სრულდებოდა, რაც ძაღლებსაც კი აფრთხობდა. იმ წუთიდან ყველაფერი თავიდან იწყებოდა და დულსე ოლივია კარგა ხანს იკარგებოდა სახლიდან.

სწორედ მას გაუმხილა მარკიზმა, რომ მიწიერი სიმდიდრისადმი გულგრილობა და ცხოვრების წესის შეცვლა ღვთისმოსაობით კი არა, იმ შიშით იყო გამოწვეული, რაც რწმენის დაკარგვისას დაეუფლა, როცა ელვით განგმირული მეუღლის დანახშირებულ სხეულს დახედა.

დულსე ოლივიამ ნუგეშად საკუთარი თავი შესთავაზა. შეჰპირდა ერთგული მონა ვიქნები სამზარეულოშიც და საწოლშიცო. კაცი არ დანებდა და აღარასოდეს დაექორწინდებო, შეჰფიცა.

მაგრამ ერთი წელიც არ გასულიყო, რომ ჩუმად დაიწერა ჯვარი მამამისის ყოფილი მოურავის, ზღვისგაღმდინ ჩამოტანილი საქონლით მოვაჭრე ინდიელის ქალიშვილ ბერნარდა კაბრერაზე. მათ ერთმანეთი დონია ოლალიას სიცოცხლეში გაიცნეს, როცა ბერნარდას ქალის საყვარელი, მარილწყალში გამოყვანილი ქაშაყი და ზეთისხილი დაჰქონდა სახლში ჯერ მისთვის, შემდეგ მარკიზისთვის. ერთ საღამოს, ბერნარდამ ფორთოხლის ხეებს შორის გაბმულ ჰამაკში ჩაწოლილ მარკიზს მარცხენა ხელისგულზე ბედი წაუკითხა. მარკიზი ისე გააოგნა რამდენიმე ზუსტმა დამთხვევამ, რომ სიესტაზე იბარებდა ხოლმე, თუნდაც არაფერი ჰქონოდა საყიდი. ორი თვე ისე გავიდა, კაცს ინიციატივა არ გამოუჩენია, ამიტომ ბერნარდა მის მაგივრად გაისარჯა. ერთ დღეს მხედარივით მოახტა, პირში არაბული მოსასხამის კალთა ჩაჩარა, სულშეხუთული თვითონვე გააცოცხლა ისეთი ოსტატობითა და აღმაფრენით, მარკიზი თავის დღეში რომ ვერ წარმოიდგენდა სიყვარულის უპარტნიორო სეანსების დროს და უსახელოდ დააკარგვინა უბიწობა. კაცი ორმოცდათორმეტი წლის იყო, ქალი ოცდასამის, მაგრამ ამხელა სხვაობას არაფერში შეუშლია ხელი.

სიესტაზე ეძლეოდნენ ხოლმე ნაჩქარევ და უკულო სიყვარულს ფორთოხ-

ლის ევანგელიკურ ჩრდილში. გიჟები ბილწი სიმღერებით ამხნევებდნენ და მქუხარე ოვაციებს უმართავდნენ საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ. სანამ მარკიზი მოსალოდნელ საფრთხეზე დაფიქრდებოდა, ბერნარდამ მოულოდნელად მიახალა, ორი თვის ფეხშიძივე ვარო, შეახსენა, რომ ზანგი კი არა, გაუხანკლებული ინდიელისა და კასტილიელი თეთრკანიანის შვილი იყო, რის გამოც შებღალული ღირსების აღსადგენ ერთადერთ საშუალებად ფორმალურად მორწმუნება რჩებოდა. მარკიზმა ქალი გააგდო. მაგრამ მორიგი სიესტის დროს მასშიძის გამოცხადება მხარზე გადაკიდებული ძველებური მუშკეტით. სიტყვაძუნწმა და მოზომილ მანერებიანმა ინდიელმა მასპინძელს იარაღი მიაწოდა და სახეში შეხედა.

„იცით რა არის ეს, მარკიზო?“ ჰკითხა.

მარკიზმა არ იცოდა, რა მოეხერხებინა მუშკეტისთვის.

„თუ არ მეშლება, მუშკეტი უნდა იყოს, თქვა და მართლა დაინტერესდა, რისთვის ხმარობთ?“

„შეკობრებისგან თავდასაცავად, ბატონო, უპასუხა ინდიელმა, ისე რომ თვალეში არ შეუხედავს, ახლა კი გთხოვთ, თქვენმა ბრწყინვალეობამ მომკლას, ვიდრე მე თვითონ მოვკლავდე“.

მხოლოდ ახლა გაუსწორა მზერა. უტყვი და ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, მაგრამ მარკიზმა კარგად გაიგო, რას ეუბნებოდნენ. მუშკეტი დაუბრუნა და სახლში შეიპატიჟა მოსალაპარაკებლად. მეზობელი ეკლესიის მღვდელმა ორი დღის შემდეგ აღასრულა ჯვრისწერის ცერემონია ქალის მშობლებისა და ორივეს ნათლიების თანდასწრებით. ამის შემდეგ, კაცმა არ იცის საიდან, საგუნტა გამოძვრა და ახალდაქორწინებულები ბედნიერების მომტანი ყვავილწნულებით შეამკო.

გვიანი წვიმების ერთ დღით მშვილდოსნის ნიშნის ქვეშ დაიბადა შვიდთვიანი და სუსტი სიერვა მარია დე ტოდოს ლოს ანხელესი. გატყავებულ თავკომბალას ჰგავდა და ყელზე შემოხვეული ჭიპლარი სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

„გოგოა, თქვა ბებიაქალმა, მაგრამ ვერ გადარჩება“.

სწორედ მაშინ შეჰპირდა დომინგა დე ადვიენტრო თავის წმინდანებს, რომ თუკი ბავშვს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ, ქორწილის დღემდე არ შეჭრიდა თმას, აღთქმა დაასრულა თუ არა, ბავშვმა ტირილი დაიწყო. „წმინდანი იქნება!“ წაიმღერა გახარებულმა დომინგამ.

მარკიზი, რომელსაც უკვე დაბანილ-შემოსილი ახალშობილი უჩვენეს, ნაკლებ გამჭრიახი აღმოჩნდა.

„გაბოზდება, თქვა, თუკი ღმერთი სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უბოძებს“.

დიდგვაროვნისა და პლებების ქალიშვილი მიგდებული ბავშვივით იზრდებოდა. დედამ იმ დღიდან შეიძულა, როცა პირველად და უკანასკნელად მოაწოვა ძუძუ და ასეთი რამ აღარ გაუმეორებია ხელში რომ არ შემოკვდომოდა. ბავშვს დომინგა დე ადვიენტრო კვებავდა, მანვე მონათლა ქრისტიანულად და იორუბას სარწმუნოების გაურკვეველი სქესის ღმერთს — ოლოკუნსაც ჩააბარა, რომელსაც ისეთი საშინელი სახე ჰქონდა, რომ მართო ძილში ეცხადებოდა მორწმუნეებს, ისიც ნიღბით. მონების ეზოში გადასახლებულმა სიერვა მარიამ ლაპარაკზე ადრე ცეკვა ისწავლა, ერთდროულად აიდგა ენა სამ აფრიკულ დიალექტზე, უზმოზე მამლის სისხლის დალევას მიეჩვია და ისე მოხერხებულად დასრიალებდა ქრისტიანებს შორის, რომ მის არსებობას ვერავინ ამჩნევდა. დომინგა დე ადვიენტროს წყალობით ბავშვს მხიარული მონა ქალები, მეტისი მოახლეები და ინდიელი შიკრიკები ეხვივნენ გარს, რომლებიც სურნელოვანი წყლითა და იემიას ვერბენა-

თი ბანდენ და თმას უკარცხნიდნენ, რომელიც ხუთი წლისას უკვე წელამდე სცემდა. დროთა განმავლობაში მონებმა თავიანთი ღმერთების პატივსაცემად ას-სმული თექვსმეტი ყელსაბამი შეაბეს.

ბერნარდა უკვე ერთპიროვნულად მართავდა სახლს, სანამ მარკიზი / ბაღში თვლემდა. მისი პირველი მიზანი ქმრის მიერ გასხვისებული, ~~ქვეყნული~~ მარკიზის ქონების დაბრუნება იყო. ამ უკანასკნელმა თავის დროზე აღებულ ~~ფეოდალურ~~ წესებით რვა წლის მანძილზე ხუთი ათასი მონის გაყიდვის უფლება მიიღო, ოღონდ იმ პირობით რომ თითო მონაზე ორ ტომარა ფქვილსაც შემოიტანდა ქვეყანაში. იმ-დროინდელი არეულ-დარეულობისა და ქრთამს დახარბებული მებაჟეების წყა-ლობით დადგენილი რაოდენობის ფქვილს სამი ათასით მეტი მონა მიაყოლა, რა-მაც იმ საუკუნის უმდიდრეს ვაჭრად აქცია.

ბერნარდას აზრად მოუვიდა, რომ ზანგებით ვაჭრობას ფქვილის გაყიდვა სჯობდა. მოპოვებული ლიცენზიით, რომელიც ოთხ წელიწადში ათასი მონისა და სულზე სამი ტომარა ფქვილის გაყიდვას გულისხმობდა, ბერნარდამ თავის ცხოვრების მთავარი საქმე მოიკვარაჩვენა. ნებადართულ ათას მონასთან ერთად სამი ათასი ტომარა ფქვილის ნაცვლად თორმეტი ათასი გაყიდა. ეს იყო საუ-კუნის უდიდესი კონტრაბანდა.

იმხანად დროის უმეტეს ნაწილს შაქრის პლანტაციებში ატარებდა და იქი-დან მართავდა საქმიანობას დიდი მდინარე ლა მაგდალენას სიახლოვის გამო, რაც გუბერნიის სიღრმეებში საქონლის დაუბრკოლებლად გადაზიდვის საშუალებას იძლეოდა. მარკიზის სახლში შიგადაშიგ აღწევდა მისი წარმატების ამბები, რომელთა შესახებ ქალი ანგარიშს არავის აბარებდა. იმ დროს, როცა ძირითადად პლანტაციებში ცხოვრობდა, დაბმულ მწვევარს ჰგავდა, უფრო სწორად, როგორც დომინგა დე ალვიენტრო აღნიშნავდა უკანალი ტანში არ ეტეოდა.

სიერვა მარია პირველად თავისი მონის გარდაცვალების შემდეგ დააბრუნეს სახლში და მასწავლებელიც დაუქირავეს, რომელიც ლიტერატურულ ესპანურს, ბუნებისმეტყველებას და არითმეტიკას ასწავლიდა. წერა-კითხვის შესწავლაზე გოგომ უარი განაცხადა: ასოები არ მესმისო. მუსიკის სწავლებაც დაუპირეს და ცნობილი მანქტრო მოუყვანეს. გოგომ კარგი გემოვნება და ინტერესი გამოავლი-ნა, მაგრამ რომელიმე ინსტრუმენტის დასაუფლებლად მოთმინება არ ეყო. იმედ-გაცრუებულმა მასწავლებელმა თავის მოვალეობის შესრულებაზე უარი თქვა და დამშვიდობებისას მარკიზს განუცხადა: „ბავშვი სულელი არაა, მაგრამ ამქვეყ-ნიური არაფერი სცხია“.

ბერნარდამ სცადა ბრაზს მორეოდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ბრალი არა დედა-შვილს, არამედ მათ ბუნებას მიუძღოდა. იმ დღიდან ეშინოდა შვილის, რო-ცა შეამჩნია, რომ აჩრდილივით იქცეოდა. შიშით ელოდა იმ წუთს, როცა უკან მოიხედავდა და გამწლეული გოგოს იღუმალ თვალებსა და მუხლებამდე გამ-ლილ, ველურ თმას წააწყდებოდა. „ბავშვო! უყვიროდა, გიკრძალავ ასე შემო-ხედვას!“ საქმეებში ჩაფლული კეფაზე გველის სისინა სუნთქვას გრძნობდა და შიშით კრთებოდა. „ბავშვო, უყვიროდა, ხმა გაიღე, სანამ შემოხვიდოდე!“

იორუბას ენაზე გაუთავებელი რატრატი შიშს უძლიერებდა. ღამდამობით უარესი ხდებოდა. ბერნარდას ეღვიძებოდა საშინელი შეგრძნებებით, თითქოს ვიღაც შეეხო, სინამდვილეში მის ფერხთით სიერვა იდგა და მძინარეს აკვირდე-ბოდა. არც მაჯაზე შებმულმა ზანზალაკებმა გაამართლა, რადგან გოგო ისე ახერ-ხებდა სიარულს, რომ ზანზალაკები არ წკარუნობდნენ. „ერთადერთი, რაც ამ ბავშვს თეთრკანიანების აქვს, ფერია“ ამბობდა დედა. მართალიც იყო. თვით სი-

ერვამ საკუთარ სახელს თავისივე შერჩეული აფრიკული სახელი მიუმატა: მარია მანდინგა.

ერთ გამთენიისას უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა, როცა ბერნარდა კაკაოს აბებით გამოწვეულმა გაუსაძლისმა წყურვილმა გააღვიძა და თიხის ქოხის ფსკერზე მოტივტივე სიერვა მარიას თოჯინას წააწყდა, რომელიც მკვდარ თოჯინად აღიქვა. დაასკვნა, რომ ეს ბავშვის მიერ მის წინააღმდეგ გამოყენებული აფრიკული ჯადოქრობა იყო და რომ ერთ-ერთს აუცილებლად უნდა დაეტოვებინა სახლი. მარკიზმა შუამავლობა სცადა, მაგრამ ქალმა მშრალად მოუჭრა: „ან მე, ან ის“. ასე რომ, სიერვა მარია მონებთან დაბრუნდა, ახალშობილივით უწიგნური და უსწავლელი და მაშინაც არ შედიოდა სახლში, როცა დედამისი შაქრის პლანტაციებში იყო.

მაგრამ ბერნარდა უკეთესად ვერ გრძნობდა თავს.

იუდა ისკარიოტელის შენარჩუნების მცდელობის ორი წელიც არ გასულიყო, რომ საქმეებიც აეწეწა და ცხოვრებაც. ბიჭს ხან ნუბიელი მეკობრის ტანსაცმელს აცმევდა, ხან ჯურის პაპის, ხანაც მეფე მეღჩორის და კარნავალზე დაჰყავდა, განსაკუთრებით, როცა ნავსადგურში გაღეონები შემოდისოდნენ და ქალაქში ექვსთვიანი მხიარულება იწყებოდა. კედლის მეორე მხარეს იმპროვიზებულ ბორდელებსა და ღუქნებს აგებდნენ ღიმიდან, პორტობელოდან, ჰავანადან, ბერაკრუსიდან და მთელი სამყაროდან ჩამოსული ვაჭრებისთვის. ერთ დღეს ნავსადგურის ფუნდუკში გამობრუყული იუდა ბერნარდას მიუახლოვდა.

„პირი გააღე და თვალები დახუჭე“, უთხრა.

ქალი ასეც მოიქცა და იუდამ პირში თავსაკადან ჩამოტანილი ჯადოსნური შოკოლადის აბი ჩაუღო. ბერნარდამ იცნო და გადმოაფურთხა, რადგან ბავშვობიდან სძულდა კაკაო. იუდამ დაარწმუნა, რომ ეს ღვთიური პროდუქტი სიცოცხლეს ახანგრძლივებდა, ფიზიკურ ძალას აათქეცებდა, სულის სიმხნევებს აძლიერებდა და სექსუალურ შესაძლებლობებს ზრდიდა. ბერნარდამ ხმამაღლა გაიციინა. „ასე რომ იყოს, თქვა, სანტა კლარას მონაზვნები კორიდის ხარებივით იქნაბოონენ“.

ფერმენტირებულ თაფლს კარგა ხნის წინ გაუსინჯა გემო თანაკლასულ გოგონებთან ერთად და პლანტაციის ცხელ დღეებშიც არ აკლებდა ხელს. იუდამ თამბაქოსა და კოკას ფოთლების ღეჭვას მიაჩნია სიერვა ნევაღელი ინდიელივით. ღუქნებში გაუსინჯა ინდოეთის კანაფი, კიპროსის სკიპიდარი, და ერთხელ ფილიპინელი ვაჭრების მიერ ჩინეთის ნაოდან ჩამოტანილი თბილში. თუმცა არც კაკაოს აბების ქებას დაუტოვებია გულგრილი. კარგად რომ დააგემოვნა, მისი უპარატესობა აღიარა და ყველაფერს ამჯობინა. იუდა ქურდობდა, სუტენიორობდა და პედერასტობდა მხოლოდ გარყვნილობის გამო, თორემ მატერიალურად არაფერი აკლდა. ერთ ავბედით დამეს, ბერნარდას თვალწინ, ბანქოს თამაშისას სამ მოვრალ მეზღვაურს აუხირდა და სკამების ცემით მოკლეს.

ბერნარდამ პლანტაციებს შეაფარა თავი. სახლი ბედის ანაბარა მიაგდო, რომელიც მხოლოდ დომინგა დე ალვიენტროს სიმარჯვის წყალობით არ დაიქცა სიერვა მარიაც მან აღზარდა ისე, როგორც მის ღმერთებს სურდათ. მარკიზმაც მოჰკრა ფური მეუღლის დაცემის ამბებს. პლანტაციიდან ხმა ჩამოვიდა, ბერნარდა საუკეთესო მონებს არჩევს და სკოლის მეგობრებთან ერთად ორგიებს მართავსო. ქარის მოტანილი ქონება ქარსავე მიჰქონდა. ბერნარდა კი თაფლითა და კაკაოს აბებით არსებობდა, რომლებიც ყოველ კუთხეში ჰქონდა დამალული, ზათ ძებნაში დრო რომ არ დაეკარგა. ერთადერთი, რის არსებობაში ეჭვი არ ეპარებოდა, ოქროს ღუბლონებით სავსე თიხის ორი ქოთანია იყო, რომლებიც ბარაქიან

წლებში ჩაფლა საწოლქვეშ. ისე დანაჩანაკდა, რომ სამი წლის შემდეგ შინ დაბრუნებული ქმარმაც ვერ იცნო. ეს მოხდა ცოტა ხნით ადრე, ვიდრე სიერვა მარიას ძალი უკბენდა.

მარტის შუა რიცხვებში ბავშვს ცოფისა არაფერი დასტყობია. მარკიზმა ბედს მადლობა შესწირა, წარსულის შეცდომების გამოსწორება გადაწყვიტა და აბრენუნსიოს მიერ რეკომენდებული ბედნიერების რეცეპტით გადაწყვიტა შვილის გულის დაპყრობა. მთელი თავისუფალი დრო მას მიუძღვნა. სცადა თმის დავარცხნა და დაწნა ესწავლა. შეეცადა ბავშვი თეთრკანიანი კრეოლი დიდებულის მანერებს დაუფლებოდა და მზეში გამოყვანილი იაგუანისა და შემწვარი არმადილის გემო დაევიწყებინა. მოკლედ, არაფერი გამორჩენია გარდა იმისა, რომ შვილისთვის ეკითხა, სურდა თუ არა მას ასეთი ბედნიერება.

აბრენუნსიომ სახლში სიარულს მოუხშირა. იოლად ვერ უგებდა მარკიზს, მაგრამ მაინც აინტერესებდა წმინდა ინკვიზიციის მიერ დაშინებული სამყაროს გარეუბანში აღმოჩენილი მისი შეუგნებლობა, ასე ვადიოდა ცხელი თვეები. აყვავებული ფორთოხლის ხეებქვეშ ქადაგად დაცემულ აბრენუნსიოს არაეინ უსმენდა, მარკიზი კი ჰამაკში ღებებოდა, თავისი მეფიდან ათას სამას საზღვაო ლივზე, რომელსაც მისი სახელიც კი არასდროს სმენოდა. ერთი ასეთი ვიზიტისას ბერნარდას საწყალობელი კვნესა გაისმა.

აბრენუნსიო შემფოთდა. მარკიზმა წაუყრუა, მაგრამ მომღევნო გმინვა, ისე გულისმომკვლელად გაისმა, რომ თავის მოტყუება აღარ შეიძლებოდა.

„ვინც უნდა იყოს, დახმარებას საჭიროებს“, თქვა აბრენუნსიომ.

„ჩემი მეუღლეა მეორე ქორწინებიდან“, თქვა მარკიზმა.

„ღვიძლი აქვს დაშლილი“, განაცხადა აბრენუნსიომ.

„რა იცით?“

„პირღია ოხრავს“, ახსნა ექიმმა.

კარი უნებართვოდ შეაღო და ოთახის ბინდბუნდში ბერნარდას მოძებნა სცადა, რომელიც საწოლში არ აღმოჩნდა. სახელი დაუძახა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. მაშინ ფანჯარა გააღო და დღის ოთხი საათის ლითონისფერ ნათებაში დაინახა იატაკზე გართხმული, ხელებგადაშლილი და შიშველი, გაზების სიმყრალეში გახვეული ქალი. სახეზე შავი მელანქოლიის დამახასიათებელი მკვდრისფერი ეღო. მოულოდნელად გაღებული ფანჯრიდან შემოჭრილი სინათლით დაბრმავებულმა თავი ასწია და ექიმში ვერ იცნო. სამაგიეროდ, აბრენუნსიომ გამოუტანა განაჩენი ერთი შეხედვით.

„შენი დღეები დათვლილია, ჩემო შვილო“, უთხრა.

აუხსნა, რომ გადარჩენის შანსი კიდევ იყო, თუკი სასწრაფოდ შეუდგებოდა მკურნალობას სისხლის გასაწმენდად. ბერნარდამ იცნო, როგორც შეეძლო წამოიწია და ლანძღვა-გინებით აიკლო. აბრენუნსიომ აუღელვებლად მიხურა ფანჯარა. წასვლისას მარკიზის ჰამაკთან შეყოვნდა და დიაგნოზი დააზუსტა.

„სენიორა მარკიზა თხუთმეტ სექტემბრამდე ვერ მიატანს“.

მარკიზი არ შემფოთებულა.

„საწყენი მხოლოდ ისაა, რომ თხუთმეტ სექტემბრამდე ბევრი დროა დარჩენილი“ თქვა.

მარკიზი სიერვა მარიას ბედნიერებაზე ზრუნვას განაგრძობდა. სან ლორენსოს ვორაკზე მიჰყავდა და ერთად უყურებდნენ აღმოსავლეთით გადაშლილ საბედისწერო ჭაობებს, დასავლეთით კი აალებულ ოკეანეს, რომლის ჰორიზონტზე ვეება მზე იძირებოდა. გოგომ ჰკითხა, რა იყო წელის მეორე მხარეს და კაცმა უპასუხა: „მსოფლიო“.

ერთ საღამოს ჰორიზონტზე აფრიაშვებული გალენების ფლოტი იხილეს. ქალაქი გადასხვაფერდა. მამა-შვილი ქუჩის აკრობატებს, ცეცხლის მკლავებსა და სხვა სიახლეებს შორის დაძვრებოდნენ, რომლებიც აპრილის იმ ზეობს ჩამოჰყვებენ ნავსადგურში. სიერვა მარიაჰ ბოლო ორ თვეს თეთრკანიანთა მძაზე მეტი მანერა შეიძინა, ვიდრე მთელი ცხოვრების მანძილზე. მისი ეკლესიის მღვდლის მცდელობაში თვით მარკიზიც შეიცვალა.

სახლი აივსო მოსამართი სათამაშოებით, მუსიკალური ყუთებით და ვეროპიდან ჩამოტანილი მექანიკური საათებით. მარკიზმა იტალიური ბარბითი გამოიღო, სიყვარულს მიმგვანებული სიჯიუტით ააწყო, მომართა და ძველისძველი სიმღერები შეასრულა კარგი ხმითა და ცუდი სძენით, რომელთა შეცვლა ვერც დრომ შესძლო, ვერც მღვრიე მოგონებებმა. იმ დღეებში ბავშვმა ჰკითხა, მართალი იყო თუ არა სიმღერებში რომ ამბობდნენ, სიყვარულს ყველაფერი შეუძლიათ.

„მართალია, უბასუხა მარკიზმა, მაგრამ კარგს იზამ, თუ არ დაიჯერებ“.

სასამოვნო სიახლეებით ფრთაშესხმულმა მარკიზმა სევილიაში წასვლაზე ფიქრი დაიწყო, რათა საბოლოოდ განეკურნა სიერვა ჩუმი ნალექლისაგან და თან სამყარო ეჩვენებინა. თარიღი და მარშრუტი უკვე დაზუსტებული ჰქონდა, როცა სიესტაზე კარიდად დელ კობრემ გაადვილა საზარელი ამბით.

„ჩემი საბრალე ბავშვი, ბატონო, უკვე ძაღლად იქცა“.

სასწრაფოდ გამოძახებულმა აბრუნისიომ უარჰყო ხალხში მოარული მოსაზრება, თითქოს გაცოფებული ადამიანი დამკბენ ცხოველს ემსგავსებოდა. აღნიშნა, რომ გოგოს სიცხე ჰქონდა, რაც თავისთავად უკვე ავადმყოფობის სიმპტომი იყო, მაგრამ ჯერ სხვა უბედურების ნიშნები არ ჩანდა, თუმცა არც დამშვიდების საფუძველი არსებობდა. გაოგნებული მარკიზი გააფრთხილა, რომ ბავშვი არაფრისგან იყო დაცული, რადგან ცოფიანი თუ ჩვეულებრივი ძაღლის კბენა თავისთავად საშიში იყო. როგორც ყოველთვის, ახლაც დაცდა ურჩია.

„ეს ერთადერთია, რისი თქმაც შეგიძლიათ?“ ჰკითხა მარკიზმა.

„მეცნიერება მეტის თქმის საშუალებას არ იძლევა, წარბი არ გაუხსნია ექიმს, მაგრამ ჩემი თუ არ გჯერათ, კიდევ ერთი საშუალება გრჩებათ: ღმერთს მიენდეთ“.

მარკიზმა ვერ გაიგო:

„ხატზე დავიფიცებდი, რომ ურწმუნო ხართ“, თქვა.

ექიმს ზედაც არ შეუხედავს.

„ნეტა ასე იყოს, სენიორ“.

მარკიზი ღმერთის იმედად არ დარჩენილა, თუმცა სხვა ყველაფერი სცადა. ქალაქში სამი დიპლომათი ექიმი, ექვსი აფთიაქარი, თერთმეტი მკურნალი დალაქი და შუა საუკუნეების ჯალოქრული მეთოდების მცოდნე უამრავი ექიმბაში იყო, იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე ინკვიზიციამ ათას სამახი მათგანი დილეგში ჩააგდო, შვიდი კი კოცონზე დაწვა.

ერთმა საღამანკელმა ექიმმა სიერვა მარიას შეხორცებული ჭრილობა გაუხსნა და სოდიანი ცხელი საფხენები დაადო, მეორემ წურბელები დაასხა ზურგზე, ერთმა დალაქმა ჭრილობა საკუთარი შარდით მოაბანინა, მეორემ იგივე შარდი დააღვინა. ორი კვირის მანძილზე ორჯერ დაფუფქეს ბალახების ნაყენში, დღეში ორ-ორ ოყნას უკეთებდნენ და სიგიჟის პირას მიიყვანეს სტიბიუმის მღულარე ნახარშებითა და სხვა მომაკვდინებელი გამწმენდი საშუალებებით.

ბავშვს სიცხემ დაუკლო, მაგრამ ვერავინ გაბედა ეთქვა საშიშროება უკან დარჩაო. სიერვა მარიას ეგონა მოკვდებოდა, თავიდან ამაყად უძლებდა გამოც-

დას, მაგრამ ორი კვირის შემდეგ მდოგვის საფენებით გათუთქული მწველი წყლული გაუჩნდა ქუსლზე. ამას თან ერთვოდა თავბრუსხვევები, კონვულსიები, ბოღვა, ნაწლავების სისუსტე. ბრაზითა და ტკივილით დაკლავილი ბავშვი ყოველივეთ გორავდა იატაკზე. ყველაზე გაბედულმა მკურნალებმაც კი ბედის ანაბარა მოიტოვეს, რადგან ზოგს შეშლილი ეგონა, ზოგს ეშმაკული. მარკიზს ყოველგვარი იმედი გადაეწურა, როცა საგუნტა გამოჩნდა სან უბერტოს გასაღებით.

ეს დასასრული იყო. საგუნტამ მოსახხამი გადაავდო და ინდიელთა საცხში ამოიგლაგნა, რათა საკუთარი სხეულით დაეხილა ბავშვის ტანი. ძალაგამოცლილი ბავშვი მაინც განწირულად იბრძოდა და საგუნტას ძალის გამოყენება მოუხდა. ბერნარდას თავის ოთახში მოესმა არაადამიანური ზბუილი. გაიქცა, რომ ენახა რა ხდებოდა და მიწაზე გაგორებულ სიერვა მარიას წააწყდა, რომელსაც ზემოდან მისივე თმებში გაბლანდული საგუნტა შემოჯდომოდა სან უბერტოს ლოცვების ყვირილით. იატაკზე გართხმულ სხეულებს ჯერ ჰამაკის თოკი უცხუნა, შემდეგ, შეშინებულები რომ წამოხტნენ, უკან გამოეკიდა და მისავათებამდე დაუნდობლად ურტყა.

სიერვა მარიას შესახებ გაერცვლებული ხმებით შეშფოთებულმა ეპარქიის ეპისკოპოსმა დონ ტორაბიო დე კასერეს ი ვირტუდესმა მარკიზს მოწვევა გაუგზავნა თარიღისა და საათის დაუზუსტებლად. უსტარის ტონითა და შინაარსით შეშფოთებული მარკიზი იმ დღესვე გამოცხადდა ეპისკოპოსთან.

როცა ეპისკოპოსი თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, მარკიზი საზოგადოებრივ ცხოვრებას უკვე ჩამოშორებული იყო, ამიტომ ერთმანეთს თითქმის არ იცნობდნენ. ეპისკოპოსს არცთუ სახარბიელო ჯანმრთელობა ასთმის შეტევებით ჰქონდა შერყეული, რაც მძიმე გამოცდას უწყობდა მის რწმენას. ამის გამო, თითქმის არც ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას არ ესწრებოდა და თუ მაინც გამოჩნდებოდა საღმე, ისეთი დისტანცია ეკავა, რომ ხალხის წარმოდგენაში ნელ-ნელა ირეალურ არსებად იქცა.

მარკიზს იგი სულ რამდენჯერმე ჰყავდა შორიდან ნანახი. ყველაზე კარგად ერთი მესაღან დაამახსოვრდა, როცა ანაფორაში გამოწყობილი ეპისკოპოსი მხლებლებმა საკაცით მოიყვანეს. ასეთ ფორმაში გოლიათ მოხუცს ჰგავდა, თუმცა სწორნაკვთებიანი უთმო სახისა და ვიწრო, მწვანე თვალების გამოისობით ასაკის დადგენა ჭირდა. ვინც ახლოს იცნობდა, ყველა მოეწონებოდა უსაზღვრო განსწავლულობით და საკუთარი ძალმოსილების შეგრძნებით.

ეპისკოპოსი ქალაქის უძველეს სასახლეში ცხოვრობდა, თუმცა ამ ორსართულიანი, კვებურთელა, ნახევრად ჩამონგრეული შენობის ნახევარიც არ ეკავა. სასახლე ტაძრის გვერდით მდებარეობდა და მასთან სპილენძისფერი თაღებით შემკული დერეფანი და დანგრეულწყალსაცავიანი, შამბმორეული პატიო აკავშირებდა. მის მოჩუქურთმებულ ფასაღსა და მასიურ ხის კარს მიტოვებულის იერი დაჰკრავდა. ინდიელი დიაკვანი მთავარ შესასვლელთან უცდიდა. მარკიზმა წერილი ფული დაურიგა ჯგუფად შეგროვილ მათხოვრებს და დერეფნის კრილ ბინდბუნდში შეაბიჯა სწორედ იმ დროს, როცა დღის ოთხი საათის მაუწყებელი ზარების რეკვა ექოდ გახშირდა მის წიაღში. დერეფანში ისე ბნელიდა, რომ მარკიზი აღაღბედზე მიჰყვებოდა დიაკვანს, თან ცდილობდა აქა-იქ უადგილოდ გამოჩრილ ქანდაკებებსა და ნაკვის გროვებს არ დასჯახებოდა. დერეფანი ვიწრო სარკმლიდან შემოჭრილი შუქით განათებული პატარა მისაღებით მთავრდებოდა. დიაკვანი გაჩერდა, მარკიზს სკამზე მიუთითა და კარში გაუჩინარდა. მარკიზი ფეხზე დარჩა და ყურადღებით დააკვირდა ზეთით შესრულებულ, მეფის არმიის მედროშის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ოფიცრის პორტრეტს.

მხოლოდ ბრინჯაოს ფირფიტაზე ამოტვიფრული სახელის ამოკითხვამ მიახვედრა, რომ კედელზე ეპისკოპოსის ჭაბუკობისდროინდელი პორტრეტი ეკიდა.

დიაკვანმა კარი გააღო და მარკიზმა ორმოცი წლით დაბერებული ეპისკოპოსი იხილა. იმაზე ახოვანი და შთამბეჭდავი იყო, ვიდრე ხალხს წარმოუდგინა და მოსალოდნელზე მეტად გაეტანჯა ასომას. ოფლი წყალივით ასხამდა, ნებარება ირწეოდა ფილიპინურ სარწეველა სავარძელში, პალმის მარაოთი ინფიქტა და სუნთქვის გასაადვილებლად წინ იხრებოდა. გლეხური ქალამნები და რეცხვისგან გახუნებული ტილოს ხალათი ეცვა. პატიოსანი სილატაკე ერთი შეხედვით ეტყობოდა, და მაინც ყველაზე თვალშისაცემი მისი თვალების სიწმინდე იყო, რაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სულიერებით შეიძლება ახსნილიყო. მარკიზის დანახვაზე რწევა შეწყვიტა და მარაოთი მეგობრულად მიიხმო.

„მოდით, იგნასიო, თქვა, ეს შენი სახლია“.

მარკიზმა მარვალზე შეიმშრალა გაოფლიანებული ხელისგულები, ზღურბლს გადააბიჯა და ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა, ყვითელი მაჩიტებითა და ხვია-რა გვიმრებით დამშვენებულ ტერასაზე, საიდანაც ყველა ეკლესიის სამრეკლო, მნიშვნელოვანი შენობების წითელი სახურავები, სიცხეში ჩათვლემილი სამტრედები, შუშასავით გამჭვირვალე ცაში პროფილით შეჭრილი სამხედრო ფორტები და მღუღარე ზღვა ჩანდა. ეპისკოპოსმა მეგობრულად გაუწოდა ჯარისკაცური ხელი და მარკიზი ბეჭედზე ემთხვია.

ასომის გამო გამოზომილად და ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავდა, სიტყვები ოხვრითა და მშრალი, ხანმოკლე ხველებით უწყდებოდა, რაც მის მჭევრმეტყველებას ვერაფერს ვნებდა. ყოველდღიურ წვრილმანებზე საუბრით დაიწყეს და ისე გაუგრძელდათ სიტყვა, რომ როცა მარკიზმა მადლობა გადაუხადა ამ დამამშვიდებელი შესავლისათვის, ზარებმა ხუთჯერ ჩამოჰკრეს. ბრინჯაოს ელრიალზე საგრძნობი ჰაერის რხევა გამოდგა და ცა შეშინებული მტრედებით აივსო.

„საშინელებაა, თქვა ეპისკოპოსმა, ყოველ საათს მიწისძვრასავით მივლის ნაწლავებში“.

მარკიზი გაოცდა, რადგან ერთი საათის წინ თვითონაც იგივე აზრი მოუვიდა. ეპისკოპოსს დამთხვევა არ ვაჰკვირვებია. „აზრები კონკრეტულად არავის ეკუთვნის, ჰაერში რამდენიმე გადაბმული რგოლი მოხაზა და დაასკვნა: ასე დაფრინავენ სივრცეში ანგელოზებივით“.

მონაზონმა ღვინოში ჩაჭრილი ხილით სავსე ორყურიანი თასი შემოიტანა და ერთი ფინჯანი წამლისსუნიათი ნახარში მიაწოდა ეპისკოპოსს, რომელმაც დაგემოვნებით შეისუნთქა ოხშივარი. ექსტაზიდან გამოსული სულ სხვა კაცად იქცა და მთლიანად დაუფლა სიტუაციას.

„აქ იმიტომ მოგიყვანე, უთხრა მარკიზს, რომ ღმერთი გჭირდება და ყურსაც არ იბერტყავ“.

მის ხმას ორღანის ელერადობა დაეკარგა და თვალებში მიწიერი ბრაზი ჩასდგომოდა. მარკიზმა მხნეობის მოსაკრებლად ნახევარი ჭაქა ღვინო ერთი მოსმით გამოსცალა.

„თქვენს უბრწყინვალესობას უნდა მოეხსენებოდეს, რომ უბედურებათა შორის უდიდესი დამატყდა თავს, თქვა შესაბრალისი მორჩილებით, არც კი მჯერა“.

„ვიცი, შვილო, არ გაოცებულა ეპისკოპოსი, როგორ არ ვიცი“.

ცოტა მხიარულადაც კი წარმოთქვა, რადგან თვითონ მაროკოში მეფის არმი-აში ხამსახურის დროს ოცი წლისამ ხელჩართულ ბრძოლაში დაკარგა რწმენა. „საშინელი შეგრძნება იყო, თითქოს ღმერთმა არსებობა შეწყვიტაო“, თქვა. შე-

შინებულს ლოცვებითა და მონანიებით უცდია რწმენის დაბრუნება. „სანამ უფალმა არ გაიღო მოწყალეობა და ჭეშმარიტ გზაზე არ დამაყენა“. თქვა, „ასე რომ, არსებითი ის კი არ არის, რომ შენ არ გწამს, მთავარია, უფალმა არ დაკარგოს შენი რწმენა. რაც, საბედნიეროდ, ჯერ არ მომხდარა, რადგან სწორედ მიხი/მეშვეობით ვაპირებ შენთვის ტანჯვის შემსუბუქებას“.

„მსურდა უხმაუროდ მეზიდა ჩემი უბედურება“, თქვა მარკიზმა.

„პირიქით კი მოხდა, თქვა ეპისკოპოსმა, ქვეყანამ იცის, რომ შენი ქალიშვილი კონვულსიებით ივრიხება და წარმართთა ენაზე ილაჩქლება, რაც ეშპაკის გამოჩენაზე მიგვითითებს“.

მარკიზი გაოგნდა.

„რისი თქმა გსურთ?“

„დემონის ურიცხვ ხრიკთა შორის ყველაზე გაერცელებული უკურნებელი სენის სახით უმანკო სხეულში ჩასახლებაა. თქვა, და თუ ერთხელ შეაღწია შიგნით, ძეხორციელს არ ძალუძს მისი გამოდევნა“.

მარკიზმა სცადა სამედიცინო ენაზე აეხსნა ეპისკოპოსისათვის ძაღლის ნაკბენის შედეგები, მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველ ფრაზაში თავისთვის სასარგებლო მარცვალს ჰპოულობდა.

„იცი, ვინ არის აბრეუნსიო?“ – ჰკითხა, თუმცა, უეჭველია თვითონ უკეთ იცოდა.

„პირველი ექიმია, ვინც ბავშვი გასინჯა“ უპასუხა მარკიზმა.

„მინდოდა შენი პირით გეთქვა“, თქვა ეპისკოპოსმა.

იქვე, ხელის გაწვდენაზე ჩამოდებული ზარი გააწკარუნა და ოთახში ბოთლიდან ამოსული ჯინივით გაჩნდა ოცდაათიოდე წლის, კარგად თავშენახული მღვდელი. ეპისკოპოსმა პადრე კაიეტანო დელაურად წარუდგინა მარკიზს და გვერდით მოისვა. პადრეს გრილი ანაფორა და ეპისკოპოსის მსგავსი ქალამნები ეცვა. ძლიერი ჩანდა. ფერმკრთალი, ცოცხალი თვალებითა და კუბრივით შავი თმით, რომელსაც შუბლთან ერთ ზოლად გასდევდა ჭადარა. გახშირებული სუნთქვითა და ხერვიული ხელებით ბედნიერა კაცის შთაბეჭდილებას არ სტოვებდა.

„რა ვიცით აბრეუნსიოზე?“ ჰკითხა ეპისკოპოსმა.

პადრე დელაურა არც დაფიქრებულა.

„აბრეუნსიო დე სა პერეირა კაო, წარმოთქვა დანაწევრებით და მარკიზს მიმართა: დაფიქრებულხართ, სენიორ მარკიზო იმაზე, რომ მისი გვარის ბოლო სიტყვა პორტუგალიურად ძაღლს ნიშნავს?“

სინამდვილეში, განაგრძო დელაურამ, არავინ იცოდა, ეს იყო თუ არა მისი ნამდვილი სახელი. წმინდა ინკვიზიციის არქივებიდან მიღებული ცნობების მიხედვით იბერიის ნახევარკუნძულიდან განდევნილი ებრაელი იყო, რომელსაც ადგილობრივმა გუბერნატორმა უბოძა თავშესაფარი მადლიერების ნიშნად მას შემდეგ, რაც ორგირვანქიანი თიაქარი ტურბაკოს სამკურნალო წყლებით მიურჩინა. ილაპარაკა მის ჯადოქრულ რეცეპტებზე, სიკვდილის თარიღის თავმომწონედ წინასწარმეტყველებაზე, მის სავარაუდო პედერასტობაზე, აკრძალულ წიგნებსა და ღვთის გამობაზე. თუმცა კონკრეტულად მხოლოდ ერთი დანაშაული წამოუყენა: ხეტსემანელი მეჯღანის გაცოცხლება. სარწმუნო წყაროებიდან იცოდნენ, რომ მკედარი მეჯღანე უკვე კუბოში იწვა, როცა აბრეუნსიო გამოჩნდა და წამოდგომა უბრძანა. მისდა საბედნიეროდ, გაცოცხლებულმა წმინდა სასამართლოზე დაიფიცა, რომ გონი წუთითაც არ დაუკარგავს.

„ამით კოცონზე დაწვას გადაარჩინა“, თქვა დელაურამ.

ბილოს სან ლასაროს გორაკზე გარდაცვლილი და ნაკურთხ მიწაში დამარხული ცხენი გაიხსენა.

„ცოცხალი ადამიანივით უყვარდა“, შეეპასუხა მარკიზი.

„ესეც ჩვენი რწმენის შერყენა იყო, სენიორ მარკიზო, თქვა ფელაფელი, მეთანხმებით, ღმერთი ასე წლის ცხენის არსებობას არ დაუშვებდა“.

იმით შემფოთებულმა მარკიზმა, რომ ერთი უწყინარი ხუმრობა ინკვიზიციის არქივში მოხვდა, ექიმის დაცვა სცადა: „აბრეუნსიოს ბილწი ენა აქვს, მაგრამ ვფიქრობ, ერეტიკოსობისგან შორსაა“.

დისკუსია კიდევ დიდხანს და ცხარედ გაგრძელდებოდა, ეპისკოპოსი რომ არ მიბრუნებოდა მივიწყებულ თემას.

„ექიმებმა რაც უნდათ, ის თქვან, განაცხადა, ადამიანის გაცოფებაში კი ამკარად ეშმაკის ხელი ურევია“.

მარკიზმა ვერ გაიგო. ეპისკოპოსმა ისე დრამატულად აუხსნა ყველაფერი, თითქოს ნელ ცეცხლზე შეწვისთვის ამზადებდა.

„საბუნდოვროდ, დაასკვნა, თუკი თქვენი შვილის სხეულს აღარაფერი ეშველება, უფალმა მისი სულის გადასარჩენი საშუალებები გვიბოძა“.

ქვეყანაზე მშფოთვარე ბინდი ჩამოწვა. მარკიზმა გარინდულ ცაზე აკიაფებული პირველი ვარსკვლავი იხილა და ბინძურ სახლში მიგდებული, ექიმბაშთა წყალობით ფეხგასიებული შვილი გაახსენდა.

„რა უნდა ვქნა?“ იკითხა მორჩილად.

ეპისკოპოსმა ყველაფერი დაწვრილებით განუმარტა. უფლება მისცა ნებისიერ ეტაპზე მისი სახელით ემოქმედა, განსაკუთრებით სანტა კლარას მონასტერში, სადაც სასწრაფოდ უნდა მიეყვანა გოგო.

„ჩვენ ჩაგვაბარეთ, თქვა, დანარჩენს უფალი იზამს“.

მარკიზი უფრო შემფოთებული წავიდა, ვიდრე მოსვლამდე იყო. ეტლის ფანჯრიდან უყურა უკაცრიელ ქუჩებს, გუბეებში მოჭყუმპალე შიშველ ბავშვებს, სვავების მიერ გაბნეულ ნაგავს და მოსახვევიდან თავის ადგილას გარინდული ზღვის დანახვაზე ეჭვები გაუჩნდა.

სახლში მწუხრის ლოცვის დროს მივიდა და დონია ოლალიას გარდაცვალებიდან პირველად ილოცა ხმამაღლა: „უფლის ანგელოსმა აუწყა მარიამს...“ სახლში ისე ისმოდა ბარბითის ხმა, თითქოს ტბის სიღრმიდან მოდისო. მარკიზი სიბნელეში შვილის საწოლ ოთახამდე გაჰყვა ხმას და იქ იხილა თეთრ მოსასხამში გახვეული, სარკესთან ჩამომჯდარიყო იატაკზე თმაგაშლილი და მის ნასწავლ მარტივ სავარჯიშოს უკრავდა. თუ არა სასწაული, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ნაშუადღევს ექიმებთან მებრძოლი იგივე ბავშვი დატოვა. ხილვა წამიერი აღმოჩნდა. სიერვა მარიამ გაიგო მისი მოსვლა, დაკვრა შეწყვიტა და დანადგლიანდა.

მარკიზი მთელი ღამე არ მოსცილებია შვილს. დაწოლაში თავისებურად, მოუხეშავად დაეხმარა. ღამის პერანგი უკუღმა გადააცვა და ბავშვი იძულებული გახდა გაეხადა, რათა წაღმა ჩაეცვა. იმ დღეს პირველად ნახა შიშველი და გული დაეთუთქა სუსტი ძვლების, დილებივით ძუძუებისა და ნაზი ღინლის ხილვაზე. აალებული ქუსლი უხურდა. სანამ დააწვენდა, გოგო მარტო იტანჯებოდა თითქმის უხმო კენესით და მარკიზი შესძრა იმის შეგნებამ, რომ სიკვდილში ეხმარებოდა შვილს.

რწმენის დაკარგვის შემდეგ პირველად დაეუფლა ლოცვის სურვილი. სალოცავში შევიდა და გულმხურვალე მონღომებით ცდილობდა მოებრუნებინა ღმერთი, რომელმაც მიატოვა. მაგრამ ამაოდ დაშვრა. ურწმუნოება რწმენაზე

გამძლეა, რადგან გრძნობებითაა ნაკვები. ვრილ ალიონზე ბავშვის ხველა მოეს-
მა და სამინებელში შეაკითხა. გზად ბერნარდას გამოღებულ კარში შეიხედა და
გადაწვიტა მისთვის გეზიარებინა ეჭვები. ქალი პირქვე ედო და ხმამაღლა
ხვრინავდა. მარკის კარის სახელურიდან ხელი არ აუღია და არც არავისთვის
მიუძართავს კონკრეტულად: „შენი სიცოცხლე მისი სიცოცხლეს სანაცვლოდ,
და სასწრაფოდ შეასწორა: ორივე ჩვენგანის უმაქნისი სიცოცხლე შენვე სიცოც-
ხლის სანაცვლოდ“.

ბავშვს ეძინა. მარკიზი დააკვირდა გაუნძრეველად მწილარესა და ნაღვლი-
ანს და საკუთარ თავს შეეკითხა: მკვდარი შვილის ნახვა ერჩივნა, თუ გაცოფე-
ბულის. მოსკიტებისგან თავდასაცავი ბადე შეასწორა, დამურებს რომ არ დაეკ-
ბინათ, საბანი წააფარა, მეტი რომ აღარ დაეხველებინა და მის ვვერდით დარჩა
ახალი, სასიამოვნო შეგრძნებით, რომ ისე უყვარდა ბავშვი, როგორც არაუადრეს და
არასდროს ამ ქვეყანაზე. მაშინ მიიღო თავისი ცხოვრების მთავარი გადაწყვე-
ტილება ღმერთთან და კაცთან შეუთანხმებლად. დილის ოთხ საათზე, როცა სიერ-
ვა მარიამ თვალი გაახილა, მარკიზი საწოლზე იჯდა. „წასვლის დროა“,
თქვა.

ბავშვი უხმოდ ადგა. მარკიზი ჩაცმაში დაეხმარა. კარადაში ხავერდის ქო-
შები მოძებნა, რათა ჩვეულებრივი ფეხსაცმელი გალიზიანებულ ქუსლზე არ შე-
ხებოდა და უცებ დედამისის ბავშვობისდროინდელ გამოსახვულ კაბას წააწყ-
და. კაბა დრო-ჟამს გაეხუნებინა, მაგრამ ცხადი იყო, რომ სულ ორჯერ ეცვათ.
თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, მარკიზმა აიღო და შვილს გადააცვა ყელსა-
ბამებსა და ნათლობის ჯვარზე. კაბა ოდნავ ვიწრო აღმოჩნდა, რაც მის სიძვე-
ლეს უსვამდა ხაზს. თავზე კარადაშივე ნაპოვნი ქუდი დაახურა, რომლის ფერა-
დი ლენტები სულ არ ეხამებოდნენ ტანსაცმლის ფერს, თუმცა ზუსტად კი მო-
ერგო. ბოლოს ხელჩანთაში ღამის პურანგი, ტილების ჩამოსავარცხნი სავარცხე-
ლი და ბებიის ნაქონი, მომინანქრებულ ყდაში ჩასმული ლოცვანი ჩაუდო.

ბზობა დღე იყო. მარკიზმა სიერვა მარია დილის 5 საათის შესაზე წაიყვა-
ნა, სადაც ვოგომ ნაკურთხი ტოტი მიიღო, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, რა-
ტომ. ეტლიდან მზის ამოსვლას უყურეს. მარკიზი თავის სავარძელში იჯდა, მუხ-
ლებზე პატარა ჩანთით, ბავშვი კი მის პირდაპირ უძრავად ჩამომჯდარიყო და
ფანჯარაში გაეღვივებულ მისი თორმეტი წლის უკანასკნელ ქუჩებს უცქეროდა.
ოდნავადაც არ დაინტერესებულა, სად მიჰყავდათ ამ დილაუთენია ხუანა გიჟივით
ჩაცმული. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მარკიზმა ჰკითხა:

„იცი, ვინ არის ღმერთი?“

ვოგომ თავი გააქნია.

პორიზონტზე შორეული ელვა კრთებოდა, მრუმე ღრუბლები ქუჩდებოდა
და ზღვა იქონრებოდა. მოსახვევში თეთრი და მარტოსული სანტა კლარას მო-
წასტერი წამოიმართა, პლაჟის ნაგავსაყრელზე აღმართული სამი სართულითა
და ცისფერი დარაბებით. მარკიზმა თითოთ აჩვენა: „აი, იქაა“, თქვა, შემდეგ
მარცხნივ მიახედა „ფანჯრიდან ზღვას დაინახავ“. დაიცადა და რადგან ბავშვს
ინტერესის ნატამალი არ გამოუჩენია, ცხოვრებაში ერთადერთხელ განუმარტა
თავისი ბედი:

„რამდენიმე დღე სანტა კლარას დებთან დარჩები“.

ბზობის გამო მონასტრის კართან ჩვეულებრივზე მეტ მათხოვარს მოეყარა
თავი, მათ კეთროვანებიც ეცილებოდნენ სამზარეულოს ნარჩენებში და მარკიზის
გამოჩენაზე ერთად გაიწვიდნენ ხელი. მარკიზი, სანამ კუარტილიოები ეყო, მო-
წყალებას არიგებდა. მეკარემ დაინახა შავ თივთიკში გამოწყობილი კაცი, დღე-
ღამე

ფლისდარად ჩაცმული ბავშვის თანხლებით და კარი გააღო. მარკიზმა აუხსნა, რომ ეპისკოპოსის ბრძანებით მოიყვანა სიერვა მარია. ისეთი ტონით ლაპარაკობდა, მეკარეს ეჭვიც არ გასჩენია, შემდეგ ბავშვი შეათვალიერა და ქუდი მოხა-
და.



„აქ ქუდით სიარული აკრძალულია“, თქვა.

ქუდი თვითონ დაიტოვა. მარკიზს ჩანთის მიცემაც უნდოდა, მაგრამ მარკიზმა არ გამოართვა.

„არ დასჭირდება“, თქვა.

ბავშვს ცუდად შეკრული ნაწნავი გაეხსნა და თმა მიწამდე ჩამოეშალა. მეკარემ ძლივს დაიჯერა, რომ თმა ნამდვილი იყო. მარკიზი ნაწნავის შეკვრას შეეცადა, ბავშვმა მისი ხელი მოიცილა და ისე მოხერხებულად დაიწნა თმა, რომ მეკარე გაოცდა.

„შეჭრა დასჭირდება“, თქვა.

„უწმინდეს ქალწულს აღუუთქვით, რომ ქორწილის დღემდე არ შეიჭრას“, თქვა მარკიზმა.

მეკარემ ხმა ვერ ამოიღო. ბავშვს ხელი მოჰკიდა, გამოშვიდობება არ დააცალა და კარში გაუჩინარდა. სიერვას ქუსლი ტკიოდა და მარცხენა ქოში გაიხადდა. მარკიზმა თვალი გააყოლა კოჭლობით მიმავალ, ცალფეხშიშველ შვილს, რომელსაც ხელით მიჰქონდა ფეხსაცმელი და ამოდ ელოდა, რომ გოგო სამოწყალოდ მაინც მოაბრუნებდა თავს. ასეთივე დაამახსოვრდა: კოჭლობით რომ გადაჭრა ბალი და ფეხათრეული ცოცხლად დამარხულთა პავილიონში გაუჩინარდა.

სამი

სანტა კლარას მონასტერი ზღვისპირას აგებული სამსართულიანი, კვადრატული შენობა იყო უამრავი ერთნაირი ოთახითა და გავერანებული პირქუში ბალით, რომელსაც გარშემო ნახევარმთვარის მსგავსი თაღებით დამშვენებული გალერეა ერტყა. ბანანის ბუჩქებსა და ველურ გვიძრებს შორის ქვით მოკირწყლული ბილიკები ჩაკარგულიყო. ბალის შუაგულში სინათლის ძიებაში სახურავს აცდენილი პალმა და კიდევ ერთი ვეებერთელა ხე იდგა, რომლის ტოტებზე ვანილის ღიანებსა და ორქიდეის აცმებს ჰკიდებდნენ. ხის ქვეშ, რკინის დაჟანგულ კასრში დამყაყებული წყალი იდგა და დაბმული გუაკამაიები სხმარტალებდნენ. ბალი ორ ბლოკად ჰყოფდა შენობას. მარჯვნივ ცოცხლად დამარხულთა სამი სართული იყო, სადაც მხოლოდ კლდოვან ნაპირს შემსხვრეული ტალღების ხმაური და დათქმულ საათებში წარმოთქმული ლოცვები ისმოდა. ეს ბლოკი სპეციალური კარით უერთდებოდა სამლოცველოს, რათა მონაზვნები საერთო დარბაზში შეუსვლელად შესულიყვნენ მესაზე. იქაც ცხურს მიღმა ეძალებოდნენ გარეშე თვალს. მთელ მონასტერს ერთი ესპანელი ოსტატის მიერ მოჩუქურთმებული ძვირფასი ხის ჭერი ამშვენებდა, რომელმაც ნახევარი ცხოვრება მიუძღვნა ამ საქმეს, რათა მთავარ საკურთხეველთან დასაფლავების უფლება მიეღო. იქვე განისვენებდა კიდევ მარმარილოს ფილებქვეშ, ორი საუკუნის აბატი ქალების, ეპისკოპოსებისა და სხვა წარჩინებულთა შორის.

სიერვა მარიას მისვლისას მონასტერში ოთხმოცდაორი ესპანელი და ოცდათექვსმეტი წარჩინებული კრეოლი ქალიშვილი ცხოვრობდა. სიდატაკის, სიჩუმისა და ქალწულობის შესახებ დადებული აღთქმის შემდეგ გარე სამყაროსთან მხოლოდ იშვიათი სტუმრები აკავშირებდნენ, რომლებსაც ხის ცხურებით გადა-

ტიხრულ მისაღებში ხვდებოდნენ, სადაც ხმა აღწევდა, სინათლე კი არა. სტუმრობის ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო და ყოველ მათგანს მონაზონი ესწრებოდა.

ბაღის მარცხენა მხარეს სკოლა და სახელოსნოები იყო განთავსებული, სადაც ბლომად მორჩილები ირეოდნენ. იქვე იყო მოსამსახურე პერსონალის ოთახი ვეება შეშის ღუმელით, ხორცის დასახეხი ზორბა მაგნეტის საცხობი. პატიოს სიღრმეში მუდამ დამჯავებული წყალი იდგა, რომელიც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. მათ უკან განლაგებულიყო საჯინბო, თხების სადგომი, საღორე, ბოსტანი და სკები, საიდანაც კარგი ცხოვრებისათვის საჭირო ყველა პროდუქტს იღებდნენ.

ყველაფერს მიღმა მოთავსებულ ღვთისა და კაცისგან მივიწყებულ პავილიონს სამოცდარეა წელი ინკვიზიციის საპყრობილედ ხმარობდნენ, შემდეგ კი შიგ ურჩი მონაზვნები ჰყავდათ გამოკეტილი. სწორედ ამ ფრთის ბოლო საკანში ჩაკეტეს სიერვა მარია ძაღლის კბენიდან 93 დღის შემდეგ, როცა ცოფის არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა.

ღარაჯმა, რომელსაც ხელჩაკიდებული მიჰყავდა ბავშვი, სამზარეულოში მიმავალი მორჩილი დაინახა და სთხოვა გოგო აბატ ქალთან მიეყვანა. მორჩილს შეეცოდა გამსლეული და გამოპრანჭული ბავშვი გავარვარებულ სამზარეულოში შესაყვანად და ბაღის ქვის სკამზე დასვა, რათა აქეთობისას თან გაეყოლებინა, მაგრამ სულ გადავარდა გულიდან.

მოგვიანებით ორი მორჩილი დაინტერესდა მისი ყელსაბამებითა და ბეჭდებით და ჰკითხეს, ვინ ხარო. ბავშვმა არ უპასუხა. ჰკითხეს ესპანური იცოდა თუ არა, მაგრამ ხმა ვერ ამოაღებინეს. „ყრუ-მუნჯია“, დაასკვნა შედარებით ახალგაზრდამ, „ან გერძანელი“, დასძინა მეორემ. ყელზე შემოხვეული ნაწნავი გაუშალა და მტკაველით გაუზომა. „ოთხი მტკაველია“, თქვა დარწმუნებულმა, რომ ბავშვს მისი არ ესმოდა. თმის გაშლა რომ დაუპირა, სიერვა მარიამ მზერით გააშეშა. მორჩილმა ხელი გაუშვა და ენა გამოუყო. „ეშმაკის თვალები გაქვს“, უთხრა.

მანვე უბრძოლველად წაადრო ბეჭედი თითიდან, მაგრამ როცა მეორემ ყელსაბამის მოძრობა დაუპირა, ბავშვი გველივით დაიკლაკნა და თავდამსხმელს ხელზე უკბინა. მორჩილი სისხლის მოსაბანად გაიქცა.

სიერვა მარია ერთადერთხელ ადგა წყლის დასალევად, მაგრამ უცებ ტერციის ხმა მოესმა და შეშინებული დაუბრუნდა ადგილს, სანამ არ მიხვდა, რომ მონაზვნები მღეროდნენ, მაშინ ხელის სწრაფი მოძრაობით წყალს დამპალი ფოთლები მოაცილა და თიხის ჭურჭელი მოიყუდა ისე, რომ გუსარაპოებიც არ დაუფრთხია. შემდეგ ხის ძირში მოშარდა ჩაკუზულმა და ცალფეხშემართულმა, როგორც დომინგა დე ადვიენტრომ ასწავლა მანვე ცხოველებისა და კაცებისგან თავდასაცავად.

ცოტა ხნის შემდეგ ორმა ზანგმა მონა ქალმა ჩაიარა, რომლებმაც თავიანთი წმინდანის ამულეტი იცნეს და გოგოს იორუბას ენაზე გამოელაპარაკნენ. გახარებულმა ბავშვმა იგივე ენაზე უპასუხა; რადგან არავინ იცოდა, რატომ იყო იქ, მონებმა ხმაურიან სამზარეულოში წაიყვანეს, სადაც ზარ-ზემით მიიღო მოსამსახურე პერსონალმა. ვიღაცამ ქუსლის ჭრილობაზე ჰკითხა, რა მოგივიდაო. „დედაჩემმა დამჭრა დანით“, უპასუხა გოგომ. ყველას, ვინც დაინტერესდა რა ერქვა, ზანგური სახელით გაეცნო: მარია მანდინჯა.

1. გუსარაპო — წყლის ქივი.

სწრაფად მოითავისახლიანა. მონებს ურჩი თხის ჯაკვლაში მიეხმარა, რომელსაც თვალები და ყვერები ამოაცალა, რათა თავისთვის შეეწეა. პატიოს ბავშვებსა და უფროსებს დიშბოლო ეთამაშა და ყველას მოუგო. იორუბას კონვოსა და მანდინგას ენაზე იმღერა და ამ ვნების არმცოდნენიც კი მოხიბლა. სადილად ღორის ქონში ჩახრაკული, სუნელებით შეზავებული თხის თვალები და ყვერები მიირთვა.

აბატი ქალის, ხოსეფა მირანდას გარდა უკვე ყველამ იცოდა ბავშვის. იქ ყოფნის შესახებ. ხოსეფა მირანდა ერთი ჩამომხმარი, აგრესიული ქალი იყო შემკვიდრებით მიღებული არცთუ გამჭრიახი გონებით. ბურგოსში აღიზარდა, წმინდა ინკვიზიციის ჩრდილში, თუმცა სიმკაცრე და ცრურწმენები დაბადებიდან დაჰყვა. მონასტერში ორი იღუმენი ქალი ჰყავდა, რომლებიც ფაქტობრივად არაფერში სჭირდებოდა, რადგან ერთპიროვნულად განაგებდა ყველაფერს.

ხოსეფა მირანდას უთანხმოება ადგილობრივ ეპისკოპოსოსთან მის დაბადებამდე ასი წლით ადრე დაიწყო. პირველი მიზეზი, როგორც საერთოდ ხდება დიდ ისტორიულ პერიპეტეებში, მონაზვნებსა და ფრანცისკანელ ეპისკოპოსს შორის წარმოქმნილი, უმნიშვნელო უთანხმოება იყო ფინანსურ საკითხებსა და იურისპრუდენციაში. ეპისკოპოსის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაზვნებმა ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერა მოიპოვეს და იქიდან დაიწყო ომი, რომელმაც მალე ყველა და ყველაფერი ჩაითრია.

თავის მომხრეების მეშვეობით, ეპისკოპოსმა ალფაში მოაქცია მონასტერი, რათა ურჩები შიმშილით გაეტეხა. და cessativ a Divinis გამოაცხადა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქალაქში ყოველგვარი რელიგიური სამსახური წყდებოდა მომდევნო ბრძანების გამოცემამდე, მოსახლეობა ორად გაიყო. სამოქალაქო და სასულიერო მთავრობა ერთმანეთს დაუპირისპირდა, მონაზვნები კი ექვსი თვის შემდეგაც არ დახოცილან შიმშილით და მედგრად იდგნენ, სანამ საიდუმლო გვირაბი არ აღმოაჩინეს, საიდანაც თურმე მათი მომხრეები ამარაგებდნენ. ფრანცისკანელები, ამჯერად ახალი გუბერნატორის მხარდაჭერით, მონასტერში შეიჭრნენ და მონაზვნები დააწიოკეს.

ოცი წლის შემდეგ, როგორც იქნა, ვნებათაღელვა ჩაცხრა. მონასტერიც აღადგინეს, მაგრამ ერთი საუკუნის შემდეგ, ხოსეფა მირანდას ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა შეურაცხყოფა, მორჩილებშიც სთესდა ბრაზის მარცვლებს და მთელ ზიზღს ეპისკოპოსს და კასერეს ი ვერტუდესსა და მის გარემოცვაზე ანთხევდა. ამიტომ ძნელი მისახვედრი არ იქნებოდა მისი რეაქცია, როცა აცნობეს, მარკიზს და კასალდუერომ ეპისკოპოსის ბრძანებით თავისი 12 წლის ქალიშვილი მოიყვანა ეშმაკისეულის ნიშნებით. „რა, ასეთი მარკიზიც არსებობს?“ იკითხა ორმაგი ქვეტექსტით. ჯერ ერთი, ეპისკოპოსს უკბინა, თან ზიზღი გამოხატა წარჩინებულ კრეოლთა მიმართ, რომლებსაც „გარეუბნის დიდებულებს“ უწოდებდა. სადილობამდე ვერავინ იპოვნა სიერვა მარია. დარაჯმა ერთ-ერთ იღუმენს ქალს მოუყვა, როგორ დატოვა დილაუთენია შავეებში გამოწყობილმა კაცმა ქერა, დედოფალივით ჩაცმული ბავშვი, მაგრამ მეტი არაფერი იცოდა, რადგან თვითონ ამ დროს ბზობის ტრადიციულ წვნიანს ურიგებდა მათხოვრებს. ნათქვამის დასადასტურებლად ფერადბაბთებიანი ქუდი გაუწოდა. იღუმენმა ქუდი ხოსეფა მირანდას აჩვენა და ქალი მაშინვე მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე. ქუდი თითის წვერებით მოიშორა და განაცხადა: „სატანამ იცის, რას აკეთებს. ფეოხუმი სენიორიტა მარკიზა ამოურჩევია“.

დილის ცხრა საათზე თვითონ ჩაიარა ბაღში, შეჩერდა კიდევ ხელოსნებთან სავაჭროდ, რომლებსაც ახალი წყალსადენი უნდა გაეყვანათ, მაგრამ ქვის

სკამზე ჩამოძვდარი ბავშვი არ უნახავს არც მას, არც დანარჩენ მონახვეებს, რომლებიც მთელი დღია ბაღში ირუოდნენ. ორმა მორჩილმა, რომლებმაც სიერვა მარიას ბეჭედი წააძვრეს ხელიდან, დაიფიცეს, რომ ბაღში არავინ შეხვედრიათ.

სიესტის ძილიდან ახლად გამოფხიზლებულ ხოსეფა მირანდას ტკბილი სიმღერა ჩაესმა. ჰამაკთან ჩამოკიდებულ თოვს ჩამოჰკრა და ოთახის ბინდებუნდში მორჩილი გამოჩნდა. ხოსეფა დაინტერესდა, ვინ მღეროდა.

„ბავშვი“, თქვა მორჩილმა.

„რა მშვენიერი ხმა აქვს“, ჩაიბუტბუტა ქალმა ბურანში და უცებ წამოხტა.

„რომელი ბავშვი?!“

„რა ვიცი, უპასუხა მორჩილმა, მთელი პატიო ააფორიაქა ამ დღით“.

„ღმერთო დიდებულო!“ იყვირა ქალმა. წამოხტა, სირბილით გადაჭრა მონასტერი, ხმას მიჰყვა და მოსამსახურეთა პატიოს მიაღვა. სიერვა მარია ქვის სკამზე იჯდა, თმა მიწამდე გაეშალა და მოჯადოებული მოსამსახურეების გარემოცვაში მღეროდა. ხოსეფას დანახვაზე სიმღერა შეწყვიტა. აბატმა ქალმა ყელზე დაკიდებული ჯვარცმა მიუშვირა საბრძოლო იარაღით: იყვირა, მოსამსახურეები დაიფანტნენ და მარტო დატოვეს დაძაგრული და მზადყოფნაში გაშეშებული ბავშვი.

„სატანას ნაშიერო, დაიკვილა ხოსეფამ, ჩვენს დასაბნევად გახდი უჩინარი?“

ბავშვს სიტყვა არ დასცდენია, ერთმა მორჩილმა ხელით დაუპირა წაყვანა, მაგრამ შეშინებულმა ხოსეფამ დაუშალა. „არ მიეკარო, თქვა, შემდეგ ყველას მიმართა: არავინ მიეკაროს!“ ბოლოს იძულებულები გახდნენ ძალით წაყვანათ აფხარკალებული და კბილებდაკრეჭილი სიერვა. სანამ უკანასკნელი პავილიონის კარცერში შეაგდებდნენ, მიხვდნენ, რომ ბავშვი საკუთარ განავალში იყო ამოსერილი და ძალით დაბანეს საჯინიბოში.

„რამდენი მონასტერია ამ ქალაქში და ეპისკოპოსი მაინცდამაინც ჩვენ გვიგზავნის განავალს“, გააპროტესტა ხოსეფა მირანდამ.

ფართო საკანს უხეში კედლები და მაღალი ჭერი აღმოაჩნდა. ერთადერთი კარის გვერდით ხისჩარჩოიანი ფანჯარა ჩანდა რკინის სალტეებიანი საკეტებით. მოპირდაპირე კედელზე, მაღლა დატანებული ხის ცხაურებიანი ვიწრო სარკმელი ზღვას გადაჰყურებდა. კირით შეთეთრებულ საწოლზე ხმარებისგან გაცვეთილი, თივით გატენილი ლეიბი ეგო. კუთხეში ქვის სკამი და მაგიდა მიედგათ, რომელიც სალოცავი ადგილიც იყო და პირსაბანიც. იქ დატოვეს თავიდან ფერხებამდე გაწუნული, შიშით აკანკალებული სიერვა მარია დარაჯთან, რომელიც მკაცრად იყო დარიგებული, როგორ მოეგო ათასწლიანი ომი ეშმაკის წინააღმდეგ.

სიერვა საწოლზე ჩამოჯდა და კარის რკინის ურდულს მიაჩერდა. ასევე დახვდა საღამოს ხუთ საათზე მოსამსახურეს, რომელმაც საჭმელი შეუტანა. ბავშვი არ განძრეულა. მოსამსახურემ ყელსაბამების მოხსნა დაუპირა, მაგრამ სიერვა მარიამ მაჯაში ჩაავლო ხელი და მთიშორა. იმავე საღამოს მონასტერში შემდგარ ოქმში ქალმა განაცხადა, რომ იმკვეყნიური ძალა დაუპირისპირდა.

ბავშვი ადგილიდან არ დაძრულა, სანამ კარი არ დაიკეტა, რკინის ჯაჭვი გაჩხარუნდა და გასაღები ორჯერ გადატრიალდა. შემდეგ საჭმელს დახვდა: მაგიდაზე დანახშირებული მჭლე ხორცი, ღვეხელი და შოკოლადით სავსე ფიალა დახვდა. ღვეხელი გასიხჯა, დაღეჭა და გადმოაფურთხა. პირადმა დაწვა და ზღვის შრიალს, ნაივის ქროლვას და აპრილის პირველ ჭექა-ქუხილს მიაყურა. და მეორე დღით, გათენიისას, საუხშით შესულ მოსამსახურეს ბავშვი კბილე-

ბითა და ფრჩხილებით დაგლეჯილი ლეიბიდან ამოღებულ თივაში ჩადინებული დახვდა.

სადილობისას წინააღმდეგობის გაუწევლად წაიყვანეს სატრაპეზოში, სადაც უხმო მორჩილები იკრიბებოდნენ. ფართო და ძალაღჭვრიანი საღარიბო ვეება ფანჯრიდან ზღვის ნათება და ტალღების ტლაშუნის ხმა იჭრებოდა. ოცამდე მორჩილი, უმეტესად ახალგაზრდები, ერთმანეთის პირისპირ მსხდნენ უკრთო მაგიდასთან, თავსაფრებითა და უხეში შალის ქსოვილისგან შეკერილი ხალაბებით. ეს მოსულელი, მხიარული გოგონები იღუმენ ქალთან ერთად სადილობის გამო ბედნიერებას ვერ ძალავდნენ.

სიერვა მარია კართან ახლოს დასვეს ორ დაბნეულ დარაჯს შორის. ბავშვმა ორი ლუკმა ძლივს ჩაიღო პირში. მასაც მორჩილის ხალათი და ჯერაც სველი, საკუთარი ქოშები ეცვა. სადილობისას მისთვის არავის შეუხედავს, ნასადილევს კი ყველა შემოეხეია სამკაულების დასათვალიერებლად. ერთმა მორჩილმა ყელსაბამის მოხსნა დაუპირა, სიერვა მარია აიფოფრა, მის დასაშოშმინებლად წამომხტარ დარაჯს მუჯღუგუნით უთავაზა, მაგიდაზე შეხტა, აქეთ-იქით სარბილს მოჰყვა და საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ნამდვილი შეშლილივით აკივლდა. გზადშემხვედრი ჭურჭელი დაღეწა, ფანჯრიდან გადახტა, პატიოს დაკიდებული მცენარეები დაგლიჯა, სკები დააწიოკა და ცხოველთა სადგომები გააღო. ფუტკრები სკებიდან ზუზუნით გამოიშალნენ, თავგზააბნეული ცხოველები კი მონახონთა საკნებს მიაწყდნენ.

იმ დღის შემდეგ მონასტერში არაფერი მომხდარა, სიერვა მარიას დემონური ძალისთვის რომ არ მიეწერათ. რამდენიმე მორჩილმა ოქმში შეიტანა, რომ სიერვა მარია გამჭვირვალე ფრთებითა და არაამქვეყნიური ზმუილით დაფრინავდა ჰაერში. მონათა ბრიგადა ორ დღეს აგროვებდა და ამოშმინებდა გაფანტულ ცხოველებსა და ფუტკრებს. ხმა გავრცელდა, ღორები მოწამლეს, სასძელი წყალი ჰალუცინაციებს იწვევს, ხოლო ერთი შეშინებული ქათამი ფრენით გადაეწვლო სახურავს და ზღვის პორიზონტზე გაუჩინარდა. თუმცა მორჩილები არც ისეთი შეშინებულები იყვნენ, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. ხოსეფა მირანდას მიერ მიღებული მკაცრი ზომების მიუხედავად სიერვა მარიას საკანი საყოველთაო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებელ ადგილად იქცა.

მწუხრის ღოცვის შემდეგ, საღამოს შვიდი საათიდან დილის ექვს საათამდე მონასტერში მკვდარი საათი იწყებოდა და რამდენიმე პრივილეგირებული საკნის გარდა ყველგან ქრებოდა სინათლე. მაგრამ მონასტრის ცხოვრება არასდროს ყოფილა ისე გამოცოცხლებული, როგორც იმ დამეებში. დერეფნებში ჩრდილები მოძრაობდნენ და აქა-იქ შეკავებული ჩურჩული და სიცილი ისმოდა. ყველაზე წესიერი მორჩილების საკნებში ბანქოსა და კამათელს თამაშობდნენ, ძალუღლად დამზადებულ ლიქიორს სვამდნენ და ხოსეფა მირანდას აკრძალვის შემდეგ კონტრაბანდად შემოტანილ თამბაქოს ეწეოდნენ. ეშმაკისეული ბავშვის გამოჩენას მონასტერში მაცდური თავგადასავლის სუნი უდიოდა.

ყველაზე მკაცრი მონაზვნებიც კი ორ-ორად იპარებოდნენ მკვდარი საათის ჩამოკვრის შემდეგ სიერვა მარიასთან სასაუბროდ. ბავშვი თავიდან ბრწყყალებალესილი ხვდებოდათ, მაგრამ მალე აული ალლო თითოეულ მათგანს. ისინი ეშმაკთან შუამდგომლობას სთხოვდნენ აუხდენელ ოცნებათა შესასრულებლად. სიერვა მარია იმქვეყნიურ ხმებს, თავმოჭრილთა გოდებას და სატანის ნაშიერთა წკმუილს გამოსცემდა, რაც ზოგიერთმა ბრმად დაიჯერა და მოგვიანებით ოქმში შეიტანა. ერთ ავადსახსენებელ დამეს გადაცმული მონაზვნები საკანში შეიჭრნენ, სიერვა მარია გაკოჭეს და წმინდა ყელსაბამები ჩამოგლიჯეს, თუმცა

დიდხანს არ დასცალდათ სიხარული. უკან დახვევისას მეთაური კიბეებზე დაგორდა და თავი გაიტეხა. მისი მეგობრები კი მოსვენებას ვერ ეღირსნენ, სანამ ნაქარცი პატრონს არ დაუბრუნეს. მას შემდეგ საკნის ღამის სიმშვიდე აღარავის დაურღვევია.

მარკიზ დე კასალდუეროს გლოვის დღეები ჰქონდა. ბავშვის ნახქარვევად ჩაბარების შემდეგ ნაკვიანვეა სინანულის გრძნობა გაუჩნდა და ისევე ეჭვანი დაეუფლა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ვერ დაიხსნა თავი. იმ დღეს გვიანამდე უვლიდა მონასტერს გარშემო და ცდილობდა გამოეცნო, რომელ საკანში მოათავსეს შვილი, რომელიც ალბათ მასზე ფიქრობდა. შინ დაბრუნებულს საღამოს სიგრილეში გარეთ გამოსული ბერნარდა დახვდა. გულმა უგრძნო, რომ სიერვა მარიაზე ჰკითხავდა რამეს, მაგრამ ქალმა ზედაც არ შეხვდა.

მარკიზმა ძაღლები აუშვა და საძინებელში გაკიდებულ ჰამაკში ჩაეშვა ძილის მომლოდინე. ქარი ჩამდგარიყო და ცხელი ღამე წვებოდა. ჭაობიდან სიცხით შეწუხებული მწერებისა და კოდოების გუნდი დაიძრა. მათ დასაფრობობად ოთახებში ნაკვლის ახრჩოლება იყო საჭირო. სხეულებთან ერთად სულელებიც იხუთებოდნენ პაპანაქებაში. ხალხი წლის პირველ წვიმას ელოდა ისევე მოუთმენლად, როგორც ექვსი თვის შემდეგ დაელოდებოდა სამუდამოდ გამოდარებას.

წესიერად არც გათენებულიყო, რომ მარკიზი აბრენუნსიოს ესტუმრა და სკამზე დაჯდომამდე მოეშვა გულზე გაზიარებული ვარამი. შესავლისთვის დრო არ დაუკარგავს.

„ბავშვი სანტა კლარაში ჩავაბარე“, თქვა

აბრენუნსიო ვერ მიხედა, მარკიზმა მისი დაბნეულობით ისარგებლა და მომდევნო დარტყმა მიაყენა.

„ავ სულს განდევნიან“.

ექიმმა ღრმად ამოისუნთქა და სამაგალითო სიმშვიდით მიმართა:

„ყველაფერი მომიყევით“.

მაშინ მარკიზი მოუყვა, როგორ ესტუმრა ეპისკოპოსს, როგორ დაეუფლა ლოცვის სურვილი, როგორ მიიღო გადაწყვეტილება თეთრად გათენებულ ღამეს. ძველი ქრისტიანის კაპიტულაცია იყო, რომელსაც თავის სანუგეშოდ ერთი საიდუმლოც არ დაეტოვებინა.

„დარწმუნებული ვარ, ღმერთის ბრძანება იყო“, დაასკვნა.

„იმის თქმა გსურთ, რომ რწმენა დაგიბრუნდათ“, თქვა აბრენუნსიომ.

„მთლიანად არც არასოდეს დამიკარგავს, ახსნა მარკიზმა, სულ ეჭვები მღრღნიდა“.

აბრენუნსიომ გაუგო. ყოველთვის მიაჩნდა, რომ რწმენის დაკარგვა მოუშუშებელ ნაიარევს ტოვებდა რწმენის ადვილას, რომლის დაეიწყება შეუძლებელი იყო. წარმოუდგენლად მხოლოდ ასეთი რიტუალებისთვის ბავშვის გამეტება ეჩვენებოდა.

„ამასა და ზანგების ჯადოქრობას შორის დიდი სხვაობა არ არის, თქვა, მეტიც, ზანგები თავიანთ ღმერთებს ქათმებს სწირავენ. წმინდა ინკვიზიცია კი უცოდველ ხალხს ცხენის კუდზე აბამს ან კოცონზე წვავს“.

მონსენიორ კაიეტანო დელაურას ჩარევაც ცუდად ენიშნა. „ნამდვილი ჯალათია, თქვა და მეცნიერულად დაასაბუთა, თუ როგორ უსწორდებოდა ეკლესია სულით ავადმყოფებს, რომლებსაც ერეტიკოსობას აბრალებდნენ. ვფიქრობ, ბავშვის მოკვლა უფრო ქრისტიანული საქციელი იქნებოდა, ვიდრე ცოცხლად დამარხვა“, დაასკვნა.

მარკიზმა პირჯვარი გადაიწერა. აბრენუნსიომ სამგლოვიარო ტანსაცმელში

გამოწყობილ, აკანკალებულ მარკიზს თვალებში ჩახედა და ეჭვის ნაპერწკლები შეამჩნია. „გამოიყვანეთ იქიდან“, უთხრა.

„მეც ეგ სურვილი მღრღნის იმ წუთიდან, რაც ცოცხლად დამარხულთა საკნებისკენ წაიყვანეს, აღიარა მარკიზმა, მაგრამ უფლის სურვილის წინააღმდეგ ვერ წავალ“.

„მაშინ იგლოვეთ, თქვა აბრეუნსიომ, იქნებ ერთ დღეს დამკრთობა შეძლებისადგინდეთ“.

იმ ღამეს მარკიზმა საკუთარი, ბავშვური აცაბაცა ხელით დაწერა წერილი, სადაც ეპისკოპოსს აუდიენციას სთხოვდა და პირადად გადასცა მეკარეს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ადრესატს ვერ ასცდებოდა.

ორშაბათს ეპისკოპოსს აცნობეს, რომ სიერვა მარია მზად იყო პროცედურისთვის. ის იყო სადილობას ამთავრებდა ყვითელი მანიტებით დამშვენებულ ტერასაზე და წერილისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. საერთოდ ცოტას ჭამდა, მაგრამ რიტუალს ხანდახან სამ საათსაც აგრძელებდა ხოლმე. მის პირდაპირ ჩამომჯდარი პადრე კაიეტანო დელაურა დაყენებული ხმითა და თეატრალური მანერით უკითხავდა წიგნებს, რომლებსაც თვითონ არჩევდა.

მველი სასახლე მეტისმეტად დიდი იყო ეპისკოპოსისთვის, რომელსაც თავისუფლად ჰყოფნიდა მისაღები, საძინებელი და ღია ტერესა, სადაც სიესტაზე ეძინა და წვიმების სეზონის დაწყებამდე სადილობდა. მოპირდაპირე ფრთაში თვით კაიეტანო დელაურას მიერ შედგენილი და გამდიდრებული ბიბლიოთეკა მდებარეობდა, რომელსაც თავის დროზე სამართლიანად ასახელებდნენ სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ბიბლიოთეკათა შორის. შენობის დანარჩენ ნაწილს თერთმეტი ჩაკეტილი ოთახი წარმოადგენდა, სადაც ორი საუკუნის ნაკავი გროვდებოდა.

მორიგე მონაზვნის გარდა, რომელიც სუფრას ემსახურებოდა, კაიეტანო დელაურა ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ეპისკოპოსის სადილობისას სახლში ყოფნის უფლება ჰქონდა არა პირადი პრივილეგიების გამო, როგორც ხმებს უპრცელებდნენ, არამედ იმიტომ, რომ კარგად კითხულობდა. კონკრეტული დავალება და ტიტული არ ჰქონდა. ბიბლიოთეკარი ერქვა, მაგრამ ეპისკოპოსთან განსაკუთრებული სიახლოვის გამო იღუმენად თვლიდნენ და ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეპისკოპოსი მის გარეშე არც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ იღებდა. სასახლის პირდაპირ აგებულ შენობაში ეკავა ერთი ოთახი, სადაც მის გარდა ეპარქიის მსახურები ცხოვრობდნენ ექვსიოდე მონა-მოსამსახურესთან ერთად. სახლი დერეფნით უკავშირდებოდა ეპისკოპოსის რეზიდენციას. სწორედ იქ, ბიბლიოთეკაში ატარებდა კაიეტანო თოთხმეტ საათს მუშაობა და კითხვაში და ძირითადად იქვე ეძინა ხოლმე ჯარისკაცურ საწოლზე.

იმ ისტორიული საღამოს უცნაურობა ის იყო, რომ დელაურამ რამდენჯერმე წაიფორხილა კითხვისას. ეს კიდევ არაფერი, გვერდი გამოტოვა და ისე განაგრძო კითხვა, არაფერი შეუმჩნევია. ეპისკოპოსი ალქიმისკოსის ვიწრო სათვალთ დააკვირდა.

„რაზე ფიქრობ?“ შეეკითხა, როცა პადრემ გვერდი გადაფურცლა.

„სიცხის ბრალი იქნება, თქვა შემკრთალმა დელაურამ, რატომ?“

ეპისკოპოსმა თვალებში ჩახედა. „მხოლოდ სიცხის ბრალი არ უნდა იყოს,“ თქვა და ჩაუძია, რაზე ფიქრობდი?“

„ბავშვზე“, აღიარა დელაურამ.

მეტად არ დაუხუსტებია, რადგან მარკიზის ვიზიტის შემდეგ მათთვის სხვა ბაჟში არ არსებობდა. ამ თემაზე ბევრს ლაპარაკობდნენ და ერთადაც კი გადა-

ხედეს წმინდა ინკვიზიციის ქრონიკებსა და ეშმაკულთა ცხოვრების აღწერას. დელაურამ ამოიხრა: „დამესიზმრა“.

„როგორ შეიძლება დაგესიზმროს ადამიანი, რომელიც არასდროს გინახავს“, თქვა ეპისკოპოსმა.

„თორმეტი წლის კრეოლი მარკიზა იყო და დედოფლის შლეიფივით თმა ჰქონდა, თქვა დელაურამ, როგორ შეიძლებოდა სხვა ყოფილყოფილს“.

ეპისკოპოსი ზედმეტად მიწიერი არსება იყო და ციური ხილვებისა და სასწაულების არ სჯეროდა, ამიტომ ურწმუნოდ გააქნია თავი და საჭმელს მიუბრუნდა. დელაურამ მეტი სიფრთხილით განაგრძო კითხვა. ნასადილევს ეპისკოპოსი სარწეველა საჯარბელში ჩასვა.

„ახლა სიზმარი მომიყევი“, მოითხოვა მოხერხებულად მოკალათებულმა ეპისკოპოსმა.

სიზმარი უბრალო აღმოჩნდა. სიერვა მარია დათოვლილ მინდორზე გამაგალ ფანჯარასთან იჯდა, მუხლებზე ყურძნის მტევანი ელო, რომელსაც საოთხოდ აცლიდა მარცვლებს და ჭამდა. მტევანზე მოგლეჯილი მარცვლების ადგილას ახლები ჩნდებოდა. სიზმარში ცხადი იყო, რომ გოგო მრავალი წლის მანძილზე ცდილობდა მტევნის შეჭმას, თუმცა არ ჩქარობდა, რადგან იცოდა, რომ უკანასკნელი კუმპალი მის სიკედილს მოასწავებდა.

„ყველაზე საოცარი ისაა, რომ ეს ამბავი სალამანკაში ხდებოდა, იმ ზამთარს, სამი დღე რომ გადაუღებლად თოვდა და ცხვრები თოვლში ჩაიხრჩვნენ“, თქვა.

ეპისკოპოსი გაოცდა. საკმაოდ კარგად იცნობდა დელაურას და მხოლოდ ამიტომ არ მიაქცია ყურადღება მის იდუმალ სიზმარს. ადგილი, რომელიც მას ეჭირა ეპარქიასა თუ მის გრძნობებში, კეთილგონიერებისა და ნიჭის წყალობით ჰქონდა მოპოვებული. ეპისკოპოსმა თვალები დახუჭა ჩვეული სამწუთიანი სიესტისთვის. მწუხრის ლოცვის დაწყებამდე დელაურა ეპისკოპოსის მაგიდას მიუჯდა. ის იყო ჭამას მორჩა, რომ ეპისკოპოსმა სარწეველა საჯარბელში ფეხება გაჭიმა და თავის ცხოვრების გადაწყვეტილება მიიღო:

„შენ მოჰკიდებ ამ საქმეს ხელს“.

თქვა თვალდახუჭულმა და ლომივით ახვრინდა. დელაურა თავის ადგილას ჩამოჯდა აყვავებული ხვართქლას ქვეშ. ეპისკოპოსმა თვალი გაახილა. „არ გიპასუხია“, უთხრა.

„მეგონა ძილში ბრძანეთ“, თქვა დელაურამ.

„ახლა სიფხიზლეში ვიმეორებ, თქვა ეპისკოპოსმა, შენ გაბარებ ბავშვის ჯანმრთელობას“.

„ამაზე უცნაური არაფერი შემთხვევია“, თქვა დელაურამ.

„უარს მეუბნები?“

„ექსორცისტი არ ვარ, მამაო, თქვა დელაურამ, არც ხასიათი მიწყობს ხელს, არც განათლება, თან, რამდენადაც ვიცი, უფალმა სხვა გზა მიჩვენა“.

ასეც იყო. ეპისკოპოსის მცდელობით იმ სამ პრეტენდენტთა რიცხვში მოხვდა, რომლებიც ვატიკანში უნდა გაეგზავნათ სეფარდების ბიბლიოთეკის დასაცავად. ეს ამბავი ორივემ მშუენივრად იცოდა, თუმცა ხმამაღლა პირველად ახსენეს.

„მით უმეტეს, თქვა ეპისკოპოსმა, ჭკვიანურად წარმართული ბავშვის საქმე ის ბიძგი იქნება, ჩვენ რომ გვჭირდება“.

1. სეფარდები — ესპანეთში მცხოვრები ებრაელები.

დელაურას ყოველთვის უჭირდა ქალებთან ურთიერთობა, რომლებიც მისი აზრით ამოუცნობი აზრებით საკსენი მოხერხებულად დასრიალებდნენ ცხოვრების რიფებს შორის. უბრალო ფიქრიც კი, თუნდაც ისეთ უმწეო არსებასთან შეხვედრაზე, როგორც სიერვა მარია იყო, ხელებს უოფლიანებდა.

„არა, სენიორ, გადაწყვიტა, არ შემიძლია“.

ეროვნული

„არა მარტო შეგიძლია, შეეპასუხა ეპისკოპოსი, ისეთი უმწეო არსებასთან სხვებს აკლიათ: შთაგონება“.

სიტყვა საკმაოდ გრძელი იყო იმისთვის, რომ შეეპასუხება მოპყოლოდა, თუმცა ეპისკოპოსს სასწრაფო პასუხი არ მოუთხოვია და წმინდა კვირის დამთავრებამდე მისცა მოსაფიქრებელი ვადა.

აი, ამგვარად აღმოჩნდა 36 წლის კაიეტანო ალსინო დელ ესპირიტუ სანტო დელაურა ი ესკუდერო სიერვა მარიას ცხოვრებაში და ქალაქის ისტორიაში. იგი ეპისკოპოსის საამაყო მოსწავლე იყო სალამანკის განთქმულ თეოლოგიურ კათედრაზე, სადაც წარმატებით ჩააბარა გამოცდები. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მამამისი გარსილასო დელა ვეგას პირდაპირი შთამომავალი იყო, რომელსაც კერპივით ეთაყვანებოდა და ამის შესახებ ყველგან ლაპარაკობდა. დედამისი მშობლებთან ერთად ესპანეთში გადასახლებული მომპოქსის პროვინციის სან მარტინ დე ლობაელი კრეოლი იყო. დელაურას მტკიცედ სწამდა, დედის არაფერი გამოემყოლიათ, სანამ გრანადის ახალ სამეფოში არ ჩავიდა და შემკვიდრებით მიღებული ნოსტალგია არ დაეუფლა.

სალამანკაში პირველივე საუბრის შემდეგ იცნო ეპისკოპოსმა კასერეს ი ვირტუდესმა ის ძვირფასი თვალი, თავის ეპოქის ქრისტიანობას რომ ამშვენებს ხოლმე. თებერვლის სუსხიანი დილა იყო. ფანჯრიდან დათოვლილი მინდვრები და მდინარის გასწვრივ ჩამწკრივებული ალვის ხეები მოჩანდა. ზამთრის ის პეიზაჟი ცხოვრების ბოლომდე სიზმრად გაჰყვებოდა ახალგაზრდა თეოლოგს.

ცხადია, წიგნებზე ილაპარაკეს და ეპისკოპოსმა ვერაფრით დაიჯერა, რომ დელაურას თავის ასაკში ამდენი რომ წაეკითხა. ახალგაზრდა გარსილასოზე ისაუბრა. მაესტრო გამოტყდა, რომ ცუდად იცნობდა მის შემოქმედებას, თუმცა უღმერთო პოეტად მიაჩნდა, რადგან თავის ნაწარმოებში მხოლოდ ორჯერ ჰყავდა უფალი ნახსენები.

„ცოტა მეტჯერ, თქვა დელაურამ, მაგრამ რენესანსის სამაგალითო კათოლიკეებიც ასე იქცეოდნენ“.

სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მაესტრომ შესთავაზა იუკატანის უცნობ სამეფოში გაჰყოლოდა, სადაც ის იყო ეპისკოპოსად დანიშნეს. დელაურა ცხოვრებას წიგნებიდან იცნობდა და ყოველთვის ეგონა, რომ დედამისის ვრცელი სამშობლო მისი არასოდეს გახდებოდა. იმ სუსხიან დღეებში, როცა თოვლიდან ჩაჩუმქრული ცხვრები ამოჰყავდათ, ძნელი წარმოსადგენი იყო დამთრგუნველი სიცხე, ლეშის მძაღვ სუნი და ობშივარადენილი ჭაობები. ეპისკოპოსისთვის, რომელიც თავის დროზე აფრიკაში იბრძოდა, ყველაფერი უფრო რეალური ჩანდა.

„ვაიგია, რომ ჩვენი მღვდლები ამერიკაში ბედნიერებისგან გიჟდებიან“, — თქვა დელაურამ.

„ზოგი თავს იბრჩობს, თქვა ეპისკოპოსმა, „იქ სოლომური ცოდვები, კერპთაყვანისმცემლობა და ანთროპოფაგია! არ უკვირთ“. და რაიმე წინათგრძნობის გაუჩენლად დაამატა: „როგორც მაურთა მიწაზე“.

1. ანთროპოფაგია — კაციჭამიობა.

თვითონ იზიდავდა ეს იდეა. საჭირო იყვნენ მებრძოლენი, რომლებიც ქრისტიანული ცივილიზაციის მონაპოვრებზე იქადაგებდნენ უდაბნოში, ოცდასამი წლის დელაურას ეგონა სწორი მიმართულებით ჰქონდა გაკაფული სულიწმიდისაკენ მიმავალი გზა.

„მთელი ცხოვრება მთავარი ბიბლიოთეკარის ადგილზე უნდა იქნებოდეს, თქვა, მხოლოდ ამ საქმისათვის გამოვდგები“.

ის იყო გამოცდები ჩაებარებინა ტოლედოში ერთი ადგილის დასაკავებლად, საიდანაც ოცნების გზა ეხსნებოდა და ეგონა წინ ველარაფერი დაუდგებოდა, მაგრამ მაესტრო არ მოეშვა.

„წმინდანად იუკატანის ბიბლიოთეკაში მუშაობით უფრო შევრაცხავენ, ვიდრე ტოლედოში მოწამეობით“, უთხრა.

„თუკი ღმერთი ასეთ მოწყალებას გაიღებს, წმინდანობას ანგელოზობა მირჩევნია“, თავი არ დაუსაწყლებია დელაურას.

ტოლედოში მართლაც მიიღო ადგილი, მაგრამ იუკატანი არჩია, სადაც ვერასოდეს ჩააღწიეს. მღელვარე ზღვაში სამოცდღიანი მოგზაურობის შემდეგ გემი კანალ დე ბიენტოსში ჩაიძირა. ეპისკოპოსი და დელაურა ბადრაგმა გამოიყვანა და ბედის ანაბარა დატოვა სანტა მარია ლა ანტიგუა დელ დარიენში. იქ წელიწადზე მეტი დაჰყვეს გალეონთა ფლოტის მიერ ჩამოსატანი ფოსტის მოლოდინში, სანამ მაესტრო დე კასერესი იმ მიწაზე ეპისკოპოსის მოვალეობის შემსრულებლად არ დანიშნეს მისი წინამორბედის უეცარი გარდაცვალების გამო. პატარა ნავით მგზავრობისას ურაბას თვალუწედენელ ჯუნგლებს რომ უცქეროდა, დელაურამ ის ნოსტალგია იგრძნო, დედამისს რომ სტანჯავდა ტოლედოს პირქვეშ ზამთრებში. კაშკაშა განთიადები, მომაბეზრებელი ჩიტები და მანგლიის ჭალების სიმყრალე იმ წარსულიდან ახსოვდა, რომელშიც თვითონ არ უცხოვრობდა.

„მხოლოდ სულიწმიდას შეეძლო ისე წარემართა ჩემი ბედა, რომ დედაჩემას მიწაზე ჩამოვსულიყავი“, თქვა.

თორმეტი წლის ლოდინის შემდეგ ეპისკოპოსი იუკატანზე ოცნებას შეეშვა. სამოცდაცამეტი წლის იყო, ასობა სტანჯავდა და იცოდა, რომ ველარასოდეს იზიდავდა სალამანკას თოვლს. იმ დღეებში, როცა სიერვა მარია მონასტერში ჩლიყვანეს, გადაწყვეტილი ჰქონდა საყვარელი მოსწავლისთვის რომის გზა გაეკაფა და გადამდგარიყო.

მეორე დღეს პაპანაქება სიციხის მიუხედავად შალის ტანსაცმელში გამოწყობილი კაიუტანო დელაურა სანტა კლარას მონასტერს მიაღვა. თან ეშმაკის წინააღმდეგ საბრძოლველი მთავარი იარაღი — ნაკურთხი წყალი და ზეთი მიჰქონდა და თუჯის ჭურჭლით. ხოსეფა მირანდა პადრეს პირადად არ იცნობდა, თუმცა მის ძალაუფლებასა და ჭკუაზე მონასტერშიც ბერს ლაპარაკობდნენ. ნახვისთანავე გააოცა მისმა ახალგაზრდულმა იერმა, მოწამეობრივმა ფერმიხდილობამ. ხმის სიმტკიცემ და თმაში გარეულმა იდუმალმა ჭაღარამ. მაგრამ ვერანაირი ღირსება ვერ დააუწყებდა ქალს, რომ დელაურა ეპისკოპოსის კაცი იყო. სტუმრის ყურადღება კი მხოლოდ მამლების ყივილმა მისიპრო.

„ექვსნი არიან, მაგრამ ასი მამალივით ყივიან, თქვა აბატმა ქალმა, ამას გარდა ერთი ღორი აღაპარაკდა, თხამ კი სამი ციკანი მოიგო, და ჯიუტად დაამატა: აი, ასეთი ამბები ხდება მას შემდეგ, რაც ეპისკოპოსმა ეს მოწამლული საჩუქარი გამოგვიგზავნა“.

ასევე ამფოთებდა არაბუნებრივად აყვავებული ბაღი. დელაურასაც არევნა ვეებერთელა, წარმოუდგენელ ფერებად აჭრელებული ყვავილები. ზოგიერთს აუ-

ტანელი სუნიც უდიოდა. მოკლედ, ნებისმიერ ყოველდღიურ ამბავს მიდმიურ მოვლენად აღიქვამდა. საუბარში დელაურა მიხვდა, ქალი მასზე ძლიერი იყო და საკუთარი იარაღი მოიძარჯვა.

„ჩვენ არ გვითქვამს, რომ ბავშვი ეშმაკეულია, თქვა, მხოლოდ საფუძველი გვაქვს ასე ვიფიქროთ“.

„რასაც ახლა ხედავთ, ყველაფერი ამის დასტურია“, თქვა დელაურამ.

„ფრთხილად, თქვა დელაურამ, ზოგჯერ ეშმაკს იმგვარ მოვლენებს მივაწვდით, რომლებიც არ გვეხმის და აზრადაც არ მოგვდის, რომ სწორედ იქ შეიძლება უფლის ხელი ერიოს“.

„წმინდა თომამ ბრძანა და მე ვიმეორებ, რომ დემონებს მაშინაც კი არ უნდა დავუჯეროთ, როცა მართალს ამბობენ“, თქვა ხოსეფა მირანდამ.

მეორე სართულზე სიმშვიდე სუფევდა. დერეფნის ერთ მხარეს დღის განმავლობაში ურდულით ჩაკეტილი თავისუფალი საკნები იყო, მათ პირდაპირ კი ზღვაზე გამავალი, გამოღებული ფანჯრები. მორჩილებს, ერთი შეხედვით, თავი არ აუღიათ სამუშაოდან, სინამდვილეში კარცერისკენ მიმავალ აბატ ქალსა და სტუმარს გააყოლეს თვალი. სანამ სიერვა მარიამდე მიადწევდნენ, მარტინა ლაბორდეს საკანს ჩაუარეს, რომელსაც ორი მეგობრის დანით გამოფატვრის გამო სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მკვლელობის მიზეზი არასოდეს გაუმხელია. თერთმეტი წელი გაატარა მონასტერში და გაქცევის უშედეგო მცდელობებით უფრო იყო ცნობილი, ვიდრე ჩადენილი დანაშაულით. არ სჯეროდა, რომ სამუდამო პატიმრობა ჩაკეტილი მონაზვნების ცხოვრებას ჰგავდა და ცოცხლად დამარხულთა მოსამსახურედ გამწესება ითხოვა. მისი სანუკვარი ოცნება, რომელსაც რწმენასავით სათუთად ელოლიავენოდა, განთავისუფლება იყო, თუნდაც ამისთვის კიდევ ერთი მკვლელობის ჩადენა დასჭირვებოდა.

დელაურამ ცდუნებას კერ ვაუძლო და ფანჯრის რკინის ცხაურში შეიხედა. მარტინა ზურგით იჯდა, მაგრამ მზერა რომ იგრძნო, კარისკენ შეტრიალდა და რომ წამში მონუსხა დელაურა. შემყოთებულმა აბატმა ქალმა პაღრე გასწია.

„ზიფრთხილე გმართებთ, თქვა, ეს არსება უკან არაფერზე დაიხევს“.

„მართლა?“ იკითხა დელაურამ.

„რა თქმა უნდა, მიუგო ხოსეფა მირანდამ, ჩემი ნება რომ იყოს, კარგა ღნის წინ გავანთავისუფლებდი, რადგან არასასურველ არეულობას ქმნის ამ მონასტერში“.

როცა დარაჯმა კარი გააღო, სიერვა მარიას საკნიდან მყრალი პაერი გამოიჭრა. ტყავის თასმებით ხელფეხდაბმული ვოგო პირაღმა იწვა ქვის საწოლზე. მიცვალებულს ჰგავდა, მაგრამ თვალებში ზღვის ნათელი ედგა. დელაურამ სიზმრიდან იცნო, გააკანკალა და მთელ ტანზე ცივმა ოფლმა დაასხა. თვალები დახუჭა, მთელი თავისი რწმენა მოიკრიბა და ჩურჩულით ილოცა. მხოლოდ ამის შემდეგ მოთოვა თავისი განცდები.

„არ ვიცი, ეს ბავშვი ეშმაკეულია თუ არა, მაგრამ ყველა პირობა კი აქვს შექმნილი, რომ სულში დემონი ჩაუსახლდეს“, თქვა დელაურამ.

„ეს პატივი დაუმსახურებლად გვიბოძეს, თქვა ხოსეფა მირანდამ და აუხსნა, როგორ ცდილობდნენ საკნის მოწესრიგებას და როგორ აქცევდა სიერვა მარია იქაურობას სანაკვედ.“

„ჩვენ მას კი არ ვებრძვით, არამედ მის სხეულში ჩასახლებულ ეშმაკს“, თქვა დელაურამ.

იატაკზე დაგროვილი სიბინძურისთვის გვერდი რომ აეგლო, ფეხის წვერებ-

ზე შევიდა და შესაბამისი ლოცვების ბუტბუტით საკანს ფუნჯით აპკურა ნაკურთხი წყალი.

ხოსეფა მირანდა გაოგნებული მიაჩერდა კედელზე შერჩენილ წყლის შეფებს.

„სისხლი!“ დაიკვილა.

დელაურამ სიმჩატე უსაყვედურა, წითელი წყალი ჯერ კიდევ არ შემნავდა სისხლს, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ეშმაკის ხელი არსად ჩანდა.

„უფრო სამართლიანი იყო გვეფიქრა, რომ სასწაულია, რომლის მოხდენა მხოლოდ უფალს ხელეწიფება“, თქვა.

ამჯერად ორივე შეცდა. კირით შეთეთრებულ კედელზე წყლის წვეთები მუქ მწვანედ გაშრა, ხოსეფა მირანდა გაწითლდა. იმხანად მარტო მონაზვნებს კი არა, ნებისმიერ ქალს ჰქონდა მიღებული სხვადასხვაგვარი განათლება, მან კი ბავშვობიდან აითვისა სქოლასტიკური მსჯელობები ცნობილი თეოლოგებისა და დიდი ერეტიკოსების მშობელ საკუთარ ოჯახში.

„ასეა თუ ისე, თქვა, ვერავინ უარყოფს, რომ დემონებს სისხლის ფერის შეცვლა შეუძლიათ“.

„დროულ ეჭვზე უკეთესი არაფერია, უპასუხა დელაურამ და სახეში შეხედა, წმინდა ავეუსტინი წაიკითხეთ“.

„მშვენიერად მაქვს წაკითხული“, არ შეეპუა ქალი.

„მაშინ გადაიკითხეთ“, ურჩია დელაურამ.

სანამ ბავშვს მიხედავდა, აღერსიანად სთხოვა დარაჯს საკნიდან გასულიყო. შემდეგ ხოსეფა მირანდას მიუბრუნდა და უფრო მშრალად იგივე გაუმეორა:

„თქვენც, გეთაყვა“.

„თქვენი პასუხისმგებლობით“, თქვა ქალმა.

„ეპისკოპოსი იერარქიის უმაღლესი საფეხურია“, თქვა დელაურამ.

„შეხსენება არ მჭირდება, სარკასტულად მიუგდო მირანდამ, ვიცით, რომ თქვენ ხართ ღმერთის ბატონ-პატრონი“.

დელაურამ უკანასკნელი სიტყვის სიამოვნება შეარჩინა. შემდეგ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ექიმის თვალთ შეათვალიერა ბავშვი. თვითონ ჯერ კიდევ კანკალებდა, მაგრამ ოყლი აღარ ასხამდა.

ახლოდან სიერვა მარიას ნაკაწრები და დაბეჭდილობები აჩნდა, თოკების ადგილას კი კანი გადასკდომოდა, მაგრამ ყველაზე სავალალო სანახავე გახურებული და ექიმბაშთა მონდომების შედეგად დაძვალა ქუსლის ჭრილობა იყო.

გასინჯვისას დელაურამ აუხსნა, რომ აქ საწამებლად კი არ ჰყავდათ მოყვანილი, არამედ იმის გასარკვევად, მართლა ცდილობდა თუ არა ეშმაკი მისი სულის დაუფლებას. ჭეშმარიტების დასადგენად მის დახმარებას საჭიროებდა. ძნელი მისახვედრი იყო, უსმენდა თუ არა ბავშვი და ხვდებოდა თუ არა მისი გულის კვნესას.

გასინჯვის შემდეგ დელაურამ წამლების ყუთი მოითხოვა, თუმცა აფთიაქარი მონაზონი საკანში არ შემოუშვა. ჭრილობებზე ბალზამი წაუსვა, გადატყაულ ადგილებზე ნაზად შეუბერა სული და გაოცებული დარჩა ბავშვის გამძლეობით. სიერვა მარიამ არც ერთ კითხვაზე არ უპასუხა, არც მისი საუბრით დაინტერესებულა, არც არაფერზე დაუჩივლია.

ეს გულის გამგძირავი დასაწყისი დელაურას ბიბლიოთეკამდე გაჰყვა, რომელიც ეპისკოპოსის სასახლის ყველაზე დიდ, უფანჯრო ოთახში მოეწყო. კედლები კაობას ხის, მინისკარიანი თაროებით იყო დაფარული, რომლებზეც განსახდვრული თანმიმდევრობით ეწყო უამრავი წიგნი. ცენტრში, მაგიდაზე, საზღვაო

რუკები, ასტროლაბი და სხვა სანავიგაციო საშუალებები ეწყო გლობუსთან ერთად, რომელსაც სამყაროს შესახებ ცოდნის ზრდასთან დაკავშირებით სხვადასხვა კარტოგრაფების მიერ გაკეთებული დამატებები და შესწორებები ამშვენებდა. ოთახის სიღრმეში, უხეშ საწერ მაგიდაზე, სამელნე, ფრთის საფიცურები, ტის ფრთები, დამტკვრილი წერილები და ლარნაკი ეწყო, რომელშიც მრავალი მიხაკი ლპებოდა. ბინდბუნდში ჩაძირულ ოთახში შენახული ქაღალდის სუნი და ჭალის მშვიდი სიგრილე ტრიალებდა.

სალონის კუთხეში, ხისკარებიანი, ჩაკეტილი კარადა იდგა, იქ განისვენებდნენ წმინდა ინკვიზიციის მიერ აკრძალული წიგნები, რომლებშიც „ლაპარაკი იყო ბილწ ამბებსა და ღვთისგმობაზე“. კარადას კაიეტანო დელაურას მეტი ვერავინ ეკარებოდა, რომელსაც ამ აღვირაბსნილ ნაწარმოებთა კვლევის სპეციალური ნებართვა ჰქონდა მიღებული რომიდან.

ეს სამოთხე სიერვა მარიას გაცნობის დღიდან ჯოჯოხეთად ექცა. დელაურამ დაივიწყა საერთო თუ სასულიერო მეგობრები, რომლებსაც სადამოიბით ხვდებოდა ხოლმე წმინდა იდეებზე სასაუბროდ, სქოლასტიკური ტურნირების, ლიტერატურული კონკურსებისა და მუსიკალური სადამოიების მოსაწყობად. მთელი მონღომებით შეუდგა დემონის ხრიკების შესწავლას და ხუთი დღე-ღამე მხოლოდ ამ თემაზე ვითხულობდა და ფიქრობდა. ორშაბათს ეპისკოპოსმა დაინახა მტკიცე ნაბიჯებით მიმავალი და ჰკითხა, როგორ გრძნობდა თავს.

„სულიწმინდის ფრთებშესხმული“, უპასუხა დელაურამ.

ჩვეულებრივი—ბაძბის ხალათი ეცვა, რომელშიც ტყის მჭრელს უფრო ჰგავდა, გული კი საიმედოდ დაეჯავშნა, რაც ნამდვილად სჭირდებოდა.

დარაჯმა მისალმებაზე ბრდღვინვით უპასუხა. სიერვა მარია კოპებშეკრული დახვდა. საკანში სუნთქვა არ შეიძლებოდა საჭმლის ნარჩენებისა და იატაკზე მიმოფანტული განავლის გამო. სალოცავთან დანთებული სანთლის გვერდით ხელუხლებელი სადილი იდო. დელაურამ თეფში აიღო და გოგოს ლობით და მაწონი შესთავაზა. ბავშვმა გადმოაფურთხა. დელაურამ რამდენჯერმე ამოდ გაიშეორა ცდა. მაშინ კაცმა თვითონ ჩაიღო პირში კოვზი, დაიგემოვნა და სახედალრეჯილმა დაუღეჭაკვად გადაყლაპა ლუკმა.

„მართალი ხარ,“ თქვა, „საზიზღრობაა“.

ბავშვს ყურადღება არ მიუქცევია. ატყავებულ ქუსლს რომ უშუშავებდნენ, ტანზე აბურძგლა და თვალები აუწყლიანდა, რაც დელაურამ კაპიტულაციის ნიშნად მიიღო და გამოცდილი მღვდლის ჩურჩულით დაუამა ტკივილები. ბოლოს, დაძაგრული სხეულისთვის დასვენების საშუალება რომ მიეცა, თოკები მოუშვა. სიერვა მარიამ თითები აამოძრავა, თავისად შეიგრძნო და დაბუყებული ფეხები გაჭიმა. მხოლოდ მაშინ შეხედა სტუმარს, თვალით აწონ-დაწონა და გარეული მხეცივით ეცა.

ბავშვი მხოლოდ დარაჯის დახმარებით დააბეს. ვასკლისას დელაურამ სანდალოზის ხისგან გაკეთებული კრიალისანი ჩამოჰკიდა წარმართულ ამულეტებზე.

ეპისკოპოსი შეშფოთდა დელაურას დაკაწრული სახისა და დაკბენილი ხელის ხილვაზე, რომლის მართი შეხედვაც კი ტკივილის შეგრძნებას იწვევდა. მაგრამ უფრო მეტად იმან შეაშფოთა, რომ პადრე გარშემომყოფთ საბრძოლო ნადავლივით აჩვენებდა ნაკაწრებს და ცოფის გადაღებაზე ხუმრობდა. ეპისკოპოსის ექიმმა საფუძვლიანი მკურნალობა ჩაუტარა. იგი ერთი იმათგანი გახლდათ, ვინც თვლიდა, რომ მთვარის დაბნელება დიდი უბედურების მომასწავლებელი იყო.

სამაგიეროდ, სიერვა მარიას მკვლელ მარტინა ლაბორდესთვის არ გაუწევია

წინააღმდეგობა. ქალი ფეხისწვერებზე შევიდა საკანში და საწოლზე მიბმულ ბავშვს დააცქერდა. სიერვა დაიძაგრა და თვალი არ მოუცილებია მისთვის, სანამ მარტინამ არ გაუღიმა, მაშინ თვითონაც გაეღიმა და უპირობოდ მიენდა ქალს, თითქოს საკანში დომინგა დე ადვიენტროს სული შემოიჭრაო.

მარტინა მოუყვა ვინ იყო და რატომ უნდა გაეტარებინა დარჩენილი ცხოვრება მონასტერში. ქალს თავის უდანაშაულობის მტკიცებით უნდა დაეჭვებოდა. როცა სიერვა მარიას ჰკითხა, აქ საიდან აღმოჩნდიო, გოგომ თავის ეკზორციტებისგან გავონილი ფრაზით უპასუხა:

„შიგნით ეშმაკი მყავს“.

მარტინა არ ჩასძიებია, ეგონა, იტყუება ან თვითონ მოატყუესო და ახრადაც არ მოსვლია, რომ ერთადერთი იყო იმ მცირერიცხოვან თეორკანიანთაგან, ვინაც სიერვა მარია სიმართლეს ეუბნებოდა. ქალმა ქარგვის ხელოვნება უჩვენა. ბავშვმა სთხოვა თოკები შეეხსნა, რათა თვითონაც ეცადა ქარგვა. მარტინამ კერვისთვის საჭირო სხვა საგნებთან ერთად ჯიბეში შენახული მაკრატელი ამოიღო.

„აგიხსნი, უთხრა, მაგრამ თუკი რამეს დამიპირებ, ამით მოგკლავ“. სიერვა მარიას ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ასეც მოიქცეოდა. თავი აახსნევინა და ისევე იოლად აითვისა ქარგვის გაკვეთილი, როგორც თავის დროზე ბარბითზე დაკარა ისწავლა, წასვლამდე მარტინა შეჰპირდა, უფლებას მოვიპოვებ, რომ მზის დაბნელებას ერთად გვაცქერივნო.

პარასკევს, გამთენიისას, მერცხლებმა ფართო კამარა შეჰკრეს ცაზე და ქუჩებსა და სახურავებს ინდიგოსფერი წვიმა დაატეხეს თავს. ჭამა და ძილი შეუძლებელი შეიქნა, სანამ შუადღის მზემ სკინტლი არ გაახშო და ღამის ნიაკმა ჰაერი არ გაწმინდა. დარჩა მხოლოდ შიში. იქამდე არავის ენახა, მერცხლებს ფრენისას მოესკინტლათ ან მათი სკინტლის სიმყრალეს აღამიანები ეკრერივად შეეწუხებინა.

მონასტერში აღარავინ ეჭვობდა, რომ სიერვა მარიას ძალაუფლება მიგრაციის კანონების ასაღრევადაც კმაროდა. დელაურამ ეს პატიოს გაქვავებულ პაერში იგრძნო კვირას, მესის შემდეგ, როცა ქალაქში ნაყიდი ნუგბარით სავსე ვაღათით მონასტრის ბაღი გადაჭრა. სიერვა მარიას კრიალოსანი ვი ევიდა, მაგრამ არც მისალმებაზე უპასუხნია, არც სტუმრისთვის შეუხედავს. კაცი გვერდით ჩამოუჯდა, სიამოვნებით მოკბინა აღმოხაბანა¹ და პირგამოტენილმა თქვა: „დიდებული გემო აქვს“.

მეორე ნახევარი სიერვა მარიას ჩაუდო პირში. ბავშვმა გადმოაფურთხა, მაგრამ უწინდელივით კედლისკენ არ შებრუნებულა და კარიხკენ გაახედა, სადაც დელაურამ მოყურადე დარაჯი დაინახა.

„გადით აქედან“, ენერგიულად აუქნია ხელი.

როცა დარაჯი გაუჩინარდა, ბავშვმა გამძაფრებული შიმშილის გრძნობის მოკვლა აღმოხაბანით გადაწყვიტა, მაგრამ პირველივე ლუკმა გადმოაფურთხა.

„მერცხლის სკორეს გემო აქვს“, თქვა.

გუნება მაინც გამოუკეთდა, ზურგის ნაკაწრების მკურნალობის ნება დართო და პირველად მიაქცია ყურადღება დელაურას შეხვეულ ხელს. უცოდველი სახით, რომლის ძალით მიღება შეუძლებელი იყო, ჰკითხა რა სჭირდა. „ცოფიანმა ლეკვმა მიკბინა, მეტრიანი კუდი რომ აქვს“, თქვა დელაურამ. სიერვა მარიამ ჭრილობის ნახვა მოისურვა. პადრემ სახვევი მოიხსნა, გოგო საჩვენებელი თითით ნიავივით შეეხო მოიისფრო არეს და პირველად გაიცინა.

1. აღმოხაბანა — შაქრის, ფქვილისა და კვერცხისგან დამზადებული ნამცხვარი.

„ჭირზე უარესი ვარ“, თქვა.

დელაურამ სახარების ნაცვლად გარსილასო მოიშველია:

„სტანჯე, ვისაც ტანჯვა შეუძლია“, თქვა იმ შეგრძნებით ^{ალტყინებულმა,} რომ მის ცხოვრებაში რაღაც უხარმაზარი და საბედისწერო იწყებოდა. გასკლისას დარაჯმა ხოსეფა მირანდას სახელით გააფროხილა, რომ ქუჩიდან საკმლის შემოტანა მოწამვლის შიშით აკრძალული იყო, როგორც ეს გლეხ ^{ქუჩიდან} კბლებოდა. დელაურამ იცრუა; ტკბილული ეპისკოპოსის ნებართვით მოვიტანეო და ფორმალური პროტესტი გამოთქვა მორჩილთათვის განკუთვნილი სალაფავის უვარგისობის გამო ოდითგან საუკეთესო სამზარეულოთი განთქმულ მონასტერში.

ვახშობისას მოჭარბებული შემართებით უკითხავდა ეპისკოპოსს, როგორც ყოველთვის, ერთად წარმოსთქვეს მწუხრის ლოცვა და დელაურას თვალი არ გაუხელია, რათა უკეთ ეფიქრა სიერვა მარიაზე. ჩვეულებრივზე ადრე მიაშურა ბიბლიოთეკას და რაც მეტს ფიქრობდა ვოვოზე, მით მეტი ფიქრის სურვილი ეუფლებოდა. ხმამაღლა გაიმეორა გარსილასოს სატრფიალო პიეზია და შემინებული შეეჭვდა, რომ ყოველ სტროფში მისი მომავალი იყო დაშიფრული. ღამე თვალი ვერ მოხუჭა. გამთენიისას მაგიდაზე გადამლილ წიგნზე ჩაეძინა და მეზობელი სამლოცველოდან გამთენიის ლოცვის ზარების ხმა ჩაესმა: „ღმერთმა გიშველოს მარია დე ტოდოს ლოს ანხელეს“, — თქვა ძილში. იჩქითად საკუთარმა ხმამ გააღვიძა და მონაზვნის სუტანიანი, თმებზე აღმოღებული სიერვა მარია იხილა, რომელმაც დამჭკნარი მიხაკი გადაავდო და ღარნაკში გარდენიების თაიგული ჩადო. დელაურამ გარსილასოს დახმარებით მიმართა ხმის კანკალით: „თქვენთვის ვიშვი, თქვენთვის ვცოცხლობ, თქვენთვის მოკვდები და ვკვდები კიდევ“. სიერვა მარიამ გაიღვიძა, თუმცა მისთვის არ შეუხუდავს. დელაურამ თვალები დახუჭა, რათა დარწმუნებულიყო არ მეჩვენებო. თვალები რომ გაახილა, ოთახში არავინ იყო, მაგრამ ბიბლიოთეკა გარდენიების ცინცხალი სურნელით გაჟღენთილიყო.

ოთხი

პადრე კაიეტანო დელაურა ეპისკოპოსმა მიიწვია მზის დაბნელების სანახავად, ყვითელი მაჩიტებით მოჩითულ ტერასაზე. მთელს სახლში ეს ერთადერთი ადგილი იყო, საიდანაც ზღვაზე უკეთ ცა ჩანდა. პაერში უმოძრაოდ გამოკიდებული, ფრთებგამლილი ვარხვები ფრენისას მოულოდნელად დახოცილებს ჰგავდნენ. ეპისკოპოსი სვენებ-სვენებით ინიავებდა მარაოს ჰამაკში, სადაც ის იყო სიესტა მოათავა. დელაურა მის გვერდით მოთავსებულიყო მოწნულ სარწეველა სავარძელში. ორივე ნეტარებით გატრუნულიყო, თამარინდების ნახარშს მიირთმევდა და სახურაუების თავზე გადამლილ, უღრუბლო და უკიდევანო ცას შესცქეროდა. ცოტა ხანში ჩამობნელდა. ქათმები ხარისებზე აიკრიფნენ და ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. სამყაროს არაბუნებრივად გააკანკალა. ეპისკოპოსს დაგვიანებული მტრედების ფრთების ფართქუნი მოესმა, სიბნელეში სამტრედეს რომ ეძებდნენ.

„ღმერთი დიდია, თქვა, ცხოველებიც კი გრძნობენ“.

მორიგე მონაზონმა მზის დაბნელების საცქერად საჩათური და გამურული შუშები გამოიტანა. ეპისკოპოსი ჰამაკში წამოიწია და შუშით განავრძო მზის

თვალთვლება. ცალი თვალი უნდა მოხუჭო, თქვა და სუნთქვის მოწყობას შეეცადა, „წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ორივე დაჰკარგო“.

დელაურას შუბა ხელში ეჭირა და მზისკენ არც ახედებოდა. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ეპისკოპოსმა სიბნელეში მიმოიხედა და რიოშ ღამეში აღუვარებულ, მის გაუცხოებულ თვალებს წააწყდა.

„რაზე ფიქრობ?“ ჰკითხა.

დელაურამ არ უპასუხა და მცხრალი მთვარის ფორმის მზეს გახედა, რომელმაც დამცავი შუშის მიუხედავად, თვალი ატკინა; მაინც გაუსწორა მხერა.

„ისევ ბავშვზე ფიქრობ“, თქვა ეპისკოპოსმა.

კაიეტანო შეკრთა, თუმცა უკვე მიწვეული იყო ეპისკოპოსის არაბუნებრივად ხშირ გულთმისნობას.

„უწიგნური ხალხი ალბათ მზის დაბნელებასაც მას დაუკავშირებს“, თქვა ეპისკოპოსმა და მზისთვის თვალის მოუცილებლად გააქნია თავი.

„იქნებ მართალიც იყოს, თქვა, უფლის კარტების ამოცნობა იოლი როდია“.

„ეს ფენომენი ათასწლეულთა წინ გამოთვალეს ასირიელმა ასტრონომებმა“, აღნიშნა დელაურამ.

„იეზუიტებით ლაპარაკობ“, გაუწერა ეპისკოპოსი.

დაბნეული კაიეტანო უშუშოდ მიაჩერდა მზეს, რომელიც ორ საათსა და თორმეტ წუთზე უნაკლო შავ დისკოს ჰკავდა. თვალის დახამხამებაში შუადღე შუალამემ შეცვალა. შემდეგ ნელ-ნელა განათდა და მამლებმა განთიადის მაუწყებელი ყივილი ძორთეს. როცა დელაურამ მზეს თვალი მოაცილა, ცაზე ჩვეულებრივი, ცეცხლოვანი ბურთი ენთო.

„ისევ დაბნელებას ვხედავ, თქვა მხიარულად, ყველგანაა, სადაც უნდა გავიხედო“.

ეპისკოპოსმა სანახაობა დამთავრებულად ჩათვალა.

„რამდენიმე საათში გაგივლის“, უთხრა. ჰამაკში გაიჭიმა, დაამოქნარა და უფალს მადლობა შესწირა ახალი დღისთვის.

დელაურა დაწყებულ საუბარს მიუბრუნდა:

„თქვენის ნებართვით მოგახსენებთ, პადრე, არა მგონია, ის ბავშვი ეშმაკეული იყოს“.

„საიდან ასკვნი?“ გაისმა ეპისკოპოსის ამჯერად მართლა შემფოთებული ხმა.

„ვფიქრობ, მხოლოდ შეშინებულია“, თქვა დელაურამ.

„საკმარისზე მეტი საბუთი არსებობს, თქვა ეპისკოპოსმა, თქმები არ წაკითხავს?“

დელაურას, რა თქმა უნდა, წაკითხული და შესწავლილი ჰქონდა და მიაჩნდა, რომ ისინი სიერვა მარიას მდგომარეობაზე მეტად ხოსეფა მირანდას ჰკუთსუსტობაზე მეტყველებდნენ. ყველაფერი, რასაც ბავშვი შეეხო, ნაკურთხი წყლით გაასუფთავეს, ხოლო ვისაც სიერვა მარიასთან კონტაქტი ჰქონდა, განსაწმენდო მარხვა დაუნიშნეს. მორჩილი, რომელმაც პირველ დღეს გოგოს ბეჭედი მოპარა, ბოსტანში გაამწესეს იძულებით სამუშაოზე. ამბობდნენ, რომ სიერვა მარიამ სიამოვნებით დაკლა თხა, საკუთარი ხელით მოაჭრა თავი და უმად მიირთვა თხის ყვერები და თვალები, რომ თავისუფლად აგებინებდა აფრიკელებს ნებისმიერ აფრიკულ დიალექტზე და ცხოველთა ენა იცოდა, რომ მონასტერში მისი მოსვლის მეორე დღეს, ოცი წლის მანძილზე ბაღში გაშვებული თერთმეტი გუაჰამაია უმიზეზოდ დაიხოცა, რომ მოსამსახურეები უცხო ხმებზე შესრულებული, დემონური სიმღერებით მონუსხა და როცა გაიგო, აბატი ქალი ეძებდა, გაუჩინარდა.

„ჩემი აზრით, თქვა დელაურამ, ეშმაკეულს რომ მივაწერთ, ზანგების თვისებებია, რომლებიც ბავშვობიდან შეითვისა მშობლებისგან მიღებულია გოგომ“.

„ფრთხილად იყავით, წარბი შეიკრა ეპისკოპოსმა, სატანა ჭკუით უფრო იცნობა, ვიდრე ცოდვებით“.

„ჰოდა, მისთვის საუკეთესო საჩუქარი იქნება უცოდველი ბავშვის მშობ-
ცირება“, თქვა დელაურამ.

ეპისკოპოსი აიფხორა.

„მეურჩები?“ იკითხა.

„მხოლოდ ეჭვებს გამოვთქვამ, პადრე, თქვა დელაურამ, მაგრამ უსიტყვოდ გემორჩილებით“.

ასე რომ, მონასტერში ისე დაბრუნდა, ეპისკოპოსის დარწმუნება ვერ შეძლო. მარცხენა თვალი აეხვია, ექიმის რჩევით, რომელიც მისი თვალიდან დაბნელებული მზის ამოშლას ცდილობდა. იგრძნო, როგორ მიაცილებდა რამდენიმე წყვილი თვალი ბაღში და დერეფნებში, საკნის კარამდე, მაგრამ ხმა არავის გაუცია.

როცა დარაჯმა სიერვა მარიას საკნის კარი გააღო, დელაურამ იგრძნო, რომ გული მკერდიდან ამოხტიმას ლაშობდა და ფეხები ეკეცებოდა. ბავშვის განწყობილების შესამოწმებლად ჰკითხა, მზის დაბნელებას თუ უყურეო. აღმოჩნდა, რომ ტერასიდან უყურებია და არ ესმოდა, რად უნდოდა სახვევი კაცს, მაშინ როცა თვითონ შეუიარაღებელი თვალებით უყურა მზეს და თავს მშვენივრად გრძნობდა. მოუყვა, მონაზვნები მუხლებზე დაეცნენ და მთელი მონასტერი მამლის ყივილამდე დადამბლავებული იყო. თუმცა თვითონ იმქვეყნიური არაფერი შეუმჩნევია.

„ასეთ რამეს ყოველდამე ვხედავთ ხოლმე“, თქვა.

რადაც შეცვლილიყო მასში, თუმცა კონკრეტულად რა, დელაურას ჯერ ვერ გაერკვია და მხოლოდ ნალველის ამჩნევდა. არც შემცდარა. მკურნალობის დაწყებისთანავე, ბავშვმა მწველი თვალები მიაპყრო და ხმის კანკალით უთხრა.

„მე მოვკვდები“.

დელაურა შეცბა.

„ვინ გითხრა?“

„მარტინამ“, თქვა ბავშვმა.

„ნახე?“

გოგომ მოუყვა, რომ ორჯერ იყო მის საკანში ქარგვის გაკვეთილებზე, მზის დაბნელებასაც ერთად უყურეს. უთხრა, რომ ქალი კეთილი და მზრუნველი იყო. ხოსეფა მირანდას ნებართვით, ტერასაზე ერთად ქარგავდნენ და მზის ჩასვლას უყურებდნენ ხოლმე.

„აჰა, თვალი არ დაუხამხამებია დელაურას, და ისიც გითხრა, როდის მოკვდები?“

ბავშვმა თავი დააქნია და ცრემლების შესაკავებლად ტუჩები მოიკვნიტა.

„მზის დაბნელების შემდეგ“, თქვა.

„მზის დაბნელების შემდეგ შეიძლება მომდევნო ასი წელი იგულისხმოს“, თქვა დელაურამ.

მაგრამ იძულებული გახდა მთელი ყურადღება მკურნალობაზე გადაეტანა. რათა ბავშვს ყელში გაჩხერილი ბურთი არ შეემჩნია. სიერვა მარიას მეტი არაფერი უთქვამს. კაცმა დუმილის მიზეზის გასაგებად შეხედა და თვალებში ჩამდგარი ცრემლი შენიშნა.

„მეშინია“, თქვა სიერვა მარიამ, საწოლზე დაემხო და გულმოსაკლავად აქ-

ვითინდა. დელაურა გვერდით მიუჯდა და აღსარებაზე მისული მღვდელივით დაუწყო ლაპარაკი. მხოლოდ მაშინ შეიტყო სიერვა მარიამ, რომ კაიეტანო მისი ექსორცისტი იყო და არა ექიმი.

„აბა, რატომ მკურნალობ?“ ჰკითხა.

კაცს ხმა აუკანკალდა.

„იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ“.

ბავშვს მისი სიმამაცე არც შეუნიშნავს.

წასვლამდე დელაურა მარტინას საკანში შევიდა და პირველად ნახა ახლოდან. ყვავილით დაკუნკილი სახე, თმიანი კანი, მოზრდილი ცხვირი და თავის კბილები. თუმცა შეცდენის მისეული უნარი მატერიალურ ფლუიდებად იგრძნობოდა ჰაერში, დელაურამ წიროხლიდან საუბარი არჩია.

„საწყალი ბავშვი ისედაც საკმარისზე მეტადაა შეშინებული, უთხრა, გვეკედრებით, თქვენ მაინც ნუ ვაუმძაფრებთ ამ გრძნობას“.

მარტინა დაიბნა. ჯერ არასდროს და არავისთვის უწინასწარმეტყველებია სიკვდილის დღე, მით უმეტეს, ასეთი მომხიბვლელი და უმწყო ბავშვისთვის. საკმარისი იყო რამდენიმე კითხვა დაესვა ჯანმრთელობაზე და სამი-ოთხი პასუხის შემდეგ მიმხვდარიყო, რომ ატყუებდნენ. მარტინას ლაპარაკიდან დელაურა მიხვდა, რომ სიერვა მარიამ მარჯვედ გააცურა. ქალს უსაფუძვლო ბრალდებისთვის მოუბოდიშა და შეევედრა ბავშვისთვის საყვედური არ ეთქვა.

„უკვე ვიცი, რაც უნდა ექნა“, დაასკვნა.

მარტინამ მისი მონუსხვა სცადა. „ვიცი, ვინც არის თქვენი ღირსება, თქვა, და ისიც ვიცი, რომ მუდამ გონივრულად მოქმედებთ“.

მაგრამ დელაურა ფრთაში დაჭრილ ფრინველს ჰგავდა, რადგან მიხვდა, რომ სიერვა მარიამ საკნის მარტოობაში თვითონ გამოიგონა სიკვდილის შიში.

იმ კვირას ხოსეფა მირანდამ საჩივრებითა და საყვედურებით საესე საკუთარი ხელით დაწერილი არზა აახლა ეპისკოპოსს, რომლითაც სთხოვდა სანტა კლარას მონაზვნები სიერვა მარიამს ავი ზეგავლენისგან ეხსნა. წერილს ოქმიდან ამოღებულ ახალ ჩანაწერებსაც ურთავდა, რომლებიც, მისი აზრით, ბავშვისა და დემონის უეჭველ კავშირზე ღაღადებდნენ. ბოლოს კაიეტანო დელაურას საყვედურობდა უფლებათა გადაჭარბებას, თავისუფალ აზროვნებასა და მისადმი მტრულ განწყობას, ამასთან ასმენდა, რომ აკრძალვის მიუხედავად ჰადრეს ქუჩიდან შემოჰქონდა საჭმელი.

ეპისკოპოსმა კაიეტანოს დაბრუნებისთანავე აჩვენა წერილი. სანამ ფეხზე მდგომი კითხულობდა, სახეზე ნაკეთი არ შერხევია, სამაგიეროდ ბოლოს აფეთქდა.

„თუ ვინმეს დემონი ჰყავს ჩასახლებული, ეს ხოსეფა მირანდაა, თქვა, ბოლმის, უვიცობისა და თავშეუკავებლობის დემონი. ეს საზიზღრობაა!“

ეპისკოპოსს მისი სიფიცხე გაუკვირდა. დელაურამ შეამჩნია და უფრო მშვიდად სცადა ახსნა.

„იმის თქმა მსურს, განაცხადა, რომ იმდენ ძალაუფლებას მიაწერს ეშმაკს, გეგონება, მას ემსახურებაო“.

„ჩემს გამოკვლევებს საწინააღმდეგო აზრამდე მივყავარ, თქვა ეპისკოპოსმა, თუმცა მსურს, შენ აღმოჩნდე მართალი“.

წინასწარ გააფრთხილა, რა სახის ექსცესები იყო მოსალოდნელი და სთხოვა ყურადღება არ მიექცია აბატი ქალის დახშული გონებისთვის. „სახარება სავსეა მისნაირი და კიდევ უარესი ქალებით, თქვა, იესომ კი ისინი განადიდა“.



მეტის თქმა არ დასცალდა, რადგან სახლი სეზონის პირველმა ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა, ექო ზღვაზე გაგორდა, და ბიბლიურმა წარღვნამ ისინი სამყაროდან გამოიჯნა. ეპისკოპოსი სარწეველა სავარძელში გადაწვა და ნოსტალგიის ტალღებს მიხედა.

„რა შორს ვართ!“, ამოიხრა.

„რისგან?“

„ჩვენი თავისგან, თქვა ეპისკოპოსმა, განა სამართალია, კაცმა ერთი წლის შემდეგ შეიტყოს, რომ დაობლებულა“. და რახან პასუხი ვერ მიიღო, მოგონებებში ჩაეფლო: „იმის გაფიქრებაც კი შიშს მკერის, რომ ესპანეთში ღამეა და სძინავთ“.

„დედამიწის ბრუნვას ვერავინ შეაჩერებს“, თქვა დელაურამ.

„მაგრამ შეიძლებოდა სულ არ გვცოდნოდა, რომ ბრუნავს, მაშინ ასე მტკივნეულადაც აღარ აღვიქვამდით, მიუგო ეპისკოპოსმა, გალილეოს რწმენაზე მეტად გული აკლდა“.

დელაურამ იცოდა, რომ მსგავსი კრიზისი ეპისკოპოსს ნაღვლიანი წვიმების ღამეებში ემართებოდა მას შემდეგ, რაც სიბერე მოერიდა, და რომ ამ შავი მელანქოლიის გაფანტვა მხოლოდ სხვა თემებზე საუბრით შეეძლო, სანამ ეპისკოპოსს ძილი არ წაართმევდა თავს.

აპრილის ბოლოს ხალხს ახალი მეფისნაცვლის, დონ როდრიგო დე ბუენ ლოსანოს ჩამოსვლის შესახებ ამცნეს, რომელიც სანტა ფეს გზაზე ქალაქში შეისვენებდა მთელი თავის ამალით, მოხელეებით, მსახურებით და პირადი ექიმებით. თან ახლდა უცხო კონტინენტებზე ნაღველის გასაქარვებლად დედოფლის მიერ ნაჩუქარი სიმებიანი კვარტეტი. მეფისნაცვლის მეუღლე ხოსეფა მირანდას შორეული ნათესავი აღმოჩნდა და მონასტერში ითხოვა დაბინავება.

რემონტის აურზაურში დროებით სიერვა მარიაც მიივიწყეს. ყველაფერი ფისით ამოქოლეს და კირით შეათეთრეს, ირგვლივ ჩაქუჩების კაკუნი და ხელოსნების უშვერი ლანძღვა-ვინება ისმოდა, რამაც კარცერამდეც კი მიაღწია. ერთ დღეს საშინელი ტკაცანით ჩამოინგრა ხარაჩოები, ერთი ქვისმთლელი დაიღუპა და შვიდი მუშა დაშავდა. ხოსეფა მირანდამ ეს უბედურება, რა თქმა უნდა, სიერვა მარიას უკეთურ ძალას მიაწერა და კიდევ ერთხელ ითხოვა მისი სხვა მონასტერში გადაყვანა, სტუმრის გაცილებამდე მაინც. ამჯერად იმ მოტივით, რომ მეფისნაცვლის ცოლისთვის ეშმაკეულის მეზობლობა სასურველი არ იყო. ეპისკოპოსს არ უპასუხნია.

დონ როდრიგო დე ბუენ ლოსანო ჭარმაგი და აღნავი ასტურიელი იყო. ბასკური პელოტისა¹ და ხოხობზე ნადირობის ჩემპიონი არაფრით ჩამოუვარდებოდა ოცდაორი წლის მეუღლეს. მთელი სხეულით იცინოდა საკუთარ თავზეც კი და ამის დემონსტრირების საშუალებას ხელიდან არ უშვებდა. როგორც კი ღამის დოღის ბრაგუნითა და მწიფე გუაიაბას სურნელით შეჯერებული კარიბის პირველი ნიავი იგრძნო, საგაზაფხულო სამოსი გაიხადა და ქალბატონებს შორისაც კი მკერდგაღებული დადიოდა. მიწაზე სახელოებიანი პერანგით ჩამოვიდა. არც დამხვდურთა მისასალმებელი სიტყვები მოუსმენია, არც განზრახული სამხედრო დათვალეირება მოუწყვიათ მის საპატივცემულოდ, იმხანად ეპისკოპოსის მიერ აკრძალული ფანდანგო, ბუნდე და კუმბიამბა იცეკვეს, კორიდა გამართეს და ღია ცის ქვეშ მამლების ჩხუბი მოაწყვეს.

მეფისნაცვლის მეუღლე თითქმის ბავშვი იყო. ახტაჯანა და თავნება განახ-

1. პელოტა — ბასკური თამაში ბურთითა და ვიწრო, დაწნული ჩოგნით.

ლები ნიავეით შეიჭრა მონასტერში. ყველა კუნჭული მონხრიკა. ყველა პრობლემა მოისმინა და ყველა საქმის გამოსწორება ჩაიფიქრა. ისე აქტიურობდა, რომ ხოსეფა მირანდამ გადაწყვიტა საკანში აღარ შეეყვანა.

„არ ღირს, უთხრა, სულ ორი პატიმარი გყავს, აქედან ერთი ეშმაკულია“.

ამის თქმა იყო და, სტუმრის ინტერესი ერთი ათად ^{ერჩენულ} ^{გაიხარდა} ^{არც} ^{იმ} წვრილმანისთვის მიუქცევია ყურადღება, რომ საკნები დაულაგებელი იყო, პატიმრები კი არავის გაუფრთხილებია. პირველი კარის ვალებისთანავე მარტინა ლაბორდე მუხლებში ჩაუვარდა შეწყალების თხოვნით.

ამას თითქმის შეუძლებელს ხდიდა ერთი ჩაშლილი და ერთი განხორციელებული გაქცევა. პირველი ექვსი წლის წინ სცადა ზღვაზე გამავალი ტერასიდან, სხვადასხვა მიზეზით და ვადით დაპატიმრებულ სამ მონაზონთან ერთად. საწდელს მხოლოდ ერთმა მიიღწია. სწორედ მაშინ იყო, ფანჯრებს რომ ცხურები ააკრეს და ტერასის ქვეშ პატიოს კედლები გაამაგრეს. მომდევნო წელს სამმა პატიმარმა პავილიონში ჩაძინებული დარაჯი გაკოჭა და უკანა კარიდან გაიპარა. მარტინას ოჯახმა, მღვდლის რჩევით, გაქცეული მონასტერში დააბრუნა. ოთხი გრძელი წლის განმავლობაში ის ერთადერთი პატიმარი იყო და არც მისაღებში, არც საკვირაო მესახე სტუმრების მიღების უფლება არ ჰქონდა. მოკლედ, შეწყნარება თითქმის შეუძლებელი ჩანდა. თუმცა მეფისნაცვლის მეუღლე მაინც შეჰპირდა ქმართან შუამდგომლობას.

სიერვა მარიას საკანში ჯერ კიდევ კირისა და ფისის მძიმე სუნით დამძიმებული ჰაერი იდგა, თუმცა ახალი წესრიგი სუფევდა. როგორც კი დარაჯმა კარი გააღო, მეფისნაცვლის ცოლმა ციური ნიავე იგრძნო. სიერვა მარია ზოლიანი ტუნიკითა და ჭუჭყიანი ქაშებით საკუთარი შუქით განათებულ კუთხეში იჯდა და ქარგავდა. სანამ სტუმარი არ მიესალმა, თავი არ აუწევია. მეფისნაცვლის ცოლმა ბავშვის თვალებში ყოვლისწამლუკავი ზებუნებრივი ძალა იგრძნო. „ღმერთო დიდებულო“, ჩაიბუტბუტა და ნაბიჯი გადადგა.

„ფრთხილად, უჩურჩულა აბატმა ქალმა, ვეფხვივითაა“. და მკლავში ხელი სტაცა. მეფისნაცვლის მეუღლე საკანში არ შესულა, მაგრამ სიერვა მარიას დანახვისთანავე გადაწყვიტა მისი განთავისუფლება ეცადა.

ქალაქის უცოლო და მექალთანე გუბერნატორმა მეფისნაცვალი მხოლოდ კაცებისთვის გამართულ სუფრაზე მიიწვია. ესპანური სიმებიანი კვარტეტის შემდეგ სან ხასინტოს ანსამბლმა დაუკრა და ზანგებმა თეთრკანიანთა ცეკვების პაროდები შეასრულეს. ნასადილევს ოთახის ბოლოში ჩამოფარებული ფარდა გადაიწია და აბისინიელი მონა გამოჩნდა, რომელიც გუბერნატორმა მის წონა ოქროდ იყიდა. ქალს თითქმის გამჭვირვალე ტუნიკა ეცვა, რაც მის სიშიშვლეს კიდევ უფრო საცნაურს ხდიდა. ჯერ დამსწრე საზოგადოებას ეჩვენა, შემდეგ მეფისნაცვლის წინ გაჩერდა და უცებ ტუნიკა მის ფეხებთან დაეშვა.

შემამრწუნებლად უნაკლო იყო, არც მონის დამლა აჩნდა მხარზე, არც მკერდზე ამოეშანთათ პირველი მფლობელის ინიციალები. მეფისნაცვალი გაფითრდა, სული ჩაითქვა და ხელის ერთი აქნევით ამოშალა მეხსიერებიდან მტკივნეული ხილვა.

„წაიყვანეთ, თუ ღმერთი გწამთ, ბრძანა, და დარჩენილ ცხოვრებაში არსად მაჩვენოთ“.

თითქოს გუბერნატორის მსუბუქი საქციელის საპასუხოდ, მეფისნაცვლის ცოლმა, ხოსეფა მირანდას პირად სასადილოში ვახშმობისას, ქმარს სიერვა მა-

რია წარუდგინა. მარტინა ლაბორდემ გააფრთხილა: „ველსაბამებისა და სამა-
ჯურების წართმევას ნუ დაუპირებთ, და ნახავთ, რა კარგად მოიქცევა“.

ასეც მოხდა. ბებიაძისის კაბა ჩააცვეს, რითაც მონასტერში მოვიდა დაბა-
ნეს, თმა დაუვარცხნეს, გაუშალეს და თვით მეფისნაცვლის ცოლმა ხელნაკიდ-
ბული შეიყვანა ოთახში. ხოსეფა მირანდაც კი გაოცდა მისი მომხიბვლევლობით,
შუქმოიფობით და საუცხოო თმით. მეფისნაცვლის ცოლმა ყურში ჩასწვრივს
ქმარს: „ეშმაკეულია“.

მეფისნაცვალმა არ დაიჯერა, ბურგოსში ნანახი ჰყავდა ერთი ეშმაკეული,
რომელიც მთელი ღამის განმავლობაში კუჭში განუწყვეტლივ გადიოდა, სანამ
ოთახი არ აივსო. სიერვა მარიასაც იგივე რომ არ დამართხოდა, საკუთარ ექი-
მებს გაასინჯა. მათ დაადასტურეს, რომ ბავშვს ცოფის არანაირი ნიშანი არ ეტ-
ყობოდა და აბრუნუნსიოს აზრი გაიმეორეს, ალბათ ცოფი არ გადასდებიაო. თუმ-
ცა მისი ეშმაკთან კავშირის ეჭვქვეშ დაყენება ვერავინ გაბედა.

ეპისკოპოსმა დასვენების დღე ხოსეფა მირანდას თხოვნასა და სიერვა მარი-
ას საბოლოო ბედზე ფიქრს მოანდომა. კაიეტანო დელაურა, თავის მხრივ ბიბ-
ლიოთეკაში ჩაიკვტა და ექსორცირებისთვის მოსამზადებლად პურსა და წყალზე
დაჯდა. თუმცა ვერაფერს გახდა. მთელი ღამეები ბოდავდა, დღისით კი თავა-
წყვეტილ ლექსებს წერდა და ამით იხშობდა სხეულის ყივილს. ზოგიერთი
ძლივსგასარჩევი ლექსი თითქმის საუკუნის შემდეგ იპოვეს ბიბლიოთეკის სხვა-
გან გადატანის დროს. თავიდან ბოლომდე მხოლოდ ერთი ფურცლის გარჩევა შე-
იძლებოდა, რომელზეც დელაურა საკუთარ თავს იგონებდა თორმეტი წლის ასაკ-
ში, როცა ავილას სემინარიის პატიოს შუაგულში ჩემოდანზე იჯდა გაზაფხუ-
ლის წვიმაში. ტოლედოდან ჯორით იმგზავრა რამდენიმე დღე. ტანზე მამამისის
ტანსაცმლისგან გადაკეთებული სამოსი ეცვა და თავისზე ორჯერ მძიმე ჩემოდანი
მიჰქონდა, რომელშიც დედამისს ყველაფერი მოეთავსებინა, რაც სემინარიის
ღირსეულად დამთავრებისთვის დასჭირდებოდა. დარაჯმა ჩემოდანი პატიოს შუ-
აგულში დადო და ბედის ანაბარად მიატოვა წვიმაში. „მესამე სართულზე იტანე,
უთხრა, იქ საწოლ ოთახში შენს ადგილს განვენებენ“.

ერთ წუთში სემინარიის მობინადრენი პატიოს გამავალ აივანზე გამოეფი-
ნენ და ინტერესით ადევნებდნენ თვალს, რას მოუხერხებდა ბავშვი ჩემოდანს. კა-
იეტანომ არც კი იცოდა, რომ წინასწარ დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობდა,
როცა მიხვდა, არავინ დაეხმარებოდა, ჩემოდნიდან რამდენიმე ნივთი ამოიღო და
მახვეულ-მოხვეული ქვის კიბეებით მესამე სართულზე ავიდა. იქ მორიგე მახლ-
მოსულთა საწოლ ოთახში თავის ადგილი უჩვენა. კაიეტანომ ნივთები საწოლზე
დააწყო, პატიოში დაბრუნდა და კიდევ ოთხი გზობა გააკეთა. ბოლოს ცარიელ
ჩემოდანს დაავლო ხელი და კიბეებზე აათრია. მასწავლებლები და მოსწავლეე-
ბი აივნებიდან უყურებდნენ, თუმცა კიბეებსა და დერეფნებში თვალს არიდებდნენ.
სამაგიეროდ, ჩემოდანიც რომ აათრია, მესამე სართულის კიბეებზე რექტორი
დახვდა და ტაში დაუკრა. მას დანარჩენებიც აჰყვნენ. მაშინ შეიტყო კაიეტა-
ნომ, რომ წარმატებით გაეძლო სემინარიის პირველი რიტუალისთვის, რაც იმა-
ში მდგომარეობდა, რომ ახალბედას ვინმესთვის შეკითხვის დაუსმელად და სხვის
დაუხმარებლად უნდა მიეტანა ბარგი საწოლამდე. მისი მოსაზრებულობა, კარგი
ქცევა და ხასიათის სიმტკიცე მაგალითად დაუსახეს დანარჩენ მორჩილებს. მაგ-
რამ ყველაზე მკაფიოდ მაინც იმ საღამოს რექტორთან საუბარი დაამახსოვრდა,
რომელმაც იმისთვის დაიბარა, რომ მის ჩემოდანში აღმოჩენილ, ყდამოხვეულ და
ფურცლებნაკლულ ერთადერთ წიგნზე ესაუბრა. ეს წიგნი კაიეტანომ მამამისის
ყუთებიდან ალაღბედზე ამოარჩია, მოგზაურობისას კითხულობდა ხოლმე ღამ-

დამობით და ერთი სული ჰქონდა, დასასრული გაეგო. რექტორს ნაწარმოების შესახებ მისი აზრის მოსმენა სურდა.

„როცა დავაძთავრებ, მოგახსენებო“, უთხრა ბავშვმა.

რექტორმა შუბით გაიღიმა და წიგნი კარადაში ჩაკეტა.

„ვერასოდეს დააძთავრებ, უთხრა, ეს აკრძალული წიგნია“.

ოცდაექვსი წლის შემდეგ, საეპისკოპოსოს ბნელ ბიბლიოთეკაში კაიეტანო მიხვდა, რომ იმ უამრავ აკრძალულ თუ ნებადართულ ნაწარმოებთა შორის, რომელთა წაკითხვამაც მოუწია, ის წიგნი არსად შეხვედრია. უცებ ტანმა უგრძნო, რომ იმ დღეს ერთი სრული ცხოვრება დაძთავრდა და მეორე, გაუთვალისწინებელი დაიწყო.

მარხვის მერვე საღამოს, ის იყო ლოცვას შეუდგა, რომ სასწრაფოდ ეპისკოპოსთან უხმეს მეფისნაცვლის მიხალეზად.

ვიზიტი თვით მეფისნაცვალსაც არ დაუგეგმავს და ქალაქის დათვალეირებისას მოუვიდა აზრად ეპისკოპოსთან შევლა. ამიტომ იძულებული გახდა ტერასიდან დამტკბარიყო ქალაქის სახურავების ცქერით, ხანამ სასწრაფოდ გამოიძახებდნენ ეპისკოპოსის დაახლოებულ პირებს და დარბაზს ოდნავ მაინც მოაწესრიგებდნენ.

ეპისკოპოსმა ექვსი მღვდლის თანდასწრებით მიიღო სტუმარი. ხელმარჯვნივ კაიეტანო იჯდა, რომელიც უტიტულოდ, სრული სახელით წარუდგინა სტუმარს. საუბრის დაწყებამდე მეფისნაცვალმა თანამგრძნობი მზერა შეავლო ატყავებულ კედლებს, დახეულ ფარდებს, იაფფასიან, ხელით გამოჩორკნილ აუჯს და ღარიბულ სამოსელში ოფლად დაღვრილ მღვდლებს. „იოსებ ღურგლის შეილები ვართ“, — სიამაყით მოახსენა ეპისკოპოსმა. მეფისნაცვალმა ანიშნა, გავიგეო და პირველი კვირის შთაბეჭდილებები გაუზიარა, ილაპარაკა თავის ილუზორულ გეგმებზე, რომელიც ომის ჭრილობების მოშუშების შემდეგ ინგლისის ანტილიებთან ვაჭრობის აღდგენას, განათლების სისტემის მოწესრიგებას და ხელოვნების მსახურთა წახალისებას ითვალისწინებდა, რათა ეს კოლონიური გარეუბანი მსოფლიოს დასწეოდა.

„განახლების ეპოქა იწყება“, თქვა.

ეპისკოპოსი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რა იოლი იყო მიწიერი მმართველობა, აკანკალებული საჩვენებელი თითი დელაურასკენ გაიშვირა და ისე, რომ მისთვის არც შეუხედავს, მეფისნაცვალს უთხრა:

„აქ მსგავსი სიახლეების მცოდნე პადრე კაიეტანო გახლავთ“.

მეფისნაცვალმა თითს თვალი გააყოლა და დაბნეულ გამოშეტყველებაზე გაყინულ, დაუხამხამებლად მზირალ თვალებს წააწყდა.

„ლაიბნიცი წაგიკითხავთ?“ ჰკითხა გულწრფელი ინტერესით.

„დიახ, თქვენო ბრწყინვალეზავ, უპასუხა დელაურამ და დააზუსტა: მოვალეობის გამო“.

ვიზიტის ბოლოს ცხადი გახდა, რომ მეფისნაცვალს სიერვა მარიას ბედი აინტერესებდა. თვით ბავშვისა და ხოსეფა მირანდას დასამშვიდებლად, აღნიშნა. „ყველა საბუთი ჯერ კიდევ არ ვაგვანია, მაგრამ მონასტრის ოქმებს თუ დავუჯერებთ, საბრალო ბავშვის სულს დემონი დაუფლებია, თქვა ეპისკოპოსმა, და ხოსეფა მირანდამ ეს ჩემზე უკეთ იცის“.

„მას მიაჩნია, რომ სატანის მახეში გაებით,“ თქვა მეფისნაცვალმა.

„მარტო ჩვენ კი არა, მთელი ესპანეთი, უპასუხა ეპისკოპოსმა, ამხელა ოკეანე გადმოვსერეთ, რათა ქრისტეს სჯული დაგვენერგა და მივადწიეთ კი-“

დევ ამას მესაზე, პროცესიებზე, საეკლესიო დღესასწაულზე, მაგრამ არა აღამიანთა სულებში“.

ილაპარაკა იუკატანზე, სადაც წარმართთა პირამიდების ადგილას დიდებული ტაძრები ააგეს და ვერც კი ხედებოდნენ, აბორიგენები მხოლოდ იმით დადიოდნენ მესაზე, რომ სამლოცველოთა ქვეშ თავიანთი წმინდანები ეგულებოდნენ. ისაუბრა კონტინენტის დაპყრობის შემდეგ აღრეულ სისხლზე, მწიკნელები ინდიელებს შეერივნენ, მათი ნაჯვარი — ყველა ჯურის ზანგებს, თუ მათ მანძიგობებსა და მუსულმანებსაც კი, და ნუთუ ყოველივე ეს შეიძლება საღვთო სჯულის კანონებში ჩაეტიოსო, დაინტერესდა. გახშირებული სუნთქვისა და ბებრული ხველების მიუხედავად, ისე დაამთავრა საუბარი, მეფისნაცვალს სიტყვა არ ჩააგდებინა.

„რას უნდა მივაწეროთ ასეთი მდგომარეობა, თუ არა სატანის მახეს?“ იკითხა.

მეფისნაცვალმა დამუნჯებულს ჰგავდა.

„ძალზე გასტყდომია გული თქვენს უწმინდესობას“, თქვა ბოლოს.

„ამ კუთხით ნუ შეხედავთ, თქვენო ბრწყინვალეებო, თქვა ეპისკოპოსმა კეთილგანწყობით, მსურს უკეთ დაგანახოთ რწმენის ძალა და ის მსხვერპლი, რასაც ამ ხალხისთვის ვიღებთ“.

მეფისნაცვალმა საუბრის მთავარ თემას მიუბრუნდა.

„რამდენადაც ვიცი, ხოსეფა მირანდას პრობლემები პრაქტიკული ხასიათისაა, თქვა, ფიქრობს, რომ სხვა მონასტერში უკეთესი პირობებია ასეთი რთული შემთხვევის გამოსაკვლევად“.

„მაშ, იცოდეს თქვენმა ბრწყინვალეებო, რომ სანტა კლარას მონასტერი უყოყმანოდ ავირჩიეთ, ხოსეფა მირანდას ძალაუფლების, ავტორიტეტისა და კეთილგანწყობის წყალობით, თქვა ეპისკოპოსმა, „და უფალმა იცის, რომ მართლები ვართ“.

„შემიძლია ასევე გადავცე?“ იკითხა მეფისნაცვალმა.

„თვითონვე მშვენივრად მოეხსენება, თქვა ეპისკოპოსმა, მხოლოდ ის მაწუხებს, რატომ ვერ ბედავს ამის დაჯერებას“.

უცებ ასთმის ისეთი შეტევა დაემართა, რომ ვიზიტი სასწრაფოდ დაასრულა. ბოლოს აღუთქვა, რომ აუცილებლად გულდასმით შეისწავლიდა აბატი ქალის წერილობით წარმოდგენილ მოთხოვნებს, როგორც კი ჯანმრთელობა ამის საშუალებას მისცემდა. მეფისნაცვალმა მადლობა მოახსენა და ხაზგასმული თავაზიანობით დაემშვიდობა. მასაც დიდი ხნის მანძილზე სტანჯავდა ასთმა და ეპისკოპოსს თავისი ნაცადი ექიმების სამსახური შესთავაზა. მაგრამ მასპინძელმა უარი უთხრა:

„ჩემი ამბავი უკვე ღვთის ხელშია, თქვა, ჩემს ასაკში აღესრულა უწმინდესი ქაღალდი“.

მისალმებისგან განსხვავებით, დამშვიდობება ხანგრძლივი და ცერემონიული იყო. სამმა მღვდელმა, მათ შორის დელაურამ, სტუმარი ბნელ დერეფნებში გააცილა მთავარ შესასვლელამდე, მეფისნაცვლის მცველები გადაჯვარედინებული ალაბარდებით აკაკებდნენ მათხოვრებს. ეტლში ჩაჯდომამდე მეფისნაცვალმა საჩვენებელი თითით მოიხმო დელაურა და უთხრა:

„არ დამაუიწყო შენი ცივი“.

1. ალაბარდა — იარაღის ნაირსახეობა.

ფრაზა იმდენად მოულოდნელი და იდუმალი აღმოჩნდა, რომ დელაურამ პასუხად რევერანსის მეტი ვერაფერი მოახერხა.

მეფისნაცვალს მონასტრისკენ გაემართა, რათა ხოსეფა მირანდასათვის ვიზიტის შედეგები მოეხსენებინა. რამდენიმე საათის შემდეგ უკვე გასამგზავრებლად გამზადებულმა, მეუღლის თხოვნის მიუხედავად, მარტინა კლუბურდეს შეწყალებაზე უარი უთხრა, რადგან იფიქრა, ამით ცუდ მაგალდებს შესცემდა დანარჩენ პატიმრებს.

დაბრუნებულ დელაურას ეპისკოპოსი წინ წახრილი და თვალდახუჭული დახვდა, იგი დიდი ძალისხმევით ცდილობდა ხორხიდან მოძავალი სტვენის ჩახშობას. დანარჩენი მღვდლები ფეხისწვერებზე გაიკრიფნენ, როცა ეპისკოპოსმა თვალი გაახილა, კედელთან ჩამწკრივებული ცარიელი სკამები და კაიეტანო დაინახა.

„გვინახავს ოდესმე ასეთი კარგი კაცა?“ იკითხა ხმდაბლა.

დელაურამ ორაზროვანი ფესტით უპასუხა. ეპისკოპოსი წვალებით წამოიწია და სანამ სუნთქვას მოიწესრიგებდა, სახელურს დაეყრდნო, არ უვახშმია. კაიეტანომ სასწრაფოდ აუნთო სანათური და საწოლ ოთახამდე მიაცილა.

„ცუდად დავხვდით მეფისნაცვალს“, თქვა ეპისკოპოსმა.

„კარგად რატომ უნდა დავხვედროდით? იკითხა დელაურამ, ოფიციალური თხოვნის გარეშე ეპისკოპოსთან სტუმრობის უფლება არავის აქვს“.

ეპისკოპოსი არ დაეთანხმა და თავისი აზრი ხელის აქნევით გამოხატა.

„ჩემი კარი ეკლესიის კარია და ისიც ძველი ქრისტიანივით მოიქცა“, თქვა, ცუდად მე მოვიქეცი ავადყოფობის გამო და როგორმე უნდა გამოვასწორო“, საძინებლის კართან ტონი და თემა შეცვალა და დელაურას მხარზე ხელის დაკვრით დაემშვიდობა. „ამალამ ღმერთს ჩემი თავი შეავედრეთ, უთხრა, ვფიქრობ უსასრულო დამე მელის“.

მართლაც კინაღამ სული ამოხადა ასთმის შეტევამ, ვიზიტის დროს რომ დაეწყო. არც ღვინის ქვის წამალმა უშველა, არც სხვა ნაცადმა საშუალებებმა. იძულებულნი გახდნენ სისხლი გამოეშვათ. განთიადისას ხასიათზე მოდგა. კაიეტანო დამეს მისი ოთახის გვერდით ბიბლიოთეკაში ათევედა, მაგრამ არაფერი გაუგია. ის იყო დილის ღოცვას შეუდგა, რომ ეპისკოპოსის ოთახში გამოიძაგახეს. ეპისკოპოსი საწოლში საუზმობდა ცხელი შოკოლადით, პურით და ყველით, ახალი საბერველივით ქშინავდა და ხვნეშიოდა. კაიეტანო შეხედვისთანავე მიხვდა, რომ გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა.

ასეც იყო. აბატი ქალის თხოვნის მიუხედავად, სიერვა მარია სანტა კლარაში რჩებოდა, ხოლო ეპისკოპოსის სრული ნდობით აღჭურვილი კაიეტანო დელაურა მასზე ზრუნვას გააგრძელებდა. ბაეშვს ციხის რეჟიმს მოუხსნიდნენ და დანარჩენი მონაზვნებივით იცხოვრებდა. ეპისკოპოსი ძაღლობას უთვლიდა ხოსეფა მირანდას მოწოდებული ოქმებისათვის, მაგრამ ვინაიდან არც ისინი გამოდგებოდნენ უტყუარ მტკიცებად, ექსორცისტი საკუთარი შეხედულებისამებრ განაგრძობდა მოქმედებას. ბოლოს, დელაურას უბრძანა მარკიზი მოენახა და სანამ თვითონ მომჯობინდებოდა, მისი სახელით ესაუბრა კაცთან.

„სხვას არაფერს დაგავალე, დაასრულა ეპისკოპოსმა, ღმერთმა დაგლოცოს“.

გულაჩქროლებულმა კაიეტანომ მონასტერში გასწია, მაგრამ სიერვა მარია თავის საკანში ვერ იპოვა, მისაღებ დარბაზში აღმოაჩინა კოჭებამდე თმაგაშლილი და ნამღვილი სამკაულებით მორთული, ზანგური სიდინჯით რომ ახატვინებდა თავს მეფისნაცვლის ამაღლის ცნობილ პორტრეტისტს. გარდა იმისა,

რომ უსაშველოდ ღამაში იყო, გასაოცარი მიხედვით ასრულებდა ოსტატის მითითებებს. კაიეტანო ექსტაზში ჩავარდა. თვითონ სიბნელეში იდგა და არ ჩანდა, სამაგიეროდ სიერვა მარიას ცქერით იჯერა გული და ეჭვის ნასახიც აღარ დარჩენია.

ცხრა საათზე პორტრეტი მზად იყო. მხატვარმა შორიდან შეათვალიერა ნამუშევარი, ორი-სამი შტრიხი დაუმატა და ხანამ ხელს მოაწერდა. სიერვა მარიას სთხოვა ენახა. ნახატზე გამოსახული ბავშვი ძალიან ჰგავდა ორიგინალს, ღრუბლებზე იდგა და გარს მორჩილ ეშმაკთა გუნდი ეხვია. გოგომ ხმისამოუღებლად შეათვალიერა თავის გამოსახულება და ბოლოს თქვა:

„სარკესავითაა“.

„ეშმაკებიც ჰგვანან?“ იკითხა მხატვარმა.

„ზუსტად ასეთები არიან“, უპასუხა ბავშვმა.

სეანსის დამთავრების შემდეგ კაიეტანომ მიაცილა საკნამდე. მანამდე გავლილი არ ენახა და აღმოაჩინა, რომ გოგო ისევე მოხდენილად დადიოდა, როგორც ცეკვაავდა. იქამდე მხოლოდ პატიმრის ხალათში ჰყავდა ნანახი და დედოფლის ტანსაცმელში გამოწყობილი რომ იხილა, მიხვდა, როგორ დაქალებულიყო მისი ოცნების ბავშვი. პირველად გაიარეს ერთად და კაიეტანომ ჩათვალა, რომ უხდებოდნენ ერთმანეთს.

საკანიც გადასხვაფერებულიყო მეფისნაცვალის გულის მოსაგებად, რომელმაც გამგზავრებამდე ხოსეფა მირანდა დაარწმუნა ეპისკოპოსის კეთილგანწყობაში. საწოლზე ახალი ლეიბი, ბუმბულის ბალიში და ტილოს საბანი დაეცოთ, კუთხეში კი ღამის ქოთანის და პირსაბანის ტაშტი მიედგათ. ფანჯრიდან შემოჭრილი ზღვის ნათება კირით ახლად შეთეთრებულ კედელზე ლიცლიცებდა. მას შემდეგ, რაც სიერვა მარიასაც ჩვეულებრივი მონაზვნის ულუფა დაუნიშნეს, კაიეტანოს მოტანილი საჭმელი საჭირო აღარ იყო, თუმცა კაცი მაინც ახერხებდა კონტრაბანდად ტკბილეულის შეპარებას. სიერვა მარიამ დააპირა სტუმრისთვისაც გაეყო კერძი, დელაურამ ბისკვიტი გასინჯა, რომლითაც მონასტრის სამზარეულომ საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ვახშობისას სიერვა მარიამ სხვათაშორის თქვა:

„თოვლი ვნახე“.

კაიეტანო არ შემოფოთებულა. ერთხელ მოუყვა მეფისნაცვალზე, რომელმაც პირანეებიდან გადაწყვიტა თოვლის ჩამოტანა აბორიგენთათვის, რადგან არ იცოდა, რომ სანტა მარტას სიერვა ნევადა თოვლით იყო სავსე. ადვილი შესაძლებელი იყო, დონ როდრიგო დე ბუენ ლოსანოს მოეხერხებინა ამის გაკეთება.

„არა“, თქვა ბავშვმა, „სიზმარში ვნახე“.

მოუყვა, როგორ იჯდა ფანჯარასთან, გარეთ გადაუღებლად თოვდა, თვითონ კი კალთაში ყურძნის მტევანი ედო და სათითაოდ აცლიდა კუმბლებს. დელაურას შიშით გააცია და სავარაუდო პასუხით შემოფოთებულმა ძლივს გაბედა შეკითხვა.

„როგორ დამთავრდა?“

„მეშინია ვიპასუხო“, თქვა სიერვა მარიამ.

კაცს არ დაუძალებია. თვალები დახუჭა და მისთვის ილოცა. ლოცვის შემდეგ გადასხვაფერდა. „ნუ გეშინია“, უთხრა, „ვპირდები, რომ სულ მალე ბედნიერი და თავისუფალი იქნები, სულიწმინდას შემწეობით“.

ბერნარდამ კარგა ხანს არ იცოდა სიერვა მარიას მონასტერში გამწეების ამბავი. სრულიად შემთხვევით შეიტყო ერთ ღამეს, როცა დულსე ოლივიას წააწყდა. ქალი სახლს ჰკვიდა და ბერნარდამ მორიგ პალუცინაციად ჩათვალა. რაცი-

ონალური პასუხის ძიებაში ოთახ-ოთახ გაჩხრიკა სახლი და მიხვდა, რომ სიერვა მარია არსად შეხვედრია. კარიდად დელ კობრემ რაც იცოდა, ყველაფერი უთხრა: „სენიორ მარკიზმა გაგვაფრთხილა, რომ ბავშვი შორს გაემგზავრა და ველარასოდეს ვიხილავთ“.

ქმრის საწოლი ოთახი განათებული იყო და ბერნარდა დაუკავუნებლად შევიდა.

მარკიზი ჰამაკში იწვა და ირგვლივ მოსკიტების დასაფრთხობად დამწვარი ნეხვი ხრჩოლავდა.

აბრეშუმის ხალათში გამოწყობილი ქალი ისეთი ფერმკრთალი და ნალვლიანი ჩანდა, რომ შორიდან ჩამოსულს ჰგავდა და კაცს მოჩვენება ეგონა. ბერნარდამ სიერვა მარია მოიკითხა.

„დიდი ხანია ჩვენთან აღარ არის“, უპასუხა მან.

ქალმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და უახლოეს სკამზე ჩამოჯდა.

„იმის თქმა გსურთ, რომ აბრენუნსიომ თავისი საქმე გააკეთა?“ იკითხა.

„ღმერთმა დაგვიფაროს“, პირჯვარი გადაიწერა მარკიზმა და სიმართლე მოუყვა. აქამდე იმიტომ არაფერი გაცნობეთ, რომ თქვენივე სურვილის მიხედვით, ბავშვს მკვდარივით ვექცეოდით. ბერნარდამ ისეთი ყურადღებით მოუსმინა, თორმეტწლიანი თანაცხოვრების მანძილზე რომ არ გაუკეთებია.

„ვიცილი, რომ სიცოცხლის ფასად დამიჯდებოდა“, თქვა მარკიზმა, „მაგრამ ჩემი სიცოცხლე მისას ვანაცვალე“.

ბერნარდამ ამოიოხრა.

„ესე იგი, ჩვენი სირცხვილის ამბავი ახლა ქვეყანამ იცის“, თქვა. ქმარს ცრემლი შენიშნა წამწამებშუა და კანკალმა ნაწლავებში დაუარა. მარკიზმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, ჰამაკიდან წამოდგა, ცოლის წინ დაემხო და უძღური მოხუცის ქვითინი აუვარდა. მწველმა ცრემლებმა აბრეშუმის ხალათში გაუონა და ქალს ბარძაყები დაუსველა. მაშინ აღიარა, რომ მართალია მთელი არსებით სძულდა სიერვა მარია, მაგრამ მაინც გულზე მოეშვა, როცა გაიგო, ცოცხალიაო.

„ყოველთვის ყველაფრის გაგება შემეძლო, სიკვდილის გარდა“, თქვა.

ისევ თავის ოთახში ჩაიკეტა კაკაოს და თაფლის ანაბარა და ორი კვირის შემდეგ რომ გამოვიდა, მოარულ გვამს ჰგავდა. მარკიზმა დილიდან შეამჩნია შეკრული ბარგი, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, სანამ მზე დააჭერდა, დაინახა როგორ გავიდა ბერნარდა პატიოდან ორი თვინიერი ჯორით — ერთზე თვითონ იჯდა, მეორეს — ბარგი მიჰქონდა. ბევრჯერ წასულა ასე, მეჯორეთა და მონათა გარეშე, უმიზეზოდ და დაუმშვიდობებლად, მაგრამ მარკიზი მიხვდა, რომ ამჯერად უკან აღარ დაბრუნდებოდა, რადგან სხვა ბარგთან ერთად ოქროთი სავსე თიხის ორი ქოთანიც მიჰქონდა, რომლებიც წლების მანძილზე საწოლქვემ ჰქონდა დაფლული.

ჰამაკში მიწოლილ მარკიზს მონათა შიში განუახლდა და დღისითაც აუკრძალა მათ სახლში შესვლა. ამიტომ ეპისკოპოსის დავალებით მისულ კაიეტანო დელაურას თვითონვე მოუხდა ჭიშკრის გაღება, რადგან კაკუნზე არავინ გამოხმაურებია. დაბმული ძაღლები აყეფდნენ, მაგრამ სტუმარი არ შეჩერებულა. ბაღში დაკიდულ ჰამაკში არაბულ მოსასხამში გახვეულ მარკიზს ეძინა. ტოლედოური ქუდი ეხურა და მთელი ტანი ფორთოხლის ყვაილებით ჰქონდა დაფარული. დელაურა უსიტყვოდ დააკვირდა და დაასკვნა, რომ მარტობით განადგურებული და დაბერებული სიერვა მარიაც ასეთი იქნებოდა. მარკიზმა გაიღვი-

და და ძლივს იცნო თვალახვეული სტუმარი. დელაურამ კეთილი ნების გამოსახატავად ორთითგაშლილი ხელი აუწია.

„დმერთმა გიშველოთ, სენიორ მარკიზო“, თქვა „როგორ ბრანდებორ?“ „აქ ვლპები“, უპასუხა მარკიზმა.

გამხდარი ხელით სიესტის აბლაბუდა გასწია და ჰამაკში წამოიწია. კაიეტანომ დაუპატიჟებლად სტუმრობისათვის ბოდიში მოუხადა, მარკიზმა აუხსნა, რომ კარის ჩაქუნს აღარავინ აქცევდა ყურადღებას, რადგან კარგა ხანი იყო, სტუმარი არ მიუღია. დელაურა დინჯად ალაპარაკდა. „ასთმით გატანჯულმა და დაუძღურებულმა ებისკოპოსმა მე გამომაგზავნა თქვენთან სასაუბროდ“. ოფიციალური შესავლის დამთავრების შემდეგ, ჰამაკთან ჩამოჯდა და იმ საკითხზე გადავიდა, შიგნეულს რომ უღრღნიდა.

„მსურს გაცნობოთ, რომ თქვენი ქალიშვილის ჯანმრთელობა მე მომანდეს“, თქვა.

მარკიზმა მადლობა მოახსენა და დაინტერესდა, როგორ არისო.

„კარგად, თქვა დელაურამ, მაგრამ მსურს ჩემი დახმარებით უკეთ იყოს“.

შემდეგ ეგზურციზმის აზრი და მეთოდები აუხსნა. ესაუბრა ძალაუფლებაზე, რომელიც იესომ თავის მოწაფეებს უბოძა, რათა მათ სხეულებში ჩასახლებული ბოროტი სულები განედევნათ და ავადმყოფები განეკურნათ. ორი ათასი მოჯადოებული ღორის ამბავიც მოუყვა: თუმცაო, დაასკვნა, ჯერ საბოლოოდ არ დაგვიდგენია, მართლა ეშმაკეულია სიერვა მარია თუ არაო. თვითონ ეს არ სჯეროდა, მაგრამ ეჭვების გასაფანტად მარკიზის დახმარებას საჭიროებდა. უპირველეს ყოვლისა აინტერესებდა, როგორი იყო ბავშვი მონასტერში მოხვედრამდე.

„არ ვიცი“, თქვა მარკიზმა, „რაც მეტად ვეცნობოდი, მით ნაკლებად მესმოდა მისი“.

სინდისი ქენჯნიდა, რომ ბავშვი თავის დროზე მონების ანაბარა მიაგდო. ამით ხსნიდა მის დუმილს, რაც თვეობით გრძელდებოდა ხოლმე, ირაციონალური ძალადობის გამოვლენებს და სხვადასხვაგვარ ხრიკებს, როცა, მაგალითად, სიერვა დედამისის მიერ მისთვის მაჯაზე შებმულ ზანხალაკებს კატებს აბამდა, მაგრამ ვერაფრით გაეგო, რატომ ცრუობდა ბავშვი ასეთი სიამოვნებით.

„ზანგებივით“, თქვა დელაურამ.

„ზანგები ჩვენ გვატყუებენ, ერთმანეთს კი არა“, — თქვა მარკიზმა. საწოლ ოთახში დელაურამ ბებიის ნაქონი ნივთებიდან თვალის ერთი შევლებით გამოარჩია სიერვა მარიას ახალი სათამაშოები: მოსამართი თოჯინები, მოცეკვაკეები და მუსიკალური ყუთები. საწოლზე ხელუხლებლად იდო მარკიზის მიერ მონასტერში წასაღებად გამზადებული ჩანთა. კუთხეში დამტკვრილი ბარათი ჩანდა. მარკიზმა აუხსნა, რომ მოდიდან გადასული იტალიური ინსტრუმენტი იყო და სიამაყით მოუყვა, რა იოლად აითვისა სიერვამ დაკვრა. დაბნეულმა დაიწყო ინსტრუმენტის აწყობა და ის სიმღერა შეასრულა, შვილთან ერთად რომ მღეროდა.

უცებ ყველაფერი ცხადი შეიქნა, დელაურას მუსიკამ უთხრა ის, რისი თქმაც მარკიზმა ვერ მოახერხა. მასპინძელი კი ისე შეძრა ნაცნობმა მელოდიამ, რომ სიმღერის დამთავრება ვერ შესძლო.

„ვერ წარმოიდგენთ, როგორ უხდებოდა ქუდი“, ამოიოხრა.

მღელვარება დელაურასაც გადაედო.

„ვხედავ, რომ ძალიან ვიყვართ“, თქვა.

„ვერ წარმოიდგენთ, როგორ“, უპასუხა მარკიზმა, „სულს დავთმობდი, ოღონდ მენახა“.

დელაურამ კიდევ ერთხელ იგრძნო სულიწმიდის იქ ყოფნა.

„იოლი იქნება,“ თქვა, „თუკი დავამტკიცებთ, რომ ეშმაკეული არ არის“.

„აბრენუნსიოს ველაპარაკე“, თქვა მარკიზმა, „ის თავიდანვე ამბობდა სიერვაზე, ჯანმრთელიაო, ოღონდ მხოლოდ თვითონ შეუძლია ამისი ახსნა“.

დელაურა შეყოყმანდა. აბრენუნსიოს შეეძლო მისი ხსნა, მაგრამ მასთან საქმის დაჭერას აღბათ არასასურველი მოთქმა-მოთქმა მოუხდებოდა მარკიზი მიუხედავად.

„დიდი კაცია“, თქვა.

დელაურამ მრავლისმეტყველად დაიქნია თავი.

„ვიცნობ წმინდა ინკვიზიციის აქტებს“, თქვა.

„სიერვას დასაბრუნებლად ნებისმიერ მსხვერპლზე თანახმა ვარ“, თქვა მარკიზმა და, რახან დელაურას არაფერი გამოუხატავს, დაამატა: „უფლის სახელით გვედრებით“.

„ნულა მტანჯავთ, თუ ღმერთი გწამთ“, წამოიყვირა გულშეკუმშულმა დელაურამ.

მარკიზს აღარ გაუგრძელებია. საწოლიდან ჩანთა აიღო და სტუმარს სთხოვა ბავშვისათვის წაეღო.

„ეცოდინება მაინც, რომ მასზე ვფიქრობ“, თქვა.

დელაურა დაუმშვიდობებლად გაიქცა. ჩანთა მოსასხამში დამალა, რომელშიც თვითონ გახვეულიყო, რადგან გადაუღებლად წვიმდა. გვიან მიხვდა, რომ გულში ბარბითის სიმღერების თამამ ტექსტებს იმეორებდა და წვიმის წყლით გაწუწულმა ხმამაღლა დაასრულა სიმღერა. ხელისაჩნა უბანში მარცხნივ შეუხვია და სიმღერით დააკაკუნა აბრენუნსიოს კარზე.

კარგა ხანი ჩამიჩუმი არ ისმოდა, ბოლოს ათრეული ნაბიჯების ხმა გაისმა და ნამძინარემა ხმამ იკითხა:

„ვინ არის?“

„კანონი“, უპასუხა დელაურამ, რადგან თავის სახელის დასამალად ამის მეტი ვერაფერი მოიფიქრა. აბრენუნსიომ მთავრობის ხალხის ძოლოდინში კარი გააღო და სტუმარი ვერ იცნო.

„საეპარქიოს ბიბლიოთეკაში ვარ“, თქვა დელაურამ.

ექიმმა ბნელ დერეფანში გზა დაუთმო, სველი მოსასხამის გახდაში დაეხმარა და ჩვეულებისამებრ ლათინურად ჰკითხა:

„ეგ თვალი რომელ ბრძოლაში დაჰკარგეთ?“

დელაურამ თავისი კლასიკური ლათინურით უამბო მზის დაბნლების ამბავი და დაწვრილებით აუხსნა, როგორ დააჯვრა ეპისკოპოსის ექიმმა, სახვევი უებარი საშუალებათაო, მაგრამ აბრენუნსიომ მხოლოდ მის უნაკლო ლათინურს მიაქცია ყურადღება.

„უხინჯოდ ლაპარაკობთ,“ თქვა გაოცებულმა, „სად ისწავლეთ?“

„ავილაში“, მიუგო დელაურამ.

„მით უფრო დასაფასებელია“, თქვა ექიმმა.

სუტანა და სანდლები გახადა, გასაშრობად დააწყო და ტალახში ამოსერილ წინდებზე თავისი მოსასხამი წააფარა. შემდეგ თვალის სახვევი მოხსნა და სანაკვეში მოისროლა.

„ამ თვალის ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ საჭიროზე მეტს ხედავს“, თქვა.

დელაურა გააოცა ოთახში დახვავებული წიგნების სიმრავლემ. აბრენუნსიომ ეს შეამჩნია, აფთიაქში შეუძღვა და ჭერამდე აკოლიკებული წიგნებით სავსე თაროები უჩვენა.

„ღმერთო დიდებული,“ აღმოხდა დელაურას, „პეტრარკას ბიბლიოთეკა“.

„აქ ორასი წიგნით შეტია“, დააზუსტა აბრენუნსიომ.

სტუმარმა გულდასმით დაათვალიერა იქაურობა. ზოგიერთი იშვიათი გამოცემა ესპანეთში შეიძლება თავისუფლების დაკარგვადაც დასჯდომოდა მის პატრონს. დელაურა იცნობდა ამ წიგნებს, ცდუნებასაყოლილი ფურცლები და სულატიკივებული ისევე თაროზე აწყობდა. საპატიო ადვილას ვოლტერის სტრასბურგის ენაზე გამოცემულ თხზულებათა სრული კრებული მოეთავსებინათ. იქვე იყო ლათინურად ნათარგმნი „ფილოსოფიური წერილები“.

„ვოლტერის ლათინურად თარგმნი ღვთის გმობა“, იხუმრა დელაურამ.

აბრენუნსიომ აუხსნა, რომ ნაწარმოები ერთ კომბრელ ბერს ეთარგმნა, რომელიც პილიგრიმებისთვის ამზადებდა ხოლმე იშვიათ წიგნებს. სანამ დელაურა წიგნს ფურცლავდა, ექიმმა ჰკითხა, ფრანგული თუ იცითო.

„არ ვლაპარაკობ, მაგრამ ვკითხულობ,“ უპასუხა დელაურამ ლათინურად და ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე დაამატა: „ამას გარდა ბერძნული, ინგლისური, იტალიური, პორტუგალიური და ცოტა გერმანული ვიცი.“

„ვოლტერზე რომ თქვით, იმიტომ დავინტერესდი“, თქვა აბრენუნსიომ, „უნაკლო პროზა აქვს“.

„სამწუხაროა, რომ ფრანგია“, თქვა დელაურამ.

„ასე იმიტომ გგონიათ, რომ თვითონ ესპანელი ხართ“, თქვა ექიმმა.

„ჩემს ასაკში და ასეთი აღრეული სისხლით, იმის თქმაც მიჭირს, სადაური ვარ, ან ვინ ვარ“, თქვა დელაურამ.

„ამ ქვეყანაში ეს არავინ იცის,“ შენიშნა აბრენუნსიომ, „მაგის გამოკვლევას საუკუნეები დასჭირდება“.

დელაურა ბიბლიოთეკის თვალიერებას განაგრძობდა. უცებ, როგორც ხშირად ემართებოდა ხოლმე, ის წიგნი გაახსენდა, სემინარიის რექტორმა რომ წართვა თორმეტი წლისას და რომლიდანაც მხოლოდ ერთი ნაწივეტი ახსოვდა. ამ ნაწივეტს ყველას უყვებოდა, ვისაც მისი აზრით, დახმარება შეეძლო.

„სათაური გახსოვთ?“ ჰკითხა აბრენუნსიომ.

„სათაური არც არასოდეს ვიცოდი,“ თქვა დელაურამ, „რას არ მივცემდი, ოღონდ დასასრული გამეყო“.

ექიმმა გაუწოდა წიგნი, რომელიც დელაურამ თვალის ერთი შევლევით იცნო. ეს იყო ძველი, სევილიური გამოცემა რომანისა „უძლევეამოსილესი და უქველესი რაინდის, ამადის გალელის თავგადასავალი ოთხ წიგნად“. აცახცახებულმა დელაურამ წიგნი გადაფურცლა და იგრძნო, რომ ძალე მის ხსენს კერავინ შესძლებდა. ბოლოს გაბუდა.

„იცით, რომ ეს წიგნი აკრძალულია?“ იკითხა.

„ისევე როგორც იმ საუკუნის საუკეთესო რომანები,“ თქვა აბრენუნსიომ, „იმათ ნაცვლად ახლა მეცნიერულ დოქტრინებს ბეჭდავენ. საწყალ ხალხს ისღა დარჩენია, ჩუმად იკითხოს სარაინდი რომანები“.

„რატომ, არ დაეთანხმა დელაურა, „კიხობტეს“ ასი ეგზემპლარი, მაგალითად გამოცემისთანავე ჩამოიტანეს ჩვენთან“.

„ხალხამდე არც მიულწევი,“ თქვა აბრენუნსიომ, „საბაეოს გამოსცდა და სხვადასხვა სამეფოებში დაგზავნეს“.

1. იგულისხმება სერვანტესის „დონ კიხობტე“, რომელიც ჩვენში არასწორი ტრანსკრიფციით — დონ კიხობტი — დამკვიდრდა.

დელაურა აღარ შედავებია, რადგან „ამადის გალელის“ შესანიშნავი ეგზემპლარი იცნო.

„ეს წიგნი ცხრა წლის წინ გაქრა ჩვენი ბიბლიოთეკის საიდუმლო საცავიდან და მის კვალსაც ვერ მივაგენით“, თქვა.

„უნდა მივმხვდარიყავი“, აღნიშნა აბრენუნსიომ, „მაგრამ ამ წიგნს კიდევ ერთი ისტორიული დირებულება აქვს: ერთი წლის მანძილზე დაახლოებით თერთმეტი მფლობელი გამოიცვალა და მათგან, სულ ცოტა, სამი გარდაიცვალა. დარწმუნებული ვარ, რაღაც უცნაური შხამის წერა გახდნენ“.

„ჩემი ვალია, ამ წიგნის შესახებ წმინდა ინკვიზიციას ვაცნობო“, თქვა დელაურამ.

აბრენუნსიომ ხუმრობაში გაატარა.

„ღვთის საგმობი არაფერი მითქვამს“, გამოაცხადა.

„თქვენ აკრძალულ წიგნს ინახავთ“, აუხსნა დელაურამ.

„წიგნებს“ დაახუსტა აბრენუნსიომ და გაძეძგილ თაროებზე მიუთითა, „მაგრამ ეს რომ გდომოდათ, კარგა ხნის წინ მოხვიდოდით, მე კი კარს არ გაგიღებდით“, თქვა, დელაურასკენ შებრუნდა და გაღიმებულმა დაამატა: „მიხარია, რომ სწორედ დღეს მესტუმრეთ“.

„თქვენთან თავისი ქალიშვილის ბედით შეწუხებულმა მარკიზმა გამოძავზავნა“, თქვა დელაურამ.

აბრენუნსიომ სტუმარი დასვა და, სანამ აპოკალიფსური ჭექა-ქუხილი ზღვას აზანზარებდა, დაწვრილებით და ჭკვიანურად ესაუბრა კაცობრიობის ისტორიის დასაბამიდან აღმოჩენილ ცოფის შემთხვევებზე, მის სავალალო შედეგებზე და მედიცინის უძლურობაზე ამ უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში. დაასახელა მარღვებში სისხლისგამყინავი მაგალითები, თუ როგორ აიგივედნენ ცოფის, სიგიჟისა და სხვა სულიერი დაავადებების ნიშნებს ეშმაკეულთან. რაც შეეხება სიერვა მარიას, დაკბენიდან 150 დღის შემდეგ შეუძლებელი იყო ცოფი შეჰყროდა. ერთადერთ საშიშროებას მისთვის ექსორცირების სისასტიკე წარმოადგენსო, დაასკვნა.

ბოლო წინადადება დელაურას გადაჭარბებულად მოეჩვენა, მაგრამ არ შეჰკამათებია, რადგან ისიც სიერვა მარიას დასაცავად იყო განწყობილი. თქვა, რომ სამ აფრიკულ ენას, რომლებიც ასე განსხვავდებოდნენ ესპანურისა და პორტუგალიურისგან, საერთო არაფერი ჰქონდათ სატანასთან, რის დამტკიცებასაც ცდილობდნენ მონასტერში. ბავშვი ფიზიკურად ძლიერი იყო, მაგრამ არავითარ მიღმიურ ძალას არ ფლობდა. არც მისი ამაღლება უნახავს ვისმეს, არც ვისიმე მოძავეალი უწინასწარმეტყველებია, რაც იმას ნიშნავდა, რომ არც წმინდანთან ჰქონდათ საქმე. დელაურამ ძმობის წევრებსაც მიმართა დასახმარებლად, მაგრამ ვერც მათ გაბედეს მონასტრის ოქმების უარყოფა და ხალხში გამჯდარი რწმენის გაქარწყლება. ისიც ცხადი იყო, რომ ვერც თავისი, ვერც აბრენუნსიოს არგუმენტებით სიმართლეს ვერ დაამტკიცებდა.

„მე და თქვენ ყველას წინააღმდეგ დავრჩებით“, თქვა დელაურამ.

„ამიტომაც გამიკვირდა თქვენი ვიზიტი“, მიუგო აბრენუნსიომ, „მე მხოლოდ მიწის პატარა ნაკლეჯი მეკუთვნის წმინდა ინკვიზიციის სასაფლაოზე“.

„მართალი გითხრათ, წესიერად არც ვიცი, რატომ მოვედი,“ თქვა დელაურამ, „აღბათ ეს ბავშვი ჩემი რწმენის სიმტკიცის შესამოწმებლად სულიწმიდამ გამომიგზავნა“.

ამის თქმა იყო და გულზე მოეშვა. აბრენუნსიომ თვალეში ჩახედა, სულის სიღრმემდე ჩასწვდა და მიხედა, რომ ტირილს ცოტადა უკლდა.

„ახე ნუ განიცდით“, დაუყვავა, „აღბათ მხოლოდ იმიტომ მოხვედით, რომ მასზე ველაპარაკათ“.

დელაურამ გაშიშვლებულივით იგრძნო თავი. ადგა, კარისკენ გაიკვლია, გზა და მხოლოდ იმიტომ არ გაიქცა უკანმოუხედავად რომ სანახევროდ იყო ჩაცმული. აბრუნუნსით დაეხმარა სველი ტანსაცმლის მორგებაში, თან ცდილობდა სტუმარი საუბრის გასაგრძელებლად ცოტა ხნით მაინც შეეყოვნებინა.

„თქვენთან მომავალ საუკუნემდე შემიძლია ლაპარაკი“, უთხრა. სცადა თქვალის სამკურნალო, გამჭირვალე წვეთებით მოეხიბლა, ოთახში შეაბრუნა დაიწყებული ჩანთის მოსაძებნად, მაგრამ, ჩანდა, დელაურას აუტანელი ტკივილად უღრღნიდა სულს, ექიმს მადლობა გადაუხადა მიღებისა, სამედიცინო დახმარებისა და თვალის წვეთებისათვის. შეჰპირდა, რომ სხვა დროს მეტი ხნით შეუუვლიდა.

ვერაფრით მოურია სიერვა მარიას ნახვის სურვილს და მხოლოდ მონასტერთან მიხვდა, რომ დაღამებულიყო. გადაიდარა, მაგრამ ქუჩები დატბორილიყო და დელაურა კოჭებამდე წყალში მიტოპავდა. დარაჯმა მისი შეჩერება სცადა იმ მოტივით, რომ მალე მკვდარი საათი იწყებოდა, მაგრამ კაიეტანომ ხელით გასწია ქალი.

„სენიორ ეპისკოპოსის ბრძანებაა“, თქვა.

სიერვა მარიას შეშინებულს გაეღვიძა და სიბნელეში ვერ იცნო სტუმარი. დელაურამ არ იცოდა, რით აეხსნა ესოდენ გვიანი სტუმრობა და პირველივე მხსნელ აზრს ჩაებლაუჭა.

„მამაშენს შენი ნახვა სურს“, უთხრა.

გოგონამ იცნო ჩანთა და სახე ბრაზით წამოეწითო.

„მაგრამ მე არ მსურს“, უკმეხად მიუგო.

დაბნეულმა დელაურამ მიზეზი ჰკითხა.

„არ მინდა და მორჩა“, თქვა ბავშვმა, „მირჩევნია მოკვდე“.

დელაურამ ჯანსაღ ფეხზე შებმული თოკი მოხსნა, ეგონა, ასიამოვნებდა.

„გამეცალეთ“, უყვირა სიერვა მარიამ, „ნუ მეხებით“.

დელაურამ ყურადღება არ მიაქცია, გოგომ სახეში შეაფურთხა. კაცს თვალი არ დაუხამხამებია და მეორე ლოყა მიუშვირა. სიერვა მარიამ ისევ შეაფურთხა, დელაურამ ისევ შეუცვალა ლოყა და შიგნულში აკრძალული სიამოვნების სიტკბო იგრძნო. თვალები დახუჭა და, სანამ სიერვა მარია იფურთხებოდა, ლოცვა დაიწყო. გოგო მალე მიხვდა, რომ ამოდ ირჯებოდა. მაშინ დელაურას წინაშე ნამდვილი ეშმაკეული წარსდგა. სიერვა მარიას თმა თავისით აიფოფრა და მუღუზის საცეცებივით აღივლივდა ჰაერში, სანამ პირზე მწვანე დუქმომდგარი გოგო აფრიკულ ენებზე იღანძვებოდა, დელაურამ თავისი ჯვარცმა ამოიღო, ბავშვს სახეში მიუშვირა და შეშინებულმა იყვირა:

„დასტოვე ეს სხეული, ვინც უნდა იყო, ჯოჯოხეთის ურჩხული!“

მისმა ყვირილმა ისე გააცოფა სიერვა მარია, რომ კინაღამ თოკები აწყვიტა. შეშინებული დარაჯი ბავშვის დასამოშმინებლად საკანში შეიჭრა, მაგრამ ეს მხოლოდ მარტინამ შესძლო მისეული მეთოდით. დელაურა გაიპარა.

ეპისკოპოსი სწუხდა, რატომ არ გამოცხადდა დელაურა ვახშამზე საკითხავად, მაგრამ კაიეტანოს დანახვისთანავე მიხვდა, რომ იგი სხვა, საკუთარ განზომილებაში იმყოფებოდა და ამა თუ იმქვეყნიური საკითხები ნაკლებად აღარღებდა. დელაურა მხოლოდ ეშმაკის ძაღმოსილებით გამძვინვარებულ სიერვა მარიას ხედავდა. ბიბლიოთეკაში ჩაიკეტა, მაგრამ კითხვა ვერ შესძლო. განმტკიცებული რწმენით ილოცა, ბარბითზე გულჩახათუთქი სიმღერა შეასრულა,

თან ზეთივით ცრემლები გადმოღვარა. შემდეგ სიერვა მარიას ჩანთა გახსნა და შიგთავსი სათითაოდ ამოალაგა მაგიდაზე. ყველაფერი დაათვალიერა, ალტყინებულმა დაეცინა, შეიყვარა და აღვირახსნილი სიტყვები გზურზე და, სანამ ნდობა გაუსაძლისი არ შეიქნა. მაშინ წელსზევით გაშიშვლდა, საწერი / მაგიდის უჯრიდან რკინის როზგი ამოიღო, რომელსაც იქამდე შიშით ვერ ეკარებოდა და მანამდე ირტყა სხეულზე, სანამ შიგნულიდან სიერვა მარიას უკანასკნელი კვალი არ გამოიწურა. მის საძებნელად წამოსულმა ეპისკოპოსმა ცრემლებითა და სისხლით გაწებილი იპოვა.

„ეს დემონია, მამაო,“ თქვა დელაურამ, „ყველაზე საზარელი დემონი“.

ეპისკოპოსმა კაბინეტში იხმო დელაურა და თანაგრძნობის გარეშე მთისმი-
ნა მისი სრული და გულწრფელი აღსარება, თითქოს სასულიერო კი არა, იუ-
რიდიულ აქტს ასრულებსო. ერთადერთი შეღავათი გაუწია: საიდუმლოდ შეი-
ნახა მიზეზი, სამაგიეროდ დაკალებები და პრივილეგიები ახსნა-განმარტების
გარეშე ჩამოართვა და ამორ დე დიოსის საავადმყოფოში გაამწყსა კეთროვანთა
მოსავლელად. დელაურამ ვედრებით გამოსთხოვა ხუთი საათის წირვის ჩატარე-
ბის უფლება და ეპისკოპოსმა დაუთმო. შეუბამოგვრილმა კაიეტანომ ეპისკოპოს-
თან ერთად წარმოთქვა „მამაო ჩვენო“. ეპისკოპოსმა დალოცა და ფეხზე წა-
მოაყენა: „ღმერთმა გიშველოს“, — უთხრა და სამუდამოდ ამოიშალა გულიდან.

მას შემდეგ, რაც კაიეტანო სასჯელის მოხდას შეუდგა, ეპარქიის გავლენი-
ანმა პირებმა ეპისკოპოსთან უშუამდგომლეს, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შე-
აცვლევინეს. ეპისკოპოსმა უარპყი თვორია, თითქოსდა ექსორცისტებს იგივე
დემონი ეუფლებოდათ, რომლის განდევნასაც ცდილობდნენ. დელაურამ იმის
ნაცვლად, რომ ქრისტეს ავტორიტეტით შეიარაღებული წინ აღდგომიდა დე-
მონებს, რწმენის საკითხებზე გაუბა მათ თავხედური კამათი. სწორედ ამით შეი-
რყვნა სული და კინაღამ თავადაც ერეტიკოსი გახდაო, ახსნა ეპისკოპოსმა.
ყველას უკვირდა, რატომ დასაჯა ეპისკოპოსმა ასე მკაცრად ყველაზე სანდო
პიროვნება იმ დანაშაულისათვის, ეპიტამიაზე მეტს რომ არაფერს იმსახურებ-
და.

მარტინამ სამაგალითო მზრუნველობით მიხედა სიერვა მარიას. ქალიც და-
ნაღვლიანებული იყო შეწყალების თხოვნაზე მიღებული უარით, მაგრამ ბავშვმა
ეს მხოლოდ ერთ საღამოს შეამჩნია ტერასაზე ქარგვისას, როცა მარტინას
ცრემლიანი თვალები დაინახა. ქალს არაფერი დაუმაღავს.

„მირჩვენია ახლავე მოვკვდე, ვადრე ნელ-ნელა გავიხრწნა ამ საკანში“,
თქვა.

როგორც გაირკვა, ახლა მხოლოდ სიერვა მარიას დემონების იმედი ჰქონ-
და. სურდა გაეგო, რას წარმოადგენდნენ, როგორები იყვნენ და როგორ შეიძლე-
ბოდა მათთან მოლაპარაკება. ბავშვმა ექვსი მათგანი თვალის დაუხამხამებლად
ჩამოთვალა და მარტინამ ერთი აფრიკელი დემონი იცნო, რომელმაც თავის
დროზე მისი მშობლების სახლში დაიბუდა. ამ აღმოჩენამ ფრთები შეასხა.

„მასთან ლაპარაკი მსურს“, თქვა და ფასი დაადგინა: „ჩემი სულის სანაც-
ვლოდ“.

სიერვა მარიამ ეშმაკობა განაგრძო. „თვითონ ვერ ლაპარაკობს,“ თქვა, „მაგ-
რამ სახეში რომ შეხედავ, მიხვდება, რას ამბობს“. შემდეგ სერიოზულად შეკ-
პირდა, რომ მომავალი ვიზიტის დროს მასაც შეახვედრებდა.

კაიეტანო თავის მხრივ შესაშური მორჩილებით შეუდგა საავადმყოფოში
სამსახურს. სიცოცხლეშივე გვამადქცეულ კეთროვნებს პალმის ტოტებით გა-
დახურული ბარაკების მიწურ იატაკზე ეძინათ, ყველაზე დამქანცველი სამშაბა-

თობით ჩატარებული საერთო მკურნალობის დღე იყო. კაიეტანომ ახალი სასჯელი შეურჩია საკუთარ თავს: ყველაზე უიმედო ავადმყოფებს საკუთარი ხელით ჰხანდა საჯინბოს ვარცლში. სწორედ ამ საქმით იყო დაკავებული პირველ სამშაბათს, სანიტრის უხეშ ხალათმოხურული, როცა მარკიზის ნახუქარ წითელ ცხენზე ამხედრებული აბრენუნსიო წამოადგა თავზე.

ერჩენული
ზიზნიქიქიქი

„როგორ ხედავს თვალი?“ დაინტერესდა.

კაიეტანომ არც თავის უბედურებაზე ლაპარაკის ნება მისცა, არც თანაგრძნობა გამოახატვინა და მადლობა გადაუხადა წვეთებისათვის, რომლებმაც მართლაც წაუშალეს თვალში მზის დაბნელების კვალი.

„სამადლობელი არაფერია,“ თქვა აბრენუნსიომ, „ასეთი შემთხვევისთვის ხედგამოჭრილი სამუალება — წვიმის წვეთები მოგეცით“.

შემდეგ სახლში დაპატიჟა. კაიეტანომ აუხსნა, რომ სპეციალური ნებართვის გარეშე ქუნაში ვასვლა არ შეეძლო. აბრენუნსიო არ შეწუხებულა: „თუ ამ ქვეყნის სისუსტეებს იცნობთ, უნდა იცოდეთ, რომ კანონები მხოლოდ სამი დღე სრულდება“, თქვა და შესთავაზა ნებისმიერ დროს ესარგებლა მისი ბიბლიოთეკით. კაიეტანომ ინტერესით კა მოუსმინა, მაგრამ დიდი აღტაცება არ გამოუხატავს.

„გტოვებთ ამ ცდუნებასთან ერთად“, დაასრულა აბრენუნსიომ და ცხენს მათრახი გადაუჭირა, „უფაღს თქვენნაირი ტვინი საავადმყოფოს იატაკის სახეხად არ შეუქმნია“.

მომდევნო სამშაბათს ლათინურად თარგმნილი „ფილოსოფიური წერილები“ მოუტანა საჩუქრად. დელაურამ წიგნი გადაფურცლა, შიგნიდან დაყნოსა, მისი ღირებულება გაიანგარიშა და დაბნეული მიუბრუნდა აბრენუნსიოს:

„მინდა ვიცოდე, რით დავიმსახურე ასეთი პატივი?“ ჰკითხა.

„იმით, რომ ათეისტებს მღვდლების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ“, მიუგო აბრენუნსიომ, „პაციენტები ჩვენ მხოლოდ თავიანთ სხეულებს გვანდობენ. ამიტომ ეშმაკებივით დავძრწივართ და ვცდილობთ მათი სულებიც გამოვტყუოთ დმერთს“..

„ეს თქვენს რწმენას ეწინააღმდეგება“, თქვა დელაურამ.

„მე თვითონ არ ვიცი, რა მწამს“, შეეპასუხა აბრენუნსიო.

„წმინდა ინკვიზიციამ იცის“, განაცხადა დელაურამ.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ აბრენუნსიოს ესიამოვნა ნაკბენი.

„ჩემთან მობრძანდით და აუჩქარებლად მოვისაუბროთ ამ თემაზე“, უთხრა, „ღამეში ორ საათზე მეტი არ მძინავს, ასე რომ, ნებისმიერ დროს შეწვიეთ“, თქვა, ცხენს დეზი ჰკრა და წავიდა.

კაიეტანო ძალე მიხვდა, რომ დიდი ძალაუფლების ნაწილობრივ დაკარგვა არ შეიძლებოდა. იგივე ადამიანები, რომლებიც ეპისკოპოსთან სიახლოვის გამო მანამდე ელაქუცებოდნენ, ახლა კეთროვანივით გაურბოდნენ. საერთო მეგობრები, რომლებთანაც იქამდე ხელოვნებასა და ლიტერატურაზე საუბრობდა, წმინდა ინკვიზიციის შიშით თვალს არიდებდნენ. მაგრამ ეს არ ანაღვლიანებდა, რადგან გული მხოლოდ სიერვა მარიაზე ფაქრით ჰქონდა სავსე. დარწმუნებული იყო, რომ მათ ვერც ოკეანე დააშორებდა, ვერც მთები, ვერც მიწიერი თუ ზეციერი კანონები და ვერც ჯოჯოხეთური ძალები. ერთ ღამეს, თავაწყვეტილი აღტყინების დროს, საკნიდან გაიპარა მონასტერში მოსახვედრი გზის მოსაძებნად. მონასტერს ოთხი კარი ჰქონდა. ერთი მთავარი და საიმედოდ დაცული, მეორე — იგივე ზომის, ხღვაზე გამავალი და ორიც პატარა, რომლითაც მოსამსახურეები სარგებლობდნენ. პირველ ორში შეღწევა გამორიცხული იყო. კაიეტანომ

ტანომ სანაპიროდან მოძებნა სიერვა მარიას ფანჯარა და საგულდაგულოდ შეისწავლა შენობა კედელზე ასაძრომად ხელმოსაჭიდი ნაპრალების ძიებაში.

იმედგადაწურულს უცებ ის გვირაბი გაახსენდა, საიდანაც *cessativa Divinis*-ის დროს მონასტერს საკვებით ამარაგებდნენ. იმ ეპოქისთვის უცხო არ იყო მონასტრებისა და ყაზარმებისთვის გვირაბების გათხრა. უცხო არ იყო გვირაბი იყო ცნობილი, დანარჩენები წლების შემდეგ აღმოჩნდნენ ერთმა კეთროვანმა, რომელიც ადრე შესაფლავედ მუშაობდა, კაიეტანოს მონასტრის გვირაბი მიასწავლა, ის გაუქმებულ სამტეხლოში იწყებოდა და ზედ საპატიმრო პავილიონის ქვეშ, პირველი მონაზვნების სასაფლაოზე ამოდიოდა, ძალადი და ერთი შეხედვით გადაულახავი კედლის ძირში. კაიეტანო რამდენიმე გააფთრებული მცდელობის შემდეგ აფორთხდა კედელზე და ეს წარმატებაც ჩვეულებისამებრ ლოცვების ძალას მიაწერა.

პავილიონში განთიადის სიმყუდროვე სუფევდა. დელაურა დარწმუნებული იყო, რომ დარაჯს გარეთ ეძინა, ამიტომ მხოლოდ მარტინა ლაბორდეს საკანთან ნავლისას შეკრთა, რომლის ნახევრად გამოღებული კარიდან ქალის ხვრინვა გამოდიოდა. იქამდე მხოლოდ თაუგადასავალზე ფიქრობდა, მაგრამ ნანატრი კარის წინ გული კინაღამ გაუსკდა. კარი თითის წვერებით შეაღო და ანჯამების ჭრილში ლამის სული გააფრთხო. სიერვა მარიას ხატთან დანთებული სანათურის შუქში ეძინა. თვალები რომ გაახილა, კარვა ხანს ვერ იცნო სანიტრის ტილოს ხალათში გამოწყობილი სტუმარი. კაიეტანომ დასისხლიანებული ფრჩხილები უჩვენა.

„კედელზე ამოვძვერი“, დაიჩურჩულა.

სიერვა მარია არ მომლბარა.

„რატომ?“ ჰკითხა.

„შენს სანახავად“, უპასუხა დელაურამ.

არ იცოდა, მეტი რა ეთქვა, ხელები უკანკალებდა და ხმა ჩახლენოდა.

„წადით“, უთხრა სიერვა მარიამ.

დელაურამ რამდენჯერმე გააქნია თავი, რადგან ეგონა ხმას ვერ დაიმორჩილებდა.

„წადით“ გაიმეორა ბავშვმა, „თორემ ვიყვირებ“.

კაიეტანო უკვე ისე ახლოს იდგა, რომ მის ქალწულებრივ სუნთქვას გრძნობდა.

„რომ მომკლან, არ წავალ“ თქვა დელაურამ და მოულოდნელად გამხეცე ბულმა მტკიცედ დაამატა: „ასე რომ, თუ ყვირილი გინდა, იყვირე“.

გოგომ ტუნები მოიკვნითა. კაიეტანო საწოლზე ჩამოუჯდა და დაწვრილებით მოუყვა თავის სახველზე, თუმცა მიზეზი დამალა. გოგომ იმაზე მეტი გაიგო, ვიდრე კაიეტანომ უთხრა. ნდობით შეხედა და ჰკითხა, რატომ არ ეკეთა თვალზე სახვევი.

„აღარ მჭირდება“ ხელი აუქნია დელაურამ, „ახლა თვალს რომ ვხუჭავ, თმის ოქროს მორევს ვხედავ“.

ორი საათის შემდეგ წავიდა ბედნიერი, რადგან სიერვა მარიამ დაბრუნების ნება დართო იმ პირობით, თუკი მის საყვარელ ტკბილეულს მოუტანდა. მეორე ღამეს ისე ადრე მოვიდა, რომ მონასტერში ჯერ კიდევ ფხიზლობდნენ, სიერვა მარიას კი სანათური ენთო და ქარგვას ამთავრებდა.

მესამე ღამეს საკნის უკეთ გასანათებლად პატრუქი და ნავთი მოიტანა. მეოთხე ღამეს რამდენიმე საათი ეხმარებოდა ბავშვს თმაში გაჩენილი ტილების მოცილებაში. როცა თმა გაასუფთავეს და დავარცხნეს, დელაურას კიდევ ერთხელ

დაუარა ცდუნების გამყინავმა ჟრღოლამ, გოგოს გვერდით დაწვა სუნთქვაარეული და მისი გამჭვირვალე თვალების პირისპირ აღმოჩნდა. ორივე დაიბნა, შეშინებულმა დელაურამ ლოცვა დაიწყო, თუმცა მზერა არ მოუცილებია, რსევ გოგომ გაბედა საუბრის დაწყება.

„რამდენი წლის ხართ?“ ჰკითხა.

„მარტში ოცდათექვსმეტის შევსრულდი“, უპასუხა კაიეტანომ.

„ბებერი ყოფილხართ“, თქვა სიერვამ მხიარულად, დაღარულ შუბლზე დააკვირდა და მისი ასაკისათვის დამახასიათებელი დაუნდობლობით დაამატა: „დანაოჭებული ბებერი“.

კაიეტანომ გაიღიმა. სიერვა დაინტერესდა, რატომ ჰქონდა თმაში თეთრი ზოლი.

„ეს ნიშანია“, აუხსნა დელაურამ.

„სამართებელმა გაგიჩინათ?“ ჰკითხა ბავშვმა.

„ბუნებამ“, უპასუხა კაიეტანომ, „დედაჩემსაც ასე ჰქონდა“.

იქამდე თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს. დელაურამ ღრმად ამოიოხრა და ხმადაბლა თქვა: „ნემდამი ცუდად განწყობილო, ო, ძვირფასო ქმნილება“.

გოგომ ვერ გაიგო.

„ეს ჩემი დიდი ბებიის პაპის ლექსებია“, უთხრა კაცმა, „სამი ეკლოვა, ორი ელეგია, ხუთი სიმღერა და ორმოცი სონეტი დაწერა. უმეტესობა ერთ შეუხედავ, პორტუგალიელ ქალს მიუძღვნა, რომელიც მისი არასოდეს ყოფილა, თავიდან იმიტომ, რომ თვითონ იყო ცოლიანი. მერე ქალიც გათხოვდა და მასზე ადრე მოკვდა“.

„ისიც მღვდელი იყო?“ ჰკითხა სიერვამ.

„ჯარისკაცი“, უპასუხა დელაურამ.

სიერვა მარიას გულში, როგორც ჩანს, რაღაც მოხდა, რადგან თავიდან მოითხოვა ლექსის წაკითხვა. კაიეტანომ დაძაბული და კარგად დაყენებული ხმით წაიკითხა ომში დაღუპული მებრძოლი შეყვარებულის დონ გარსილასო დე ლა ვეგას ორმოცი სონეტი. კითხვას რომ მორჩა, სიერვა მარიას ხელი აიღო და გულზე დაიდო. გოგომ მოახლოებული ჭეჭა-ქუხილი იგრძნო.

„სულ ასე ვარ“, თქვა დელაურამ და სანამ ბავშვი შეშინებას მოასწრებდა, სასწრაფოდ განთავისუფლდა იმ წებოვანი გარსისგან, რომელიც სიცოცხლეს უწამლაუდა. გამოუტყდა, რომ დღე და ღამე მასზე ფიქრობდა, რომ საჭმელ-სასმელშიც მის გემოს გრძნობდა, რომ მთელი მისი ცხოვრება სიერვად ქცულიყო, რისი უფლებაც მხოლოდ უფალს ჰქონდა და რომ ყველაზე დიდ ბედნიერებად მისთვის სიკვდილი მიაჩნდა. იგივე პათოსით ლაპარაკობდა, როგორც ლექსს კითხულობდა, ოღონდ ბავშვისკენ აღარ გაუხედავს, სანამ არ იგრძნო, დაიძინაო. მაგრამ სიერვას ეღვიძა და დამფრთხალი შვლის თვალებით მისჩერებოდა. ბოლოს გაბედა:

„ახლა რა?“

„არაფერი“, თქვა დელაურამ, „ისიც საკმარისია, რომ იცი“.

მეტი ვერაფერი თქვა. სიჩუმეში ატირდა და ხელისგული თავქვეშ ამოუდო სასთუმლად. გოგო მიეყუწა. ასე ფხიზლობდნენ ხმაგაკმენდილები მამლების პირველ ყივილამდე, როცა კაიეტანო დილის ხუთი საათის წირვაზე წავიდა. მანამდე სიერვა მარიამ ოღუას მინანქრისა და მარჯნის თვრამეტგოჯიანი საუცხოო ყელსაბამი აჩუქა.

შიში მოუთმენლობამ შესცვალა. დელაურამ მოსვენება დაჰკარგა, საქმეს ზერელედ აკეთებდა და არაფერი აინტერესებდა იმ ბედნიერ წუთამდე, როცა მონასტრის გზას უნდა დასდგომოდა. საკანში აქოშინებული და გადაუღებელი

წვიმის თქეშში გაწუწული შედიოდა, სადაც სულძოუთქმელად მომლოდინე სიერვა ხვდებოდა. ერთ ღამეს სწორედ სიერვამ დაიწყო ამდენი მოსმენით ზეპირად ნასწავლი ლექსი. „როცა ვჩერდები, ვაკვირდები ნაბიჯებს და ჩემს ნაკვალევს, აქამდე რომ შემომიტყუეს“, და ეშმაკური დმილით ჰკითხა.

„როგორ გრძელდება?“

ერქენუღი

„აქ უბრძოლველად დავენებდი იმას, ვინც დამკარგავს და ვაჩუყუებს“.

გოგომაც კაიეტანოსავით გაიმეორა. ასე ჩაათავეს მთელი წიგნი, ცლალბედზე ისროდნენ ციტატებს და სურვილისამებრ ამახინჯებდნენ, თითქოს თვითონ ყოფილიყვნენ ავტორები. მოქანცულებს მალე ჩაემინათ კიდეც.

ღიღის ხუთ საათზე, როცა პირველი მამლების ყივილში დარაჯმა საუზმე შემოიტანა, შეშინებულებს გაელვიძათ და ერთი სიკვდილი გაათავეს. დარაჯმა საუზმე მაგიდაზე დადო, ჩვეულებისამებრ მოავლო სანათური ოთახს და ისე გავიდა, საწოლში სულგანაბული კაიეტანო არ დაუნახავს.

„ლუციფერი ჩვენი კაცია“ იხუმრა დელაურამ, როცა სული მოითქვა, მეც უჩინარი გამხადა.

სიერვა მარიამ მთელი თავის ეშმაკობა იხმარა, რათა იმ დღეს დარაჯს საკანში არ შემოეხედა. იმ ღამეს, ერთად გატარებული დღის შემდეგ, ეკონათ, დასაბამიდან გვიყვარს ერთმანეთით. კაიეტანომ, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად აზღუდის ზონარი შეუხსნა. გოგომ მკერდზე ხელები აიფარა, თვალები ბრაზით აენთო და შუბლი აუწითლდა. დელაურამ ცერა და საჩვენებელი თითებით გააწევინა ხელები და მკერდი მოუშიშვლა. გოგომ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ კაცმა მტკიცე სინაზით ჩასჩურჩულა:

„გაიმეორე, ბოლოს თქვენს ხელებს ჩავბარდი...“

გოგო დაემორჩილა.

„სადაც სიკვდილი მიწერია“, გააგრძელა კაიეტანომ, სანამ გაყინული თითებით უხსნიდა აზღუდს. შიშით აკანკალებულმა სიერვამ უხმოდ გაიმეორა: „რათა ჩემს ტანზე გამოეცადო, როგორ ჭრის ხმალი დანებებულ კაცს“. მაშინ დელაურამ პირველად აკოცა ტუჩებში. სიერვა მარიამ ამოიხბრა, ზღვის ნიავის სუნია აუვიდა და ბედს მიენდო. კაცი თითქმის შეუხებლად მიეფერა თითების წვერებით და ცხოვრებაში პირველად სხვა სხეულში იგრძნო თავი. მაშინ მიხვდა, რა შორს ყოფილა ეშმაკისგან ლათინურსა და ბერძნულზე დათენებულ ღამეებში, რწმენის ექსტაზში და უბიწოების უდაბნოში, სანამ გოგო მონათა ბარაკებში აკვირდებოდა თავისუფალ სიყვარულს. ინიციატივა სიერვას გადაულოცა და სიბნელეში ხელისცეცებით გაჰყვა, თუმცა უკანასკნელ წამს შეყოვნდა, მომაკვდინებელი კატაკლიზმების უფსკრულში გადაიჩეხა და თვალდახუჭული პირაღმა გაირინდა. სიერვა მარიამ მისი სიჩუმისა და მკვდარივით გაშეშების შეეშინდა და თითით შეეხო.

„რა მოგივიდათ?“ ჰკითხა.

„ახლა შემეშვიტ“ ჩაიბუტბუტა მან, „ვლოცულობ“.

მომდევნო დღეებში, წამით არ ჰქონიათ მოსვენება. სიყვარულის ტკივილზე ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს ჰკოცნიდნენ, ცრემლების ფრქვევით კითხულობდნენ შეყვარებულთა ლექსებს, ჩუმად მღეროდნენ და ნდომის ჭაობში ეფლობოდნენ, საიდანაც დაქანცულება, მაგრამ უბიწოებაშენარჩუნებულები ამოდიოდნენ, რადგან დელაურას გადაწყვეტილი ჰქონდა, აღსარების თქმამდე უმანკო დარჩენილიყო და გოგოც ხელს უწყობდა.

ვნების პაუზებში ერთმანეთს გამოცდას უწყობდნენ.

კაიეტანომ უთხრა, რომ მისი გულისთვის ყველაფერზე წავიდა, სიერვა მა-

რიამ ბავშვური სისასტიკით მოსთხოვა, მისი ხათრით ტარაკანა შეეჭამა, დელაურამ ვოგო გასწია, სანამ ის ხელის შეშლას მოასწრებდა ცოცხლად გადავლამა ტარაკანა. სიგიჟის მორიგი შეტევას კაიეტანომ ჰკითხა, შეიჭრით თუ არა ნაწნავს მისი გულისათვის. სიერვა დათანხმდა, მაგრამ ხუმრობით თუ ხერიოზულობით გააფრთხილა, რომ მაშინ აღიქმის შესასრულებლად უნდა გაჰყოლოდა. კაცმა დანა მოიტანა. „ვნახოთ მართალია თუ სარწმუნოა“ — უკმა ზურგი შეაქცია, რათა კაიეტანოს ძირში მოეჭრა ნაწნავი, წააქეზა კიდეც „ჰა, გაბედო“. დელაურამ ვერ გაბედა. რამდენიმე დღის შემდეგ ვოგომ ჰკითხა, მოაჭრევიანებდა თუ არა თავს თხასავით მისი გულისთვის. დელაურამ მტკიცედ უთხრა, კიო. სიერვა მარიამ დანა ამოიღო და შემოწმება სცადა. შემინებული კაიეტანო უკან გადახტა, „შენ არა“, იყვირა, „შენ არა!“ ვოგომ სიცილით ჰკითხა, რატომო და დელაურამ სიმართლე უთხრა. „ამიტომ, რომ შენ მართლა გაბედავ“.

უნებებს შორის ყოველდღიური, მშვიდი სიყვარულით ტკბებოდნენ: სიერვა სკანს აღაგებდა, რათა ქმარივით შინდაბრუნებულ კაიეტანოს სუფთა ოთახი დახვედროდა. კაცი წერა-კითხვას ასწავლიდა, პოეზიის სამყაროს აცნობდა და სულიწმინდის ერთგულებას უნერგავდა იმ ბედნიერი დღის მოლოდინში, როცა თავისუფლად დაქორწინდებოდნენ.

27 აპრილს, გამთენიისას, კაიეტანოს წასვლის შემდეგ ჩაძინებული სიერვა მარია მოურიდებლად გააღვიძეს ექსორცირებისთვის მოსამზადებლად. რიტუალი სიკვდილმისჯილის დასასჯელად მომზადებას ჰგავდა. ვოგო ძალით მიათრიეს ჭასთან, მუჯღუგუნების ცემით დაბანეს, ყელსაბამები ჩამოგლიჯეს და ერეტიკოსის პერანგი ჩააცვეს. მუბაღე მონაზონმა სასხლავი მაკრატლის ოთხი გაწკაპუნებით კეფამდე შეაჭრა თმა და დალაღები პატიოს ღუმელში შეყარა. დალაქმა მონაზონმა ნახევარი გოჯი თმაღა დაუტოვა თავზე, როგორც მონაზვნები ატარებდნენ თავსაბურავის ქვეშ. სიერვა მარიამ დაინახა ოქროსფერი ალი, თმის ტკაცუნი მოესმა და ისე შეისუნთქა დამჭკნარი კანის სუნი, გაქვავებულ სახეზე ნაკუთი არ შეკრთომია. ბოლოს ძალით ჩააცვეს პერანგი, თავზე შავი თავსაფარი წააკრეს და ორმა მონამ ჯარისკაციური საკაცით მიიყვანა სამლოცველოში.

ეპისკოპოსმა კანონიკოსები შეკრიბა და ოთხ მათგანს დაავალა სიერვა მარიას პროცესის წარმართვა. თუმცა თვითონაც სძლია ავადმყოფობას, ცერემონიის გამართვა ტაძრის ნაცვლად სანტა კლარას სამლოცველოში ბრძანა და პირადად დაესწრო ექსორცირებას.

დიღის ხუთი საათის წირვის შემდეგ, მონაზვნები აბატი ქალის მეთაურობით იცდიდნენ და დიდებული დღის მობრძანებით შეძრელებმა ორღანის თანხლებით იმღერეს კიდეც. ტაძარში რიგრიგობით შევიდნენ პრელატები, სამი გაერთიანების ხელმძღვანელები და წმინდა ინკვიზიციის პასუხისმგებელი პირები. ამ უკანასკნელთ თუ არ ჩავთვლით, ეკლესიაში სხვა სიერო პირი არავინ ყოფილა.

ბოლოს მონებმა ცერემონიის შესაფერისად გამოწყობილი ეპისკოპოსი შემოიყვანეს საკაცით და მთავარი საკურთხეველის გვერდით, წარჩინებულთა საფლავეების მარმარილოს ფილებთან მოათავსეს მბრუნავ სავარძელში, რომელიც მოძრაობას უიოლებდა. ზუსტად ექვს საათზე, ორმა მონამ საკაცებზე მიბმული თავწაკრული სიერვა მარია შემოიყვანა.

ლოცვისას სიციხემ აუტანლად დააჭირა. ორღანის ბასებმა ჭურამდე ჩაწნეს ჰაერი და რკინის ცხაურებს მიღმა ძლიერ ატანდა მონაზონთა სიმღერა. ორი

ნახევრად შიშველი მონა ბავშვის გვერდით დარჩა. წირვის ბოლოს გოგოს თავსაფარი მოხსნეს და მარმარილოს ფილებზე მკვდარი უფლისწულივით დატოვეს. მონებმა ეპისკოპოსის საკაცე ბავშვის გვერდით მოათავსეს.

სასწაულის მოლოდინში მომაკვდინებელი სიჩუმე ჩამოწვა. ეკლესიის რომელიღაც მსახურმა ეპისკოპოსის ახლოს აიაზმის ჭურჭელი დადგა. ეპისკოპოსმა ზარის ენასავით ჩაბლუჯა ფუნჯის ტარი და სიერვა მარიას დაეხარა, ნაკურთხი წყალი აკურა და ლოცვების ბუტბუტს მოჰყვა. უცებ მისმა ღრიალმა სამრეკლოს გუმბათი შეაზანზარა.

„ეინც უნდა იყო, იყვირა, ყოველი ხილულის თუ უხილავის მეუფის, ქრისტეს სახელით, რომელიც განაგებს ყველაფერს, რაც იყო, არის და იქნება, გიბრძანებ, დატოვო მირონცხებული სხეული და ბნელეთში დაბრუნდე!..“

შეშინებული სიერვა მარია აყვირდა, ეპისკოპოსმა ხმას აუწია და გოგოც უფრო ხმამაღლა აღრიალდა. ეპისკოპოსმა ღრმად ჩაისუნთქა და პირი გააღო ლოცვის გასაგრძელებლად, მაგრამ ჰაერი მკერდში გაეჩხირა და ველარ ამოისუნთქა. მორიყით დაეარდა, ნაპირზე ამოგდებული თევზივით ახრიალდა და ცერემონიაც ასეთი აურზაურით დასრულდა.

იმ დამეს კაიეტანომ გიჟის პერანგში გახვეული, სიცხიანი სიერვა მარია იხილა. ყველაზე მეტად გაკრეჭილი თავის დანახვამ შეურაცხყო. „ღმერთო დიდებული“, ჩაიბუტბუტა ბრაზით დაბრძავებულმა სანამ თოკებს ხსნიდა, „როგორ დაუშვი ეს დანაშაული“.

განთავისუფლებული სიერვა მარია კისერზე ჩამოეკიდა კაცს და ატირდა. დელაურამ გულის მოიხება აცადა. შემდეგ თავი აუწია. „გეყოფა ცრემლისღვრა“, უთხრა და გარსილასოთი დაამშვიდა: „თქვენთვის დაღვრილიც საკმარისია“.

სიერვა მარიამ საზარელი ცერემონია აუწერა, მოუყვა გუნდის სიმღერაზე. საბრძოლო ყიჟინასავით რომ გაისმოდა ტაძარში, ეპისკოპოსის შეშლილი ღრიალის შესახებ, მის სულისშეხუთვასა და ბრაზისგან სისხლჩაქცეულ, მშვენიერ მწვანე თვალებზე.

„ეშმაკს ჰგავდა“, დაასკვნა.

კაიეტანომ მისი დამშვიდება სცადა. დაარწმუნა, რომ გოლიათური აღნაგობის, ხაფი ხმისა და სამხედროს მეთოდების მიუხედავად, კეთილი და ბრძენი კაცი იყო. მოკლედ, სიერვა მარიას შიში გასაგები, მაგრამ უსაფუძვლო ჩანდა.

„ერთადერთი, რაც მინდა, სიკვდილია“, თქვა გოგომ.

„მეც შენსავით გააყებული და დაჯაბნილი ვარ, რადგან შენი დახმარება არ შემიძლია“, თქვა დელაურამ, „მაგრამ უფალი დაგვაჯილდოვებს მეორედ მოსვლის დღეს“.

სიერვა მარიას ნაჩუქარი ყელსაბამი მოიხსნა და წართმეულთა სანაცვლოდ გოგოს შეაბა. შემდეგ ერთმანეთის გვერდიგვერდ დაწვნენ, სანამ სამყარო ნელ-ნელა არ დაშოშმინდა და ჭერში ტერმიტთა ფაჩუნი გაისმა. ბავშვს სიცხემ დაუწია და კაიეტანო სიბნელეში ალაპარაკდა.

„აპოკალიფსში ლაპარაკია დღეზე, რომელიც არასოდეს გათენდება“, თქვა, ღმერთმა ჰქნას, დღევანდელი დღე იყოს“.

კაიეტანოს წასვლის შემდეგ ერთი საათის ჩამინებული სიერვა მარია ახალმა ხმაურმა გააღვიძა. მის საწოლთან, აბატი ქალის გვერდით, შთამბეჭდავი აღნაგობის მოხუცი მღვდელი იდგა, გვარჯილისგან აქა-იქ შეჭმული კანით, ცხენის ფაფარივით უხეში თმით, გაბურძენული წარბებით, ღონიერი ხელებითა და

ნდობისაღმძვრელი თვალებით. სანამ სიერვა მარია საბოლოოდ გამოფხიზლდებოდა, მღვდელმა იორუბას ენაზე მიმართა:

„შენი ყელსაბამები მოგიტანე“, თქვა და ჯიბიდან ამოაღა მონასტრის მხე ქალისთვის დაფინებული თხოვნის შემდეგ გამორომეული მძივები. სათითაოდ შეაბა ყელზე გოგოს და აფრიკულ ენებზე აუხსნა მათი მნიშვნელობა: წითელი და თეთრი სიყვარულს გამოხატავდა და ჩანგოს სისხლს უფრო ცხელ შავი და წითელი ელაგუას ენაზე სიცოცხლესა და სიკვდილს ნიშნავდა, კრიალოსნის შვიდი ცისფერი კაკალი იემაიას ხალხებში წყალს განასახიერებდა. მღვდელი იორუბას, კონგოსა და მანდინგას ენებზე ლაპარაკობდა და სიერვა მარიაც ტკბილად დაუბრკოლებლად პასუხობდა. ბოლოს ხოსეფა მირანდას თხოვნით ესპანურს დაუბრუნდნენ. ქალს კიდევ არ სჯეროდა, რომ სიერვა მარიას ასეთი თბილი საუბარი შეეძლო.

ეს გახლდათ პადრე ტომას დე აკინო დე ნარვაესი, სევილიის წმინდა ინკვიზიციის ყოფილი მსაჯული და მონათა უბნის მოძღვარი, რომელსაც ჯანმრთელობაშერყეული ეპისკოპოსის თხოვნით უნდა გაეგრძელებინა ექსორცირება. ხალხში უხეში კაცის სახელი ჰქონდა გაგდებული, კოცონზე დაეწვა თერთმეტი ერეტიკოსი, ებრაელი და მაჰმადიანი, მაგრამ უფრო იმით გახდა ცნობილი, რომ ანდალუსიის ყველაზე ვერაგ დემონებს უამრავი სული გამოსტაცა. პადრე დახვეწილი გემოვნებითა და კანარის კუნძულების ტკბილი დიქციით გამოირჩეოდა. აქ დაიბადა, მეფის პროკურორისა და კვარტერონი მონა ქალის შეუღლების შედეგად და ადგილობრივ სემინარიაში მიიღო განათლება, მას შემდეგ, რაც დაამტკიცა, რომ წინაპართა ოთხი თაობა წმინდა სისხლის თეთრკანიანები ჰყავდა. სემინარიის დამთავრების შემდეგ სევილიაში დაიცვა ხარისხი. სადაც ორმოცდაათ წლამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. სამშობლოში დაბრუნებულმა ყველაზე ლატაკი მრეკლი მოითხოვა, აფრიკული რელიგიებით დაინტერესდა და მონათა შორის მონასავით დასახლდა. მასზე უკეთ ვერავინ გაუგებდა სიერვა მარიას და ვერც ვერავინ შეეებებოდა მის დემონს.

გოგომ პადრე მხსნელ ანგელოზად აღიქვა და არც შემცდარა. მღვდელმა ხოსეფა მირანდას თანდასწრებით გააბათილა მონასტრის ოქმები და დაამტკიცა, რომ არც ერთი იქ მოყვანილი ფაქტი არ იყო გადამწვეტი. აუხსნა, რომ ევროპასა და ამერიკაში სხვადასხვა მეთოდებით ერთი და იგივე დემონები მოქმედებდნენ. განუმარტა ოთხი წესი, რომელთა მიხედვითაც შეიძლებოდა ეშმაკეულის აღმოჩენა და დაუმტკიცა, რა იოლად შეეძლო სატანას მოკვდავთათვის თვალის ასახვევად მათ სამსახურში ჩადგომა. სიერვა მარიას ლოყაზე ჩქმეტით დაემშვიდობა.

„მშვიდად იძინე“. უთხრა, „შენი ყველაზე უარესი მტრები უკვე ვიხილე“.

აბატი ქალი ისეთი მოხიბლული დარჩა, რომ პადრე მონასტრის სახელგანთქმულ სურნელოვან შოკოლადსა და ანისის გალეტებზე დაპატიჟა, რომლებსაც მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისთვის ინახავდნენ.

ხოსეფა მირანდას პირად სატრაპეზოში საუბმობისას პადრემ დაწვრილებით აუხსნა აბატი ქალს, როგორ უნდა ემოქმედა. ქალმა შესრულება აღუთქვა.

„სულაც არ მსურს ამ უბედურისთვის სიკეთის ან ვნების მიყენება“, თქვა, მხოლოდ იმას ვევედრები უფალს, რაც შეიძლება მალე გაარიდოს ჩემს მონასტერს“.

პადრე შეჰპირდა, რომ ამ საკითხებს რამდენიმე საათში თუ არა, რამდენიმე დღეში გადაჭრიდა. მისაღებ ოთახში გამოთხოვებისას, ვერც ერთი ვერ წარმოიდგენდა, რომ უკანასკნელად ხელავდნენ ერთმანეთს.

არადა, ასე იყო, პადრე აკინო, როგორც მისი მრევლი მიმართავდა, ფეხით მივიდა ტაძრამდე, რადგან კარგა ხანი იყო ლოცვის უკლი და თავს ნოსტალგიის შეტევებით იტანჯავდა. უაჭართა აფრიამულეებულ უბანში დახლებთან შეისვენა, სანამ მზე არ გადაიწვერა და ნაკსადგურის ჭანჭრობის გადაჭრის/სამუალება არ მიეცა, ყველაზე იაფფასიანი ტკბილეული და ღარიბთა ლაჭარის ბილეთი შეიძინა აუხდენელი ოცნებით: ფული მოვეო და გავიწვინებო. ეკლესია შეეკუთებინა, ნახევარი საათი შაკვანიან ქალებს ესაუბრა, მონუმენტური კერპებით რომ ჩამომსხდარიყვნენ ჯუთის ყუთებზე გაშლილ ბანქოს ქაღალდებთან და ხუთი საათისთვის ხეტსემანის ასაწვევ ხილზე გადავიდა, სადაც ის იყო ცოფით მკვდარი მსუქანი და ავი ძაღლის გვამი ჩამოჰკიდეს. ჰაერში მაისის დასაწყისის ვარდების სურნელი ტრიალებდა და ღედამიწას ქვეყნად ყველაზე გამჭვირვალე ცა დაჰყურებდა.

სანაპიროს კიდეში გაშენებული მონათა უბანი მნახველს სილატაკით აოცებდა. პალმის ფოთლებით გადახურულ, თიხის ბარაკებში ხალხი და შინაური ცხოველები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ, ბავშვები კი ქუჩის წუმპეებიდან სვამდნენ წყალს. ამის მიუხედავად, მაინც ყველაზე მზიარული, ჭრელი და ხმაურიანი დასახლება იყო, განსაკუთრებით საღამოს სიგრილეში, როცა ხალხს შუა ქუჩაში გამოჰქონდა სკამები. მღვდელმა ბავშვებს ტკბილეული დაურიგა და სამი ნაჭერი ვახშმობისთვის დაიტოვა.

ეკლესია პალმის ფოთლებით გადახურულ, სახურავზე ხის ჯვარადმართულ ფაცხაში მოეწყობო. შიგნით ხის გრძელი სკამები, ერთი წმინდანის ფიგურით დამშვენებული საკურთხეველი და კათედრა იდგა, საიდანაც მღვდელი კვირაობით აფრიკულ ენებზე ქადაგებდა. მღვდლის ოთახი ეკლესიაზე იყო მიდგმული. შიგ ერთი საწოლისა და ერთი ხისგან გამოჩორკნილი სკამის მეტი არაფერი იდგა. ეკლესიას ქვიანი პატიოც ჰქონდა, დამჭკნარი ყურძნის მტეეკნებითა და სანაპიროსგან გამშიჯნავი მავთულის ღობით. სასძელი წყალი პატიოს კუთხეში მოთავსებულ თიხის რეზერვუარში ინახებოდა.

ეკლესიასა და სახლს გაქრისტიანებული აფრიკელი დიაკვანი და ობოლი გოგო უკლიდნენ, რომლებიც საღამოს ლოცვის შემდეგ იქ საჭირო აღარ იყვნენ. სანამ კარს ჩაკეტავდა, მღვდელმა ბოლო სამი ნამცხვარი შეჭამა, ერთი ჭიქა წყალი მიაყოლა და ქუჩაში ჩამომჯდარ მეზობლებს ჩვეულებისამებრ ესპანურად დაემშვიდობა: „ბედნიერი დამე გაგიტენოს უფალმა“.

ღილის ოთხ საათზე დიაკვანმა, რომელიც ეკლესიიდან ერთი კვარტალის მოშორებით ცხოვრობდა, ერთადერთი წირვის ხარს ჩამოჰკრა, ხუთი საათისთვის მღვდლის გასადვილებლად შევიდა ოთახში, მაგრამ იქ არავინ დახვდა. პატიოშიც არავინ იყო, მაშინ მეზობელ პატიოებში დაძებნა, სადაც მღვდელი სასაუბროდ დადიოდა ხოლმე. რახან იქაც ვერ იპოვა, მესაზე მოსულ რამდენიმე კაცს აუწყა, რომ წირვა არ შედგებოდა მღვდლის არყოფნის გამო. რვა საათზე, როცა უკვე მზე გვარიანად აჭერდა, მოსამსახურე გოგო წყლის ამოსაღებად გაემართა და იქ იხილა კიდეც, რეზერვუარში პირაღმა მოტივტივე, საშინაო ქოშებში ფეხებწაყოფილი პადრე. ეს ნაღვლიანი, საიდუმლოებით მოცული სიკვდილი ვერავინ ახსნა. აბატი ქალი კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ღებონი მის მონასტერს გადაემტერა.

სიერვა მარიამდე ეს ამბავი არ მისულა და გოგოც გულუბრყვილო იმედებით უცდიდა პადრე აკინოს, გაიეტანოს წესიერად ვერც აუხსნა პადრეს ვინაობა, სამაგიეროდ მოუყვა, რომ მღვდელმა ყველა ყელსაბამის მნიშვნელობა იცოდა და მალე განთავისუფლებას შეჰპირდა. იქამდე ორივეს ეგონა, რომ ბედნიერე-

ბისტვის მარტო სიყვარული იყო საკმარისი. პადრე აკინოსგან იმედგაცრუებული სიერვა მარია კი მიხვდა, რომ თავისუფლება მხოლოდ მათ მონდომებაზე იყო დამოკიდებული. ერთ გამთენიისას, ზანგრძლივი ალერსის შემდეგ, დელაურას შეეკედრა დარჩენილიყო. კაცმა ხუმრობაში გაუტარა და გამოსამშვიდობებლად აკოცა. გოგო საწოლიდან წამოხტა და ხელებგამღილი ჩადგინა.

„ან დარჩებით, ან მეც წამოყვანთ“, გააფრთხილა. ბიზლიმთქმ

ერთხელ უთხრა კიდევ კაიეტანოს, რომ სიამოვნებით გადაიხვეწებოდა მასთან ერთად ქალაქიდან თორმეტ ლიეში მდებარე გაქცეულ მონათა დასახლება სან ბასილიოში, სადაც უეჭველად დედოფალივით მიიღებდნენ. დელაურას იდეა მოეწონა, თუმცა გაქცევასთან არ დაუკავშირებია, იგი ლეგალური გზებით ცდილობდა საწადელის მიღწევას. იმედი ჰქონდა, რომ მარკიზი დაამტკიცებდა შვილის უცოდველობას, თვითონ კი ეპისკოპოსის პატიებას მიიღებდა და სამოქალაქო ერთობაში გადავიდოდა, სადაც მღვდლებისა და მონაზვნების ქორწინება არავის უკვირდა. ამიტომ დელაურამ სცადა მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. გოგო ყელზე ჩამოეკიდა და დაემუქრა ავყვირდებით. თენდებოდა. შემინებულმა დელაურამ სიერვა მარია ხელის კერით მოიშორა და ზუსტად ცისკრის ლოცვის დაწყების წინ გაიპარა. ამ ამბავს სიერვას საშინელი რეაქცია მოჰყვა, რაღაც სისულელის გამო დარაჯს სახე ჩამოპორჭყნა, თიახში ურდულით ჩაიკეტა და დაიმუქრა, თუ წასკლის ნებას არ მისცემდნენ, საკანს ცეცხლს მისცემდა და თვითონაც შიგ ამოიწვებოდა. სახედასისხლიანებულმა და გაცოფებულმა დარაჯმა ვერ მოითმინა.

„აბა, გაბედე, შე ბელზებელის ურჩხულო“.

საპასუხოდ სიერვა მარიამ სალოცავის წინ დანთებული სანათური აიღო და ლეიბს ცეცხლი წაუკიდა. ტრაგედია მხოლოდ მარტინას დროულმა ჩარევამ ააცილათ თავიდან. სამაგიეროდ, იმ დღის მოხსენებაში დარაჯმა მოითხოვა, რომ გოგო უკეთ დაცულ მონაზონთა პავილიონში გადაეყვანათ.

სიერვა მარიას დაუოკებელმა სწრაფვამ კაიეტანო აიძულა გაქცევის გარდა სხვა საშუალებები მოეძებნა. ორჯერ სცადა მარკიზის ნახვა და უპატრონო სახლში შეღწევაში ორჯერვე აშვებულმა ძაღლებმა შეუშალეს ხელი. სინამდვილეში, მარკიზს იქ ველარასოდეს იხილავდა. გაუთავებელი შიშით ატანილმა სცადა დულსე ოლივიასთან ეძებნა თავშესაფარი. მაგრამ ქალმა კარი არ გაუღო. მარტო დარჩენის დღიდან ყველა საშუალებით ცდილობდა მის მოხმობას და მხოლოდ ქალაღდის ჩიტებზე დაწერილ დამცინავ პასუხებს იღებდა. ერთ დღეს კი დაუძახებლად და გაუფრთხილებლად ეწვია, გაუქმებულმა სამზარეულო დააღაგა და ღუმელზე მხიარულად მობუყბუყე წვნიანის ქვაბი შემოდგა. საკვირაო, მარმამებით გაწყობილი ტანსაცმელი ეცვა, მოღური ნელსაცხებლები ეცხო და გაეს მხოლოდ ფართოფარფლებიანი, ნაჭრის ჩიტებითა და თევზებით მორთული ქუდით ჰგავდა.

„ძაღლობელი ვარ, რომ მოხვედი“, უთხრა მარკიზმა, „ძალიან მარტო ვიყავი, და შესჩივლა: სიერვა დავკარგე“.

„შენი ბრალია“, შეეპასუხა ქალი, „ყველაფერი გააკეთე, რომ დავკარგა“.

ვახშმად სამნაირი ხორციითა და ქორფა ბოსტნეულით ჩაშუშული კრეოლური აზიაკო მიირთვეს. დულსე ოლივია დასახლისივით ტრიალებდა და თავის მორთულობით ჰგავდა კიდევ ქალბატონს. ბომბორა ძაღლები ქმენით დასდევდნენ, ფეხებში ებლანდებოდნენ და ქალიც პატარძალივით ნაზად ეჩურჩულებოდა. მაგიდას მარკიზის პირდაპირ მიუჯდა. სწორედ ასე შეეძლოთ ეცხოვრათ ახალგაზრდობაში, სანამ სიყვარულის არ უშინოდათ. ხმისამოუღებლად ჭამეს

გაოფლილებმა ისე, რომ ერთმანეთისთვის არც შეუხედაეთ და ძველი ცოლ-ქმარივით უინტერესოდ მოათავეს წვნიანი. პირველი თავის შემდეგ დულსე ოლივიამ სული მოითქვა, ამოიოხრა და განვლილ წლებს წარმოსახვებს თვალი გადაავლო.

„ასე უნდა გვეცხოვრა“, თქვა.

მარკიზსაც გადაედო მისი დაუნდობლობა. დულსე ოლივიას შეხვდა და დაინახა ჩასუქებული, დაბერებული, ორკბილნაკლული და ჩამქრალთვალეებიანი ქალი. ალბათ ასე შეაბერდებოდნენ ერთმანეთს, მამამისს ვაჟკაცურად რომ აღსდგომოდა წინ.

„ახლა ნორმალურ ადამიანს ჰგავხარ“, უთხრა.

„შეშლილი არასოდეს ვყოფილვარ“, მიუგო ქალმა, „უბრალოდ, შენ ვერ მხედავდი ასეთს“.

„შე გამოგარჩიე უამრავი ლამაზი და ახალგაზრდა გოგოსაგან, რომელთაგან საუკეთესოს ამორჩევა შეუძლებელი იყო“, თქვა მარკიზმა.

„შენთვის შე თვითონ გამოვირჩიე თავი“, შეეპასუხა ქალი, „შენ არა, შენ ყოველთვის ასეთი ბედოვლათი იყავი“.

„ჩემს საკუთარ სახლში შეურაცხმყოფ“, თქვა კაცმა.

დულსე ოლივიამ გარდაუვალი ჩხუბის ნეტარება იგრძნო.

„ეს სახლი მეც ისევე მეკუთვნის, როგორც შენ“, თქვა, „ისევე როგორც ბავშვი, რომელიც ძაღლმა დააგდო“, და მარკიზს რომ სიტყვა არ ჩაეგდო, სასწრაფოდ დაამთავრა: „ვის ხელშიც დატოვე, ისინი ხომ უარესები არიან“.

„ღმერთს ჩავაბარე“, თქვა მარკიზმა.

„ღმერთს კი არა, ეპისკოპოსის შვილს, რომელმაც გოგო გააბოზა და დაფეხმძიმა!“ იყვირა გაცოფებულმა.

„ენაზე რომ იკბინო, მოიწამლები!“ უღრიალა შეშფოთებულმა მარკიზმა.

„საგუნტა ამუქებს, მაგრამ არ იტყუება“, თქვა დულსე ოლივიამ, „და ტყუილად ნუ ცდილობ დამამცირო, რადგან როცა მოკვდები, ჩემს მეტი თვალეზაც არავინ დაგიხუჭავს“.

ჩხუბი ჩვეულებისამებრ დამთავრდა. ქალის ცრემლები წვნიანში ჩაცვივდა. მთვლემარე ძაღლებმა უსიამოვნება იგრძნეს, თავები წამოწიეს და ყრუდ აღრინდნენ. მარკიზს სული შეეხუთა.

„ხომ ხედავ“, თქვა გაგულიხებულმა, „აი, ასე ვიცხოვრებდით“.

ქალი ვახშმის დაუმთავრებლად წამოხტა, სუფრა ააღავა, ჭურჭელი დარეცხა და სათითაოდ დაამტვრია ნიჟარაზე. მარკიზმა ტირილი აცალა და სანაგვე ყუთში ჩაცალა სეტყვის კაკლებივით დახვავებული ნამტვრევები. ქალი დაუმშვიდობებლად წავიდა.

ვერც მარკიზმა და ვერც სხვა სულიერმა ვერასოდეს გაიგო, როდის შეწყვიტა დულსე ოლივიამ არსებობა და სახლის ღამის აჩრდილად იქცა.

ჭორმა იმის შესახებ, რომ კაიეტანო დელაურა ეპისკოპოსის უკანონო შვილი იყო, გააბათილა იქამდე მოარული ვერსია, სალამანკადან მოყოლებული საყვარლები არიანო. საგუნტას მიერ დამოწმებული და შელამაზებული დულსე ოლივიას ვერსიის თანახმად, სიერვა მარია მხოლოდ კაიეტანოს დაუოკებელი, სატანური სურვილების დასაკმაყოფილებლად ჰყავდათ გამოკეტილი მონასტერში, სადაც ორთავიანი ნაყოფი ჩაესახა. ამ აღვირახსნილმა ორგებმა მთელი მონასტერი შერყენაო, ამბობდნენ.

ამის გამგონე მარკიზს საბოლოოდ მოედო ბოლო. მოგონებების ჭანჭრობში მოფართხალემ. მარტოობით გაიდგალებული ბერნარდას მოგონება დაუპირისპირა

შიშის გამძაფრებულ გრძნობას. თავიდან ცდილობდა ქალის ყველაზე საძულველი თვისების წარმოდგენით ჩაეხშო მონატრება. გაიხსენა მისი მყრალი გაზები, მამლის დეზებივით გამოჩრილი პადაგრა, მაგრამ დაეიწყების ნაცვლებდ გონებაში უფრო სრულქმნილს ხატავდა. ბოლოს მონატრებას ვერ გაუძლო და უედრების ბართი გაუგზავნა მათენის შაქრის პლანტაციებში, სთხოვდა ბრაზი ჩაეხშო და შინ დაბრუნებულიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ცალ-ცალკე სიმართლეში არ დახოცილიყვნენ და რადგან პასუხს ვერ ეღიროსა, მის საძებნელად გაემართა.

იძულებული გახდა მოგონებათა ნიაღვარი გადაელახა. ერთ დროს საგუბერნიოში საუკეთესო ასიენდა გაპარტახებული დახვდა. ბილიკებს შამბი მოდებოდა, შაქრის სახდელი ქარხნიდან ნამსხვრევები, ჟანგმოღებული მანქანები და უღელში შებმული ხარების ჩონჩხები და რჩენილიყო. გუიროების¹ ჩრდილქვეშ მხოლოდ ოხვრის ჭა ჩანდა ხელუხლებელი. სანამ გაუსხლავ ლერწმებში სახლს გაარჩევდა, მარკიზმა ბერნარდას საკუთარ სუნად ქცეული, საპნების სურნელი იგრძნო და მიხვდა, როგორ უნდოდა ქალის ნახვა. შესასვლელთან, სარწველა სავარძელში, პორიზონტს მიშტერებული ბერნარდა იჯდა და კაკაოს ჭამდა. ვარდისფერი ბამბის კაბა ეცვა და ახალდაბანილს თმა ჯერაც არ გაშრობოდა.

მარკიზი ეზოდან მიესალმა: „სალამო მშვიდობისა“.

ბერნარდამ გაუნძრევლად უპასუხა. მარკიზმა საფეხურები აიარა და შამბნარს ზემოდან მოათვალიერა პორიზონტი. სანამდეც მზერა გასწვდა, ველური კლდეებისა და ჭის ოწინარების მეტი ვერაფერი დაინახა. „ხალხს რა მოუვიდა?“ იკითხა.

ბერნარდამ მამამისივით უპასუხა ისე რომ, ზედაც არ შეუხედავს. „ყველა წაიდა, თქვა, „ასი ღიეს მანძილზე ცოცხალი არსება აღარ დარჩა“.

მარკიზი სკამის გამოსატანად კარჩამოვარდნილ სახლში შევიდა. აგურის დაბზარულ იატაკს ბალახი მოსდებოდა. სასადილოს ძველ მაგიდას, ჭიებისგან გამოხრულ სკამებსა და ვინ იცის, როდის გაჩერებულ საათს უხილავი მტკერი ედო, რომლის სუნი საიმედოდ გამჯდარიყო ჰაერში. მარკიზმა ერთი სკამი აიღო, ბერნარდას გვერდით მიუჯდა და უთხრა:

„თქვენს წასაყვანად მოვედი“.

ბერნარდა არ განძრეულა, მაგრამ ოდნავ შესამჩნევად დააქნია თავი. მარკიზი მოუყვა, როგორ ცხოვრობდა დაცარიელებულ სახლში, სადაც უსასრულო დამეებში ყოველი ბუჩქის უკან დანაალებილი მონები იმალებოდნენ.

„ეს ცხოვრება არაა“, თქვა.

„არც არასოდეს ყოფილა“, უპასუხა ქალმა.

„შეიძლება კი, რომ ყოფილიყო“.

„ამას არ შეტყობდით, რომ იცოდეთ, როგორ მძულდით“, თქვა ქალმა.

„მეც მეგონა, რომ ვერ გიტანდით, თქვა მარკიზმა, ახლა არც ვიცი, რა ვიფიქრო“.

მაშინ ბერნარდამ შიგანი გადაუხსნა, რათა კაცს მზის სინათლეზე ენახა ყველაფერი. მოუყვა, როგორ მიუგზავნა მამამისმა მარკიზს, ვითომდა დამარილებული ქაშაყის მოსატანად, როგორ მოაღორა კაცი ხელზე მკითხაობის ნაცადი ფანდით, როგორ დაეგემეს კაცის გაუპატიურება, რადგან თვითონ ინიციატივას არ ამჟღავნებდა და მის საბოლოოდ გამოსატყვრად როგორ გადაწყვიტეს სიერვა მარიას ჩასახვა. ერთადერთი, რისთვისაც მარკიზს მადლობა უნდა გადაე-

1. გუირო — ლიანისებრი მცენარე.

ხადა ის იყო, რომ ბერნარდას ხელი არ მოუბრუნდა მამამისის გადაწყვეტილების შესასრულებლად: ოპიუმი ჩაეყარა ქმრისთვის წვნიანში, რათა უწვალებლად მოეკლა.

„მე თვითონ გაკეცივი თავი ყულფში“, თქვა, „მაგრამ არ ვნახობ, თუმცა, ყოველივე ამის შემდეგ მეტისმეტი იქნებოდა ჩემი უბედურების მზეჯის — თქვენი ან იმ უდღეური ბავშვის შეყვარება“.

მისი დეგრადაციის ბოლო საფეხური იუდა ისკარიოტელის სიკვდილი იყო. სიყვარულის შემცვლელის ძიებაში პლანტაციის მონებთან აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა, რაც პირველად გაბედვამდე წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. მათ ბრიკადებში არჩევდა და ბანანის ჭაღაში ერეკებოდა, ხანამ ფერმენტირებულმა თაფლმა და კაკაოს აბებმა თავისი არ ჰქნა. ქალი გასივდა, დაუძნოვდა და სურვილს საქმედ ვეღარ აქცევდა. მაშინ გადახდა დაიწყო. თავიდან ტანსაცმლით უხდიდა ყველაზე ახალგაზრდებს სილამაზისა და აღნაგობის მიხედვით, ბოლოს პირველივე შემხვედრს უხდიდა ოქროს მონეტებით. გვიან მიხვდა, რომ მისი დაუცხრომელი მადისგან თავის დასაღწევად მონები ჯვროდ გარბოდნენ სან ბასილიო დე პელენკეში. „მაშინ მივხვდი, რომ შემქმნელი მანეტითი ამეკუწა ისინიც, თქვენც, ბავშვიც, მამაჩემიც და ყველა, ვინც ასე ჩამისვარა ცხოვრებაში, მაგრამ მოსაკლავი აღარავინ დარჩენილიყო“, თქვა.

უხმოდ უყურეს, როგორ ჩაესვენა მზე მთებს უკან. პორიზონტს მიღმა ცხოველთა თქარათქური ისმოდა და ქალის უნუგეშო ხმა დაბნელებამდე სათითაოდ სახელებით უხმობდა მათ.

„ვხედავ, რომ სამადლობელი არაფერი მაქვს“, ამოიხრა მარკიზმა.

აუჩქარებლად წამოდგა, სკამი თავის ადგილას დადგა და დაუმშვიდობებლად დაბრუნდა იქ, საიდანაც მოვიდა.

მარტინა ლაბორდემ მთელი დღე აქარგვინა სიერვა მარიას დაწყებული სამუშაოს დასამთავრებლად. ბავშვის საკანში ისადილა და სიესტაზე საკუთარ ოთახში გადაინაცვლა. საღამოს, სამუშაოს რომ ამთავრებდნენ, ნალვლიანი ხმით ალაპარაკდა:

„თუ ოდესმე ამ ჯოჯოხეთიდან გააღწევ, ან თუ მე გავალ შენზე ადრე, არ დამივიწყო, ეს ჩემი ერთადერთი შუება იქნება“, თქვა.

სიერვა მარია ვერაფერს მიხვდა მეორე დღემდე, ხანამ მარტინას გაუჩინარებით შემფოთებულმა დარაჯმა ყვირილით არ გააღვიძა. ქალის საკანი საგულდაგულოდ გაეჩხრიკათ, მაგრამ კვალისთვის ვერ მიეგნოთ. მხოლოდ სიერვა მარიამ შეიტყო რაღაც ბაღის შიშის ქვეშ ნაპოვნი ბარათიდან: „დღეში სამჯერ ვილოცებ, რათა ბედნიერი იყოთ“.

ბავშვი ჯერაც ვერ გარკვეულიყო გაოცებისგან, როცა საკანში იღუმენის, ქვეითი ჯარისკაცებისა და მუშაკების შეიარაღებულ პატრულთა თანხლებით აბატი ქალი შეიჭრა. ხოსეფა მირანდამ მისკენ გაიშვირა ბრაზით აკანკალებული ხელი და იყვირა.

„თანამონაწილე ხარ და დაისჯები კიდეც“.

ვოგომ ისეთი გადაწყვეტილებით აღმართა თავისუფალი ხელი, რომ აბატი ქალი ადგილზე გაშეშდა.

„დავინახე, როგორ წავიდნენ“, თქვა.

ხოსეფა მირანდა გაშრა.

„მარტო არ იყო?“

„ექვსნი იყვნენ“, თქვა სიერვა მარიამ.

შეუძლებელი იყო ვინმე გამაგრებულ პატიოში გამავალი ტერასიდან გაპარულიყო.

„ლამურის ფრთები ჰქონდათ“, თქვა სიერვა მარიამ და ხელები გაშალა, „ტერასიდან აფრინდნენ და ზღვის მეორე მხარეს გაუჩინარდნენ“.

პატრულთა კაპიტანმა პირჯვარი გადაიწერა და მუხლებზე დაემხო.

„დიდებულო წმინდაო მარიამ!“ აღმოხდა ყვირილით.

მარტინას შესანიშნავი გეგმა უკანასკნელ წერილმანამდე დაუმუშავებია მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ კაიეტანო დამლაშობით მონასტერში იპარებოდა. ერთადერთი, რაც ვერ გაითვალისწინა ან ყურადღება არ მიაქცია, ის იყო, რომ ეჭვების თავიდან ასაცილებლად, გაუქმებული ქვის სამტეხლოს გვირაბის კარი შიგნიდან არ ჩაკეტა. პატრულები ღია კარს წააწვდნენ, გამოიკვლიეს, სიმართლე დაადგინეს და სასწრაფოდ ამოქოლეს ორივე მხრიდან. სიერვა მარია ძალით გადაიყვანეს ცოცხლად დამარხულთა პავილიონში. იმ დამეს, სავსე მთვარის შუქზე, კაიეტანომ ფრჩხილები დაიმტკრია გვირაბის ამოქოლილ კართან ბრძოლაში, გაგიჟებული მარკიზის მოსაძებნად გაიქცა და ჭიშკარში დაუკითხავად შევარდა. უკაცრიელ სახლს გარედან შემოსული მთვარის შუქი ანათებდა და კირით შეუთეთრებული კედლები გამჭვირვალეს ჰგავდა. მიტოვებულ სახლში სანიშნო წესრიგი სუფევდა. აუჯი პრიალებდა და პატიოში ყვეაილები იწონებდნენ თავს. კარის ჭრიალზე ძაღლები ახმაურდნენ, მაგრამ დულსე ოლივიამ მკაცრი შემახილით ჩააწყნარა ცხოველები. პატიოს მწვანე ჩრდილებში კაიეტანომ მარკიზას ტუნიკაში გამოწყობილი, თმაში კამელიებჩაწნული მშვენიერი და მანათობელი ქალი დაინახა, რომელმაც ცერა და საჩვენებელი თითებით ჯვარი გამოსახა მისი მიმართულებით.

„უფლის სახელით გეკითხებით, ვინ ხართ?“ ჰკითხა დელაურამ.

„მონანიე სული“, თქვა ქალმა, „თქვენ?“

„კაიეტანო დელაურა ვარ“, აუხსნა კაცმა, „მოვედი, რათა მუხლისჩოქვით შევევედრო მარკიზს რამდენიმე წუთით მომისმინოს“.

დულსე ოლივიას ბრაზით აუკიაფდა თვალები.

„სენიორ მარკიზი გარყვნილ ხალხს არ ელაპარაკება“, თქვა.

„თქვენ რას წარმოადგენთ, ამდენის უფლებას რომ აძლევთ თავს?“ დაინტერესდა დელაურა.

„სახლის დედოფალი ვარ“, უპასუხა ქალმა.

„ღვთის გულისათვის“, შევევედრა დელაურა, „უთხარით მარკიზს, რომ მის ქალიშვილზე მსურს საუბარი“, გულზე ხელი დაიდო და მიუკიბ-მოუკიბავად გამოტყდა: „ჰკვდები მისი სიყვარულით“.

„კიდევ ერთი სიტყვა და ძაღლებს ავუშვებ“, გააფრთხილა შეურაცხყოფილმა ქალმა დელაურა და კარისკენ მიუთითა, „წაუთრიეთ აქედან!“

ისეთი ავტორიტეტით იყო ნათქვამი, რომ კაიეტანომ უკან დაიხია, თან ცდილობდა ქალი მხედველობის არედან არ დაეკარგა.

სამშაბათს სააკადემიოფოში მოსულ აბრენუნსიოს უძილობით გატახჯული კაიეტანო თავის ოთახში დახვდა. ყველაფერი მოუყვა ექიმს, სასჯელის ნამდვილი მიზეზით დაწყებული, საკნის სიყვარულით დამთავრებული. აბრენუნსიო გაოცდა.

„ყველაფერს წარმოვიდგენდი თქვენზე, ასეთი თავაწყვეტილი სიგიჟის გარდა“, თქვა.

„თქვენ არასოდეს გამოგიცდიათ?“ შეეკითხა თავის მხრივ გაოცებული კაიეტანო.

„არასოდეს, შვილო ჩემო“, თქვა აბრენუნსიომ, „სექსი ტალანტია, რომელიც მე არ გამაჩნია“.

შემდეგ კაიეტანოს დამშვიდება სცადა. აუხსნა, რომ სიყვარულზე ბუნების საწინააღმდეგო მოვლენა იყო, რომელიც ორ უცხო ადამიანს ბოჭავდა და უფერულ, მაგრამ ამავე დროს მკაფიო, წარუშლელ დამლად აჩნდებოდა. კაიეტანომ ყურადღება არ მიაქცია. ერთადერთი სურვილი ამოდრავებდა, რომ შესძლებოდა, შორს გასცლიდა დამორგუნველ ქრისტიანულ სამყაროს.

„მხოლოდ მარკიზს შეუძლია კანონიერად დაგვეხმაროს“, თქვა, „მსურდა მუხლებში ჩავეარდნოდი, მაგრამ სახლში არ დამხვდა“.

„არც დაგხვდებოდათ“, მიუგო აბრენუნსიომ „ხმა მიუვიდა, რომ მის გოგონაზე იძალადეთ. ახლა ვხედავ, რომ ქრისტიანული თვალსაზრისით ასეც იყო“, თქვა და თვლებში ჩახედა, „სასჯელის არ გეშინიათ?“

„უკვე დასჯილი ვარ, მაგრამ არა სულიწმინდის მიერ“, თქვა დელაურამ, „ყოველთვის მწამდა, რომ იგი რწმენაზე მეტად სიყვარულს უწევს ანგარიშს“.

აბრენუნსიოს არ დაუმაღავს, რა ალტაცებას იწვევდა მასში კეთილგონიერების ბრჭყალებიდან ახლად გამოთავისუფლებული ადამიანი, მაგრამ ტყუილი დაპირებებით არ გაუმხნეებია.

„თქვენ სიკვდილის რელიგია გაქვთ, რომელიც ძალასა და გამბედაობას ვმატებთ მისსავე წინააღმდეგ საბრძოლველად“, უთხრა, „ჩემი ღრმა რწმენით კი ყველაზე მთავარი ამქვეყნად სიცოცხლეა“.

კაიეტანო მონასტერში გაიქცა. დღის შუქზე შევიდა უკანა კარიდან და დაუბრკოლებლად გადაჭრა ბაღი, დარწმუნებულმა, რომ ლოცვის მაღლმა სხეებისთვის უჩინარი გახადა. მეორე სართულზე ავიდა, დაბალჭერიანი დერეფანი გაიარა, რომელიც მონასტრის ორ პავილიონს აერთებდა და ცოცხლად დამარხულთა გაუხშოებულ სამყაროში მოხვდა. არც იცოდა, რომ სწორედ იმ საკანს ჩაუიარა, სადაც სიერვა მარია ტიროდა მისი გულისთვის. ის იყო საპატიმროს პავილიონს მიაღწია, რომ ზურგსუკან ყვირილი მოესმა.

„ხდექ!“

მობრუნდა და სახედაფარული მონაზონი დაინახა, რომელიც ჯვარცმას უშვერდა. წინ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ მონაზონმა ქრისტე შეაგება.

„Vade retro“ იყვირა.

მის ზურგს უკან სხვა ხმა მოისმა „vade retro“, მერე კიდევ და კიდევ. დელაურა რამდენჯერმე დატრიალდა ადგილზე და მიხვდა, რომ სახეშეშურულ მონაზვნებს მოექციათ შუაში ყვირილით: vade retro, სატანა“.

კაიეტანოს ძალებმა უმტყუნა. იგი წმინდა ინკვიზიციას ჩააბარეს, სახალხოდ გაასამართლეს მოედანზე და ერეტიკოსობა დასწამეს, რამაც ეკლესიის შიგნით განხეთქილება გამოიწვია. ღირსეულად მოიხადა სასჯელი ამორ დე დიოსის საავადმყოფოში, სადაც თავის ავადმყოფებთან ერთად ცხოვრობდა, ჭამდა, იატაკზე ეძინა და კეთროვანთა ნაბან ვარცლში იბანდა, მაგრამ საწადელს ვერ მიადწია და კეთრი არ შეეყარა.

სიერვა მარია ამაოდ ელოდა. სამი დღის შემდეგ ჭამა აიკრძალა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ეჭვები მის ეშმაკთან კავშირზე. კაიეტანოს დაცემით, პადრე აკინოს აუხსნელი სიკვდილითა და სატანასთან ბრძოლაში განცდილ მის მარცხზე მოარული ხმებით შემფოთებულმა ეპისკოპოსმა, მისი ასაკისა და ჯანმრთელობისთვის წარმოუდგენელი ენერგიით განაახლა ექსორცირება. სიერვა მარიას თმა სამართებლით გადაპარსეს და გიჟის პერანგში გაკოჭილი გოგო

სატანასავით აღუდგა წინ ეპისკოპოსს, გაავებული ილანძლებოდა არაქრისტიანულ ენებზე და ჯოჯოხეთის ფრინველივით ჩხაოდა. მეორე დღეს გაგრძობული ჯოჯის მოახლოების მაუწყებელი გრგვინვა მოისმა, მიწა იძრა და უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ სიერვა მარიას ჯოჯოხეთური ძალებესქაჩრფულშეებლო. საკანში დაბრუნებულს ნაკურთხი წყლის ოცნა გაუკეთებამდ. [წინაწერი] საშუალებით შიგნულში ჩაბუდებულ ავ სულებს აფრთხოვდნენ ხოლმე.

ტანჯვა კიდევ სამ დღეს გაგრძელდა. ერთი კვირის ნაშიმშილებმა სიერვა მარიამ მაინც შესძლო ცალი ფეხის გამოთავისუფლება და ისე ჩაატედა ქუსლი ეპისკოპოსს მუცელქვეშ, რომ მოცელილივით დასცა. მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, რომ ბავშვის გაძვალტყავებული სხეული თავისით ძვრებოდა მარყუჟიდან. აყალმაყალი ექსორცირების შეწყვეტას მოასწავებდა, ყოველ შემთხვევაში, ასე გადაწყვიტა საეკლესიო კრებამ, მაგრამ ეპისკოპოსმა უარი თქვა.

სიერვა მარიამ ვერასოდეს გაიგო, რა დაემართა კაიეტანოს, რატომ აღარ გამოჩენილა მის საკანში ვაჭართა უბანში ნაყიდი ტკბილეულით დაუცხრომელი დამეუბის ვასათენებლად. 29 მაისს ძალაგამოცლილს ისევ დაეხიზმრა დათოვლილ მინდორზე გამავალი ფანჯარა, სადაც კაიეტანო დელაურა არ ყოფილა და ვერც ველარასოდეს მოხვდებოდა. გოგოს კალთაში ქარვისფრად დამკრახულა ყურძნის მტევანი ედო, რომელსაც ყოველი მოწყვეტილის ადგილზე ახალი კუმპალი გამოსდიოდა, მაგრამ ამჯერად სათითაოდ კი არა, წვეილ-წვეილად გლეჯდა და სულმოუთქმელად ჭამდა ერთადერთი სურვილით ანთებული: რაც შეიძლება, მალე მისულიყო ბოლო მარცვლამდე. ბავშვის მეექვსე ექსორცირებისთვის მოსამზადებლად შესულ დარაჯს სიერვა მარია სიყვარულით მკედარი დახვდა თავის საწოლში, ნათელი თვალებითა და ახალშობილის კანით. გადაპარსულ თავზე კი თმა ეზრდებოდა.



ინგლისურიდან

თარგმნა სტეფანე მხარბრიძემ



ყორანო

ღამის წვედიადში, როცა ვიყავ ქანცმილეული,
ფოლიანტებში თავჩარგული, სიბრძნეს წვეული,
როცა ღუმელმა დამიხელთა რულმორეული,
უცებ კაკუნი სევდით მოცულს მომესმა წყნარად,
ჩავიჩურჩულე: „სტუმარი თუ მომადგა კარად“, —
ეს იყო, სხვა რამ — არა და არა!

ეჭ, ახლაც მახსოვს: მღუმარება, ცავი ზამთარი,
უცხო ჩრდილები, ცრიატ ცეცხლას სხივი დამცხრალი,
ვერც დილის ნატვრამ ამოავსო ღამის ნაპრალი,
ან წიგნის ფურცლებს როგორ ძალუძთ, რომ შეაჩერონ
და იმ მშვენების სიყვარული გულს გაუნელონ,
რომელსაც ხმობენ სახელით — ლენორ!

ძოწისფერ ფარდის შემომესმა ჩემი შრიალი,
იწყეს ლანდებმა კვლავ ლაციცი და წოწიალი,
ვიძეორებდი, რომ ჩამეხშო სულის წრიალი:
„აღბათ ვილაცა სტუმარია, სხვა ფიქრი კმარა,
შემოსვლას ითხოვს ჩემს ოთახში, გაურბის წკვარამს“.
ეს იყო, სხვა რამ — არა და არა!

და შიშმორეულს უცაბედად მომეცა ძალი,
ვოქვი: „მაპატიე, ვინც ბრძანდება, კაცი თუ ქალი,
შენს ფრთხილ კაკუნზე წამიერად მივლულე თვალი,
ხმა ძლივს გავიგე, მძიმე განცდით გულდანასერი
კვლავ გონს მოვეგე...“ და კარები წყნარად გაუხსენი,
ოდენ სიბნელე, სხვა არაფერი.

ჩემ წინ გადიხსნა უკუნეთი, ყრუ, ღამეული
და მღრღნიდა ეჭვი უჩვეულო, სიზმარეული,
იყო ღუმელი დაურღვევი, რაღაც გრძნეული,
მხოლოდ ჩურჩულმა ერთი სიტყვა აანთო კვარად,
„ლენორ!“ — წვედიადში ექოსავით განიბნა ქარად,
მარტოდენ „ლენორ“, სხვა სიტყვა — არა!

შინ შევტრიალდი ფუჭ ხილვებზე ნანადირევი,
 ისევე კაკუნი, უფრო მძაფრად და დაჟინებით,
 ვთქვი: „ფანჯარასთან ვილატაა დანამდვილებით!
 მინდა ამოვხსნა საიდუმლო, რომელიც მზარავს,
 მხოლოდღა მასი ამოცნობით მოვიხსნი ვარამს.“
 ქარია, სხვა რამ — არა და არა!



გავხსენ დარაბა. წარსულ დღეთა ნაამბორალი
 ფრთების ფართქუნით შემოიჭრა დიდი ყორანი
 და არკი იწყო მორიდებით ირგვლივ ქროლვანი,
 ათინას ბიუსტს, ძაღალ გვამთა რიხით ნაფერი,
 ზედ დააფრინდა და ჩაბლუჯა ნაალაფევი,
 დააფრინდა და სხვა არაფერი.

მერე ღიმილით შემოცვალა ღრმად მოწყენილი
 სახე ფრთოსანმა, რომ მზაფრავდა ლანდად შთენილი,
 ვარქვი: „არ მჯერა, საიდანაც ხარ მოფრენილი,
 ის საიქიო საბრძანისი რომ არ გახსოვდეს,
 რას გიწოდებდნენ, მკვდრის სულები სადაც დაძრწოდნენ?“
 და თქვა ყორანმა: „აღარასოდეს!“

ეს მისი სიტყვა ჩემთვის იყო გასაკვირველი,
 თუმც აუხსნელი, მისებრ ბნელი, გულის მყინველი,
 ან მოკვდავთაგან ვის უნახავს, როსმე ფრინველი
 შინ შემოეჭრას, რაგინდ კარი გადარაზოდეს,
 კუბრივით ფრთებით მოქათქათე ქანდაკს დაჰკროდეს,
 თანაც სახელით „აღარასოდეს!“

მაგრამ ყორანმა, ბიუსტზე რომ იჯდა ეულად,
 ეს ერთი სიტყვა ამოღვარა გულსისხლეულად,
 ბოლოს მიყუჩდა, თვით ბუმბულიც არ შერხეულა,
 ვთქვი: „მეგობართა ცად წარვლენა ნეტავ კმაროდეს,
 შენც მიმატოვებ, რომ სულ მალე მაღლა დაქროდე!“
 და თქვა ფრთოსანმა: „აღარასოდეს!“

ეს სიტყვა იყო ვილაც სხვისგან წამოცდენილი,
 ალბათ ბედკრულის ბაგეთაგან წარმოდენილი,
 ვინც საწუთროსგან იყო მუდამ ტანჯულ-დევილი,
 ვისაც წამების შხამ-სამსალა გადააწოდეს,
 ვისი სიმღერაც იმ მგლოვარი ჰანგით დაკოდეს,
 რომელსაც ერქვა: „აღარასოდეს!“

რაჯამს ღიმილი საოცარი კვლავ დამეწვია,
 დავექე ყორნის წინ, საიდუმლო რომ წამერთმია
 და ჩავიქირე ხავერდში და ფიქრში ერთიან,
 ეს რაოდენჯზის გადმომჩხავის, ან რას აბოდებს,

მიქაელის რამეს ყიამყრალი თუ თავს მაცოდებს
 ავი ყრანტალით: „აღარასოდეს!“

ხმა არ გავეცი, არ გავუხსენ გულის კარები
 ფრინველს შაოსანს, გადმომზირაღს კუშტი თვალქობით,
 ვაჯექ ხავერდზე გამოუცნობ იღუმალებით,
 ლამპის სხივები ზედ იისფერ ზოლებს აქსოვდნენ,
 იმ ცივ ჩრდილებში რაგინდ შუქი დათამაშობდეს,
 მას ჰქვია მხოლოდ: „აღარასოდეს!“

თითქოს განიხვნა უცებ ღურჯად ზეცის სარკმელი
 და სერაფიმმა მოაფრქვია ამო საკმელი,
 ვოქვი: „უბედურო, ღვთით გებოძა ტანჯვის საშველი,
 სახელი „ლენორ“ რომ შენს ბაგეს აღარ აღმოხდეს,
 გადაივიწყე, შენს ხსოვნაში რომ არ სახლობდეს!“
 და თქვა ყორანმა: „აღარასოდეს!“

ვუთხარი: „ვინ ხარ მრუმე ნისლად ჩამოწოლილი,
 გულთამხილავი თუ ბოროტი სული ლტოლვილი,
 უკაცრიეთის მაცდურისგან გადმოსროლილი,
 სადაც ყოველი მიწის პირთან გათანასწორდეს,
 ბუუტავს იმედი, სულ მცირედი, რომ არ დამშორდეს?“
 და თქვა ყორანმა: „აღარასოდეს!“

„გულთამხილავო, ამ ბნელ ღამით აქ რომ დაეშვი,
 ღმერთს ნუ შესცოდავ, მარქვი შთანთქმულს სიმწუხარეში,
 რომ დავიმკვიდრებ სასუფეველს იმ გრძელ მხარეში,
 ვინძლო ჩემს გვერდით წმინდა ღვთის კვლავაც ნათობდეს
 და ჩემი სული ღვთის წმინდას გადაჯაჭვოდეს!“
 და თქვა ყორანმა: „აღარასოდეს!“

„მაშინ გამშორდი, ავი სული რომ ხარ მყოვარი,
 ისევ ბნელეთში კპოვე ბუდე თუ საცხოვარი,
 შავი ბუმბულიც არ დატოვო — ცრუ სახსოვარი,
 მე მინდა, ოდენ მარტოობის სეუდა მათოვდეს,
 შორს ევ ნისკარტი, რომ ჩემს გულში აღარ ასობდეს!“
 და თქვა ყორანმა: „აღარასოდეს!“

კვლავ ზის ყორანი — მიღმიეთის შავი წერტილი,
 ღამის ნაფლეთი, შუქჩამქრალი და ჩაშრეტილი,
 როგორც ღემონი, მღუმარებით ზე ასვეტილი,
 მის ღანდს სხივები გველებრ კლაკნის, დაბლა აცოცებს,
 ამ ღანდს შეერწყა ჩემი სული, ამ ღანდს მარტოდენ,
 არ განვიყოფით აღარასოდეს!





თარგმნა ელენა პარამიშვილმა

ე. საგანოვიჩი დაიბადა 1964 წელს ქ. გროდნოში. 1987 წელს დაამთავრა ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. შემდგომში სწავლა განაგრძო მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში. წინამდებარე მოთხრობა დაიბეჭდა ჟურნალ „იუნოსტ“-ში.

— შენოდი, ფეხი არ წამოკრა, მარცხნივ წამოდი, ახლა მარჯვნივ, ახლა პირდაპირ. სინათლე არ არის, არც იქნება. მე უსინათლოდ ვცხოვრობ, რატომ? სულაც არ ვარ თხუნელა. უბრალოდ, მომწონს უსინათლოდ ცხოვრება. შენ რა, არ წავიკითხავს, რომ სინათლე ტვინის უჯრედებს არღვევს? ფრთხილად, ნეტავი როგორ ახერხებს ფეხის წამოკვრას? ნუ ვიშვიშებ, თავგია. აჰა, უკვე მოვედი. ფეხი ცოტა აწიე. აქ ზღურბლია, თანაც მაღალი. მაინცდამაინც უნდა მიარტყა თავი რამეს? ამსიმაღლე აწოწილხარ და ერთი ბეწო სიფრთხილე არა გაქვს, მოიცა, ახლავე საჩუქრს ავანთებ. ახლა არა უშავს, მოხურე კარი. გეშინია? მაშინ ნუ დახურავ, არ გაძალებ. აბა, გისმენ...

სანთელმა მოხუცებული ქალი გაანათა. მოხუცებულიო, მთლად ზუსტად არაა ნათქვამი, სანთელმა გაანათა უსახური ბებრუხანა, ფერმკრთალი, კუზიანი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ქალს კუზი სულაც არ აწუხებდა, პირიქით — სჭირდებოდა კიდევ. კუზი უხდებოდა ბებრუხანას ჩაწითლებულ თვალებს (თვალების ჩაწითლება საშიში არ არის, უბრალოდ, თვალის გუგაზე სისხლძარღვები წყდება. ეს ხშირად ემართებათ მოხუცებს), მის შავად დაწინწკნულ პაჭუა ცხვირს და გრძელ ფრჩხილებსაც, რომლებშიც ჭუჭყი უგროვდებოდა ალბათ.

მაგრამ დედაბერი სუფთა ქალი აღმოჩნდა, წამდაუწუმ ისუფთავებდა ფრჩხილებს ყინულის კამფეტის ჩხირით. თანაც ბალერინასავით დადიოდა და დაატარებდა თავის კუზს. ყოველ ნაბიჯზე თითქოს შეხტებოდა კიდევ. არასოდეს მინახავს, ვინმეს კუზი ასე მოხდენოდეს.

— აბა, გისმენ, — გაიმეორა ბებრუხანამ და მაშინ მიუხედი, რით გამაოცა მან ყველაზე მეტად: ხმით, ქალს საოცრად ახალგაზრდული ხმა ჰქონდა. არა, კი არ გაშინებდა ეს ხმა, მაგრამ რაღაც რომ გემართებოდა კაცს, ეს ნამდვილია.

— გისმენ.

— მე? ა, ა, ჰო! საქმეზე მოვედი. განცხადება წავიკითხე. შეგიძლიათ დამეხმაროთ?

— განცხადება? დაგეხმარო? არაფერი მესმის. არავითარი განცხადება არ მიმიცია. არც მიფიქრია, ჩემი საქმე არ არის... მაინც რა განცხადება იყო?

— იქ ეწერა, რომ თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მათ, ვისაც დახმარება სჭირდება.

— შენ გჭირდება დახმარება? — გაეცინა ბებრუხანას და თავით-ფეხამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა. რად უნდა ლაპარაკი, თავით-ფეხამდე მშვენივრად გამოვიყურებოდი. და რაღა თქმა უნდა, გარეგნულად, მე და ეს მოხუცი ნაკლებად შევეფერებოდით ერთმანეთს. მასზე ორჯერ ძალადი ვიყავი. ფეხები ძირდაპირ კისრიდან მეწყებოდა. თვალები. ო, ეს თვალები, ჩემი მშვენიერი, ბიწერი თვალები!..

მოხუცი ფეხის წვერებზე აიწია და თავზე ხელი გადაშისვა.

— რატომ ხარ გაკრეჭილი?

— მე? ისე... საერთოდ... იცით რა...

— აგუხაროვას გავხარ.

— სულაც არა! — მეწყინა. — მე უფრო სიმპათიური ვარ.

— შენ რა გესმის! აგუხაროვა ბრწყინვალეა. შენ იმასთან როგორ მიხვალ... — მოხუცმა ხელი ჩაიქნია.

— შეიძლება დავჯდე? — ვკითხე და მონჯდრეულ ტაბურეტზე დავეხეთქე. დედაბერი იატაკზე დაჯდა, კუზით კედელს მიყრდნო. წვეტიან თეთრ მუხლებს ხელები შემოხვია. წინდები მაინც ჩაეცვა. თითქოს ძალიან მსიამოვნებდეს მაგისი გაძვალტყავეებული ფეხების ცქერა!

— არ მოგწონს და ნუ მიყურებ, — ეწყინა ბებრუხანას.

— რას ამბობთ! მომწონს. ძალიანაც მომწონს თქვენი მუხლები... ისეთი...

— ნუ იტყუები.

— მე არასოდეს ვიტყუები. სიცრუე ხომ უმსგავსობაა? უღამაზო საქციელია...

— გეტყობა...

— რა მეტყობა?

— რომ გიყვარს მაგარი ყავა, ძვირფასი სიგარეტები, კარგი ღვინო და ღამაზი ნივთები.

— მე მუსიკაც მიყვარს.

— მართლა? — გაეხარდა მოხუცს და მეორე ოთახიდან როიალი შემოაგორა.

— დაუპარტყუნებ? — მკითხა.

— აუცილებელია?

— ჰო.

როიალს მიუჯექი და დაუპარტყუნე. ყველაფერი, რაც მახსოვდა. ისე, სიმართლე გითხრათ, ცოტა რამ თუ მახსოვდა. რამოდენიმე ვარიაცია „მშვენიერი მეწისქვილე ქალიდან“.

— ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, — გაწელვით წარმოთქვა მოხუცმა. — ბეთ-ჰოვენი, — გაიმეორა კიდევ, თითქოსდა კლასიკოსის გვარს გემოს უსინჯავსო.

— მიხარია, რომ თანამოაზრე გიპოვეთ. რა კარგად ერკვევით კლასიკურ მუსიკაში. დღეს ეს ძალზე იშვიათია, მაგრამ... მე თქვენთან მუსიკაზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ...

— როგორ გგონია, მართლა მშვენიერი იყო?

— ვინ?

— მეწისქვილე ქალი.

— რა ვიცი. ალბათ, თუმცა... — ეს თავზედი ბებრუხანა უკვე მალიზიანებდა. მინდოდა, — მე მაგარი მეთხლიშა მისთვის. ქალმა გაქონილი ჯიბიდან უხარმაზარი ბროწეული ამოიღო. დანაც ამოაყოლა, თეფშიც. ბროწეული ნელა გაჭრა. ოთხ ნაწილად. ნელ-ნელა მოჰყვა მარცვლების ამოღებას სათითაოდ და ყოველი მხრიდან წუწუნას.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- თუ რამე გინდა, თქვი...
- მინდა, გესმით? მინდა, დამეხმაროთ, მინდა...
- თქვი.
- ფსიქიატრთან ვიყავი.
- კაცია თუ ქალი?
- კაცი. ეგ რაღა შუაშია? - აღუშფოთიდი.
- მართალია, არაფერ შუაშია. მერე რაო?
- იმან არაფერი. უფრო სწორად, არაფერში არ მომეხმარა. ჩემი დაძინება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო.
- მერე რა იყო?
- ფული მიეკვი და წამოვედი.
- ბევრი?
- არ ვიცი. არ მახსოვს. ფულის არაფერი გამეგება. მაგრამ ნამდვილად რომ ფული იყო, ეგ ვიცი.
- მერე?
- მერე ქალაქში დაუდიოდი. საშინელი ქარბუქი იყო. მხარი მეცვალა. წარმოგიდგენიათ, სულ სხვა მხარეს წავედი და ბოძზე... მოიცა, ისიც მახსოვს, იქ ავტობუსიც ჩერდება.
- მერე?
- აი, იმ ბოძზე განცხადება იყო გაკრული.
- თანა გაქვს?
- არა. მაგრამ... თუ შეიძლება მაპატიეთ, განცხადება აღარა მაქვს. მაგრამ ნამდვილად კი მქონდა. არ გატყუებთ, მქონდა, მქონდა.
- სად არის?
- ლუდხანაში შევედი. ლოთი არ გეგონოთ. ლუდხანა განათებული იყო, გარშემო კი უკუნეთი იდგა. თანაც იქ თბილოდა, მჩოლოდ იქ. სინათლესა და სითბოსათვის შევედი. მშიოდა კიდევ.
- გემრიელი იყო?
- ძალიან. ჩემს სიცოცხლეში მსგავსი არაფერი მიჭამია.
- უცბად დალიე?
- ერთბაშად გადავკარი. მაგრამ ხელს მიშლიდნენ. ირგვლივ იმდენი კაცი ირუოდა... პალტოზე შექაჩებოდნენ. ჰო, მართლა, შეიძლება პალტო გავიხადო? რაღაც ძალიან ცხელა თქვენთან. შეიძლება?
- რაო კაცებმა?
- ვინ კაცებმა? არავითარ კაცებს არ ვიცნობ. რაში მჭირდებიან? რა შუაშია აქ... ა, ლუდხანაში? რა კაცები ეგენი იყვნენ. სულ იცინოდნენ. რომელიღაცამ მუხლებზე მიჩქმიტა. ძალიან შეტკინა!
- არ იგერიებდი?
- ვერ შევბელი. ვაიგეთ რა! ერთ ხელში ლუდის კათხა მეჭირა, მეორეში ლეხელი.
- კი მაგრამ, განცხადება?
- უნდა გავცლოდი იქაურობას. გესმით? თანაც სწრაფად, არ მიყვარს, როცა მჩქმეტენ. უნდა გავქცეულიყავი. მაგრამ ხელები გაქონილი მქონდა. არადა, რითი გამეწმინდა...
- კი მაგრამ, განცხადება?
- ჰოდა, იმით გაეწმინდე ხელები. მაპატიეთ, იმით რომ გაეწმინდე. მიწყრებით, ჰო? ძალიან ვთხოვთ, მაპატიოთ.

- გაპატიებ. მით უმეტეს, რომ ის განცხადება ჩემი სულაც არ ყოფილა.
- არა ხარო მართალი. იქ ხომ თქვენი მისამართი ეწერა. კარგად დავიმახსოვრე და პირდაპირ თქვენთან მოვედი.
- მოგწონვარ?
- თქვენ? რა თქმა უნდა. ძალიან. მაშინვე მივხვდი, რომ მიშველიდით. მხოლოდ თქვენ მიშველიდით. ამიტომაც აღარ წავედი. ფეხსაცმელს გავიხდი თუ შეიძლება. აი, ასე. მოვისვენე... მაგ ბროწეულს ერთი საათია მიირთმევთ.
- აბა რამდენ ხანს უნდა ვჭამო?
- როგორ თუ რამდენ ხანს? ერთ წუთს, ერთ წამს, გესმით? თქვენ კი მარცვლებს სათითაოდ არჩევთ, ნელ-ნელა, ფრთხილად, ფაქიზად. მე ასე არ შემიძლია. მიყურეთ!
- ბროწეულს ხელიდან ვგლეჯ. სულმოუთქმელად ვკბეჩავ. თვალები მიბრწყინავს, ყბებს ბორბლებივით ვატრიალებ.
- გამიგეთ? მე სხვანაირად არ შემიძლია. ერთბაშად მინდა. მორჩა და გათავდა.
- ჰო მაგრამ, თეთრი წინდები წითლად რომ დაგილაქავდა?
- მერე რა მერწმუნეთ, მაგ ზომიერი ტრაპეზით თქვენ უფრო გულისამრევად გამოიყურებით, ვიდრე მე.
- ჰო?
- ასე ნაწილ-ნაწილ მე არ შემიძლია. ნელა, აუჩქარებლად. გამოზომილად. თავის შეკავება არ შემიძლია. არც საკუთარ არსებაში ყველაფრის ჩამარხვა.
- რას მთავაზობთ?
- ცხოვრებაში ყველაფერი თანაბრად მიდის. ამიტომაცაა იგი ასე ხანგრძლივი. ამიტომ მიიწელება იგი თვეებად, წლებად. გრძნობებს ჩვენ თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე ვხარჯავთ. ისინი გაფანტულია წვრილმანებად. და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ რაც შეიძლება დიდხანს ვიცოცხლოთ. მე ასე არ ძსურს. მინდა ყველაფერი, რაც წლებისთვისაა გადანაწილებული, ერთად შეიკრას და ერთ დღეს ვისარგებლო იმით, რაც მთელი ცხოვრებისათვის მაქვს მინიჭებული.
- თეატრში თამაში არ გიცდია?
- ვერ გამიგეთ. თქვენ სხვა რამეს ამბობთ! რა თქმა უნდა, მიცდია, ვფიქრობ, თვითონვე შეგეძლიათ მიმხვდარიყავით. არ მინდა სხვის მაგიერ განვიცდიდე იმას, რისი განცდაც თვითონვე შემიძლია.
- ნარკოტიკები? ალკოჰოლი?
- ეგეც იყო, ცხადია... მაგრამ მერე დგება დილა, თანაც როგორი დილა! დილა, როდესაც სირცხვილი გახრჩობს, როდესაც აცნობიერებ, რა ამაოდ დახარჯე გრძნობები... მიზანს ააცდინე... დილა, როდესაც შენთვის ნათელი ხდება, რომ ეს იყო ავადმყოფური, ბოდვური შეგრძნებები და თანაც სანახევროდ არც გახსოვს. მადლობა ღმერთს, რომ არ გახსოვს! მინდა ყველაფერი მახსოვდეს. მინდა ჩემი ტვინი შეგნებულად მუშაობდეს. სხვაგვარად უაზრობა იქნებოდა. მინდა რეალური გრძნობები მქონდეს, ხელს რომ შეახებ, ისეთი, თავისი სუნი, თავისი ფერი რომ აქვს, ისეთი. არ მინდა ილუზორული ტკბობა.
- ესე იგი, გადაწყვიტე...
- ჰო.
- რას იზამ, შენი ბედი შენვე ავირჩევია.
- არ ვინანებ. რა დამიჯდება?

— გასამრჯელოზე თავს ნუ შეიწუხებ. ყველაფერს მიეგება საზღაური. რასაც მიიღებ, იმასვე გასცემ.

— გასაგებია.

— რა გხურს? როგორი გრძნობები გინდა განიცადო?

— ისეთი, რომელთა განცდა ბოლომდე შეუძლებელია.

— მაინც რომლის განცდა გინდა ბოლომდე?

— მე? კო, მაპატიეთ, რა თქმა უნდა, აბა ვის? შეიძლება ქვედა კლასობითაა დო? თქვენთან საოცრად ცხელა. დახუთული ჰაერია. რატომაა ასე?

ქვედა კაბას ვიხდი. იატაკზე ვაგდებ. თეთრ „კოლეგოტკებს“ და სვიტრში ვრჩები.

— მისმენ? — მოულოდნელად შენობით მიემართე. ქალს სულაც არ გაკვირვებია. მომეჩვენა, რომ ამას კარგა ხანია ელოდა კიდეც.

— მე სულ ცოტა მინდა, სულ ერთი ბეწო. მეტს აღარაფერს გთხოვ. ვეცდები არ გაგაწუალო. პატიოსან სიტყვას გაძლევ. უპატიოსნესს.

— მოკლედ მითხარი.

— ბოლომდე მინდა შევიგრძნო ის, რისი შეგრძნებაც ბოლომდე შეუძლებელია. ყურადღებით მისმენ? — თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა!

მოხუცს სახე დაემანჭა.

— დიახაც თავისუფლება, ბები, გესმის?

ქალმა თავი დამიქნია.

— კიდეც რა მინდა? ღმერთო ჩემო, კიდეც რა მინდა? მეგობრობა. კი მაგრამ, რა არის მეგობრობა? მდგომარეობა? უბრალოდ, ფაქტი? კარგი, იყოს ფაქტი. რაღაც მოუხერხებელი სიტყვაა.

ბებრუხანა ყურადღებით ათვალთვლებდა თავის შიშველ მუხლებს და მომეჩვენა, სულაც არ მისმენდა.

— რატომ არ მისმენ? კიდეც სიყვარული მინდა და ბედნიერება, — მივაყარე ერთი ამოსუნთქვით.

— ბედნიერება? — შემომიბრუნა კითხვა, — რა გაეწყობა, იყოს ბედნიერება. რადგან ასე გინდა!

მოხუცი ადგა. მეც ავდექი. წავიდა. გავყევი. გაჩერდა. მეც გაჩერდი.

— კიდეც ხომ არ დაუკრავ? ისე, ყოველი შემთხვევისთვის. შეიძლება მეტი არც მოგიწიოს.

— არაფერი არ მახსოვს. „მეწისქვილე ქალის“ გარდა. მშვენიერი ქალი კია, მაგრამ არ მომწონს, თუმცა ბეთჰოვენია. თანაც რა დიდი მუსიკოსი მე მნახე. ეკ, ნუ მთხოვ.

— როგორც გინდა.

ბებრმა ერთი ხელი როიალს ჩასჭიდა, მეორე — სკამს და გვერდით ოთახში შეაგორა. ოთახი დაცარიელდა. მხოლოდ სანთელი დარჩა ფანჯრის რაფაზე და იატაკზე უწესრიგოდ მიყრილი ჩემი ტანსაცმელი.

— აკრიფე ესენი და დერეფანში გაიტანე! — მიბრძანა მოხუცმა. მეც მორჩილად შევაგროვე ყველაფერი და დერეფანში დავყარე.

— „კოლეგოტკა“ გაიხადე და გარეცხე.

— არა! არა! ვერ გავრეცხავ. რეცხვა არ მიყვარს. სჯობს, გადავაგდო, ახალს ვიყიდი. თუმცა ფული არა მაქვს. გინდა გაჩუქებ? გახეული არ არის, არც დაკერებული. დაკერებულ „კოლეგოტკას“ არ ვიცვამ. მოგწონს?

— კარგი, მომეცი. მიყვარს თეთრი ფერი.




მშვენიერი

მშენებელი ქალი

„კოლგოტკა“ სწრაფად გავიხადე და ბებრუხანას მივართვი. მე კი ქვედა საცვალისა და სვიტრის ამარა დავრჩი.

ქალმა გვერდით ოთახიდან ჩალა შემოიტანა და იატაკზე დაავსო.

— დაწევი, — ჩაიბურღლუნა. დავწევი.

— გმადლობთ. არც კი ვიცი, როგორ გადავიხადო მადლობა. არ ველოდი ასეთ ყურადღებას, კეთილშობილებას, მზრუნველობას... 

— დაიძინე. სამუშაოს ხვალ ხალამოს შევუდგეო, მანამდე კი მთელი დღე შენს განკარგულებაში იქნება, რაც გინდა ის გააკეთე, გესმის? კარგად მოიფიქრე, აწონ-დაწონე, გამიგე?

მოხუცმა სანთელი წაიღო და წავიდა. ძილი ნებისაც კი არ მისურვია. ალბათ ხედებოდა, არა, ნაღდად იცოდა იმ ეშმაკისფეხმა, რომ როგორც არ უნდა ესურვებინა, მშვიდი ღამე მაინც არ მექნებოდა.

ვეცადე დამეძინა, ძილისათვის მიმეცა თაფი. მაგრამ მხოლოდ გამთენიისას ჩამეძინა. დედაბერი დამესიზმრა. მის წინ მუხლებზე ვიდექი. ქალს გაჭყლეტილი თავი კუდით ეჭირა და ცხვირწინ მიტრიალებდა. მე კი თავის დაჭერა მინდოდა კბილებით, კატასავით. მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ბოლოს ბებერს ხელზე ვუკბინე. იკივლა, თავი ხელიდან გაუვარდა. ჰაერში დავიჭირე და გადავყლაპე. ქალს გაეცინა და მიოხრა, ეს თავი კი არა, შენ რისთვისაც მოხვედი, ის იყო. ეს სიტყვები ისეთი მოულოდნელი იყო, კინაღამ დავიხრჩვი. ხველა ამიტყდა და გამოშეღვიძა.

გამომეღვიძა და მაშინვე გადავწყვიტე აქედან გავპარულიყავი. მე ხომ მართალი არ ვიყავი. მე ხომ ყველაფერი მოვიგონე: გრძნობათა ვულკანიც, თეთრი „კოლგოტკაც“, თავიც, მოხუცს გავძახე. არავინ მიპასუხა. იგი არსად ჩანდა. ჩაცმა დაეიწყე. თეთრი „კოლგოტკა“ ვერ ვიპოვე. საინტერესოა, სად გაქრა. ბებრუხანას გასაღებით ჩაუკეტავეს თავისი კარი. „ეშმაკმა დალაზვროს — შუბლში ხელი შემოვირტყი უცხად, — მე თვითონ არ ვაჩუქე?“ ფეხსაცმელები ძლივს ჩავიცვი შიშველ ფეხებზე და გარეთ გავვარდი. ქუჩაში მაგრად ყინავდა. მადლობა დმერთს, ქარი მაინც არ იყო, თუმცა ყინვა უქაროდაც ახერხებდა ჩემთვის შიშველი მუხლები აეწვა.

ნელ-ნელა მივეჩვიე სიცვივს. ვეღარც კი ვგრძნობდი. რაში მჭირდებოდა ნეტავი ეს დედაბერი? განა მე თავისუფლება მაკლია? ან სიყვარული? თუნდაც ბედნიერება? სრულებითაც არა. მაგრამ ფულში ხომ არ არის ბედნიერება? მით უმეტეს, რომ სხვა ყველაფერი გამაჩნდა. ფულის შოვნას რა უნდა! სკამზე შევხტი და ქუდი ფეხებთან დავიგდე.

— პუშკინი, „ჩაადაევს“! — ვიყვირე მთელი ხმით იმ ლექსის სათაური, რომელიც სკოლიდან ყველაზე უკეთ მახსოვდა. მაშინვე მეცნენ და სკამიდან ჩამომართიეს. მაინც მოვასწარი და ქუდს ხელი ვტაცე. ვილატას მოწყალედ ორგანიკიანის ჩაგდება მოესწრო. ჰმ, გენიოსი ორ კაპიკად შეაფასეს! ესენი რაღას მერჩიან? განა ასეთი რა ჩავიძინე? ჯერ ერთი, ფულის შოვნას პატიოსანი გზით ვაპირებდი, წარმოდგენის გამართვით. ხალხს შეიძლება, გადაავიწყდა კიდევ პუშკინი. მე კი კეთილი საქმე ვავაკეთე — შევახსენე. მეორეც, რატომ უნდა მჭირდებოდეს ნებართვა პუშკინის წასაკითხად? მაგრამ ჩემი აზრი არავის აინტერესებდა. სადღაც მაღალ შენობაში შემართიეს, რომელიც რაღაც სიმბოლოებით, ნიშნებითა და საგნებით იყო აჭრელებული. ზრდილობიანად მიმიწვიეს კაბინეტში, სადაც ბევრი მამაკაცი იჯდა. ყველას სათვალე ეკეთა და შლაპები ეხურათ. არც ერთს არ შემოუთავაზებია, დაბრძანდითო. მით უმეტეს, რომ ერთადერთი ქა-

ლი ვიყავი. უზრდელები! მიპატიუებას აღარც დავლოდებივარ, სავარძელში ჩა-
ვენარცხე.

— ადექით! — მომმართა შლაპოსანთა გუნდმა.

ჭირი თქვენა, გავიფიქრე და ავდექი.

— იცით თუ არა თქვენ, რომ ალექსანდრ სერგის-ძე პუშკინის თხზულებათა
სრულტომეული იყიდება მაღაზიაში?

— ვიცი.

— იცით თუ არა, რომ ბიბლიოთეკაში შეიძლება თავისუფლად მიიღოთ მი-
სი ყველა ტომი?

— ვიცი.

— იცით, რომ ჩვენი ხალხი ძალიან განათლებულია? რომ ჩვენში საყოველ-
თაო საშუალო განათლებაა? იცით?

— დიახ.

— ჰოდა, თუ ეს იცით, მაშინ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ცივილიზებული
ქალაქის ცენტრში სულაც არ არის აუცილებელი პუშკინის კითხვა

„ამათ უჩვენებ სეირს! აი, ახლავე ვეტიკვი ყველას, რომ ისინი „შლაპები“
არიან, „სათვალღიანები“ არიან და კიდევ...“

— იცით რა, ასე მოხდა. გამიგეთ... — ჩავილულულე პასუხად და თავი ჩავ-
ქანდრე.

— თქვენ ხომ ეს შეგნებულად გააკეთეთ? ხომ ასეა, ჰა, ხომ ასეა? გააა შე-
იძლება ფულის შოვნის სურვილი შეუგნებელი იყოს? სრულიად ჯანსაღი სურ-
ვილია.

— მე? არა, რას ბრძანებთ. რა თქმა უნდა, შეუგნებლად. მეც არ ვიცი, რა
დამემართა, რა შემიჯდა. ძალიან მცოიდა, თანაც „კოლეოტკა“ არ მეცვა.

— ჰო, მართლა, რატომ არ გაცვიათ? პროტესტის ახალი ფორმა ხომ არ
არის?

— რას ბრძანებთ! რა პროტესტი, როცა ასეთი სიცივეა. უბრალოდ, ფული
არ მქონდა, მეყიდა, მე როგორღაც... რაღაც მომივიდა... ქარიც ამოვარდა, თანაც
ის სკამიც გამოჩნდა...

ვგრძნობდი, როგორ მავიწროებდა აქაურობა ყოველი მხრიდან. მტრულ გა-
რემოცვაში მოვხვდი. მსურდა ყველაფერი დამემსხვრია, იატაკზე დამეყარა და
ფეხქვეშ გამეთელა. აი, ახლავე...

— ფული რატომ არა გაქვთ?

— რატომ? რატომ არა მაქვს? როგორ თუ რატომ? იმიტომ რომ გამითავდა.
ფული შეიძლება გქონდეს, მერე უცბად მოიხედავ და აღარა გაქვს. ძალიან ხში-
რად ხდება ასე. თითქმის ყოველთვის. დახმარებას კი არსაიდან არ ელოდები.

უკვე ვეღარ ვფლობდი თავს. ველური, ცხოველური შიში დამეუფლა, ნეტა-
ვი საიდან გაჩნდება ხოლმე ეს შიში?

— მატერიალურად ჩვენ დაგეხმარებით. მხოლოდ ბოდიში უნდა მოიხადოთ.
არაფერია ისეთი. უბრალოდ, მოგვეცით პატიოსანი სიტყვა, რომ მსგავს გა-
მოხდომებს აღარ გაიმეორებთ, კარგით?

„ბოდიში მოვიხადო? ვის წინაშე? რაღაც ვერ გავიგე კარგად. აქეთ მომი-
ხადონ ბოდიში, ასე რომ მომექცნენ. ახლავე სიფათებში მივაფურთხებ. მივაფურ-
თხებ, ეშმაკმა დალახვროს!“

დიდი მონღოლებით დავიწყე ფურთხის შეგროვება. გაცოფებული ვამოძრა-
ვბდი ყბებს, ენას. მინდოდა, რაც შეიძლება მეტი ფურთხი მომეგროვებინა, ყვე-
ლას რომ ჰყოფნოდა...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აიღეთ ეს ოცდახუთი მანეთი, „კოლგოტკისათვის“ გეყოფათ?

— დიახ, დიახ, მაპატიეთ. რასაკვირველია, მეყოფა, თუმცა ფულში მაინცღა-
მაინც ვერ ვერკვევი. ამდენი ფული არც მჭერია ხელში. დიდი მადლობა. რა ყუ-
რადღებიანი ხართ. ჯანდაბას პუშკინი! მართლაც, თვალთ უკვთესად აღიქმება
იგი, ვიდრე ხმამაღლა. ოჰ როგორ დავაშავე! კარგია, რომ გონს მაღალ მოვეგე, რა
თქმა უნდა...

კარისკენ მივლიოდი, თან ოცდახუთმანეთიანს გულში ვიხუტებდი.

— შემოიარეთ ხოლმე. შემოიარეთ. რამეს თუ დაინახავთ, ან რამეს გაიგებთ.
იცით, ეს პოეზიის მოყვარულები ისეთი მოუწესრიგებელი ხალხია. მათი ჭეშმა-
რიტ გზაზე დამყენებელი კი არაჟინაა, ჩვენ მხოლოდ სიკეთე გვინდა მათთვის.
სხვანაირად რა აზრი აქვს ცხოვრებას. სხვანაირად ცხოვრებას აზრი არა აქვს.

— დიახ. დიახ. მშვენივრად მესმის თქვენი. მეც ამ აზრისა ვარ. სიკეთე მო-
ყვასს...

გარეთ გავვარდი. ძალაგამოცლილი, უღონოდ დავეგდე იატაკზე. თვალები
დაეხუჭე. იმწამსვე ვიგრძენი, ვიღაცის თბილი, ბალნიანი ხელის გული დაფა-
თურობდა ჩემს შიშველ მუხლზე. წამოვხტი. დავინახე „შლაპიან-სათუალიანი“
ვაბადრული სახე.

— რა გნებაეთ?

— ძალიან ცოტა. შოკოლადის ფილა. ჰა-ჰა--ჰა. თქვენ ხომ სულელი არა
ხართ, უნდა გესმოდეთ. ეს ხომ უბრალოდ ხდება. ასე იოლად არაფერი მთავრ-
დება. ხუმრობა არ გეგონით. პუშკინი! თქვენზე უკვე საქმეა შედგენილი. ბევრი
არაფერია. იქ როგორ არის? კარგი იქნებოდა ყველა წიგნის მოქურება და ცეც-
ხლში დაწვა? პუშკინი? კარგით ერთი, ნუ იპრანჭებით. კრიბოედოვი. თუმცა ეს
სულერთია. წვრილმანია. ჯერჯერობით, წვრილმანია. შემდეგ რა იქნება? შემ-
დეგ ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. დიახ, თქვენზე.

— რა გნებაეთ?

— ლამაზი ფეხები გაქვთ. მე მგონი, ამათი გულისათვის ღირს ქალაქების
დახვეა.

„მოუუქნიო? დავარტყა? რაც ძალი და ღონე მაქვს?“

— კარგით ერთი, ასეთ ახალგაზრდას მთელი ცხოვრება წინა გაქვთ. აი, მი-
სამართი. უმჯობესია, სისულელეებს თავი დაანებოთ, გასაგებია?

„პირუტყვი“. მუშტები მოვკუმშე.

— აიღეთ გეუბნებით! — და თბილმა ბალნიანმა ხელმა დაკეცილი ქალაქი
ცხვირზე მომიცაცუნა.

„აი, ახლა, ამ წუთში. ძალა მოვიკრიბო“...

— მომეცით.

— ჭკვიანურია. ვიცოდი, თქვენთან შეიძლებოდა მოლაპარაკება. სხვათაშო-
რის გეტყვით, რომ არის ადგილები, სადაც ფული სამყოფია არა მარტო დახუ-
ლი „კოლგოტკისათვის“. თქვენ ეს იცით.

უკან მოუხედავად წავედი. ჭუჩაში გულისრევა დამეწყო. მაგრამ რატომღაც
არ ამრევია. მე კი პუშკინის შეფასებას ორ კაპიკად ვაპირებდი... ორ კაპიკად.
ჰო, მართლა! ჩემი ორი კაპიკი აგერა მაქვს. მასთან დარეკვა შემიძლია. ცოტას
ამოვისუნთქებ. გულისრევაც შემიჩერდება. ჯანდაბას! დიდი ამბავი, თავისუფ-
ლება. დაფურეკავ, დამამშვიდებს მაინც. ყველაფერი დამავიწყდება. მოვა და მე-
ტყვის — ეს ყველაფერი წვრილმანია, მე შენთან ვარ. და მეც ყველაფერი დამა-
ვიწყდება.

ნახევარი საათის შემდეგ გაყინულ სკვერში ვისხედით და სიგარეტს ვეწვოდით.

— რა მოხდა? ჩქარა მითხარი, ძალიან ვთხოვ. რას აჭიანურებ! ამდენი დრო სადა მაქვს, ხალხი მელოდება, ძალიან საპასუხისმგებლო საქმეებია. სამუშაო დღე კი, ხომ იცი, რა მოკლეა. უამრავი საქმე დამრჩა მოსასწრები. აბა, გეხსენებ, რა მოხდა?

გეხსენებ

— ასე არ შემიძლია. როდესაც მაჩქარებ, ვერ ვაზროვნებ.

— იცი მაინც, რისთვის გამომიძახე? მომაცდინე. ნუთუ არ გესმის, რომ ხალხს საქმე აქვს?

— ასე გაანჩხლებული რატომ ხარ?

— არ გეწყინოს. გაანჩხლებული კი არა, უბრალოდ შეწუხებული ვარ.

— რითი?

— ცხოვრებით. შენგან განსხეავებით.

— იცი რა? ოცდახუთი მანეთი მაქვს. შეგიძლია სამუშაო მიატოვო და მე და შენ სადმე წავიდეთ. თუ გინდა, გაუფრინდეთ. თვითმფრინავის ხომ არ გეშინია? ასე უფრო მოვასწრებთ. ორი დღე გვეყოფა. მეტს არაფერს აღარ მოვთხოვ, არასოდეს.

— რას ამბობ, აზრზე მოდი. სამუშაო მივატოვო? რომელი ორი დღისათვის? რაღაც კერაფერი გავიგე. ჩვენ ხომ ისედაც ვხვდებით ერთმანეთს. რა გინდა. არაფერი მესმის. ოცდახუთი მანეთი? თვითმფრინავისთვის? აქეთ და იქით? კი მაგრამ, სად მიუფრინავთ? ნუთუ არ გესმის, რომ ოცდახუთი მანეთი ფული არ არის? და საერთოდ, ფულის რაიმე გაგეგება?

— მაშინ მასესხე. ბოლოს და ბოლოს ფული ხომ არ არის მთავარი. უბრალოდ, დღეს მინდა ასე მოხდეს. ჯანდაბას ფული! თვითონ ვიშოვნე სადმე. პალტოს გავყიდი, ან სვიტრს, ან... მაგრამ ეს არ არის მთავარი.

— დაწყნარდი. შენ, მგონი, გააფრინე. ორი დღით გავუფრინდეთ? რა აზრი აქვს, არ მესმის.

— ღმერთო ჩემო. როგორ არ გესმის?! რა შუაშია აქ გაფრენა, ან ორი დღე? ერთი შეიძლება. თუნდაც ერთი საათი. შეიძლება არც გავუფრინდეთ. სადმე წავიდეთ. დავსხდეთ. ოღონდ ახლავე. არც ანგარიში ჩავაბაროთ ვინმეს, შეიძლება არსადაც არ წავიდეთ, არც დავსხდეთ. აი, ასე, უბრალოდ, რომ მითხრა: შენთან ყოფნა მინდა... ხომ არც ისე ძნელია?

— ეშმაკმა დალაზვროს! ეს შენ არ გესმის არაფერი. რატომ ვილაპარაკო იმაზე, რაც არ მოხდება? და იდიოტობაა! რატომ არ ფიქრობ იმაზე, რომ შენ გამო შეიძლება რაიმე უსიამოვნება შემხვდეს?

— რა საჭიროა იმაზე ფიქრი, რა მოხდება. ჩვენ ერთად ვართ და ყველაფრის დავიწყება შეიძლება. გიცდია როდისმე რაიმეს დავიწყება?

— არა, და არც ვაპირებ. მაპატიე, მაგრამ უკვე ძალიან ხანია, არ მიყვარს, როცა დროს მართმევენ, წინასწარ დაგეგმილ დროს. შენ ამ დროში არ ზიხარ. შენთვის არსებობს სხვა დრო. ეშმაკმა უწყის, რა მოისურვე მაინცდამაინც ახლა...

— არაფერიც არ მოვისურვე. მხოლოდ შენ მინდა გიყურებდე. მეტი არაფერი.

— მორჩა. მომბეზრდა. გავიქეცი.

— ცოტა ხანსაც დარჩი, რა. გეხვეწები...

— ჰო, მართლა! წინდა რატომ არ გაცვია? ბრ! ცივა. ვინმემ ხომ არ მოასწრო და გავაძრო? უსინდისო. „კოლეგოტკა“ იყიდე. მაგ შენს ოცდახუთ მანეთსაც

გამოიყენებ. შენ კი — ორი დღით, თვითმფრინავით, ეგ ფული მაისურისათვისაც გეყოფა. რა ჩვევა გაქვს შიშველ ტანზე იცვამ სვიტრს! მაპატიე, მაგრამ ძალიანანებ პირდაპირ! აბა, კარგად იყავი, დაგირეკავ.

ის უკვე ხეივანში გარბოდა, თან სიგარეტს უკიდებდა. საოცარი სურვილი გამიჩნდა, რაღაც ისეთი მეყვირა მისთვის, რომ გაეგონა და შეჩერებულიყო. მაგრამ ჩემი სიტყვები ნერწყვითან ერთად გადავყლაპე. მარცხენა თაღლიდან კი ცრემლი გადმომიგორდა.

გათიშული მივდიოდი ქალაქში. გამკლავლები თანაგრძნობით მიცქერდნენ. ალბათ დარეხვილიც ვეგონე ყველას. ერთმა დახმარებაც შემომთავაზა. მე კი გზას განვაგრძობდი. მერე ძალიან ნაცნობი სახლი დავინახე. თითქოს სადღაც მენახა ადრე. ფოტოზე თუ დია ბარათზე... რაღა თქმა უნდა, აქ ხომ წუხელი დამე გავათიე! რაღვან დამე გამათევინეს, ეგება საჭმელიც შემომთავაზონ? ზარი დავრეკე. ნარნარად მოდიოდა ვიღაც. ასე მხოლოდ ბაღერინები დადიან. ზღურბლზე ჩემი ნაცნობი კუზიანი დედაბერი იდგა. ფეხებზე დავხედე და ჩემი თეთრი „კოლეგოტკები“ დავინახე, უხდებოდა კიდევ. ამან გამამხნევა.

— აბა, მივხედოთ საქმეს? — მკითხა ქალმა ახალგაზრდული ხმით.

— აბა რა ვიცი... ისე, ცოტა მერიდება, თუ რა თქმა უნდა, თქვენთვის ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს... მაგრამ მე... მე... მშია.. ხომ არ მოგეძევებათ რაიმე?

ქალმა ჯიბიდან ბროწეული ამოიღო. სასწრაფოდ გამოვკლიჯე ორივე ხელით, კბენა დაუწყვე. წვენი ნიკაპიდან იატაკზე მელვრებოდა.

— რა ღორობაა, — თქვა დედაბერმა და წინსაფარში თეფშის ნამტკრეკების შევროვება დაიწყო.

— გეთანხმებით, ღორობაა. თანაც როგორი. მაგრამ მერწმუნეთ, მთელი დღე მშვიერი ვარ. მეგონა, ის მაჭმევდა, მაგრამ ძალიან ეჩქარებოდა. ბევრი სამუშაო აქვს, საჭირო და აუცმლებელი საქმეები. იმის დროც კი არა აქვს, მაჭამოს. ისევ გაათბეთ აქაურობა? გავიხდი რა! — გავიხადე, ქვედა საცვალსა და ჯემპრში დავრჩი.

— ჯემპრი გაიხადე.

— ჯემპრი? ა, ჰო. — სასწრაფოდ გავიძვრე და ჩემი შიშველი მუცელიც დავინახე. — როგორ დამავიწყდა. მე ხომ სვიტრის ქვეშ არაფერს ვიცვამ. ის კი ამაზე ძალიან ღიზიანდება. მაისურის ყიდვაც კი შემომთავაზა. კარგი წინადადებაა, არა? სამართლიანი, მაგრამ მე მაისური არ მიყვარს. როგორ ფიქრობთ, უნდა მეყიდა?

— გაიხადე ჯემპრი და თივაზე პირქვე დაწევი. მასაჟს გავიკეთებ.

— რატომ? კარგი, აღარაფერს გკითხავ.

დავწევი. ქალმა თითები მოიფშენიტა და ზელვა დამიწყო. ისე ძლიერად მიზელდა მთელ სხეულს, ყვირილი მომიჩნდა. კინაღამ კბილებში ფეხები ვიხლიშე. მაგრამ ვითმენდი.

— იცი? — ისევ შენობით მივმართე, — ერთხელ უკვე გამოიკეთეს მასაჟი. ეს სხვა ქალაქში მოხდა. უფრო დიდ და ცნობილ ქალაქში. სასტუმროში. წელი მტკიოდა. გვერდით ოთახში ერთი კაცი ცხოვრობდა, წესიერად არც კი ვიცნობდი. უფრო სწორად, სულაც არ ვიცნობდი. მაგრამ მითხრა, მოგარჩენიო. ძალიან ძლიერი იყო, თანაც ორმოცი წლის. გესმის? ბებერი, ზურგზე ასე, შენსავით ჯერ მიტყაპუნებდა, მერე მითათუნებდა. მერე მჩქმეტდა. ამასობაში მე ის შემეყვარდა. ჰო, ჰო. როგორც კი ჩქმეტა დამიწყო, უკვე სიყვარულით ვიყავი ხავსე. მან კი მასაჟი დაამთავრა და... წავიდა, ძილი ნებისა მისურვა და წავიდა. როგორ ფიქრობ, პოტენტი იყო? ხედავ, ვერ გამოიცანი. ჩვეულებრივი მასაჟისტის იყო.

ხომ წარმოვიდგენია, რა მოსაწყენიც იქნებოდა ჩვეულებრივი მასაჟისტი. თითქოს ცივი წყალი გადამასხეს. ის ყველას უკეთებდა მასაჟს, ოცი წლის სტაჟი ჰქონდა. თანაც ფულს იღებდა, დიან. მასაჟშიც. სტაჟშიც. ბევრ ფულს აკეთებდა. მგონი ჩემგანაც ელოდა ფულს, სხვა კი არაფერს. არც მეორე დღეს, არც მეორე ფული არ მიმიტანია. არ მქონდა და რა უნდა მიმეტანა. დამლაგებელმა უხარცხვლოდ მაგრძნობინა კიდევ. წარმოვიდგენია, რა თავხედი ქალი იყო? ნეტავ რაში უნდა მიმეტანა? მაინც აუღეჭი და შალის შარფი წავუღე. სულ ახალი. მხოლოდ ერთ ადგილას იყო ვაკეშლი, არც ეტყობოდა. ყელზე მოხვეულს კი, მით უმეტეს ვერ შეამჩნევდი. იმან კიდევ გამომაგლო, უზრდელიც კი მიძახა. დიდი უცნაური ვინმე იყო, რას იტყვი?

— აბაზანაში შვდი, ტანი გადაიბანე — მითხრა ქალმა და უზარმაზარი ხალხის პირსახოცი შესროლა. აბაზანიდან, პირსახოცში გახვეული კი არ მოვდიოდი, მოვფრინავდა.

— გამოს. — მითხრა დედაბერმა.

— რომ იცოდე, რა კარგია. რამდენი ხანია ასე მშვენიერად არ ვყოფილვარ. კალტოს ჯიბეში „ასტრა“ მაქვს. მომიტანე გეთაყვა.

ქალმა კითხვის თვალით შემომხედა, მაგრამ „ასტრა“ მაინც მომიტანა. დედაბერს ნაღდად მოვწონდი. ხანთლიდან მოვუკიდე. მან თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

— იცო, რა, ვნებივრობ, ნეტა ახლა ყავა მომცა და კონიაკი, — დავიწუწუნე.

ბებერი ვითომ ვერ მიმიხვდა ნათქვამს. თვალები დავხუჭე. მესმოდა, ქალი კვერდით ოთახიდან რაღაცას მოათრევდა. თვალის გახელა დამეზარა, მით უმეტეს, რომ უნდა მივხმარებოდი. ახლავე ავდგები და მივეხმარები, ცოტაც. მაგრამ ჩემი კეთილშობილური ზრახვები ამაო გამოდგა.

ქალმა თვითონ შემოათრია რაღაც და იატაკზე დადგა. თვალი აკახილე. გალაქული კარადა იყო, სამოცდაათიანი წლების. გაკვირვებულმა წარბები ავზიდე.

— აქ ბევრი ლამაზი ტანსაცმელია, — ამიხსნა ქალმა. — ყოველდამე შევიძლია სურვილისამებრ ამოირჩიო. შენ ხომ გიყვარს ლამაზი ნივთები?

ძალიან მიყვარს. ადამიანებზე მეტად მიყვარს. ამიტომ მიბრწყინავს თუალეზი, როდესაც კარადას ვაღებ. ვეღარ ვითმენ. ცხვირზე ოფლს მასხამს. აუ, რა ლამაზი რამეებია! სათითაოდ ვეფერები. ვსინჯავ, ვსუნავ, ლოყაზე ვიკრავ. სურთოდ, ნივთებს ძე უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ. მათ ზოგ-ზოგი ადამიანის ადვილი უჭირავთ ჩემს არსებაში, იმ ადამიანებისა, ჩემს ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელობა რომ უნდა ჰქონდეთ. მაგრამ ადამიანები ხანდრონი არ არიან, შეუძლიათ ვიღალატონ; ნივთებს კი — არა. ნივთების ღალატი შემიძლია მხოლოდ მე.

— როგორია? — მოხუცმა ღრმა ფიქრებიდან გამომაფხიზლა.

— ო, ჰო-ჰო!

— ყველაზე საუკეთესო ამოირჩიე.

— ეჭვი არ შეგეზაროს, ამოვირჩევ.

ქალი, ეტყობა, არც აპირებდა ეჭვის შეტანას, თავის დანჯღრეულ ტაბურეტზე ჩამოჯდა და მომაჩერდა.

დიდხანს ვარჩევდი ნაირ-ნაირ საღამოს კაბებს — ტანზე მომდგართ. ფართოებს, ვრცელებს, ძალიან მოკლეებს, ბუნვით გაწყობილთ, უბეწვოთ... დალახვროს უშმაკმა! რამდენი რამეა. თანაც რა ლამაზები. მაგრამ რაღაცა მაინც მაკლდა, რაღაცა თიფქოს ხელს მიშლიდა. იქნებ ჩემი სამამულო წარმოშობა, ანდა ჩემი ნუღმივი სურვილი იმისა რომ საღაც მომეპრიანებოდა, იქ დავმჯღარიყავი, სა-

დაც გამეხარდებოდა, იქ დამეძინა, სადაც მომესურვებოდა, ყველგან მეხეტიალა, ქუჩაში მეჭამა. კარადის შორეული კუნჭულიდან შორტები ამოვაძვრინე. სახლში სადღაც მეც მეგდო ასეთი. შორტებში გამოწყობილი ან ბადმინტონს ვთამაშობ, ან გორგოლაჭებით დავსრიალებ ხოლმე.

— ზუსტად ეს მჭირდება. ახლავე მაისურსაც ვიპოვნე, ჩინური რომ არ ვიცი. იმედი მაქვს, დედის გინება არ აწერია დასრულებული რევილუციის ლოზუნგები. — ჰო, და სულ რაღაც ერთ წამში მოკაზმული და გაბადრული ვიდექი დედაბრის წინ. დედაბერმა ენა გააწკლაპუნა.

— მომისმინე, — მითხრა უცბად, — გაიქეცი აქედან. ჯერ პატარა გოგო ხარ. გაიქეცი, გეხვეწები. დამიჯერე ასაკოვან და ბრძენ ქალს. ითამაშე ბადმინტონი, ისრიალე გორგოლაჭებზე, აბარტყუნე როიალზე, სვი კონიაკიანი ყავა, იკოცნავე იმ შენს... ერთი სიტყვით, რაც გინდა ყველაფერი გააკეთე. ოღონდ გაიქეცი, გმუდარები.

— რაც მინდა, ყველაფერს ვერ ვაკეთებ და იმიტომაც მოვედი შენთან.

— შეგეჩვიე, — ამოიოხრა დედაბერმა.

— ყველაფერი უბრალოდ ხდება. ამაზე უბრალოდ არც არსებობს. მიუღივარ პირდაპირ. მარცხნივ გახვევა მინდა. არ ვუხვევ. იმიტომ, რომ რვა საათზე პაემანი მაქვს. მიუღივარ პირდაპირ. გზაზე ვხვდები ერთ კაცს. უკვე ათასი წელია მძულს. სახეგაფიქვინებულს ორმაგი ნიკაპი და გაქონილი თმა აქვს. ათასი წელია ვოცნებობ სახეში შევაფურთხო, ან დაბადების დღეზე შამპუნი ვაჩუქო. და მაინც ვპასუხობ მას. რაო? საქმეები? კარგად. გმადლობთ. თანაც სასიამოვნოდ ვიღიმები. დღეობაზე კი კლოდ მონეს ალბომს ვჩუქნი. მერე რა ხდება? მოკლედ... ახლავე, ნუ მაჩქარებ. მაცალე. მერე... ერთი ქალაღი მაქვს. უბრალო. მინდა დავუბრუნო. მაგრამ არ ვუბრუნებ. ფულს კი ვაძლევ. არ ვიცი ბევრს, ცოტას. ყოველდღე ვაპირებ არქიტექტორს მივწერო, ის შენობა, — გაიხედე, შენი ფანჯრიდან კარგად ჩანს, — უნიჭოდაა აშენებული-მეთქი. მაგრამ არ ვწერ. მეგობარს ვწერ აუჩქარებლად, ლამაზად, მაგრამ ეს ჩემი ხელწერა არ არის. მე ცუდი ხელწერა მაქვს. შერევილი! ლამაზ ნაწერს ისევე ვერ ვიტან, როგორც ლამაზ მამაკაცებს. სილამაზის უფლება მხოლოდ ქალებს აქვთ და ნიეთებს. მაგრამ მე ვკოცნობ სანდომიან მამაკაცებთან, ვწერ ლამაზად. მაღაზიაში კი უსახურ ნივთებს გულგრილად ვუვლი გვერდს. მაგრამ მე ასე არ მინდა. ეშმაკმა დალაზვროს! მე ენას ვუყოფ ყველაზე ძვირფას ადამიანებს, რადგან მათი არ შეშინია. ცხოვრებას არაფრად ვაგდებ, მაგრამ მაინც მიყვარს იგი. არ მიყვარს ბორკილები, თუმცა მაინც მბორკავენ. მოხსნა კი არ შემიძლია.

სახეზე ხელები ავიფარე.

— საწყალი გოგო, — დედაბერმა თავზე ხელი გადამისვა, — შენ ისე ცოტა გდომები. გამომყევი, — მითხრა და ხელი პატარასავით ჩამკიდა, თუმცა მასზე ორი თავით მაღალი ვიყავი. კართან მიმიყვანა, იმ კართან, რომელიც დღისით სულ ჩაკეტილი იყო.

— შენა... ისა... წადი... შენ მხოლოდ ის იცი, ეს ყველაფერი რარივ კარგია, მაგრამ უსათუოდ უნდა იცოდე ისიც, რომ ოდესღაც ყველას გაქონილი ექნება თმა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, მაინცდამაინც შამპუნი აჩუქო დღეობაზე. ჭეშმარიტებაა ისიც, რომ სხვისი სისხლის წოვას რძის სმა ჯობია. ზოგჯერ ფაფაც კი სხვის სხეულზე უფრო გემრიელია. ერთი სიტყვით... შენ ისეღაც ყველაფერი იცი. ჰო, კარგი, კმარა. ახლა კი წადი.

ზღურბლს გადავაბიჯე.

არასოდეს შენახა ამდენი სინათლე. არც მზისა იყო, არც ელექტრობის. რა-

ღაცა უცნაური ხდებოდა. სინათლეს თითქოს სითეთრე ასხივებდა. ყველაფერი თეთრი იყო: მიწა, ჰაერი, მდინარეები, შენობები, ფრინველები. ხალხიც თეთრებს იყო გამოწყობილი. თეთრ საჭმელებს მიირთმევდნენ. თეთრ წიგნებს კითხულობდნენ. თვალები მეტკინა და დავხუჭე. სიბნელის მაგიერ იგივე სითეთრე დავინახე. თავბრუ დამეხვა. თეთრ ასფალტზე დავჯექი და ფეხები გავშალე.

— ცუდად ხომ არა ხართ? — მკითხა ათიოდე წლის გოგონამ. — წამოდით, გავაცილებთ. — ხელი ჩამკიდა და გზას გაუღებოდა. მივედიოთ თეთრ მოედანზე, სადაც ბევრი ხალხი დავხუჭდა.

— გშიათ? — მკითხა გოგონამ.

— ძალიან, — ვუპასუხე და ყველი გამოვართვი. მოკბეჩაც ვერ მოვასწარი, რომ ვიღაც ტიპი მეცა და ყველი ხელიდან გამომგლიჯა, როგორც ყვავს. მაშინვე ხარბად დაუწყო ღეჭვა.

— ჩემი ყველი იყო, მე გამიმასპინძლდნენ. ეს ხომ უზრდელობაა... — ვცადე ამეხსნა მისთვის.

ტიპმა გაოცებულმა შემომხედა და შერე გაიცინა.

— იქით ვიღაცა ჭამს, ხედავ? — გოგონამ ხელით მანიშნა, — წამო, წავართვათ.

უცნობს შემწვარი კარტოფილით სავსე ჯამი წავართვიოთ და იქვე კუთხეში შეეჭამეთ.

— მადლობთ, — ვუთხარი გოგონას და შუბლზე ვაკოცე.

— მაგარი შტერი ხარ! — ენა გამომიყო გოგონამ და გაიქცა. მალე უკვე სხვას უხსნიდა რაღაცას ხელების ქნევით. მეწყინა. ერთი მაგრად მივტყეპავდი ქამრით! მაგრამ გოგომ ჩემი არაკეთილმოსურნე მხერა შეამჩნია და ხალხში მიიმაღა.

მარტო დავრჩი. უცებ ვიღაც მწვდა მუხლში. დავიხედე და ჩემ წინ ჩაცუცქული ის სათვალღიან-შღაპღიანი კაცი არ დავინახე. მისამართი რომ დამიტოვა?! მუხლებზე მეპოტინებოდა და მათ კოცნას ღამობდა. სახეში ფეხი ვთხლიშე. დამსხვრეული სათვალღე აქეთ-იქით გაიფანტა. მან კი ძალიან მშვიდად, ჯიბიდან მეორე სათვალღე ამოიღო, ცხვირსახოციოთ ვაწმინდა. სინათლეზე გახედა და ადგა.

— თქვენ ნადირალა ხართ და მეზიზღებით, — ვუთხარი უშიშრად და სახეში შევაფურთხე.

მან საძაგღად ჩაიქირქიღა და ბღღნიღანი ხეღები მოიფშენიღტა.

— ქაღაღღები... ხომ წავღ საქმეში.

— წავღ და წავიღღეს, — ვთქვი და ყოვეღ შემთხვევეღსოვის კიღვევ ერთხეღღ მივაფურთხე სიფათში.

ისევე ჩაიქირქიღა:

— ძაღღიღან მომწოღნხარ, შე თხღ შენღ. მაშიღნვე შეგამჩნიე. ფეხებიღღ ღღამაში გაქვს.

ხეღი მტაღცა და საღღღაღ მოსახვევში წამათრიღ. ვყვიროღღი, ვჩხაპნიღღი, ვკბენღღი, მაგრამ ამოღღ. ჩემთოვის არავის ეღღაღღ.

— მეზიზღებით. თქვენი ოღღეკაღღიღის სუნით ვიზრჩობი. საძაგღელი ვიღაღცა ხართ. არ მიღღღა...

— მე კი მიღღღა... — ჩაიქირქიღღ კვღავ. უნღღა ითქვღს, რომ არღღ მისი ქირქიღღი იყო მაიღღღღღამაიღღღ ორიგინაღღღღით გამორჩეული. — მე მიღღღა, ვიღღღ ძღღიერიღღ, ის იმარჯვეღს კიღღეღ. ჰა? როგორაი? ჩვეღში კვღავ ღვევის სურვიღღი... ხეღი-სურღღღების უღღღის ქვეში... — მან ასფაღღღზე დამაგღღო და შორტეღი შემოღღაღიღ. ბღღღიღანი ხეღებიოთ სხეულზე დამიწყო ფათური, მისი ღღორბღღიღანი კოცნღ მახრ-

ჩობდა. მერე გრძნობა დაკარგე. გონს რომ მოვედი, დავინახე, როგორ მიიქნევდა თავის ახარხარებულ უკანალს და როგორ მიეფარა იგი თვალს მოსახვევში.

უღონობისაგან ავტირდი. ნაცნობმა ჩამიარა. ეს ის ტიპი იყო, ყველი რომ წამართვა.

— რა გატირებს? — გაიკვირვა მან, — დიდი ამბავი, თუ შეგეუბნებოდა. თუ გინდა, წადი და შენც გააუბატიურე ვინმე. თუნდაც მე. შემხედვარე ნაცნობობით გამოგადგე.

სახეში გაუულაწუნე. გაცილებით ძლიერი ხურდა დამიბრუნა — მუშტი მოხლიშა. მერე წავიდა ბეთპოვენის „მშვენიერი მეწისქვილე ქალის“ სტვენა-სტვენით.

ადგომა არ შემეძლო. შორტების შესაკრავი აგლეჯილი მქონდა. ერთი მოზრდილი ბიჭი შევამჩნიე, აქეთკენ მოხტოდა. ფეხი დავუდე და წავაქციე.

— შარვალი გაიხადე, თორემ მიგახრჩობ, — ვუთხარი და დამაჯერებლობისათვის ხელის თითები ავათამაშე. შეშინებულმა ბიჭმა შარვალი გაიძრო და გაიქცა. ჩავიცვი, შემოტმასნილი, მუხლებამდე ძლივს მწვდებოდა. მშვენიერი ბრიჯები გამომივიდა. გზა განვაგრძე. ვხედავ, ხალხია შეგროვილი. ას კაცზე ნაკლები არ იქნება. ერთდროულად ყვირიან, კივიან, წივიან. იქვე ვილატა დოღს უბრაახუნებს. ყურები მეტკინა. ხელები მივიფარე და ახლოს მივედი.

— რა გაყვირებთ? — ჩავძახე ვილატას.

— გვინდა და ვყვირით, რა შენი საქმეა, თუ გინდა, შენც იყვირე, ვინ გიშლის.

ავდექი და მეც ყვირილი მოვრთე: |ა-ა-ა-ა!

— სიტყვებით, სიტყვებით, — გამისწორა მეზობელმა.

— სიტყვებით არ ვიცე და არც მინდა, — გავბრაზდი მე. მედლოესთან მივედი და გამწარებულმა დოღს მუშტი ჩავცხე. დოღი მაშინვე გაიხა. მედლოემ ტირილი მორთო. დოღი სამამულე ომის მონაწილე ბაბუას დანატოვარი ყოფილა. ათასი დოღის ყიდვას დაკვირდი. ათასი კი არა, მარტო ბაბუას დანატოვარი დოღი მინდაო, — ისევ აღრიალდა მედლოე.

არ ვიცოდი, ახლა სად წავსულიყავი. არ ვიცოდი, ახლა რა გამეკეთებინა, არც ის ვიცოდი, კიდევ რა მინდოდა. ყველაფრის გაკეთება შემეძლო, რაც კი მომეპრიანებოდა, მაგრამ არაფერსაც არ ვაკეთებდი. იმიტომ რომ არაფერი აღარ მინდოდა.

თვალეში თეთრი წერტილები ამითამაშდნენ. ვცადე ხელით გაფანტვა, არ გამომივიდა. მოსახვევში ქალი დავინახე. გრძელი, თეთრი კაბა ეცვა. თმაშიც თეთრი, ხელოვნური ყვავილები ეკეთა. ღამაში ქალი მეგონა, მაგრამ როდესაც გაიღიმა, დავინახე, პირი გაფუჭებული კბილებით მქონდა სახე, სიბრძნის კბილი კი საერთოდ არ მოუჩანდა. ქალმა მანიშნა ახლოს მივსულიყავი. მორჩილად მივეუახლოვდი.

— მოგწონვარ? — მითხრა და მკერდზე მიმიკრა.

— ისე რა! თითქოს ცვილის სახე გაქვო.

— სამაგიეროდ ნაოჭები არ გამიჩნდება.

— კბილები მაინც გაფუჭებული გაქვო.

— ეს ბევრი ღეჭვის ბრალია.

— ეს თქვენი ქალაქია? — ვინ ხარ?

— კო. შეშლილთა ქალაქი.

— როგორ? მომატყუეს? მე აქ არ მოვდიოდი. ეს ხომ ღალატია! — რაღა თქმა უნდა. მაშინვე როგორ ვერ მივხვდი. ღმერთო! ესენი ხომ ყველანი გიყუები არიან.

მე კი მათ ველაპარაკებოდი. ვცდილობდი რაღაც ამეხსნა მათთვის, დამემტკიცებოდა. ჩვეულებრივი სულით ავადმყოფები ყოფილან, შერევილები. რა მინდოდა მათთან? შერევილებთან რა შესაქმება?

— არავინაც არ მოგატყუილა. შენ ხომ სრული თავისუფლება გინდოდა? ჭკმ-მარიტად თავისუფალი მხოლოდ გიფი შეიძლება იყოს.

გააფთრებული ვეცი ქალს ყელში ფრჩხილებით. სუსტად მიძალწინებოდა. ასეთ იოლ გამარჯვებას არ ველოდი. თვალები გადაატრიალა და პირი გააღო, საიდანაც მყრალი სუნის ამოვარდა. მიწაზე დავაგდე. კაბის სახელოდან სიბრძნის კბილი გადმოუვარდა და ასფალტზე დაიმსხვრა. ჩამობნელდა. მაგრამ ღამეს არ ჰგავდა. არც შუქი გამორთულა. უბრალოდ ირგვლივ ყველაფერი გაშაყდა. მივათრევდი გვამს ქალაქში ხელის ცეცებით, ალაღბედზე. ბოლოს რაღაცა მაგარს შუბლით დავეჯახე. კარი აღმოჩნდა. ფეხი ვკარი. კარი მოულოდნელად გაიღო. ჩემი თვალები დედაბრის თვალებს შეეფეთა.

— მომეხმარე! — ვუბრძანე.

ქალმა მიცვალებულს ფეხებში სტაცა ხელი. ასე შევათრიეთ ოთახში. მერე ბებერი დიდხანს მასხამდა ხელისგულებზე ცხელ წყალს, რადგან გაშეშებული თითებიდან ვერაფრით ვერ მოვიშორე თმა თეთრი ქალისა. ბოლოს ადგა და თმის ნაწილი მოჭრა. დანარჩენი მუჭში შემრჩა.

— რისთვის გააკეთე? — მკითხა დედაბერმა და თან ვითომ გაკვირვებისაგან თვალები დაუმრგვალდა. ცრუბენტელა. მშვენივრად იცოდა, რომ ასე დამთავრდე. ბოდა საქმე.

— რისთვის? — იქით შევუბრუნე კითხვა, როგორც მჩვეოდა, სულელურად. დედაბერი ჩემს ამ ჩვევას რატომღაც აღარ გაუღიზიანებია. დუმდა. ასე ვიყავით ჩუმად, ვიდრე მუჭი არ გაეშალე. ხელში შერჩენილი თმა მსუბუქად დაეშვა იატაკზე.

— დავმარხოთ? — მკითხა დედაბერმა და მეორე ოთახში გავიდა. მომეჩვენა რომ ნარნარად კი არა, ცეკვით მიდიოდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, აბა, ასე ხომ არ დავტოვებთ!

მიცვალებულისაკან დავიხარე. სახეზე ნაბეგვი აშკარად ემჩნეოდა. ყელზეც თითების ანაბეჭდი დალურჯებოდა. ხელისგული დავადე. თითები ანაბეჭდს დაემთხვა. ჩემია, — გავიფიქრე გაოცებულმა. უცებ დავინახე, როგორ ცდილობდა მიცვალებული სამი თითის კომბინაციის გაკეთებას. ხელისგულზე ფეხი დავადგი. ხელმა ფრჩხივით გაიტკაცუნა. ამასობაში დედაბერმა გვერდით ოთახიდან კუბო გამოათრია. მიცვალებული ჩავასვენეთ, კუბო დავჭედეთ და დიდი ამბით გვერდით ოთახში წავიღეთ. იქ უამრავი საფლავი დავინახე. ყველაზე ღრმა მოვძებნე და კუბოც ჩაუშვი. გავჩუმდით.

— იქნებ წასულიყავი? — მკითხა დედაბერმა და მის თვალებში ველური შიშის გაკრთა.

— არა, მადლობთ, ცხარე საკმაზეები მიყვარს, მადას აღვიძებენ. — ქალმა მეორე ოთახიდან როიალი გამოათრია.

— „მეწისქვილე ქალი“?.. ა? — მთხოვა საწყლად.

— ბოდიში, მაგრამ მეძინება. წადი და შენც დაიძინე.

საღამომდე მეძინა. თვალები გავახილე თუ არა, დედაბერი დავინახე. თავის დანჯღრეულ ტაბურეტზე წამომჯდარიყო და ბროწეულის მარცვლებს წუნწნიდა.

— ახლა რა ვქნათ? — მკითხა მან.

კარადა გამოვადე. ბატონყმობისდროინდელი სატინის კაბა ამოვარჩიე. იდაყვებზე საკერებლები ედო. ბოლო მორღვეული ჰქონდა.

— ფეხსაცმელი?

— არ მაყვარს. ფეხშიშველა მირჩევნია, მოხერხებულიც არის და ჯანმრთელობისთვისაც კარგია.

— როგორც გინდა, თუმცა შემიძლია შემოგთავაზო...

— მაშ ახე, მისძინე. ვიცვამ კაბას, ძალიან უცხოვს, ქვეყნის ცალი მხარი მოშიშვლებული მაქვს. „რა მშვენივრად გამოიყურები!“ — მშვენივრად გამოიყურებიო. ხომ ხვდები, რა საშიშია ეს? არა? მე ხშირად მკოცნიან მოშიშვლებულ მხარზე, რიგრიგობით. იმ ქალს კი არა. იმიტომ, რომ სულ დახურული კაბები აცვია. მე რა შუაში ვარ. კაბას ხომ არ დაუკოცნიან. რა უმსგავსობაა. ყურში მიჩურჩულებს: „ფრთხილად იყავი“. წარმოგიდგენია? განა ხმამაღლა მეუბნება? არა! მაინცდამაინც ყურში მეუბნება. ხმაში იმდენი შემფოთება ჩანს, თანაც ჩემი გულსათვის. შენ იცი, რას ნიშნავს, როდესაც ერთი ქალი მეორე ქალზე წუხს? არ იცი? ძალიან საწყენია. მე კი მის ოთახში მოფუთფუთე ხვლიკებს ვხედავ. წარმოგიდგენია? თურმე კოლექციას აგროვებს და მერე ცდებს ატარებს მათზე. ნეტავი ჩვენი კლიმატის პირობებში ამდენი ხვლიკი საიდან გაშანსა?

ამ ქალთან ღამის სამ საათზე მივდივარ. სხვაგან არსადა მაქვს წასასვლელი. მან გამომავლო. ნაცემ ძალღს ვგავარ. ყველა, ოდესღაც ნაცემ ძალღს ემსგავსება. წვიმამ დამასველა თუ თოვლმა, აღარ მახსოვს. ქალმა კი სახლშიც შემიშვა და აბაჯანშიც. პირსახოციც მომცა. სუფთა ზეწარსაც მიგებს, თითქოს ყველაფერი... დილით ყავასთან ერთად სოსისებსაც მაჭმევს. საგიჟემდე მიყვარს სოსისი, არადა, იშვიათად ვჭამ. დაქალი კი ლაპარაკს იწყებს ისე, სასხვათაშორისოდ, ვითომ სხვა რაღაცაზე ლაპარაკობს. მაგრამ მე ვიცი, მხოლოდ ჩემს გასაგონად ამბობს, რომ მას ერთოთახიანი ბინა აქვს, რომ ქმართან ცხოვრობს, ქმარი კი ნერვიული კაცია. მართლაც ასეა, ნამდვილი ფსიქოპათია. მოკლედ, ქმარმა არ გაუმართლა. ჰოდა, მის ქმარს არ უყვარს, ღამის სამ საათზე კარზე რომ ზარს რეკავენ. ჩემი დაქალისათვის კი სულერთია — ის კი არადა, კიდეც უხარია ჩემი მისვლა, რა დროსაც არ უნდა მივიდე. მაგრამ ქმარსაც ხომ უნდა გავუგო, მაინც ქმარია.

მე ვდგები და მივდივარ. წასვლამდე ფულს ვართმევ სესხად. თუმცა მაშინვე მავიწყდება. უზრდელობით კი არ მომდის, უბრალოდ, ძალიან სწრაფად მავიწყდება ფული. მით უმეტეს, რომ მაშინვე ვხარჯავ. თურმე ბევრი ფული მომცა ქალმა — მთელი ათი მანეთი. თანაც მოხოვა, ძალე დამიბრუნეო. მე კი ვეუბნები, — წყალში რომ ჩავარდები, გადაგარჩენ-მეთქი. მითხრა, წყალში ჩავარდნას და დახრჩობას არ ვაპირებ. შესანიშნავად ვცურავო. წარმოგიდგენია?

დედაბერი იდლიებში ხელს მკიდებს და უსიტყვოდ მაგდება მეორე ოთახში. ტყეში შევდივარ. ზაფხულის სასიამოვნო ტყეა. ვიღაც კვნესის. ახლოს მივდივარ. სხეულს ვუსინჯავ. გრძელი, სქელი თმა, დიდი ხელები და გაბუმტული ტუჩები აქვს. ეჭვი არაა — ჩემი დაქალია.

— აქ რას აკეთებ?

— მესამე დღეა მარტო ვარ. მეშინია, მშია. მტკივა. იმდენი კილოა. იმათაც შიათ და სისხლს მწოვენ...

— ნუ გეშინია, — ვფუფრები ხელებზე. აქედან მე გავიყვან. აჰა, აილე ბროწეული. არა, ნახევარია. ერთბაშად არ შეიძლება.

ჩემი მეგობარი ბროწეულს იღებს და თითო-თითო მარცვალს იღებს პირში, ზუსტად ისე როგორც დედაბერი. არ მსიამოვნებს! სამი დღის მშიერია და მშვიდად, აღუშფოთებლად მარცვლავს. ჩემს გაღიზიანებას ვმაღავ და ხელში აყვანი-

ლი მიმყავს ტყე-ტყე. ის ჩემზე დიდია, უფრო ძალაღი და ძლიერი. ძალიან მიჭირს მისი თრევა. მუხლები შეკეცება, მაგრამ მაინც მივათრევ, თითქოს მტრის ალყიდან გამოწყავდეს. სადაც მინდორზე სულს ვითქვამთ. უფრო სწორად, სულს მე ვითქვამ. მას რომ ვითხო, სული აღარც კი შერჩა. ჩამეძინა, როდესაც თვალები გავახილე, მომეჩვენა, რომ ჩემი დაქალი ფეხების სიმაღლეს მხოლოდ ვადა. რაში დაჭირდა? ან სააბისო ძალა საიდან ჰქონდა? ბროწეულმა მასტრამ მახე-ვარი ბროწეული დამრჩა. გადავწყვიტეთ გვეჭამა. მაგრამ მან ხომ თავისი წილი უკვე შეჭამა?

— აი შენ... ისა... არა მჯერა... ვიცი მიმატოვებ. მიმაგდებ ბედის ანაბარა. ვიმძიმს. მე კი... აქ... მარტოდმარტო. ვთხოვ, არ მიმატოვო. — ტირის. რატომღაც აღარ მეცოდება. უკვე ძალიან იანებს მისი ზორბა სხეული, გრძელი თმა, გაბუმტული ტუჩები. იშოვა რა კურტნის მუშა. საოცარია, ყოველთვის მე რატომ უნდა ვავება ასეთ რაღაცაში. სიამოვნებით მივაგდებდი ახლა სადმე ბუჩქებში. ავად-მყოფური კმაყოფილებით წარმოვიდგინე, როგორ წევს იგი მარტო. ღამეა. ირგვლივ კი საშიში ხმებია. წრიპინი. სისინი.

— ყური მიგდე, — უჩურჩულებ იდუმალ ხმაზე — შენ მარტო ხარ, ღამით მხეცები არიან?

— კოლოები მხეცებზე უარესებია, თავხედები... შენ რა, რა გემართება? — შეშინებულმა შემომხედა თვალებში.

— არა! რას ამბობ, არაფერი. შენ ნუ გეშინია. შენთანა ვარ, — უცბად შემრცხვა, ეს რა ფიქრები გავივლე-მეთქი თავში. რა დამემართა? ის ხომ ჩემი მეგობარია — ახლობელი ადამიანი. მე კი... ასეთი ფიქრები... ზმუილივით რაღაც შემომესმა. მეგობარს შევხედე. ტუჩებს აცმაცუნებდა, სიმღერა წამოეწყო, ის კი არადა, ტაქტზე ფეხის აყოლებაც მოინდომა კეკლუცად. ლა-ლა-ლა-ლა. ეს კი მეტისმეტია. ფეხზე ძლივს ვდგავარ, ხელები ჩამომწყდა. ამან კიდევ სიმღერა არ მომინდომა?

— ყური მიგდე. — მან სიმღერა შეწყვიტა. ისე მკითხა სასხვათაშორისოდ, როგორც სჩვეოდა. — შენზე ამბობენ, მენატურეობია შოულობდაო ფულს?

არ მესმის, რას მეკითხება. საშინელი დაღლილობისაგან ყურებს ჟღრიღლი გააქვს. თვალებში ყვითელი წერტილები მითამაშებს. ფეხები ბამბასავით გამიხდა. მიკვირს, სიარულს როგორ ვახერხებ.

— არაფერი მესმის. რა ფეხები? რისი მენატურეობა?

— კარგი რა, რად გინდა. ხომ იცი, ხალხს ვერაფერს გამოაპარებ. უბრალოდ, საწყენია, რომ შენი საუკეთესო მეგობარი ამას ყველაზე გვიან იგებს.

ჩემი საუკეთესო მეგობარი კიდევ დიდხანს მიხსნის რაღაცას. მიმტკიცებს, მამშვიდებს. მაგრამ მე ვეღარ ვაზროვნებ. მხოლოდ ის ვიცი, რომ უნდა ვიარო, რომ სადაცაა დაღამდება. დაქალი ხელში ამყავს და ტყე-ტყე მივათრევ. როცა შენზე ენ-რაოდენობით მძიმე ადამიანს მიათრევ, საჭიროა სიყვარულს თუ არა, ცოტაოდენ კეთილგანწყობის მაგვარ რაღაცას მაინც გრძნობდე მისდამი, ვცდილობ, საკუთარი არსება თაროებად დავყო და მოვიძიო, რომელ თაროზე მაქვს შემოდებული ამგვარი გრძნობა, მაგრამ ამაოდ, თაროები ცარიელია. ვნერვიულობ, ტუჩებს ვიკენეტ, ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდის, თაროებს ყოველი მხრიდან აკანკალებულ თითებს ვუფათურებ, თაროების ქვეშაც ვიხედები, მაგრამ უშედეგოდ. ჩემი ცრემლები მეგობარს კისერზე ედინება.

— რატომ ტირი? მე ხომ შენი საუკეთესო მეგობარი ვარ. ყოველთვის დაგეხმარები. ოღონდ ძალიან ვთხოვ, გულამოდებულ კაბებს ნუღარ ჩაიცვამ. ხომ იცი, ათას რამეს იფიქრებს კაცი.

— გთხოვ, გაჩუმდი. ძალიან ვაფასებ შენს დიდსულოვნებას... მაგრამ მაინც გაჩუმდი.

მეგობარი გამებუტა და ბუშტივით გაიბერა. ასე ორჯერ უფრო დამძიმდა. მერე ჯიბიდან ჩუმად ამოიღო სანტიმეტრი და ყელის ზომვა დაიწყო. ვკრძნობ სადაცაა ჩავიკეცები, დავეცეპი და ველარასოდეს ავდგები. მეგობარი უკვე ყველაფერს მიზომავს, ყველა ნაწილს, ყველა უჯრედს. რაც უფრო მეტს მზომავს, უფრო მეტს წრიალებს და მისი ზიღვა აუტანელი ხდება. ბოლოს, როდესაც მუხლები საბოლოოდ მომეკეუთა, განათებული ქალაქი დავინახე. ტყე გაქრა.

ქალაქის შესასვლელთან ჩემი მეგობრის ქმარი დგას. ფართოდ იღიმება თავისი ნევრასტენული ღიმილით. მეგობარი ხელიდან მისხლტება და მისკენ მიხტის. კისერზე ეკიდება და ფეხებს იქნევს.

— ო, რა მადლობელი ვარ შენი! — ჩემი საუკეთესო მეგობრის ქმარი რევერანსს მიკეთებს, თავს მიხრის. ფეხის წვერებზე დარბის ჩემ გარშემო. ცდილობს, როგორმე ხელში ჩაიგდოს ჩემი ხელი, რომ მხურვალედ ჩამომართვას. მე ხელს ზურგსუკან ვმაღავ.

— ჰო, ჰო! მილიცია. სამძებრო განყოფილება. არაფერი. არავინ. სამი უძილო დამე. ერთი ბიჭი კოლოებმა შეჭამეს. რა საშინელებაა. ეს ისეთი სუსტი მყავს, ფარვანასავით. ძალიან დავგავალე. იქნებ მშვიდობიანი დაბრუნების აღსანიშნავად რამე დავგველია? კონიაკი ან ღვინო? ძიული ცხოვრება მემახსოვრება. ეს ხომ ჭეშმარიტი ძმობა და მეგობრობაა. ვერაფრით ვერ გადავიხდით ამ ვალს. რამდენი სიკეთე და კეთილშობილებაა. ნებისმიერ დროს შემოგვიარე. ამიერიდან ჩვენი სახლი შენი სახლი იქნება.

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ჩემი მეგობრის ქმარი, მით უფრო დაუფარავი სიძულვილით უბრწყინავდა თვალები. ბოლმისაგან ტუჩებზე დროდადრო დუჟი გადმოსდიოდა. მშეენიურად მესმოდა მისი. ერთიც ვნახოთ და მართლაც ვესტუმრო ნებისმიერ დროს. ერთიც ვნახოთ და მისი სახლი მართლა მეგონოს ჩემი, ან ფული ვესესხო... ან... ნეტავ ვის რაში ჭირდება მუდამ ვილაცის ვალში იყოს.

— წავედი, — ვუბნები და ხელს ვუქნევ. ზურგს უკანიდან მესმის, როგორ უმტკიცებს ჩემი საუკეთესო მეგობარი ქმარს, არაუშავს ტანი აქვსო. ჩემი წასვლის მერე კი ქმარმა თავისუფლად ამოისუნთქა. ისინი ცეკვავენ. ყირაზე გადადიან. ჰაეროვან კოცნას მიგზავნიან, რომელსაც მე ჰაერშივე ვიჭერ და, რაც ძალი და ღონე მაქვს, ხელისგულით ვჭეჭყავ. ჩემს მეგობარს ჯიბიდან სანტიმეტრი უვარდება. სანტიმეტრი გველს ემსგავსება. იგრიხება, თვალს მიკრავს და ენას მიყოფს. მე მუშტებს ვკუმშავ და ზურგს ვაქცევ. გავრბივარ, რაღაცას ფეხი წამოვკარი, ვილაცის სხეულია. ისევ ქალია. ცეცხლივით წითური, სანტიმეტრის ლენტასავით დამყოლი. ისიც ენას ასავსავენს. ხელს ვუწვდი და ქალი დგება.

— კმაყოფილი ხარ?

— ძალიან.

— მეგობრობას სიძულვილიც მოსდევს, ალბათ არ იცოდი.

— ჰო. არ ვიცოდი.

— კიდევ ათას წელს შეგეძლოთ გემეგობრათ.

— მე ერთი დღეც მეყო.

— მარტობისათვის სწირავ თავს.

— სამიერიოდ საკუთარი თავი ყველაზე ერთგული მეგობარი მეყოლება.

წითურთმიანს გაეღიმა. ჩანთიდან ორი ჭიქა ღვინო ამოიღო და ასფალტზე დადგა.

— დავლიოთ?

— სიამოვნებით.

— დღევანდელობას გაუმარჯოს, — თქვა ქალმა და შორს გაიხედა. დღემდე ვერ გამიგია, რატომ მიაბრუნა თავი და რატომ მიბიძგა ასე მოქცეულიყავი ტუქები შეუმჩნევლად შევცვალე. ქალმა უცბად გადაჰკრა და მაშინვე უსულოდ დაგორდა. სხეული დაუგრძელდა, გამწვანდა, ჩემ წინ ერთი ჩვეულებრივი გველი იწვა. საზიზღარი, მცურავი გველი. მრგვლად დავახვიე და კარი მოვსინჯე. ბებრუხანამ ჩაიქირქილა და ხელები მოიფშვნიტა.

— რას იტყვი, ხომ არ გამოგვეშრო?

— არ ღირს. ჩვენს მხეზე გამომშრალი გამხმარ ბანანს დაემსგავსება. რა საჭიროა?

— კარგი, კარგი, მხოლოდ ნუ სერვიულობ. არც მე მიყვარს ქვეწარმავლები. ასე რომ, შენ მართალი ხარ. ჰო, მართლა, ხელები დაიბანე? თუმცა ჯერ ეს...

დედაბერმა გველს ბოლოში ხელი სტაცა და ნარნარად გაემართა სასაფლაოსკენ. ძალიან მეძინებოდა, მაგრამ როგორც ზრდილობიან ადამიანს შეეფერება, ძალა მოვიკრიბე და მეორე ოთახში გავყევი.

— იქნებ კუბო გაგვიკეთებინა? — ვთქვი და ჩემს თვალებში ცრემლი გაკრთა.

— იცი რას გეტყვი, ძვირფასო, — ჩემმა უცაბედმა სენტიმენტალიზმამ გააბრაზა დედაბერი, — ბარემ აღრიაღდი, ყველა მცოცავი საზიზღრობისათვის კუბო რომ გააკეთო... მთელი ტყეების გაჩეხვა მოგვიწევს და არა მხოლოდ ერთ პლანეტაზე.

— როგორც გინდა, — ვთქვი და მხრები ავიჩეჩე. იქვე, ორმოსთან ჩამოვჯექი, რომლის ამოთხრაც უკვე მოესწრო ჩემს დედაბერს. თუმცა ორმო არც ეთქმოდა. დედაბერს არც უცდია რაიმე სოლიდური ამოეთხარა. სილა ოდნავ ამოქექა, ზიზღით ჩააგდო საწყალი გველი და სილაც უგულოდ მიაყარა.

— იქნებ რამე გემღერა? ლექსი გეთქვა?

— დამცინი? — მეწყინა მე.

— არ გეწყინოს. არც მიფიქრია შენი გრძნობებისათვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა, მაგრამ დამიჯერე, მიკვირს შენი: გეცოდება ის, რაზედაც ფიქრი არც კი ღირს. და მყისიერად გავიწყდება ის, რაც მთელი ცხოვრება უნდა გახსოვდეს.

— მაპატიე. ამჯერად ჩემი გონება დახშულია და სულ არ არის განწყობილი ფილოსოფიისათვის.

— ჰოდა, მისმინე. რაღაც უცნაურად მისმენ, თითქოს საერთოდ არ მისმენ.

— ნუ მაბრალებ რაღაცებს. ძალიან დიდი ყურადღებითაც ვისმენ.

— ჰო, მაგრამ ზოგჯერ მგონია, კედელს ველაპარაკები.

— არ შემცდარხარ. კედელსაც ელაპარაკები, იმიტომ რომ კედელსაც ყურები აქვს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე არა მაქვს ყურები. მეცა მაქვს და საკმაოდ რიგიანიც. არც უსმენობას ვუჩივი.

— კარგი, მჯერა. სად გაეჩერდი?

— მიხვედი იმასთან და...

— ჰო. ის კიდევ სამზარეულოში მიმათრევს: ალუბლის კომპოტით სავსე ქილას ცხვირწინ მიდგამს და მეუბნება, ჭამეო. წარმოგიდგენია? იმდენი ველოდე, ისე იშვიათად ვხედავ, მას იმდენი საქმე აქვს, ის კი მეუბნება, ჭამეო. მე რა, საჭმელად მივედი?

— ალუბლის კომპოტი არ გიყვარს? საკვირველია პირდაპირ.

— საქმეც ის არის, რომ მიყვარს. ალუბლის კომპოტი რომ არ მიყვარდეს, მოვტრიალდებოდი და ამაყად წავიდოდი. მაგრამ მიყვარს ეს იდიოტური კომპო-

ტი და ვერ მივდივარ. პირდაპირ ქილიდან ვჭამ. ჭიქაში მაინც გადმოვლო! არა! მაინცდამაინც ქილიდან უნდა ვჭამო. უსინდისოა, იცოდა, რომ სულ შევჭამდი. ნამდვილი იდიოტივით ვზივარ და მთელი საათი ალუბლებს ვფლავებ, კურკებს კი მაგიდაზე სუფთად ვაგროვებ. შუბლში უნდა მესროლა! შიდა, შიდა სულ შევჭამე.

ეროვნული
შეზღუდულობა

— იმას რა, ალუბალი არ უყვარს?

— რა ვიცი, არც მიკითხავს. რადგან არ ჭამა, ვ. ი. არ უყვარს. ძალიანაც კარგი. ალუბლით მაინც გამოვძებნი. ეტყობა, ნატრობდა, იქნებ გასკდესო. მაგრამ ვერ მივართვი. სკამიდან არ აუმღვარვარ. ის სიგარეტს ეწევა და თავის მეტად საინტერესო სამსახურზე მიყვება. შეიძლება კაცმა სამსახურზე იფიქროს, როდესაც მე გვერდით ვყავარ? მშვენიერად ფიქრობს, ტელეფონზეც საუბრობს, გახეთსაც კითხულობს. ჩემს იქ ყოფნას ყველაფერს უთავსებს. რაღაც მეასედი ვარ მისი ცხოვრებისა, შეიძლება მეათასედიც.

— მერე?

— რა მერე? არაფერი განსაკუთრებული. მივდივართ ოთახში. დიდხანს ვუყურებ. თვალები მიბნელებს და მეჩვენება, რომ საღვთო მივფრინავ. ძალა აღარა მაქვს. დივანზე ვეშვები და მასაც ჩემკენ ვეზიდები.

— მერე, მერე?

— მერე? ძალიან ზრდილობიანად იცილებს ჩემს ხელებს. საერთოდ, ზრდილობიანია. დგება და გახდას იწეებს. ნელ-ნელა იხდის პერანგს. კიდეც სკამზე, რომ არ დაეჭმუჭნოს. შემდეგ იხდის შარვალს. ისევე ფრთხილად, ფაქიზად. მოთმინებით ასწორებს შარვლის ნაკეცებს და ისევე კიდეც სკამზე. საოცრად მოწესრიგებულია. აბა როგორ! მერე სამსახურში უნდა წავიდეს, დაჭმუჭვნილ შარვალს ხომ არ ჩაიცვამს. განა ვიღაცა ლოთობაშია. მერე, მგონი, ავიწყდება, რისთვის ვაიხადა, მაგრამ ამასობაში მეც მამჩნევს, რაც მაინცდამაინც დიდად არ ახარებს, მაგრამ მაინც მკოცნის ტუჩებში. მკოცნის და თან ფიქრობს. ფიქრობს იმაზე, რომ ვერ მოასწრო ვიდაცისათვის რაღაც მნიშვნელოვანი ეკითხა. ამ კითხვას გონებაში აყალიბებს, ამოწმებს და თან მკოცნის.

— მერე?

— მერე ბოდიშს მიხდის. ბოდიშის მოხდა არ ავიწყდება და სამსახურში მიდის. მას არ უყვარს, როდესაც ღამით აწუხებენ. ღამით ის იძინებს. საღამოს კითხულობს. დღისით მუშაობს. ხანდახან დილას თუ გამონახავს ჩემთვის, ისიც ძალზე იშვიათად. მითხარი, შეუძლია ამ კაცს ოდესმე დრო აურიოს ერთმანეთში? არა? კი მაგრამ, რატომ?

აი, მიმყავს იგი საიუვილერო მაღაზიაში. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება საჩუქრის ყიდვა. ვუჩვენებ სამაჯურს, რომელიც ძალიან მომწონს. სამაჯური რომ მართლაც ღამაზია, მეთანხმება. თან გასასვლელისკენ იყურება. ეს სამაჯური რომ გავიკეთო, ყველას გული წაუვა-მეთქი, ვუბნები. გულის წახელას ვერ ვიტანო, — მპასუხობს. მაშინ გულახდილად ვთხოვ, მიყიდოს სამაჯური. ტუჩები უთეთრდება. გაბრაზებისას ემართება ასე. ამ სამაჯურს მთელი ჩემი ნახევარი წლის ხელფასი არ ეყოფაო, ბუზღუნებს. ვერ გაძივია, თუკი ერთ სამაჯურს ნახევარი წლის ხელფასი ჭირდება, რაღა საჭიროა მუშაობა?

აი, მაცნობს თავის მეგობრებს. მიყვარს მამაკაცების წრეში ტრიალი. დაუფარავად ვკეკლუცობ, თვალებს ვაკვასკვასებ, მოშიშვლებულ მხარს ვათამაშებ. ის კი სააბაზანოში მიმათრევს. ცივ წყალს მასხამს, მღანძღავს. მე კი მიხარია: რადგან ბრაზდება, ესე იგი... და მეორე დღესვე ვურეკავ. არ მცალიაო, მეუბნება. სა-

ქმეს ვერ მოვწყდებიო. მიწებებულია თუ რა არის ამ საქმეებს? ამა და ამ დროს დამირეკო. არაფერში ვჭირდები, მაგრამ არც მტოვებს. ყოველი შემთხვევისათვის ვყავარ. ნეტავი ეს შემთხვევა როდის იქნება?

ფეხების ქნევა შევწყვიტე. ქაქანიც. ცრემლებს ვიმშრალე და ისევ კარადასთან მივდივარ. დიდხანს ვეძებ რაღაცას. ვერაფერს ვპოულობ. ჩემს ჯემპრს ვიცვამ პირდაპირ შიშველ სხეულზე. დედაბერმა უიმედოდ ჩაიქნა ხელს. მე კი თაუნალუნულმა გვერდით ოთახის კარს ვკარი ხელი.

სველ სილაზე მივაბიჯებ. ირგვლივ ზღვაა. სილაზე ვწვები. ქარი ძლიერდება. ტალღები მფარავს. შემცივდა. ვღებები. ზღვას გავეურებ. მზე მიცურავს ზღვაში. ყვინთავს. მერე ისევ ტალღებზე მიცურავს. ხელისგულზე სილას ვიყრი. ხელიდან ხელში გადამაქვს. სილით ვიწმენდ სახეს, ყელს. ვიღაც მეძახის. ვიხედვები. ის არის. მხოლოდ საბანაო ტრუსები აცვია. გამხდარია, გაშავებული, კბილები თეთრად უელავს. ხელს მიქნევს. ვწითლდები. სახეს ხელებით ვიფარავ. რატომღაც მრცხვენია. გულს ბაგაბუგი გააქვს. მზემ ერთხელაც ჩაყვინთა ზღვაში. და მეტი აღარც გამოჩენილა. სულ ჩამობნელდა. ის ვერ მხედავს, რომ გავწითლდი. ფეხს არ ვიცვლი, არც ის.

— აქ რატომ ხარ? — ჩურჩულებენ ჩემი ტუჩები. მოშორებით დგას, მაგრამ მაინც ესმის ჩემი.

— გელოდებოდი, — მპასუხოებენ მისი ტუჩები.

— არასოდეს არ გიყვარდი.

— რატომ ამბობ ასე?

— ცივა.

— დილით აქ ყოველთვის კარგი მზეა!

— მე დღის ნაწილებად დაყოფა არ შემიძლია, არც სიცოცხლის.

— მე კარგი მასწავლებელი ვარ.

— შენთან ყოველთვის მოსაწყენი იყო.

— კი. მაგრამ მაინც ვერ მშორდებოდი.

— ათასჯერ მაინც წავედი შენგან. ჩემოდანში ვყრიდი ღამის პერანგს, შენთან წოლისას რომ მეცვა; გულამოღებულ კაბებს, შენთან ერთად სტუმრობისას რომ ვიცვამდი; სიტყვებს, ათასჯერ რომ გეუბნებოდი გულში, მაგრამ ხმამაღლა არასოდეს; ცრემლებს, უძილობას, მომაბეზრებელ ტელეფონის ზარებს, ჩემს სამართლიან წყენას, დამცირებას, დაუოკებელ ვნებებს. ყველაფერ ამას ვალაგებდი ჩემოდანში, ვკეტავდი გასაღებით და მივდიოდი შენგან. კიდევ ერთხელ მივდიოდი. მერე მაინც ვბრუნდებოდი უკან. რატომ? არ უნდა დავბრუნებულიყავი.

— შენ სხვანაირად არ შეგეძლო.

— შენ გგონია, ეს სიყვარულია?

— რა ვიცი...

— სულ მგონია, რომ უმიზნოდ იხარჯები. შენი აზრით, ასეა საჭირო. მაგრამ მხოლოდ წამიერად, ერთი დღით. ერთი შემთხვევისათვის. თანაც არა შენთვის, მაგრამ მერე... მერე გაივლის ცხოვრება. მიხვდები, რომ თურმე არ აკეთებდი იმას, რაც საჭირო იყო. მუშაობდი არა ახლობლებისათვის, არამედ უცხოებისათვის. როდესაც ამას მიხვდები, შეგეშინდება, მაგრამ უკვე...

— ჩემთან მოდი, როგორ კანკალე.

— სულ მგონია, რომ მართოსული ხარ. შემეძლო დავხმარებოდი, ვგრძნობდი. მაგრამ შენ ეს არ გინდა, გეშინია, თავს მარიღებ, რატომ?

— ძალიან გთხოვ, მოდი ჩემთან. აქ საოცრად კარგია. შენ სველ სილაში დგახარ. მე დიდი და თბილი ხელები მაქვს. მოდი, ნუ გეშინია.

მისკენ მივდივარ. ბნელა და ცუდად ვხედავ. მისი თმის შრიალი მესმის და ამ შრიალს მივეყვები. ახლოს მივდივარ. სახეზე ხელისგულებით ვეფერები. ხელისგულებითვე ვუხუჭავ თვალებს, თითებით ვეხები ტუჩებზე. მესვევა. მერე მიწაზე ვსხდებით. მის ფეხქვეშ მიწა საოცრად მშრალია. თბილი, ცხელიც კი. ორთქლი ასდის. უცბად ვთბები. ციდან ვარსკვლავი წყდება და ნელ-ნელა გვიახლოვდება. არა, ვარსკვლავი კი არა, პატარა ანგელოზი ყოფილა, თმახუჭუჭა. ვარდისფერლოყება. უცოდველად დაფრინავს ჩვენ გარშემო.

— მე შენ არაფერში და არავისში გაგცვლი...

— ირგვლივ იმდენი სიცოცხლეა.

— შენ დაივიწყებ დედას და მამას, მეგობრებსა და მტრებს. არასოდეს გაიცინებ, თუკი მე არ ვიქნები. არასოდეს მოისურვებ კედელს ურტყა თავი, თუ შენს გვერდით მე ვიქნები. სხვებისათვის აღარ იმუშავებ, მარტო ჩემთვის. მე სიყვარულით გადავიხდი. ეს უდიდესი საზღაურია. ნურაუის დაუჯერებ. მე შემოდლია სიყვარული. ნამდვილი სიყვარული. დამიჯერე. გემუდარები, დამიჯერე.

— მჯერა.

სანაპიროზე ქალი გამოჩნდა. მღერის და კთან იღიმება.

— წამოდი, შეილო, — ეუბნება ჩემს სატრფოს.

— მე მხოლოდ ერთი გზა გამაჩნია და ეს გზა ეს ქალია.

— მე შენ სიცოცხლე გაჩუქე.

— ახლა სიცოცხლეს მხოლოდ ეს ქალი მჩუქნის.

— მაგან ბევრი გააცურა, შენც გაგაცურებს. ბოროტი, ცარიელი ქალია.

— წადი, დედა. ვინც ჩემს სატრფოზე აუგი თქვა, ის აღარასოდეს მიხილავს.

სანაპიროზე ახალგაზრდები მოდიან. ხმამაღლა იცინიან. ცარიელ ბოთლებსა და ანთებულ სიგარეტებს ზღვაში ისვრიან.

— წამოდი ჩვენთან! — ეძახიან მეგობრები.

— ეს ჩემი სატრფოა.

— ნუ სულელობ. ათას ქალს გაგაცნობთ და მიხვდები, რომ სხვისი სიყვარულიც შეიძლება ყოველდღიურად.

— მე მინდა მთელი ცხოვრება ერთი მიყვარდეს.

— მაგას ცოდვიანი თვალები აქვს. მუხანათური. ნუთუ ვერ ხედავ?

— რადგან გაბედეთ და ჩემს სატრფოს აწყენინეთ, ჩემი მეგობრები აღარა ხართ.

ნაპირზე ჰალსტუხიანი კაცი გამოჩნდა, ქალაღლებით სავსე დიპლომატით ხელში.

— ჩემთან წამოდი, ეს ყველაზე საიმედო გზაა.

— საიმედო გზა ჩემთვის მხოლოდ ეს ქალია.

— წამოდი. ბევრი ფული გექნება და დიდი სახელი. ეს ყველაფერი შეგიძლია ამ ქალს ფეხებთან დაუყარო. მაგრამ ამისათვის დროებით უნდა დაივიწყო აგი.

— ერთი წამითაც ვერ დაივიწყებ. არც ფული მჭირდება და არც დიდება. მარტო ამასთან მინდა.

— ღარიბი რომ იქნები, მიგატოვებს.

— თავი დამანებეთ.

მკერდზე ვიხუტებ მის თავს და ვტირი. ჩემი ცრემლები თმაზე აცვივა, მათში იხლართება და კონფეტებით¹ ბრჭყვიალებს.

— რატომ ტირი?

— კი არ ვტირი, თმაზე კონფეტებს გაფრქვევ. დღეს ხომ დღესასწაულია. ზღვაზე ანგელოზი დაფრინავს და თეთრი კბილებით იღიმება.

— თოლიასა ჰგავს.

— შენთან არაფრის მეშინია.

— ნუთუ ეს როდისმე დამთავრდება?

— გინდა ყველაზე ლამაზი ვიყო და ყველას შეშურდეს შენი?

აქ დილით მართლაც უხვი სინათლეა. თვალებს მჭრის. თვალმოჭუტული ვუცქერი მზეს. ჩემმა სატრფომ მუხლებზე ხელები შემოიხვია და თავი შიგ ჩარგო. ალბათ მზის ცქერა უჭირს. ამ წუთას სირაქლემას მაგონებს. რატომღაც უსიამოვნო გრძნობა მეუფლება: ვდგები და ზღვასთან მივდივარ.

— რატომ წახვედი?

მხრებს ვიჩეჩავ და გზას განვაგრძობ.

— გაწყენინე? რა ძაღვ მოვიდა დილა. რა ჩემი ბრალია, რომ ასე ძაღვ გავიდა ღამე. განა შეიძლება გეწყინოს, თუკი ვიყვარს?

მიუღივარ, უკან არ ვიხედები.

— მოიცადე, რამე მითხარი. ასე როგორ შეიძლება. ეს ხომ უსინდისობაა. ნუთუ არ იცი, რომ უსიტყვოდ წახვლა არ შეიძლება.

ჩემკენ გამორბის. მხრებზე ხელს მკიდებს და მანჯღრევს. მე თვალებს ვმაღავ:

— რა ვქნა, როგორ ვითხრა, როგორ ავიხსნა... მოკლედ, შენ ამაოდ ჰკარი ხელი ყველას. როგორ არ გესმის. დედაც კი გააგდე. მეგობრებიც. ახლა რა ვაკეთოთ მე და შენ. ღამეები ყოველთვის თავდება. დგება დილა. მე კი ხალხში ყოფნა მიყვარს. შენ შეგეძლო კარგი ხელფასი გქონოდა. რა თქმა უნდა, ფულისა მე არაფერი გამეგება. მაგრამ სამაგიეროდ ვიცი, რომ ფულით ბევრი რამ შეიძლება იყიდო. მე ისე მიყვარს ახალი ნივთები, ტანსაცმელი. როგორ ვითხრა, არ ვიცი. ერთი სიტყვით, ერთგულება — ეს არის გაყინულ-გაშეშებული რაღაც. მუჟუჟს მაგონებს. შეჭამ და შიმშილის გრძნობა დაგრჩება. არ მიყვარს ერთგულება.

ხელი მთელი ღონით გამომიქნია და სახეში მთხლიშა. მერე წავიდა. ვუცქერ. გამხდარია და გაშავებული. თეთრკბილება. და მეჩვენება, რომ მართლა მიყვარდა. ასე არავინ მყვარებია. შუებით ამოვისუნთქე. ჩემს ფეხთით მომაკვდავი ანგელოზი გდია.

— რატომ? — ვეკითხები ანგელოზს.

— ყველაზე დიდი სიყვარული განუხორციელებელია და ამიტომაც სასიკვდილოდ განწირულიც. ჩაკეტილი წრესავითაა. განუხორციელებელი სურვილი ყველაფერზე ძლიერია, ყველაფერზე მეტად ხანმოკლეც.

პატარა ანგელოზი მორჩილად ხუჭავს თვალებს. სულ ბავშვია. როგორც პეპელას, ისე ვიყვან ფრთხილად ფრთებით ხელში და მიმყავს. კარს ბებრუხანა მიღებს, პირჯვარს იწერს და ოხრავს.

— ლოყა დაგლურჯებია, რა დაგემართა?

— სატრფომ გამარტყა, წარმოვიდგენია? გაბედა და ხელი აღმართა ქალზე.

1. კონფეტი — ფრჩხილისოდენად მრგვალად დაქრილი ფერად-ფერადი ქაღალდები.

დედაბერი არ მპასუხობს. პატარა ანგელოზი სასაფლაოზე მიაქვს. მესმის კედლის მიღმა, რაღაცას ბუტბუტებს. ალბად ლოცულობს. ქვითინებს კიდეც. პატარა ვარდისფერლოყება ანგელოზი გულწრფელად ეცოდება. მერე ბრუნდება და სიძულვილით მიყურებს:

— შენ?..

— რას ამბობ! ეგ როგორ შეიძლება. თვითონ, გეფიცებ, ბრუნდება და მკვებებისათვის არასოდეს მიწყენინებია. ისინი ხომ ჩვენი ცხოვრების ყვავილები არიან.

— ყვავილები, ყვავილები, — გამომაჯავრა ქალმა. — ვერ გამოგია, რა გინდა?

— გაიხედე, — ფანჯრისაკან ვანიშნებ, — მოგწონს?

ჩემმა სატრფომ ფანჯრის წინ ჩაიარა. მხიარულად მიიქნევს „დიპლომატს“ და თანაც რაღაცას ღიღინებს. ალბათ სამსახურში დღეს კარგად აეწყო მისი საქმე.

— ისე რა! — დაიჭყანა ქალი.

— სამსახურში მიდის. მერე სახლში მივა და კატლეტებს შეჭამს.

— მერე შენ რა?

— არაფერი. ალბათ პატარა ცოლი ჰყავს, ჩასუქებული. ქმარი რომ თვრება, მორჩილად ხდის ფეხსაცმელს. დილას ლუღზეც გავარდება, კატლეტებსაც შეუწვავს.

— კი მაგრამ, შენ რა გეკითხება?

— ჭამოს, არ შენანება. — ფანჯარას ვცილდები. გასიებულ ლოყას ვიხეი. მერე დასაძინებლად ეწვები.

— კმაყოფილი ხარ?

— რაზე მეკითხები?

— ისე. გაფითრებული სახე გაქვს.

— ნეტავი ვიცოდე ასეთ სინათლეზე როგორ მამჩნევ?

— ჰო, შესაძლოა შენ მართალი ხარ.

ზოგჯერ ისეთ სასიამოვნო სიზმრებს ვხედავ, რომ როცა ვიღვიძებ, ტირილი მინდება. ხანდახან ვტირი კიდეც. მინდა სიზმრიდან რაღაც გამორჩეულად გავიხსენო, მაგრამ ვერ ვიხსენებ. და მაინც მთელი დღე საოცარი აღმაფრენა მეუფლება: მშვენიერი მუსიკა ჩამესმის, ისე მშვენიერი, რომ ყველაფერი მავიწყდება — სად ვარ, რა მეძარბება, რა მქვია, რომელ ქალაქში დავიბადე. სადღაც დავფრინავ, სადღაც მივცურავ, საიდანღაც ვხტები. არ ვიცი, სადა ვარ, რა მეძარბება. მაგრამ ვგრძნობ, რომ საოცრად კარგადა ვარ. სურათებს ვხედავ. იქ მინდა. იქ სიმშვიდეა და განათებაც სხვანაირი. იქ არც უსიამოვნებანი ხდება და არც ამოი ფუსფუსია. იქ სიცოცხლე არ იყოფა წლებად. ყველაფრის ერთად მიღება შეიძლება, თანაც უწვალებლად.

კარადას ვაღებ. ჩემი ბავშვობის კაბას ვპოულობ, გვირილებიან კაბას. ეს კაბა დედამ შემიკერა. ათი წლის რომ გავხდი, მაშინ, ვიცვამ. ლოყით ვეკვრი დედაბრის სახეს. სახე რატომღაც ძალიან ცივია და ვკრთები. კარს ვაღებ და კუინჯის არყის ტყის ჭალაში შევდივარ. არაბუნებრივად განათებულ ბალახზე ეწვეები. ჩემ გვერდით დედა იჩოქებს. მის ხელისგულებში ჭის წყალი ბრწყინავს, თითებს შორის მოწვეთავს და სახეზე მეღვრება.

— დალიე, შვილო, — მთხოვს დედაჩემი, — დალიე, ძალიან გემრიელი წყალია. ძალას მოგცემს.

თავი წამოვწიე. წყალს ვსვამ და დედას ხელებზე ვკოცნი.

— დედა, ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარე. ოღონდ არ დამტოვო, დედა!

— ნუ გეშინია. აქ კარგია. არც არაფერია საშიში. შენ ოღონდ არ შეგეშინდეს.

— ამით რისი თქმა გინდა, დედა?

— მიცვალებულებში მტრები არ არიან. სიკვდილი ყველას ერთგვარად აქცევს. მიცვალებულის არ უნდა გეშინოდეს.

— რას ამბობ, დედა?

დედა შუბლზე მკოცნის და პირჯვარს მწერს..

— რამდენი წლისა ხარ, დედა?

— ოცდახუთის.

— მეც მალე გავხდები ოცდახუთის. ძალიან მალე. ტოლები ვართ?

— კო.

— რა ლამაზი ხარ, დედა. მეშინია, არ დამეკარგო. რამე მიმღერე. მაგრად მომკიდე ხელი, რაც შეგიძლია მაგრად, რომ არ დავეცე. შენთან არასოდეს ვეცემოდი. ხელი არ გამიშვა, დედა, და მეც არასოდეს არ დავეცემა.

დედა ხელს მიქნევს და კუინჯის ჭალაში უჩინარდება. ვჯდები. ფეხებს ეწვართავ. ჩემ ირგვლივ ადამიანები ცეკვავენ. ლამაზები არიან. გამჭვირვალე კანი აქვთ. ცისფერი თვალები. თეთრი სამოსი. ხელში თეთრი შროშანები უჭირავთ. მიწას ფეხს არ აკარებენ. ჰაერში ნარნარად მოძრაობენ. მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, ჰაერში მეკლო. ზოგჯერ გამომდიოდა. მაგრამ მჯიკაობდნენ, ან ფეხზე ფეხს მადგამდნენ.

— კარგადა ხარ? — მეკითხებიან ისინი.

— ასე კარგად არასოდეს ვყოფილვარ.

— დარჩი ჩვენთან. აქ არასოდეს არ ტირიან. არც ტალახში ამოგსკრიან. არც არავის ასაფლავენ. მხოლოდ სილაამაზეა და ჰარმონია. დარჩი.

— კი მაგრამ, შეიძლება?

შენელებული მოძრაობით ადამიანები ხელიდან ხელში გადასცემენ ახალ-შობილს, რომელიც ბოლოს ჩემამდე აღწევს.

— ვისია ეს პატარა?

— ვერ იცანი? ეს ხომ შენი დაუბადებელი შვილია.

— ბიჭია, — ვიღიმები. — ვიცოდი, ბიჭი რომ იქნებოდა. — გვირილებიანი კაბის ღილებს ვიხსნი და ბავშვს ძუძუს ვაწვდი. ბავშვი წოვს ძუძუს, რომელშიც არ არის რძე. იგი ცარიელია და უსიცოცხლო. პატარა მაინც წოვს და იღიმის.

— რა გადასარევი ბავშვია? — ვამბობ მე, — რა კარგია, რომ არ გაჩნდა. მამამისივით პატივმოყვარე იქნებოდა, ან დედამისივით წყალწალებული წამებული. ამან გვაჯობა. უცოდველ ღმერთის ქმნილებად დარჩება სამარადისოდ.

ადამიანები თანხმობის ნიშნად თავს მიქნევენ.

— დარჩი ჩვენთან. ბავშვს ყოველ დღით ძუძუს მოაწოვებ. უმღერებ. თვალებს დაუკოცნი, საბანში გაახვევ. დარჩი. სანამ დიდი ცოდვა და ბოროტება არ ჩაგიდენია. აქ არ ღამდება, დაისვენებ, არავისთან შენ არაფერი გესაქმება, არავის წინაშე არ მოვიწევს გაწითლება. შენ აქ ჭეშმარიტ თავისუფლებას შეიგრძნობ. სიყვარულს, ბედნიერებას, ერთგულებას. აქ ყველანი ძმები ვართ. დარჩი. შეხედე, რა ნაზი ფერებია, რა მელოდიური მუსიკაა, რა კეთილი ადამიანები. აქ არ გეცოდინება ტანჯვა რა არის, რადგან ტანჯვა აქ არ არსებობს...

— თანახ... — ვილატამ ხელი მტაცა და სასწრაფოდ ჭალაში გამათრია.

— რა მოხდა? — დავიბენი. სახეში ვუყურებ. თითქოს სადღაც მინახავს-ეს ცხვირპაჭუა და ოფლიანი ბიჭური სახე.

— რა მოხდა? — ვიმეორებ.

— გაიქეცი აქედან. შენ აქ არაფერი გესაქმება, გაიქეცი.

— კი მაგრამ, ბედნიერება... აქ ისე კარგია, ისეთი ბედნიერებაა.

— ესენი მიცვალებულები არიან. ჩვეულებრივი მიცვალებულები კი მოსვლას ყოველთვის მოასწრებ.

— როგორ? რატომ? მომატყუებს?

— არ მოუტყუებიახარო. ნამდვილად ბედნიერებაა. ნუთუ არ გესმის, რომ ჭეშმარიტი ბედნიერების მწვერვალი სიკვდილია?

— არ მესმის.

— მთელი ჩვენი ცხოვრება გრძელი გზაა სიკვდილისაკენ. სიცოცხლე არ შეიძლება ბედნიერება იყოს. მაგრამ ბედნიერება არსებობს. მაშასადამე, მთელი გზა ეს არის ლტოლვა ბედნიერებისაკენ. მხოლოდ სიკვდილს მოაქვს ის შუება, შენ რომ გინდა: ის მუსიკა, შენ რომ გესმის, ის ფერები, სიცოცხლეში რომ ვერასოდეს იხილავ. ბედნიერება მხოლოდ უძრავობას მოაქვს. ბედნიერება მოძრაობაში არ არსებობს. არსებობს მხოლოდ იღბალი, სიხარული, გამარჯვება, მაგრამ არა ბედნიერება. ამიტომაც, რომ ბედნიერების მაგვარი რაღაც შეიძლება ხელოვნებაში იპოვო მხოლოდ. ხელოვნებაც მკვდარია. ხომ გაიგე? ახლა კი გაიქეცი.

— შენ?

— მე, — ოხრავს ბიჭი, — მე შენი დაუბადებელი ბავშვივით უცოდველი ვარ, ვერ მოვასწარი და იმიტომ. აბა რა უნდა იყოს ცოდვაზე უფრო ტკბილი? ასე რომ, იჩქარე. იჩქარე შესცოდო, რამეთუ აქ ყოველთვის მოასწრებ ჩადენილი ცოდვების მონანიებას. უნდა მენდო და დამიჯერო. სამწუხაროა, რომ ბავშვი არ გააჩინე.

— ჰო, სამწუხაროა. ლამაზი ბავშვი.

— კარგად იყავი.

ბიჭუნა ხეებს ისე მიეფარა, ვერც მოვასწარი მეკითხა, საიდან მეცნობი-მეთქი. ალბათ სადმე ერთ ეზოში ვცხოვრობდით, ან ერთ საერთო ბაღში დავდიოდით. შეიძლება ჩვენი ბავშვები მეგობრობდნენ. ზუსტად ვერ გაეიხსენე. ბიჭმაც არ მოინდომა ეთქვა. იქნებ საამისო მიზეზი ჰქონდა?

არყის ხეების ჭალაში გავრბივარ. ხეებს ვეჯახები, ბუჩქებზე ხელებს ვიკაწრავ. თავით ღრუბლებს ვეხები. სურათის ჩარჩომდე მივრბივარ და სურათს მიწაზე ვაგდებ. ჩამობნელდა. ფეხისწვერით კარს ვეძებ. კართან გახარებული დედაბერი მელოდება.

— მადლობა უფალს! აღარ მეგონა, რომ დაბრუნებას მოისურვებდი. ყოჩაღ, რომ დაბრუნდი. რა არის? სურათი გატყდა? არაფერია. გადავაგდოთ, თუ გინდა მიწაში ჩაეფლავთ.

ქალი გაუთავებლად ქაქანებდა. პირდაპირ იატაკზე ჩავჯექი დაღლილი.

— როგორ ფიქრობ, კუინჯიმ იცოდა რას ხატავდა?

— ო, ო რა შუაშია კუინჯი? — ხელი ჩაიქნია დედაბერმა და სასაფლაოსკენ გაეშურა. ჯერ არ მინახავს, სასაფლაოზე ასეთი სიხარულით მიდიოდნენ.

ქალი მალე დაბრუნდა და ბროწეული გამომიწოდა.

— ჭამე, — მითხრა.

ფრთხილად დავიწყე დამარცვლა. სათითაოდ ვიდებდი პირში, თითოეულ მარცვალს ყველა მხრიდან ვწუნუნდი.

— როგორც იქნა, ყველაფერს მიხვდი, — ამოისუნთქა მოხუცმა.

— რაი, არ მესმოდა რაშე თუ?

— ხომ არ დაუკრავ?

— დაუკრავ, — დავთანხმდი მოულოდნელად და „მშვენიერი მეწისქვილე ქალის“ დაკვრა დავიწყე. ასეთი შთაგონებით, ასეთი გზნებითა და სიყვარულით არასოდეს დამიკრავს. გადაუჭარბებლად ვამბობ, ეს იყო გენიალური შესრულება. დედაბერი მსუბუქად და თავისუფლად ცეკვავდა. წარსულში აღბად ბაღურინა იყო, თუმცა მისთვის ამის შესახებ არაფერი მივითხავს. არ მაინტერესებდა.

— მართლაც მშვენიერი იყო მეწისქვილე ქალი. წერილი წელი ჰქონდა, გრძელი ფეხები და შავი თვალები. ღამაზად ცეკვავდა, როიალზე უკრავდა. შეუძლო სიყვარული. უშიშარი იყო და ვნებიანი. ასეთი უნდა იყოს ნამდვილი ქალი. მაგრამ მან ყველაფერი ერთბაშად მოინდომა. როდესაც ერთად იღებ ყველაფერს, საბოლოოდ არაფერი გრჩება. მეწისქვილე ქალი კი ამას არ შეუშინდა, ის ხომ ნამდვილი ქალი იყო. როგორ ფიქრობ, ბუდნიერს ამის თქმა უნდოდა?

— არ ვიცი, — ავიჩეჩე მხრები.

— საწყენია.

— ვალს რა ვუყო?

— ნუ იფიქრებ. ყველაფერი თავისით მოვა. მოავარია, არ იფიქრო. ნუ წახლები. შენთან დაშორება მიჭირს. შეგეჩვიე. შენ... შენს არსებაში საოცრადაა შეჩვემული თუ გადახლართული წარმოუდგენელი მიაძიება და წარმოუდგენელი უზნეობა. მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ბოლოს ყველაფერი თავის ადგილზე დგება ყოველთვის. შენ კი ეს სწრაფად მოინდომე. ვინ იცის, შეიძლება მალე იხანო კიდევ. უფრო მალე, ვიდრე მე და შენ გვგონია, — ამოისლუკუნა დედაბერმა. — იქ კი აღბათ მართლაც კარგია, არა? სიმშვიდე, ბუდნიერება, მუსიკა, ფერები....

აღარ ვუსმენდი. ძალიან მეძინებოდა. ასე არაფერი მდომებია ცხოვრებაში — არც თავისუფლება, არც სიყვარული, არც ბუდნიერება, უბრალოდ, ძილი მინდოდა. უკანასკნელად შევხედე დედაბერს. მინდოდა მეთანაგრძნო და დამემშვიდებინა, ღოყაზე მოვფერებოდი ღოყით. მაგრამ თვალები შებლიტებოდა, აზრები მერეოდა. მშვენიერი მეწისქვილე ქალი... მოცეკვავე დედაბერი... ჩვილი, რომელიც ძუძუზე მკბენს, სატრო, რომელიც ალუბლის კომპოტის კურკებს მესვრის... გველი, რომელიც წელის სიგრძეს მიზომავს... ოცდახუთმანეთიანი, რომელიც მკერდზე მაქვს მიკრული... და დამეძინა. ყველაფერი ამისრულდა, რაც ასე მძაფრად მსურდა.

ღილით გაბმულმა ზარმა გამაღვიძა, მეზარებოდა ადგომა. მოხუცს გავძახე. არავინ მიპასუხა. ადგომა ვცადე. რაღაც წარმოუდგენელი სიმძიმე მაწვებოდა სხეულზე. კარზე ისევ რეკავდნენ. იატაკზე ქალაღლის ნაგლეჯი შევამჩნიე, ძლივს დავიხარე და ქალაღლი ავიღე.

„პო, ისა... არაფერი გეწყინოს, გახოვ. გვონია, სიღამაზე ყველაფერი? არაფერი არ არის, სრულიად არაფერი. რა მოვიტანა შენმა სიღამაზემ? ის რომ ღამაში ფეხების საფასურად ადამიანი დაგესმინა? თუ ის საათები მოგემატა, როდესაც ის კაცო ინებებს და გამოიმეტებს შენთვის ყურადღებას? ანდა მოწყალებს... რაღაა საღამარაკო. შენ ყველაფერი მიიღე, რაც მოისურვე და საბუღაბოდ დაასამარე ის, რაც საერთოდ აღარ ვინდოდა. შენ ყველაფერი გაიგე, ამ რა-

ციხნალურ ცხოვრებაში შესძელი ვიჟი გამხდარიყავი. ასეთი უნდა იყოს სწორედ მშვენიერი მეწისქვილე ქალი. ბროწეულს, რომაელსა და ტანსაცმელს მეორე ოთახში ნახავ. დანარჩენ რამეებსაც იქ იპოვი. ღამე სანთელი ჩააქრე ხოლმე. დღეები, ხომ იცი, დღეს არის, ხვალ გადის, „კოლგოტკებისათვის“ დიდი მადლობა.. მე მჯერა შენი. მჯერა რომ შევხვდებით ერთმანეთს. კვლავ შენთან მალე უფრო მალე, ვიდრე შენ გგონია და ვიდრე მე მგონია... გიშენებ

კარზე ისევ გულის შემადონებლად რეკდა ზარი. სისხლი გამეყინა.. ყველაფერს ეხვდებოდი უკვე. გრძელი ღერეფანი გავიარე, კართან მივედი და გავაღე. ზღურბლზე გოგონა იდგა. ქვევიდან ვუყურებდი. ლამის ორჯერ მაღალი იყო ჩემზე. თვალები... ეს ურცხვი, მშვენიერი თვალები. ვიცანი ისინი — წარმოუდგენელი მიაშიტობა და წარმოუდგენელი ურცხვობა.

— ჩემთანა ხართ? — კვითხე.

— ჰო, ბებო, განცხადება უნახე. შეგიძლიათ დამეხმაროთ?

— არავითარი განცხადება არ გამიკეთებია. მაგრამ რა გაეწყობა, რადგან მოსულხართ, შემოდით, — ვთქვი ხაოცრად ახალგაზრდული ხმით და წინ გავუძეხი. ხარნარად მივდიოდი. ასე მხოლოდ ბალერინები და მშვენიერი მეწისქვილე ქალები დადიან, ვაჭრები კი — არასოდეს!



ჩიტები, ანუ დამატებითი ცნობები ადამიანებზე



მოთხრობა

თარგმნა შიშოზა კიკიბურაძე

მ. რ. ყოლნისძე

არ ვისურვებდი ამ ნაწერში რაიმე სტილი მეპოვნა... მაშასადამე, არ ვისურვებდი, რომ ის ეფექტი, რომლის მიღწევაც მინდა, — როცა ერთი შეხედვით სრულიად შემთხვევითსა და ნაკლებამაღვლევებელ საკითხზე გესაუბრებით, რათა თქვენც აგაღვლოთ, ან არც აგაღვლოთ... ასე ვთქვათ, „ცოტა ჩაგაფიქროთ,“ — არ მინდა, ეს ფაქტი სტილისტიკას ეკუთვნოდეს და არა იმას, რისი თქმაც ახლა თქვენთვის მსურს.

უფრო მეტიც, მიუხედავად ასეთი მცდელობისა, მოულოდნელად, ჩემდაუნებურად გამჟღავნებული სტილი და მისი გარღვევა დიდ ჭმუნვასა და გულგატეხილობაში მაგდებს, რასაც ალბათ ყველაზე მეტად გავუბრბი, ვინაიდან ნებისმიერი სტილის არსებობა ჩემს მოთხრობაში გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ყველაფერ იმას, რის თქმასაც ვაპირებ.

ჩვენ ჰაეროვანი ოკეანის ფსკერზე ვცხოვრობთ, სახლებსა და ხეებს შორის, თითქოს წყალმცენარეებსა და ნიჟარებში გახლართულნი. აგერ კიბორჩხალა მოხოზინებს ჯავშნიანი გახევებული კისრით, მუცელს ასფალტზე მოაფხაჭუნებს, შემხვედრ წინააღმდეგობას რომ გადაახოხდება, თავს უნებლიეთ წამოსწევს — იქ კი, ზემოთ, ცა ლივლივებს, სადაც ფარფლების ოდნავ შესამჩნევი რხევით ჩიტი ჰკიდია.

ჩიტები ჩვენი ოკეანის ფრთოსანი თევზებია.

ადამიანები ორი სამყაროს მიჯნაზე ვცხოვრობთ. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ არც ერთისა ვართ, არც მეორის. მხოლოდ ჩიტებისა და თევზებისთვის არის ცნობილი ერთი გარკვეული სამყარო. მათ, რა თქმა უნდა, ამის შესახებ არაფერი იციან. ისინი უბრალოდ ეკუთვნიან ამა თუ იმ გარემოს. ალბათ, არც ადამიანი ჩაფიქრდებოდა ამაზე, ცურვა რომ შეეძლოს ან ფრენა. ამისათვის აუცილებელია გარკვეული წინააღმდეგობა — საზღვრის დაძაბულობა, ერთგვაროვან გარემოში კი არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა.

ამ საზღვარზე დღემუდამ უთანხმოება და შეხლა-შემოხლაა. ჩვენ დაძაბულები ვართ, მხოლოდ ძილში მოკვშვებით ხოლმე, თითქოს ქვის ქვეშ შეყუყულებმა საიმედო თავშესაფარს მივაგენით. სიზმარი ცურვაა ჩვენი, ჩვენი ნანატრი გაფრენა. აბა, ისე თეალი მიაღვევს ადამიანს, რა მძიმედ დააბიჯებს მიწაზე...

ხომ არ სტკივა რაიმე, ან იქნებ ფეხქვეშ საყრდენი ეუხეშება, ვინ იცის, იქ-

ნებს, ფეხსაცმელიც უჭერს, ან სამუშაო დღე ზომაზე მეტად გრძელი და მოძქან-
ცველია, შეიძლება მძიმე ბალურამ ხელებიც დაუწყლოლა. აი, ასეთია ადამიანის
სვლა დედამიწაზე.

„შეხედეთ ცის ფრინველთ...“

...არ თესავენ, არც მკიან, არც ბელლებს ავსებენ, მამა თქვენი ზუციერი არ-
ჩენს მათ. ნუთუ თქვენ არა სჯობიხართ ფრინველთ? მრჩენენ

„განა ორი ბელურა ერთ ასარად არ იყიდება? მაგრამ ერთი მათგანიც არ და-
ვარდება მიწაზე, თუ არ იქნება მამის თქვენის ნება.“

ხოლო თქვენს თავზე ყოველი ღერი თმაც სათითაოდ დათვლილია.

მაშ, ნუ შიშობთ, ვინაიდან უთვალავ ბელურაზე უმჯობესნი ხართ“.

ადვილი სათქმელია, „ნუ შიშობთ...“

მაფიქრებს ის, რომ ეს მოძველებული პოეტური ტექსტი ერთგვარად განა-
ზოგადებს ჩვენს ყოველგვარ ცოდნას ჩიტების შესახებ.

უცნაურია, მაგრამ ჩიტები თითქოს არც არიან ჩვენს ცხოვრებაში, თუმცა
შეუიარაღებელი თვალითაც ვხედავთ მათ. ისინი ჩვენი შემეცნების ზღვარზე
დაფრინავენ, სწორედ იმ ხუფის შიდა მხარეს მიხატულებს ჰკვანან, ჩვენი და-
სახლებულ სამყაროს თავზე რომ დავახურეთ. ასეთი უცნაური წარმოდგენა ცარ-
გვალზე ახლა გულუბრყვილობად გვეჩვენება — არსებითად კი ეს ჩვენი ცოდნის
ზუსტი შინაგანი ზღვარია, რომელიც მერე გარეგანადაც აღიარეს. გაუმჭვირვა-
ლი ხუფი, რომელსაც მუდამ თან ვატარებთ, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ოდ-
ნავ ირხევა. ჩიტი კი ყოველთვის მის კიდეზე დაფრინავს, ვერასოდეს მიუუახ-
ლოვდებათ მას — იქ ღიბი სიმრუდეა...

ასე რომ, ჩიტი არის, და არც არის ჩვენთვის, ადამიანი ხომ ძირს იყურება,
ზეცაში ცქერა — ფუფუნებაა. არისტოფანედან მოყოლებული პინკოკამდე ასე
იყო და ასეა — ჩვენთვის ჩიტები კი არ არსებობენ, არსებობს მათზე შექმნილი
წარმოდგენა. მხოლოდ მკვდარ ჩიტს შეგვიძლია ხელით შევეხეთ, ან კიდევ მოვ-
კლათ და შევჭამოთ, მაგრამ ჩიტთან ურთიერთობა, ისევე როგორც ცის თაღთან
კავშირის დამყარება, ყოველად შეუძლებელია: მშვენივრად ვიცით, რომ სამყარო
აქ არ მთავრდება, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში დედამიწა მაინც ბრტყელი
რჩება, ადამიანის თვალსაწიერს კი გამოცდილების სფეროს ხუფი ფარავს. თავს
უფლებას ვაძლევ ვამტკიცო, რომ ჩიტთან შეხვედრა ყველაზე ნაკლებად გვიხ-
დება, ყველა დანარჩენ ცოცხალ არსებასთან შედარებით. ძნელი წარმოსადგენია,
რომ ჩიტს მიეფერეთ, ხელი გადაუსვით, ან თქვენი მიწოდებული საკვები აკენკა.
ჩიტი თავისთვის, ჩვენგან დამოუკიდებლად დაფრინავს, გაცილებით უშუალო ურ-
თიერთობა გაგვანია ევოლუციის პერსპექტივით დაპატარავებულ და ჩვენგან და-
შორებულ არსებებთან: დავუშვათ, ბუზებთან. თვითმფრინავი ძველებურად ჩიტს
აღარ გვაგონებს, თუმცა ვერტმფრენი საშინლად ჰგავს ჭრიჭინას. პინკოკმა ბუ-
შვობა ფიტულების მაღაზიაში გაატარა — საშინელებებზე შექმნილი ფილმების
ფუძემდებელი და ამ ჟანრის უდიდესი წარმომადგენელი გახდა, მისი შედევ-
რის — „ჩიტების“ სასტარტო ამოსავალი კი მხოლოდ ის იყო, რომ ჩიტმა ადა-
მიანს ჩაუნისკარტა, თავდაცვის კი არა, თავდასხმის მიზნით. ხელოვნებაში ჩი-
ტი — თავისი ბუნებით სიურრეალისტური არსებაა.

აქ, კოსაზე, ბიოსადგურში — მეშვიდედ ჩამოვედი, თუმცა, იქნებ, მეშვიდედ
არა, მაგრამ დამრგვალებული ანგარიშისათვის იყოს ციფრი შვიდი. აქაურობის
შეჩვევა შეუძლებელია — ყოველთვის მაოცებს ის, რასაც აქ ხელახლა ვხედავ.
ეს მერამდენედ მოვეშურები აქეთ, ალბათ იმიტომ, რომ სამუდამოდ მახსოვს, —



ეს ადგილი ერთადერთია დედამიწაზე, რომელიც ცხოველყოფელ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე, განაახლებს მას, იგი არც არაფრით გემუქრება და არც არაფრით გავალდებულებს. არსებობს შენგან დამოუკიდებლად და არ გამოგროვცხავს შენ, მაშასადამე არის ადგილი, სადაც „სული ხორცს ერწყმის“. ალბათ, ამიტომაც მოვდივარ აქეთ, მაგრამ წამოსვლისას არასოდეს მახსოვს ეს. რაღაც მოულოდნელად აღმოვჩნდები ხოლმე აქ. ეს მიწა სამშობლოს მაგონებს, რომელიც არასოდეს მინახავს. პაწია ღრუბლები ზარბაზნის ლულიდან გამოსახული ქვიშაკმლივით შერჩენია ზეცას. ვინ გაისროლა? ღრუბელს გასროლა არ ახსოვს, არტილერიისტს — ქვემეხი. თეთრი, ქუნქულა ფთილები მადონას კალთიდან ჩამოცურებული თნავარი ყრმის ლოყებივით გაფუმფულულან. ქარს აყოლილი ხეები რაღაც დაბნეულებს ჰგვანან. ზოგი ისე მოქანცულა, რომ ქროლვას მიწებებულს ორმოცდახუთგრადუსიანი კუთხით ზურგი უქცევია ზღვისთვის. ეს კუთხე ისე თვალსაჩინოდ აღნიშნავს ქარების მუდმივობას, როგორც სახელმძღვანელოებშია ხოლმე

სახელმძღვანელო დროულად ვახსენე, რადგან იმ „არაცოცხალი ბუნების“ დაწყებითი კურსის შესწავლის შემდეგ ცხოვრებაში არასდროს შევხვედრივარ იმგვარ იდეალურ ხეებს, ბორცვებსა და ველებს, როგორიც წიგნებში იყო აღბეჭდილი. სანაცვლოდ კი დამრჩა მტანჯველი განცდა იმისა, რომ თურმე ყველაფერი მთლად ისეთი არაა, როგორიც ბავშვობაში წარმომედგინა: არც ისე სუფთაა, არც ისე ნამდვილი, თვითონ სიტყვაც ისე ზუსტად არ გამოხატავს აღნიშნულს — ხევი კი არა, ხევის რაღაც სახეობა, ტყე კი არა, ტყის ერთგვარი სახე, არც სიტყვა „ხევი“, არც სიტყვა „კორომი“... აქ კოსაზე კი ყველაფერი სწორედ რომ იგივე მდგომარეობაში გხვდება: ზღვა, დიუნები, ღრუბლები, ბუნქნარი, ქვიშა, ქარი. ორი საოცრება ახასიათებს აქაურობას, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით...

დიუნებს კი ქარი ეხეთქებოდა, ახლა უკვე ყოველი მხრიდან უბერავდა, შედარებით დამყოლი ხეები აქეთ-იქით იზნიქებოდნენ და ამგვარ დაბნეულობაში ვეღარ არკვევდნენ, ტანი როგორ აეყარათ და საით გადახრილები გაზრდილიყვნენ, ამიტომაც მიმართულებადაკარგულები იდგნენ ჯიუტად და ამ დგომით უფრო ეწინააღმდეგებოდნენ, ვიდრე ემორჩილებოდნენ ამ გიჟურ ქროლვას, ამით საკუთარ მიზანსაც ღალატობდნენ. რაღაცნაირ ცოცხალ ქარქცეულს წარმოქმნიდნენ, უცნაური ბოძკინტებივით იდგნენ ერთმანეთში გადახლართულნი, და მთელ ამ არემარეზე იქსებად და იგრეკებად გაშლილნი ამოუხსნელ ტოლობას ჰკავდნენ.

ავტობუსი გაჩერდა და ჩამოვედი.

ჯერ დოქტორი დ. უნდა მომენახულებინა.

აუდიტორიაში კუთხეში დაჯდომის ნება დამრთეს.

ჩემ წინ ექვსი წყვილი სტუდენტი იჯდა, უჭკუო თავებით.

უკანხელებდაწყობილმა დოქტორმა დ.-მ დაფის წინ გაიარ-გამოიარა. ნაბიჯი მსუბუქი ჰქონდა, უფრო მაღალი და გამხდარი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. სიარულისას ფეხებს ზომავს მეტად მაღლა ხწევდა იატაკიდან, ნაბიჯის გადადგმისას თავს ოდნავ ძირს აქნევდა, იფიქრებდი, იკენკებაო. გამოხედვაც ისეთი ჰქონდა, თითქოს თვალი ჩიტვივით გვერდზე ჰქონოდა, ამიტომაც მის სახეში მთავარი პროფილი იყო. ისე სწრაფად ახერხებდა მობრუნებას, რომ ყოველთვის გვერდიდან ხედავდი. იფიქრებდი, გისოსების გასწვრივ დარბისო. ბოლოს, როგორც იქნა, ხირბილი შეწყვიტა და დაფასთან

შედეგა, სწორი ხაზი გაავლო, ისე სწრაფად, რომ ცარცის ხმა თითქოს ჩამორჩა ნახაზს.

— ავიღოთ... — თქვა მან. ცარცის შეყოვნებული „ჩხაკ-ჩხაკი“ მიუხედავად უსკოლოდ ჩავლილი ძრავალი წლისა, მთელი სხეულით შევიგრძენი, — ...ავიღოთ... ჩაკეტილი, — ჩხაკ, ჩხაკ, ჩხაკ — კვადრატის დახატა, — სივრცე.

და ისევ გვერდულად გადმოგვხედა, გამარჯვებული კაცის რეჟისორის აუდიტორიაში ნათელი გონების ნაპერწკალიც ვერ დაიჭირა. თვითონვე შეისრუტა საკუთარი აზრის სიცხოვლე.

— ესე იგი, — მშრალად განავრძო, — სივრცე ყოველმხრივ შეზღუდულია, დახშული, შეუღწეველი. მასში არაფერი არ არის. — კვადრატს მივაჩერდი და მართლაც ძალიან ცარიელი მეჩვენა, თითქოს მარტოობას ასხივებდა.

— შიგ მოვათავსოთ ჩიტა.

ისეთი მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, იფიქრებდით, სწორი ხაზის გავლების მეტი არაფერი შეუძლიათ, და უცებ საოცრად მსუბუქი მოძრაობით, ხელის ერთი მოსმით, მართკუთხედის ზედა მხარეს ჩიტი მიახატა, ბუნებრივია პროფილში. პირველ მერხზე მჯდარმა გოგონამ დაიფხუკუნა.

ეს იყო პირველი, რისი არსებობაც დოქტორმა დაუშვა, და აგრეთვე პირველი, რაც გამოეპარა — საიდან მოხვდა საცოდავი ჩიტი კვადრატში?

— უპირველეს ყოვლისა რა არის საჭირო არსებობისათვის? — აუდიტორიის გამოცოცხლების მიზნით პასუხი დააყოვნა, მაგრამ მერე თავადვე დასძინა: — ჰაერი.

და თითოთ წაშალა კვადრატის ზემოთა ხაზი, მაშასადამე პირობითი სარკმელი გაჭრა. ყველამ შვებით ამოისუნთქა — თითქოს დაგმანულ სივრცეში შხუილით შეიჭრა ჰაერის ნაკადი — ჩიტი გადარჩენილი იყო.

— კიდევ რა არის საჭირო?..

და წყლიანი ფინჯანი მიახატა.

ასე უზრუნველყოფდა იგი ჩიტის არსებობას ყველა აუცილებელი პირობით. შემამოფოთებლად იზრდებოდა და რთულდებოდა ამ აუცილებლობათა რიგი. დოქტორი გულმოდგინედ ჭვრეტდა და ითვალისწინებდა ჩიტის მოთხოვნებს, ბოლო არ უჩანდა ამ პროგრესიას. ყველაფერი O_2 და H_2O -თი დაიწყო და ახლა სულ უფრო და უფრო რთული ფორმულებით იფარებოდა სივრცე. ჩიტი საშინელ სივიწროვეს განიცდიდა. თანდათან იზრდებოდა საჭირო ნივთების რიცხვი, და მაინც ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ჯერ კიდევ შეეძლო ქანდარაზე შემოჯდომა; ლექტორის მიერ მისთვის განკუთვნილი ფართობი, თავიდან ასეთი სუფთა და ცარიელი, ახლა შეკუმშულ-შევიწროებული იყო მისივე საარსებო ფორმულებით. იქ კი, გარეთა სივრცეში, ცხოვრების სათანადო ცოდნის ნაკლებობა იყო... სადღაც შორს დარჩენილიყო მარტივი და მხიარული ბიბლიური საწყისი: ჰაერი, წყალი, პური. მეცნიერება ყოველთვის რთულიდან და ძნელად ჩასაწვდომიდან იწყებს — თავიდათავი რჩება იქ, სადღაც დაწყებითი სკოლის ფსკერზე მიღეჭილი აქსიომებისა და ლემების სახით, და იმით ამთავრებს, რისი შესწავლაც ნებისმიერ მეცნიერებათა დოქტორს ძალუძს. თუმცა უკვე რახანია თავიდან აღარავინ იწყებს. დიდ, ვიწრო სპეციალისტად გამოსვლა რომ მოასწრო, ამისათვის საჭიროა დაუფიქრებლად დაიწყო, რაც შეიძლება შორიდან. აზროვნების ამ ლექციურმა ცდამ ხასიათი გამიფუჭა — ლექტორს თითქოს თავადაც აოცებდა ასეთი შესაძლებლობა და რაღაცა ახლის აღმოჩენას ლაშობდა. სპეციალისტებს საერთოდ ჰგონიათ, რომ სხვებსაც აინტერესებთ მათი საგანი (ეს თემა კარგა ხანია დამუშავებულია რომანებში) — ეს კომპლექსის გულისამაჩუყე-

ბელი, შესაბრალოსი სიშიშველა. და ვიდრე სტუდენტი ვაჟები არ უსმენენ, გოგონები კი შექანიკურად იწერენ ლექციას, მე იმაზე ვფიქრობ, ჰგავს თუ არა ლექტორი თავის საგანს, იმ ბანალური გაგებით, როგორც მაგალითად, პატრონები ჰგვანან თავიანთ ძაღლებს. ყურადღება სხვა რამეზე გადავიტანეთ, სმენა მოვადუნეთ, ამასობაში ის შეუმჩნევლად სცილდება სინამდვილის, საყოველთაოდ ცნობილის, საერთომისაწვდომობის საზღვრებს, რომლის ფარდის გადაჭრის დაპირა, და სპეციალური ცოდნის სფეროსკენ მიიკვლევს გზას, სასულიეროსტის კერძო ნიჟარაში, თვით ეკოლოგიის ეკოლოგიურ ნიშში შედის — და ჩვენ აღარ ვვსმენთ, არა იმიტომ, რომ ყურადღება გაგვეფანტა, არამედ იმიტომ, რომ აღარ გვესმის. ისევ გამოგვეპარა თვალნათლივიდან გონებადისაწვდომზე გადასვლის სანუკვარი თავბრუსხვევა — თხრობის ახალ ძაფზე მარჯვე ხერხით გადასასვლელი.

ყველაფერი ეს შეშქმლო ჯერ კიდევ დაწყებით სკოლაში გამეგო და შემესწავლა. რა უცნაურია, კაცობრიობას ჩემსავით, იმ პატარა მოწაფესავით, არ ესმოდა მაშინ რაღაც-რაღაცები. მერე მე სკოლაც დავამთავრე, უმაღლესი სასწავლებელიც, ოცდაათი წლის ასაკს მივალწიე, და მხოლოდ შემდეგ აღაპარაკდნენ იმაზე, თუ რა გარემოცვაში ვართ და ვიყავით — დაინტერესდნენ ბუნებით, რის გარეშეც არსებობა შეუძლებელია — ჰაერი, წყალი, პური. აი, არნახული ამბავი! თურმე რა დიდი ამბავია! მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თვით ეს საუბარიც. ეს მოდური თემა გაუხეშებულიც კი გაჩვენება უკვე, რადგან რითიც სუნთქავ, უმისოდ დარჩენის შიში გზაფრავს. დაგვაშინეს, მაგრამ ვსუნთქავთ, ხვალ და ზეგაც ვისუნთქებთ — ტრაგედია ახლა უბედობაში გადაიზარდა, წესად იქცა. ყველაფერი კი თავის ადგილზე რჩება. გამოდის, თემის აკრძალვა უფრო პერსპექტიულია, ვიდრე მისი გაცვეთა. ჯერ შიმშილობის ხანა იყო — ამისთვის არავის ეცალა, მერე დაპურდნენ, ცოცხლები გადარჩნენ და ახლა გაირკვა, თურმე საკვები — საარსებო წყარო აღარ დაგვრჩენია.

დრო გადის, სხვადასხვა ცნებები ერთ რიგში ლაგდება... ომის მერე ტბებსა და მდინარეებში თევზმა იმრავლა. სოკოებით, კენკროვანი ნაყოფით სავსე ტყეები ხელუხლებელი იყო — მამასთან ერთად ველოსიპედით დავდიოდი და გზად ვერავის ვხვდებოდი, უკაცური ქვიშნარი და მხოლოდ ჩიტების ფლურტული იყო. როდიდან დაიწყეს ადამიანებმა აგარაკებზე გასვლა, სოკოების და კენკროვანი ხილის მოგროვება, თევზაობა? რა თქმა უნდა, თანდათან, მაგრამ ალბათ, ერთბაშადაც... ელექტრომატარებლები მაგონდება, როგორ სწრაფად გაივსო ხალხით ვაკონები. გადაიჭედა — უცებ, რომელიღაც წელს; ომის შემდეგ მხოლოდ ათი წელი გავიდა და მივხვდით, რომ მეორე თეფში წვნიანის შეჭმა აუცილებელი არ იყო, და ტაქსით სიარული სულაც არ ნიშნავდა ზნეობრივ დაცემას. ეს უცებ მოხდა, რომელიღაც წელს, ქალაქგარეთ გავიდა ყველა — 55-ში თუ 56-ში? სხვა დროსაც ხომ შეიძლებოდა — არასდროს არ იყო აკრძალული — მაგრამ უცებ რატომღაც შესაძლებელი გახდა თევზსაჭერი პატარა ყუთის მხარზე გაღება და ქალაქიდან გასვლა.

ეს ჩვენთან იყო ასე, რასაც ვაკვირდებოდი, იქ კი, დასავლეთში, რომლის შესახებაც ვკითხულობთ — სულ რაღაცნაირი აჩირებულობა და უცნაურობანი სჭირთ, კარგი ცხოვრება ავიწყებთ: ვიღაცამ ნახევარი წელი იშიმშილა, მეორემ მთელი ავტომობილი შეჭამა, მესამემ გასაბერი ნავით წყლისა და საკვების გარეშე ოკეანე გადაცურა, ვიღაც გამოქვაბულში თუ კრატერში შეძვრა, ერთმა კაცმა მთელი გერმანია ხელებზე მდგარმა შემოიარა, ვიღაც ბოლოს და ბოლოს ეპერესტზე ავიდა, მავანმა კიდევ იალქნიანი ნავით საჭისა და საქარულების გა-

რემე იცურა. მაგრამ ეს ხომ ადრეც იყო. პო, ცოტა ადრეც, ომი რომ არა... პო-
 ლუსები, აეროსტატები, დირიჟაბლები, სულ მაღლა და მაღლა... ადრეც არსე-
 ბობდა ავანტიურის, სპორტისა და მეცნიერებისაგან შეხვეებული ეს არაჩვეუ-
 ლებრივი კოქტეილი, მაგრამ რატომღაც განსაკუთრებით ამის შემდეგ გახშირ-
 და, როცა რაღაც გაირკვა, როცა ადამიანი რაღაცას მიხვდა, მაგრამ ვერ მიხ-
 ვდა, რა იყო ეს „რაღაც“, რომელმაც მაშინვე ხელიდან გასხლტნისმსაძყო. ხან-
 დახან დგება ისეთი დრო, როცა მოელი კაცობრიობა ერთი ადამიანის ცხოვ-
 რობს. გარკვეული აზრით, სწორედ რომ ეს არის დრო. მაშინ კაცთა მოდგმა
 ერთად ბერდება, ერთად ხარობს, ერთნაირად ესმის. მერე ეს დრო ჩაივლის და
 ვეღარ იხსენებ, ხად დაიკარგა ეს ყველაფერი, საით წავიდა. ვიღაცას უსათუოდ
 ესმის, რომ საყოველთაო ერთობა დამთავრებულა, სადღაც მოუსავლეთში ჩაკარ-
 გულა, მავანი სხვებზე ადრე შეიგრძნობს ამ ცვლილებას — იაპონიაში თვით-
 მკვლელობის ტალღა აგორდება, ვიღაც რომანტიკულად შეფერილ იდეალებს
 გამოედევნება და ცარიელი ნავით მარტოსული ნაპირს სცილდება. მაგრამ ამ სა-
 ოცარი ქმედობიდანაც საზოგადო ხმარებაში რჩება ბევრი უცნაური რამ: ლას-
 ტები, ნიღბები, მსხვილი მძივები, მოღა ჯინსებსა და სვიტრებზე, სპორტის ახა-
 ლი სახეობანი, მშვიდდოსნობისა თუ წყლის თხილამურების მსგავსი. ერთმა
 კაცმა ლომები მიიჩვია, მეორემ მგლებისა თუ მაიმუნების ხროვაში დაიწყო
 ცხოვრება. ზოგიერთებმა ქვის ხანის სამუშაო პროცესების ქრონომეტრირება და-
 იწყეს, მათი ნიმუშების მიხედვით იარაღი დაამზადეს და ცივილიზაცია მიატო-
 ვეს (მთელ ამ მოწადინებას ცოტა უხერხულ იერს აძლევს პოლიეთილენის ტო-
 მარაში ჩადებული პატარა რაცია და ციდან ვერტმფრენით დახმარების შესაძ-
 ლებლობა — ცივილიზაციასთან ეს კავშირი შეურაცხყოფს ნებისმიერ გაქცევას
 ცხოვრებისგან). საინტერესო ხალხია. მათი საქციელი შეცბუნებას იწვევდა. შე-
 იძლება ეჭვის თვალითაც შეგებება, საკუთარი თავის რეკლამას ხომ არ ეწევიან-
 ნო. მაგრამ ამაში ცოტა შურიც ერია — იმან თავი დააღწია!.. ჩვენ აქ, მძიმე
 უღელქვეშ ქანცი გაგვიწყდა, ის კი დედამიწის გარშემო ფეხით მიდის სამოვ-
 ზაუროდ — ყველა სიამოვნებით გააკეთებდა ამას. მაგრამ გასაკვირი სწორედ
 ისაა, რომ ამგვარი შერეკილები ერთეულები არიან. ასეთი ქცევის უფლება რომ
 მოიპოვო, მსოფლიო უნდა განაცვიფრო. ხოლო ამ გარანდულ-გაშანდაკებული
 და სმენადახშული სამყაროს გაოცება ძალზე რთულია. ყველა ყბადალებულ ავა-
 ნტიურაში მუდამ ერთი რამ გაკვირვებს — უბრალოება, ასეთი რამ აქამდე რო-
 გორ ვერავინ მოიფიქრა, შური გდრღნის, შენც ხომ შეგეძლო ამის გაკეთება.
 ცხადია, მას ვეღარ მიჰბაძაუ, ეს გასავლელი უკვე სამუდამოდ და საგულდაგუ-
 ლოდ დაგმანულ-დაცულია, ძალიან ძნელია სამყაროს გაოცება. სამაგიეროდ თა-
 ვად შეიძლება გაოცდე, როგორი უბრალო, დღესავით ნათელი და ყველასათვის
 მისაწვდომი ქცევით შეიძლება განაცვიფრო იგი. და ახლა სწორედ იმ მსოფლი-
 ოში ვცხოვრობთ, რომელსაც ბუნებრიობა უფრო აკვირვებს, ვიდრე ფორმულა
 MC^2 . ვადიარებ, რომ სწორედ ეს წინსვლაა ეკოლოგიური მეცნიერების ისტო-
 რი და არა ნატურალისტთა ის გრძელი სია, საუკუნეებს რომ ითვლის.

ავიღოთ ჩიტი, დავამწყვდიოთ და ყუთი დავრჩილოთ, რათა დავრწმუნდეთ,
 რომ ცოცხალი არსება უპაეროდ ვერ ძლებს... ეს ხომ სასაცილოა? ეკოლოგიაში
 თითქმის ყველაფერი ცხადია, იგი ახალს არაფერს გვეუბნება — უბრალოდ ლიბრ-
 გადაკრულ თვალებს უხელს ცივილიზებულ ადამიანს. ეკოლოგიის ყოველი
 მცდელობა გაცვეთილ კაბას ჰგავს, თანამედროვე მეცნიერებად თავის მოჩვენებაა
 ეს. მისი სამეცნიერო აპარატი გულუბრევილო და მწირია, რომელიც ჩემის აზ-
 რით, მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ გადიდგულებულმა ფიზიკოსებმა მაინც-

დამინც არ დასცინონ ეკოლოგიას და ხალხის თვალშიც ღირსეულად წარმოჩინდეს იგი: მაშასადამე, ქურუმთა ღვთისმსახურებასავით იღუმალი რომ იყოს ობიექტელისათვის, რათა დააფასონ. დღევანდელი გაგებით მას შეიძლება არც ეწოდოს მეცნიერება, მაგრამ პირადად მე, მაინც ყველაზე წინ დავეყენებდი. ეკოლოგია თავისი პირველი ნაბიჯების ნამუსიანობითა და სიცინცხალით/სწორედ იმას აკეთებს, რაც საკუთარი თავით გატაცებულმა სხვა მეტრიკებში უკვე დაივიწყეს — მას ახალი აზროვნებისაკენ მივყავართ, სამყაროსადმი სხალ და მოკიდებულებასა და მისი აღწერის ახალ საშუალებებს ვეთავაზობს. ეს ყველაფერი საოცრად პირველქმნილი და ბუნებრივია ადამიანისათვის. უფრო მეტიც, იგი ადამიანის აზროვნებას გარდაქმნის. განსაკვიფრებლად მოკლე დროში მან უდიდეს მწვერვალებს მიაღწია კაცობრიობის ისტორიაში. იტყვიო, მოდააო. მაგრამ ამეებზე როდის ულაპარაკიათ ასე ხმამაღლა. ეკოლოგია ცნობიერებაში აღადგენს ადამიანის ადგილს დედამიწაზე, იმ ადგილს, რომელიც კაცობრიობამ კარგახანია დაივიწყა. იგი ასაზრდოებს ამ ცნობიერებას, უფრო მეტიც, თავად არის ახალი ცნობიერება. ღმერთმა ქნას, მოვესწროთ ახალი მოსავლის მოწვევას.

ცნობილია, ადამიანს ორმაგი ბუნება აქვს: სოციალური და ბიოლოგიური. ორმაგი თუ ორგვარი? წინსვლისა და პროგრესის უღარუნში მან თავისი სოციალური ბუნება უფრო ირწმუნა, ვიდრე ბიოლოგიური. თითქოს სულაც არ გვაწუხებდეს სიცივე, ავადმყოფობა... ეკონომიკური კანონები უფრო აქტიურად გვმართავს, ვიდრე ეკოლოგიური. ტრაგიკულია ადამიანის ამგვარი დაბნეულობა, რადგან ეკოლოგიური კანონები არასდროს არ წყვეტენ მოქმედებას, მაშინაც კი ვანაგრძობენ არსებობას, როცა არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ მას.

ჩვენ იმ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ადამიანი ერთხელ იბადება. არც წარსულს შევსწრებივართ და არც მომავლის მონაწილენი ვიქნებით. ინსტინქტი, მეხსიერება და მომავლის პროგრამა ზუსტად ისეა მისუსტებული ჩვენში, როგორც დროთა შორის კავშირი. ჰოდა, ამ სისუსტეზე (უკიდურეს სისუსტეზე, ღამის ბუნებასთან კავშირის გაწყვეტამდე რომ არის მისული) აღმოცენდება ადამის მოღვმის თესლი, სწორედ იქ იქმნება ადამიანი, სადაც ყველა სხვა სახეობა იღუპება. არავითარი თბილი ბეწვი, ბასრი კბილი და მკლის მორალი — შარვალი, ტყვია, რელიგია...

განა ახალი ამბავია, რომ ადამიანი ბიოლოგიური არსებაა? რომ ადამიანი დედამიწაზე ცხოვრობს? ეს ყოველთვის ასე იყო, მაგრამ არასდროს არ იცოდნენ. ეს ახალი ამბავი კი არა, ცნობიერების გადატრიალებაა, რასაც ვერ ჩაახშობს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია.

რა უცნაურია! ვფიქრობდი მე და მიჭირდა გამოცდილებაში ჩაწვდომა, სამავიეროდ იოლად ვითვისებდი დასკვნას. მეცნიერული აზრის ტრაექტორია ჩრჩილის ქაოტურ ფრენას მაგონებდა, რომლის ბოლოშიც უხერხულად შელოდა უკვე თავიდანვე ცნობილი დასკვნა. რა სასაცილოა! თითქოს ადამიანი გაოცებული დასჩერებია საკუთარ ხელისგულებს, და ახლადა ხვდება, რომ ჩიტს ფრთები აქვს, და ამ საზრიანობით გახარებული და პირდაღებული ჩიტის ნისკარტსაც შენიშნავს. საკითხავია, ჩიტს „აღმოუჩინა“ ფრთები და ნისკარტი, თუ საკუთარი ხელები და პირი აღმოაჩინა?

ადამიანო! ვფიქრობდი მე, ძალა არ შეგწევს შენ სხვა ბიოლოგიურ სიცოცხლეს ჩასწვდე — ყოველთვის, როცა ამას ცდილობ, დიდი ძალისხმევის ფასად მხოლოდ საკუთარ არსებობას შეიცნობ... მაგრამ შეიცნობდი კი საკუთარსაც, სხვის შეცნობას რომ არ ცდილობდე? კატასტროფულად მცირე მეჩვენება ადამიანის ჩიჭი ამ სფეროში, მაგრამ ამავე დროს არ არსებობს ადამიანის ცნობიე-

რებისათვის რაიმე უფრო ამაღლებული და აუცილებელი, ვიდრე ახლის გაგების მუდმივი მცდელობა.

რა თქმა უნდა, ყველაფერი მთლად ასე მარტივადაც არ არის. ეკოლოგიას ბევრი საერთოც გააჩნია სერიოზულ მეცნიერებასთან. ლაბორატორიები, კოლები, სინჯარები, საქალაქდევნი, მაცივრები — ეს ანტურაჟია, რის ფონზეც თეთრხალათიანი მეცნიერი პოზირებს, საკულტო ნივთებით დასაწყობებულს. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რას რაში ასხამს. როცა ფოტოზე გამოსახულ მეცნიერს შესცქერი, ისეთი აზრიც კი გებადება, ხომ არ დამცინისო. ლუმიწისცენციაურად განათებული მეცნიერების ქურუმი, ბრძნული სახით მისჩერებია იმას, რაც თითქოს მან იცის, ჩვენ — არა. იმიტომაც გვეწოდება განათლებული საზოგადოება, რომ პატივისცემით ვეკიდებით იმას, რაც ჩვენთვის გაუგებარია. არა, დაცინვა ფიქრადაც არა მაქვს — ეს მართლაც განათლებულობის ნიშანია. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, ამ საქციელით ჯეროვან პატივს მივაგებთ მეცნიერებს და არა ბუნებას.

დაბოლოს ამის შედეგად ყალიბდება ანტიმეცნიერება, რომელიც პატივს სცემს ბუნებას.

მართლაცდა, რატომ მიუღია მეცნიერს ასეთი ყოვლისმცოდნე სახე ჟურნალის გარეკანზე? ნამდვილი მეცნიერი (ჩემი გულუბრყვილო წარმოდგენით) შეშინებულ-შეძრწუნებული და ცოტა დაბნეულიც კი უნდა იყოს, რადგან მან თავის სფეროში ყველაფერი ამოწურა, რაც დღემდე, ამ წუთამდე იყო ცნობილი — ამის შემდეგ კი ყველაფერი სიბნელითაა მოცული, აღარაფერი იცის, და არც არავინ იცის, იმიტომ, რომ იგი ზედ მეცნიერების წინა ხაზზე დგას, სადაც წყდება ცოდნა. ის უეჭველად ეძებს რაღაც ახალს, მაგრამ ჯერ არაფერი იცის. სხვებმა ბევრი უნდა ისწავლონ, რომ მის ცოდნამდე მივიდნენ, სხვებმა რაღაც იციან, მან კი — ყველაფერი. მხოლოდ მას აქვს სრული წარმოდგენა იმაზე, თუ რაოდენ არაფერი ვიცით ჩვენ. ჰოდა, რატომღა უნდა ჰქონდეს მეცნიერს ისეთი სახე, თითქოს იცოდეს, რა არის იქ, მომდევნო მომენტში? დგას თვითკმაყოფილი კამკაშა სინათლეში, პრიალა და ლაპლაპა ჭურჭელსა და მოციაგე ათინათებს შორის — თუმცა კი ბნელშია და ბრძის შთაგონებული სახე უნდა ჰქონდეს, ორმოში ჩავარდნილ ბრეიგელის უსინათლოს უნდა ჰგავდეს... იგი ხომ ყოველ წუთს შავ ყუთში ჰყოფს ხელს — აბსოლუტურ ხავერდოვან სიშავეში. ისიც კი საკითხავია, ხელი თუ ამოჰყვება იქიდან, მაგრამ მაინც თავისას ცდილობს. სამართებელზე უფრო ბასრია ძვიდღე მის ტვინსა და ხელის მოქმედებას შორის, რომელიც ასე თამამად დაფათურობს ლუციფერული შუქის ლუსკუმეთში.

მაგრამ, განა რა რწმენითაა ასე შთაგონებული?

დიდი განსხვავებაა ცოდნასა და განათლებას, ნიჭსა და მოწოდებას შორის, რა თქმა უნდა, განათლებისა და მოწოდების სასარგებლოდ. ამ ორ თვისებას მეტი კეთილშობილება ახასიათებს. ამის გარეშე ბუნებით დაჯილდოებული ეგრეთ წოდებული „ნიჭიერი“ კაცი, უპირველეს ყოვლისა, ეპოქის მიერ წინა პლანზე წამოწეულ სფეროში იფეთქებს, შესაშურ ფხიანობას გამოავლენს და თავიდანვე სოციალურ აღდასრულებულ ნავარჯიშევი და ზნედაცემული მალევე მწვერვალზე აღმოჩნდება. ეს ქმნის გარკვეულ დისპროპორციას, სოციალურ უბედურებას, რაც განათლებულ, მოწოდების მქონე ადამიანთა უკმარობაში ვლინდება და ძალზე მძაფრად შეიგრძნობა მასწავლებლებსა და ექიმებში. ეს გაჭირვებისაგან კი არა, სიჭარბისგან მოგვდის: იქ, სადაც „ნიჭიერ“ ადამიანთა დიდი ნაკადი მიაწვდა,

უანგარო და მოწოდებული ხალხის სიმცირე შეინიშნება — ეს ხელოვნების, მოწინავე მეცნიერებებისა და მრავალი სხვა დარგის უბედურებაა.

აქ, კოსაზე, ცხოვრობდნენ ადამიანები, მეტნაკლებად ნიჭიერი, ენოვაციური თუ ხარმაცნი, მაგრამ ყველანი განათლებულნი და მოწოდებულნი, ემსახურათ თავიანთი საქმისათვის.

ეროვნული
ბიზლიმთუკა

ამ მოთხრობას გმირიც ჰყავს და თავისი სამიჯნურო ხაზიც გააჩნია — კლარა. არა, ეს სულაც არ არის მორიგი სამიჯნებო ინტრიგა — ამას სინაზე და ნეტარება ერქვა, წმინდა გრძნობის უცნაური გამჟღავნება — მისი მშვიდი შუქი აღამაზებდა ჩემს კორესპონდენტულ მარტობას. ახალგაზრდა, ჭკვიანი და მშვენიერი კლარა, ბრჭყვიალა ნივთები და თუთუნის ხიბლავდა. ხუთამდე დათვლაც იცოდა. სხვაზე იყო შეყვარებული, ახალგაზრდა მოხდენილ კაცს, ვალერიან ინოკენტიევიჩს ეკუთვნოდა მისი გული. კატასავით ელაქუცებოდა სატროფოს (თუმცა შედარება ძალზე უადვილოა: კატებს ახლოს არ აკარებდნენ ბიოსადგურს — ორნითოლოგიური სპეციფიკაა...). ვფიქრობ, ჯერ გაურყენელი მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ კლარა... (ოჰ, კლარა! პროზაში ფრჩხილები წერილობით ჩურჩულს ნიშნავს).

ერთხელ, მეექვსე კლასში, რუსული ენის გაკვეთილზე აკადემიკოს შჩერბას გრამატიკიდან სავარჯიშო მოგვცეს გასაკეთებლად. ტექსტი გოგონასა და მის საყვარელ თუთიყუშზე იყო, დილით ადრე იღვიძებს გოგონა და როგორ ესაღმება მას თუთიყუში. სავარჯიშოს მიზანი იყო ნაცვალსახელის სქესის სწორად განსაზღვრა, მაგრამ, მოგეხსენებათ, იმ ასაკში თავში მხოლოდ ერთი აზრი გვიტრიალებდა — ყველა წინადადებაში თუთიყუშის მაგივრად ნაცვალსახელს რომ ვსვამდით, ტექსტი სულ სხვაგვარად იკითხებოდა, და ჩვენც უსაზღვროდ ბედნიერები ვიყავით ამგვარი მიგნებით.

ხანი გამოხდა მას შემდეგ და ამ თემაზე თხზულების დაწერის შესაძლებლობა ახლავდა მომეცა. რაღა თქმა უნდა, ვეჭვიანობდი, მე ხელის შეხებასაც ვერ ვუბედავდი კლარას, ის კი ვალერიან ინოკენტიევიჩს სულ სახელოზე ექაჩებოდა და დაუსრულებლად ითხოვდა მისგან ალერსს. ძნელია ქალის სულიერ სამყაროში შეღწევა, მისი კეთილგანწყობა ნამდვილად იდუმალებითაა მოცული, ხოლო ჩვენი ზრახვების სერიოზულობა ძალზე სუსტი კოზირია. ვალერიან ინოკენტიევიჩი მეტისმეტად შემწყნარებელი იყო. ასაკით ბევრად უმცროსი იყო ჩვენზე, მთელ თაობას ჩაეველო ჩვენს შორის, უმცროსი იყო, მაგრამ მუდამ მახვილი და ჭკვიანი მზერით გვაკვირდებოდა, ისე სარგებლობდა იმ უპირატესობით, რაც ჩვენ შემდგომ დაბადებას მიენიჭებინა მისთვის, თითქოს ჩვენ დავბადებულიყავით მის შემდეგ.

მაგრამ მეტოქეზე ლაპარაკი, მგონი, უხერხულია. ძალიან ვცდილობდი, სულ ვემრიელი ნატრები მიმქონდა კლარასთვის, სივარეტსაც ვაძლეუდი — ერთი სიტყვით, ყველაფერს ვაკეთებდი მისი გულის მოსანადირებლად, ყოველდღე თითო ნაბიჯით ვუახლოვდებოდი, კუჭკუჭიც ვისწავლე მის საამებლად. «კატასაც უყვარს ალერსიანი სიტყვა...» (ისევ კატა... როგორ ჯიუტად ეპარება ეს სიტყვა ჩემს კლარას!) ერთგულება დამიფასდა — ახლა მისვლისას მზერას შემომავებებდა ხოლმე, მაგრამ კვლავინდებურად სხვას ეკუთვნოდა მისი გული, თუმცა როგორც ქალს, ჩემი ყურადღება მაინც სიამოვნებდა და საპასუხო მოწყალებითაც მაჯილდოვებდა, ვინ იცის, იქნებ კიდევ გაჯავრებულიყო, ერთხელაც სადილობისას რომ დამეგვიანა ან საერთოდ არ მივსულიყავი, მაგრამ მიჯნურობის ეს ვერაგული ხერხი სათადარიგოდ მქონდა შემონახული.

მგონი, საკუთარ თავზეც გამიგრძელდა საუბარი. სიყვარული — შეცნობაა. კლარას წყალობით სამი რამ შევიცანი. ეს რომ არა, არც კი ღირდა ჩვენს სიყვარულზე ლაპარაკი.

კლარა მოთვინიერებული იყო, მაშასადამე ჩვენი არ ეშინოდა, გაწვდილი ხელის მანძილზე იკარებდა ადამიანს. მოშინაურებული კი არ იყო, მაგრამ მაინც ყვაფი იყო, ველური და ფრთხილი არსება, ერთობ განსხვავებული ადამიანისაგან. ამიტომაც ჩვენთან ურთიერთობაში წინდახედულად იქცეოდა. გაწვდილი ხელის მანძილზე გადიოდა თვისობრივი საზღვარი (საჭიროების შემთხვევაში უკან გადახტომა და აფრენა რომ მოესწრო...), რომლის დარღვევის უფლება მხოლოდ განდობილ პირს ჰქონდა. ერთხელ...

... კლარა ჩვენი სამზარეულოს კედელზე მიდგმულ პწკალაზე იჯდა, ადამიანის თავის სიმაღლეზე შესკუპებულიყო. ჩემი მიწოდებული სიგარეტი გამოშიგნა, ხელი გავიწვდინე მისკენ... აღმაცერად გამომხედა, შეკრთა, ვითარება აწონ-დაწონა და გადაწყვიტა არ აფრენილიყო, — მხოლოდ ოდნავ გადაადგილდა კედონზე... ჩემი ხელი მის გვერდით დაეშვა.

გასაოცრად ბავშვური ნდობა დამეუფლა — სურვილი მკლავდა ხელით შევხებოდი. და უცებ მიეხვდი, ცხოვრებაში არასდროს მივეკარებივარ ჩიტს. წამში უაპრავმა ფიქრმა გამიელვა: რომ ადამიანს ძალიან სჭირდება ცხოველი, რომ მე ბავშვობაში არ მყოლია ჩემი საკუთარი ცხოველი (თვალწინ დამიდგა წარსული, უფრო გასაცოდაკებული და ღარიბი, ვიდრე სინამდვილეში იყო); პატარა წრუწუნა გამახსენდა, მთელი კვირა რომ ცხოვრობდა ჩემთან, და თითქმის შევასწავლე წკირზე სიარული (ჰოდა, მერე სწორედ ამ წკირზე გაწკაპუნდა და სამუდამოდ მიატოვა შუშის პაწია საპატიმრო), დამტვერილი მუხლისთავებიც გამახსენდა, კარადის ქვემოდან რომ გამოვძვერი გულგატეხილი, რადგან მიეხვდი, რომ სამუდამოდ დაკვარვე თაგუნა... გადავწყვიტე, აუცილებლად მეყიდა ჩემი გოგონასათვის ლეკვი. ამგვარი აზრები მიტრიალებდა თავში და დათაფლული ხმით ვიმეორებდი: „კლარა ლამაზი გოგოა, კლარა ჭკვიანი გოგოა...“ — ბრჭყალებზე შევეხე, არ განძრეულა.

— კლარა ჭკვიანი გოგოა, კლარა ლამაზი გოგოა... — ეღუღუნებდი წყნარად და უფრო თამამად ვეფერებოდი კლანჭებზე, ის კი თითქმის არც მაქცევდა ყურადღებას, თუმცა ალერსის ნებას მრთავდა. ფრთხილად ავაცალე ხელი, რომ უფრო კარგად მიეფერებოდი, მაგრამ განზე გახტა, ნაბიჯი მოინაცვლა — ახლა მხოლოდ თავზე ხელის გადასმა შემეძლო.

— თავზე კი არა, ნისკარტზე მოეფერეთ... — დოქტორი დ. მეღვა უკან, ნეტავ რამდენი ხანი მითვალთვალეხ?

— თქვენ ამბობთ, ნისკარტზე? — დოქტორი თავზე წამომდგომოდა, დავიმორცხვე. — ხომ ჩამინისკარტეხს!

— სწორედ რომ, არა. ნისკარტზე თუ მოეფერები — აღარ შემოვიტევს. ის ხომ მტაცებელია. მტაცებლის იარაღს უნდა მიუაღერსო — აღარ შეეშინდება. თავიდან სწორად დაიწყეთ, ბრჭყალებიც ხომ იარაღია.

აზრი, თუ ის ჭეშმარიტია, ელვისუსწრაფესად აღწევს მიზანს, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს სულ თან გდეუდა, თითქოს მუდამ გქონდა მისთვის განკუთვნილი ადგილი. მის გასაგებად გონების დაძაბვა არაა საჭირო. არც ეჭვებს აღძრავს იგი.

— კლარა კარგია, კლარა მშვენიერია... — ვეფერებოდი ნისკარტზე. ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ბრჭყალებზე ალერსი — ძალიან მოსწონდა, თვალეხს ნაბავდა. ყვაფი საერთოდ სიმპათიური ფრინველი არაა. გა-

ჩენის დღიდან გაგულისებული იყურება. ბუნებას არ დაუჯილდოებია სიხარულის, სიხაზის, სიყვარულის გამოხატვის უნარით. არც გაღიძვება შეუძლია, არც ღრენა, არც კუდის ქიციანი. მით უფრო გულის ამაჩუყებელი იყო მკაცრი ქალწულებრივი სიტბოს გამჟღავნების ეს უსასოო ცდა... პირიდან ყველი კინალამ გაუვარდა... უცებ კრილოვი გამახსენდა და ვიგრძენი, რომ ეგა ისევე ზუსტია, როგორც ლორენცი; კლარას ფრთის მოქნივამ მაფიქრებინა მსხვილი კრილოვი — ფრთოსანთა გვარია... — კლარა გაფრინდა. მართლაც, ძალზე ნასიამოვნები იყო ჩემი კურკურით — „კლარა ღამაში გოგოა“. თუმცა უკვე აღარ მესმოდა, ვითომ რატომ არ უნდა ყოფილიყო იგი ღამაში, აღარც შეცინებოდა, სავსებით გულწრფელი ვიყავი. ყოველდ წარმოუდგენელია, პირფერობა თვითონ შემქმნესაც არ აამბდეს, მაშინ ხომ არავითარი ხიბლი აღარ ექნებოდა ნათქვამს... სწორედ ამ დროს დოქტორმა მითხრა:

— თუ გახსოვთ, ამას წინათ ცხოველების მორალზე გიყვებოდით... მინდა იცოდეთ, ადამიანის პირველადი, ცხოველური მორალი გვამცნობს, რომ არავითარ შემთხვევაში ზიანი არ უნდა მივაყენოთ ჩვენზე მონდობილ არსებას... ავიღოთ ძაღლი... შემდეგ კატები, მტრედები, წეროები, მერცხლები... ადამიანს თვითონ დაუახლოუნენ წინასწარი მოთვინიერების გარეშე, ამ მორალის თავისებურებიდან გამომდინარე. აბა, დაუკვირდით, ქათმების, ღორების, თხების მიმართ, თავად რომ მოიშინაურა, ადამიანს სრულებითაც არ გააჩნია მსგავსი სიყვარულის ინსტინქტი.

— მაშასადამე, მხოლოდ ნდობა იწვევს სიყვარულს? — გამეხარდა.

— ვითომ ასე ვთქვი? — შეეჭვდა დოქტორი.

კლარა, რა თქმა უნდა, ჭკუის კოლოფია, მაგრამ არც დოქტორია უჭკუო. ისეთი რამ მითხრა, იგივეა ნისკარტზე მომეფეროს. თუმცა, თავად განსაჯეთ, რა სასიამოვნოა, როცა უბრალო ადამიანური მრწამსი მეცნიერული კანონის სახით დაგიბრუნდება! ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავის არ გვჯერა. მეცნიერება გვჭირდება, რომ ჩვენივე ბუნებაში დაგვარწმუნოს. სხვა რომ არა იყოს რა, უცნაურია ადამიანურისა და საყოველთაო-კანონზომიერის ერთმანეთთან ასე დაშორება. სწორედ ამ ნაპრაღში აღმოცენდება ეკოლოგია და ავსებს მას.

— კარგი, — ვამბობ მე, — ისინი გეყვარს, ვინც გვენდობიან. მაგრამ ამაში ყველაზე გასაკვირველი ის არის, რომ ნდობას გვიცხადებენ სულ სხვა ბუნების არსებები. — გულისამაჩუყებელია ეს ამბავი. ჩვენ წამითაც არ ვივიწყებთ, რომ ადამიანები ვართ, ისინი კი ცხოველები. ისინი რაღას ფიქრობენ, ვინ ვკონივართ, როცა გვენდობიან?

— ეს ძალზე რთული საკითხია, მე მაგალითად, კეთანხმები იმ აზრს, რომ ისინი ჩვენს სიახლოვეს ცხოვრობენ, მაგრამ სულ სხვა არსებებად გვთვლიან, მხოლოდ საკუთარ პატრონს გამორიცხავენ ჩვენგან.

— როგორ ფიქრობთ, პატრონი ვინ ჰკონიათ?

— ალბათ, მათივე ჯილაგისა, ოღონდ წინამძღოლი.


— ესე იგი, თქვენი ნათქვამიდან რა გამოდის? — აღვშფოთდი მე, — ისინი ცუდად ხედავენ? როგორ, კლარას მე ყვავი ვკონივარ?.. — ხელები ფრთებივით ავიქნიე, გულმოსული კლარა განზე გახტა. მაშინვე შევეცადე ნისკარტზე მივფერებოდი — ზურგი შემაქცია, გაბრაზებულს ჰგავდა.

— თქვენ, ალბათ, არა. მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ვალერიან ინოკენტიევიჩს ყვავად თვლიდეს.

— მაშაკაც-ყვავად?

— ნამდვილად, — თქვა დოქტორმა, — სწორედ რომ მაშლად.

— მაპატიეთ, მაგრამ... — გამეცინა მე. — მთლად ასე ბრმა არ უნდა იყოს ბუნება! სადაური მამა... ე. ი. მაპატიეთ, ყვაკია იგი?

— წარმოიდგინეთ, რომ ასეა... — ამბობდა დოქტორი. 
 ესაუბრობდით და თანდათან შორს მივდიოდით დიუნებში.
 (კლარა დაიღუპა, მაგრამ კატას არ მიუძღვის ბრალი მის დაღუპვაში. ყორნებმა დაკორტნეს. ყორნებმა და არა ყვაკებმა, სულ მცირე განსხვავების გამო).

აზრი, თუ ის ჭეშმარიტია, ელვისუსწრაფესად აღწევს მიზანს, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს სულ თან გღვედა... ესეც აზრია.
 «Все мысль да мысль! Художник бедный слова...».

ეკოლოგიაში აზრები, უპირველეს ყოვლისა, ამ ნიშნით გვეკლინებიან — თვალნათლივი არიან. სამწუხაროდ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი თქვენ მოგივიდათ თავში, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, ასეც მოგეჩვენოთ. არ ვიცო რატომ, მაგრამ ამგვარი აზრი მე უფრო მიმზიდველი მგონია. აზროვნება არ ნიშნავს იმას, რომ წარამარა ყვიროდე „ევრიკა“-ს. წინამძღვარა აზრის პათოსი და ბრწყინვალეობა, რეალობაზე ამაღლებას რომ ლამობს, უპირველესად იმას მოწმობს, თუ რა იშვიათად ეწვევა ხოლმე იგი მოზვიძე პატრონს. ლამის დამოუკიდებელ ნიშან-თვისებად ვლინდება პარადოქსალობა, ეფექტურობა, გაწაფულობა — აზრის ცნობისა და აღიარების სურვილი ჩრდილავს მის ძირითად დანიშნულებას, არამთავრის კაშკაში მთავარს აბრძავებს. ეს საერთო ტენდენციაა: ახლა ლექსის წერაც ისე ტექნიკურად დაიწვეს, რომ პოეზიას შთაგონებული დილექტანტი მოსწყურდა, რაიმე ახლის თქმის შესაძლებლობა კი კვალიფიკაციას გამორიცხავს. იგი უმეცრებას ენათესავება. მოკლედ, სიახლე ისევე და ისევე თავიდან დაწყებას უდრის: შეუძლებელია ამის სწავლა, რაც ვიცით, იმის დავიწყებაა აუცილებელი. ეს ვინ გამოჩნდა პორიზონტზე, რომ არა და არ გვიახლოვდება? იკვანწება ალტაცებული, თვალეგაბრწყინებული, გულაბგერებული, ვისაც იმის დავიწყება უკვე მოუსწრია, რაც ჩვენ აკვირდნენ ვიცით?.. მოყვარულია იგი. უმეცრების თეთრ დროშას აფრიალებს და გვეძახის: აქეთ წამოდით, აქეთ! ჯოხზე მინასკვულ უბრალო ჩვარზე მიჯღაბნილია: მი ყვარს ყოველივე ცოცხალი. ამ ჩვენს დაუდგრომელ, დღენიდაგ მოფუსფუსე და, ასე ვთქვათ, პროგრესულ სამყაროში რაიმეს თუ კიდევ შესწევს ძალა საამქვეყნოდ მოაქციოს დასაღუპად განწირული აზრი, ისევე და ისევე მოყვარულობაა: ლამარკიდან ლორენცამდე სიცარიელეა. მათ შორის მოქცეული ორი საუკუნე მეცნიერების თავბრუდამხვევი განვითარებითაა გათელილი. ნამდვილი გენიოსი მხოლოდ ის ბერი გამოდგა, ორ კვალში ბარდა რომ თესა... მოყვარული მებოსტნე მუნდელი.

სწორედ ბუნდნიერი კანონზომიერებაა: რაც უფრო უახლოვდებით ჭეშმარიტებას, მით უფრო მეტად გცილდებით იგი, და თუ მაინც ძალიან ისწრაფით იქით, მაშინ იმ ნაგავ-ნუგავსაც უნდა დაყაბულდეთ, მისკენ მიმავალ გზაზე რომ გადაეყრებით. ჭეშმარიტება მუზასავით ქალსა ჰგავს — თვითონვე დათმობს, მაგრამ არა იმასთან, ვინც ღირსია. მისი არჩევანის ამოცნობა ძნელია. მასთან ანგარიშიანობით ვერაფერს გახდება — გრძნობის გამჟღავნებაა აუცილებელი. ძალალობა გამორიცხავს ნებისმიერ შეცნობას. რა იოლად შეიცნობა არაარსებითი! — არსებითი კი ისევე შორსაა და თანაც იქვეა, შენს გვერდით, როგორც ოდესღაც იყო. ეშმაკმა იცის, რაღა არ დაფრინავს ცაში, ჩიტების შესახებ კი ვიცით და არც ვიცით, რომ ისინი ნამდვილად არსებობენ. უსიამოდ ღრჭიალებენ მოაზროვნე მანქანები, ვითომ გონებას გვითა, ასუფლებენ, და ჩვენც საოცარი სიზუსტით ვადგენთ რაღაც-რაღაცებს, რაც პირველყოფილი გონებისთვისაც დასაშვები იყო

ყოველგვარი მტკიცების გარეშე: თუნდაც იმას, რომ ცოცხალ არსებას შეგრძნების უნარი ჰქონია.

XX საუკუნის მეცნიერებამ უსაშველოდ დაგვიფრხო ჰუმანობის იმინი იმ ჩიტებივით დაიფანტნენ, კოსაზე ასე მოუხერხებლად რომ იჭერენ ახლა. ადამიანს ასე ძალიან არ ეზიზღებოდა მაიმუნი, ვიდრე მისგან წარმოდგობას არ დაიჯერებდა. ენითუთქმელი ქედმაღლობაა, თანამედროვე მეცნიერება არც კი მგონია, ეს უფრო რეაქციაა მეცნიერებაზე. ჩვეულებრივი, ნორმალური რეაქცია (ამ კუთხით თუ შევხედავთ, იგი ბუნებრივი მეცნიერებაა). ეკოლოგიის ხელწერა სტილის წარმოდგენას გვიძლიერებს იმ გაგებით, როგორც ეს ხელოვნებაშია. იგი სიცოცხლეს შეისწავლის, მაშასადამე თავად არის ცოცხალი, როცა ქცევებს შეისწავლის, თვითონვე იძენს ქცევას. ეკოლოგიას მისთვის დამახასიათებელი ქცევა გააჩნია, გარდუვალი ეთიკური ასპექტი. მისი შეზღუდულობა ეთიკური შეზღუდულობაა: ზოგი რამ დაუშვებელია. ფიქრად არა ღირს ყველაფერი, ყველაფერი — გაგებად. მოყვარულობა უცნაურ გაკვეთილს იძლევა, ბუნებრივ, რაღაცნაირ დაუხვეწავ, მაგრამ ნათელ შეხედულებას რომ ვითავაზობს ყოველივე ცოცხალზე მხოლოდ მასთან უშუალო კონტაქტში, ამ დროს იოლად აგნებს სიტყვებს რაიმე ცნების გადმოსაცემად. ვოქვათ, ნიში...

ეკოლოგიური ნიში — ნებისმიერი ცოცხალი არსებისთვის საკვების მოპოვების განსაკუთრებული ხერხია, სადაც იგი დანარჩენ სახეობებზე უფრო ეფექტურად გამოიყურება. ეს ეგრეთ წოდებული რომელიმე სახეობის პროფესიაა.

„პური ჩვენი არსობისა“...

ყველა თავის ბალახს ძოვს. აღმოჩენას ჰგავდა ეს სიტყვები ჩვენთვის, ვისაც არაერთხელ გვინახავს კინოში, როგორ წიწკნიან საერთო ბალახს გვერდიგვერდ (ერთ ეკრანზე) ერთფეროვან უსასრულო სავანაში ანტილოპები, ზებრები და კიდევ რაღაც უცნაურ რქიანი თხები. ჩვენ აქამდე აზრადაც არ მოგვსვლია ასეთი რამ, ველურებმა კი იცოდნენ, მაგრამ რაც ცხადია და ნათელი, არც გამოუყვიათ ცოდნის სპეციალურ, მხოლოდ ქურუმთათვის გასაგებ სფეროდ.

როგორც ჩანს, დიდი წარმოსახვის უნარი უნდა გქონდეს, მთლიანი სივრცის დაყოფა რომ შესძლო: თვალთ უხილავი საზღვრები რომ მონიშნო, დაინახო, რომ სამყარო დანაწილებული და დატიხრულია, რამეთუ აქ ცხოვრობენ.

არ ე ა ღ ი — ამა თუ იმ სახეობის გავრცელების ტერიტორია.

ან — პირამიდა...

პირამიდა (ცხოვრების) — „ნებისმიერ ეკოლოგიურ სისტემაში მისი შემადგენელი სახეობების რიცხოვნობა, ბიომასა და პროდუქცია ქმნიან პირამიდას, რომლის საფუძველიც პროდუცენტებია, ანუ მწვანე მცენარეები, რომლებიც წარმოქმნიან ორგანულ ნივთიერებას. სახეობები, რომლებიც მწვანე მცენარეთა პროდუქციით იკვებებიან, პირველი რიგის კონსუმენტებად უნდა ჩაითვალოს; რაც მცენარეთა მჭამელებით იკვებება, მეორე რიგის კონსუმენტებია; ხოლო ის სახეობები, რომლებიც მეორე რიგის კონსუმენტებით იკვებებიან, მესამე რიგის კონსუმენტებს წარმოადგენენ და ა. შ. ჩვეულებრივ ყოველი პროდუქცია წინა საფეხურზე მდგომი პროდუქციის მხოლოდ რამდენიმე პროცენტს შეადგენს...“

შევწყვიტოთ ციტატა. ტექსტი მშვენივრადაა აწყობილი და ვგონებ, იოლად გასაგებიც. მთელი ამ ნაგებობის არშემჩნევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა მის კენწეროზე მოექცევი...

ეკოლოგიას არ უჭირს კატეგორიების მოძიება. დააკვირდით მის ტერმინოლოგიას: საკვები, ტერიტორია, ასაკი, ენერჯია, რიცხოვნობა, შობადობა, სიკვდილიანობა... აი, მისი ცნებები. მიპასუხეთ, რა არის ამაში მეცნიერული ან ახა-

ლი, რაში გამოიხატება აღმოჩენა? ეს ხომ ისედაც ვიცით, ამას ხომ უბრალოდ სიცოცხლე ჰქვია. სწორედაც რომ ასეა. ადამიანის შემეცნება ზვიადია: მისთვის არსებობს მხოლოდ ის, რაც უკვე ცნობილია. მაგრამ, ის, რაც უკვე ცნობილია, ისიც, რაც ჯერ არ ვიცით და ისიც, რასაც ვერასდროს გავიგებთ. მაინც ერთი მოლიანი, განუყოფელი სინამდვილეა, რომელშიც არ არსებობს რაიმე მეტ-ნაკლებად მთავარი და არამთავარი. ზოგჯერ მეცინება კიდევ დიდი წარმოდგენისას, თუ რა ცოდნას ინახავს ჩვენი ტვინი რეალური სამყაროს შესახებ: იგი შემეცნების მიერ ოკრობოკროდ ჩაკბენილ უფორმო ნაგლეჯს ჰგავს, მაგრამ ცოდნის ეს ნაგლეჯი ჩვენ მთლად გლეჯი და ძრგვალი რამ გვეცნია, რომელიც მრავლის მომცველია. რეალობის ვარაუდი, ჩვენი ცოდნის ყოველ მარცვალს რომ ნთქავს — სწორედ ეს არის მეცნიერული გმირობა. ნებისმიერი მეცნიერული აღმოჩენის სულიერი არსი მდგომარეობს არა შემეცნებითი სფეროს გაფართოებაში, არამედ მისი შეზღუდულობის გადალახვაში.

აი, ამ გაგებით ეკოლოგია ყველაზე ნაღდი მეცნიერებაა, იგი ცხად მოვლენებსა თუ საგნებზე ფიქრობს, რომლებსაც უშუალოდ თვალთ წააწყდება ან შუბლით მიეხვინება, როგორც დაბრკოლებას, მისი გადალახვა კი არ ძალუძს, საიმისო არც ძალა აქვს და არც განზრახვა. ჯერ ძირს დაიხედო, მერე ზეცას ახედო — აი, პირველი მეცნიერული მეთოდი. ჩაფიქრებულმა იატაკი ჩიჩქნო და პასუხი ჭერში ეძიო, სადაც, მოგესხენებათ, არაფერი წერია, ხელმისაწვდომია.

ძალიან დიდ პატივს ვცემ ვინმე შუახნის ავსტრიელს, თავისი, ალბათ, ლამაზი და აკურატული პატარა სოფლის ბილიკზე რომ დასვირნობს... თავაღერული ავსტრიულ ცას შესცქერის, თითქმის იმფერს, როგორიც ჩვენია. იქ ჩიტი გაჰკვივის, დავუშვათ, ჭკა. რას აკეთებს კაცი? ბუზებს ითვლის. ჩვენში ესოდენ სასაცილო და საქილიკო საქმიანობა მრავალი წელიწადია მისი ცხოვრების არსს წარმოადგენს. რატომ კივის ჩიტი ან საით მიფრინავს? მოწყვნილი მზერა სხვა საგანზე გადაგვაქვს. ამ კაცმა კი მშვენივრად იცის, რა აყვირებს, ან საით მიფრინავს იგი. დიდი ხანია ფიქრობს ამაზე, და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი გმირობა, იგი ჩასწვდა ამ საიდუმლოს არა ველური მონადირის გუმანით, არამედ ცივილიზებული ადამიანის განჭვრეტით. მაშასადამე მან შეიცნო ბუნება.

ეს დიდი ადამიანი (უპირველესად „ადამიანი“, და არა „მეცნიერი“) მათცებს (ჩემი, სხვათა შორის, საკმაოდ ზედაპირული წარმოდგენით მასზე) იმით, თუ რაოდენ წმინდად განასახიერებს იგი შემეცნებას. კონრად ლორენცი, ეთოლოგიის, როგორც ეკოლოგიის შტოს უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი (ეთოლოგია და ეკოლოგია უფრო მჭიდრო კავშირში არიან, ვიდრე იგივე მნიშვნელობის საზოგადოებრივი მეცნიერებები — ეკონომიკა და ეთიკა), ნობელის პრემიის ლაურეატია. ახლა მის მაგალითს გამოვიყენებ და მით გავამდიდრებ ჩემს ღარიბ მსჯელობას...

1935 წელს ლორენცმა გამოაქვეყნა პატარა სტატია ცხოველთა მორალის შესახებ, ამ პუბლიკაციამ სამყარო განაცვიფრა უბრალოებითა და დამაჯერებლობით. ერთ წუთში თავდაყირა დააყენა ჩვენში ბავშვობიდანვე ჩანერგილი ცოდნა მხეცების „მხეცობის“ შესახებ, ბანალურობამდე დასული უდაუო და თვალნათლივი წარმოდგენები, დაახლოებით ისეთი, რომ ზღვა ლურჯია, ცა ცისფერი, აბზინდა მწარე, მგელი რუხი, ახლა რომ ემტკიცებინა, მგელი ლურჯიაო, არა მგონია, ნაკლებ შესატყვისი ყოფილიყო ჩვენი ძველი წარმოდგენებისა. რომელიღაც ზღაპრიდან დამამახსოვრდა, რომ მგლებმა თუ ლომებმა ერთმანეთი დაჭამეს. ახლა კი უცებ აღმოჩნდა, რომ ამ ცხოველთა „დახასიათება“ ძირშივე

მედარია, ყოველად შეუსაბამო, და წარმოიდგინეთ, უხამსიც კი. ლორენცი ანტი-კური სისადავით წერს, ვითარცა ეზოზე: „ერთხელ ყვავი, მკელი და ლომი...“ და მართლაც ზომითაც და ფორმითაც ეს იგავია, მაგრამ ალევგორიას კი არა, ჭეშმარიტებას მოიცავს.

ლომი, მკელი და ყვავი — აი სამი კარგად შეიარაღებული ცხოველი, რომელთაც შეუძლიათ ერთი დარტყმით დააზიანონ მათზე უფრო დიდი ცხოველი, დახეწილი, უხადო საბრძოლო ხერხით: ლომი ტირის დაკვირვებით ხერხემალს უმტრევს ხარს, მკელი თავის მსხვერპლს თვალის დახამხამებაში ეშვით უფატრავს საძილე არტერიას და მუცლის აქვს, ყვავი ნისკარტით კატისოდენა ცხოველს კლავს. ლორენცი გვიმტკიცებს, რომ არც ერთი მათგანი არასოდეს, არავითარ შემთხვევაში ამ სასიკვდილო იარაღს არ იყენებს მისივე სახეობის მიმართ — მგავს საქციელზე უმძიმესი მორალური აკრძალვა დაუწესებიათ მხეცებს. როგორი აზარტული, ვნებაამლილი და შეურაცხყოფილიც არ უნდა იყოს თავის მონათესავესთან პირველობისათვის ორთაბრძოლაში ჩაბმული ნადირი, შეტევა მაინც მხოლოდ ტუჩის არეში მტკივნეული დარტყმებით შემოიფარგლება — მაგრამ არა სასიკვდილო განაჩენით. ბრძოლა ყოველთვის სპორტულია, ბრძოლის წესებს მონაწილეები თავად იცავენ, მსაჯის ჩარევის გარეშე. ყოველგვარი „წელს ქვეშით“ დარტყმა გამორიცხულია. ორთაბრძოლაში ერთ-ერთი „შკარა უპირატესობას“ აღწევს, მეორე კი თვითონ აღიარებს საკუთარ მარცხს, მორჩილების პოზას ღებულობს, მაშასადამე მეტოქეს ყველაზე სუსტ ადგილს სთავაზობს დამაკვირვებელი სასიკვდილო დარტყმისათვის, აქილეუსის ქუსლს გამოუჩენს. საბრძოლო მხეცი! როგორი შემზარავი და დამამცირებელი უნდა იყოს ასეთი სიკვდილის მოლოდინი... მაგრამ, არა, — საბრძოლო გამარჯვებული! — ეს არასდროს არ მოხდება. ბრძოლამოკებული ბალახზე გორავს, გამწარებული ღმუის, გავარვარებული გზნება ასე უნდა დაიცხროს, თავისი ბასრი იარაღი დამალოს... უფრო იოლი იქნებოდა დამარცხებული შეშინებულ-დაფეთებული რომ გარბოდეს! ეს მათი მხეცური კანონის დარღვევად ჩაითვლებოდა და გაქცეულს დაედევნებოდნენ, დაკბენდნენ და განდექნიდნენ თავიანთი მიწიდან. მაგრამ არა, ეს ცინგლიანი, ეს ნაძირალა, სისხლისმსმელი არამზადა ისევ თვალდახუჭული და თავადაწეული დგას და მოწინააღმდეგისთვის მაცდუნებლად მიუშვერია სისხლჭარბი მოქუთქუთე არტერია. სწორედ ამ მორჩილებაშია მხეცური მორალის ძალა. თითოეული მათგანი საკუთარ სასჯელს ღებულობს: დამარცხებული — სისუსტისათვის, გამარჯვებული — კეთილშობილებისათვის. ამ ვითარებას ისიც ამბაფრებს, რომ ორივე გამობრძმედილი მკვლეელია, მათთვის სიკვდილი და სისხლი იგივეა, რაც ჩვენთვის შრომა და ოფლის ღერა.

...სწორედ ამ საიდუმლოს მაზიარა დოქტორმა.

საუბარმა დიუნების სიღრმეში შეგვიტყუა. ქვიშაში ვეფლობოლით.

— ჰოდა, რითი მთავრდება ეს ყველაფერი? — ვიკითხე გაოცებულმა.

— არაფრით, — მიპასუხა დოქტორმა, — ივორებს, იღრიალებს და დაწყნარდება. მერე დამარცხებული ჩუმად, უკანმოუხედავად დატოვებს მათ მიწას.

— მიწას?

— დიახ. ხომ ვითხარით, მტაცებლებს თავიანთი სანადირო უბნები აქვთ მკაცრად დაცული საზღვრებით.

— ოო...

მართლაც რომ, ოო!.. ლორენცის ამ ციციქნა სტატიას მეორე ნაწილიცა აქვს. როცა იგი ცხოველური კეთილშობილების მწვერვალამდე ამაღლდა, მერე მისი თანაზომიერი უფსკრულის კარიც შეაღო. უნახესი მტრელები კოცნისა და სიყ-

ვარულის სიმბოლო, ნისკარტში გაჩრილი პალმის ღეროთი, ყოველად უბოროტონი და შეუიარაღებელნი, თუ არ ჩავთვლით ნისკარტს, რომლითაც, ალბათ ხოჭოსაც ვერაფერს დააკლებენ, და ამ პატარა ბრჭყალებს, მიწის ამოჩიქნაც რომ არ შეუძლიათ... სწორედ ეს უწყინარი მტრედები, ბრძოლისას რომ არ გააშველო, სასიკვდილოდ დაჯიჯგნიან ერთმანეთს, გამარჯვებული არაფრით არ დაეხსნება დაუძლურებულ, მომაკვდავ მოწინააღმდეგეს, ეძითავე პაწია ნისკარტით სიკვდილამდე მიიყვანს და სიკვდილის მერეც არ შეწყვეტს ბრძოლას, საომრად აშლილ ვნებას ვერ იოკებს, მკვდარსაც გაპუტავს და დაჯიჯგნის. მტრედი სუსტადაა შეიარაღებული — მორალიც სუსტი აქვს. მისივე ჯილაგის მიმართ არავითარი ზნეობრივი ზღუდე არ გააჩნია.

— გამაოგნებელი იდეა! — წამოვიძახე აღფრთოვანებულმა და ნათქვამიდან ჩემთვის საჭირო აზრი გამოვიტანე. მიელი ცხოვრება ვერ ვიტანდი მტრედებს...

— ნურც იფიქრებთ, რომ მათი დაძრახვის მორალური უფლება გვაქვს, — დაღვრემით მიპასუხა დოქტორმა, — ისინი სულაც არ ექვემდებარებიან ჩვენს ზნეობრივ შეფასებას.

ტყე ვავიარეთ, ჩვენს თვალწინ დაუსაბამო სივრცე გაიშალა, გასაოცრად მაღალი დიუნები შორეთში თანდათან კარგავდნენ სიყვითლეს და მომწვანო-მონაცრისფრო ელფერს იკიდებდნენ. მწვობრად მდგარნი გაფიქრებინებდნენ, თითქოს იქ, შორს ჯოგა მადიანად ბაღ-ხობდა. იდგნენ კუზიანი მრგვალი ზურგებით ერთმანეთს აფარებულნი და ერთმანეთს მიბჯენილნი და თავის მაღლა ამოყოფას ცდილობდნენ. ყოველი ნაბიჯის გადაღმისას ჩვენს თვალწინ ირწეოდნენ, როგორც წინწასული სპილოების ქარავანი. დიუნების ცოცხალი ფერი ძალიან მაგონებდა სპილოს ტყავს.

მეჩხერ ტყისპირს მივუყვებოდით და კურდღლებს ვაფრთხოვდით. ყოველ ნაბიჯზე წამოცვივდებოდნენ ხოლმე და შიკ ფეხებში გვივარდებოდნენ. ბავშვობიდანვე განსაკუთრებულად მიყვარდა ისინი, სულ კურდღლობანას ვთამაშობდი. მე მონადირე არა ვარ, ქალაქელი კაცი ვარ — არასდროს მქონია ისეთი შემთხვევა, რომ კურდღლებს ჩემს ფეხებში ესუქსულით, გულაჩვილებული გუცქერო ჩემს გაცოცხლებულ ბავშვობას. ადგილს მოწყვეტილ ბა კისრისტებით გრბოდნენ ჩვენგან, მაგრამ რატომღაც ტყეს კი არა, ღია სივრცეს მაშურებდნენ ხოლმე და დიუნებს აფარებდნენ თავს. და მე მქონდა ასეთი ბუნდური შესაძლებლობა, მეტქირა მათთვის. ყოველთვის შენელებული გეჩვენება ძალიან სწრაფი მორბენალის გაქცევა — გგონია, თითქოს სირბილისას ყოვნდება და უკანაც იხედებაო. სინამდვილეში კი ქარივით მიქრის, მიფრინავს, ამ გაფრენაში ცოტა ამაო ფაციფუცი, — იმიტომაცაა სურათი შენელებული. კურდღლები ელვისურსწრაფესად ქრებოდნენ თვალსაწიერიდან. ამ სისწრაფის შემოწმებაც მოგვიხდა, როცა მძიმე-მძიმედ ავბობდით დიუნზე, კურდღელი კი, მონაცრისფრო-ყვითელი, მიჰქროდა მოყვითალო-ნაცრისფერ აღმართზე. დიუნს თავზე რომ მოექცეოდა, თითქოს ზეცაში იკარგებოდა.

— კურდღლებზე რაღას იტყვიან? — ვკითხე მე.

— სუსტად არიან შეიარაღებულნი. ერთმანეთის მძიმედ დაშავება შეუძლიათ. არასოდეს შესწრებიხართ მათ ბრძოლას?

კურდღელი ზედ ფეხებთან აგვისხლტა და ჰაერში გაუჩინარდა. ტყე ჩათავდა — შიშველ ქვიშაზე გავდიოთ. ფეხქვეშ მოქცეული ქვიშა ახლა სულაც არ ჰკავდა სპილოს ტყავს, დადღ და ყვითელ ფერად ბრდღვიანებდა.

— თქვენ ვინახავთ?

— კი.

თითქოს ბავშვობის მოგონებებს ვეთხოვებოდი, გულში ვიკრავდი ფაფუკ ბაჭიებს და ვსლუკუნებდი. ეს იმედის გაცრუება იყო. წარმოვიდგენიათ, როგორი მხეცი ყოფილა ქუნქულა და ნაზი კურღლეული! მგელი კი არა...

— მგლების ბრძოლა გინახავთ? — ვიკითხე გამწარებულმა.

— არა, არც ღომებისა. — აღლოიანი კაცი იყო დოქტორი. — ყვავების ჩხუბს შევსწრებივარ. დამარცხებულმა კეფა მიუშვირა გამარჯვებულს, მის კი ბრძოლაში საკუთარ ნისკარტს ჩაეჭიდა, თითქოს მის მოგლეჯას ღამობსო, ალბათ, მოწინააღმდეგისთვის რომ არაფერი ევსო.

— სასაცილოა, ცხადად წარმოვიდგინე, რა სასაცილო უნდა იყოს ყვავი, საკუთარ ცხვირს რომ ჩაფრენია, ჰა, ჰა, ჰა...

— ცხვირი ნამდვილად სასაცილოა. — თქვა დოქტორმა, — მაგრამ ნისკარტი სულ სხვაა.

— სიტყვა უკან წავიღო?

— სწორი იქნებოდა.

— „ყვავი ყვავს თვალს არ ამოკორტნისო“ — ამაზე ნათქვამი?

— ჰიო... — ორჭოფულად თქვა დოქტორმა, — ალბათ, მაგაზე არ მიფიქრია. თუმცა ყველა იგავში ალევგორიულად ადამიანია გამოყვანილი.

— ადამიანები? — ვიკითხე ძალიან დაინტერესებულმა.

— რა ადამიანები? — თითქოს ვერ მიხვდაო, კითხვა გამიმეორა დოქტორმა.

— ადამიანი როგორაა შეიარაღებული?

— თქვენ როგორ გგონიათ?

— უფრო მეტად შეიარაღება წარმოუდგენელია.

დოქტორმა ჩაიციხა.

— განა თქვენ სხვა აზრისა ხართ?

— როგორ გითხრათ, ვცდილობ ასე არ ვიფიქრო, — თქვა დოქტორმა.

— საამისოდ ძალდატანება გჭირდებათ?

— ნამდვილად ღირს ძალდატანებად. ეს წუთია კლასიკური ნიმუში განვიხილეთ. ლორენცისათვის აღმოჩენა იყო, ანთროპომორფიზმს რომ დააღწია თავი. — დოქტორი მიხვდა, რომ ვერაფერი გავიგე, იმედგაცრუებულმა შემომხედა და განაგრძო: — ანთროპომორფიზმი ის შეცდომაა, რასაც ჩვენ გვერდს ვერ ვუვლით ცხოველთა სამყაროს შესწავლისას. მაშასადამე, ცხოველებს ჩვენივე ადამიანურ თვისებებს მივაწერთ, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ვხსნით მათ საქციელს. ამიტომაც ამდენ ხანს წარმოდგენა არ გვქონდა თუნდაც იგივე მგლის მორალზე. მგლებზე ვმსჯელობდით არა მგლურად, არამედ უფრო ადამიანური ხედვითა და საზომებით.

— ესე იგი, ვინდათ თქვათ, რომ... — სიტყვა მაშინვე ავიტაცე.

— მე ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა... — გაბრაზდა დოქტორი, — და ძალიან ვთხოვთ, ჩემს ნათქვამს თქვენებურად ნუ განმარტავთ. ეს იმას მოვაყოლე, რომ სულ არსებობს ჩვენში ანთროპომორფიზმის საწინააღმდეგო ტენდენცია, რაც უკვე დამახასიათებელია არა საერთოდ ადამიანებისათვის, არამედ კერძოდ ჩვენთვის, სპეციალისტებისათვის, ვინც რალაციის გაგებას იწყებს თავის სფეროში — ეს, ასე ვთქვათ, ზოო ანუ ბიომორფიზმია. ვიწყებთ ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების სპეციალური სფეროდან ზოგადსაკაცობრიო სფეროში გადატანას. თქვენ კი სულ ახლახან გახდით მოწმე იმისა, თუ როგორ ცდება ადამიანი, როცა გულუბრყვილო ანთროპომორფიზმით სცოდავს. მეიგავის ამ თითქოსდა უბოროტო შეცდომამ უდიდესი ვნება მიაყენა მთელ ცხოველთა სამყაროს. ძნელია ამის აღნუსხვა, მაგრამ ამავე დროს არასწორია მისი სათანადოდ შეუფასებლობაც.

— ვგრძნობ, რაღაც მეტისმეტად წინააღმდეგი ხართ იგავეებისა...

— სადღაც წამიკითხავს და სავსებით ვეთანხმები ამ აზრს: ბეჩავი, ჩაჩანაკა უანრია. ამავე დროს, სულაც არ მეცინება და არც გონივრულად მიმაჩნია, რომ უნდა დაუპირისპირდეს ჭიანჭველა ჭრიჭინას? თუმცა კი მეცინება, მაგრამ იმგვარად არა, როგორც ეს, ალბათ, ავტორს ენდომებოდა. თანაც იმასაც მივხედი, რომ ბიოლოგიური გაგებით რაც უფრო ბრიყვულად იგავეს უფრო მდაბალი, პლებეური მორალის მატარებელია.

— ეს უკვე მეტისმეტია! — ვთქვი მე. — რა კარგი აზრისა ყოფილხართ.

— რასაც თქვენ ფიქრობთ ცხოველებზე, არა მგონია, იმაზე უარესი რამე მე თქვას იგავზე... მე იქნებ უკიდურესი კატეგორიულობა გამოვაკლინე, და იგავი, ალბათ, არც არის ჩემი საქმე, ან კიდევ, ასე ვთქვათ, უაღრესად პირადი საქმეა, რაც თითქმის, ერთი და იგივედ მიმაჩნია: მეცნიერისათვის სპეციალობა მკვეთრად გამოიჯნული უნდა იყოს. და მაინც, რაც უფრო თავისუფალი და აბსტრაქტულია ჩანაფიქრი, მით უფრო თავისუფალია იგი სპეციალური, კონკრეტული შეცდომებისაგან. მაგალითად «Однажды лебедь, рак да щука, затеяли сыграть квартет...» ეს იგავი სულაც არ ეწინააღმდეგება...

— კვარტეტი სხვებმა წამოიწყეს, ესენი ტვირთს ექაჩებოდნენ. თქვენ ორი იგავი ერთმანეთში აურიეთ. ნება მიბოძეთ, განვმარტო, რომ კრიტიკისათვის ეს მიუღებელი ხერხია.

— კრიტიკოსი არ გახლავართ. არც ვიცი, რა განსხვავებაა ამ იგავ-არაკების მორალს შორის — ჩემთვის ორივეში ერთი და იგივე აზრია: ბიოლოგიურ სახეთა პრინციპული სხვაობა სულაც არ გვანიჭებს იმის უფლებას, ერთის თვისება მეორეს მივაწეროთ, მხეცებიც ბიოლოგიურად ისევე დამოუკიდებელი არსებები არიან, როგორც ადამიანები. ამ იგავებს რაღაცნაირი ეკოლოგიური ელფერიც დაჰკრავს. კრილოვს კარგად მიუგნია, რომ ისინი ვერც თავიანთ ტვირთზე დაუკრავენ და ვერც კვარტეტს წაათრევენ. მაპატიეთ ეს სტუდენტური იუმორი. იგავი ანთროპომორფისტული უაზრობაა.

— კარგით რა, — გამეცინა მე. — პაპა კრილოვი ლორენცს პრიორიტეტს არ წაართმევს. არავითარ შემთხვევაში არ ჰქონია ეს მხედველობაში.

— მაგრამ სწორედ ეს კი გამოხატა: მე სხვა ობიექტურ აზრს ვერ ვპოულობ ამ იგავებში.

ჩვენი საუბარი ახლაც ჩიხში მოექცა. გვერდზე გადავუხვიეთ, ქოშინით ავდიოდით დიუნზე. წინ გადაშლილი სამყარო ორ კრიალა ფერად აბრიალებულიყო: ყვითელი და ცისფერი — სიურრეალისტის ოცნება. გულმოდგინედ გოფირებული დიუნის ზედაპირი ზღვის მოქცევის ზოლში გარჩენილ სილიან ფსკერს მოაგაუდა — ეს კიდევ ერთი მინიშნება, რომ ნამდვილად ფსკერზე ვცხოვრობთ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ქარის წამოქროლვამ სილა აიტაცა. მის უხადო ზედაპირს ადამიანის კვალი არ ეტყობოდა, დაუნახებლად ვარღვევდით ამ უბიწოებას და ქვიშაზე საკუთარ ნაფეხურებს ვტოვებდით, ხან მეჩენივით მაგრდებოდა ქვიშა, მაშინ ნაკვალევიც თანაბრად და ბრტყლად აჩნდებოდა, ხანაც ფეხქვეშ იშლებოდა და ძროხის ფლოქვის მსგავსი უფორმო ორმო რჩებოდა. წინ მივიწევდით და არ ვიცოდით, სად დავადგამდით ფეხს მყარად და სად ჩაგვეფშვნებოდა საყრდენი. დიუნებიდან აშლილი ქვიშა კანს ჩხვლევდა. ფერდობებზე ხოჭოებისა და ობობების ქვიშითა და მზით გამომშრალ-გამოთუთრებული პაწია გამჭვირვალე ფიტულები მოფარფატებდნენ. ამ უკიდურეს სიყვითლიდან აქა-იქ ბალახის ღერო ამოშვერილიყო, გარშემო მაგიური წრე შემოვლებოდა, მიწიდან ამოზრდილი მზის საათები გვეგონებოდათ, რაღაც იღუმალად რომ ერიოდებოდა

ქვიშას, ალბათ იმის გამო, რომ ქვიშის საათს აგონებდა ადამიანს. ჯადოსნური წრეების წარმოშობის მიზეზს მაშინვე მივხვდი: ქარის ქროლვაზე ბალახის ღერო იზნიქებოდა, წვეტიანი წვერით ქვიშას ეხებოდა და რკალს ავლებდა, ქარი სხვადასხვა მიმართულებით უბერავდა და შუაგულში ფესვგადგმული ბალახი დაუსრულებლად ხაზავდა და ხაზავდა ამ ზღაპრულ წრეს. გულისამაჩუყებელი იყო მისი ციციქნა სამფლობელო! და კიდევ აქა-იქ ფრინველის მჩუტე-ჩაკვალევი კოწიად აჩნდა ქვიშის მარტობას. უცნაური ხიბლი ჰქონდა ჩუქცი-ჩოქციურს, იგი გეომეტრიულად შერწყმოდა ბალახის მზის საათს. ხანდახან ყვითელზე ცისფრად აფარფატდებოდა ფრთებგახუნებული პეპელა. გაკარვარებულ ქვიშასავით იკბინებოდნენ პატარა შავი ხოჭოები, თავადაც ქვიშას ჰგავდნენ, გაცოცხლებულ ქვიშას. ზღვისკენ პირნაქცევი ჭიამაიების გუნდი მიდიოდა, მათი გამოფიტულა, მკვდარი ლაქები ქვევით ცვიოდნენ, სინუშეზე ლაპარაკი სინუშეს ნიშნავს: ხელში სანდლები გვეჭირა. აქა-იქ, ძალზე იშეიათად მიწიდან ოდნავ თავამყოფალი მოცისფრო-მოვარდისფრო პაწაწკინტელა ყვავილი ნაზობდა, აზიზობდა. «Фиалка в воздухе свой аромат лила, А волк злодействовал в пасущемся народе; Он кровожаден был, фиалочка — мила; Всяк следует своей природе».

— სწორედაც, რომ, — ქვიშასთან ერთად სახეში შემომეფრქვა დოქტორის სიტყვები, — აქ იგივეა ნათქვამი, უფრო მოკლედ და ზუსტად.

— პუშკინის ლექსია — შეცდომა გამორიცხულია, იგი გენიოსია.

— ეგ არ ვიცოდი. მე მაინც ვერ ვხედავ აქ გენიოსობის უტყუარ საბუთს. ყველაფერი ცხადზე ცხადია, სიზუსტე — სულაც არ ნიშნავს გენიალობას, უზუსტობა კი ცოდვის ქმნაა.

— მაგრამ ეს ხომ იუმორით... — გამაკვირვა დოქტორის სწორხაზოვნებამ.

— იუმორი... იგი უზუსტობას ნამდვილად შეარბილებს, მაგრამ სრული სიზუსტით ნათქვამი იუმორს აღარ საჭიროებს.

— მერედა არსებობს ასეთი სრული სიზუსტე?

— თქვენთან არ ვიცი, მეცნიერებაში — კი.

— ჰო, რა თქმა უნდა... — ირონიულად ვთქვი მე.

— აი, თუნდაც ლორენცი, ვისხედაც ახლა ვსაუბრობდით, — თავისას არ იშლიდა დოქტორი, — რა არის: უზუსტობამდე სერიოზული თუ სიზუსტემდე სასაცილო? არც ერთი და არც მეორე — უბრალოდ ზუსტი.

მე დავეთანხმე და საპასუხო სვლა გავაკეთე.

— დიახ, ის ზუსტია. მაგრამ რა უყვით ადამიანს?... თქვენ ხომ ზუსტ პასუხს თავი აარიდეთ. შეიძლება კი ადამიანი ზუსტი იყოს სხვისი არსებობის განსაზღვრაში, როცა საკუთარიც არაზუსტად წარმოუდგენია?

უსაზღვროდ კმაყოფილი ვიყავი. დოქტორს ფეხდაფეხ მივდევი, კიდევ ერთი ნაბიჯი და... მეც დიუნს წვერზე მოვექეცი.

კიდევ კარგი, მანამდე დავაწიე კითხვა, თორემ ნამდვილად დამავიწყდებოდა სათქმელი: აქედან შესანიშნავი სანახაობა იშლებოდა, ენა უძღური იყო ამ დიდებულების გადმოსაცემად. სანდლები ქვიშაზე დავყარე, ხელები გავითავისუფლე ალტაცების გამოსახატავად, მაგრამ ვერაფერი მოვიმოქმედე. გაოგნებული შევცქეროდი ხან ერთ, ხან მეორე ზღვას, თუმცა ორივეს დანახვა ერთდროულად შეიძლებოდა. დასავლეთის საფირონისფერი ზღვა (მწვერვალიდან გადაიშალა...) ამ ქარიან ამინდში ქათქათა ქოჩორა ტალღებს დაუფარა, რომლებიც თითქოს უძრავად გარინდულიყვნენ. ზღვის უსასრულო სიღურჯე თითქოს პირწმინდად ისრუტავდა თავზე გადმომხობილი ზეცის ფერს. ზღვის მაცქერალს მომეჩვენა თითქოს თავდაყირა ვიდექი და დაბლა მივჩერებოდი ცას. აღმოსავლეთის ზღვას

რომ ვუყურებდი, აქ ყველაფერი პირუკუ იყო: ქულა ღრუბლებით დაფარული ცა სვამდა ზღვის ფერს, ხოლო ფერმიქრალი, წყნარი წყალი თითქოს ზედაპირს კარგავდა და ბურუსიან ცას ემსგავსებოდა. დასავლეთის ზღვა ნამდვილი იყო: მარილიანი, უძირო, მის პორიზონტს მიღმა, სამასიოდე მილის დაშორებით, მდიდარი შვეცია ტივტივებდა. აღმოსავლეთისა კი მტკნარე ქატიქრე ყურე იყო, რაღაც ოცდაათიოდე კილომეტრში ლიტვის ნაპირი მდებარეობდა. მტკნარე ქატიქრე აქედან პორიზონტს ერთნაირად ამოფარებოდა ლიტვაც და შვეციაც, აქედან ორივე ზღვა ერთნაირად უსახლვრო, ღრმა და მლაშე ეჩვენებოდა თვალს.

— პო, მართლა, მე ხომ არ მიპასუხნია თქვენს ატომურ ბომბზე. თქვენ ხომ ატომური ბომბი გაქვთ მხედველობაში, რაკილა ადამიანს ძლიერ შეიარაღებულად თვლით? — მე კი თავში ისევ აღმოსავლეთი და დასავლეთი, ზღვა და ცა მიტრიალებდა, ფეხქვეშ მიწას ვერ ვგრძნობდი, თუმცა არც იყო მიწა სინამდვილეში, მაგრამ ამას მოგვიანებით მივხვდი. თავი დაუქნიე. — იცით რა, მასობრივი განადგურების იარაღი შეუძლებელია იმ შეიარაღებად ჩაითვალოს, რაზედაც ახლა ვსაუბრობდით... ბიოლოგიურ პარალელებს თუ გავაველებთ, რისკენაც თქვენ ასე უტაქტოდ მიბიძგებთ, მაშინ მასობრივი განადგურების იარაღთან რაღაც ანალოგია შეიძლება აღმოვაჩინოთ სახეობის რიცხოვნობის რეგულაციის მექანიზმებში, ეს გაცილებით უფრო რთული სფეროა იმასთან შედარებით, რასაც აქამდე შევეხეთ... მაგრამ, საერთო ჯამში, ზოგიერთი ის მოვლენა, რაც ან ცოტა ხნის წინ საიდუმლოებით მოცული გვეგონა, ახლა თავის ახსნას პოულობს... როგორ გითხრათ... გენეტიკურ კოდშია ჩადებული... თქვენთვის ეს, ალბათ, რთული იქნება. მოკლედ ბუნებაში გათვალისწინებულია ზოგიერთი რამ... მაგრამ ბომბი — ეს მაინც მეტიმეტად ადამიანურია, და, თქვენი ძალდატანება რომ არა, ასეთ ანალოგიას ალბათ, არასდროს გავატარებდი...

თვალწინ გადაშლილი სანახაობით დატყვევებული მაინცდამაინც ძირისძირობამდე ვერ ჩაეწვდი დოქტორის ნათქვამს, მაგრამ რეპორტიორის თავგამოდებით ეცდილობდი, უკან არ დამეხია.

— კარგი, მოვეშვათ ყველაფერ ამას. ადამიანი ხომ არის ბიოლოგიური არსება?

— სამი ასპექტით: მრავლდება, იკვებება და კვდება, ცხოველის მსგავსად. ოჰ, ამ ფრაზამ შემძრა!

აქაურობისათვის როგორღაც არსებითი და ნიშანდობლივი უნდა იყოს სიკვდილი, თუმცა ყოველი თვალსაზრისით აქ ნამდვილი სამოთხეა. დასაწყისშიც აღვნიშნე ის უჩვეულო განსხეულება, რაც მხოლოდ ამ ადგილისთვისაა დამახასიათებელი. ვერ გეტყვით, ბევრია თუ არა კიდევ მსგავსი წერტილი ჩვენს გლობუსზე — მე კი ასეთი რამ პირველად ვნახე და შემდეგაც აღარასდროს მიხილავს. და ყოველთვის აქ ხელმეორედ დაბრუნებული (დაბრუნებული და არა მოსული...) ამ მიწას ისევ უცვლელ მდგომარეობაში ვპოულობდი. თავს პირობას ვაძლევდი აუცილებლად ამეხსნა ამ გეოგრაფიული არარსებულობის თავისებურება — ვერა და ვერ მოვახერხე.

ადრეც გითხარი, რომ აქ ყველაფერი ისეა, როგორც პირველ სახელმძღვანელოში, რომ აქ ბოლოს და ბოლოს მთავრდება ის თითქმის შეუმჩნეველი ბავშვური გულგატეხილობა, რასაც შეუსაბამობა იწვევს, შემოთავაზებული არ ჰგავს სინამდვილეს — სწორედ ეს არის ჩვენი განათლების არსი, განათლება ჩვენი — გამოცდილების პირველი ბზარი, ქვეცნობიერებაში ჩაჩუმქრული, რომელსაც ცხოვრების დინებით ხრამად ჩარეცხვა უწერია. ალბათ, სახელმძღვანელოს

ხრამს უფრო ჰგავს, ვიდრე ბუნებრივს. ეს ძალზე უხეიროდ დაბეჭდილი სურათია, სადაც ფერები ერთმანეთზე გადადის, დღაბნის და აღრმავებს ხაზს! ახლასწორედ ის აპოკალიფსური ხრამი გაშიშვლდა. მკვდარ ხეს, ელვას, ტვინის ხვეულებს რომ გვაგონებს! ხოლო ჩვენი სიჭაბუკის რომანტიკული ხატებანი უსუსურ ტალღასავით ეხეთქება სინამდვილის ჩაბეტონებულ ნაპირს: თითქოს მსხვილ საპორტო ქალაქს ვეწვიეთ შორეული, არაღვიძლი დეიდესკინისკუთხედ, მაგრამ არც გემი გვინახავს, არც ზღვა; ნულოვან პერიდიანზე ვერც ვხვდებით ხეებს, ვერც ნულს; ხეებიდან ტყე მართლაც არა ჩანს.

ამ ნაკრძალში ყოველივე ნაკრძალი იყო — თვით გეოგრაფიაც: ზღვა, ყურე, დიუნები, ნაპირი, ტყე, ბალახი, ცაც და ჩიტებიც — ისინი მართო ერთმანეთის მეზობლად კი არ არსებობდნენ, კიდევ შეესაბამებოდნენ იმ იდუმალ წარმოდგენებს, იმ სიტყვებს, თვალდახუჭული რომ წარმოსთქვამ შენთვის: ყურე, ტყე, ჩიტები... ცნების გასაგნებაა ეს, ლექსიკის ხორცშესხმა.

სივრცეს აქ თითქოს ერთი განზომილება აკლია. ამ ერთის ზარჯზე ორი დანარჩენი სრულყოფილადაა გახსნილი. ერთით შემჭიდროვებული სივრცე უფრო ფართოვდება ორისათვის... რადგანაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი რომელიმე ცდის მაგალითის საფუძველზე ძნელია ფარდობითობის თეორიის განმარტება, ამიტომაც მათემატიკოსები გვათავაზობენ ორგანზომილებიან სივრცეში არსებული რომელიმე იუმორისტული პერსონაჟის წარმოსახვას. უნდა გამოგიტყდეთ, მისი წარმოდგენა უფრო რთულია, ვიდრე თვით ეს თეორია, მაგრამ აქ, კოსაზე, შემეძლო მეარსება თითქმის იმგვარსავე ბრტყელ მდგომარეობაში — მხოლოდ პროფილში. უნდა ითქვას, რომ ორ განზომილებიანი სივრცისათვის გაჩარხული ამ საცოდავი ადამიანის არსებობა შეიძლება მხოლოდ შეგშურებოდეთ.

შემეძლო, გამოესულიყავი ჩემი ბუდრუგანიდან, ვთქვათ, დასავლეთის სანაპიროზე, წავსულიყავი ჩრდილოეთით ზღვის გაყოლებით, მევლო დედიშობილას ერთი, ორი, სამი საათი, მევლო მთელი დღეც და ღამეც, და არ გადავეროდი ადამის მოდგმას. მერე ისევ და ისევ ჩრდილოეთით, თითქოს კომპასის ისარს აღევჩებული, ვივლიდი ასე, ვიდრე არ მომბეზრდებოდა — წყლისპირ, გზატკეცილის გაყოლებით ჩრდილოეთისაკენ... მერე შემეძლო მობრუნება, გზას გადავჭრიდი და უკან აღმოსავლეთის ნაპირით წამოვიჩანჩალდებოდი, მაგრამ ახლა უკვე სულ სამხრეთისაკენ ვივლიდი, ისევ წყლისპირის გაყოლებით, ისევ გზატკეცილის გასწვრივ, ზუსტად ისევ ისე მარცხნიდან იქნებოდა წყალი და მარჯვნიდან გზატკეცილი... კოსა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (ციდან რომ დახედო ან რუკას დააკვირდე) ღარივითაა ასიოდე კილომეტრზე გადაჭიმული, ხოლო იმ ადგილას, სადაც მე ვცხოვრობდი, მისი სიგანე კილომეტრს არ აღემატებოდა. ასე დავსერიწობდი ამ გეოგრაფიულ სამართებელზე მხოლოდ ჩრდილოეთის ან სამხრეთის მიმართულებით აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

მახსოვს დაწყებით კლასებში გვექონდა რადიონაირი გულისამაჩუყებელი ზოოგეოგრაფიული რუკები, ისინი ცხოველთა გავრცელების ზონების შესაბამისად მათი პროფილებით იყო მოხატული. ეს თვალსაჩინო სასწავლო რუკები იყო და ამდენად პირველ რიგში ზედ გამოსახული ცხოველი უნდა ყოფილიყო საცნაური, ამიტომაც კატასტროფულად ირღვეოდა მასშტაბები. კურდღელი თავისი სხეულით მთლიანად ფარავდა ბელგიასა და პოლანდიას ერთად აღებულს, მის ყურებს შორის კი დანიის ნაწილი თავსდებოდა. უცნაურად რქებდაგრებილი ცხვარი ჰინდუკუშის ერთ ქედზე იდგა წინა ფეხებით, უკანათი კი მეორე ქედს დაყრდნობოდა, სპილოზე რომ აღარაფერი ვთქვათ (ცხოველთა პროპორციები აქ

მკაცრად იყო დაცული), რომელიც იოლად ფარავდა ნებისმიერ ახალგანვითარებად ქვეყანას. ასეთი რუკა მისდაუნებლიეთ მეტისმეტად აზვიადებდა ცხოველთა ადგილს თანამედროვე სამყაროში, რაც მრავალი წლით გვიან აღემატებდა ბავშვის შეგნებაში მათ ბედზე წუხილს. და, აი, აქ, კოსაზე, ეს რუკაც აღარ გვიჩვენებოდა მაინცდამაინც გაზვიადებული. კურდღელზე რომ აღარაფერი ვთქვათ — მასზე ხომ უკვე ვილაპარაკე — ყოველი გასვირნების დროს შეიძლება შეხვედროდი შველს, ხოლო თუ ბედი გაგიღიძებდა, მელასა და ტახნაც კი შეეფეთებოდი. როცა ასეთი იშვიათი ცხოველი რამოდენიმე ნაბიჯზე მოურიდებლად გადაგიჭრიდა გზას, ამ ბუნებრივად მონიშნულ მერიდიანსაც გადირბენდა, თანაც მას ხედავდი არა მასშტაბებში, არამედ, როგორც იტყვიან, „ნატურალურ ზომებში“ — მიწის ამ ყველაზე ვიწრო ზოლზე მასშტაბები მთლად ირეოდა, და მართლაც ყოველგვარი გადიდების გარეშე, ცხოველი თითქმის გადაფარავდა კოსას ზღვიდან ზღვამდე — ყოველთვის ვიხსენებდი ამ რუკას და ქედმაღლურად მედიმებოდა ამ დანაკარგზე.

ამიტომაც დაფრენენ ჩიტები ასე სიამოვნებით კოსაზე, ორივე ზღვას ფრთას გაჰკრავენ. გაშიშვლებული მერიდიანის ზემოთ ფრენენ, ცოტა ხნით ყველა იმ ლოკატორს გამორთავენ, რომელთა დახმარებითაც ზუსტად მიიკვლევენ ხოლმე თავიანთ უზადო მარშრუტს ტყეებისა და მთების გადავლით: გაზაფხულზე ჩრდილოეთისაკენ, შემოდგომაზე სამხრეთით. აქ კი ისინი ისვენებენ, თავიანთ ავტობილოტს რთავენ: აქ ხომ ყველაფერი ნათელია, იფრინე შენთვის მშვიდად. კოსაზე ჩიტები ღამეს ათევენ, ძალ-ღონეს იკრებენ დარჩენილი გზის გადასალახავად... მოკლედ კოსა — საჰაერო ოკეანის ყველაზე დიდი ნავსადგურია, ფრინველთბრუნვით მსოფლიოში ტოლი არ მოეძებნება. აქ დაიბუდეს ფრინველთა მკვლევარებმაც, აქვე დააგო მახე თუ ხაფანგი ადამიანის დაბნეულმა ცნობიერებამ.

როგორი უახლესი ტექნიკითაც არ უნდა აღიჭურვოს ადამიანი, ბევრი რამ მთავარი ახლებურად მაინც ვერ გაიაზრა. უკანასკნელი ავტომობილი წინანდებურად ურემივით ბორბლებზე დაგორავს, საჭმელი ძველებურად ცეცხლზე იხარშება ქვაბში, და თევზსაც, თუმცა უახლესი სეინერიდან, მაგრამ მაინც კვლავ ბადით იჭერს კაცი. ჩიტებსაც — საჰაერო ოკეანის თევზებს ფსკერის ბადით იჭერს, ისევე როგორც თევზებს — ღრმა წყლის ჩიტებს. აქ ძალას კარგავს არქიმედეს კანონი, მსოფლიო მიზიდულობა ძლიერდება. საცობი აქ ოდნავ თუ ამოტივტივდება და ისიც მხოლოდ შამპანურის ბოთლიდან, ტიტვივები იძირებიან, მაღლა კი არ იწევენ, როგორც წყალში. უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებენ ეს ბადეები, დიუნების ფონზე ნორჩი ტყიდან თავამოწეულები. ეს გამჭირვალე, თითქოსდა წაქცეული ოთხწახნაგოვანი წაკვეთილი პირამიდა შორიდან შეიძლება მსუბუქად და აჭურულადაც კი გამოიყურებოდეს, თავისებურად შეენოდეს კიდეც კოსის კლასიკურ ტოპოგრაფიას. ახლოდან, როცა ამ უზარმაზარ ძელებს და დაჟანგულ გასაჭიმ გვარლებს უყურებ, თითქმის თხუთმეტმეტრიან სიმაღლეზე გაჭირვებით რომ აუზიდიათ ერთი შვხედვით უმსუბუქესი ბადეები, თითქოსდა სამართლიანი გულდამშვიდებით, შენთვის ნათელი ხდება, თუ როგორ ძველებურადვე უჭირს ადამიანს მარტივი სამშენებლო ამოცანის განხორციელება თავისი ხელით, წინანდებურად მოუქნელი და პირველყოფილია იგი თავისი ბუნებით. და თუმცა ფრინველებს აქ მუცლის საამებლად კი არ იჭერენ, არამედ ფეხზე მსუბუქ რგოლს აბნევენ, აღნუსხავენ და ასე უშვებენ საჰაერო ოკეანეში, ამ ძველებურად პირველყოფილ ნადირობაში არის რაღაცნაირი სამართლიანობა — თით-

ქოსდა თანასწორუფლებიანობა ფრინველსა და ორნოტოლოგს შორის, რაღაც ხნობა (ამას რომ ვამბობ, ცხადად ეხედავ, მზრებს როგორ იჩენავენ: სიამოვნებით აღიჭურვებოდნენ უფრო თანამედროვედ, რომ ყოფილიყო შესაძლებელი).

ზაფხულობით ამ მახეში შემთხვევითი ჩურჩუტა ჩიტუნები ებნებოდა, გაზაფხულიდან მოყოლებული უკვე გაშლილია ბადეები. ჩრდილოეთისკენ მიუძვრითა დაფჩენილი ხახები და შემოდგომაზე ჩიტების გადმოფრენას ელოდებოდნენ. პირველად რომ იხილავ ამ საოცრებას, იტყვი, მარსზე მოვხვდიო, მაგრამ შემდეგ თვალი ეჩვევა გარემოს და, როცა დიუნზე ასული გადახედავ ამ ქვიშის, ცისა და ზღვისგან შექმნილ სიურრეალისტურ პეიზაჟს, მოგეჩვენება, რომ ეს უჩხულები კიდევ მატებენ რაღაცას აქაურობას — ეს გაშლილი ცარიელი ბადეც ესადაგება ამ ვერანა ადგილს, თითქოს ცოტა ხნის წინ აქ ზღვა იყო და უკუიქცა... თვალი ეჩვევა, აქაური ჩიტებიც ეჩვევიან: კაღონებსა და გაჭიმულ გვარლებზე სხდებიან — მამაცი ყვავები — სიკვდილს თვალეში შესცქერიან. სხვათა შორის არანაკლები სიმამაცე გამოსჭვივის ადამიანთა თვალეშიც, სახიფათო ადგილას ქუჩაზე რომ გადადიან. ადამიანი მანქანის ქვეშ არ შევარდება, ისევე როგორც ყვავი ბადეში.

ამ ბადეებს აქაური მცხოვრებლებიც მიეჩვივნენ — მეთევზეები და მათი ოჯახები. ოღონდ სასაცილოდ ეჩვენებათ და ენანებათ ბადე, რომელსაც დანიშნულებისამებრ ვერ იყენებენ, მეცნიერთა ფუჭი საქმიანობა, რომლის საზღაურადაც, მართალია, არც ისე დიდ თანხას იღებენ, მაგრამ მაინც მუქთად იღებენ. მაშინ, როცა თეიათონ სეინერებზე ირჯებიან და საკუთარ კუნთებს არ ზოგავენ.

სიტყვასაც არ დაუძრავედი ამ ფუჭი შრომის თაობაზე, საკუთარი თავიც იგივეში რომ არ დამეჭირა. მაშასადამე, რა თქმა უნდა, ვფიქრობდი, რომ ჩემი ჩაქირქილება ან ირონიული აზრი სულაც არ მომდინარეობდა უხეში, ტლუ, გაუნათლებელი გონებიდან. პირიქით, მწამდა, რომ სწორედ მოწიწება, იდეალური წარმოდგენა მეცნიერებაზე ელო საფუძვლად ჩემს კეთილგანზრახულ კრიტიკას. მაგრამ...

მაგრამ სულ უმნიშვნელო გონებრივი ვძირობის ჩადენა იყო საჭირო, რომ ეს საფეხურიც ოდნავი წაბორძიკებით გადამელახა და მივმხვდარიყავი, რომ არსებითად ჩემი ჩაღინება ბევრად არ სჯობდა აქაურთა ქირქილს.

თუმცა მათ შორის მყოფმა ბევრი რამ ვნახე და გაეიაზრე, ახლაც კი მძიმე მდგომარეობაში ვვარდები ხოლმე, როცა ვცდილობ აღვწერო, თუ რითი იყო ეს ხალხი დაკავებული და რას წარმოადგენდა მათი საქმიანობა. ფრინველების დაჭერა და დარგოლვა, აგრეთვე ამ მასალების დამუშავება (ამას მე თვალ-ყურს ვერ ვადევნებდი და ამიტომაც თითქოს არც არსებობდა) — თანამშრომელთა თქმით სულაც არ იყო მათი სამუშაოს რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს აუცილებელი, ყოველდღიური, მაგრამ მათი საქმიანობის პერიფერიული მონაკვეთი ყოფილა. თუმცა მოსახლეობისა და მრავალრიცხოვანი ჟურნალისტების აზრით, სწორედ ეს იყო მთავარი. მახეები შორიდან კარგად ჩანდა, რგოლებიც მშვენიერი თავშესაქცევი იყო. მათი მოღვაწეობის ეს ნაწილი თვალნათლივით და რაღაცნაირად გასაგები გახლდათ, როგორც მაგალითად, ცირკი, ზოობარკი და ნადირობა (სპორტი), რისი არსებობაც სულაც არ არის აუცილებელი საყოველთაო შეხედულებით. დანარჩენი კი სპეციალური ნაწილი იყო, რომელსაც უფრო ღრმად უნდა ჩავწვდომოდით, ჰოდა, აქ იყო აღმართული განათლების სწორედ ის რიფი, რომელსაც ისინი ფლობდნენ და მე — ვერა. ადამიანის ცნობიერებაში არსებობს ბედნავსი სფეროები, რომლებშიც თავი ვველას ასე თუ ისე

სპეციალისტად წარმოუდგენია (მე, ლიტერატორს, განა შეიძლებოდა არ მცოდნოდა ეს!). მათი იდუმალი საქმიანობა არ იყო გამიჯნული იმ ბედნიერი ზღუდით (ბევრ რამეში ხელოვნურად რომ აღმართულიყო), რომლითაც ამ ახლო წარსულში თავი შემოიფარგლა, ვთქვათ, მათემატიკამ და ფიზიკამ. მათი საქმიანობის მოჩვენებითი ხელმისაწვდომობა კარგი სამიზნეა უფერო-უფერო იგი ყოველთვის მიზანში ხვდება.

ბიზლიჩიშვილი

და მართლაც, მახეების გარდა ექსკურსანტის თვალს იზიდავდა გამჭვირვალე ჯიხური „მარკოზნიკი“ (ასე შეერქვა მისი ამგების, მარკის, საპატივცემულოდ...). მის სახურავზე რაღაც უცნაურად განელაგებინათ მრგვალი ყუთები, პატარა ჯიხურიდან გამუდმებით ისმოდა ერთი შეხედვით რთული ხელსაწყოების ჩხაკუნი, სხვადასხვა ფერის ერთმანეთში სამუდამოდ და საგულდაგულოდ გადახლართული მავთულები პატივისცემას იწვევდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის მთელი ცხოვრების მანძილზე სირთულის ეტალონს წარმოადგენდა და ღღემდეც ასეა საკერავი მანქანა, რომლის სახელურის დატრიალებასაც ბავშვობაში მიკრძალავდნენ....

მეცნიერებაში კი, ჩემის ღრმა რწმენით, თვითმიზანი არ უნდა იყოს არც ხელსაწყო-დანადგარი, არც იდეა, რის დასამტკიცებლადაც იგი შეიქმნა. თვითმიზანი მტკიცებაა. უცნაურად გვეჩვენება, რომ შეიძლება მთელი წელიწადი მზადდებოდეს მოწყობილობა, რათა ერთი გაზომვა ჩატარდეს, შემდეგ კი აღარავის სჭირდება. ეს ხომ ნიუთია! შრომის ხილული ნაყოფი... გამოყენების წუთიდან უკვე დაშლილი, მიგდებული და მივიწყებული. ან კიდევ, უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს ის, რომ იდეა, რომელიც ხუთიოდ წუთში მეტად პოპულარული ენით მოგვაწოდეს და თითქოს გაკვირვებულ კიდევ, თურმე ჯერ კიდევ დიდ შრომასა და ძვირადღირებულ მტკიცებას საჭიროებს: მაგრამ, რატომ? ის ხომ ისედაც ცხადია!

ვთქვათ, ეს იდუმალი მრგვალი ყუთები სახურავზე მხოლოდ და მხოლოდ ცისკენ გახსნილი გალიები იყო, რომელთა რადიალურ ხარიხებზე თითო-ორი-ლა ჩიტი თუ შეიფრთხილებოდა. ხარიხები სადენების სისტემით ელექტრონულ მრიცხველებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც მაშინვე გაიჩხაკუნებდა ხოლმე, როგორც კი მასზე ჩიტი შემოსკუპდებოდა. მარკს იმის გაგება უნდოდა, რომელ ხარიხაზე ჯდებოდა ფრინველი მეტი ხალისით და უფრო ხშირად და წელიწადის რომელ დროს: ჩრდილოეთისაზე თუ სამხრეთისაზე? იგი გადამფრენი ჩიტების ორიენტაციას იკვლევდა.

და სულ ეს არის? აბა, განსაჯეთ, რა შესანიშნავი ნაგებობაა! პირდაპირ ატომური... და მხოლოდ ამისთვის?

კმარა. ძნელი გასათვალისწინებელია საბოლოო მტკიცების ფასი. ალბათ მთელ ცხოვრებას უდრის.

ჰოდა, მე, მთელი არსებით მათი გულშემატკივარი, რომელსაც მოწყალედ დამრთეს ნება თავიანთ წრეში ყოფნისა, — აი, რაში ვიჭერ საკუთარ თავს...

წინა ჩამოსვლაზე სხვენზე შემასახლეს, ასე ვთქვათ, „საჯალაბოს“ თავზე, სადაც კამერალური დამუშავება მიმდინარეობდა. დიდებული სხვენი იყო, თუმცა, კაცმა რომ თქვას, სხვენი კი არა, მეორე სართული ამ სათვალთვალო პუნქტზე კველაზე დიდი სახლისა. აქ ძველი ბადეები და ხარახურა ეყარა. დავბორიანობდი და უცნაურ ნივთებს ვაწყდებოდი. მაგალითად, სხვადასხვა ზომის შუშის თვალეების შეკვრას ფიტულებისათვის, ბუს თვალეებიდან დაწყებული ბელურის თვალეებით დამთავრებული... ამ გარემოში თავს მშვენივრად ვგრძნობდი. ბადეებს გვერდს ვუვლიდი, დაძაბულ შემოქმედებით მღუმარებაში დავაბიჯებდი გრძელ

სხვენზე. როცა ასე სიარული მომხერდებოდა, პაწია ხიდზე გავდიოდა ხილმე — გარეთა კიბის ბაქანზე, და გემის კაპიტანივით თვალმოჭუტული გადავხედავდი ჩემ წინ გადაშლილ სივრცეს: აქედან დიუნებიც კარგად მოჩანდა, ტყვეც ცაც და გასაჭიმ გვარლებზე დასასვენებლად ჩამომსხდარი ჩიტებით დახუნძილულ მახეც. შემქმლო დიდხანს მეცქირა დაფიქრებით, ჩავლრძავებოდი ამ გალურსულ სილაშაზეს, მერე ამომეოხრა და სამუშაოს მივბრუნებოდი, რომელიც წინ არ იწევდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ სხვენზე ძალიან ბევრი მიმუშავია: თითქმის ნახევარი რომანი დავწერე. შინდაბრუნებული ძალზე გამაოცა ამ აღმოჩენამ, პოდა, ამიტომ სხვენზე ცხოვრებამ განსაკუთრებული ბედნიერებისა და წარმატების ელფერი დაიკრა. ამჯერადაც ამ სხვენზე ვამყარებდი იმედებს, სხვა აღარაფერი დამრჩენოდა. ამიტომ ძალზე დამალონა იმ ამბავმა, რომ ჩემი ძველი საცხოვრისი დაკაეებული დამხვდა. ამ მოულოდნელმა ელდამ ხელ-ფეხი შემიბორკა. შემოქმედებითი წვა მიინავლა. ჩემი მდუმარების ერთადერთი მიზეზი სხვენზე იმალეობდა.

უდაბური და მივიწყებული სხვენი ახლა ძალიან მჭიდროდ იყო დასახლებული. პაწია ფრთოსნების გალიებით ავესოთ აქაურობა, ეს ჩიტები ისე დაუზარდათ, რომ მათ ღამის ცის თაღი თვალითაც არ ენახათ. თანამშრომელი № დაკვირვებას აწარმოებდა იმაზე, თუ რა როლს ასრულებს ვარსკვლავებით მოჭიქული ზეცა მათი ორიენტაციის საერთო კომპლექსში... ყოველ დილით ბოლმიან მზერას გავადევნებდი, როცა სხვენიდან დაბლა მოათრევდა გალიებს, რათა მთელი დღე ბუნებრივ პირობებში, ჰაერზე და მზეზე გაეტარებინათ ჩიტებს. საღამოს კი, შებინდებას რომ დააპირებდა, ისევ უკან მიათრევდა, ვარსკვლავების სანაცვლოდ სხვენის ჭერისთვის რომ ეცქირათ. კიბე ვიწრო იყო, ციცაბო, მოაჯირი მორყეული... დიდი, მოუხერხებელი გალიები გზას უღობავდნენ... არც ჩემი თვალი იყო მაინცდამაინც კეთილმოსურნე, ყოველ დილა-საღამოს რომ მიაცილებდა...

— იმაზე არ დაფიქრებულხარ, — ვუთხარი ერთხელ, — რომ უკვე დიდი ხანია ჩიტების აყვან-ჩამოყვანას აკვირდები და არა ვარსკვლავიანი ცის ზეგავლენას მათზე?

არაფერი მიპასუხა. უხმოდ წავედი ჩემი ჯიხურისკენ.

ბიოსადგურის ერთ-ერთმა შვებულებაში გასულმა თანამშრომელმა დიდის ამბით დამითმო საცხოვრებლად ეს ჯიხური, რომელიც თვითონვე აეგო „თავისთვის“, აქ ყველაფერს საკუთარი გემოვნებისადმი დიდი პატივისცემის ნიშანი ესვა, რასაც არ უნდა შეხებოდი, ყველაფერს ოსტატის ხელი ეტყობოდა. ამგვარი საქმიანობა უჩვეულო არ იყო სადგურის ბინადართათვის. ჩვენს დროში ყოველგვარი ოსტატობა პირადად ჩემთვის მნიშვნელოვან ამბავს წარმოადგენდა. სრულად მქონდა შეგნებული მისი არსებობის აუცილებლობა. მაშასადამე, მათი მთავარი საქმიანობაც, ჩვეულებრივი ობივატელის თვალისათვის უხილავი და ჩემთვისაც გაუგებარი, აუცილებლად მოიცავდა ოსტატობას, რამეთუ ეს თვისება ესოდენ აშკარად ვლინდებოდა პერიფერიაში... ჯიხურისათვის საჭირო სამშენებლო მასალა ზღვის სანაპიროზე მოეპოვებინათ; კედლებზე აეკრათ გეოგრაფიული, ისტორიული (ჯვაროსნული ლაშქრობა, ბავშვებისათვის, ოსმანური იმპერია...) და საზღვაო რუკები, სადაც ჩემდა გასაოცრად ეს ჯიხურიც კი აღმოვაჩინე, რომელშიაც ამჟამად ვცხოვრობდი. მთელი ავეჯი—სკამი, მაგიდა, საწოლი...— ყველაფერი გასაშლელ-ასაკეცი იყო, არავითარ ადგილს არ იკავებდა და საოცრად მოსახერხებელი გახლდათ... ჯიხურის პატრონის პირადი ნივთებით ვერთობოდი, საკუთარს ვერაფერში ვიყენებდი. საკუთარი ტუინიც უმაქნისობდა ამ მყუდრო სავანეში. პოდა, მეც ჩემი სამყოფელიდან შორს გავდიოდი სასეირნოდ,

უსაქმოდ დაეხეტიალობდი, ვიწრო ბილიკებზე სამუშაოდ გამოსულ თანამშრომლებს გადავეყრებოდი ხოლმე. უცებ თანამშრომელი ქალი N დავინახე. ხელში ჩიტების საჭერი ბრტყელი ყუთი ეჭირა. „საჯალაბოსკენ“ მიმავალს ავედევნე, რათა დამედგინა, რა იყო ყუთში...

ახლა ჩიტების გადაფრენის დრო არ იყო, ამიტომაც მისი ნადავლი ნამდვილად შემთხვევითი იქნებოდა. ყუთში სამი ჩიტი აღმოჩნდა. კინდელზე უკრძახელ ჩატარდა აზომვისა და ჩაწერის პროცედურა — ძალიან მომწონდა ეს გახეობრივული მოქმედება, რომელიც არტისტიზმში გადადიოდა. ხელისგულში მოქცეული ჩიტი ძალზედ იშვიათი მოვლენაა ყოველდღიურ ცხოვრებაში, აქ კი ამის შემყურეს გეგონებოდა, თითქოს ხელისგული მხოლოდ ამისთვის არსებობსო: ჩვენი პეშვი ზუსტად შეესაბამება ჩიტის პატარა სხეულს, თითქოს ხელი მის ფორმას იმეორებს! ელვის უსწრაფესად ხდება ეს ყველაფერი: ფეხზე ალუმინის რკალის შემოჭერა, ყურნალში ჩაწერა, ფრთის აზომვა... აი, თანამშრომელმა ჩიტს სული შეუბერა, კეფაზე ბუმბული გადაუწია, რათა მისი ასაკი დაედგინა, მერე თავქვე ჩაუშვა ვიწრო, გამჭირვალე პარკში — სპეციალური სასწორის თეფშზე: ჩიტი თურამეტ გრამს იწონიდა. ამას კი მეტად კეთილშობილური საქციელი მოჰყვა — ღია ფანჯარაში პარკის აქნევა... მოულოდნელად განთავისუფლებული ჩიტი პარკიდან მსუბუქად ამოსრიალდა, სამჯერ გამალებით დატრიალდა ჰაერში და მერე სამუდამოდ დაგვტოვა...

ტლანქი, ხეშეში თითი შეკვავი ბადის ნაჩვრეტში. შიგ დარჩენილმა ფრინველმა შავი მძივის მარცვალი შემომანათა, მსუბუქად, მაგრამ მამაცად ჩაუნისკარტა გალიაში შეჭრილ ურჩხულს.

ძალიან მინდოდა გამეგო, როგორ მოქმედებდა დარგოლვით გამოწვეული შოკი ჩიტის შემდგომ ცხოვრებაზე (ხუმრობა საქმე ხომ არაა, აბა, საკუთარ თავზე წარმოიდგინეთ ასეთი რამ...) მაგრამ ამჯერად თავი შევიკავე.

— რა ლამაზი ჩიტია... — ვთქვი ჩემდაუნებურად და ბადიდან ხელი გამოვაცურე.

— კმ, ჩიტი... — ამრეხით გაიმეორა ჩემი ნათქვამი თანამშრომელმა, — აგერ მერამდენე წელიწადია ჩვენთან ჩამოდიხარ, ერთი ჩიტის სახელი მაინც დაგესწავლა... თუნდაც ამისი!.. ჩვენს სადგურს ხომ ამის სახელი ჰქვია!

— და რა ჰქვია სადგურს? — ვიკითხე მე.

— მიბრძანდი და წაიკითხე.

გარეთ გამოვედი. შენობაზე ლამაზი ასოებით იყო გამოყვანილი Fringilla.

Fringilla — ღმერთო ჩემო, ეს ხომ ნიბლიას ნიშნავს, ბავშვობიდან ვიცი ეს სიტყვა, მაგრამ ნიბლიას ვერასოდეს ვერა ვცნობდი. ჩემი თაობის განუყოფელი ნაწილი ვარ, ბევრად უფრო მჭიდროდ დაკავშირებული მასთან, ვიდრე ამას წარმოვიდგენდი. ვერ გეტყვით, ისტორიის, პროგრესის ან საუკუნის რა მიღწევებით შეიძლება გონებაზე გადაკრული ამ ღიბრის გამართლება?! ჩიტი, ხე, ბუჩქი, ბალახი... ვერა და ვერ ჩავწვდი ბუნებას. საბრალო და უსუსური ვარ ტყეში. აი, ტოტიდან ჩიტი აფრინდა... რომელი ტოტიდან? რომელი ჩიტი? „ცხოველებს არა ჰქვიათ სახელები...“

ამ სტრიქონის ავტორი სწორედ ჩემს წისქვილზე ასხამს წყალს. მართლაც, სახელის არცოდნა სულაც ვერ მზღუდავს, უსიტყვო თაყვანი ვსცე ბუნებას და ნეტარებით გავინაბო მის დიდებულებაში, თუკი შემთხვევით ამის შესაძლებლობა მომეცემა... მაგრამ რა უმწეობაა საერთოდ რაიმეს არცოდნა!!!

ფრინველი? — კატკაჭი, ყვაუი, ბელურა... შეიძლება წივწივა...

ყვაკილი? — ვარდი, გვირილა, ენბელა...

პეპელა? — კომბოსტოს თეთრულა... (კარგად შევოლე, ელადიმირ ვლადიმეროვიჩი!...)

ოთახში ჩემი თორმეტი წლის გოგონა შემოდის, ახლა მას ყვებნები:

— აბა, სწრაფად ჩამომითვალე, დაუფიქრებლად, რომელი ხეები იცი?

იგი გოცებით, მაგრამ მაინც მპასუხობს:

— ნაძვი, ფიჭვი, არყის ხე... — პაუზა. — ნეკერხალი, წიწვოვანი ხეები?.. — ჩემი შეილი უფრო სინდისიერია, მხოლოდ იმას ასახელებს, რაც იცის. წიფელი, რცხილა, იფანი... ეს უკვე სიტყვებია და არა ხეები. და შემდეგ:

— ბალახები?.. ოროვანდი, მრავალძარღვა, ბაბუაწვერა... ყველა დანარჩენი უბრალოდ ბალახია.

— ხოჭო მაისის, ნეხვისა...

— ბუნჩები... შავი ცირცელი, იასამანი...

რა სწრაფად ამოიწურა ჩვენი შესაძლებლობები! მეტი არც მან იცის. მისი ცოდნა ჩემსას ჰგავს. შეილები თაობა ჩვენს შეცდომებს კი არ გამოასწორებს, არამედ შეისისხლხორცებს, გაითავისებს...

— ჭიამაია დამავიწყდა — ისიც ხოჭოა... ფრინველები უფრო კარგად ვიცის! — გაეხარდა და მერე ლოცვასავით ჩამოარაკრაკა: — ბელურა, ყვაკი, რაღაც წიქწიქა ვიცი, პატარა თუთიყუში, სტვენია არ მინახავს, სტვენია ისე ვიცი.

ცოტა ხანს დუმდა.

— კოდალა ვიცი... ბატიც, იხვი არ ვიცი. კიდევ ქათამი, ქათამი — ფრინველი არ არის.

— ყარყატი არ იცი?

— სურათზე არ ითვლება.

— თოლია? — ხმაგაკმენდილი შემომცქერის. — თევზი?

— თევზები სულ არ ვიცი, — გაუხარდა, — არც ერთი. გედი — ფრინველია?... იცი, რომელი ვიცი! — შემომცინა გახალისებულმა, — ფლამინგო!..

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩვენი ეპოქის ბრალია. ინფორმაციის მოზღვაება, კომუნიკაციის ნიაღვარი... იქნებ სწორედ იმიტომაცა გვაქვს თავი ასე ცარიელი, რომ ერთხელაც ძვირფასი, პრაქტიკულად სასარგებლო ცნობებით გამოვივსოთ? სავსე თავში კი შეიძლება მათი ადგილი აღარც დარჩენილიყო... არა მჯერა. უამრავი ტელევიზორისა და ავტომობილის მარკა მაჩსოვს, გაცილებით მეტი, ვიდრე ბალახი და ხე. უმეცრებას სწორედ უმეცრება უნდა დაუარქვათ. ჩვენს ეპოქაში კოსმოსში მხოლოდ ერთეულები გაფრინდნენ, ცოცხალ არსებათა სახელების არცოდნა მხოლოდ მათ ეპატიებათ. მაგრამ მე ხომ სხვა ვარ! მე არ ვიცი და არც მეპატიება...

ჩემთვის ამოუხსნელ საოცრებად რჩება ის, რომ ეს უმეცრება ძალზე ბუნებრივია. შეუძლებელია მოგეწონოს ადამიანი, სხვებისგან განსხვავებით, სნობიზმის გამო ყველა თავის და ბალახის სახელს რომ იზეპირებს. ყველა გიჟით ისიც იჩხიბი იქნება. სწორედ თავისი ნატურალიზმით არანატურალური, არაბუნებრივია. მეცნიერების საუკუნეში არცოდნა ისევე ბუნებრივია, როგორც სუნთქვა. სწორედ ეს მათებს. ყოველთვისაა ვიღაც ისეთი, ვინც სწორედ ის იცის, რაც სხვებმა არ იციან. ნუთუ ყველამ ერთი და იგივე არ იცის?..

არსებობა მხოლოდ ორ განზომილებაში: მხოლოდ სივრძივ და, რაც ჩვენთვის თითქმის მიუწვდომელია, მხოლოდ ზევით, 1-მალღეში — ხაზს უსვამს ზე-

დასა და ქვედას თანაფარდობას, გვაახლოებს ერთგვაროვანი გარემოს იდეალთან. ყოველ სკეპტიკოსში ურწმუნოების ნიღბის ქვეშ რომანტიკოსი იკვდება. «Белеет парус одинокий»... რომანტიზმი ჩვენთვის მიუწვდომელი ერთგვაროვან სამყაროში არსებობის იდეას უკავშირდება. პოეტები შურთან / თვალთ აცილებენ მეზღვაურებსა და ავიატორებს, იძიებენ რომ მათემატიკა განახორციელებს. იქ ბოლოს და ბოლოს ფრთაშესხმულია იდეა, სუფიზმი მქონდა უკარგავი — «Как будто в бурях есть покой». მაგრამ არა ბოლომდე, ბოლომდე არა... ისინი შეაღწევენ ასეთ გარემოში, მაგრამ მას მაინც არ განეკუთვნებიან. შეაღწევენ მხოლოდ აპარატში მსხდომნი და მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად, თანაც არა სამუდამოდ: მერე არის დაბრუნების გათახსირება — ნაყალბევით იმედგაცრუებული სული.

მხოლოდ სულიერი სამყაროა ადამიანისათვის მისაწვდომი ერთგვაროვანი გარემო. მაღალი აზრი ყველასათვის მისაწვდომია, მასზე შეიძლება იფიქროს სხვადასხვა ადამიანმა დედამიწის სხვადასხვა წერტილში და სხვადასხვა დროს, ესე იგი, ყველა გზა მისკენ მიდის, მაგრამ მიღწეული, ერთი და ერთგვარია. მართოდენ სიმაღლე გვანიჭებს მარტოობის დათრგუნვის უნარს, მხოლოდ ამადღება გვძენს იმ საერთო ადამიანურ ბუნებას, დაბადებითვე თანდაყოლილს... თუ ვინმემ უკვე მიაღწია ჭეშმარიტებას, და ვინმე თუ კიდევ მიაღწევს მას, ეს იგივე ჭეშმარიტება იქნება, ყველა გზა მისკენ მიდის. ყველაზე უფრო თანასწორნი აქა ვართ დაბლა, მიწადაქცეულნი, ან უსაშველოდ მაღლა, ამადღებულნი. ყველაფერი სხვა მხოლოდ გზებია, ურთიერთგადამკვეთი გზები. გატანჯული მწირი ცასა და ზღვას შეჭყურებს — ჰორიზონტი უკან იხევს, ცა კვლავინდებურად მაღლაა.

ასე განუმარტავდი ახლა სიმაღლის ამ გაუგებარ იდეას — ვიდექი დედამიწის ყველაზე უფრო განდგომილ, მივარდნილ ადგილას და ვოცნებობდი. ოთხი განზომილების მთლად გათხელებული, თითქმის უხილავი ძაფები აკავშირებდა აქაურობას სამყაროსთან. ორი მათგანი უკვე გაქექილა, ასე გგონია, ეს ორი უკანასკნელიც რომ გაიხეხოს — დრუბლის ფთილასავით პაწია მიწა სადღაც გაფრინდებაო.

მაგრამ კოსას ეს სივიწროვეც კი, რაც პრაქტიკულად უარყოფდა სამყაროს ერთ განზომილებას, ეს დაუსაბამო ქვიშა, წყალი, ცა და უკაცრიელობა მაინც ვერ იძლეოდა იმ ერთგვაროვანი გარემოს ეფექტს, რომელშიც თითქმის ვიმყოფებოდი. და ყოველგვარი სხვა ახსნა, ნაწილობრივი იყო — შეუძლებელი იყო აგეხსნა... ვთქვათ: ეს ქვეყნის ყველაზე დასავლეთი ნაწილია... მაგრამ კიდევ უფრო დასავლეთითაც ვყოფილვარ. იმ მიწას პოლონეთი ერქვა, პოლონეთი იყო, და სხვა არაფერი, მაშასადამე დასავლეთით უკვე აღარ გრძელდებოდა ეს სასწაული (თუმცა არც არასოდეს მიფიქრია, რომ აუცილებლად გავრძელდებოდა...). ან კიდევ მეორე, უფრო საფუძვლიანი მიზეზი — სახელმწიფოებრივი: ამ მიწას ორმაგი ტაბუ ედო: ნაკრძალისა და სასაზღვრო — ეს არაპოეტური, მაგრამ რეალური ახსნა იყო. გასაგები ხდებოდა, აქაური უკაცრიელობა, უდაბურება, ნადირთ სიჭარბე... მაგრამ ისევ და ისევ აუხსნელი რჩებოდა მისი არამიწიერება. უფრო მოულოდნელი მიზეზიც ჰქონდა ამ მიწის ორგანულობასა და ჰარმონიულობას. ასეთი ღმერთს არ შეუქმნია იგი, ასეთი ადამიანის ხელმა ქმნა. საყოველთაოდ ვბადალებული ნოოსფეროც აქ შედარებით გამართლებული და კეთილშობილურია. ადამიანმა აქ თვითონ აშენა ტყეები, ამრავლა ნადირი. საუკუნესაც არ ითულის მისი ისტორია, მე კი აღფრთოვანებული ვარ ამ მშვენიერებით. კოსას ისე ძალიან შვენივს აწმყო, რომ ძნელი დასაჯერებელია მისი ხანმოკლე წარსული. ვცდილობდი წარმომედგინა იგი პირველქმნილი, ესე იგი ფიჭვის, არყის

ხისა და მაყვლის ბუჩქის, შველ-ირმის ჯოგისა და ტახის გარეშე: ველური ქარი გაშმაგებით ეხეთქებოდა და ადგილს უნაცვლებდა დიუნებს. უადამიანო, მეჩხერი ტირიფნარი ცახცახებდა, უადამიანოდ დაფრენდა ჩიტი... ეს ყველაფერი საკმარისი იქნებოდა ერთი ბაღადისათვის: პოეტი ლაბადაში გაეხვეოდა, თვალმოჭუტული შორეთს გახედავდა და კბილებში ქვიშის ხრაშუნო დიუნებს სტრიქონს ჩაიბუტბუტებდა, ამ შიშველი კოსასავით მეტყველ სტრიქონს, მერე ქახურავახდილი და ფარდებმოშვლებილი ეკიპაჟით უკანმოუხედავად გაქროლდებოდა. უკვლავი პოემა ჭკვიანი სტრიქონებით ჭვრეტდა მომაკალს. არა, ასეთი კოსა მე არ უცოდი და არც ვინაღვლებდი მასზე — ყოველთვის როდია სწორი გარდასულზე წუხილი: განა ყველა წყალს ჩვენ წინ ჩაუვლია?..

მაგრამ ვერც ის გაოცება, რომ კოსა ნაწილობრივ ხელოვნურია, ვერც ის, რომ იგი ჩემი არ არის და რომ იგი ნაკრძალია, ვერ ხსნიდა მის არამიწიერ მდგომარეობას — იყო კიდევ ერთი, უკანასკნელი და ნამდვილი მიზეზი: იგი საერთოდ არ იყო მიწა. პრინციპულ კარტოგრაფს შეიძლება არც აღენიშნა რუკაზე კოსა, ანდა ახალი პირობითი ნიშანი უნდა მოეფიქრებინა — არც მიწისა და არც წყლისა — პუნქტირის რაიმე სახეობა. იგი არ შეესატყვისებოდა ხმელეთის განმსაზღვრელ ნიშნებს, ყოველ შემთხვევაში მთავარს მაინც. მაშასადამე მეცნიერების თვალსაზრისით, რომელსაც ნიშნებისა სჯერა და არა თვალისა, კოსა მიწა არ იყო — პირდაპირი მნიშვნელობით იგი ზღვა იყო და არა მიწა. ეს იყო ფსკერი, ჰიპერტროფირებული მეჩენი, წყლიდან მაღლა ამოზიდული. მკაცრი მეცნიერის აზრით, ეს მიწაა, ვეშაპის ზურგისოდენა მიწა, რომელიც წყლიდან ამოზინულა, რათა ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩაიძიროს. იგი შემწყნარებლურად ჩაიციხებდა და დასძენდა: ჩვეულებრივი შეცდომაა — კაცობრიობის პერიოდის აღრევა გეოლოგიურში. გეოლოგიური თვალსაზრისით კოსა მსოფლიო ოკეანის ზედაპირზე იმდენად ცოტა ხნით ამოწეულა, რომ ვეშაპის ამოზნექილ ზურგთან მისი შეღარება გაცილებით უფრო უპრიანია, ვიდრე ნებისმიერ, თუნდაც წამიერ გეოლოგიურ ეპოქასთან. მართლაც რომ წამიერი წარმონაქმნია კოსა — ქარი გადარეკავს მას, ასეთი ზღაპრული ხისწრაფით რომ ქრის მატერიკისაკენ: რამდენიმე ათეული მილიმეტრით წელიწადში. ადამიანი ცდილობს მუდმივპყოს ეს გეოლოგიური წამი, ამ წამის მშვენიერება. ამიტომაც გამუდმებით ფუსფუსებს, ხეებს რგავს, უზარმაზარ ჯებირს აპროექტებს, რომ კოსა ზღვიდან გამოჰყოს, ბოლოს კი, როცა მიზანს განახორციელებს, მიხვდება, რომ კოსა კი არა, დამბა იქნება ეს.

ასეთი განმარტება საოცარს სარწმუნოდ აქცევს: აქაურობას არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობოდა მატერიკისა. დედამიწის ამ ზედაპირის განსაკუთრებული მდგომარეობა გამონაგონი არ არის, — ამის დასტურია არა მარტო უკანმოხედვა და ნალვაწის გადასინჯვა, მიზეზთა აუხსნელობა და პირველქმნილით გაოცება, არამედ კიდევ ერთი ფაქტი, რომელსაც ცოტა მოგვიანებით ჩავწვდი: კოსას სულიერ სიქათქათეში მატერიკის ძირძიტა ჩანერგილიყო. კოსა სრბოლით კუნძულს დასწეოდა, მაგრამ ჯერ ვერ გაესწრო მისთვის. მატერიკის კოსასთან შეერთების ადგილას უეჭველად შეიგრძნობთ სხვაობას: აქ სხვა ძალები მოქმედებენ, აქ ყველაფერი უფრო ბრტყელი, უფრო ხორციელი და ავადმზრახველია, ცაც კი; მეთევზეები ცხოვრობენ ამ მიწაზე, ჩოფურა ხალხი, მათი დაბალფეხება, ჩანჩურა ძაღლები დაძუნძულებენ აქ (ქარის დაუსრულებელმა ქროლვამ შექმნა თითქოს ცხოველთა ეს განსაკუთრებული ჯიში). სხვაგვარი ქაურია აქ, სხვაგვარი წვიმა წვიმს — ეს მიწაა, ნამდვილი მიწა, და მისი ბინადარნი თითქოს მართლა კუნძულზე ცხოვრობენო, კოსას ხმელეთად არც თვლიან, რალაცნაირი უნ-

დო, უგულვებელყოფელი ჭკრეტით გასცქერიან საკუთარი საცხოვრებლიდან, როგორც უცხო სივრცეს, როგორც წყალს, არა თავისას, არამედ — სხვისას.

ცნობილია, ადამიანს უნარი არ შესწევს წარმოიდგინოს ის, რაც არასდროს უნახავს. მისი ხატოვანი წარმოდგენა ჯოჯოხეთზე ბევრად უფრო დახვეწილ-დიფერენცირებული და დეტალურია, ვიდრე სამოთხეზე. თანამედროვეობით, ასე ვთქვათ, მჭიდროდაა დასახლებული ჩვენით და ჩვენივე ნაცნობ-მეგობრებით. სწორედ ამიტომაც ჯოჯოხეთი ჩვენთვის ასე თუ ისე გასაგებია. საკმარისია წარმოიდგინოთ ერთდროულად ერთმანეთთან ახლო-ახლო დალაგებული (ვთქვათ, ერთ ტილოზე გამოსახული) და ყოველდღიურ ფუსფუსში დანახული საგნები, ბაკანში ჩადგმული ჭუჭყიანი ქვაბის, ვარდისა და ლორწოს ამაზრზენი მეზობლობა (დაასახლისის მშვენიერი ეზო ყირიმში, სადაც ახლა ამ გვერდს ვწერ...) და ადვილად ჩასწვდება ჯოჯოხეთის მთელ არსს. ჩიტები ჯერაც არ გაფრენილან ამ მოთხრობიდან... ბოსხთან უსათუოდ შევხვდებით თევზსაც, ჩიტსაც, რომელიც სულაც არ გზარავს, ჩიტის გამოხედვას იგი ყოველთვის რალაცნაირ ცნობისმოყვარე-უსწინარ გამომეტყველებას ანიჭებს*... სამოთხეზე კი საოცრად დარიბი წარმოდგენა გვაქვს. გაუსაძლისად არამიმზიდველად გვესახება იგი, პირში თითქოს სევდის მწკლარტე გემოს გვიტოვებს.

კოსაზე ყოფნამ მანამდე უცნობ განცდას მაზიარა, ახლა თითქოს თავისუფლად შემძლია ნამდვილი სამოთხე წარმოვიდგინო: იგი მაინცდამაინც განსხვავებული არაა ამა სოფლისგან, არაფერია მასში გამოგონილი, ისეთი, რაც უცხოა ან არ გვისნახავს, სამაგიეროდ ბევრი რამ ჩვენთვის ნაცნობი იქ არ არსებობს. სამყარო იგი უცოდველი, უბიწო და თავისუფალია, ვნებისგან დაწმენდილი, ტკივილი არ იცის, იმედიც არ ციმციმებს არსად. არავითარი დამოკიდებულება არ გაგვანთა მისდამი: სამოთხე არსებობს უჩვენოდ და თითქოს საკუთარი თავის გარეშე. იქ ყოფნა სულ არ გვაძძიმებს, რამეთუ ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ იქ, და თუ ვართ, მაშასადამე ეს უკვე ჩვენ აღარა ვართ.

არ ვიცი რატომ, ამ სამოთხეში ადვილია სიკვდილზე ფიქრი... ალბათ, იმიტომ, რომ თავად სამოთხეც სიკვდილის შემდეგაა, რამეთუ სიკვდილი იქმნა უკვე...

ამ დღიდან მოყოლებული ყოველდღე... გავეცლებოდი ჩემს მღუმარე საბეჭდ მანქანას და როგორც კი ზღურბლს გადავაბიჯებდი, აღმოვჩნდებოდი იქ, სადაც დასაწერი არაფერია, არც უნდა წერო, უბრალოდ უნდა დაინახო, აღიქვა და მადლობა უთხრა უფალს დანახვისათვის... ზღვის მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯს გადავდგამდი და ვიცოდი, რომ დიუნის გაჩეჩილი თავის იქით ზღვას დავინახავდი. ეს ლამაზი მოლოდინი არა და არ ჰკარგავდა სიმძაფრეს: ბარზანს შემოვუვლიდი, რომელიც თითქოს ქარის ძლიერი ქროლვისაგან იცავდა ღარ-

* ბოსხის ჯოჯოხეთი, მგონი, უპირველეს ყოვლისა იმდროინდელი საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ხელსაწყო-იარაღების სრულ ნებსას წარმოადგენს. ხოლო რაც შეეხება გამოსახულების უტყუარობას, უნდა ითქვას, რომ ყველაფერი მეტისმეტად სიზუსტითაა გადმოცემული. სამშენებლო ტექნიკის გამოყენებითა და ყველა წესის დაცვით აგებენ უწმინდურები თავიანთ კოშკს. ცოდვილები ცხელ ქვაბებში და ტაფებზე იწვიან, ამ ნივთებს, ალბათ, ნებისმიერი დიასახლისი ხმარობს ყოველდღე. ასეთი რამ ქარბადა იქვს მოცემული. ყველაფერი ერთდროულად, ერთად დასანახად, ბოსხის ჯოჯოხეთი სწორედ ცხოვრებასთან მსგავსებით გვზაფრავს... სწორედ ალექსელის ჯოჯოხეთია...

ტაფს — და უცებ ნაპირზე აღმოჩნდები და ეს მერამდენედ ვგრძნობდი, რომ იქაც, ჯიხურშიაც, სადაც საბეჭდი მანქანა მედგა, გამუდმებით ხმაურობდა ზღვა, რომ სწორედ ამ ხმამ გამომიტყუა გარეთ, რათა მენახა, რა ხმაურობდა: ნამდვილად ის იყო, ზღვა. ხარბად ვისუნთქავდი მკერდით ჰაერს და სივრცეს გავსებ-როდი.

„ ნეტავ სულ ასე მამყოფა...“ — ეს ბანალური ფრაზა საკმაოდ მსუსტად გდამოსცემს ჩემი მოქმედების არსს: ამას მოჰყვება ამოხურა — და შე უკვე აღარ ვუყურებ ზღვას. ერთ კითხვას უტრიალებს ჩემი ფიქრი: რა ზღუდავს ნეტარებას, თუ ხელისშემშლელი არაფერია? მე არსად მაგვიანდება და არც ვინმეა ჩემთან, რომ დამაჩქაროს, მაგრამ ტკბობა აღარ ვგრძელდება, არც ნახევარი საათი, არც ხუთი წუთი, ვფიქრობ — არც წუთი, ალბათ, სულ რაღაც ნახევარი წუთი თუ ვავეურებ შორეთს თვალმოჭუტული, თანაც ბოლო წამები დამაბული და არაბუნებრივია, მერე ჩემს გუნებაში ამოვიოხრებ კიდევ — და ყველაფერი ასე მთავრდება.

უკანდაბრუნებისას დოქტორს ვკითხე, მისი აზრი მაინტერესებდა ამის შესახებ.

— მაპატიეთ, თემას გადაუხვიე... რამდენი ხანია მოვდივართ, ნაპირს მოვუყვებით საუბრით გართულნი, მაგრამ ბოლო რამდენიმე წუთია მე მხოლოდ უკან დაბრუნებაზე ვფიქრობ. არც გვშია, არც დაუღლილვართ, არც არსად გვეჩქარება, არც მოგვეწყენია; ნაპირი მთელ გაყოლებაზე ერთნაირია, ხვალამდე რომ იარო, არაფერი შეიცვლება... და მაინც, გავიფიქრე — მაინც უკან დაბრუნება გვიინდა. ან რა იყო, ან რა დამთავრდა, რამ განაპირობა ჩვენი მობრუნება? ნეტავ რითი ვართ დამუხტული, ან რა მუდმივა განსაზღვრავს თითოეული ჩვენი ნაბიჯის სიგრძე-სიგანეს? ვთქვათ, არა ვართ შებორკილი რაიმე მოვალეობით ან ვალდებულებით, მაინც ვერ დაუუთმობთ მთელ ცხოვრებას სასიამოვნო საუბარს... წარმოიდგინეთ, რომ შეეყვარებული ხართ, სათაყვანო არსებასთან ერთად მიდიხართ — მაშინაც უეჭველად დაბრუნდებით უკან. დათქმულ პაემანზე დაელოდებით ოცდაათი წუთი, ერთი საათი, სადარბაზოსთან კი, შესაძლოა, მთელი დამეც გაატაროთ, მაგრამ ახალ წლამდე ხომ ვერ დარჩებით, განთიადისას უთუოდ გამოეთხოვებით: გოგონას ეჩქარება, დედა ნერვიულობს და რაღაც ამგვარი... მაგრამ ერთი საათის წინაც ხომ არსებობდა დედა და აქამდეც უნდა დაშორებოდით ერთმანეთს, მაგრამ რატომღაც მაინცდამაინც ახლა დადგა ის საბოლოო წამი. ბუღბუღია თუ ტორილა? მერამდენე თხოვნის შემდეგ მიდის რომეო? რატომ ცოტა ადრე არ წავიდა ან ცოტა გვიან? თუნდაც მე, რატომ არ ვფიქრობდი დროზე, სანამ მოვდიოდით ან ახლა რატომ არ ვფიქრობ, როცა უკან ვბრუნდებით? რა ფიქრმა დაგვაბრუნა უკან?

* — ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, სწორედ ამან დაგვაბრუნა, — მიპასუხა დოქტორმა, რომელსაც სიზუსტე სჩვეოდა ყველაფერში, თუმცა ჩემი მსჯელობა იმდენად შორს იყო მეცნიერებიდან, რომ გვერდის ავლა ამჯობინა. მას შეეძლო განემარტა ბიოლოგიური საათი, მაგრამ ეს ხომ სულ სხვა იყო... მოგეხსენებათ, ბიოლოგიური საათი — ეს...

გუსმენდი, მაგრამ არ მახვევებდა ერთი ფიქრი: რითია დაინტერესებული და რითი არა მეცნიერება? ნუთუ არ შეიძლება მეცნიერული სიზუსტით იქნას გაანგარიშებული და ახსნილი ჩემ მიერ წამოჭრილი საკითხი? უამრავ კანონზომიერებათაგან რომელს ირჩევს იგი შესასწავლად (ბუნებრივია, მხედველობაში არა მაქვს იმ მიმართულებათა განვითარება, ცხოვრებაში გამოყენებითი დანიშ-

ნულება რომ აქვთ — ლაპარაკია, ეგრეთ წოდებულ წმინდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაზე; რომელიც დაკავშირებულია გარე სამყაროს შეცნობასთან)?

— მომდევნო კანონზომიერებას, — თქვა დოქტორმა.

— ესე იგი?

— ჩვენ მიერ უკვე აღმოჩენილის მომდევნოს.

— ამ შემთხვევაში უსაათოდ გადაუხვევთ მიზანს.

— როგორ? — იკითხა დოქტორმა.

— თქვენ განიზრახეთ მოვლენის შესწავლა, აღმოაჩინეთ რაღაც კანონზომიერება, ამან გაპოვინათ გზა მომდევნოსაკენ, ამას მოჰყვა გზა შესამესაკენ, მერე მეზუთესაკენ და ასე შემდეგ. ამასობაში ის მთავარი მოვლენა, რომლისთვისაც ყველაფერი ეს წამოიწყეთ, განზე ხომ არ დავრჩათ?

— აჰა, — თქვა დოქტორმა, — როგორ გეკადრებათ.

— აჰა რა გამოდის, — გამყვინა მე. — თქვენ ჩიტებს შეისწავლით. დაგაინტერესათ ჩიტების გადაფრენამ. შეისწავლით გადაფრენას, ამ დროს თქვენს ყურადღებას იქცევს ენერგეტიკული ფაქტორი. იკვლევთ იმას, რა ჰქვია, მეტაბოლიზმს? — ახლა მთელი გულისყური გადაგაქვთ ჩიტის წონის ცვალებადობაზე. მერე იკვლევთ ფრინველის ქონს და ბოლოს და ბოლოს, ხომ არ გეჩვენებათ, რომ ჩიტის სიმსუქნეს შეისწავლით?

— მაგრამ ჩვენ ხომ მანამდე შევისწავლეთ სხვა დანარჩენი ?

— ჩიტს ხომ თვალებიც აქვს, ფრთებიც... ჩიტის ტვინი აქვს ჩიტს?

— მიპასუხეთ, — გაეცინა დოქტორს, — ოროსანი არასდროს ყოფილხართ?

— როგორ არა, — დავეუბნე მე.

აი, ასე დავდიოდი ზღვაზე, იმიტომ რომ, სადმე დოქტორს გადავევროდი, ან ის გამოდიოდა ჩემ შემდეგ გამოუძინებელი. ეტყობოდა, მუშაობაში დასთენებოდა. არა და არ ლაგდებოდა მისი ციურები, ჩემი ასოებიც სდუმდნენ. სალამ-ქალამის გარეშე ვაგრძელებდით წინააღმდეგობით შეწყვეტილ საუბარს. სინდის-ნამუსისულ დაკარგვ. ნიჭიერი მოწყობის პატივმოყვარეობას ვეძლეოდი. ისეთ კითხვებს ვუსვამდი, რაც ადრეულ ბავშვობაში მაწკალებდა და არავისთვის მიკითხავს. იქნებ ზოგი მათგანი უპასუხოდაც რჩებოდა, მაგრამ ყოველგვარი კომპლექსისგან ვთავისუფლდებოდი. მე უარს ვამბობდი პასუხგაუცემელი კითხვების შემდეგ რაიმეს გაგებაზე და ორს ვღებულობდი. სტკივა თუ არა მწერს? ფიქრობს თუ არა ჩიტი? გრძნობს თუ არა ხე? აქვთ თუ არა ცხოველებს იუმორის გრძნობა? სად დაიკარგა ევოლუციის შუალედური რგოლები (ანუ, რატომ აირბინა ადამიანი ევოლუციის კიბე საფეხურგამოტოვებით)? შეწყდა თუ არა ევოლუცია და რატომ? რითი იკვებება ამდენი კოლო ჩემი არყოფნის დროს? შეიძლება თუ არა მოვაშოროთ პარაზიტი ბიოლოგიურ ჯაჭვს ყოველგვარი ზიანის გარეშე? აქვს თუ არა გარე სასქესო ორგანო ჩიტს? და ეს საუბარი ბოლოს და ბოლოს რაიმე მზაკვრულ კითხვას წარმოშობდა, რომელსაც თავისით მივყავდით ერთ საკითხამდე: რა არის ადამიანი?

პასუხი არ იყო, მხოლოდ მიკიბული-მოკიბული ლაპარაკი.

— არ შეიძლება არსებობდეს ისეთი პასუხი, როგორც თქვენ გნებავთ, — თქვა ბოლოს დოქტორმა. — ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის ტილოფარდია. მეტის უნარი არ შესწევს. ღმერთი რომ არსებობდეს, მხოლოდ მას ეცოდინებოდა, რა არის ადამიანი.

— ნამდვილად იცით, რომ არ არსებობს?

— ვფიქრობ, არც არასდროს არსებობდა.

ის იყო რაღაცის თქმა ჟავაპირე, რომ დამასწრო:

— ამოდ ნუ დავშვრებით. ეს მცნება მეცნიერებას არ ეწინააღმდეგება.

ახალს მე ვერაფერს ვიტყვოდი... დოქტორის, როგორც სპეციალისტის ცოდნა შემქმნელი მთელი სიზუსტით შემესრუტა, მაგრამ ყველაფერი ეს ჩემი გონების გავლით სადღაც მიფრინავდა. ბავშვობიდან მაინტერესებდა, „ბალიშა“ კამფეტში როგორ დებდნენ მურაბას...

ყველაფერი, რაც მისგან გავიგე, ეს იყო „ცოტ-ცოტა ბევრის შესახებ“ ან „არაფერი არსებითის შესახებ“. თურმე ახალ ზელანდიაში ბინადრობს ჩიტი, რომელიც დაწვევილების პერიოდში სახლს მიწაზე იშენებს, სახლს ჩვეულებრივად შესასვლელი კარით. დედალს თავვანს სცემს და პაემანზე ნისკარტში ყვავილგაჩრილი მიდის. ან კიდევ, ჩიტებმა ადამიანებზე აღრე იცოდნენ, რომ დედამიწა მრგვალია, მაგრამ გადაფრენის დროს აზიმუტს იმ ვარაუდით იღებენ, რომ იგი ბრტყელია (შეიძლება კიდევ ამერია ყველაფერი...), ანდა ის, რომ ჩიტები არ ავადმყოფობენ.

ეს უკანასკნელი ცნობა ვანსაკუთრებით მძაფრად შევიგრძენი და განვიცადე... იგი სავსებით ეწინააღმდეგებოდა წინააღმდეგობით გაგონილს, (მე, ბუნებრივია, ყველაფერს სიტყვაზე ვიჯერებდი), რომ ყველა ჩიტი ავადმყოფია, რომ არ არსებობს ჯანმრთელი ჩიტი.

— ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, რომ ჩიტები მზიარულად დაფრინავენ, — ნაღვლიანად მითხრა ერთხელ ბიოსაღგურის თანამშრომელმა ქალმა (ჩიტსაჭერიდან ბრუნდებოდა, სპეციალური ბრტყელი, ზემოდან ბიდეგადაჭიმული ყუთი ეჭირა და მოფართხალე ნადავლი მოჰქონდა). — ზემოდან რომ დახედავ, ასე მოჩანს — ბუმბული და სიხუფთავე. ჩვენსავით რომ ხელში დაიჭირო, ნამდვილად დაინახავ, რამდენი პარაზიტი ეხვევა მათ დაწვევილებულ-ტრამვირებულ სხეულს...

სიმსუბუქის გარეგნულ საფარქვეშ ჩამალულმა ამდენმა სიმწარემ (და მაინც როგორ ლივლივებენ ჰაერში) ჩემში დიდი ნდობა და თანავრძნობა გამოიწვია. დოქტორმა ასე ახსნა ჩემი გაოცება: ეს ყველაფერი გარეგნულია, ნამდვილად ასეა; ჩიტები არ ავადმყოფობენ იმ ვაგებით, როგორც სხვა თბილსისხლიანები, მათ შორის ჩვენც: მათ საერთოდ არ უწევთ სიცხე, მათი ორგანიზმის ტემპერატურა უფრო მაღლა ვეღარ აიწევს. და მე ახლა შევიგრძენი მთელი სისავსით ის 42° გრადუსი, რაც სკოლიდან დამამახსოვრდა სხვა რაღაც-რაღაცებთან ერთად: ჩიტები ზღვარზე ცხოვრობენ (აი ფრენის საფასური...) მათ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა იმ ინტენსიურობის ზღვარზე მიმდინარეობს, რაც თბილსისხლიანებისთვისაა შესაძლებელი. ისინი მუდმივ ციებ-ცხელებასა და ხურვებაში არიან. ჩვენთვის მსუბუქი ფორმა 37, 5° მათთვის სიკვდილია. აი, ამ აზრით არ ავადმყოფობენ ჩიტები.

რაოდენ შეზღუდულია ჩვენი სიცოცხლის არე. თითოეული ჩვენგანი სწორედ იმგვარი ინტენსიურობით უჩივის ამას, რომ როგორმე მთელი სისავსით არ შეაწუხოს ამ ამბავმა, (ნებისმიერი ჩვენი სიმძნელე დროებითი და წარმატალია, და იმას აღარ ვფიქრობთ, რომ სწორედ სიმძნელე ცხოვრების ნორმა, რომ ხდება, მაგალითად, ომი, როცა ადამიანები თითქმის არ ავადმყოფობენ, ჩიტებივით). ამ იშვიათ პლანეტაზე — დედამიწაზე, სადაც განგბადი სწორედ იმ რაოდენობითაა, რომ ვისუხითქოთ, სადაც მტკნარი წყალი დიდი გაჭირვებით ვკვოფნის, სხეულის ტემპერატურაც სხივივით ვიწრო დიაპაზონშია მოქცეული $T \leq 42^\circ$. მთელი საარსებო სივრცე ნიშებად და არეალებადაა დაყოფილ-დატიხრული, ჩვენ დაუფრინავთ და დიდიდან სადამომდე ველაპავთ ძლივს სამყოფ საკვებს, რომ როგორმე 42/37/გრადუსი ტემპერატურა შევინარჩუნოთ, რადგან ოდნავ გადაცილება ან გადახურება უჭმელ-უსმელობასავით სიკვდილის ტოლფარდია. ეს ყვე-

ლაფერი გვერდიგვერდაა და მჭიდროდაა ერთმანეთში გადაწნულ-გადახლართული. რომ მოიცალო კიდევ თავის რჩენაზე ზრუნვისგან, როცა საკუთარი არსებობა გეჩვენება ყველაზე მნიშვნელოვანი, და დაფიქრდე, ძალიანაც რომ მოინდომო, მაინც ვერ შეძლებ შენი არსებობა სხვისაგან გამოაცალკეულ, დახმარების გარეშე მაინც ვერ იტყვი, მართლა დამოუკიდებელი სხეული ხარ თუ მოლიანი სამყაროს თანშეზრდილი ნაწილი.

აი, ჩიტო, დიდი ჩიტო. ჩახედეთ დაჭყეტილ თვალში — მის მზერას ვერ დაიჭერთ. მხოლოდ პატარა ჩიტებსა აქვთ ის ცოცხალი, მძივებივით მოკაკლული თვალები, რომელთა გამომეტყველებაც ძალიან გასაგები გვეჩვენება. დიდ ჩიტს კი საშინელი, ველური, წითელი თვალი აქვს. ზეცაშია იგი ლამაზი («То крылом волны касаясь...») — ახლოდან კი, მახინჯი და საშინელია. იმდენად არა გვგავს ჩვენ, რომ ანთროპომორფიზმის რაიმე ცოდვაში ჩაუარდნა ყოვლად გამორიცხებულია.

ეს თოლია იყო (მისი სახეობის განსაზღვრისას ბიოსადგურის თანამშრომლებმა ბევრი იკამათეს). თოლიები მახეში საერთოდ არ ებმებიან. იგი ნორჩმა ნატურალისტმა, საშამ მოიყვანა, რომელიც ბიოსადგურში ეზიარებოდა თავის მომავალ პროფესიას. საშამ ვარდისფერლოყება, შავთვალა, ჯანმბაგარი ბიჭი იყო. დედიკოს სიყვარული. თოლია საოცრად არ ჰგაუდა მას. ბიჭი აღზნებული იყო და გაუთავებლად იმეორებდა ერთხელ ნაამბობს. მან ხელით დაიჭირა თოლია, როგორც ივანუშკა-დურაჩოკმა ფასკუნჯი. მეკარის ნახტომით ისკუპა და დაიჭირა. სრული სიმართლეა! ბიჭი ზღვის ნაპირს მიუყვებოდა. თოლიების მთელი გუნდი წამოფრინდა, ეს კი არ განძრეულა. ბიჭმა ისკუპა. ნამდვილად ხელით... თვითონაც არ სჯეროდა: გაგონილა, ადამიანმა ხელით დაიჭიროს თოლია!.. საკუთარ გმირობას თანდათან ფასი ეკარგებოდა მის თვალში. არავის გაუკიცხავს მაგრამ არც არავის შეუქია. „ორი საათი ხელით ვატარე!“ — განაწყენდა ბოლოს.

— ასე ხომ შიმშილით მოკვდება! — თქვა ვიღაცამ. ნათქვამს მაშინვე საქმე მოჰყვა.

საკუთარ თავთან მარტო დარჩენილს ხშირად აღმინიშნავს პრაქტიკული საქმიანობის რამდენადმე საქები არასანტიმენტალობა (ახლა კი უფრო სანტიმენტალური ვიქნები, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ეს ყოველთვის ძალიან მომწონდა). საველე სტაციონარის თანამშრომლები თავად ძალზე ერთფეროვნად იკვებებოდნენ (ფაფა და კონცენტრატები), თვითონ იკლებდნენ, ხარშავდნენ და ანამცეცებდნენ კვერცხებს, ხეხავდნენ სტაფილოს და ასე შემდეგ, რომ ფრთოსანი ტყვეები გამოეკვებათ. ისინი იმ ბავშვების მშობლებს ჰგავდნენ, მუდამ ბავშვებად რომ რჩებიან. ნებისმიერი მათგანი სინანულისა და სინდისის ქეჩხის გარეშე გამოფატრავს ჩიტს რაღაც უაზრო ექსპერიმენტისათვის, მაგრამ წინდაუხედაობით თუ წაუხდა რამე, ძალიან ინალკლებს და ეწყინება. ერთხელ მახეში უამრავი ჩიტი გაება, დროულად ვერ მოასწრეს გათავისუფლება და ბევრი დაეღუპათ, მერე დასხდნენ და შეჭამეს! საქმე მარტო პროფესიულ ღაზათს როდი შეეხება, ან იმის სავანებო ხაზგასმას, რომ არ ეზიზღებათ ცოცხალი არსება, ან თუნდაც ობივატელური წარმოდგენებისაგან შორს მდგარ პროფესიულ თავისუფლებას — ისინი ყვავსაც შესანსლავენ და მელასაც (საჭმელად უვარგისი ხორცი არ არსებობს! — მათზე დაკვირვების წყალობით ეს ერთი პერიფერიული აღმოჩენაც გავაკეთე: გასათვალისწინებელია, როცა ტყეში შიმშილით სიკვდილის საშიშროება გემუქრება — რა არ ხდება ცხოვრებაში!..) — საქმე ეხება აგრეთვე გაუცნობიერებელ, მაგრამ მაინც დანაშაულის გამოსყიდვას ბუნების წინაშე, სადაც ტყუილუბრალოდ არაფერი იღუპება. მათ ეს პრეცედენტი ნადირობად აქციეს (მგელი

სისხლისმსმელი კი არა, მშიერია, როცა საჭმელს ეძებს...), დანაშაული იმით გამოიხსიდეს, რომ დაუდევრობით ჩადენილი შეცდომა ეკოლოგიური სისტემის რიტუალად ჩაწერეს, თითქოს ჩიტები საკუთარი მუცლების გამოსადობად მოეპოვებინათ...

მაშინვე დაანამცევს მოხარული კვერცხი, ერთ-ერთ თანამშრომელს ჩიტი მარჯვედ ეჭირა, პირს ძალით უღებდა და ცდილობდა, როგორმე ჩიტის სისხლი კი აზრზე არ იყო, მისთვის თუ სიკეთე სურდათ, არც ის იცოდა, საკვებზე უარს თქმა სიკვდილს თუ ნიშნავდა. ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ პროფესიონალის ხელში იყო და ბუმბულიც კი არ დაუზიანდებოდა. ალბათ, ფიქრობდა, შესაჭმელად დაბიჭირესო (საჭიროების შემთხვევაში, არც ეს იყო გამორიცხული, თუმცა მისი ხორცი საშინლად უგემურია). გარშემო მხოლოდ ადამიანებს ხედავდა, რომლებიც საერთოდ არ ჰგავდნენ თოლიებს, ზღვა კი სულ არ მოჩანდა, მისი მაცოცხლებელი ზღვა. ჭამა არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა, საწამლაივით ყრიდა პირიდან საჭმელს. ბიჭი გარიყული აღმოჩნდა, შეცბუნებული იყო, დაბნეული დასჩერებოდა საკუთარ ხელებს. თოლია ნასადილევს გარდაიცვალა. შეეცადნენ ეკოლოგიური სისტემის მთლიანობაში მისთვისაც გამოეყოთ ადვილი. თოლია კლარას გადასცეს, კლარა საშინლად აღშფოთდა და თავის უკმაყოფილებას მეტიხმეტად ადამიანურად გამოხატავდა: ყრანტალებდა და ფრთებს ხელებით იქნევდა. შეურაცხყოფილი იყო, ალერსიან რჩევა-შეგონებებს ზურგს აქცევდა. მე აღარ ჩავეძიე მისი შეურაცხყოფის ნამდვილ მიზეზს (ცუდი საკვები), თავისებურად გაეიზიარე კლარას აღშფოთება.

ახლაც თვალწინ მიდგას თოლიას სიკვდილჩამდგარი, საშინელებით შეძრული, გაშეშებული მზერა და გულს მიმძიმებს, ჩვენი გაგებით კი ამას არაფრისმთქმელი გამოხედვა ჰქვია. იგი ჩემს ცნობიერებაში წარმოადგენს განზოგადებულ ერთ ჩიტს. პოდა, ეს ერთი ჩიტი, თვალი რომ არ გვექონდეს შეჩვეული, ნამდვილ ურჩხულად მოგვევლინებოდა, დიდ, თავზარდამცემ სასწაულად, რაც სინამდვილეში არ შეიძლება არსებობდეს. მხოლოდ ორი წვრილი ფეხი აქვს, ბრჭყალებით დაბოლოებული; ბეწვიც კი არ უფარავს სხეულს, არამედ რაღაცნაირი უხეშბალნიანი ბრტყელი ფეხები აკრავს, და ამ საფარს ძნელია რაიმე ჩვენთვის ნაცნობი სიტყვა მოარგო, ამიტომაც მოვიფიქრეთ სიტყვა „ნაკრტენი“. პატარა, გველისებრი თავი, გვერდზე მოქცეული ბრუტიანი თვალებით. ერთდროულად ორივე თვალით ვერ შემოგხედავს. ცხვირი და პირი ერთმანეთთან შერწყმია, სანაცვლოდ რაღაც კაუჭა რქა აქვს, მის გახსნას საშინელი ბგერების კორიანტელი მოსდევს. ამის შესაფერი სიტყვაც მოვიძიეთ და პირობითად „ნისკარტი“ დავარქვით. ხელების ანუ წინა ფეხების ნაცვლადაც ორი გადაშლილი მარაო აქვს, ზედ რომ მოკვერცხილ-კუზიანი ტანი არ ყოფილიყო მიდგმული, შეიძლება ღამაზიც კი მოგუჩვენებოდა. მაგრამ ცალ-ცალკე ეს არაბუნებრივი დეტალები თუ ასე საზარელია, წარმოიდგინეთ როგორი მონსტრი უნდა იყოს შეერთებულ-აწყობილი! კატის ზომამდე გაადიდეთ მწერი, რომლის მიმართაც უცნაურ ინსტინქტურ ზიზღს და მტრობას განვიცდით — და იგრძნობთ, სინამდვილეში როგორ ესთეტიკურ გრძნობას განგაცდევინებთ, როცა პირველად იხილავთ ამ ერთ ჩიტს.

ყურესთან გამოვედი. ზღვის სანაპიროს ზვირთციმა აცოცხლებდა, აქაურობა სავსე იყო საინტერესო ნაგავ-ნუგავით, ტყით შემოსილი, დახერილი და არათანაბარი დიუნებით, ყურის უკაცრიელი ნაპირი კი გარინდებული, გატიტვლებულ-გაძარცული და უსიცოცხლო ჩანდა... აქ ზღვისაგან განსხვავებული ნარსარი, უზადო ხაზები ჭარბობდა, მწყობრი, თარგმრული დიუნები ყურესთან

მალღებოდნენ, ზედ წყალს მისდგომოდნენ, აქ მკვეთრი, მაქსიმალური კუთხით წყდებოდა ეს სანახაობა, რაც რატომღაც მათემატიკას მაგონებდა, — ფხვიერი ხხეული. ხელის ოდნავი შეხება და ყველაფერი ჩამოშვავდებოდა. მაგრამ არავინ ეხებოდა. ყველაფერი რაღაც უცნაურად გაქვავებულიყო თავის სიტყვაში. გავარჯარებული ქვიშის ზემოთ ცხელი ჰაერი ცახცახებდა და ისედაც სიზმარულ სანახაობას მთლად მირაჟად აქცევდა. ქვიშის ვეება ტალღის ქვიშურზე კიდევ, რომელიც განაგრძობდა მტანჯველ, შეხელებულ სრბოლას მატერიკისაკენ: აქ კი ზვირთივით ეხეთქებოდა ყურის მკვდარ სივლუვეს, სწორედ ისე, როგორც ზღვა ეხეთქება ნაპირს. თაყბრუდამხვევი იყო ჩვეული წარმოსახვის ეს ნევატივი, ციცაბო ქვიშის ღივლივი ფეხქვეშ. სწორედ პლანერებისა და ფრანების გასაშვები ადგილია... თვითმფრინავების ეს უხმაურო აკოყვანი ჩრდილები ჩიტებსზე უფრო დაშვენდებოდა აქაურობას. ქარი კვნესოდა. სიცარიელეში გავაბიჯე, იკაროსის გრძნობა დავეუფლა. მერე ფეხქვეშ ქვიშა ჩამიშვავდა და წვივები შიგ ჩამეფლო. სამი დიდი ნაბიჯით ჩამოვფრინდი სამასმეტრიანი სიმაღლიდან, წყლისკენ მივქროდი, უკნიდან ქვიშის მდინარე წამომეწია და მუხლამდე შემომადგა. კოსის საერთო სრბოლას ჩემი წილიც შევმატე, და კიდევ უფრო დავაჩქარე იგი. ზურგსუკან წვრალად იბნეოდა ქვიშა და ჩემს ნაკვალევს შლიდა. წყლიდან რამდენიმე ნაბიჯზე მკვდარი კაპარჭისა იწვა, მექმული გვერდი ზემოთ აეფშიკა, და ეს ხანგრძლივი სიკვდილი თითქოსდა ერთადერთ სიცოცხლესდა წარმოადგენდა ამ სიწყნარეში. მალლა კი პლანერივით უძრავად გადაიფრინა გუშინ ვარდაცვლილმა ჩიტმა. ერთი ზღაპარი გამახსენდა, კაცი უკვდავების ქვეყანას ეძიებდა. თითქოს იპოვა კიდევ: მარადიულობაში არაფერი არ იცვლებოდა, არავინ და არაფერი არ ბერდებოდა და ძველდებოდა, დრო არ იძროდა, მაგრამ თურმე ყოველ ათას წელიწადში ერთხელ ერთი ჩიტი მიფრინდებოდა და ქვიშის ზუსტად ერთი მარცვალი მოჰქონდა იქიდან ამ ათასწლეულის აღსანიშნავად, რაც მარადისობისთვის მხოლოდ წამია. კაცს იმედი გაუცრუვდა: ამ დალოცვილ ქვეყანაშიც დრო არსებობდა... გუშინდელი ჩიტი კი, ახლა ცაში რომ დაფრინავდა, იმ ზღაპრიდან მოსულს ჰგავდა: ჩემი დროის საზომი მარცვალი ნისკარტში მოემწვლედა. ქვიშიდან ამოზრდილს ვგავდა, ფეხი არ მომიცვლია, დიუნს ზურგიით მივეყრდენი. სახელი არ ჰქონდა იმას, რასაც ახლა მე ეხედავდი. იყო წყალი, თევზი, ცა, ჩიტი... და არაფერს არ ჰქონდა სახელი. მე არ ვიცოდი, რომ ეს წყალი იყო, ცა, ან ჩიტი. იქნებ, ჩემ წინ, პორიზონტამდე თევზი გადაჭიმულიყო, თავზევით კი ერთი უძიროდ ღურჯი ჩიტი? ან იქნებ ჩემ წინ წყალი მომკვდარყო და ცაც თვალს მოფარებოდა, აორთქლებულიყო? მე არც ის ვიცოდი, რომ პორიზონტს იქით ქვეყანა არ თავდებოდა. სიტყვა დაცლილიყო და სილაში აჩედილ უმსუბუქეს ჩიტინის საფარს ჰგავდა. სიტყვა ხომ მართლაც ცარიელია. მე ენას გავემიჯნე, დაუსრულებლად რომ მებუტბუტებოდა: სამყარო არსებობს, რომ ყოველ ნაბიჯზე შეიგრძნობ მას, აგერ ის, სამყარო, და ჩვეულებისამებრ ამოვიოხრე, დიუნს ზურგი მოვაცილე, რომლის თვალითაც წამით შევხედე ქვეყანას, და სათითაოდ ამოვაცურე ფეხები ქვიშიდან: თევზი ნამდვილად თევზი იყო და კაპარჭისა ერქვა, ჩიტი თოლია იყო და არა ცა, ჩემ წინ თევზი კი არა, წყალი გადაჭიმულიყო, ყურედ წოდებული, და კიდევ ცა — მოთიმთიმე ჰაერი, საჰაერო ოკეანე. პორიზონტს იქით კი მყარად გაწოლილიყო ჩემი თვალისათვის მიუწვდომელი ღიჭვა. მხოლოდ ცა იყო უპორიზონტო, ცას არ ჰქონდა დასალიერი, ღმერთმა უწყოდა, რა იყო მის იქით, სხვათა შორის, ვილაცის მიერ აგრეთვე სფეროებად და ტერმინებად დაყოფილი, მაგრამ ეს ხომ სახელმძღვანელოს სიტყვებია მხოლოდ, ამიტომაც ჯერ კიდევ გვაქვს უნარი ცას ხანდახან მღუმარე

მხერა მივაპყროთ. ნებისმიერი სახელწოდება უხერხულობას მგვრიდა, რადგან სიტყვა თავისი შინაარსით სულაც არ აღნიშნავდა საგანს, რომელსაც ვხედავდი. აბა, რას ვხედავთ: საგანს თუ სიტყვას, რომელიც მას ჰქვია? ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, ჩვენ მიერ შეცნობილი სამყარო უკუკავშირში არ არის ჩვენს ცოდნასთან. მაშინაც კი, როცა ის ზუსტად ასახავს სამყაროს მდებარეობას, და სხვა არაფერი. სამყარო ამ სარკეში სულაც არ იჭრება.

აი, ეს არის ადამიანი. თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ხელი თვალთან მიიტანოთ და თქვათ: ჩემი ხელი; ან კიდევ ფეხზე დაიხედოთ: ჩემი ფეხი... მაგრამ წინ მატყერალი ადამიანი თავისთავს ვერასდროს ვერ ხედავს, მით უმეტეს საკუთარ თვალებს, ისევე როგორც სარკე ვერ დაინახავს საკუთარ გამოსახულებას. მაგრამ ის, რასაც ხედავთ, ხედავთ, როგორც თქვენს საკუთრებას: ხელები იქნება. ფეხები თუ ჭიბი, — ეს ხომ თქვენ არა ხართ, ეს გარსია, სხეული, რომლის შიგნითაც ხართ მოქცეული... გაიხედეთ წინ — თქვენ არა ხართ. ან იქნებ სწორედ ისა ხართ, რაც თქვენს თვალწინაა?

ზეცა ცარიელი იყო, მერე უცებ აივსო. ჩიტების გუნდმა გადაიფრინა, და ისევ დ'ცარიელდა. ერთი ჩიტი რომ მიფრინაუდა, ერთ ჩიტს ვხედავდი. ეს ნამდვილად ასეა. ახლა რამდენი იყო? ათი? იქნებ მეტი, ასი? არა, ნაკლები. ზუსტად, არ ვიცი, რამდენი იყო: ორმოცდათხუთმეტი თუ ორმოცდაცხრამეტი, დათვლა ვერ მოვახწარი. მაგრამ ერთი რამ ცხადია — ზუსტი რიცხვი იყო, არც ერთით მეტი და არც ერთით ნაკლები. მე ვერ მოვახერხე ამ რიცხვის გაგება, ვერც ვერავინ გაიგებს. მაგრამ ეს რიცხვი ზუსტი და საბოლოოა, ამიტომ გვეგონია, თითქოს ვიღაცამ უნდა იცოდეს... „თავზე თმის ღერიც დათვლილი გაქვთ“...

ჯერ ერთი ჩიტი, მერე უცებ ბევრი, მაგრამ რამდენი?.. ერთი — აი, ის რიცხვი, რაც მე ვიცი. ერთის გარშემო შემოიძლია ანგარიში.

ერთზე გაყოფა რეალობაა.

— ძნელად, მაგრამ მაინც ვხედავდი, რისი თქმაც გხურთ... — დაიწყო დოქტორმა. — მეცნიერებას მართლაცდა ახასიათებს რაღაც გარკვეული შეზღუდულობა. იგი იმდენად სამყაროს პრობლემებს არ სწავლობს, რამდენადაც საგნებს, რომელთა დადგენა ზუსტად შეუძლია. მაგრამ თქვენს პრეტენზიებში, თქვენთვის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ფანრის გარკვეული უცოდინრობა შეივრძნობა. რაგინდ ბრწყინვალეც არ უნდა იყოს აზრი, თუ ვერ დავამტკიცეთ, ან ექსპერიმენტით ვერ დავადასტურეთ, ჩვენთვის არაპროფესიულად ითვლება. ეს დილექტანტობაა, უკეთეს შემთხვევაში — მოცლილობა. სიტყვაზე თუ ვირწმუნეთ, ლამაზმა აზრმა შეიძლება ძალიან შორს გაგვიტყუოს და გამოუსწორებელი შეცდომაც დაუშვათ. გარკვეული უძრაობა და ეჭვი ნამდვილად უნდა ახასიათებდეს ჭეშმარიტი მეცნიერის ეთიკას, მას ხომ ზღვა იდეები აქვს. მართლაც ერთსა და ბევრს შორის ნაწილობრივ გამოტოვებული ადგილები გვაქვს; ბევრიც ხომ გარკვეული აზრით ისე განიხილება როგორც ერთი. სამაგიეროდ ერთიც შეიძლება მრავლის ელემენტად ვიგულისხმოთ...

ზღვის სანაპიროს მივუყვებოდით და ზღვას ვერ ვხედავდით. გუშინ „ტარის“ შტორში იყო — ხონჩაზე დალაგებული საქონელი გვეგონებოდა ნაპირზე გამორიყული ათასნაირი ჭრულაჭრულა ნივთი. ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი. პლასტმასის ხასხასა ყუთები უფრო თვალშისაცემი იყო, ვიდრე ჩისა. შესაძლოა მსუბუქი, ფერადი ვედრო ან კასრიც გვაპოვნა, ბედი თუ გაგიღიმებდა, იქნებ მოელიც შეგხვედროდა. გემბანიდან შემთხვევით გადმოვარდნილი. აქაიქ პლასტმასის ლამაზი ბურთულები ეყარა — მეთევზეთა ბადეების ტივტივები.

ისინი შტორმს სულ არ დაეზიანებინა, მაგრამ საბოლოო ფორმა და დანიშნულება უკვე დაეკარგა და ვერ მოიფიქრებდი, რაში უნდა გამოგვეყენებინა. მივლიოდით და ვფიქრობდით. უცებ აზრი წყდებოდა, ყურადღება იფანტებოდა, ჩვენ წინ ლურჯად ან წითლად გიზგიზებდა რაღაც და თავისკენ გიზიდავდა. შეგნებულად არ ვაჩქარებდით ნაბიჯს. ღუნდებოდა, პატარავდებოდა, თითქოს თავის ბუნებრივ დასასრულს უახლოვდებოდა: ეს სიგრძივად გაჭრილი ალექსანდრე უტკესტმასის ნახევარვედრო იყო, თითქოს განგებ მთელი გვერდით ჩვენსკენ მოძრაობდა. მაგდუნებელ სატყუარას ჩაუუარეთ — ახალი აზრი ახალ ძაღას იკრებდა. მერე ისევ ახალი საგნის ახალი ღანდი ახალ პაუზას მოასწავებდა ან კიდევ თემის მოულოდნელად შეცვლას...

— არასდროს ვიფიქრიათ ადამიანის დაუოკებელ სწრაფვაზე რაიმე შეგროვოს? მაგალითად, სოკო, კენკრა, ჩიტის კვერცხები, რაღაც კოლექცია ან თუნდაც ზღვის მიერ გამორიყული საგნები?.. — მკითხა დოქტორმა და ყვითელ ტივტივას ფეხი გაჰკრა, ტივტივა ნაშტორმად, მოქანცულ წყალში ჩაცურდა. — ჯერ კარგად უნდა იცოდე, როგორი იყო შენი წინაპარი, თუ ვინდა გაიგო, რა გერგო მისგან მემკვიდრეობით. მორფოლოგიურად ადამიანი ცუდადაა დახელოვნებული გარკვეული საკვების მოპოვებაში, მისი ამოსავალი ეკოლოგიური ნიშანყოფის, ყლორტების, ფესვების, კვერცხების, პატარა ცხოველების და სანაპირო ზოლში გამონარიყის შეგროვებაა. ასეთი საზრდო ნაკლებპროდუქტიულია და მისი მოპოვება ენერგიულ და მრავალფეროვან საქმიანობას მოითხოვს. სხვა ბევრი სახეობისგან განსხვავებით ადამიანის საკვები რესურსები ყოველთვის შეზღუდული იყო, შიმშილი კი პერმანენტულ მდგომარეობას წარმოადგენდა...

შეუვალ წინამდევობას მიწევდა, როცა ადამიანის შესახებ ვეკითხებოდი რამეს, მაგრამ ხანდახან თვითონვე წამოხსდებოდა ხოლმე ზოგიერთი რამ. თუმცა გულით ეწადა ადამიანთან კავშირში არ გამოგვეყენებინა თავისი, როგორც ეკოლოგისა და ეტოლოგის გამოცდილება, მაგრამ ის ხომ თვითონ ადამიანი იყო და არ შეეძლო არ ეფიქრა იმაზე, რაც მე მაწუხებდა. ამიტომ საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ საკმაოდ ბევრი საინტერესო რამ გამიზიარა. მისი მოსაზრებები რატომღაც იმდენად დამაჯერებელი იყო ჩემთვის, ისე აღვიღად ვირწმუნე, რომ სწორედ ეს სიადვილე მეჩვენებოდა მათი უტყუარობის ყველაზე სარწმუნო საბუთად. დილექტანტის გატაცებით ისე მოხერხებულად ვსარგებლობდი ზოგიერთი მოწოდებული აზრით, როგორც საკუთარით. ჩვენი საუბარი დაახლოებით ასე იყო აგებული.

- თქვენ ამტკიცებთ, — არ ვეშვებოდი მე, — რომ... ისე ხომ არ გამოგდით, რომ... აქედან გამომდინარე ხომ არ შეიძლება დავასკვნათ, რომ?..
- რატომაც არა, შეიძლება ასეც ვთქვათ, — უხალისოდ მეთანხმებოდა იგი.
- მაშინ, — საუბარს ვაგრძელებდი, — შეიძლება ვივარაუდოთ, რომ... —
- კი, შესაძლოა ასეც ვიფიქროთ, — კვერს მიკრავდა.
- გამოდის, რომ ადამიანი... — მე ისევ ამ საკითხს ვუბრუნდებოდი.
- არა, — ჩემს აზრს უარყოფდა დოქტორი.

მეც თავს ვუქნევდი და დროებით უკან ვიხევდი.

იგი თანდათან მიეჩვია ამ არასავალდებულო საუბრებს და ეს ჩემი ბრალი იყო. მისი იმპერატივი ნელ-ნელა სუსტებოდა. ვფიქრობ, მე ჩემი დამაჯერებლობით კი არ ვაღწევდი მიზანს — უბრალოდ მის ცნობიერებაში დაღეკილი ეს აზრები, ეტყობა, კარგა ხანია უკვე ამოსავალს ეძებდნენ... ჯერ მხოლოდ პირველყოფილ ადამიანზე ლაპარაკობდა. ასეთა დასკვნაც კი გამოიტანა:

- ადამიანი სხვა ცხოველებთან შედარებით ნაკლებ ნაყოფიერია.

ან კიდევ:

— ძლიერი ცოცხალი არსებები იბრძვიან რიცხობრიობისა და ტერიტორიის გაზრდისათვის იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. სწორედ ამგვარ სახეობათ განეკუთვნება ადამიანი; და ბუნებრივია მისი მისწრაფება ვრცელ ტერიტორიაზე განსახლებისა და რიცხობრივი ზრდისაკენ. ჩვენი ერის დასაწყისში ადამიანთა რიცხვი დედამიწაზე ორ-სამ მილიონს შეადგენდა. ეს ანტროპოგრაფიკული — ამოიხსრა ჩაფიქრებულმა.

ისტორია ხიბლავდა. წარსულის სიღრმეში დეტალები წაშლილიყო, ანგარიში ათწლეულებით კი არა, საუკუნეებით წარმოებდა, ისეთი ეპოქებიც ჩანდნენ, ეკოლოგს რომ აცდუნებდნენ.

— როგორ ფიქრობთ, რამ შეაჩერა ალექსანდრე მაკედონელი... არა, არა, მისი საბრძოლო მანქანა უნაკლო იყო. არაფერი არსებობდა ამქვეყანაზე, რასაც შეეძლო მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. უბრალოდ, საკუთარი არეალის საზღვრებიდან იგი იმდენად შორს წავიდა, ისე დიდი ხნის წინ ჰქონდა დაპყრობილი მიწები, რომლებიც საკმარისი იყო მისი სამშობლოს ძლიერებისა და შემდგომი აყვავებისათვის, რომ ამ აგრესიის ბიოლოგიური აზრი (ტერიტორიის გაფართოება-გაფურჩქვნის გზაზე მდგარი პოპულაციისათვის) მთლიანად ამოიწურა. ინდოეთსა და შუა აზიას მიაღწია, როგორც უკვე მოგზაურმა და თითქმის ეთნოგრაფ-მოყვარულმა: უცხო ქვეყნების ნაციონალურ სამოსს ირგებდა, რომლებიც უკვე პირობითად უცხადებდნენ მორჩილებას: აღარაფერი დარჩენოდა გარდა აქედან წასვლისა ყოველგვარი შანსის გარეშე, რომ შემდგომში დაპყრობილ ქვეყნებამდე მიეღწია... უკან დაბრუნებაც აღარ შეეძლო, რამეთუ დავიწყნოდა, საიდან მოდიოდა. მისი სიკვდილი ბუნდოვანი იყო. ასე იგუდება ნებისმიერი აგრესია, მხოლოდ საკუთარი არეალის გაფართოებისათვის აუცილებელ საზღვრებს რომ აღგენს.

იგივე შეინიშნებოდა, დოქტორის აზრით, უფრო გვიან ნორმანებთან (ასე ნელ-ნელა უახლოვდებოდა იგი შედარებით გვიანდელ ეპოქებს, მე კი, სახუნდარში გატრუნულ მონადირესავით, არც ესუნთქავდი და არც ვმოდრავდი, რომ საუბარი არ გამეწყვიტინებინა). ვიკინგებიც ფლობდნენ სამხედრო ძლიერებას. სპარტელთა მსგავსად მათაც არ ჰყავდათ ბადალი — მათ შეეძლოთ დაეპყროთ სამყარო, ჩვენი თვალთახედვით ბევრად უფრო ვარვისი ცხოვრებისათვის, ვიდრე მათი კლდეები და ფიორდებია. მაგრამ ბიოლოგიური თვალსაზრისით ისინი ალექსანდრე მაკედონელზე უფრო თანმიმდევრულად მოიქცნენ: ევროპის დაპყრობა შეეძლოთ, მაგრამ მათ ევროპელებით დაუსახლებელი ისლანდია და გრენლანდია აღმოაჩინეს და კალუმბამდე ადრე მიაღწიეს ამერიკის ჩრდილოეთ ნაპირებს, — ისინი მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ჩრდილოეთის ზღვების არეალის საზღვრებში გაფართოვდნენ.

თანდათან ვუახლოვდებოდით... ვიკინგებიდან იწყებოდა უკვე რუსეთის ისტორია.

— რუსეთიც ჩრდილოეთია, მაგრამ მაინც არ არის მათი არეალი, — თქვა დოქტორმა, — რუსეთში გარუსება იწყეს. მათი ძლევამოსილება ჩაიფუშა.

— ეს ამბავი იმ ლათაიას ჰგავს, — ვთქვი მე, — მოდი, მიშველე, დათვი დავიჭიროო...

— სწორედ რომ ასეა, — დამეთანხმა დოქტორი.

— თათრები რატომღა ჩაითქვიფნენ ჩვენში? — გავაგრძელე მე.

დოქტორმა ჩაიციხა და ცოტა ხნის მერე დაასკვნა:

— სტეპები დამთავრდა.

მაგრამ მერე საუბარში ვეღარ ავიყოლიე. მეტიხმეტი გულახდილობით ბევრი აღიარა, და შეჩერდა ალექსანდრე მაკედონელივით, დადუმდა. შორეთს გახედდა.

სალამოს პირზე ზღვა დამშვიდდა, გაირინდა, ერთიანად აღიკლაპდა, წყალს აღარ ჰკავდა, რალაცნაირი მსუფე და ბლანტე ჩანდა. ყოველდღე ტყუილებით ვსენირობდი სანაპიროზე, მაგრამ კარგა ხანია აღარ მენახა უცხო-სენიერების შტორმის“ გარდა არსებობს კიდევ „ბოთლების შტორმი“: ზღვა ვისკისა და ჯინის ბოთლებსა და მათარებს ისვრის, ისვტებს, არასდროს რომ არ მინახავს და არც მიგემნია. ან კიდევ „ქარვის შტორმი“, უკანასკნელი ტალღით ქარვის ნამცვეცებს რომ გამოორიყავს. ავერ უკვე რამდენი ხანია მხოლოდ ძირს ვიყურებოდი იმ იმედით, რომ ქარვას ვიპოვიდი, ან გაუხერხეტელ ბიდონს, თუნდაც ბრტყელ მათარას... მაგრამ ხურას უკაცრავად, ვარჯისი არაფერი იყო იმ ნივთებში, თუმცა ბიოსადგურის კაიუტ-კომპანია ვი სავსე იყო ამგვარი რამეებით (ერთხელ აქაურებმა დასალეკად ვარჯისი ღვინით სავსე პატარა კასრი იპოვეს, ერთხელაც — შავი ზიზილალის მოზრდილი ქილა. მაგრამ სამწუხაროდ ზიზილალა გაფუჭებულიყო). მე მაინც ჯიუტად ვეძებდა, მაგრამ ვერა და ვერ ვპოულობდი, ისიც ვი არ ვიცოდი, რომ ამ ჩემს საქმიანობას წინაპარი განაგებდა, რომ ეს ექსკურსია იყო ძველთაძველ პრეისტორიულ ნიშში... დიდი ხანი იყო ზღვა აღარ მენახა, თავი მაღლა აღარ ამეღო, მოხერხებულად მომეკალათებინა მამაპაპეულ ნიშში. სალამოს ზღვა ხელ-ხელა ვარდისფერდებოდა, თანდათან მუქდებოდა, პორიზონტთან მოღალ აღანძული, დნებოდა და ნატიფ ხაზად იწურებოდა, სადაც პატარა გემის მკრთალი შეუმჩნეველი შტრიხი იგულისხმებოდა. მზეც ჩადიოდა, საოცრად დიდი და ვარვარა, თვალს ვერ მოსწყვეტდი... მე მაინც მოეწყვიტე — და პირდაპირ ცხვირწინ დაეინახე შვედური ლუდის შინდისფერი ყუთი, ზედ გამოსახული სამი გაუხუნარი ოქროსფერი გვირგვინით...

— ეთქვათ ასეა, ძალიან კარგი... — შთაგონებული ვმსჯელობდი ახლა, — თუკი პარველყოფილი ადამიანის ეკოლოგიური ნიში — კოლექციონირება იყო, ჰოდა, მან მიატოვა იგი, რაკილა ცხოვრების პირამიდას წვერზე მოექცა, უკიდუგანოდ გააფართოვა საკუთარი არეალი, დედამიწის ყოველ წერტილში სახლობს და ყველა სხვა ბიოლოგიური სახეობა განდევნა, მაშ, ახლა რაღაა მისი ნიში, მისი არეალი? რა შეიძლება მოეწიშნით როგორც თანამედროვე ადამიანის ეკოლოგიური ნიში? თვით პლანეტა დედამიწა? შეიძლება ასე ეთქვათ?

— ცოტა არ იყოს, ტექნოლოგიური გამოთქმაა, — მხრები აიჩეჩა დოქტორმა. — თუმცა, ვი ბატონო.

— კარგით, — პოზიცია გავიმავრე მე. — მაშინ მეორეს მხრივ... — (ლამაზი ყუთი მუხლზე რიტმულად მეხლებოდა...) — შეიძლება დედამიწა ჩავთვალოთ ერთიან ეკოლოგიურ სისტემად, მაშასადამე თავად სიცოცხლის ეკოლოგიურ ნიშად... — დოქტორს ჯერჯერობით საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. — შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის გაჩენის წუთიდან დამთავრდა სიცოცხლის ეკოლოგია დედამიწაზე? — დოქტორი ისევ დუმდა... — რომ იმ დროისათვის დედამიწის სფერო უკვე იყო სრულყოფილი, კარგად განვითარებული და საიმედო, საბოლოოდ ბალანსირებული ეკოლოგიური სისტემა, სადაც ყველაფერი ურთიერთკავშირში უნდა ყოფილიყო, რაც შეკრულ წრიულ მოქცევას განაპირობებდა და არავითარ შემთხვევაში არ არღვევდა სიცოცხლის საერთო ბალანსის სიზუსტეს, დედამიწის რესურსების უწყვეტი განახლების შესაძლებლობას ქმნიდა, სადაც ყოველივე პარმონიული და ხელუხლები იყო, და სადაც ჩასახლდა პირველყოფი-

ლი ადამიანი — ადამიანი-კოლექციონერი? ხომ ასეა? ჯერჯერობით ხომ ყველა-
ფერს სწორად ვამბობ?

— ჰო, თითქოს ასეა, — მოწყენით დამეთანხმა დოქტორი.

— ადამიანი თავიდან სხვა ბიოლოგიურ სახეობებთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ მიატოვა თავისი პირველყოფილი ნიში და გაანადგურა დედამიწის სხვა ბინადარი, ხოლო ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა მხოლოდ განაგრძობენ, ადამიანისავე წყალობით და სურვილით, მხოლოდ და მხოლოდ ნაკრძალის სისტემაში; მან მოსპო და გააჩანაგა ტყეები და მდინარეები; უხსოვარი დროიდან ისეთი რაოდენობით ნიქავს ვანგბადს, რომ მისი აღდგენა ვამეჩხერებულ მწვანე საფარს აღარ ძალუძს... ჩემგან ეს არ გესწავლებათ — ამის შესახებ, ასე თუ ისე, ნებისმიერმა ადამიანმა იცის, გახუთს მაინც თუ კითხულობს. ჩანს, დედამიწას ადამიანის ეკოლოგიური ნიშიდან გამოსვლამდე სამყოფი, ასე ვთქვათ, „სიმკვიდრის მარაგი“ უგროვებია. ვინაიდან, დედამიწა ჯერ კიდევ არის დედამიწა: ღერძიდან არ დაცურებულა, არც ყინული გამდნარა, ატმოსფეროს არ მოსწყვეტია — ჩვენ ყველას, თითქმის ოთხ მილიარდ კაცს, ჯერ კიდევ გვხადავს: ვსუნთქავთ, ვჭამთ და ვსუამთ. კაცობრიობის დიდი ნაწილი პირველყოფილი ადამიანივით სახეურად მშობიერია, ჩვენ კი, ეგონებ, არც ვაპირებთ ნაკლების ხარჯვას, და გაბედულად ვეწვეით მეურნეობას დედამიწაზე. ხომ შეიძლება ითქვას, არა იმ ტავტოლოგიური გაგებით, როგორც თქვენ აღნიშნეთ, არამედ უფრო შესატყვისად და ზუსტად, რომ ადამიანის ეკოლოგიური ნიში სწორედ რომ სამყაროს საერთო ეკოლოგიური სისტემის „სიმკვიდრის მარაგია“, მაშასადამე, ეს არის დროის რაღაც დიაპაზონი ადამიან-შემგროვებლიდან დაწყებული სამყაროს კატასტროფით დამთავრებული, რომელიც სპობს ყოველივე ცოცხალს? საუკუნის დასაწყისში მილიარდნახევარი ვიყავით, დასასრულისთვის ალბათ, ექვსი კიქნებით.

— გნებავთ, ასე ჩათვალეთ, თუმცა ელემენტარულად შეუძლებელია სივრცის ვახომვა დროით, რასაც თქვენ აკეთებთ. ეკოლოგია მხოლოდ უკვე არსებულ ეკოლოგიურ სისტემებს განიხილავს, და სწორედ ამ მიმართებით წარმოადგენს ის მეცნიერებას.

— სირცხვილი თუ არა, ცოტა უხერხულობა მაინც უნდა იგრძნოს ადამიანმა, — ვთქვი მე, თითქოს დოქტორის მოგონილი ყოფილიყოს ყოველივე ეს, — ქმნილების გვირგვინს წარმოადგენდეს და თავს ამ ქმნილების მხოლოდ მომზადრებლად თვლიდეს.

— დედამიწას ქმნილებას სუ ვუწოდებთ, დანარჩენში გეთანხმებით: ერთგვარი უხერხულობა ნამდვილად იგრძნობა, მაგრამ მარტო მე და თქვენ კი არ განვაცდით ამას. ამ მზრივ კაცობრიობის ცნობიერებაში ახლა ამკარა ძერებია...

— თქვენ — მეცნიერს, — არ ვეშვებოდი მე, — მაშასადამე, პიროვნებას, ვინც საღად აზროვნებთ და რეალურად აფასებთ სინამდვილეს, ნუთუ გჯერათ, რომ ადამიანს შეჩერება შეუძლია? ჯერჯერობით ის მხოლოდ სიჩქარეს ავითარებს. ტექნიკური პროგრესი პროცესია, და არა პროგრამა. ადამიანი დიდი ხანია ბიოლოგიური არსებაა მხოლოდ და მხოლოდ იმ სამი უეჭველი გაგებით, ამასწინათ რომ მიითხარით, სხვა ყველაფრით კი იგი, არა თუ ბუნება, არამედ განაჩენია მისი. კაცობრიობას ბიოლოგიური კი არა, ეკონომიკური კანონები მართავს. დაცვის ის ზომებიც კი, რომლებიც ახლა ფართოდ გამოიყენება, ეკონომიკურად არახელსაყრელია, და ჩემის აზრით, მთლიანობაში ნაკლებეფექტურიცაა, ვიდრე ცხოველთა დაცვის საზოგადოების წარმომადგენელი ინგლისელი მოხუცი ქალბატონების ზემოქმედება...

— ტყუილად ფიქრობთ ასე მოხუცებზე... — თქვა დოქტორმა, — მათი მოღვაწეობა არცთუ ისე უმნიშვნელოა, თქვენ რომ გეჩვენებათ.

— არაფერია, — ვთქვი გესლიანად, — იქნება მოხუცთა დაცვის საზოგადოების დროც მოვიდეს... ოღონდ გულახდილად მიპასუხეთ, რა გირჩევს: გაშიშვლებული, ყინულივით დაფარული დედამიწა, სადაც მზე ამოდის, თუ... — ზღვას ცერად გავხედე: ვებერთელა მზე პორიზონტს უჩვენებდა, უსწორმასწორო ფორმა ჰქონდა, მსხალს უფრო ჰგავდა, ვიდრე დისკოს; ზღვის წყნარი ზედაპირი მეწამული აბრეშუმივით აბრიალდა... მზე დამენანა, თუმცა ჩემი ვარაუდით ისღა უნდა დარჩენილიყო მთელი და უვნებელი. — თუ ცხოველებით და ჩიტებით დასახლებული მწვანე ქვეყანა, სადაც თევზებით ხავსე მდინარეები და ტბებია, სადაც ბინადრობს ფესვებისა თუ ძირების შემგროვებელი ადამიანი, ან თუნდაც გონიერი დელფინი, ჩვენს უგუნურ გზას რომ არ გაჰყვა?

— მძვენივრად ჩავწვდი თქვენს ანტიპუდანურ აზრს, — ციკად მიპასუხა დოქტორმა, — სხვა დროს ასე ხმამაღლა ნულარ იტყვი, რაც ახლა ჩემთვის უნდა გეკითხათ. დიახ, საკუთარი თავისთვის თავადაც მიკითხავს იგივე... — მზე პორიზონტისკენ მიისწრაფოდა, ახლა ვაშლივით მივორავდა; სხივი წვეთივით გაიშალა ზღვის ლივლივა ზედაპირზე და, მოულოდნელად, უხმაუროდ დაყვინთა, წყალზე კი გასაოცარი მქრქალ-ვარდისფერი ანაორთქლი დასტოვა... — ეს უაზრო კითხვაა. მაშინ აღარავინ იქნებოდა, რომ ეს ბედნიერება ეხილა...

— როგორ! — წამოვიძახე მე. — ამას თქვენ ამბობთ?.. ნუთუ ყველა სულიერი სიცოცხლეს არ შეჰხარის დედამიწაზე!

— კი, მაგრამ მათ ხომ უნარი არ შესწევთ ჯეროვნად შეაფასონ სრულყოფილება...

— ჰო, მაგრამ...

— გულში ჩაჩუმებული ნაღმი დროზე აღრე არ აგიფეთქდეთ. გაითვალისწინეთ, რომ ყველაფერი არ ვიცით. ისიც კი არ ვიცით, როგორ ჯამდება და რაში გადმოინთხევა თუნდაც ჯერ გამოუთქმელი ჯოჯოხეთური აზრი. თქვენთან ვაღიარე ის, რისი უფლებაც არ მქონდა, როგორც მეცნიერს... — სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

ასე ვკამათობდით კაცობრიობის პერსპექტივებზე, თითქოს მართლაც რამე ყოფილიყოს დამოკიდებული ჩვენზე. ხელისცეცებით ვიკვლევდით გზას საკუთარ აზრებში. ხანდახან გვეჩვენებოდა, რომ... მაგრამ მაშინვე ამ გამოსავალსაც ჭავლი ედებოდა და ოღნავი რეალური წარმოდგენაც კმაროდა, რომ მთლად გაქარწყლებულიყო. ნებისმიერი ღონისძიება არაღამაკმაყოფილებელი იქნებოდა. ადამიანი გადაჭრით უარყოფდა გაეგო თავისი ჭეშმარიტი მდგომარეობა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც იყო ანდა ეგონა, რომ იყო უშუალოდ საარსებო მნიშვნელობისა. აწმყო მომავალს შორდებოდა, და ამ სიცარიელეში ინთქმებოდა სათაყვანებელი წარსული, ყველაფერი, რაც შემკვიდრეობით გვერგო. ჩვენი საუბარი იმ ზომამდე მივიდა, რომ კაცობრიობაზე ეკოლოგიის ერთგვარი ტოტალური მმართველობის დაწესებაც კი დავაპირეთ. ვთქვით, გასხეპილი ტოტებისთვის ხელები დაგვეჭრა, ან ერთი კურდღლის მოკვლისათვის თავი მოგვეკვეთა. და ყველაფერი ეს ადამიანის საკეთილდღეოდ... ბოლოს და ბოლოს ხომ შეიგნებენ ისინი!.. ისინი — მაშასადამე, ყველა დანარჩენი, ჩვენის გამოკლებით. ამ სადი მსჯელობით დასრულდა ჩვენი თათბირი.

გაწბილებულნი შინ ებრუნდებოდით, დიუნზე ავედით. მზე წამით ამოიწია ზღვიდან, მერე ისევ წყალს მისცა თავი. დიუნის თავზე ქვიშა ვარდისფერობდა,

ფერდობზე შეხსენილი, ხავერდოვანი, გრძელი ჩრდილი გაწოლილიყო, დიუნებს შორის, ღარტაფში, ბნელი ღამე ისადგურებდა.

— ძნელია დაიჯერო, რომ ძალთუსი მეთვრამეტე საუკუნეში ცხოვრობდა... — ამოვიოხრე მე. — ვკიპაჟები, კორომები, შლეიფები, სიმებიანი კვარტულები... ჰაერი... რა ჰაერი იქნებოდა, ალბათ, მაშინ!.. ნაკადულები რაკრაკებდნენ... ბზი-კი ზუზუნებდა... მწვემსები და მწვემსი ქალები, სალამური... ისევე მსგავსად მისას-ხამში გახვეული კარუტაში ირწეოდა და თავში შორეული, შავბნელი ასრის ქუტ-რიალებდა, რასაც არაფერი მოასწავებდა ირგვლივ...

— არ გიკვირთ, — თქვა დოქტორმა, — რომ სწორედ აქ ამდენი ვისაუბრეთ, და მერე რაზე? მთელი საღამო არც ერთი ადამიანი არ შეგვხვედრია ამ პირველ-ქმნილ ბუნებაში...

— ჰო. ვიპოვეთ რა შესაფერი ადგილი!.. — გამეცინა მე, მაღლიერი ვიყავი მისი. ხელში ისევ შვედური ლუდის ყუთი მეჭირა, ჩემი განზრახვა ნათელი იყო, კვლავ სიცოცხლე მწყუროდა.

მზე ზღვაში ჩაესვენა, ბინდბუნდს არ დალოდებია, დიუნის ზურგს უკან მთვარე ამოვორდა. გეგონებოდათ, ამ ორ მნათობს სწორედ კოსაზე გაუდვია უხი-ლავი ფიცარი და აიწონა-დაიწონას თამაშობენო... მთვარეს პირისახე მწვანე ჰქონდა, თითქოს, იქ, თავის ქვეყანაში, რა სანახები არ მოუხილავს, ვიდრე აქ, ჩვენამდე მოვიდოდა.

ალბათ, მისი ნათელი მაწვალებდა, ვწრიალებდი და ვერაფრით ვერ ვიძი-ნებდი: ყველა ჭუჭრუტანაში ატანდა მთვარის დაფეთებული სხივი. წამოვიწიე და ფანჯარაში გავიხედე: პაჩია ღრუბლები გადარბოდნენ მის მოწყენილ სახეზე. უცებ მთლად დაიფარა, სქელმა ღრუბელმა გადაუარა, მერე კი უფრო გესლიანად აჩახჩახებული გამოცურდა. „მთვარე ღრუბელს მოეფარა“... — გულში გავიმეო-რე ეს უწყინარი ფრაზა, და უცებ სიცილი ამიტყდა: „მთვარე ხომ არასდროს არ შემძვრალა ღრუბლის უკან! წარმოსადგენადაც კი ძნელია, სად ღრუბელი, სად მე, და სად მთვარე... ძალზე სასაცილოა მასშტაბების ასეთი არევა!“ — „მზე მთას მოეფარა...“ — ეს რა მომივიდა, რა სიცილად დავიღვარე.

უცებ წარმოვიდგინე მზის ნამდვილი თვითმყოფობა, რომელიც, თურმე ნუ იტყვიოთ, „საკუთარი სხივებით გვაჯილდოებს“, „გულითად სალამს გვიგზავნის“. ნურას უკაცრავად, მეც მოვიხილეთ რაღა, მეტი საქმე არა ჰქონია მზეს. არაფერ-საც არ გვიგზავნის. მხოლოდ საკუთარი თავითაა დაკავებული — წარმოიდგინეთ, მტვრის ნამცეცხვებით დაებორიალობოთ მის წინ... ჩემს გონებაში ის ერთადერთი საბრჯენიც შეყანყალდა, რაზედაც მთელი ჩვენი მიწიერი სიცოცხლე ჩამოკონ-წიალებულიყო. უპირველეს ყოვლისა სამეტყველო ენაში გადმოიფრქვა სრულ-ყოფილად ადამიანის თვითდაჯერება და თავხედობა, თუნდაც აი, ამ უმარტივეს ფორმებში. ადამიანი რატომდაც თვლის, რომ ყველაფერი, რითაც თავად სარგე-ბლობს, პირდაპირ კავშირშია მასთან. ეს ხომ ძალზე სასაცილოა. „ბუნების სა-კუჭნაო“, „ბუნებრივი სიმდიდრეები“, „ბუნების დაპყრობა-დამორჩილება“, „შა-ვი, თეთრი (და კიდევ რაღაც ფერად-ფერადი) ოქრო“... ბუნებაში ადამიანის თა-რეშისა და ძარცვა-გლეჯის დამადასტურებელი სულ ახალ-ახალი ფაქტები მახ-სენდებოდა. ენის სავანძურში ეს ყაჩაღობა ზუნზლიანი თითების ანაბეჭდებით შემორჩენილა. ზურგზე ვიწექი, მთვარის შუქით განათებული ჩემი კმაყოფილი სახე იღიმებოდა...

მლიერმა გრგვინვამ გამოძალვიდა, ჩემ ზემოთ თითქოს რაღაც გაიპო, მკონა, ჩემს თავშიც. ლუსკუმ სიბნელეში მოულოდნელობით დამყრისხალმა უცებ ვერ გავიგე, რა მჭირდა ან სად ვიყავი, ისიც ვერ გავიხსენე, საერთოდ ვინ ვიყავი. ამ ძრწოლაში რაღაც ცოცხალმა გაიღვიძა ჩემში, რაც მძაფრად შევიგრძნობდა შიშს და ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა სიკვდილს; მან არაფერი იცოდა ამის შესახებ, რომ ის ცოცხალი მე ვიყავი. ამ გრგვინვა-დგანდგარის შემდეგ, შავმა სიჩუმემ დაისადგურა და თითქოს ზედ გულზე დამაწვა. ამ ხეივანში არაფერი იყო შიშისა და სულისხუთვის გარდა. მერე თეთრი, კაშკაშა სინათლე მოსკდა და ერთიანად ააბრღვეიალა ჩემი ასანთის კოლოფივით პაწია ოთახი. საწოლში ოთხზე მღვარი შევეგებე სინათლეს. მომეჩვენა, საკუთარ თავს შორიდან ვუცქერდი, თითქოს სხეული მივატოვე, ჯერ კიდევ შორიანლო ვიდექი და ვეყიქრობდი, დავბრუნებოდი თუ არა. მლიერი დარტყმა გაისმა, სახურავმა ამოიგმინა, საოცარია, მაგრამ გაუძლო, ღვართქაფად წამოსული წყლის ქვეშ დაიჭრიალა და დაიკუნესა. ამ გუგუნსა და წვიმის თხრაშუნიში ახლა წითელმა სინათლემ იფეთქა. შუქმა შუშაზე მოხეთქილი წყლის ფარდაში შემოაღწია. მერე ყველაფერი უკუნეთსა და წარღვნაში ჩაინთქა. უცებ ისე ახლოს დაიგრგვინა, თითქოს თავზე დამეცაო მეხი. ჩემს გადმოკარკლულ თვალებს ძილი არ ეკარებოდა, შიში თანდათან ძლიერდებოდა. მერე ისე გახშირდა ელვა, რომ გაელვებიდან გაელვებამდე დამე ველარ ასწრებდა შუქის შთანთქმას — თეთრ-ვარდისფერ ალში გიზვიზებდა ჩემი ქოხი. საწოლთან რუკა გავარჩიე: ზედ ნათლად მოჩანდა მდინარეების, რკინიგზებისა და ქალაქების პირობითი ნიშნები. ერთი ასეთი უაზრო სიტყვაც ამოვიკითხე — „ამსტერდამი“. ასეთი ქალაქი აღარ არსებობს, — გულგრილად გავიფიქრე, — ჰოლანდია წყალმა წაიღო... ხეირიანად არც კი ვიცოდი, რა ხდებოდა: კომეტას შევასკდით, ატომური ბომბი აფეთქდა, ატმოსფეროს მოკწყდით, წარღვნა დაიწყო თუ ჭკუიდან შევიშალე, — ერთი რამ იყო ჩემთვის ნათელი: დასასრული. საკუთარი თავის გასამხნევებლად ხმამაღლა გავიმეორე ამ სიტყვის სინონიმი. ამ პირქუშმა იუმორმა ვერ მიშველა. მე არ ვიცოდი, როგორ იქცეოდნენ ადამიანები იმ ერთადერთი არაჩვეულებრივი შემთხვევის დროს, სამყაროს დასასრული რომ ჰქვია — ერთი რამ კი ისევ ცხადი გახდა: არავითარ შემთხვევაში არ მინდოდა სიკვდილი მაინცდამაინც აქ, ამ საწოლზე, ბუღრუგანაში. საწოლიდან ჩამოვჩოჩდი, შიშისაგან აღმუვლებულმა კარი შუბლით გავაღე. სწორად მოვიქეცი, ოთხფეხზე მღვარი რომ გამოვხიხდი ოთახიდან; წინ მძიმედ დაშვებულყო წვიმის ფარდა და ჩვეულებრივ, ადამიანურ პოზაში სუნთქვა შეუძლებელი ხდებოდა. კარეთ უფრო ნათელი იდგა, ვიდრე ქოხში. ციმციმებდა და ელავედა ბროლივით დაწახნაგებული წყალი. ჩაშავებული ფიჭვების ტოტებში სინათლე ჩანდა. კარგია, ქოხში აღარ მოკვდები!.. — ერთი საქმე კი მოვაგვარე, მაგრამ არც ხშირ ფიჭვნარში მინდოდა სიკვდილი. საქმიანად ვისწრაფოდი სინათლისკენ. გამლილ სივრცეს მოხივდა სული. ცქაფ-ცქაფ, ცხოველივით დაოთხილმა გავქუსლე. ნოტიო სილაში ახალ ნაკვალევს ვტოვებდი. დიუნების ძირთან გამოვედი, გამლილ ადგილას. ჩემ წინ, ზედ ყურეზე წითელ-ყვითლად აბრიალებული ცეცხლოვანი კედელი ფეთქავდა. ყოველი მხრიდან გამაგრებულად გრგვინავდა. შევჩერდი, თავსხმა წვიმის მკვრივმა ნაკადმა გზა გადამიღობა, აღარ ვიცოდი რა მექნა. გამოსავალს ვერ ვპოულობდი და მწარედ ავტირდი. თავზე ღვართქაფი დამდისოდა, ვიგუდებოდი. მეჩვენებოდა, რომ მე მდიოდა ამდენი ცრემლი. არა და არ მინდოდა სიკვდილი, განა იმიტომ, რომ ამ წუთას მეტიმეტი სიმძაფრით მომეძალა სიცოცხლის სურვილი, ანდა იმიტომ, რომ არ მინდოდა ასე სიკვდილი, — მე არ მინდოდა ასეთი მოვმკვლარიყავი, მზად არ ვიყა-

ვი საამისოდ. იმედგადაწურული გავხიხდი დიუნხე და მალა ავინაცულე, თან ავითრე მონძებით სავსე ფუთასავით განუშორებელი საკუთარი ცოდვები: დედისთვის გაუგზავნელი წერილი, ქალიშვილისთვის შეპირებული ლეკვი, აღსკანდელი სიტყვადგაკრეფა და გაუთავებელი ლაქლაქის სირცხვილი... მე გულწრფელად მეწადა მონახიება და არ ვიცი, ამ ერთი-ორი უწყინარი ცოდვის კიდევ სხვა რატომ ვერაფერი გავიხსენე... ქვეშეცნულად, ალბათ, სურვილს მქონდა, დაეშხად გავყროდი სიცოცხლეს. გულში არ გამივლია მამაზეციერის გაცურება—ჩემი ყველაზე დიდი და სამარცხვინო ცოდვა, რომელიც ფარავდა მთელ ამ წვრილმანს, ის გახლდათ, რომ მზად არ ეიყავი მის წინაშე წარსადგომად. დიუნხის მსგავსი უსიტყვო ლოცვა აღვაკლინე მისი მისამართით და პირჯვარი გადავიწერე. საკუთარმა საქციელმა გამაოცა და გამომაფხიზლა კიდევ რაღაცნაირი უტყუარი აღლოთი ვიგრძენი, რომ სწორად მოვახერხე ეს. ადრე ხომ... დანამდვილებით მახსოვს, არ ვიციოდი პირჯვრის გადაწერა: მარცხნიდან მარჯვნივ თუ მარჯვნიდან მარცხნივ? როგორ იწყებოდა — ვერტიკალურად თუ ჰორიზონტალურად? ჭიპი უკანასკნელად თუ მეორედ? რამდენი თითი უნდა შეაერთო?... რელიგიური არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ყოველთვის დირსეულ პატივს მივაგებდი ტაძარს. თუმცა ხატის წინ პირჯვრის გადაწერა არა და არ შემეძლო, იმიტომ კი არა, რომ გაუმართლებლად ან მიუღებლად მივიჩნევდი, არა, უბრალოდ არ ვიციოდი, როგორ ხდებოდა ეს. მლოცველებს მალულად ვუცქერდი, ვედილობდი გამეთავისებინა მათი საქციელი, მაგრამ ვერ ვახერხებდი, არ ვიცი, ძალიან სწრაფად და ხშირად იწერდნენ პირჯვარს, თუ... ერთი სიტყვით, კარგად მახსოვდა, რა საგონებელში მაგდებდა ეს ამბავი უწინ, და ახლა, როცა მუხლებზე მღვარი შეეცქეროდი ცეცხლოვან კედელს, როგორც ღვთიურ გამოცხადებას, ბავშვავით მიხაროდა, რომ ასე კარგად და მოხერხებულად გამომივიდა ეს ყველაფერი!.. შიში და ხაფრა ჩამოვიცილე, თითქოს ეს ჭირი და უბედურება წვიმამ ჩამორეცხაო. და მეტი აღარაფერი მახსოვს, არ მახსოვს, რა...

რომ გამოვიღვიძე, არაფერი მახსოვდა. კრიალა დილა იყო. მზე კაშკაშებდა. ხის ტოტებს მოციმციმე წვეთები შერჩენოდა. ბაღახს ორაქლი ასდიოდა. არჩვეულებრივი მონღოლებით ჭახჭახებდა და ეღურტულებდა ფრინველთა სამეფო. ჭიანჭველა გამოფიტულ ბუზს მიათრევდა. ბიოსადგურის თანამშრომელი სხვენიდან გალიებს ეხილებოდა.

ყველაფერი თავის ადგილას იყო, უწინდელი სამოთხე დაბრუნებულიყო, თღონდ ცა იყო, მგონი, უფრო ღურჯი, ქვიშასაც მეტი სიყვითლე შეპარვოდა. და მაინც, დილა არ იყო გულწრფელი: თავს მაჩვენებდა დილად. ღალატის ნიშნებს ვეძებდი — ვერ ვპოულობდი. თავი ისე ეჭირა, თითქოს არც ახსოვდა დამანდელი, ჩემს ეჭვს დასცინოდა. ცალებდ ჩაუციხე, შევეცადე, თითები სწორად შეშეტყუებინა და პირჯვარი გადამესახა, მაგრამ ხელი არ მომიყვა, კვლავ აღარ მახსოვდა. „სანამ კაცს ცა თავზე არ დაემხო, პირჯვარს არ დაიწერსო“. კიდევ ერთხელ გამაოცა ენის სიზუსტემ; მადლობა დიუნხის. ამ ნიჭს ხომ მაინც არ უღალატნია ჩემთვის. დოქტორმა კუშტად ჩამიარა, ხელში ყუუნჯი ეჭირა, მერე უკან მობრუნდა:

— მთელი ღამე ვიფიქრე ჩვენს საუბარზე, — მითხრა მან. — მდიდარ წარმოსახვაზე ღარიბი არაფერია ამქვეყნად. თავად ასეთი წარმოსახვის პატრონის ატყვევებს პირველივე ძალზე ბანალური და პრიმიტიული სურათით. პესიმისტური შეხედულება კი რაღაცნაირად უფრო დამაჯერებელია. მხოლოდ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შორს ვერ წავაღოთ ძირეული მიზეზებისა და შედე-

ვების დადგენისას. მხოლოდ ერთი ცხოვრების ხანგრძლივობა საკმარისი არაა, რომ საკუთარი გამოცდილების შედეგს მოესწრო... ასეთია უამი კაცისა — არც ისტორიას, არც საცოცხლეს იგი არ უტოლდება. ეს კიდევ ერთი საყრდენია პესიმისა, მისი მეორე თვალია. ჩემი ოპტიმიზმი ახალგაზრდა და პატიოსან კაცს შეიძლება ცრუ, ნაცოდვილარი და ხელსაყრელი ეჩვენოს... მაგრამ მთელ ამ თამაშში მაინც ყოველთვის არის სათადარიგო კარი, რომელსაც არასდროს არ ვითვალისწინებთ. დაარქვით ამას რაც გნებავთ: გინდ ჩვენი უმეცრობა, გინდ უზენაესის ნება. გუშინ ადამიანს პარაზიტი უწოდეთ, დედამიწის „სიმკვიდრის მარაგს“ რომ ანადგურებს (თქვენი სიტყვებია?) მეც თითქმის დაგეთანხმეთ. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ არც ერთ ჩვენთაგანს არ ძალუძს ზუსტად, პრაქტიკულად შეაფასოს ეს მარაგი. მკითხაობას ჰგავს ეს ყველაფერი: დიახ, გზაა, დიახ, რაღაც დაწესებულება ჩანს, და, რა თქმა უნდა, ქალი... მაგრამ — როდის? დრო მინიშნებული არ არის. თუ დროის კოორდინატი არ განისაზღვრა, შეგიძლია ნებისმიერი რამ ივარაუდო, რაიმე ხომ მაინც დაემთხვევა. და თუ ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ ამ „მარაგის“ კოეფიციენტს, მაშასადამე ვერც ადამიანის და ვერც პროგრესის როლს ვერ განვსაზღვრავთ. ადამიანს ვერ შეაჩერებ, იგი მაინც მოჭრის პროგრესის ნაჯახით ტოტს, რომელზედაც ზის, მაგრამ, სწორედ ასევე შეიძლება ეივარაუდოთ აზრობრივად რაღაც საპირისპირო... რაკილა ჩვენი დედამიწა საცხოვრისად ჯერ კიდევ სამყოფია, მაშინ ჩვენს ცნობიერებაში შემოჭრილი (კომუნიკაცია, ინფორმაცია) აზრი მისი კატასტროფული დაკნინებისა და გაპარტახებისა — მხოლოდ და მხოლოდ მისი დაცვის ფორმა, გამაფრთხილებელი ნიშანი ხომ არ არის, რეალურ საშიშროებაზე გაცილებით ადრე ჩართული სიგნალი, რომ ამ უბედურების შესმენა და განჭვრეტა მოვასწროთ... მაშასადამე, ჩემის აზრით, ამ საშიშროებაზე ჩვენი წარმოდგენა დედამიწის რეალური მდგომარეობის არაპროპორციულია, ჰოდა, ჩვენი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ამაშია ადამიანის „სიმკვიდრის მარაგი“, პროგრესის თვალსაჩინო შესწავლის გარანტია; მაშასადამე, პროგრესი ძლიერ სწრაფად კი არა, ზომიერად სწრაფად მიდის, სწორედ ისე, რომ მოვასწროთ კატასტროფამდე. ვინ იცის, შესაძლოა, სულ მალე გამოსაშვები გამოცდები იყოს, დასასრული კაცობრიობის საშუალო განათლებისა... სასკოლო ლაბორატორიის ცდა, უითომ აფეთქება... ფიზიკის კაბინეტში ნაპერწკლებს იხერის, ქიმიის კლასიდან ყროლის სუნი გამოდის — მეტი არაფერი.

დოქტორის ნათქვამმა გამანაწყენა. მნახა რა „ახალგაზრდა“ (თუმცა „პატიოსანი“). ერთი თვითონაა ხანდაზმული. ალბათ, ორიოდ წლით უმცროსიც კი იქნება ჩემზე... უცებ მოვბრუნდი, თავში გამიელვა აზრმა, რომ ჩვენი წარმოდგენა რეალობაზე შესაძლოა რეალობაზე სწრაფი აღმოჩნდეს, რომ სწორედ ეს ძალიანი რეაქცია არის საწინდარი... ეს აზრი მიუხედავად ოპტიმიზმისა, მაინც სიანლებედ მეჩვენა. პრაქტიკულმა გამოცდილებამ ირონიული ღიმილი მომგვარა: განა მოწმე არა ვარ იმისა, რომ ადამიანებს არაფრის სწავლა არ უნდათ! მაგრამ — „ყოველთვის არსებობს სათადარიგო კარი...“ — თქვა მან... ჰოდა, მეც მომეწონა ეს კარი.

მშვენიერი დილა იდგა, და თუ იგი მოჩვენებითი იყო, მაშასადამე კარგად გამოსდიოდა ეს მოჩვენებითობა, ნამდვილს სჯობდა. ხაფანგისკენ წავედი... ჯერ კიდევ სველი, დამძიმებული ბადე ხვეულად და მობრეცილად ეკიდა. ხაფანგის ყველაზე უფრო ვიწრო ნაწილში გარჩენილი ფრთოსანი ტუსალები იტანჯებოდნენ. არცთუ ისე ბევრნი იყვნენ: ორი თუ სამი ბელურა... ზურგიდან მკაფიოდ შემომესმა რამდენადმე უცნაური, უჩვეულო სიცილი, თითქოს თამბაქოთი აქოთებული, წვერგაუპარსავი, ჭკუაშეშლილი მოხუცი მიახლოვდებოდა... აქ ასეთი

არავინაა, მოვიხედე... მართლაც ვერავინ დაეინახე. გაოგნებულმა მხრები ავიჩე-
ჩე. ახლა იგივე მოხუცმა გამოჯავრებით დაიფრანტალა. დაბოღმულმა უკან მოვი-
ხედე და კლარა შევნიშნე. მოხერხებულად მოკალათებულყო ტოტზე და იქიდან
გვითვალთვალებდა მე და ხაფანგს. ჩემი მზერა რომ შენიშნა, გაგულღვივით
აყაპყაპდა, ეს ხმა წედანდელ ხარხარს ჰგავდა, იტყოდით, სიცოცხლე ჩემთვის დაო.
ტოტზე გადატრიალდა და თავდაყირა დაეკიდა, ფრანტალს მაინც — აქტიურება;
მერე ისევ ამოტრიალდა, სულმოუთქმელად ხარხარებდა, აღფრთოვანებული
ფრთებს აფათქუნებდა და ფეხს მოუთმენლად ინაცვლებდა, თუმცა აფრენას სუ-
ლაც არ აპირებდა. საკუთარი თავი შეკავალღვივებდა: ვერ მივხვდი, რითი დავიმსა-
ხურე მისი ესოდენ უცნაური ყურადღება. თუმცა, რა სისულელეა, მე არ მიყუ-
რებდა... თვალი ყურადღებით გაეადევნე მის მზერას და ახლად შევნიშნე ხაფან-
გის შუაგულში მოქცეული მსხვილი ჩიტი, აქეთ-იქით რომ აწყდებოდა. ეშმაკმა
იცის, რა უნდა ყოფილიყო — ისე სწრაფად მოძრაობდა, რომ ვერ გაეარჩიე: ბუ,
ჩხიკვი, თუ გუგული? კაჭკაჭი ხომ არა... ჩიტი ზომით კლარაზე პატარა არ იყო.
მოუსვენრდ წრიალებდა, გამოსასვლელს ეძებდა, მაგრამ ყოველთვის ბადეს აწ-
ყდებოდა და თანდათან ქვევით ჩადიოდა, იმ ვიწრო მიმღებისაკენ, მე და კლარა
გაფაციცებით რომ ვუთვალთვალებდით. გამოსასვლელი უფრო ახლოს იყო ტყვე-
სთან, ვიდრე ხაფანგის ბოლო, თან უფრო ფართოც იყო იმ ვიწრო ყელისგან გან-
სხვავებით, მაგრამ ჩიტი თავისდაუნებურად მაინც სიღრმისკენ მიიწვევდა. „უცნა-
ურია, — გაეფიქრე მე, — შენთვის ახლა ხაფანგიდან გამოფრენა გაცილებით
უფრო ადვილია, ვიდრე შიგ შეფრენა...“ — კლარა კვლავ კროჭინებდა. მაგრამ ეს
არ იყო არც თანაგრძნობა, არც მოწოდება, მისი ხმა დაცინვას უფრო მაგონებ-
და. ადვილს ვერ პოულობდა, ტრიალებდა, ფეხით კონწიალობდა, თითქოს გაიძა-
ხოდა: მოვკვდი სიცილით, ოჰ, მეტი აღარ შემიძლიათ!, ამ სანახაობით ძალზე
აღფრთოვანებული გახლდათ. უცებ მივხვდი, რომ სწორედ ხარხარი იყო ეს. ეჭვს
არ იწვევდა. გამახსენდა, ერთხელ დოქტორს ვკითხე ცხოველების იუმორზე...
პასუხი კი ახლა მივიღე. კლარას მართლა ეცინებოდა: ხაფანგში მისი ტოლა ჩი-
ტი გაბმულიყო. ადრეც აღვნიშნე: ამგვარი რამ იშვიათად ხდება: დიდი ჩიტები
უფრო ჭკვიანები არიან და ხაფანგს გრძნობენ. კლარას სიცილში, რა თქმა უნდა,
ულმობლობისა და მდაბალი სიხარულის ნატამალიც ერია, მაგრამ ეს ჭეშმარი-
ტად სიცილი იყო. „რა სულელი ხარ! კარრ! — ხარხარებდა კლარა. — რა დიდი
და რა შტერი! კარრ-კარრ! ჩურჩუტო! კრ-რ...“ იქნებ მართლა დიდი ჩიტის ამგ-
ვარი სიბრიყვე აღცებდა, და პირადი სიხარული არაფერ შუაში არ იყო. შტერ-
რო!

...აბა, როგორ არ გამცინებოდა საკუთარ თავზე, იმ ჩიტზე ბევრად დიდ არ-
სებაზე!..

ამ ცისქვეშეთში შრომისათვის ჯეროვანი საზღაური არსებობს. მისი მნიშ-
ვნელობის არც სათანადოდ შეუფასებლობა შეიძლება, არც გადაჭარბებით შეფა-
სება. ამ საზღაურისათვის მადლიერება გვმართებს.

ვიდრე ორი პერიპატეტიკოსის საუბრებს ჩაკვირკიტებდი, თავადაც რაღაც-
რაღაცებს მივხვდი, რაც თავისთავად ჩემი მცდელობის გამართლებაა. ამასთანა-
ვე ჯიღდოდ ორი მომცრო ამბავი მერგო. ჩემს ტექსტს მთლად რომ გადაფარა-
ვენ. და ვფიქრობ, ეს ამბები უფრო ძნელად მომაგნებდნენ, ეს ყოველივე რომ

არ დამეწერა. შეიძლება მათ არც ასეთი ჩიბლი ჰქონოდათ, თავად რომ არ ვყოფილიყავი მათთან რალაციით დაკავშირებული.

აი, ერთი ამბავი — ძენ-ბუდიზმის კლასიკოსისა:

„ხის ძირას შეკრებილი მოწაფეები მასწავლებელს ელოდნენ, მასწავლებელი რომ მიუახლოვდათ, ტოტებში ჩიტი აჭიკჭიკდა. შეკრებილები სმენად იქცნენ, გალურსულები აყურადებდნენ. ჩიტმა რომ თავისი მოკლე გალობა დაასრულა, მასწავლებელმა თქვა:

— ქადაგება დამთავრებულია.

და უკან გაბრუნდა“.

მეორე ამბავი პირველკლასელმა იულიამ შეთხზა (იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ასე სხარტად, ასე ზუსტად და ბუნებრივი სიმსუბუქით გადმოსცემდეს უფაქიზეს ურთიერთობებს). იგი მამაკაცის სახელით გვიყვება (სავარაუდოა, სტილისტური მოსაზრებით...)

აი, ისიც სიტყვასიტყვით:

„გუშინ სტუდიაში უცხოელი გვესტუმრა. ბევრი საინტერესო ამბავი მოგვიყვა, მაგრამ ჩვენ მისი არ გვესმოდა. საბედნიეროდ, თარჯიმანი ახლდა, რომელმაც განგვიმარტა, რომ სტუმარი ყვაკებსა და კაჭკაჭებზე გვიამბობდა. თურმე ამ ფრინველებს, ასე ძალიან რომ გვანან ერთმანეთს, ძალიან ცუდად ესმით ერთმანეთისა.

დილით, შინ რომ დავბრუნდი, გავიფიქრე: „რა უცნაურია! ჩვენ სულ არ გვესმოდა მისი, ის კი სწორედ ამაზე გვიყვებოდა...“



ურანგულიანი
თარგმნა ნანა თარგამაძემ



უცვბ მომეჩვენა, რომ ჭეშმარიტება დავადვინე: თუ მ. მ-ი მართლაც აქ იმა-
ლება, საჭიროდ როცა ჩათვლის, უთუოდ გამოჩნდება. ამ დასკვნამდე მივედი თუ
არა, დარჩენა გადაეწყვიტე. მოვიხსენი პიეროს თეთრი ნილაბი და სახე გამოვა-
ჩინე. მშვენიერმა კ. კ-მ სიხარულით წამოიძახა:

— ვიცოდი, შენ იქნებოდი, გული მეუბნებოდა და მაინც შვებით ახლავდა
ამოვიხსენი! მგონი, გაგიკვირდა, როცა დამინახე, განა არ იცოდი, რომ გელო-
დი?

— რა თქმა უნდა, არაფერი ვიცოდი.

— თუ უნებლიეთ გაწყენინე, ვნახობ, მაგრამ განზრახ არაფერი დამიშავე-
ბია...

— საყვარელო, მომიახლოვდი, გულში უნდა ჩავიკრა. როგორ იფიქრე, შენი
ნახვა მეწყინებოდა? მუდამ მოსურნე ვარ შენი ხილვისა და კვლავაც ჩემი განუ-
ყოფელი ნახევარი ხარ; მაგრამ გახივ, დაეხმარო ჩემს სულს და ორჭოფობის
ბნელი ჭაობიდან ამომიყვანო; გამაგებინე, აქ როგორ გაჩნდი, თუ ჩვენი საიდუმ-
ლო არ გაგიმხელია?

— მეუ? ღმერთია მოწამე, არასოდეს ვიღალატებ, თუნდაც მოვკვდე.

— მაშ აქ როგორ აღმოჩნდი? როგორ მიხვდა შენი საყვარელი მეგობარი
ყველაფერს? მსოფლიოში კაცი არ მეგულება, ვინც ამას შეატყობინებდა. იქნებ
ლორამ...

— ლორა ჩემი ერთგულია. ძვირფასო მეგობარო, ვერაფერი გამივია...

— როგორღა დათანხმდი ამ მასკარადზე, როგორ მოხვედი აქ? თურმე მონა-
სტრიდან გამოსვლა შეგიძლია და აქამდე მიმალავდი?

— განა მაშინვე არ შეგატყობინებდი, მონასტრიდან გამოსვლა რომ შემძლე-
ბოდა?! რად დავიმალავდი? დღეს პირველად, ორი საათის წინ, ჩავიდინე ეს საქ-
ციელი და არ მეგულება უფრო უბრალო და ბუნებრივი მიზეზი, რამაც ამგვარი
რამ გამაკეთებინა...

— მაშ, მიაშვე ყველაფერი, ძვირფასო მეგობარო... ცნობისმოყვარეობა
მკლავს...

— ოღონდ ნუ დედავ და ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები. იცი აღ-
ბათ, მე და მ. მ-ს ერთმანეთი რარივად გვიყვარს. უნახესი კავშირი გვაქვს, —
თუ გახსოვს, ერთ-ერთ წერილში გწერდი კიდევ ამის თაობაზე. ჰოდა, ორი დღის
წინათ მ. მ-მა სთხოვა აბატიასა და ჩემს გამზრდელს, მის სანთილობოში დაძინე-
ბის ნება დამართონ ერთი მონახვნის ნაცვლად, რომელსაც ისეთი სურდო შეეყა-
რა, რომ სააკადემიოლოში გაამგზავრეს. ნებართვა მივიღე და ვერ წარმოიდგენ,
რა სიამოვნებით ჩავწექით, როგორც იქნა, საერთო ლოგინში.

დღეს მონასტრის დარბაზში ბევრი გვაცინე, თუმცა ვერც მ. მ-მა და ვერც
მე ვერ წარმოვიდგინეთ, შენ თუ იქნებოდი. დღესასწაულის შემდეგ თავის ოთახ-
ში ავიდა. მეც გაყევი და, როგორც კი მარტონი დავრჩით, მითხრა, შენთან ერ-

თი თხოვნა მაქვს. უარი არ გამაგონო, ჩვენი ბედნიერების საკითხი წყდება. უყოყმანოდ მიუხედავად, ყველაფერს შევასრულებ, რასაც მოისურვებ-მეთქი. მაშინ კარადის უჯრა გამოსწია და ჩემდა გასაკვირად ეს კაბა ჩამაცვა. იცინოდა და მეც ვიცინოდი, რადგან ამ ხუმრობის მიზანს ვერ ვხვდებოდი. თავით ყველამდე გამო-
მაწყო და მითხრა, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საიდუმლო უნდა გაგახლო, რად-
გან სავსებით გენდობიო, „იცოდე, ძვირფასო მეგობარო, ~~ჩემი მხურხველა~~, — ამ
ღამით მონასტრის კედლები უნდა დამეტოვებინა და განმარტოვებული-
ლიყავი, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა და ჩემ მაგიურად აქედან შენ გახ-
ვალ; ხურაფრის გეშინია, ჩემი რჩევა-დარიგება არ გჭირდება — დარწმუნებული
ვარ, არ დაიბნევი; ცოტა ხანში აქ ერთი მონაზონი მოვა, ყურში ერთ სიტყვას
ვეტყვი და წინ გაგიძღვება; უკანა კარიდან გახვალ, გაივლი ბაღს და პატარა ნავ-
სადგომისკენ გასასვლელ ოთახში აღმოჩნდები. შემდეგ გონდოლაში ჩაჯდები და
გონდოლიერს ერთ სიტყვას ეტყვი: „აგარაკზე“. ხუთ წუთში აგარაკზე იქნები,
შეხვალ მყუდრო ბინაში, სადაც ბუხარი ენთება. მარტო იქნები და ერთ ადამიანს
დაელოდები.“ „ვის?“ — ვკითხე. „არ ვიცი. მეტიც თქმა არ შემიძლია. იქ ისეთი
არაფერი მოგივა, რაც არ მოგეწონება. მენდე. ამ სახლში ივანშემეხ და, თუ მოინ-
დომებ, დამესაც იქ გაატარებ, არავინ შეგიშლის ხელს. გთხოვ, მეტი არაფერი
მკითხო. მაინც ვერაფერს ვეტყვი“.

მითხარი, საყვარელო მეგობარო, რაღა მექნა ამ სიტყვების შემდეგ, თანაც
პირობა მქონდა მიცემული, რომ ყველა სურვილს შევუსრულებდი! შორს სიძნ-
ღალე და უნდობლობა!

გავიცინე, მართალი ვითხრა, დიდ სიამოვნებას არსაიდან ველოდი; მაგრამ
მონაზონს მაინც დაველოდე, გავყევი და აი, აქა ვარ. ორმოცდახუთი წუთი მოწ-
ყენით ვიყავი და პიეროც გამოჩნდა.

სინდისს გეფიცები, იმ წამს, როგორც კი დავინახე, გულმა მიოხრა, რომ
ის ნიღაბი შენა ხარ, მაგრამ ძერე, ახლოდან როცა შემათვალისწინებ და ისევე უკან
დაიხიე მივხვდი — ვიღაცამ მოგატყუა. დაჯექი და ისეთი მღუმარე იყავი და
დაღვრემილი, კრინტი ვეღარ დავძარი... თუმცა გული მკარნახობდა, ის არის, ის
არისო, მაინც შეცდომისა მეშინოდა. ვაითუ პიეროს ნიღბის ქვეშ სხვა ვინმე
ყოფილიყო?! ამ სახლში შენზე ძერფასი ვინ უნდა მენახა?! უკვე რვა თვეა, რაც
მოკლებული ვარ ყველაზე დიდ სიამოვნებას: გაკიცო. ახლა ხომ დარწმუნდი,
არაფერი დამიშავებია; ნება მომეცი მოგილოცო, რომ ამ სახლის არსებობა იცი.
ბედნიერი ხარ და მე ეს მახარებს. ჩემ შემდეგ მ. მ-ი ერთადერთი ქალია ვინც
შენი სიყვარულის ღირსია, და ერთადერთი, ვისაც შემიძლია ეს ბედნიერება გა-
უყო. ადრე მეცოდებოდი, ახლა კი, პირიქით, შენი ბედნიერებით ვტკბები, მა-
კოცე.

უნამუსო, ან უფრო მეტიც ბარბაროსი ვიქნებოდი, მაშინვე გულში რომ არ
ჩამეკრა ეს კეთილი და მშვენიერი ანგელოზი, რომელიც აქ მეგობრობის იშვი-
ათმა გრძნობამ მოიყვანა. გულწრფელად დავუდასტურე, რომ სრულიად გამართ-
ლდა ჩემს თვალში, მაგრამ მაინც, მიკიბ-მოკიბვით, საუბარი გრძნობათა რაობა-
ზე და მ. მ-ის გაუგონარ საქციელზე ჩამოვყავდი. განა ამ საკმაოდ ორჭოფული
ქმედების ახსნა შეიძლებოდა?! კ. კ-ს პირდაპირ განვუცხადე, შენთან შეხვედ-
რის სიამოვნება რომ არა. სხვა ყველაფერი ჩვენი საერთო მეგობრის მხრივ სას-
ტიკ ხუმრობას წააგავს და ჩემთვის შეურაცხმყოფელი და გაუმართლებელია-
მეთქი.

— არა მგონია, ასე იყოს, — მიპასუხა კ. კ-მ, — ჩემმა მეგობარმა უთუოდ
გაიგო, რომ ადრე ჩემი სატრფო იყავი. ალბათ იფიქრა, რომ კალევი ვიყვარვარ,

და გადაწყვიტა (მე ვიცი რა დიდსულოვანიცაა) თავისი ჭეშმარიტი მეგობრობა გამოეხატა და გაუფრთხილებლად გაებედნიერებინა შეყვარებულები. ამისთვის მხოლოდ მადლობა შემიძლია გადავუხადო.

— მართალი ხარ, ძვირფასო მეგობარო; მაგრამ შენი მდგომარეობა სრულიად არა ჰგავს ჩემსას. შენ სხვა შეყვარებული არა გყავს, მე კი რადგან შენთან ურთიერთობის საშუალება არა მქონდა, მ. მ-ის მომხიბვლელობას ვერ გვეუბნები და გაგიუბებით შევიყვარე. მან ეს მშვენიერად იცის. ისეთი ჭკვიანი ქალი, როგორც მ. მ-ია, ამგვარად მხოლოდ მაშინ მომექცეოდა, თუ მოისურვებდა ჩემდამი ზიზღი გამოეხატა. უნდა გამოგიტყდე, ძალიან მგრძნობიარე კაცი ვარ და იშვითად მეშლება რამე. ისე რომ ვუყვარდე, როგორც მე მიყვარს, არასოდეს გაამჟღავნებდა ასეთ სამწუხარო გულმოწყალებას და თავის მაგივრად შენ არ გამოგაგზავნიდა.

— განსხვავებული აზრისა გახლავარ. მისი სული კეთილშობილია და მადალი, გული — მოწყალე. არა მწყენია, როცა თქვენი სიყვარულის ამბავი შევიტყვე და ისიც ვიგრძენი, ბედნიერები რომ ხართ. ჰოდა, ისიც არ გაბრაზებულა, როცა გაიგო, მე და შენ ერთმანეთი რომ გვიყვარს; პირიქით, თავისი თანხმობა ამ საქციელით დაგვიდასტურა. სურს გაგაგებინოს: შენ მხოლოდ შენ გამო უყვარხარ, შენი სიამოვნება — მისი სიამოვნებაცაა, არ ეჭვიანობს და არც თავისი მეგობრისა არა შურს. ჩვენი საიდუმლოს გამოცნობისთვის რომ არ გაუბრაზდე, აქ გამომგზავნა და ამით გამცნო: თუ გულს ორივეს გაგვიყოფ, სიამოვნებით დაგთანხმდება. მშვენიერად იცის, მას ვუყვარვარ და ხან ცოლობას ვუწევ, ხან კი ქმრობას; და თუ არ ითაკილებ, რომ შენი მეტოქე ვიყო და ზოგჯერ ბედნიერება ვაჩუქო, მასაც არა სურს შენს წარმოდგენაში მისი სიყვარული სიძულვილს ჰგავდეს. სიძულვილი ხომ ეჭვიანი გულის სიყვარულია!

— მფარველი ანგელოზით იცავ შენს ამხანაგს, ჩემო ძვირფასო ცოლო, მაგრამ საქმის ნამდვილ ვითარებას ვერა ხედავ. ჭკვიანი ხარ და სუფთა, მაგრამ ცხოვრების ჩემეული გამოცდილება გაკლია. მ. მ-ს გასართობად ვუნდივარ მხოლოდ. მშვენიერად იცის, არც ისე სულელი ვარ, მისმა ოინმა გამაბრძოლოს. უბედურება დამატყდა თავს და ეს მხოლოდ მისი ბრალია.

— მაშინ მეც ნაწყენი უნდა ვიყო. განა არ მაგრძნობინა, ჩემი შეყვარებული რომ უყვარს? ჩემიარ და აღარ დაგიბრუნებო?! უფრო მეტიც, მიმანიშნა, რომ უარყოფს ჩემს თავყვანისცემას, რადგან მაიძულებს სხვას გავუმჟღავნო სიყვარული.

— ოჰ! ახლა კი შენი მსჯელობა მოისუსტებს. თქვენი დამოკიდებულება სულ სხვაგვარია. თქვენი სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ გართობაა, გრძნობათა თამაში. თქვენი სიამოვნება სულაც არ გამოირიცხავს სხვა სიტკბოებას, შეგიძლიათ ერთმანეთზე იეჭვიანოთ, თუ რომელიმე თქვენგანი ქალს შეიყვარებდით, მაგრამ საყვარელი კაცი სულ სხვა რამეა! არც შენა და არც მ. მ-ს არ უნდა გეეჭვიანათ მხოლოდ მაშინ, თუ ორივეს ერთი საყვარელი გეყოლებოდათ.

— სწორედ ასე არ მოხდა? და მაინც არა ხარ მართალი! გაიგე, სულაც არა გეწყინს, თუ ორთავენი გიყვარვართ. განა არ გწერდი, რომ შემეძლოს, ჩემს ადვილს დაგიომობდი-მეთქი? ნუთუ გგონია — მეც მეზიზღები?

— ის, რომ შენ, ძვირფასო მეგობარო, შენი ადვილის დათმობას ღამობდი და არც იცოდი, ჩემდა საბედნიეროდ აკეთებდი ამას თუ არა, მხოლოდ იმის ნიშანი იყო, მეგობრობის გრძნობამ სიყვარულს სძლია და ახლა, თუ პირიქით მოხდა, თუ სიყვარულმა შენში უპირატესი ადვილი დაიკავა და დაწინაურდა, ერთობ კმაყოფილი ვარ. მაგრამ ჩემს გაწბილებას საზღვარი არა აქვს, თუ ამგვარი

გრძნობა მ. მ-საც გაუჩნდა; მე ხომ იგი მიყვარს და ცოლად არ შემიძლია შევირთო. გესმის, რასაც გუბნები, ჩემო ანგელოზო? დარწმუნებული ვარ, ჩემი ცოლი გახდება და ამიტომ ჩვენს სიყვარულშიც არ მეპარება ეჭვი — ჩვენს გრძნობებს ჯერ კიდევ წინ უღევს დრო, ხოლო მ. მ-ისა და ჩემი სიყვარული წარმატებულია... რაც იყო, აღარ დაბრუნდება. და განა ჩემთვის დამამცირებელი არ არის, რომ ჩემი სიყვარული უარყოფილია და თურმე გასარიობედ ქვეყნდება? თანაც ყოველივეს ასეთ უცნაურ ვითარებაში ვიგებ! შენ, ჩემო ანგელოზო, უნდა გააღმერთო იგი! მან ყველა თავის საიდუმლოს გაზიარა. მუდამ მადლიერი იყავ მისი და არასოდეს უღალატო.

ასეთი იყო არსი ჩვენი მსჯელობისა. საუბარი შუალამემდე გაგვიგრძელდა; წინდახედულმა მოახლემ მშვენიერი ვახშამი მოგვართვა. ჭამა არ შემეძლო. კრიჭა შემკროდა, რასაც კ. კ-ზე ვერ იტყოდით. კარგა მადიანად ივახშმა. მწუხარების მიუხედავად უნებლიეთ გამეცინა, როცა კვერცხის ცილის სალათი დავინახე. ქალმა თქვა, რომ სალათი მართლაც სასაცილოა, რადგან კვერცხს ყველაზე გემრიელი რამ — გული მოაცილეს. გულუბრყვილომ რა იცოდა, რა განზრახვით დაამზადებინა დიასახლისმა ეს კერძი. აღტაცებითა და სიამოვნებით შევამჩნიე, მის გარეგნობას რაოდენი მშვენიერება და სრულყოფილება შემატებოდა, მაგრამ მაინც გრძნობათა გამოხატვის არავითარი სურვილი არ გამჩენია. მუდამ მეგონა, რომ საყვარელი არსებისადმი ერთგულება დიდი ვერაფერი დამსახურებაა.

გათენებამდე ორი საათით ადრე ისევ ბუხარს მივუსხედით. დამწუხრებულს რომ მხედავდა, გულის ამარყვებლად მექცვოდა, არც გაღიზიანება დასტყობია, არც მოუთმენლობა. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, ნამდვილად კლემამოსილების განსახიერება იყო. მის სიტყვებში მხოლოდ სიყვარული და სინაზე იგრძნობოდა; ერთი საყვედურიც არ დასცდენია ჩემი გულცივობის გამო.

გრძელი საუბრის დასასრულს მკითხა, მონასტერში რომ დავბრუნდები მ. მ-ს რა ვუთხრაო.

— ჩემს დაბრუნებას ალბათ სულმოუთქმელად ელოდება, — თქვა მან, — ჰგონია, კმაყოფილი და მადლიერებით აღვსილი დავბრუნდები. ეს ღამე კეთილშობილურად მაჩუქა. მე კი რა ვუთხრა?

— სრული სიმართლე. ჩვენი საუბრის არც ერთი სიტყვა არ დაუმალო, არ გამოტოვო არც ერთი აზრი, რასაც გაიხსენებ. უთხარი, რომ დიდი ხნით გამაუბედურა.

— ამის თქმა როგორ შეიძლება, ძალიან ეწყინება; მას ხომ უყვარხარ და შენს მედალიონს თვალის ჩინივით უფროთხილდება. ყველაფერს გავაკეთებ, რათა რაც შეიძლება მალე შეგარიგოთ. ღორას ხელით წერილს გამოგიგზავნი ან აჯობებს, შენ მოაკითხო.

— შენი წერილები მუდამ ძვირფასი იქნება ჩემთვის, მაგრამ ნახავ, მ. მ-ი არ დაიწყებს საქმის კვლევასა და ჩაძიებას. იქნებ ერთ საკითხში არ დაგიჯეროს.

— გასაგებია, რასაც გულისხმობ. ვერ დაიჯერებს, რომ რვა საათის განმავლობაში სიმტკიცე გამოვიჩინეთ და და-ძმასავით არაფერი შეგვიცოდავს. თუ ჩემსავით გიცნობს, ეს შეუძლებლად მოეჩვენება.

— მაშ, ასე... თუ გსურს უთხარი, რომ ყველაფერი პირიქით იყო.

— თუ! არა და არა! ეს სრულიად უადგილო სიცრუე იქნებოდა. ზოგი რამ შემიძლია დაემართ, მაგრამ ტყუილის თქმას ვერასოდეს ვისწავლი. იმიტომაც მიყვარხარ, რომ მთელი ღამის განმავლობაში ერთხელაც არ მომაჩვენე თავი, ვითომ ძველებურად გიყვარდე.

— დამიჯერე ჩემო ანგელოზო, სევდამ დამასხნულა. მთელი გულით მიყვარხარ, მაგრამ ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ სიბრაღულს ვიმსახურებ.

— შენ სტირი, ჩემო მეგობარო! გთხოვ, შემიბრალო და მაპატიო. ეს სიტყვები არ უნდა დამცდენოდა, მაგრამ მერწმუნე, აზრად არა მქონია შენი გაბტყუნება. ეჭვი არ მეპარება, რომ თხუთმეტი წუთის შემდეგ მ. მ-იც ატირდებოდა.

საათმა დარეკა. მ. მ-ის გამოჩენის ყოველგვარი იმედი გადმეწურა. მ. მ-ის კ. კ-ს, ჩემი ნილაბი ჩამოვიფხატე, რათა თავი დამეცვა ამოვარდნილი ქარიშხლისაგან, კ. ს-ს ჩვენი სახლის გასაღები ხელში ჩავუდე, ვთხოვე, მ. მ-ისთვის გადაეცა, და კიბეზე სწრაფად დავეშვი.

1754

თ ა ვ ი XXV

ლამის დაღუპვა ლაგუნაზე. ავადყოფობა. კ. კ-სი და მ. მ-ის წერილები. შერიგება. პაემანი მიურანზე. მ. მ-ის მეგობრის სახელი. ვახშაში აგარაკზე საერთო საყვარლის თანხლებით.

გადასასვლელამდე სირბილით მივედი. იმედი მქონდა გონდოლას ვნახავდი და ვერა ვნახე.

ვენეციური წესით ეს არ უნდა მომხდარიყო: ნებისმიერ დროს ნებისმიერ გადასასვლელთან ორი გონდოლა მაინც უნდა იდგეს, თუმცა ზოგჯერ მართალია, ძალზე იშვიათად, შეიძლება არც ერთი არ დაგხვდეთ. სწორედ ასე მოხდა მაშინაც. დასავლეთის ძლიერზე ძლიერი ქარი ქროდა, გონდოლიერებს, ეტყობა, მოსწყინდათ ლოდინი და დასაძინებლად გასწიეს. რა უნდა მექნა ნახევრად შიშველს ამ შუადამისას?! იქნებ უკან მივბრუნებულყავი კიდევ, გასაღები კ. კ-ისთვის რომ არ მიმეცა. ქარმა ლამის წამიღო, მე კი თავშესაფარი ვერსად მეპოვა.

ჯიბეში, სულ ცოტა, სამორინეში მოგებული სამასი ფილიპი მაინც მქონდა და ოქროთი სავსე ქისა; ქურდებს უნდა მოვრიდებოდი — მიურანზე ერთობ საშიში, თავზე ხელაღებული მკვლელები დანავარდობენ. ისინი ძირითადად მინის ფაბრიკის მუშები არიან და გაქნილი ხელისუფლებაც მათ განსაკუთრებული მფარველობით ეპყრობა: კუნძულზე უამრავი მინის საწარმოა; მუშებმა რომ ქარხნები არ მიატოვონ, მთავრობა ამ ხალხს ვენეციის მოქალაქეობას აძლევს. რესპუბლიკის ამგვარ მოქალაქეებთან შეხვედრა კარგს არაფერს მიქადდა, პერანგის ამარას დამტოვებდნენ. ჯიბეში არ მედო უბრალო დანაც კი — ვენეციის პატიოსანი ადამიანების ჩვეულებრივი იარაღი. საშინელი წამები იყო და ყველაფერთან ერთად სიცოცხისგანაც ვკანკალებდი.

ერთი ღარიბული ქოხის დარაბაში შუქი შევნიშნე და დავაკაკუნე.

— რომელი ხარ? — მესმის იქიდან.

დარაბა იღება.

— რა გნებავთ? — მეკითხება ვიღაც კაცი და ჩემს კოსტიუმს გაკვირვებული ათვალიერებს. ვთხოვე, შინ შემიშვი-მეთქი, მივეცი ერთი ფილიპი — მონეტა, რომლის ფასი თერთმეტი ლირაა, და მოკლედ ვუამბე, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

კარი გამიღო. შევეხვეწე, გონდოლა მიშოვნე, ერთ ცეხინად ვენეციამდე რომ

მიმიყვანოს-მეთქი. სწრაფად ჩაიცივა ტანთ, უფალს მადლი შესწირა და დამარწმუნა, გონდოლას უმაღლ მოგიყვანო. მერე ჯარისკაცის ლაბადა მოისხა, წავიდა და ოთახში დამტოვა. ჩემ წინ მთელი მისი ოჯახია, — ღოგინში წაჩან და ვაკვირვებული მათვალღიერებენ. ჩემი კაცი ნახევარ საათში ბრუნდება და მეუბნება, ორნიჩბიანი გონდოლა ნავსაბმელთან გელოდება, მაგრამ გონდოლიერებს ფულის მიღება წინასწარ უნდათო. დავთანხმდი, მადლობა გადაუხადე და მშობრად მივევი გოლიათური აღნაგობის ორ გონდოლიერს.

დაუბრკოლებლად ჩავდივართ წმინდა მიხეილის კუნძულამდე, მაგრამ კუნძულს გავცდით თუ არა, ქარმა ისე სასტიკად დაუბერა, მაშინვე მივხვდი — წინ წასვლა ნაღდ სიკვდილს გვიქადდა. თავად კარგი მოცურავე გახლდით. მაგრამ იმ წუთებში ჩემი ძალისაც მეეჭვებოდა და წყლის დინებაც ძალიან ძლიერი იყო. ვუბრძანე გონდოლიერებს, კუნძულთან გაჩერებულიყვნენ. შემეწინააღმდეგნენ — ვილაც ლაჩრები ხომ არა გგონივართ, ნურაფრის გეშინიათო. ჩვენი გონდოლიერების ზნე რომ ვიცოდი, გაჩუმება ვარჩიე. ქარის პირველივე შემოტევისას აქაფებული ტალღა ნავში შემოვარდა და ჩემმა მენიჩბებმა გოლიათური ძალის მიუხედავად ერთი მისხლითაც წინ ვერ წაიწიეს.

იეზუიტების არხამდე ასიოდე ნაბიჯი გვაკლდა, როცა ქარის მძლავრმა ნაკადმა კიჩოზე მჯდარი გონდოლიერი წყალში მოისროლა. ნავს ხელი ჩაავლო და ადვილად ამოძვრა უკანვე. ერთი ნიჩაბი დაიკარგა. გონდოლიერმა მეორე ნიჩაბს წაავლო ხელი, მაგრამ გონდოლა ქარმა გვერდით შეატრიალა და თვალის დახამსამებაში მარჯვნივ წაგვიღო. წამის დაკარგვა არ შეიძლებოდა. არავითარი სურვილი არ მქონდა ვახშმად ნებტუნს ვწვეოდი.

ყვირი, selcel ხლვაში გადაავდეთ-მეთქი, და გონდოლის ნოხზე ერთ მუჭა ვერცხლსა ვერი. ორივე მუტრუკი დაუყოვნებლივ შემორჩილება და ისეთი ძალით უსვამენ ნიჩაბს, თვით ეოლოსსაც² შეშურდებოდა. ოთხი წუთიც არ გასულა, უკვე მათხოვართა არხში მივცურავდით. ვაქებ გონდოლიერებს და ვუბრძანებ — ნაპირზე, პალაცო ბრაგადინის ნავსაბმელთან ჩამომსვან. შინ შესვლისთანავე ღოგინში ვწვები და საბნებს ვიფარებ, რათა ჩემს ნორმალურ ტემპერატურამდე გავთბე. ტკბილი ძილი ძალას აღმიდგენდა, მაგრამ ვერა და ვერ დავიძინე.

ხუთი-ექვსი საათის შემდეგ ბ-ნი დე ბრაგადინი მეწვია თავისი ორი მუდმივი თანმხლებით და ნახა, რომ ციებ-ცხელება მჭირდა. სიცოლისგან თავი მაინც ვერ შეიკავა, როცა კანაპეზე გადაკიდებულ პიეროს კოსტუმს მოჰკრა თვალი. მომილოცეს, იოლად რომ გადავრჩი, და მარტო დამტოვეს. საღამოს ისე ძლიერ გავვოფლიანდი, ღამით თეთრეული გამომიცივალეს. მეორე დღეს ციებ-ცხელებამ მიმატა და ბოდვა დავიწყე, კიდევ ერთი დღის შემდეგ ისე დავსუსტდი, განძრევაც აღარ შემეძლო. ციებამ უკან დაიხია; ახლა ჩემი გამოჯანმრთელება მკაცრი რეჟიმის დაცვაზე იყო დამოკიდებული.

ოთხშაბათს, დილაადრიან, ღორა გამომეცხადა. ვუთხარი, არც წერისა და არც კითხვის ძალა არა მაქვს-მეთქი, და მეორე დღისთვის დავიბარე. მოტანილი ფოსტა ღამის მაგიდაზე დამიდო და დამტოვა. უკვე შეეძლო ჩემი ჯანმრთელობის ამბავი კ. კ-სთვის ეამბნა.

საღამო ხანს ოდნავ მოვკეთდი, კარის დაკეტვა ვბრძანე და კ. კ-ს წერილი წავიკითხე. უპირველეს ყოვლისა, სიხარულით აღმოვაჩინე ჩვენი აგარაკის გასაღები: უკვე ვნანობდი, ასე რომ აფჩქარდი და ყველაფერი იოლად დავთმე. დაბ-

1. ის, რაც გონდოლაზეა დაშენებული (კახანოვას შენიშვნა ხელნაწერის არშიაზე).

2. ქართა ღმერთი (ბერძნ. მით.).

რუნებული გასაღები ჭეშმარიტად გულზე მაღამოდ მომეცხო. პაკეტში მ. მ-ის წერილიც იყო და ხარბად დავეწაფე:

„ვიმედოვნებ, კ. კ-ს წერილში აღწერილი გარემოებანი დაგავიწყებოთ იმ შეცდომას, თქვენს საამებლად რომ ჩავიდინე. ყველაფერს ვხედავდი და ყველაფერი მესმოდა... ვერ წახვიდოდით და გასაღებსაც ვერ დატოვებდით, საუბელურად, თქვენს წასვლამდე ერთი საათით ადრე რომ არ ჩამძინებოდა. ასე რომ დამიბრუნეთ კ. კ-ს მიერ გამოგზავნილი გასაღები და, რაზან განგებამ ქარიშხალს გადაგარჩინათ, ხვალ ჩვენს აგარაკზე მოდით. იქნებ სიყვარული კი გაძლევს ჩვილის უფლებას, მაგრამ ნება არა გაქვთ იმ ქალის წყენინებისა, ვისაც არაფრით შეუბღალავს თქვენი ღირსება“.

შემდეგ კ. კ-ს ვრცელი წერილი წავიკითხე — გათავაზობთ მხოლოდ იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, ყურადღებას უნდა იმსახურებდეს:

„გთხოვ, ძვირფასო მეუღლე ჩემო, აღარ დამიბრუნო გასაღები. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ უსასტიკეს მამაკაცად იქცევი და შენზე უსაზღვროდ შეყვარებული ორი ქალის დამწუხრება გაგახარებს. ვიცი შენი გულის ამბავი და დარწმუნებული ვარ, ხვალ საღამოს მიურანის სახლში მოხვალ და მ. მ-ს შეურიგდება, — დღეს ჩემს მეგობარს იქ წასვლა არ შეუძლია. დარწმუნდები, რომ ნამდვილად მტყუანი ხარ და საკუთარ თავს მხოლოდ გაუგებრობის გამო ამართლებ. მანამ კი ისეთ რამეს მოგიყვები, რაც არ იცი და რამაც უნდა გაგახაროს.“

იმ უამინდობაში რომ წახვედი, ძალიან შევწუხდი და დამწუხრებული პირველ სართულზე ჩავედი. მონასტერში უნდა დავბრუნებულიყავი და ვჩქარობდი. უცებ, ჩემდა გასაკვირად, მ. მ-ი დავინახე. დასვედიანებულმა მითხრა, ყველაფერს ვხედავდი და ვისმენდი სამალავიდანო. ცხადია, სამალავის დანახვა ჩვენ არ შეგვეძლო. თურმე რამდენჯერმე სურდა გამოსულა, მაგრამ ველარ გაბედა რათა ზედმეტი არ ყოფილიყო ორი შეყვარებული ადამიანის შერიგებისას; და მაინც საუბრის ბოლოს შემოსვლა დაუპირებია, მაგრამ უცრად ძილი მორევია და ჩასძინებია. საათის რეკვას გაუღვიძებია; შენ უკვე წასული იყავი და გასაღებიც მოცემული გქონდა. მ. მ-მა მითხრა, ყველაფერს მონასტერში ავიხსნიო, და იმ საშინელ ქარში, შენზე შეწუხებულნი და მაფიქრალნი, გზას დავადექით. მან დაასკვნა, რომ ძალზე აღელვებული იყავი, თორემ წესით აგარაკზე უნდა დარჩენილიყავი. მის სენაკში განუმარტოვდით თუ არა, ტანთ გავიხადეთ. მე საერო ტანისამოსი ჩავიცვი, ის კი ლოგინში ჩაწვა. სასთუმალთან დავუჯექი და აი, სიტყვასიტყვით გადმოგცემ მის ნაამბობს: „შენ რომ ბეჭედი დამიტოვე და გადიასთან წახვედი, დაკვირვებით დავათვალიერე. დავეჭვდი, პატარა ცისფერი წერტილი ალბათ ტყუილად არ ამჩნევია-მეთქი ზედ. არაბესკის გარშემო შემოვლებული თეთრი მინანქარი, ცხადია, არაფერ შუაში იყო, და მივხვდი, ძაღლის თავი აქ უნდა ყოფილიყო დამარხული. ქინძისთავი ავიღე და იმ წერტილს დავაჭირე. წარმოიდგინე ჩემი გაკვირვება და უდიდესი სიხარული, როცა აღმოვაჩინე, რომ ერთი და იგივე ადამიანი გვიყვარს! ამავე დროს ტკივილი ვიგრძენი: მე ხომ სიყვარულს გართმევდი! ბედნიერი ვიყავი ჩემი აღმოჩენით და იმწამსვე გადავწყვიტე ვახშამზე შემეხვედრებიანეთ ერთმანეთს და ამით თქვენთვის სიამოვნება მომენიჭებინა; უმალვე თავის ადგილზე დავდე შენი წმინდა ეკატერინე და ისე დავიჭირე თავი, ვითომ არაფერი მენახოს. რა სიხარული განვიცადე! იმ წუთს უბედნიერესი ქალი ვიყავი. შენი გულის ამბავი ვიცოდი, ვიცოდი ისიც, რომ შენს შეყვარებულს მეც ვუყვარვარ — ხომ გაჩვენე მისი პორტრეტისანი მედალიონი, —

და დავრწმუნდი, რომ არ ეჭვიანობ. ზიზღის გარდა არას დავიმსახურებდი, თავადაც შენგან განსხვავებული გრძნობები რომ მქონოდა. ამასთან შენი უფლებები გაცილებით სჭარბობდა ჩემსას. მივხვდი იმასაც, თუ რატომ მიმძღავდი შეყვარებულის სახელს, — მის ბრძანებას ასრულებდი. აღმაფრთოვანა მენმა ერთგულებამ და სულის სილამაზემ. ასე კმსჯელობდი: ეტყობა, შენს შეყვარებულს ეშინია ორთავე დაგვეკარგოს, თუ გავიგებთ, რომ არც ერთი ჩვენგანი მისი გულის ერთადერთი მბრძანებელი არ არის. ვერ წარმოიდგენ, როგორ შემებრალე, როცა წარბშეუხრელად დაათვალიერე ჩემი მედალიონი და დარწმუნდი, სიყვარულში მოზიარე რომ გყოლია. ჩემი მსჯელობის სამართლიანობამ გამახარა, სულითა და გულით მინდოდა ისე მოვქცეულიყავი, რომ ორთავენი დამერწმუნებინეთ — მ. მ-ი თქვენი სიყვარულის, მეგობრობისა და პატივისცემის ღირსია. შეუცნობელი აღტაცებით ვფიქრობდი, რომ ჩვენ სამს შორის აღარაფერი იქნება დაფარული და ამიერიდან ასგზის ბედნიერი გავხდებით. ეს აზრი მამოძრავებდა, როცა ყველაფერი მოვამზადე იმ ოინისთვის, რაც, ჩემი ფიქრით ჩემდამი თქვენს სიყვარულს გააღრმავებდა. ეს ჩანაფიქრი ადამიანის გონებამახვილობის თავისებურ შედეგად მივიჩნეე და ჩემ მაგივრად შენ გაგვზავნე. დამთანხმდი, მონაზვნის კაბა ჩაიცვი და, უზომოდ ჩემზე მონდობილი, აგარაკზე გაემგზავრე. არ იცოდი, საით მიჰყავდით. გონდოლიერმა ნაპირზე გადმოგსვა და ჩემს წამოსაყვანად გამობრუნდა. ისეთ ადგილას მოვთავსდი, სადაც ვერავინ დამინახაუდა, მე კი შემოდლო მშვენივრად დამენახა და მომესმინა ყველაფერი, რაც თქვენ შორის მოხდებოდა. პიესა ხომ მე მოვიგონე და განა ბუნებრივი არ იყო, რომ მსურდა ხიამოვნება მიმეღო და სპექტაკლს დაესწრებოდი? ეჭვი არ შემპარვია, რომ ჩემს თვალს უსიამო არაფერი შეხვდებოდა.

აგარაკზე შენზე თხუთმეტი წუთით გვიან მივედი. ჩემს სიხარულსა და გავირვებას ვერ წარმოიდგენ, როცა ის პიერო დავინახე, ჩვენ რომ სამონასტრო დარბაზში ასე გაგვამხიარულა, — არც ერთს არ გვეყო ჭკუა გვეცნო იგი! მაგრამ პიეროს კოსტიუმით მისი გამოჩენა სიუჟეტის ერთადერთი, ჩემთვის სასიამოვნო შემობრუნება იყო. იმავე წუთს კი შიშმა, მღელვარებამ, უკმაყოფილებამ — უბედურ ადამიანად მაქცია. ჩვენმა შეყვარებულმა ყველაფერი პირუკუ გაიგო, გული გაიტეხა; ისევ ვუყვარდი, მაგრამ იმასღა ფიქრობდა, ვნებათა ღელვისგან რომ განკურნებულიყო და კიდევაც განიკურნება. გასაღები დამიბრუნა ნიშნად იმისა, რომ ჩვენს აგარაკზე აღარასოდეს მოვიდოდა. ის ღამე საბუდისწერო აღმოჩნდა: სამივეს გაბედნიერება მქონდა განზრახული, პირიქით კი გამომივიდა. შენ თუ გონს არ მძიყვან, ის ღამე სიცოცხლის ფასად დამიჯდება; რადგან უმისოდ სიცოცხლე არ შემოდლია. ცხადია, მონახავ წერილის მიწერის საშუალებას, შენ იცნობ მას, იცო — სად შეიძლება ამ გასაღების გაგზავნა, უნდა დარწმუნო, რომ ხვალ ან ზევ საღამოს ჩვენს აგარაკზე მოვიდეს და ერთხელ მაინც დამელაპარაკოს; არ ვკარგავ ამის იმედს. ახლა გვიანაა, დაიძინე, ძვირფასო მეგობარო, ხვალ კი სრული სიძარტლე მისწერე, შეიბრალე შენი უბედური ამხანაგი და აპატიე, რომ მასაც შენი შეყვარებული უყვარს. მეც მოკლე წერილს დავწერ და ერთად გაუგზავნე. შენ რომ აღარ უყვარხარ, იმის მიზეზიც მე ვარ. წესით უნდა შეგძულეოდი, შენ კი მაინც გიყვარვარ და ამიტომ მუხლს ვიყრი შენი გულის წინაშე. ვხედავდი მის ცრემლებს, ვხედავდი — რა დიდია მისი სიყვარული ჩემდამი, და თითქოს ხელახლა გავიცანი; ადრე არ მეგონა, ქვეყნად თუ არსებობენ მამაკაცები, ვისაც ამგვარი სიყვარული შეუძლია. ჯოჯოხეთური ღამე გავატარე. არ იფიქრო, ძვირფასო მეგობარო, თითქოს მწყენოდეს შენი

აღსარება ჩვენი ცოლ-ქმრული სიყვარულის შესახებ; მე ეს მომეწონა კიდევაც; მის მიმართ აქ არაფერია უხამსი, რადგან მისი გონება ისევეა თავისუფალი, რამდენადაც მოწყალე“.

ეს თქვა და ატირდა. ვცადე დამემშვიდებინა, შევპირდი, რომ წერილს/მოვწერიდი; ჩავწევი ლოგინში და სრული ოთხი საათი მეძინა; მაგრამ მე მჯერა, რომ არ ეკარებოდა. როცა ავდექით, აღმოჩნდა, რომ მთელი მონასტერი ქვეყნის ბებზე ბჭობდა. გვითხრეს, რომ გათენებაამდე ერთი საათით ადრე ლაგუნაში მეთევზეების ნავი დაკარგულა, კიდევ ორი გონდოლა გადაბრუნებულა და შიგ ვინც იჯდა, დამხრჩვალა. წარმოიდგინე, რა დღეში ჩაკვარდით; ამბავის წერილად გამოკითხვა ვეღარ გავბედეთ. შენ ხომ გათენებაამდე ზუსტად ერთი საათით ადრე წახვედი აგარაკიდან! მ. მ-ი თავის ოთახში დაბრუნდა. უკან გაკვივი და გულწასული გრძნობაზე ძლივს მოვიყვანე, — იმის შიშით, რომ დაიღუპე, გული წაუვიდა. მე უფრო გულადი გამოვდექი, ვანუგეშებდა — კარგი მოცურავეა-მეთქი, მაგრამ ისე აკანკალებდა, ციების დაწყებისას რომ იცის ხოლმე, იძულებული შეიქნა ისევ ლოგინში ჩაწოლილიყო. ამ მდგომარეობაში ნახა იგი ჩემმა გადიამ ნახევარი საათის შემდეგ; იგი ჩვენთან შემოვიდა და მხიარული სიცილით გვითხრა, რომ გარიჟრაჟზე, ქარიშხლის დროს, ის პიერო, ჩვენ რომ ასე გაგვახალისა, დაღუპვას გადაურჩა. „აჰ, საბრალო პიერო! — ვთქვი მე, — ძვირფასო გამზრდელო, გვიამბეთ ყოველივე. გამეხარდა, რომ ცოცხალია. ვინ არის? თუ იცნო ვინმემ?“ „ღიახ, — მიპასუხა, — ყველაფერი გავიგეთ, რადგან ჩვენს გონდოლას გადაუყვანია. გონდოლის ცხვირზე მჯდარმა მენიჩებმა ეს წუთია გვიამბო, რომ პიერომ ღამე მეჯლისზე გაატარა, ბრიატისთან. ვენეციაში წამოსასვლელად გონდოლა ვერ უშოვნია და ცეხინი მიუცია ჩვენი გონდოლიერებისთვის. მეორე გონდოლიერი ლაგუნაში ჩავარდნილა, ხოლო მამაც პიეროს, თუ იცი, რა უქნია? რაც გააჩნდა, მთელი ვერცხლი zenia²-ზე დაუყრია და გონდოლის კაიუტა, felce, ზღვაში გადაუგდია. ქარი დასავლეთიდან ქროდა და სახლამდე მათხოვრის არხით მიუყვანიათ. ბედნიერმა მენიჩებებმა გონდოლის ნოხიდან აკრეფილი ოცდაათი ფილიპი ვერცხლი გაიყვეს და მერე თავიანთი კაიუტაც მონახეს. პიეროს უთუოდ დიდხანს ემახსოვრება მიურანი და ბრიატისთან გამართული მეჯლისი. გონდოლიერი ირწმუნება, რომ იგი ბატონ დე ბრაგადინის შვილია, პროკურორის ძმისა; სასახლეში ცოცხალ-მკედარი და გათოშილი მიუყვანიათ, — მას ხომ მხოლოდ ტილოს კოსტიუმი სცმია, ლაბადაც კი არა ჰქონია“.

ეს გვიამბო ჩემმა გადიამ და წავიდა. ჩვენ კი ერთმანეთს შევეცქეროდით, — თითქოს მკედრეთით აღვსდექით. მ. მ-მა ღიმილით მკითხა, მართლა ბატონ დე ბრაგადინის შვილი თუ არისო. იძულებული გავხდი მეპასუხა, რომ სხვა ვარაუდთა შორის არც ესაა გამორიცხული, მაგრამ შენი სახელის მიხედვით შეუძლებელია დავასკვნათ, მისი უკანონო შვილი ხარ თუ კანონიერი, მით უფრო, რომ მაგ სენიორს ცოლი არასოდეს ჰყოლია. მ. მ-მა დასძინა: გული დამწყდებოდა, ბრაგადინ-უმცროსი რომ ყოფილიყო. მაშინ საჭიროდ ჩავთვალე შენი ნამდვილი სახელი მეოქვა და ისიც მეამბნა, როგორ ითხოვდა ჩემს ხელს შენთვის ბატონი დე ბრაგადინი და რომ სწორედ ამ თხოვნის შემდეგ მომათავსეს მონასტერში. ასე რომ, შენს ცოლს, ძვირფასო მეგობარო, მ. მ-სგან აღარაფერი აქვს დაშალული. იმედი მაქვს, მოლაყბედ არ ჩამთვლი: ჯობს, ჩვენმა საყვარელმა მეგობარმა სრული ჭეშმარიტება იცოდეს, ვიდრე სანახევრო სიმართლე. ძალიან გავკამხიარულა და გვაცინა იმ დაჯერებულმა კილომ, როცა გვიყვებოდნენ, თით-

1. ნოხი გონდოლებში (კაზანოვას შენიშვნა ხელნაწერის არშიაზე).

ქოს ბრიატისთან იყავი მეჯლისზე. ადამიანებმა ამბის შესავსები წერილმანები რომ არ იციან, თვითონ თხზავენ ხოლმე მათ და სიმართლის მსგავსი გამოგონება ხშირად შესანიშნავად ცვლის სინამდვილეს. ერთი კი დაბეჯითებით შემოძლია ვთქვა: მოსმენილი მაღამოდ მოეცხო ჩვენი ძვირფასი მეგობრის გულს, იმ დამეს მშვენივრად ეძინა, და იმ იმედით, რომ არ დააყოვნებ თქვენს აგარაკზე მისვლას, ისევ გაღამაზდა. სამჯერ წაიკითხა ეს წერილი და რცხელაოჯერ მაკოცა ერთი სული მაქვს, როდის გადავცემ შენს საპასუხო წერილს. ღირს დაველოდება. იქნებ კიდევ გნახო იმ აგარაკზე, დარწმუნებული ვარ, უკეთეს გუნებაზე იქნები. მშვიდობით“.

ამის შეასედიც საკმარისი იყო, რომ ჯანზე მოვსულიყავი. წერილის კითხვა დამთავრებული არ მქონდა და უკვე კ. კ-თი აღტაცებული, ხოლო მ.მ-ზე გაგიჟებული გახლდით. თუმცა ციება მომეხსნა, ავადმყოფობას ისევ ლოგინზე ვყავდი მიჯაჭვული. მჯეროდა, ღირს ხვალ დილით ისევ მოვიდოდა. თავი ვერ შევიკავე და ორივეს მივწერე. ბარათები პატარა იყო, მაგრამ ის კი ნათლად ჩანდა, რომ ჭკუაზე მოვედი. კ. კ-ს მივწერე, სწორად მოიქეცი, ჩემი სახელი რომ უთხარი, მით უმეტეს, ეკლესიაში აღარ გამოიჩენილვარ და დამალვის მიზეზი აღარ მაქვს-მეთქი. იქვე ვარწმუნებდი, რომ დანაშაულს ვინანიებდი და, ლოგინიდან წამოდგომის საშუალება მომეცემოდა თუ არა, მ. მ-ს მონანიების დამაჯერებელ მტკიცებას წარუდგეხდი. მ. მ-ს კი ასეთი შინაარსის წერილი გავუგზავნი:

„ჩემო ტურფა მეგობარო, კ. კ-ს ჩვენი აგარაკის გასაღები შენთან იმიტომ გამოვატანე, მეგონა, ვერაგულად მამურთავებდი. აბუჩად მიგდებდი და სახელს მიტეხდი. ამგვარი გზააბნეული სულის პატრონი როგორღა გამოიჩნდე შენ წინაშე?! და თუმცა მიყვარხარ, შიშითა ვკრთი, როცა თვალწინ წარმომიდგები. ჩემი გონება შენსას რომ უტოლდებოდა, შენს საქციელს გმირობად ჩავთვლიდი. ყველაფრით მჯობნი და პირველივე პაემნისას დავიმტკიცებ, თუ რაოდენ ითხოვს პატიებას ეს ცოდვილი გული. ერთი ასეთი მიზეზიც კმარა, რომ სწრაფი გამოჯანმრთელება ვინატრო. გუშინ ვერ მოვწერე — ისე ვიყავი დასუსტებული. მერწმუნე, მიურანის არხის შუაგულში, როცა ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ვიფიქრე, ზეცას შეეცოდე და იმიტომ მსჯის-მეთქი. ო, როგორ გამოვიგზავნე ჩვენი აგარაკის გასაღები?! ის რომ ჯიბეში მდებოდა, გადასასვლელთან ნაეს თუ ვერ ვნახავდი, ისევ უკან დავბრუნდებოდი და ცხადია, ახლა ჯანმრთელი ვიქნებოდი და არა საწოლზე მიჯაჭვული. დღესავით ნათელია, ჩემი დაღუპვა ღირსეული საზღაური იქნებოდა იმ ერთი დანაშაულისთვისაც კი — გასაღები რომ დავიბრუნე. მადლობა ღმერთს, მისი შეწევნით გონს მოვეგე და სწორი გზა ავირჩიე, — ახლა ნათლად ვხედავ ჩემს შეცდომას. მომავალში უფრო ფრთხილად ვიქნები და ველარაფერი დამაეჭვებს შენს სიყვარულში. მაგრამ კ. კ-ზე რაღას იტყვი? ხორცშესხმული ანგელოზია და ყველაფერში შენა გგავს. ორივენი მიყვარხართ და მასაც თანაბრად ვუყვარვართ მეცა და შენც. ჩვენ სამში მე — ერთადერთი სუსტი და არასრულყოფილი არსება ვარ და უნარი არ გამაჩნია მოგბადით. მაგრამ ასე მგონია, თითოეული თქვენგანისათვის სიცოცხლეს არ დავიშურებდი. ერთი რამ ძალიან მაინტერესებს, მაგრამ ქალაქს არ შემოძლია ვანდო; მჯერა, შეხვედრისას ყველაფერს მიაბობ. რა კარგი იქნებოდა, ჩვენი შეხვედრა დღესვე, რვა საათზე მომხდარიყო! ორი დღით ადრე გაგაფრთხილებ. მშვიდობით, ჩემო ანგელოზო“.

მეორე დღეს, ღირსის მოსვლისას უკვე წამომჯდარი ვიყავი და ჩემს გამოჯანმრთელებას აღარაფერი აკლდა. ვთხოვე, სიტყვიერად გადაეცა. კ. კ-სთვის

ყოველივე. ღორა მაშინვე წავიდა, რადგან კ. კ-ს წერილს პასუხი არ სჭირდებოდა. კ. კ-ს წერილთან ერთად მ. მ-ის ბარათიც იდო. ორივე უსტარში იგრძნობოდა აღელვება და სასოწარკვეთა ჩემი ავადმყოფობის გამო და, რაც მთავარია, დიდი სიყვარული.

და აი, ექვსი დღის შემდეგ, სადილობის წინ, მიურანის ავარაკზე მივედი და მეკარე ქალმა მ. მ-ის წერილი გადმომცა.

„გწერ, ძვირფასო მეგობარო, და მოუთმენლად ველი შენი გამოჯანმრთელების ამბავს, — მწერდა იგი. — მინდა დავრწმუნდე, რომ კვლავაც იმ სახლის მფლობელი ხარ, სადაც ამჟამად იმყოფები, ამიტომაც გთხოვ შეხვედრის დრო და ადგილი დამითქვა: გინდა ვენეციაში, გინდა აქ, ჩემთვის სულ ერთია. არც იქ და არც აქ ვერავინ გვნახავს“.

ვუპასუხე, თავს კარგად ვგრძნობ-მეთქი, და ზეგ, იმავე დროს და იმავე ადგილზე დაუთქვი შეხვედრა, საიდანაც წერილს ვწერდი.

მისი ნახვის სურვილი მწვავედა. დამნაშავედ ვგრძნობდი თავს და წარსულისა მრცხვენოდა. რახან მის ხასიათს ვიცნობდი, დასტურ უნდა მივმხვდარიყავი, მისი საქციელი ჩემს აბუჩად ავლებას კი არ ნიშნავდა, პირიქით, სიყვარულის დახვეწილი გამოხატულება იყო: ეწადა მეტი სიამოვნება ჩემთვის მოეგო და არა თავისთვის. ხომ არ შეიძლება სცოდნოდა, რომ მხოლოდ იგი მიყვარდა?! ჩემდამი სიყვარული ხელს როდი უშლიდა, ღმობიერად მოპყრობოდა დესპანს — სწორედ ასევე, მისი აზრით, მეც ღმობიერება უნდა გამომეჩინა კ. კ-სადმი. ერთი რამ ვერ გაითვალისწინა: სხვაობა მამაკაცისა და დედაკაცის აკებულებას შორის; ვერც იმ უპირატესობაზე იფიქრა, რითაც ბუნებამ ქალთა სქესი დააჯილდოვა.

დღეს, როცა წლებმა თმა გამითეთრა და გრძნობებმა უწინდელი სიცხოველუ დაკარგა, ჩემი დამცხრალი და დამშვიდებული გონება უკვე სხვანაირად აფასებს მოვლენებს. ახლა ვგრძნობ, რომ ჩემი მშვენიერი მონაზონი სცოდავდა და არც ისე წმინდა და კდემამოსილი იყო, როგორც მაშინ მეგონა. სიწმინდე და კლება კი, მოგეხსენებათ, კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის ყველაზე ძვირფასი მონაპოვარია. მაგრამ თუ ამ, მართლაც თავისებურად უბადლო ქალს რაიმე ზადი ჰქონდა, რასაც მაშინ ღირსებად ვუთვლიდი, სამაგიეროდ, იგი სრულიად თავისუფალი იყო იმ საზარელი ნაკლისაგან, ეჭვიანობა რომ ჰქვია. ეჭვიანობაც ვნებაა... უბედურ ადამიანთა გაუნელლებელი ვნება... ვინც ამ სენს შეიყრის, მისივე მონად იქცევა და საბოლოოდ მისი მსხვერპლიც ხდება.

ერთი დღის შემდეგ, 1754 წლის ოთხ თებერვალს, კვლავ წარვსდექი ჩემი ანგელოზის წინაშე. მონაზვნის სამოსი ეცვა. სიყვარულმა გაათანაბრა ჩვენი დანაშაული და ერთმანეთის წინაშე ერთდროულად დავემხეთ მუხლებზე. ორივემ დავამცირეთ ჩვენი სიყვარული: იგი ბავშვივით მოიქცა, მე კი იანსენის მიმდევარივით.¹ პატიების თხოვნა სიტყვით ვერ მოვახერხეთ და იგი კოცნა-ამბორის ნაკადად ვაქციეთ. გული სიხარულით გვევსებოდა, რადგან ჩვენი გრძნობებისა და აღტაცების გამოსახატავად სხვა ენა არც იყო საჭირო.

უცდილობდით ერთმანეთისთვის შერიგების სურვილი და გულწრფელობა რაც შეიძლება მალე დაგვემტკიცებინა, ჩვენი დატყვევებული ცეცხლის მგზნებარება გვეჩვენებინა. გრძნობათა ტალღამ აკვიტაცა და ჩახვეულნი დავემხეთ სო-

1. იანსენი კორნელი (1583—1638) პოლანდიელი ღვთისმეტყველი. მისი რელიგიური მოძღვრების მთავარი დოგმატია ადამიანში თავისუფალი ნების უარყოფა.

ფაზე, ვიდრემდე ორივეს ხანგრძლივი კვნესა არ აღმოგვხვდა — ამ ამოკვნესაზე უარს არ ვიტყვოდით, თუნდაც ჩვენი სიკვდილის მომასწავებელი ყოფილიყო. ამგვარი იყო ჩვენი მეორედ დაბადებული სიყვარულის სურათი, ხორცშესხმული და საბოლოოდ დასრულებული დიადი ფერმწერის — ბრძენი ბუნების მიერ. იგი სიყვარულმა გააცოცხლა და არაფერი არსებობს ამქვეყნივე უფრო ჭკუშმარიტი და მომხიბვლელი. კმაყოფილებამ და ჩვენი სიყვარულის რწმენამ სულიერი სიმშვიდე მომანიჭა და მაშინდა შევნიშნე, თურმე მოსასხამი და ნილაბი არ მომიხსნია. ორივეს ვაგვეცინა.

— მინდა ვიცოდე — ვუთხარი, როცა მოსასხამს და ნილაბს ვიხდიდი, — ჰყავს თუ არა მოწმე ჩვენს შერიგებას?

ჩირაღდანი აიღო, ხელი ჩამკიდა და დიდკარადიან ოთახში შემიყვანა. ეს კარადა აღრეც მქონდა შენიშნული და ვვარაუდობდი, რომ რაღაც დიდ საიდუმლოს უკავშირდებოდა. კარადა გააღო, უკანა კედლის ერთი ფიცარი ჩასწია და კარი გამოაჩინა. ამ კარით კაბინეტში შევედი. ოთახში ყველაფერი იყო, რაც შეიძლებოდა დასჭირვებოდა აქ რამდენიმე საათით ჩამწყვდეულ ადამიანს: სოფა, ცოტაოდენი ძალის გახარჯვით საწოლად რომ იქცეოდა, მაგიდა, სავარძლები, სეკრეტერი. მომცრო შანდლები შიგ ჩამაგრებული სანთლებით, — მოკლედ, ყველაფერი, რაც იმ ცნობისმოკვარე და ავხორც ადამიანს გამოადგებოდა. ვინც სხვათა ფარული ტკბობის მოწმედ გახდომას მოისურვებდა. სოფასთან მოძრავი ფიცარი იყო დამაგრებული. მ. მ-მა გადასწია იგი და ერთიანად დახვრეტილი ტიხრის მიღმა მომიჯნავე ოთახი გამოჩნდა. იქ მეთვალყურის თვალწინ სპექტაკლები იმართებოდა. ამ სპექტაკლების მომწყობი თვით ბუნება იყო, უნებლიე მსახიობები კი ბაიბურშიაც რომ არ იყვნენ, თუ რა მახეში გაებმნენ — ძალთა დაუზოგავად თამაშობდნენ.

— ახლა კი, — მითხრა მ. მ-მა, — გიპასუხებ შეკითხვაზე, წინდახედულად ქაღალდს რომ არ ანდე.

— კი მაგრამ, ხომ არ იცი...

— იყურე. სიყვარული — ჯაღოქარია და მისანი. მან ყველაფერი იცის. გამოტყდი: ვინდა გაიგო, იყო თუ არა აქ იმ საბედისწერო ღამეს, ამდენი ცრემლის ფასად რომ დამიჯდა, ჩვენი მეგობარი?

— ვაღიარებ.

— დიახ. აქ იყო და არც უნდა გამიწყრე: იცოდე, შენ საბოლოოდ მოაჯადოვე იგი და მეგობრული გრძნობებით ალაუსე. აღფრთოვანებული იყო შენი საქციელით, სიყვარულითა და პატიოსნებით; დიდად აფასებს შენდამი ჩემს ვნებას. სწორედ იგი მანუგეშებდა იმ დილით და მარწმუნებდა, რომ უსათუოდ დამიბრუნდებოდი, როგორც კი ჩემს ჭკუშმარიტ გრძნობებსა და კეთილ სურვილებს შეიტყობდი.

— თქვენ უთუოდ შიგადაშიგ გეძინათ ხოლმე, თორემ შეუძლებელია ზედიზედ რვა საათი დაჰყო სრულ სიჩუმესა და სიბნელეში, როცა განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავ.

— ყველაფერი აინტერესებდა. სიბნელეში კი მხოლოდ მაშინ ვიყავით, როცა სოფაზე ვისხედით: მაშინ შეგეძლოთ ნახვრეტებიდან გამავალი შუქი შეგემჩნიათ. ფარდა გადავწიეთ და ვივახშმეთ, თან სუფრასთან ყურადღებით ვისმენდით თქვენს საუბარს. ჩვენს მეგობარს ყველაფერი ჩემზე მეტად აინტერესებდა. მითხრა, რომ ამ შემთხვევამ პირველად მისცა შესაძლებლობა ასე ღრმად შეეცნო ადამიანის გული, და დაასკვნა, ალბათ არასდროს ასე არ გიტანჯია, როგორც იმ ღამესო. შენ ეცოდებოდი, ხოლო კ. კ-მ ორივე განგვაცვიფრა: შეუძლებელია,

თხუთმეტი წლის ქალიშვილი ასე მსჯელობდეს. ჩემს გასამართლებლად მხოლოდ ის იარაღი იხმარა, რასაც ჭეშმარიტებამ მიაკვლევინა და ბუნებამ უბოძა. ეს რომ შეძლო, ნამდვილად ცოლად თუ შეირთავ — ღვთაებრივი ცოლი გვეყოლება. უბედური ვიქნები, თუ დაკარგავ, მაგრამ შენი ბედნიერება ნუგებდ შექნება. ვერ გამიგია, მასზე შეყვარებულმა შე როგორღა შემიყვარე? ან მას... როგორ არა ვძულვარ, შენი გული რომ წავართვი? კ. კ-ი ჭეშმარიტად ღვთაებრივი არსებია. მითხრა, ჩვენი უნაყოფო სასიყვარულო გართობის ამბავი იმიტომ გავანდეო, რათა თავისი სინდისისათვის ცოდვის ტვირთი ჩამოეცილებინა. ჰკონია, ჩვენი სიყვარული შენდამი ერთგულებას უბღალავს, ერთგულებას კი თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს.

სუფრას მიუხსნით. მ. მ-მა აღნიშნა, გამხდარხარო.

— ფიზიკური სატკივარი ადამიანს არ ასუქებს, ხოლო მორალური ტანჯვა სხეულს ფიტავს. ორივეს ბევრი წამება გვერგო, ამიტომ იმდენი ჭკუა უნდა გვეყოს, არაფერი გავიხსენოთ ისეთი, რაც ზედმეტ წუხილს მოგვკრის.

— დიახ, ჩემო მეგობარო, მეც მაგ აზრზე ვდგავარ: ის წუთები, რასაც ადამიანი თავისდა უნებურად უბედურებასა და ტანჯვაში ატარებს, ბევრად ამოკლებს ჩვენს ცხოვრებას, ხოლო თუ იმას ნიჭი და უნარი გაგვაჩნია, ვამრავლოთ ყოველგვარი სიამოვნება — არსებობას ორმაგად ვიხანგრძლივებთ...

მხიარულად გავიხსენეთ გარდასული ფათურაკები: მასკარადი, პიერო, ბრიატისთან გამართული მეჯლისი, სადაც თითქოს მეორე პიერო იმყოფებოდა... ისიც შენიშნა, ნიღაბს განსხვავებული ეფექტის მოხდენა შეძლებიაო: მონასტრის დარბაზში მოცეკვავე პიერო ჩემზე ძალადი და გამხდარი მოჩვენებია. მონასტრის გონდოლაში რომ არ ჩავმჯდარიყავი და იქ პიეროს კოსტიუმში გამოწყობილი არ მივსულიყავი, ვერც გამოარკვევდა ჩემს ვინაობას, რადგან მონაზვნები ვერ დამიმახსოვრებდნენ და ჩემს ამბავს წვრილად ვერც მოუყვებოდნენ. თანაც, — დასძინა მან, — როცა გავიგე, პატრიცი რომ არა ხარ, შვებით ამოვისუნთქე, რადგან ამის გამო საბოლოოდ რაღაც უსიამოვნება შემემთხვეოდაო.

მშვენივრად გავიგე მისი შიშის მიზეზი, მაგრამ თავი ისე დავიჭირე, თითქოს არ ვიცოდი, რაზე იყო ლაპარაკი.

— ვერ მივხვდი, — მიამიტად ჩავხედე თვალებში, — რა მოხდებოდა, პატრიცი რომ ყყოფილიყავი?

— ძვირფასო მეგობარო, ამ მიზეზის გამხელას მხოლოდ მაშინ შევძლებ, თუ პატიოსან სიტყვას მომცემ და იმით მასიამოვნებ, რომ ერთ თხოვნას შემისრულებ.

— შენი თხოვნის შესრულება გარჯა კი არა, სიამოვნებაა ჩემთვის. ყოველგვარ თხოვნას შეგისრულებ, თუკი ჩემს ძალას არ აღემატება და ღირსებას არ შემიბღალავს. მითხარი, ძვირფასო, რა მიზეზია, და ჩემი სიყვარულიც ნუ გვეჭვება. მუდამ მოწადინებული ვარ — მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნება მოგანიჭო.

— ძალიან კარგი. გთხოვ, შენს აგარაკზე ვახშმად დამპატიო. ჩემს მეგობართან ერთად მოვალ. გავიჟებით სურს შენი გაცნობა.

— ნავახშმევს კი იმას გაჰყვები?

— ხომ გესმის, რომ ასეა საჭირო.

— შენმა მეგობარმა უკვე იცის ჩემი ვინაობა?

— ჩავთვალე, უნდა შეთქვა შენი სახელი, თორემ ვერ გაბედავდა შენთან ვახშმად მოსვლას.

— ახლა მივხვდი: შენი მეგობარი უცხოელი დესპანია.

— სწორედ ასეა.

— თუ პატივს დამღებს და ვახშმად მეწვევა, თავის ვინაობას ხომ ვეღარ დამალავს?

— კერა, ასეთ საშინელებას როგორ ჩაიდენს? პირადად წარმოგიდგენ: დავასახელებ მის სახელსა და წოდებას.

— და შენ გეგონა, ასეთ სიამოვნებაზე არ დაგთანხმდებოდი? ძვირფასო, ძალგამს თუ არა გაცილებით დიდი სიამოვნება მომანიჭო და ბარემ გახშობის დღეს დამითქვა? დარწმუნებული იყავი, მოუთმენლად დაგელოდები.

— შენს ღმობიერებაში არ დავეჭვდებოდი, თავად რომ არ გაგეხადე ეჭვიანი.

— შენი გესლი სამართლიანია.

— გეხუმრე. ახლა კმაყოფილი ვარ. ვახშმად გეწვევა ბატონი დე ბურნისი, ხაფრანგეთის ელჩი. ნიღაბს მოიხსნის თუ არა, წარმოგიდგენ. არ დაგავიწყდეს: ჩემი საყვარელია და ისიც გახსოვდეს, რომ ჩვენი სიყვარულის მეწილეა.

— გემორჩილები, ჩემო ძვირფასო მეგობარო. ეგ ვახშამი — ჩემი სურვილების მწვერულია. მართალი იყავი, ჩემი წოდების საკითხი რომ გაწუხებდა: პატრიცი თუ ვიქნებოდი, საქმეში სახელმწიფო ინკვიზიტორები ჩაერეოდნენ; გული გაუსკდება კაცს, როცა ამ შეკრების შედეგებს წარმოიდგენს! მე ინკვიზიტორები ციხეში ჩამალპობდნენ, შენ, თქვენი წინამძღვარი, მთელი მონასტერი — შერცხუნილი და საძუდაძოდ სახელგატეხილი აღმოჩნდებოდი! ო, ღმერთო ჩემო! ტყუილად არ შიშობდი, მაგრამ აღრე რომ გეთქვა, ჩემს სახელს აღარ დავიძალავდი; საიდუმლო იმიტომ არ გავამხილე, თუ ღმერთი გაწყრებოდა და მიცნობდნენ, კ. კ-ს მამამისი სხვა მონასტერში გადაიყვანდა. შეგიძლია ვახშმის დღე დამისახელო? მოუთმენლობა მკლავს.

— დღეს ოთხი რიცხვია; ჩვენ შეგვიძლია რვაში ვივახშმოთ. ოპერიდან მოვალთ, მეორე ბალეტის შემდეგ. ოღონდ მითხარი, როგორ მოვნახოთ შენი სახლი ისე, რომ ვხა არავის ვკითხოთ.

ქალაქზე მისამართი დაეწერე. ორივე შემთხვევა გაერთიანდისწინე. — წყლით მოისურვებდნენ მოსვლას თუ ხმელეთით. ამ მშვენიერი და საპატიო წინადადებით აღფრთოვანებული ჩემს ანგელოზს შევევედრე, დასაძინებლად წასულიყო. აუუხსენი, საბოლოოდ გამოჯანმრთელებული არა ვარ და ამიტომ, საწოლში ნოყიერი ვახშმის შემდეგ, იქნებ უმჯობესი იყოს, პირველი პატივი მორფევსს! მივაგოთ-მეთქი. საათი ათზე დავაყენეთ და დასაძინებლად წავედით. მაგრამ ათიდან თორმეტ საათამდე (ღამემ უკვე კლება იწყო) სიყვარულით ვიყავით გართულნი.

ჩახუტებულებს ჩაგვეძინა, ტუჩისთვის ტუჩი არ მოგვიწყვეტია, რათა ნეტარების უკანასკნელი ამოიხვრა შეგვენახა. სწორედ ამ მდგომარეობამ ექვსი საათის შემდეგ ხელი შეგვიშალა და წყევლა-კრულვა ვეღარ დავაყარეთ მალვიძარას. ნებივრობისთვის განკუთვნილი დროის დამთავრება რომ გუამცნო.

მ. მ-ი ისე მომხიბვლული იყო. ვენერა მორფევსის მეორე გამარჯვებასაც იზეიმებდა, მაგრამ მხოლოდ ჩაცმის დრო გექონდა დარჩენილი.

კვლავ დამიმოწმა, ვახშამი რვა რიცხვში გვექნებო, და მონასტერში დაბრუნდა. შუადღემდე მეძინა, შემდეგ კუნეციაში გავემგზავრე და მომავალი ვახშმის თადარიგი დავიჭირე. ვახშამზე ფიქრი უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა.

1. სიზმრის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

თ ა ვ ი XXVI



საფრანგეთის ელჩთან, ბატონ დე ბერნისთან ერთად ჩემს აგარაკზე ვახშობა.
 მ. მ-ის წინადადება, ჩემი თანხმობის შედეგები, კ. კ-ის დადგენილება
 თუმც სახევედურო არაინაა.

ამგვარ წინადადებას თითქოს უნდა გავებედნიერებინე, მაგრამ რატომღაც თავს უბედურად ვგრძნობდი. რა მტანჯავდა ასე, რა იყო ამის მიზეზი? თავადაც მშვენიერად ვიცოდი: თამაშის საბედისწერო ჩვევა. თამაშის ვნებას ღრმად გაუდგა ჩემში ფეხვი და იგი უკვე სიცოცხლესთან მქონდა გაიგივებული. ბანქოს დარიცხვა აღარ შეძებლი და, როცა უბრალოდ ვთამაშობდი, დღენიადავ ვკვებდი. წაგება გუნებას მიფუჭებდა და ყოველგვარ ბედნიერებას მიზღუდავდა. რისთვის ვთამაშობდი? არაფერი მიჭირდა, ფული საკმაოდ მქონდა, ნებისმიერი სურვილის შესრულება შეძებლი. მაშ რაღად ვთამაშობდი, თუ ვულარხენი წაგება არ შეძებლი? მხოლოდ და მხოლოდ სიძუნწის გამო. ფულის ხარჯვა მიყვარდა, მაგრამ თუ იმ ფულის ხარჯვა მიწევდა, რაც ბანქოში არ მქონდა მოგებული, გული მეთუთქებოდა. იმ ოთხ დღეში მთელი ოქრო წავაგე, რაც მ. მ-ის წყალობით მქონდა მოგებული.

თებერვლის რვაში ღამით, დათქმულ დროს აგარაკზე გავემგზავრე და დავინახე მ. მ-ი და მისი პატივცემული მოტრფიალე. მოიხსნა თუ არა სტუმრმა ნიღაბი, მ. მ-მა მისი სახელი და წოდება მომახსენა. ბატონმა დესპანმა მოთხრა, ჩემმა ქალბატონმა ჩვენი პარიზული ნაცნობობის ამბავი შემატყობინა და ახლა მსურს განვაახლო ეს ურთიერთობაო. ამ სიტყვების წარმოთქმისას გულდასმით მაკვირდებოდა, რათა ჩემი სახე გაეხსენებინა, მერე კი თავის მეხსიერებას უსაყვედურა. დავამშვიდე და უუთხარი, მაშინდელი შეხვედრის დროს ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, ამიტომ შეიძლება არც დაგამახსოვრდით-მეთქი.

— იმ დღეს პატივი მქონდა მევახშმა თქვენს აღმატებულებასთან, ბატონ მოჩერინგოს ბინაზე; თქვენს ყურადღებას განუწყვეტელი საუბრით იპყრობდა ლორდ მარშალი, პრუსიის დესპანი. ოთხი დღის შემდეგ აქეთ აპირებდით გამომგზავრებას. ვახშმის შემდეგ უმაღ წაბრძანდით.

ახლა გაეახსენდი და ისიც მოიგონა, ვიღაცას ჩემზე რომ ჰკითხა — საელჩოს მდივანი ხომ არ არისო.

— ამ წუთის შემდეგ, — განაგრძო მან, — ჩვენ ვულარ დავივიწყებთ ერთმანეთს. საიდუმლოდ, რასაც ვეზიარეთ, მჭიდროდ დაგვაკავშირა; უთუოდ ახლო მეგობრები გავხდებით.

ამ საუცხოო წყვილმა ოდნავ შეისვენა და სუფრას მივუსხედით. მე წესისამებრ ყოველგვარ პატივს მივაგებდი ქალბატონს. მინისტრი ჭამა-სმის მოყვარული გამოდგა. აღნიშნა, რომ ბურგუნდიული, შამპანური და გრაპა, ხამანწყის შემდეგ რომ მივართვი, ჩინებული იყო, და მკითხა, საიდანა გაქვსო ეს ღვინო. ვუპასუხე, გრაფ ალვაროტისაგან-მეთქი, და გაეხარდა.

ვახშამი საუცხოო მქონდა, სტუმრებს იმ უბრალო ქვეშევრდომივით შევცქეროდი, ვისაც ხელმწიფემ და მისმა სატრფომ უდიდესი პატივი მიაგეს. ვამჩნევდი, მ. მ-ი ბედნიერი იყო ამ პატივისცემით, სიამოვნებდა ჩემი ღაპარაკი. რასაც დესპანი დიდი ინტერესითა და ყურადღებით ისმენდა. თვით მინისტრი ხერიოხულ სჯა-ბაასში ხშირად ხუმრობას გაურედა ხოლმე: ფრანგული ენა-

მახვილობა მისთვის ჩვეული რამ იყო. ხუმრობა-ხუმრობაში მ. მ-მა ისე წარმართა საუბარი, რომ ჩვენი გაცნობის გარემოებას შეეხო.

სტუმარს ჩემი და კ. კ-ს სიყვარულის ამბავი მოუთხრო, შემხიბვლელად აღწერა კ. კ-ს გარეგნობა და ხასიათი. დესპანი ისე ისმენდა ნაამბობს, თითქოს ამ ქალისა აქამდე არაფერი სცოდნოდა, არ იცოდა, მ. მ-მა სამალავის საიდუმლო რომ გათქვა, და თავის როლს პატიოსნად თამაშობდა. იკითხა: „მ. მ-ს ჩვენს ვახშამზე კ. კ-ი რომ დაუპატიჟებინა, განა მშვენიერ საჩუქარს ვრეგვიძღვნიდაო?! ქალმა უპასუხა, შეიძლება დიდ ხიფათს გადაყვროდითო.“

— თუ გეამებათ, — მომმართა ქალმა თავაზიანად და კეთილშობილურად, — თქვენ და თქვენს სატრფოს ვახშამად ჩემთან მოგიწვევთ. ხომ იცით, ახლა იგი ჩემს სენაკში ათევს ღამეს...

მისმა გარდასახვის ნიჭმა გამაკვირვა, თუმცა ახლა გაოცების გამოხატვა ყოვლად უადგილო იქნებოდა.

— თქვენთან ყოფნის სიამოვნებაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის არაფერია. — ვუპასუხე, — შეუძლებელია გულგრილი დავრჩე ამგვარი წყალობის მომლოდინე.

— კეთილი! ვიფიქრებ.

— მეც თუ დამპატიჟებთ, მოხარული ვიქნები, — ჩაერია დესპანი, — ვფიქრობ, უნდა გააფრთხილოთ, რომ მისი შეყვარებულის გარდა ვახშამზე კიდევ ერთი მეგობარიც გვეოლებათ.

— არაა აუცილებელი, — ჩავუბრუნე მე, — მივწერ, რომ უყოყმანოდ შეასრულოს ყველა თქვენი სურვილი, ქალბატონო. ხვალვე მივწერ.

— მაშ, ზეგ ვახშამად გეპატიჟებით, — დაასკვნა მ. მ-მა.

დესპანს ვთხოვე, ღმობიერება გამოეჩინა ბრწყინვალე საზოგადოებას მიუჩვეველი თხუთმეტი წლის ქალიშვილის მიმართ.

შემდეგ დაწვრილებით ვუამბე ო-მორფის ამბავი. მისმა თავადასავალმა უდიდესი სიამოვნება მიანიჭა. მოხოვა, ქალიშვილის პორტრეტი მეჩვენებინა, და გვამცნო, რომ იგი კვლავაც ირმების პარკში ცხოვრობდა, მეფეს ანებივრებდა და შთამომავალიც შესძინა. რვა საათზე ერთობ ნასიამოვნები დამემშვიდობნენ, მე კი აგარაკზე დავრჩი.

მეორე დღეს პირობა შევასრულე და დილითვე კ. კ-ს წერილი მივწერე. არ გამიფრთხილებია, რომ ვახშამზე მისთვის უცნობი ადამიანი იქნებოდა. წერილი ღორას გადავეცი და მიურანის სახლისაკენ გაემგზავრე. მეკარე ქალმა მ. მ-ის წერილი გადმომცა. აი, რა ეწერა ამ წერილში:

„ათმა საათმა დაჰკრა, დასაძინებლად ვწვები. მაგრამ მშვიდად ვერ დავიძინებ, სანამ სინდისს არ დავიმშვიდებ. და აი, რა მაწვალებს: იქნებ მხოლოდ თავაზიანობის გამო დათანხმდი ჩვენი ახალგაზრდა მეგობრის ვახშამად მოწვევას? სიძარტლე მითხარი, ძვირფასო მეგობარო, მენდე და ამ დაპატიჟებას ისე ვაქცევ კვამლად, რომ შენი თავმოყვარეობა არ შეილახოს. და თუ ვახშამის იდეა მოგწონს, კიდევ გაიმართება. შენი სული შენს თავზე უფრო მიყვარს“.

ტყუილად არ აღელვებულყო, მაგრამ უარის თქმა დიახაც სამარცხვინოდ მეჩვენებოდა; მ. მ-ი კარგად მიცნობდა და იცოდა — უარს ვეღარ ვიტყოდი. ასეთი პასუხი მივწერე:

„თუ დამიჯერებ, ველოდი ამ წერილს. დიახ, ველოდი, რადგან ვიცი შენი გონიერების ამბავი და ვიცი, როგორი წარმოდგენაც შეგექმნა ჩემს აზროვნებაზე მას შემდეგ, რაც ორჯერ სოფაზმებით დაგაფრთხე. როცა წარმოვიდგენ, ეჭვიანობამ შენი სიყვარული რომ შემაბლაღინა, ძალიან ვნანობ. გთხოვ, დაივიწყო ჩემი ძველი მოჩვენებანი და დამიჯერო: ახლა ჩემი სული ყველაფრით შენსას ემ-

სგავსება. ჩვენი დათქმული ვახშამი უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებს. ამ საკითხზე როცა ვსაუბრობდით, მაღლიერების გრძობა უფრო მამოძრავებდა, ვიდრე თავაზიანობა, — დამიჯერე. კ. კ-ი სრულიად გამოუცდელია და ბედნიერი ვიქნები, თუ მაღალი წრის ცხოვრებას ეზიარება. გაბარებ მას და გათხოვ თუ შესაძლებელია, გაათრიაგო მისდამი მოწყალება. იმის შიში მკლავს, მენი მამაკაცით ისიც მონაზუნად არ აღიკვეცოს. იცოდე, ეს თუ მოხდა, სასოწარკვეველს მოვუტემი. შენი მეგობარი უსულგროძელესი არსებაა მოკვდავთა შორის“.

ამგვარად, უკან დახევის ყველა შესაძლებლობა მოვიკვეთე და თავს ნება მივეცი ფიქრებს მივყოლოდი. მაღალი წრისა და ადამიანთა გულის მცოდნე კაცი სწორედ რომ ასე უნდა მოქცეულიყო. ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ კ. კ-მ დესპანის ყურადღება მიიპყრო. დესპანმა, არ ვიცი რა გზით, მაგრამ მ. მ-ს მიანიშნა, გოგონა მომეწონათ. თავის მხრივ, მ. მ-მა თავი გადადო და გადაწყვიტა სატროსოვის ესამოვნებინა. არაფერი შეეძლო უჩემსებართვოდ და ისე არ გაკადნიერდებოდა, ჩემთვის ამგვარი რამ შემოეთავაზებინა. ჰოდა, ისე მოაგვარეს ყველაფერი, რომ საუბრისას, თავაზიანობასა, სიკეთესა და წესიერებაზე ჩემს შეხედულებათა გამო, თავად უნდა მომეწონებინა მათი ჩანაფიქრი. დესპანის ხელობა სწორედ ის იყო, ინტრიგები ეხლართა, და მეც ამ ხლართში აღმოვჩნდი. საქმე მოეკვარახჭინებინათ და ახლა ისღა დამრჩენოდა, თავაზიანად შემესრულებინა ყველაფერი, რათა ბრიყვად არ გამოჩენილიყავი იმ ადამიანის თვალში, ვინაც გაუგონარი წყალობით ამავესო. ერთი კი ცხადი იყო ჩემთვის: ყოველივე ამის შემდეგ ან ერთი, ან მეორე ქალის მიმართ გული უნდა გამციებოდა.

მ. მ-ი მშვენივრად მიხვდა ყველაფერს და შინ დაბრუნებულმა გადაწყვიტა სასწრაფოდ გამოესწორებინა საქმე, ან ჩემთან თავი მაინც ემართლებინა. იმიტომაც მომწერა, შენი ღირსების შეუბღალავად კვამლად ეაქცევ მოპატიუებასო. მშვენივრად იცოდა, ამგვარ საჩუქარს ვერ მივიღებდი. თავმოყვარეობა ეჭვიანობაზე ძლიერი გრძობაა და მამაკაცი, თუ არ უნდა ბრიყვად იქცეს, ეჭვიანობას დამალავს, განსაკუთრებით — ისეთ მეტოქესთან, ვინც მხოლოდ იმითა სჯობნის, რომ სრულიად თავისუფალია ამ საძაგელი სენისაგან.

მეორე დღეს დათქმულ დროზე ოდნავ ადრე მივედი ჩვენს აგარაკზე. იქ მხოლოდ დესპანი დამხვდა, რომელმაც ჭეშმარიტად მეგობრული შეხედრა მომიწყო. მოთხრა, პარიზში რომ მცნობოდიო, ადვილად გაგიკვლევდით გზას მეფის კარზეო. იქ აუცილებლად სახელს გავითქვამდი და, როგორც მას მიაჩნდა, დიდებასაც მოვიხვეჭდი. ახლა, ყოველივეს რომ ვიხსენებ, ჩემს თავს ვეკითხები: იქნებ ასეც ყოფილიყო, მაგრამ საბოლოოდ რა ბედი მეწეოდა? რევოლუციის ერთ-ერთი მსხვერპლი გავხდებოდი, მეტი არაფერი. თვით ეს დესპანი, თავისი წოდების შემწეობით 1794 წელს რომში რომ არ გადახვეწილიყო, სადაც გარდაიცვალა კიდევ, — რევოლუციის უსახელო მსხვერპლი აღმოჩნდებოდა. მართალია, იტალიაში მდიდარ კაცად იცნობდნენ და სიმდიდრეში გარდაიცვალა, მაგრამ ალბათ უბედური კაცი იყო, თუ, რასაკვირველია, რწმენა არ შეიცვალა, რაც ძნელად დასაჯერებელია.

ვკითხე, ვენეცია თუ მოგწონთ-მეთქი, რაზეც მზიარულად მომიგო, არ შეიძლება აქაურობა არ მომწონდესო: ჯანმრთელად ვგრძნობ თავს და ფული თუ აქვს, ვენეციაში მეტი სიამოვნების მიღება შეუძლია კაცს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადგილზეო. დანახებით დასძინა, შეეჭვება, ამ საელჩოში დიდხანს დამტოვონო; მოხოვა, მ. მ-სთვის არაფერი მეთქვა და მისთვის გული არ დამეწყვიტა.

მ. მ-მა თან კ. კ-ი მოიყვანა, მას, როგორც შევატყვე ჩემი იქ ყოფნა გაუკვირდა. წავახალისე და მთელი სინაზით შევეგებე, უცხოელს კი ფრიად ეამა, როცა

მისაღმებაზე ქალმა მის მშობლიურ ენაზე უპასუხა. ორივემ მივულოცეთ წარმატება მის მასწავლებელს, ასე კარგად რომ შეასწავლა ფრანგული.

კ. კ-ს ისე ვუყურებდი, როგორც ჩემს საკუთრებას და ამიტომ მისი წარმონეხის სურვილმა ეჭვიანობას გადასძლია. ეჭვიანობა სულ დიუვიწვე და თამაშ-თამაშ ვაიძულე ალაპარაკებულყო იმ თემებზე, რაც მშვენივრად იცოდა. მხარდაჭერა, დახმარება და აღფრთოვანება რომ იგრძნო, კ. კ-ი ნამდვილად წაწყულა მოველინა იმ ადამიანს, ვისაც სულაც არ მინდოდა შეჭყვარებოდა. რა წინააღმდეგობრივი იყო ეს ყველაფერი! ჩემი ხელით ვაკეთებდი იმ საქმეს, რისთვისაც ნებისმიერ ადამიანს შევიძულებდი.

ვახშმის დროს დესპანი ლამის თავს შემოვლებოდა კ. კ-ს. ენამახვილი საუბარი და მხიარულება სუფევდა ჩვენს მშვენიერ საზოგადოებაში; თავშესაქცევი, მაგრამ სავსებით წესიერი სიტყვები სრულიად თავისუფლად იღვრებოდა.

გარეშე ადამიანი, ვინც წინასწარ არაფერი იცოდა, ვერაფრით მიხვდებოდა, თუ რა ძაფები, სიყვარულის რა ძალები გვაკავშირებდა ერთმანეთთან. მ. მ-ი მუდამ მეგობრულად მიმართავდა დესპანს, მე პატივისცემით მეპყრობოდა, კ. კ-ს — ღმობიერად. დესპანი მადლიერებით აღსავსე თვალთ შესცქეროდა მ. მ-ს, ამავე დროს ყურადღებით ისმენდა კ. კ-ს მონაყოლს, ერთ-ორ სიტყვას ჩაურთავდა ხოლმე და მეტ მომხიბვლელობას სძენდა მის თხრობას, შემდეგ მე გადმომხედავდა და რაიმე ჭკვიანურ ფრაზას გადმომტყორცნიდა. მოკლედ, ჩვენ ოთხში თავისი როლის შესრულება ყველაზე მეტად კ. კ-ს უადვილდებოდა: არაფრით იყო შეზღუდული და ისე იქცეოდა, როგორც ბუნება უკარნახებდა. ამიტომაც მშვენივრად გაითამაშა ყველაფერი. ახალბედასთვის ასეთ დროს წარმატება უზრუნველყოფილია; თუმცა ნიადაგიც ნოყიერი უნდა გამოდგეს, თორემ მაყურებელი უთუოდ სიყალბეში ამხელს.

ხუთი საათი თანაბარ სიამოვნებაში გავატარეთ; ყველაზე მეტად ამას მაინც დესპანი ამყლავნებდა. მ. მ-ი საკუთარი შემოქმედებით კმაყოფილი ადამიანივით გამოიყურებოდა, მე — შემფასებელსა ვგავდი. კ. კ-ი თითქოს ამაყობდა, რომ სამივეს გვასიამოვნა და ბედნიერი იყო, რადგან უცხოელი თითქმის ვერავის ამხნევდა მის გარდა. ღიმილით შემომცქეროდა და მეც მშვენივრად გაუუგე: სურდა გამეხსენებინა, რარიგ განსხვავდებოდა ეს საზოგადოება მისი ოჯახისაგან. თავისმა ძმამ ხომ ესოდენ საძაგელი შთაბეჭდილება შეუქმნა სამყაროზე.

რეა საათზე, როცა ვიძლებოდით, დესპანმა მადლიერების სიტყვები გადმოაფრქვია. მ. მ-ს დიდი მადლობა მოახსენა ვახშმისთვის — უკეთესი ჯერ არა მქონიაო, და სთხოვა, ზევ კვლავ დამპატიყეთ ასეთივე ვახშამზეო. სხვათა შორის მკითხა, თქვენც ხომ გავეხარდებათ მოსვლაო. განა შეეძლო ეფიქრა, რომ უარს ვუტყვოდი? არა მგონია. ამგვარად შევთანხმდით და ერთმანეთს დავშორდით.

მეორე დღეს, როცა ამ საოცარ ვახშამზე ვეფიქრობდი, ადვილად მივხვდი, რითაც დამთავრდებოდა ყოველივე. დესპანი ქალებს იმის გამო მოსწონდათ, სიყვარულის მოვლა და განებივრება იცოდა. ბუნებით დიდი მუსუსი იყო და წინასწარი გათვლით მოქმედებდა: თავადაც ნეტარებას განაცდიდა და ქალსაც აღუძრავდა სურვილს. ორმხრივი ვნების გარეშე მისი სიამოვნება არასრული იქნებოდა. ნათლად ვხედავდი, კ. კ-ი რომ შეჭყვარებოდა, მისი ტემპერამენტის პატრონი, ცხადია, მხოლოდ ლამაზი თვალების ჭკრეტით არ დაკმაყოფილდებოდა. ეჭვიც არ მეპარებოდა გეგმა უკვე გამზადებული მქონდა და ამ გეგმას, თავისი კეთილშობილების მიუხედავად, მ. მ-ი ანხორციელებდა, თანაც ისე ფრთხილად და ოსტატურად, რომ თავიდან მეც ვერ მიუხვდა. დმერთმანი, განზრახული არა მქონია, ბოლომდე კეთილი კაცის როლი მეთამაშა, მაგრამ, რო-

ვორც განესაზღვრე, ბოლოს და ბოლოს მაინც მოტყუებული ვრჩებოდი. და ამ-
რიგად, კ. კ-ი უნდა დამეკარგა, არ ვაპირებდი არც თანხმობას, არც წინააღმდე-
გობას, რადგან ვიცოდი, ჩემი ცოლიც იხეტის არაფერს ჩაიდენდა, რაც არ მო-
მეწონებოდა. ამიტომ უნდობლობა მივაძინე და იმედინად გადაწყვიტე, რომ
კ. კ-ს შეცდენა არც ისე იოლი საქმე იქნებოდა. თუმცა ამ ინტრიგის შედეგები
ძალიან მაშინებდა, მაინც მოუთმენლად ველოდი მის დაბოლოებას. ვიცოდი,
მომდევნო ვახშამზე სულ სხვა პიესა გათამაშდებოდა, და სათანადო ცვლილებე-
ბისთვის მოვემზადე.

ვამჯობინე ისევ ძველებურად მოკვლეულიყავი, სანამ გარემოება არჩეული
გეზის შეცვლას მაიძულებდა. ამ თამაშში შემქმნელი გადამწყვეტი სიტყვა მეთქვა
და, თუ საქმე აუად შემობრუნდებოდა, ჩემს თავს პირობა მივეცი უშმაკობით ჩა-
მეშალა მათი გეგმები. მაგრამ ერთი დაბრკოლებაც არსებობდა: კ. კ-ი ჯერ კი-
დეუ პატარა გოგონა იყო და, თუმცა რაღაც ცოდნა უკვე ჰქონდა, მისი გამოუც-
დებლობა მაინც შიშის ზარს მცემდა. შექმლით ბოროტად გამოეყენებინათ მისი
თავაზიანობა. მ. მ-ის გულისხმიერება მაშინვევებდა. ვერ წარმომედგინა, იმის
შემდეგ, რაც თავისი თვალთ ნახა, ასეთ საზარელ დალატს თუ მაინც ჩაიდენდა.
განა ქალიშვილთან უცოდველად გატარებული მთელი ათი საათი იმას არ ნიშ-
ნავდა, რომ ცილად უნდა შემერთო?! მაგრამ ამ მსჯელობას — თავისი არსით
სუსტი სულისა და რწმენადაკარგული, ეჭვიანი ადამიანის ფიქრებს — არავითარ
დასკვნამდე არ მივყავდი, ისღა დამრჩენოდა, ქამთა მდინარეებს მივინდობოდი
და მეცქირა, მოვლენები როგორ განვითარდებოდა.

დათქმულ დროს ჩვენს აგარაკზე მივედი და მშვენიერი ქალები ბუხართან
მიმსხდარი დავინახე.

— მოგესალმებით, ჩემო ანგელოზებო. სადაა ჩვენი ფრანგი?

ვიხდი ნიღაბს, მათ შუა ვუჯდები, სათითაოდ მრავალჯერ ვკოცნი და ორივეს
თანაბარ სიყვარულს ვუძღვებ. თუმცა ერთიცა და მეორეც ჩემი საყვარლები
არიან და ეს ამბავი თვითონაც მშვენივრად იციან, მაინც თავშეკავებულად და
თავაზიანად ვიქცევი. ვიწონებ მათ ურთიერთლტოლვას და ვამჩნევ უხარიათ,
რომ არაფერი აქვთ დასამალი. გავიდა ერთი საათი, მაგრამ აზრადაც არ მომსე-
ლია საქმის დაწყება: ჩემს გულს მ. მ-ი დაპატრონებოდა და კ. კ-ს წყენას ვერი-
დებოდი.

სამი საათი გახდა, ჩვენი ფრანგი კი არა და არ ჩანდა. მ. მ-ს აღელვება და-
ეტყო. ამ დროს მეკარე ქალმა ამოგვაკითხა და მეგობრის წერილი გადასცა:

„ორი საათის წინათ შიკრიკი მოვიდა. ამ ღამით ბედნიერება არ მიწერია:
უნდა გავათენო და საპასუხო დეპეშა შევადგინო. იმედი მაქვს, არათუ მაპატიებთ,
შემიცოდებთ კიდევ. შეიძლება ვიქონიო იმედი, ის ბედნიერება, ამ ღამით ბო-
როტმა ბედისწერამ რომ გამოგლიჯა, პარასკევს მომეცემა? ხვალ შემატყობი-
ნეთ. ვისურვებდი იმავე საზოგადოებაში ყოფნას“.

— ნუ დაღონდებით! — ამბობს მ. მ-ი, — მისი ბრალი არ არის. რა გაეწყო-
და, სამმა ვივახშმით. პარასკევს ხომ მოხვალთ?

— სიამოვნებით მოვალ. შენ რაღა მოვივიდა? — ვეკითხები კ. კ-ს, — ეტყო-
ბა, გული გატკინა ამ ამბავმა.

— არა, არ უტკენია... თქვენ მეცოდებით, რადგან ესოდენ თუ ზიანი და სა-
სიამოვნო ადამიანი ადრე არ შემხვედრია.

— ძალიან კარგი, ჩემო მშვენიერო. მიხარია, კარგე თვალთ რომ შეხედე
და გულგრილი არა ხარ.

— რას ნიშნავს „გულგრილი არა ხარ?“ განა შეიძლება გულგრილი იყო ასეთი პიროვნებისადმი?

— მთლად უკეთესი! სავსებით ვეთანხმები, ჩემო პატარავ, ბრემ ისიცა თქვი, რომ მოგწონს.

— რატომაც არა! კიდევ რომ მომწონდეს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გამოუტყდეს. თანაც დარწმუნებული ვარ, მე კი არა, ჩემი ცოლიც უყვარს —

ამას ამბობს, ღვება, მ. მ-ს მუხლებზე უჯდება და მშვენიერი მკვებრები ერთმანეთს ეფერებიან. ჯერ ვიცი, მაგრამ თანდათან მათი ალერსი ჩემს ყურადღებას იპყრობს. ახლა უკვე მათი წაქეზება და ჩემთვის კარგად ნაცნობი სანახაობით ტკბობა გადავწყვიტე.

მ. მ-ი თაროდან იღებს შერსიუსის ესტამპებს — ქალთა სასიყვარულო ჭიდილის გამოსახულებებს, — ეშმაკურად მიჰურებს და მეკითხება, ხომ არა მსურს იმ ოთახში დაანთონ ბუხარი, სადაც საწოლია გაშლილი? ვხვდები ჩანაფიქრს და ვპასუხობ, რომ დიდ სიამოვნებას მომგვრის ასეთი გადაწყვეტილება — საწოლი საკმაოდ განიერია და ზედ სამთავენი მოეთავსდებოდით. შეეშინდა, არ მეფიქრა, თითქოს მისი მეგობარი დესპანი საიდუმლო ოთახში ჰყავდა დამალული. ამიტომ მაგიდას საწოლთან დგამენ და ეჭვი აღარა მაქვს, რომ ვინმე მითვალთვალებს. მოაქვთ ვახშამი და სამთავენი მაღიანად ვილუკმებით. მ. მ-ი პუნშის მომზადებას ასწავლის კ. კ-ს. ჩემ პირდაპირ სხედან და კ. კ-ს სილამაზით ვტკბები.

— ალბათ შენი მკერდი ამ ბოლო ცხრა თვეში გაივსო, უფრო სრულყოფილი გახდა, — ვამბობ.

— ზუსტად ჩემსავით აქვს, — ამატებს მ. მ-ი, — გინდა ნახო?

ამ სიტყვებზე გვერდზე დგამს პუნშიან თასს და ძვირფას მეგობარს კაბის დილებს უხსნის. ის არ ეწინააღმდეგება. მერე თვითონაც დაუყოვნებლად თავისუფლდება კორსეტისაგან, რათა შედარების საშუალება მომცეს. და აი უკვე მოჭარბებული სურვილი მათრობს — მინდა ყველაფერი შევადართო და ყველაფერი გავსინჯო. მხიარულად ვალაგებ ესტამპებს მაგიდაზე და მ. მ-ს ერთ პოზას ვჩვენებ, ამის ნახვა მსურს-მეთქი. იგი ეკითხება კ. კ-ს, უარს ხომ არ იტყვი, ეს პოზა ვაჩვენოთო, კ. კ-ი კი პასუხობს, დროა ტანთ გავიხადოთ და ლოგინში ჩავწვეთო. მეც ვითხოვ, ეს სიამოვნება მომანიჭონ.

გულიანად ვიცი, იმაზე რაც მანახეს, მერე მალვიძარას რვა საათზე ვაყენებ და ხუთი წუთიც არ გადის, რომ სამივენი ბუნების ნაღდ შვილებად ვიქცევით — ვტკბებით ვნებითა და სიყვარულით. მეგობრები ისევე იწყებენ თავიანთ ღლაბუცს, თანაც ისეთი გატაცებით, თითქოს ორი ძუ ვეფხვი ერთმანეთის დაფლეთას ღამობდეს.

მშვენიერი ქალების სასიყვარულო ორთაბრძოლამ აღმაგზნო, მაგრამ მათ ომში ჩართვას ჯერ ვერა ვბედავდი. კ. კ-ს პატივისცემა უფრო მმართებს, მაგრამ მ. მ-ის დაცინვისაც მეშინია, თანაც მხოლოდ მისი სიყვარული მწყურია. კ. კ-ი მ. მ-ზე გამხდარია, მაგრამ ბარძაყები და თეძოები უფრო ჩასუქებული აქვს. იგი შავოვრემანია. მ. მ-ი კი ქერა; ორივენი თანაბარი ოსტატობით ფლობენ ამ დამქანცველი და უნაყოფო ბრძოლის ილეთებს.

ბოლოს ცდუნებას ვეღარ ვუძლებ. გახელებულ ქალებს მივვარდი, ვითომდა გულში მათი გაშველება მედო. მ. მ-ი ქვეშ მოვიქციე. იგი მისხლტება და ახლა კ. კ-ზე გადავდივარ. გოგონა მკლავებგაშლილი მეგებება. წუთიც არ გადის, რომ თავდაუზოგავად მაცლის სიცოცხლის ძარღვს და ჩემთან ერთად თვითონაც კვდება.

გონს რომ მოედღივართ, ორივენი მ. მ-ს ვაცხრებით, კ. კ-ი მაღლიერების

ვამო, მე კი შურისძიება მამოძრავებს, რადგან იძულებული შევიქენი მისთვის მელალატა. მთელი საათის განმავლობაში დამორჩილებული მყავდა. ხეამოვნებით ვუცქერდი კ. კ-ს, რომელიც თითქოს ამაყობდა თავის მეგობარს ღირსეული საყვარელი რომ უშოვა.

ჩემმა გმირმა ქალებმა დამიჯერეს და ძილს მისცეს თავი და არ წმენდულნი იყვნენ სამაგალითოდ გავატარებდით იმ ორ საათს, სანამ ჩვენს დაშლის მსუქვებელი მალეძარა დარეკავდა.

ძალა მოვიკრიბეთ და, როგორც კი ერთმანეთი ისევ ბუნებრივ სამოსელში ვახილეთ, ვნებით აღვივსენით. კ. კ-მ ღირსეულად, მაგრამ მაინც გამოთქვა გულსწყრომა, ჩემთან მხოლოდ ერთხელ აღმოხდა სულით. მ. მ-მაც უშუამდგომლა, საკადრისი მიუზღეო, რაც მაშინვე აღვასრულე.

ჩვენი ხანგრძლივი ბრძოლა გარკვეული წესების დაცვით მიმდინარეობდა. შემუშავებული ხელშეკრულების მიხედვით, ბრძოლის შედეგებს არც ერთი არ ვერიდებოდით და, თუ რამე გართულება მოჰყვებოდა ჩვენს დაუზღვეველ კავშირს, მაშინ მას ჰიმენეოსის¹ ხუნდები დაავიგვრგვინებდა. მ. მ-ი მთლიანად მივინდო სიყვარულს და მოისურვა თავადაც გაეწია ამგვარი რისკი. არ დამზოგო, — მიბრძანა და მეც შევასრულე ბრძანება. ვნებითა და სასმელით აღვზნებულები ერთმანეთს გადავენასკვეთ და სრულად დავიცალეთ ყოველივესგან, რითაც ბუნებამ აგვაფსო. ვკოცნიდით, ვწუწნიდით, ვსრესდით და ვძიძგნიდით ყველაფერს, რაც დასანახი თუ ხელშესახები იყო, ყველაფერს, რასაც ველურ ორომტრიალში გადავაწყდებოდით. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ჩვენი სამაია ერთი სქესისა ყოფილიყო.

ერთმანეთს განთიადამდე ნახევარი საათით ადრე დავშორდით. ქანცგაწყვეტილნი, გამოფიტულნი, გამაძღარნი და დამცირებულნი იმით, რომ მოყირჭება ვიგრძენით, თუმცა ერთმანეთი წამითაც არ შეგვზიზღებია.

მეორე დღეს ამ ხელმეტ ბობოქარ დამეზე ფიქრისას სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. ვნებას ერთი ცუდი თვისება აქვს: იგი, როგორც წესი, გონებას თრგუნავს. გონება თუ არ დამიბნელდა, მ. მ-ს ყველაფერში აბა როგორღა მიქენდებ?! წარწმუნებდა, რომ მის სიყვარულს, ჩემი სიყვარულისა არ იყოს, თან ახლდა პატიოსნება, წესიერება და გულწრფელობა. პირიქით კი იყო. მისი გონება ავხორციობას დაუტყვევებინა, რაც გადაჭარბებული ენებათა დელვისკენ უბიძგებდა, და ისიც მზად იყო გამოეყენებინა ყოველი შემთხვევა, რათა ამ დინებას აპყილოდა და მეც ავეყოლიებინე. მიაჩნდა, რომ უფლება ჰქონდა თანადგომა მოეთხოვა ჩემგან და სულაც არ უნდოდა ჩემს განცდებზე ეფიქრა — მე ხომ მახეში გამაბეს. მშვენივრად იცოდა, თუ დავიჩივლებდი, საკუთარ სისუსტესა ან სიმძღალეს ვადიარებდი და შერცხვენილი დავრჩებოდი.

ეჭვი არ მეპარებოდა, დესპანის წერილი წინასწარ იყო ჩაფიქრებული. იცოდნენ, ვერ მომატყუებდნენ, და ფანდი დამიგეს: შექმნილი ვითარება მაიძულებდა სიყვარულისთვის მსხვერპლი გამელო, მათსავით კეთილშობილი და თავაზიანი ყოფილიყავი. ჩემს ბუნებასა და ღირსებას რომ ვთრგუნავდი, ამას არავინ დაგიდევდათ.

დესპანმა ნეტარი დამე მაჩუქა — განა შემემლო წინააღმდეგობა გამეწია და ასეთივე დამე მისთვის არ დამეთმო?! ყველაფერი ზუსტად ვათვალეს! კიდევ რომ გავძალიანებოდი ვიცოდი, გამარჯვება მეტოქისათვის უნდა დამეთმო. კ.

¹ჰიმენეოსი — ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

კ-ი არაფრად მიაჩნდათ და არც აწუხებდათ. არ ექვევებოდით, რომ დაიყოლიებდნენ, თუკი მასთან არ ვიქნებოდით. ჰოდა, წინასწარ ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო. მ. მ-ის მცდელობით კ. კ-ის გული, მეგობარს თუ არ მიბაძავდა, სირცხვილის მორევში უნდა ჩაძირულიყო. საბრალო კ. კ-ი! უკვე გარყვნილ ქალად ვხედავდი და ყოველივე ჩემი ბრალი იყო. ვაგლახ, ვერ ვავუფროთხილდი რა უნდა მექნა. თუ რამდენიმე თვის შემდეგ ორივენი დაიბრუნდებოდნენ? — ვიცოდი, მათი ცოდვა ჩემს კისერზე იყო. ჩემი გონება ცრურწმენას ებრძოდა, ბუჩუბა — სიყვარულს, და მეც, თავზააბნეული და გაუბედურებული, ვერც ვახშამად წასვლას ვხედავდი და ვერც უარის თქმას. მიპატივებას თუ დავთანხმდებოდი, დამეწესიერების ფარგლებში ჩაივლიდა, მე კი თავს გავიმასხარავებდი და ეჭვიანი, ძუნწი და უმადური ხეპრის სახელს დავიმკვიდრებდი. თუ არ წავიდოდი, კ. კ-ი ჩემთვის სამუდამოდ დაიკარგებოდა. ვგრძნობდი, აღარ მეყვარებოდა და, რა თქმა უნდა, სხვისი საყვარლის ცოლად შერთვაზე აღარც ვიფიქრებდი.

სულიერი მღელვარებით შეპყრობილმა გადავწყვიტე, რაღაც უნდა დამჯდომოდა, ჩემი ეჭვები გამეფანტა. ნილაბი გავიკეთე და საფრანგეთის დესპანის სახლისკენ გავეშურე. კარისკაცს ვუთხარი, ვერსაღში წერილი მაქვს გასაგზავნი და დიდად დამავალებ, თუ შიკრიკს მოახსენებ. ისევე საფრანგეთში რომ უნდა დაბრუნდეს მისი უდიდებულესობის დეპეშის წასაღებად-მეთქი. კარისკაცმა მიპასუხა, უკვე ორი თვეა, რაც ვენეციაში საგანგებო შიკრიკი არ გამოჩენილა.

— ეგ როგორ! განა გუშინ საღამოს არ მოვიდა?

— წუხელ საღამოს მისმა უდიდებულესობამ ესპანეთის დესპანთან ინება ვახშამობა.

აი, ჩემი ეჭვების დასასრულიც. მივხვდი: ამ აბის ჩაყლაპვა უცილობლად მომიწევდა; კ. კ-ი თავისი ბედისთვის უნდა მიმენდო. თუ მივწერდი, ვახშამზე არ მიხვიდე-მეთქი, ლაჩრულად მოვიქცეოდი.

სალაკო ხანს მიურანს გავემგზავრე და აგარაკზე ბარათი დავტოვე. მ. მ-ს პატივებას ვთხოვდი: ბატონ დე ბრაგადინს გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა და რა ექნა, მთელი დამე მასთან უნდა ვიმუშაო-მეთქი. ვენეციაში ერთობ მოკამული დავბრუნდი და ბანქოს სათამაშოდ გავწიე. იმ დამით სამჯერ თუ ოთხჯერ იმაზე მეტი წაუვა, რაც თანა მქონდა.

ერთი დღის შემდეგ მიურანის აგარაკზე წავედი. არ შეეჭვებოდა, რომ იქ მ. მ-ის წერილი დამხუდებოდა. მეკარე ქალმა წერილი გადმომცა, გავხსენი და შიგ კ. კ-ის წერილიც აღმოვაჩინე. უკვე ყველაფერი საერთო ჰქონდათ! აი, რას მწერდა კ. კ-ი:

„ცნობამ, ვახშამზე რომ არ მოხვიდოდი, ორივენი დიდად დაგვამწუხრა. ჩემი დობილის მეგობარი ნახევარი საათის დაგვიანებით გვეახლა და შენი არყოფნა მასაც ძალიან ეწყინა. გვეგონა, სუდიანი ვახშამი გვექნებოდა, მაგრამ პირიქით კი გამოვიდა. ბატონის მჭევრმეტყველებამ გაგვამხიარულა და შენ ვერც წარმოიდგენ, ძვირფასო მეგობარო, რა სიანცემ აგვიტაცა, როცა პუნში და შამპანური დავლიეთ! ისიც აგყვავა და ცდილობდა არაფრით ჩამოგვრჩენოდა. მართალია, ლოგინში ვერ დაგვდალა, მაგრამ გვარიანად გაგვართო. გარწმუნებ, მომხიბვლელი კაცია და სიყვარულისთვისაა გაჩენილი, მაგრამ შენ ვერაფერში გაგიტოლდება. იცოდე, შენ გარდა არავინ მეყვარება და ჩემი გულის მეუფე მხოლოდ შენ იქნები“.

ამ წერილმა, ცოტა არ იყოს, შემაცბუნა, მაგრამ ბოლოს დიმილი მაინც მომგვარა. მ. მ-ის წერილი უფრო უცნაური იყო:

„დარწმუნებული ვარ, ჩემო ანგელოზო, თავაზიანობის გამო იცრუე; იცო-

დე, მზად ვიყავი ამისთვის. გადაწყვიტე, ჩვენი მეგობრისთვის მეფური საჩუქარი მიგეძღვნა იმის სანაცვლოდ, თავად რომ დავითმო თავისი მ. მ-ი და უფლება მომცა შენთვის სიყვარული შენუკებიანა. შენ ხომ ისედაც ფლობდი ჩემს გულს, მაგრამ სასიყვარულო ცეცხლის მეგობრული ხიბლით გაზავება, მერწმუნე/საამური ხელოვნებაა. მეწყინა, რომ ვერ გნახაუდი, მაგრამ მერე მივხვდი: რომ მოსულიყავი, იმდენს ველარ ვიცინებდით, რადგან ჩვენი სტუმრის გუნება შენს კუდიდესი გონების მიუხედავად, ცრურწმენათაგან თავისუფალი არ არის. კ. კ-ს ახლა ისეთივე თავისუფალი სული აქვს, როგორც ჩვენ. ეს ჩემი დამსახურებაა და შემოდღია ვიამაყო, რომ იგი შენთვის გაუზარდე, სურვილი მქონდა სამალავიდან გეთვალთვალა ჩვენთვის: მერწმუნე, ნეტარებით აღსავსე წუთებს გაატარებდი. ოთხშაბათს შენს ვენეციურ აგარაკზე ვიქნები სულ მარტო და სულ შენი. მაცნობე, დათქმულ დროს ქანდაკებასთან თუ დამელოდები. თუ ვერ შეძლებ, სხვა დღე დამითქვი“.

ორივე ქალისთვის ერთი ყაიდის პასუხი უნდა გამეცა. გული შხამითა და სამსალით მქონდა სავსე, მაგრამ თავი ისე უნდა დამეჭირა, თითქოს თავლით სავსე თასს მივირთმევდი: შენ ასე გსურდა, ჟორჟ დანდენ.¹ ვერ გაუარკვიე სირცხვილის რომელ განზომილებაში აღმოვჩნდი, იქითა მხარეს, სადაც მეტი სიკეთეა თუ პირიქით — სადაც სიკეთე ჭარბობს. ეს საკითხი რომ განვიხილო, ალბათ ვერასოდეს მოვრჩები წერას. კ. კ-სადმი მიწერილ ბარათში ძალია მოვიკრიბე, გონებას მოვუხსმე და მივულოცე, რაც თავს გადახდა. ურჩევდი, ყველაფერში მ. მ-სთვის მიებაძა, ვითარცა სრულქმნილი არსებისათვის.

მ. მ-ს კი მივწერე ჩვეულებისამებრ, ქანდაკებასთან მნახავ და მზად ვიქნები შენი ყოველი ბრძანება შევასრულო-მეთქი. წერილი სავსე იყო არაგულწრფელი ქებით კ. კ-ს აღზრდის გამო: მხოლოდ ერთი წინადადება იყო მართალი და ისიც ორაზროვნად ფლერდა: „გმადლობ სურვილისთვის... სამალავში მეთვალყურის ადგილი რომ მიმიჩინე. იქ ვერ გავჩერდებოდი“.

ოთხშაბათს, ზუსტად დათქმულ დროს, პაემნის ადგილზე ვიყავი. იგი მამაკაცის ტანისამოსში იყო გამოწყობილი. არც ოპერაში და არც კომედიაში წასვლა არ მოისურვა.

— სათამაშოდ წავიდეთ, — მოთხრა, — ან წავაგებთ მთელ ფულს, ან გავაორმაგებთ.

ექვსასი ცეხინი მქონდა, მეც — ასიოდე. ბედმა არ გაგვიღიმა. ყველაფერი რომ წააგო, სადღაც თავისი მეგობარი მონახა, იცოდა — აქ უნდა ყოფილიყო, და ფული სთხოვა. დესპანი ერთი საათის შემდეგ ეახლა და სამასი ცეხინი გადასცა ქისით. ქალი მაგიდას მიუბრუნდა, დაიწყო თამაში და წაგებული დაიბრუნა. ამით არ დაკმაყოფილდა და ისევ წააგო ყველაფერი.

შუალამისას საეახშმოდ წავუდით. მოწყენილი ვერვინე, თუმცა ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ გრძნობები დამემალა. თავად არაფერი დასტყობია — ჩვეულებისამებრ ლამაზი, მხიარული, მოცინარი და მოსიყვარულე იყო.

გადაწყვიტა გავემხიარულებინე და კ. კ-სა და თავის მეგობართან გატარებული ღამის ამბავი დაწვრილებით მომიტხრო. სწორედაც ეს არ უნდა ექნა, მაგრამ ადამიანთა გონებას ის ნაკლი აქვს, ხშირად სხვაშიაც ისეთ თავისუფლებას და უშუალობას ხედავს, რაც მის საკუთარ ბუნებაშია. ერთი სული მქონდა როდის დაამთავრებდა თხრობას და დასაძინებლად წავიდოდით. ავხორცობის ამსახველმა წვრილმანებმა ამჯერად ჩემზე ჯეროვანი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. შემე-

1. ბოლიერი — „ჟორჟ დანდენი ანუ მოტყუებული ქმარი“. აქტი I, სცენა VII.

შინდა, ვაითუ ლოვინში საკადრისად ვერ ვასიამოვნო-მეთქი. ასე რომ მოხდეს, სწორედ ეს შიშია საჭირო. შეყვარებული ჭაბუკი არასოდეს ეჭვობს თავისი სასიყვარულო შესაძლებლობების თაობაზე: თუკი დაეჭვდა, სიყვარული შურს იძიებს და ხახამშრალს დატოვებს.

საწოლში ამ მშვენიერი ქალის აღერსმა და დიდსულოვნებამ უგუნებობა გამიქრო. ღამეებმა იკლო და ძილის დრო აღარ დაგვრჩა. ორ-სამი სასიყვარულ-ში გავატარეთ და ერთმანეთს შეყვარებულნი დაეშორდით. მაიმულა და დამითან-ხმა მის სახლში მივსულიყავი, ფული ამელო, რათა მასთან წილში მეტამაშა. მიურანს გავემგზავრე, მთელი ოქრო წამოვიღე, დავიწყე თამაში იმ წესით, რასაც ბანქოში „კვინტს“ ეძახიან, და კარნავალის მომღევნო დღეებში ყოველდღიურად ორ-სამჯერ ვიგებდი. მეექვსე კარტი არც ერთხელ არ წამიგია. ერთხელაც რომ წამეგო, მთელ ქონებას დავკარგაუდი — ორი ათას ცეხინს. ამგვარად, ჩემი საყვარელი მ. მ-ის ქონება გაუზარდე, მან კი მომწერა, მოვალენი ვართ ოთხივემ ერთად ვივახშმით კარნავალის უკანასკნელ ორშაბათსო. თანხმობა შევუთვალე.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი ვახშამი კ. კ-სთან. იგი ერთობ მხიარული იყო. საბოლოო არჩევანი მოვახდინე და მხოლოდ მ. მ-ს ვვარშიყებოდი. კ. კ-ს ჩემი იქ ყოფნა არაფრად აწუხებდა, სულ ახალ სატრფოს შესციცინებდა.

გავითვალისწინე მოსალოდნელი გართულებანი და ვთხოვე მ. მ-ს, საქმე ისე მოეწყო, დესპანს ღამე კ. კ-სთან გაეტარებინა, მე კი მასთან დავრჩენილიყავი. მ. მ-აც ბრწყინვალედ შემისრულა თხოვნა.

ვახშმის შემდეგ დესპანმა ფარაონის თამაშზე წამოიწყო საუბარი. ღამაზმა-ნებმა ეს თამაში იცოდნენ. ელჩმა ბრძანა, ქალღიმი მოეტანათ და შეადგინა ასი ორმაგი ლუიდორების ბანქო, რაც დიდი მცდელობით, კ. კ-ს მოაგებინა. საცოდავმა გოგონამ აღარ იცოდა რა ექნა ამდენი ოქროსთვის და ძვირფას მეგობარს სთხოვა, შემინახე, სანამ მონასტრის კედლებს დავტოვებ და გავთხოვდებიო.

ერთი თამაშის შემდეგ მ. მ-მა თქვა, თავი მტკივაო, და დაწოლა მოისურვა. მთხოვა, თან გავყოლოდი და მისთვის „ნანა“ მეთქვა. ჩვენი გოგონა დესპანს დავუტოვეთ. ექვსი საათის შემდეგ, როცა მალვიდარამ ორგის დასასრული გვამცნო, აღმოვაჩინეთ, რომ ჩახუტებულებს ეძინათ. მე კი მთელი ღამე მ. მ-ის საყვარულში გავატარე და კ. კ-ი ერთხელაც არ გამხსენებია.

ასე დასრულდა ჩვენი კარნავალი.





ფრანკულიდან

თარგმნა მინა ლარიგაშვილმა

ხუთშაბათი, 18 აპრილი, 1974 წელი

ჩემო კვირვასო დედიკო

შენ ოთხმოცდათერთმეტი წლისა გარდაიცვალე. აგერ უკვე სამწელიწად-ნახევარია რაც აღარა ხარ და შეიძლება ითქვას, მე მხოლოდ ახლა ვიწყებ შენს გაცნობას, მთელი ბავშვობა და სიყმაწვილე შენ გვერდით გავატარე, მაგრამ როცა ცხრამეტი წლის ბიჭმა დაგტოვე და პარიზში წავედი, შენ ჩემთვის ჯერ ჭიდე უცხო ადამიანი იყავი.

სხვათაშორის, მე შენთვის არასოდეს დამიძახია „დედიკო“, ყოველთვის „დედას“ გეძახდი, ისევე როგორც მამას არ ვეძახდი „მამიკოს“. ისე კი, არ ვიცი, რატომ მოგმართავდით ასე.

იშვიათად ჩამოვდიოდი ლიეჟში, ისიც ცოტა ხნით. ყველაზე ხანგრძლივი ბოლო სტუმრობა იყო, როცა ერთი კვირის განმავლობაში ბავიერის საავადმყოფოში, სადაც მე ოდესღაც მღვდელს ვეხმარებოდი მძიმე ავადმყოფთა ზიარებისას, გიყურებდი, თუ როგორ ებრძოდი სულს.

თუმცა სიტყვა „სულთმობრძაობა“ სრულიად არ შეეფერება იმ დღეებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ შენს სიკვდილს. შენ ლოგინში იწექი, ნათესავეებით, ვიდაც ჩემთვის უცნობი ხალხით გარშემორტყმული და ზოგჯერ ძლივს ვახერხებდი შენამდე მოღწევას. მთელი საათები გაკვირდებოდი; არ იტანჯებოდი, სიკვდილისა არ გეშინოდა, არც ლოცვებს ამბობდი დილა-საღამოს, თუმცა შენს საწოლთან, ერთი და იგივე ადგილზე, ერთი და იგივე სკამზე გაქვავებულივით იჯდა შათსანი მონაზონი.

ხანდახან, არცთუ იშვიათად, იღიმებოდი კიდეც, მაგრამ სიტყვა „ღიმილი“ შენს სახეზე სრულიად სხვა შინაარსს იძენდა; გვიყურებდი იმ ადამიანებს, რომლებსაც შენ შემდეგ უნდა გვეცოცხლა, უნდა მიგვეცილებინე სამარემდე, და ბაგეზე ირონიული ღიმილი გადავივლიდა ხოლმე.

თითქოს შენ უკვე სხვა სამყაროში იყავი, უფრო სწორად, შენს სამყაროში, შენს შინაგან სამყაროში, რომელიც ასეთი ახლობელი იყო შენთვის. მე ამ ღიმილს, რომელშიც ერთდროულად მელანქოლიაც იყო და ბედსშერიგებაც, ბავშვობიდან ვიცნობდი. შენ ცხოვრებას უბრალოდ კი არ მიჰყვებოდი, არამედ განიცდიდი მას. თითქოს მთელი სიცოცხლე იმ დღეს ელოდებოდი, როცა საავადმყოფოს ლოგინს მიეჯაჭვებოდი საბუღალბო განსვენების წინ.

შენი ექიმი, ჩემი ბავშვობის მეგობარი, მარწმუნებდა, რომ ოპერაციის შემდეგ შენ უკვე მშვიდად დაღევდა სულს. ამას რვა დღე დასჭირდა. უფრო დიდხანს მე არც არასოდეს დავრჩენილვარ ლიეუში მას შემდეგ, რაც იქიდან წამოვედი ცხრაპეტი წლის ბიჭი. საავადმყოფოდან გამოსვლისას თავს ვერ ვიკავებდი ახალგაზრდობისდროინდელი ისეთი სასიამოვნო კვლევებზე, როგორც იყო შემწვარი კარტოფილისა და ხამანწყის ან კიდევ შედარებით გველთუფხას საჭმელად წასვლა.

იქნებ სირცხვილია გასტრონომიისა და საავადმყოფოს პალატის წარმოსახვის ერთმანეთში აღრევა? არა მგონია; ისინი სულაც არ უშლიან ერთმანეთს ხელს, პირიქით, ერთ მთლიანობას ქმნიან, მთლიანობას, რომლის ახსნასაც ვცდილობ მე და რომელიც შეიძლება შენ ჩემზე ადრე გაიგე, სულაც მაშინ გაიგე, როდესაც გულგრილობითა და სინახით აღსავსე თვალებით მიყურებდი.

სანამ ცოცხალი იყავი, ერთმანეთი არ გვიყვარდა, ეს შენც კარგად იცი. უფრო სწორად კი, თავი ისე გვეჭირა, თითქოს ერთმანეთი არ გვიყვარდა. ახლა კი ვფიქრობ, რომ ჩვენ ერთმანეთზე მცდარი შეხედულება გვქონდა.

ნუთუ ადამიანის გონებას სიკვდილის წინ სულ სხვა ნათელი ეფინება? მე ჯერ კიდევ არ ვიცი ეს. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ შენს დისშვილებს, მეზობლებს და ყველას, ვინც კი შენ სანახავად მოდიოდა, ძალიან ზუსტად აფასებდი. ასევე წონიდი ჩემს ღირსება-ნაკლოვანებებსაც.

მაგრამ მე შენს თვალეში და სახეზე იმ სახებას კი არ ვეძებდი, რომელიც შენ შექმენი ჩემზე, არამედ შენი არსების შეცნობას ვიწყებდი.

აღელვებული, აფორიაქებული ვიყავი. წინა საღამოს ბავშვობის მეგობარმა ორბანმა დაძირეკა. იგი ახლა ბავიერის საავადმყოფოს მთავარი ქირურგია. მან გაგიკეთა ოპერაცია, მეორე დღეს უკვე შენკენ მოვეშურებოდი, წარმოუდგენელი სისწრაფით დავფარე შვეციის გზები, გერმანიის ავტოსტრადა და ბოლოს, როგორც იქნა, ბელგიაში ჩამოვედი.

უცებ აღიმართა ჩემ წინ საავადმყოფოს დიდა, პრიალა კარი, რომელსაც ბავშვობაში აქოშინებული მივადგებოდი ხოლმე, განსაკუთრებით კი ზამთარში, როცა შიშისაგან აცახცახებული მივაბიჯებდი უკაცრიელ ქუჩებში.

შენი პალატა მაშინვე ვიპოვე, კარზე დავაკაკუნე.

— შემოდით, — მომესმა ხმა.

კინალამ გონება დავკარგე, შენ გარშემო შემოკრებილი ოთხი-ხუთი კაცი რომ დავინახე, და კიდევ, შაოსანი მონაზონი, რომელიც გუშაგივით დარაჯობდა შენს პატარა პალატას. მოგიახლოვდი, გაკოცე, შენ კი ჩვეულებრივად, ძალიან უბრალოდ მკითხე:

— რატომ ჩამოხვედი, ჟორჟ?

შესაძლოა სწორედ ამ პატარა ფრაზამ, რომელიც ასე ღრმად ჩამრჩა გულში, გამაგებინა ზოგიერთი რამ შენ შესახებ.

შუბლზე გეამბორე. ვიღაცა თავის სკამს შეეღია და მე მომაწოდა. დაკვირვებით გიყურებდი. ჩემს სიცოცხლეში ალბათ არასოდეს მიცქერია შენთვის ასე. მეგონა, უკანასკნელ წუთებში მყოფ მომაკვდავს მოგისწრებდი. უყურებდი შენს თვალებს, რომელთა აღწერა ბევრჯერ მიცდია და მომავალშიც ალბათ კიდევ ბევრჯერ აღწერ, რადგან რაც დრო გადის, მით უფრო უკეთ ვკითხულობ მათ.

ნუთუ გაგიკვირდა ჩემი დანახვა, ნუთუ ფიქრობდი, რომ არ გინახულებდი

სასიკვდილო სარეცელზე მყოფს, არ დავესწრებოდი შენს დაკრძალვას? ნუთუ გეგონა, რომ შენ მიმართ გულგრილი, მტრულად განწყობილი ვიყავი? ნეტავი რას გამოხატავდნენ შენი მონაცრისფრო თვალები, გაოცებას თუ ეშმაკობას? მაინც გგონია, იცოდი, რომ ჩამოვიდოდი, მელოდებოდი, მაგრამ რადგანაც ყოველთვის ყველას ეჭვის თვალთ უყურებდი, განსაკუთრებით კი მე, ახლაც შიშობდი, ვაითუ არ მოვიდესო.

პალატაში მყოფნი ვერ ხვდებოდნენ, მარტო რომ უნდა დავესწრებინათ. იძულებული გავხდი თვითონ გამეყვანა ისინი იმ საბაბით, რომ ღელასთან ცოტა ხნით მარტო დარჩენა მინდოდა.

მხოლოდ მონაზონი არ განძრეულა. იჯდა სკამზე ძეგლივით უძრავი, შეუვალი და გულგრილი. იგი არასოდეს მესალმებოდა პალატაში შემოსვლისას და არც წასვლისას შემშვიდობებოდა. გეგონებოდათ, მას ებარა სიკვდილის გასაღები, სამოთხისა და ჯოჯოხეთის გასაღები, და ელოდებოდა, როდის დაკრავდა უამი მათი გამოყენებისა.

ჩვენ დადხანს შევცქეროდით ერთმანეთს. სახეზე სევდა არ გემჩნეოდა. საერთოდ, სახეზე არავითარი ვრძნობა არ გეხატებოდა, რომლის განსაზღვრასაც მე უშეცდომოდ შევძლებდი. იქნებ გამარჯვებას გამოხატავდა შენი სახე? შეიძლება. შენ ნაბოლარა იყავი ცამეტ და-ძმაში. მამაშენი იმ წელიწადს გაკოტრდა, შენ რომ დაიბადე. ხუთი წლისა იყავი, ის რომ გარდაიცვალა.

ასეთი იყო შენი ცხოვრების დასაწყისი. მერე ღელასთან დარჩი მარტო, და-ძმანი აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, ზოგი უკვე აღარც იყო ამქვეყნად. ლიევის ერთ ღარიბულ ქუჩაზე ცხოვრობდით, მეტად უბრალო ბინაში. ნეტავი როგორ ირჩენდით თავს მანამდე, ვიდრე ცხრამეტი წლისა გახდებოდი და გამყიდველად დაიწყებდი მუშაობას უნივერსიტეტში?

ერთი შენი იმდროინდელი გახუნებული ფოტოსურათი მაქვს შემონახული. ლამაზი იყავი, ჯერ კიდევ ახალგაზრდული სახის ნაკვთები გქონდა, თვალებში კი რკინისებური ნებისყოფა და უნდობლობა გეხატა, უნდობლობა მთელი სამყაროს მიმართ, ბაგეზე ღიმილი დაგთამაშებდა, მაგრამ ეს არ იყო ცხრამეტი წლის ქალიშვილის ღიმილი, ეს იყო ცხოვრებაგამოვლილი ქალის სიმწარე-გარეული ღიმილი. შენი თვალები მკაცრად მისჩერებოდნენ ფოტოაპარატის ობიექტივს.

— რატომ ჩამოხვედი, ჟორჟ?

იქნებ ეს სამიოდე სიტყვაა მთელი შენი ცხოვრების ახსნა?

როდესაც მარტონი დაერჩით, თუ მონაზონას იქ ყოფნას არ ჩავთვლით, აღმოჩნდა, რომ არაფერი გქონდა ერთმანეთისათვის სათქმელი. საბანზე დაღებულ შენს გამხდარ ხელს დაუწვდი; ცივი და უსიცოცხლო მეჩვენა იგი.

ნეტავი მართლა თუ გაწბილდებოდი ან თუ გეწყინებოდა, რომ არ ჩამოვსულიყავი?

შენ კარგად იცნობდი იმ ადამიანებს, რომლებიც თავზე გეხვეოდნენ პალატაში ჩემი ჩამოსვლის დროს. იცოდი, რასაც ელოდებოდა თითოეული მათგანი შენგან. ზოგს ფული უნდოდა, ზოგს — ბუფეტი, ზოგს — თეთრეული და ზოგს კიდევ არ ვიცი, რა. იცოდი იმიტომ, რომ არასოდეს არაფერში ცდებოდი, არასოდეს არავისი არ გჯეროდა და რაც თავი მახსოვს, ყველა ადამიანის საქციელში სიცრუისა და პირადი გამორჩენის სურვილის არსებობას ვჭვობდი.

თექვსმეტი წლის არც კი ვიყავი, სენტ-ანდრეს ინსტიტუტში რომ შევედი. შენ კი დარწმუნებული იყავი გატყუებდი. ასე გჯერა ღელასაც. უკანასკნელად ეპაღუნეში მესტუმრე რამდენიმე კვირით; მაშინ უკვე საკმაოდ მოხუცი და დაუძ-

ლურებული იყავი და მინდოდა რომელიმე საუკეთესო კლინიკაში მომე-
თავსებინე.

ეპალენეში სახლის გაყიდვა ორი წელია მინდა, მაგრამ ვერ ვერ მოვა-
ხერხე. ვებერთელა, დიდებული სახლია, მის მოვლას ბევრი ხელი სჭირდება.
შენ მოელ დღეებს ბაღში ატარებდი, არყის ხის მოციავე. სულაც
არ ნაღვლობდი იმაზე, თუ როგორ გაატარებდა სიტყვებს. სულაც
წლებს. სხვა დარდი გავჩენოდა: როგორც კი ვინმე მსახურთაგანს ჩაიგდებდა
ხელში, მაშინვე ეჭვით ეკითხებოდი:

— ამ სახლში ფული მართლა გადახდილია?

ასეთივე ეჭვით იყავი შეპყრობილი ლა რიშარდიერში სტუმრობის დრო-
საც. ამ ნამდვილად სათავადო კარ-მიდამოს ერთ მხარეს ტბა აკრავს, სადაც
იხვები დაცურავენ, მეორე მხარეს კი მოზრდილი ბოსტანი, ტყე და მინდვრებია.
იქაც დროის უმეტეს ნაწილს სუფთა ჰაერზე სავარძელში ჩამჯდარი ატარებდი.
მაშინ მხოლოდ სამი ცხენი მყავდა, რომლებსაც მეჯინიბე უვლიდა, მებაღეც მყა-
ვდა. ერთი სიტყვით, იქაც, 1931 წელს საკმაოდ ბევრი ხალხი მეხვია გარს.

შენ უყურებდი ამ ხალხს, აკვირდებოდი მსახურთა საქმიანობას და ერთ-
ხელ, ბული რომ დაგიმარტოხელდება, ვიკითხავს:

— ჩემს ვაჟს ვალები აქვს?

მთელი ორმოცდაათი წელი ვერ შევძელი დამურწმუნებინე, რომ მე ვმუ-
შაობდი და ამით ვცხოვრობდი. ეს უნდობლობა მხოლოდ ჩემ მიმართ არ
გქონდა, ეს შენი თანდაყოლილი თვისება იყო. პატარა, ხუთი წლის უმამო
გოგონამ, რომელიც მარტოდმარტო ცხოვრობდა დედასთან, დიდობაშიც ვერ
დაიჯერა სასწაულების არსებობა. მაგრამ ძირითადად შენი იჭვნეულობის სა-
განი მაინც მე ვიყავი. რითი იყო ეს გამოწვეული — სიყვარულით თუ შიშით?
შენ ხომ ყოველთვის გეშინოდა, შენი შვილი რაიმე ცუდ საქმეში არ გარეუ-
ლიყო!

მაგრამ, დედა, ამაზე პასუხის გაცემა მხოლოდ შენ შეგიძლია. მე კი მხო-
ლოდ ის შემიძლია, რომ ვივარაუდო, ხოლო სანამდვილის გაგებაში ალბათ
შენს სასთუმალთან გატარებული დღეები დაშეხმარებია.

მე ისევ „დედა“ დაგიძახე „დედიკოს“ მაგივრად, როგორც ვიყავი მიწვე-
ული ბავშვობიდანვე. ძალიან ბევრი რამ მახსოვს ჩემი პატარაობიდან, შეიძ-
ლება ბევრად უფრო მეტი, ვიდრე სხვებს. რამდენადაც ჩემს მახსოვრობას ზოგ-
ჯერ არ შესწევს უნარი გაიხსენოს ლამის გუშინდელი ამბები, იმდენად ფო-
ტოგრაფიული სიზუსტით ახსოვს ყოველივე, რაც ჩემი ცხოვრების ადრეულ
ასაკს ეხება.

ახლა ვუფიქრობ, ნეტავი ოდესმე თუ ჩავისვივარ კალთაში; ალბათ, ძალიან
იშვიათად, რადგან არაფერი ამდაგვარი არ შემორჩენია ჩემს მეხსიერებას.
მე რომ „დედიკო“ და „მამიკო“ არ დამიძახია, ეს შენი ბრალი არ არის და
არც შემიძლია ამაზე დაგემდურო. მამას სინაზით აღსავსე გული ჰქონ-
და, მაგრამ როგორც სიმენონებს სჩვევიათ, არასოდეს გამოუმჟღავნებია.

ერთი პატარა ამბავი მახსენდება, რომელიც უმნიშვნელო არ უნდა იყოს:
ერთხელ, რაღაც სევდაშემოწოლილმა მამას უთხარი:

— იცი, დეზირე, ვუფიქრობ და ვერ მომიგონებია, როდისმე თუ ვითქვამს
ჩემთვის „მაყვარხარ“.

მამამ აწყლიანებული თვალებით შემოგხედა და ვიპასუხა:

— კი მაგრამ, შენ ხომ ჩემთან ხარ.

დედა, იქნებ ამანაც გაგამკაცრა, იქნებ ბრულების ქალი სიმენონების სი-

ცივემ დაგჭრა გულში. დედა, მე შევეცდები როგორმე გავიგო ეს და მერე შენც ავიხსნა.

შენთან ცხრაშეტი წელი გავატარე. დეზირესთანაც დაახლოებით ამდენივე. ორივენი ბევრს მუშაობდით. ცხოვრებამ ცოტა სიხარული გარგუნათ წილად. დღეს უკვე ვიცი, რომ მამაკაცი და ქალი, რომელთაც შეიღწებიან ჰყნვით, უბრალო ცოლ-ქმარი არ არიან. არადა, ზოგჯერ მათ ეს აწიწებდნენ. მშობლებს ყოველთვის თან დაჰყვებოდათ შვილების ძხერა, შვილები დედ-მამის ყოველგვარ საქციელს თავიანთი ასაკის შესაბამისი ჭკუა-გონებით აფასებენ. მშობლებს კი ჰგონიათ, რომ ისინი მართლმოდენ დედა და მამა არიან; ცოლ-ქმარი უპირველეს ყოვლისა, ორი პიროვნებაა, რომელთა ყოველ ქცევას, ყოველ სიტყვას მეტად მკაცრი მსაჯული ჰყავს შვილების სახით. ახლა, როდესაც შენი სიკვდილის მერე გწერ წერილს, მეც უკვე მამა ვარ და რა თქმა უნდა, აღარც ისეთი მკაცრი ვარ მშობლების შეფასებაში.

ნეტავი რას ფიქრობდი ასეთი უნდობელი და ეჭვიანი, როცა საათობით შენს საწოლთან ვიჯექი და ჩემდა უნებურად მეტად დაჟინებით შემოგცქეროდი? ალბათ ფიქრობდი:

- ერთი სული აქვს, როდის მოვკვდები, რომ სახლში წავიდეს.
- იქნებ ტუნებზე გამკრთალ ღიმბილსაც სულ სხვა აზრი ჰქონდა:
- როგორც ხელავ, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ.

მთელი ის ხანი ვცდილობდი ამომეცანი, ვცდილობდი გამეგო შენთვის, ვცდილობდი წარმომედგინა პატარა ანრიეტ ბრული, მისი ბავშვობა, რადგან სხვა ვერავინ მომიყვებოდა ამის შესახებ.

შენი ბავშვობიდან ძალიან ცოტა რამ ვიცი, ისიც ალბათ გამონაგონი უფროა, ვიდრე სინამდვილე, შენ ხომ იშვიათად ჰყვებოდი საკუთარ თავზე. იმ დროს კი მიუღებელი იყო, შვილებს რაიმე ეკითხათ თავიანთი მშობლების წარსულზე.

მე კარგად ვიცნობ ფერონსტრეს ქუჩას და მის მიმდებარე პატარა ქუჩებსაც. ვიცი, რომ სადღაც აქ ცხოვრობდით შენ და დედაშენი, გერმანულნარევი ფლამანდიურს ლაპარაკობდით, რაც სიცილს გვრავდა უბნის მედუქნეებს. მამაშენსაც გადმოცემით ვიცნობ. იგი ღიმბურგში არხის მახლობლად მდებარე დიდი მამულის მეპატრონე იყო. ერთხელ, არდადეგების დროს მოვიინახულე იქაურობა, სადაც ახლა ჩემი ბიძაშვილები განაგებენ ყველაფერს. მამაშენი კარჭაპების მფლობელი იყო, რითაც შენ სამართლიანად ამყობდი. მას საგუბარის გასაღებები ებარა, გვალვის დროს მიწებს რწყავდა, ამის გამო იმ მხარეში პატივსაცემ კაცად ითვლებოდა.

არასოდეს გითქვამს, რატომ მიატოვა მამაშენმა ღიმბურგი. შემდეგ ღიევის მახლობლად პერსტალის პეპენის ძველ კოშკში ცხოვრობდით მთელი ოჯახი. მაშინ მამაშენს ოთხი-ხუთი კარჭაპი ჰქონდა, ამავე დროს ხე-ტყის საკმაოდ მსხვილ ვაჭრადაც ითვლებოდა.

მე მამაშენის ფოტოსურათი მაქვს. ენერგიული კაცი იმზირება მკაცრი თვალებით. იგი გერმანელი იყო, პოლანდიის საზღვრის მახლობლად დაბადებული, ცოლადაც პოლანდიელი ქალი ჰყავდა.

რატომ, რისთვის ჩამოვიდა იგი ბელგიაში? რატომ მიჰყო ხელი სმას რომ მოცდაათი წლის ასაკში? არ ვიცი. ერთ საღამოს მთვრალმა ერთ მეგობარს ვექსილზე მოუწერა ხელი, შემდეგ ის მეგობარი ვაკოტრდა და მამაშენმაც მთელი ქონება დაკარგა.

ხუთი წლისა იყავი, როცა ჰერსტალის ძველი ციხე-კოშკი დატოვე. ერთადერთი რაც გამანდე, ეს იყო, რომ თურმე ერთხელ ბატკანი უჩუქებიათ შენთვის, როცა გაზრდილა, არც მაშინ იშორებდი თურმე გვერდიდან.

მინდა ვიცოდე, როგორ ცხოვრობდით ჰერსტალის ციხე-კოშკში, როგორ შემოგვეფანტნენ შენზე ბევრად უფროსი და-ძმანი, მინდა ყველაფერი ეს ვიცოდე, რათა გამიადვილდეს იმ პატარა გოგონას გაცნობა, რომელიც შენდევს დედაჩემი ვახდა. ბევრი რამეა ჩემთვის უცნობი შენს ცხოვრებაში. მე დედაშენის ფოტოსურათიც მაქვს. სწორნაკვებებიანი, ხვიადი გამომეტყველების, ქმარივით მკაცრი შესახედაობის ქალია, გამომწვევად იყურება წინ. ეს ის ქალი იყო, რომელიც კარზე კაკუნის ვაგონებისთანავე ქვაბებს შემოდგამდა ხოლმე ცეცხლზე — აქაოდა, ხალხს ეგონოს, ბევრი საჭმელი გვაქვსო. შენც დედის სიამაფე მოგვგამდა, მაგრამ ეს უფრო თავმდაბლური სიამაფე იყო; ამაყობდი იმით, რომ ღარიბი იყავი, მაგრამ არავის არაფერს სთხოვდი; იმაზე ღარიბად აჩვენებდი ხალხს თავს, ვიდრე სინამდვილეში იყავი. ეს რაღაც გმირობა გეგონა და მეც სამოცდაათორმეტი წლის კაცი ვფიქრობ, რომ მართლაც ასე იყო.

ხშირად მახსენდება შენი ნათქვამი სიტყვები:

— ხედავ, მარია, ჩვენ მხოლოდ ის გვაქვს, რაც ყველაზე აუცილებელია. ეს სიტყვები — „ყველაზე აუცილებელი“ — ბავშვობაში ხშირად ამკვიატებია და მამაჩემის შურაცხყოფად ვიღებდი მათ. მან რომ შეგირთო და ოჯახი შექმნა, ეს იმას ნიშნავდა, რომ უნდა შესძლებოდა კიდევ ოჯახის რჩენა. მაგრამ შენ ხომ ბრულების გვარისა იყავი, ბრულები კი არასოდეს ურიგლებოდნენ საშუალოდ ყოფნას და მით უმეტეს, სიღარიბეს.

ერთ-ერთი შენი ძმა, რომელიც მე მხოლოდ ერთხელ მინახავს ცხოვრებაში, ძალიან მდიდარი იყო, საკუთარი ციხე-კოშკიც ჰქონდა. მამაშენივით ისიც საჭირო კაცი იყო ლიბურგში — სასუქს და თესლეულს ჰყიდდა მემამულეებს, შემდეგ კი მათგან მოსავალს ყიდულობდა.

შენს ძმას გათხოვების მერე აღარ უნახიხარ, ერთხელაც არ დაუდგამს ფეხი ჩვენს ოჯახში. მაგრამ ერთ დღეს, როდესაც მე მუხისფრად გადაღებილ თეთრი ხის ღვამს შევცქეროდი, შენ გამანდე:

— მე და დედაჩემს მამაჩემის დროინდელი რამდენიმე ძველებური ღვამი შემოგვრჩა, ერთხელ მოვიდა ჩემი ძმა და გვითხრა, ეს ავეჯი უკვე მოძველებული და გამოუსადეგარიყო, დაგვპირდა, ახლით შეგიცვლითო.

წაუღია ბიძაჩემს ეს ანტიკვარული ნივთები და მათ ნაცვლად დიდსულოვნად მოუტანია ბაზრის ნაწარმი. შენ მიუხვდი შენს ძმას ეშმაკობას. ახლა ვიცი, რომ ბევრ რამეს ხვდებოდი, რომ სწორედ ჩემთვის უცნობმა არაერთმა ამბავმა ჩამოაყალიბა ჩემი მომავალი დედა.

ვიცქერდი, გაკვირდებოდი, როგორ გეცვლებოდა გამომეტყველება ყოველი ადამიანის შემოსვლაზე; დროდადრო თვალებს ხრიდი, თითქოს გულიდა ყველა ეს მნახველი; ალბათ გულიდა მეც.

შენ თითქმის არც კი იცნობდი მამაშენს, რადგან ხუთი წლისა იყავი, როცა ის მოკვდა, ნეტავ დედასთან რამდენ ხანს დაჰყავი, როდის და რისგან გარდაიცვალა იგი, რამდენი წლისა დაობლდი, ძალიან განიცალე დედის სიკვდილი?

გამაოცა იმ სიტყვიერებამ, რომელიც თქვენი ოჯახის ორ თაობას შორის აღმოვაჩინე. თითოეული ჩვენთავანი ხომ თავისა გუნებით, აღზრდით გარკვეულად დაკავშირებულია მშობლებთან.

საავადმყოფოში გაუნძრევლად მწოლიარეს ალბათ ძალიან გაინტერესებდა, რას ვფიქრობდი შენზე, როდესაც მთელი საათები გვერდით გეჯექი და თვალ-მოუშორებლად გიციქროდი. როგორც უკვე გითხარი, მამაშენის მხლოდ ერთი ფოტოსურათი მაქვს. იგი ჩემთვის დღესაც არაჩვეულებრივ და ილუმინაციით მოცულ პიროვნებად რჩება. შენს სახეზე დიდხანს ვეძებდი მისი სახის ნაკვთებს და ბოლოს აღმოვაჩინე მასავით თხელი, მუდამ მოკუმული ტუჩები, რომლებზეც იშვიათად თუ ვაივლებდა ღიმილი. იქნებ მამას ჰგავდი? ყოველ შემთხვევაში, საოჯახო ალბომში შემონახული ფოტოსურათის მიხედვით დედაშენსა და შენს შორის ვერავითარ მსგავსებას ვერ ვპოულობ, როგორც მე შემიძლია ახლა განესაჯო, დედაშენი თავს დატეხილ სიღარიბეს ურჩად უძალიანდებოდა, მთელ ქვეყანას მშვიდი, ქედმაღალი და ამაყი ზიზღით უყურებდა. შენ კი ყოველთვის ყველას თავს უხრიდი, მორჩილებდი, მაღლობას ეუბნებოდი ყველას, მერძევე იქნებოდა იგი თუ საკუთარი და. მაგრამ ეს მაღლობაც, რომელიც მოგვიანებით მეც მასწავლე, იქნებ შინაგანი სიამაყის გამომხატველი უფრო იყო? მინდოდა მცოდნოდა ყველაფერი, რაც თქვენს ოჯახში მოხდა პაპაჩემის გაკოტრების შემდეგ. პერსტალის კოშკი მაშინ დაინგრა, როცა უკვე საკმაოდ მოზრდილი ვიყავი. ბიძები და დედებიც უკვე მოხუცები იყვნენ, როცა გავიცანი შენ ნაბოლარა იყავი, მაშინ დაიბადე, როცა ამას უკვე აღარავინ ელოდა, დაძმებს შვილად უფრო ერგებოდი, ზოგიერთი დისშვილ-ძმისშვილის თანატოლი იყავი.

გადმოცემით ვიცი, რომ მამაშენი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ბევრს სვამდა, შეიძლება ითქვას, გალოთდა. როგორც უკვე გითხარი, ხშირად დამდგომია თვალწინ, როგორ უწერდა მამაშენი სიმთვრალეში ხელს ვექსილებზე ერთ მნიშვნელოვან პიროვნებას, რომელიც კაფეებში მისი განუყრელი თანამგზავნი იყო. შემდეგ ეს მეგობარი გაკოტრდა და მამაშენიც იძულებული იყო გაეხალღებინა ვექსილები. მე ვიცი, ვინ იყო ის კაცი, პატარაობაში ხშირად დამინახავს, როგორ დაჰქროდნენ ქალაქის ქუჩებში ორცხენშებმული დიდი ოთხთვალეები, რომლებზეც უზარმაზარი თეთრი ასოებით ეწერა მისი გვარი.

მოგვიანებით ერთი საინტერესო დამთხვევა მოხდა, რომლის მოყოლასაც ყოველთვის თავს ვარიდებდი. 1952 წელს აკადემიის მოწვევით ბელგიაში ჩამოვედი. რა თქმა უნდა, ლიეჟშიც გამოვიარე. მაშინ ჯერ კიდევ კონგრესის მოედანთან მიმდებარე უბანში ცხოვრობდი, პატარა სახლში, სადაც ბავშვობა გავატარე.

ლიეჟში ისეთი მიღება მომიწყეს, წარმოდგენაც რომ არ შემეძლო. გამიმართეს ოფიციალური მიღებები, არანაკლებ ოფიციალური საუზმეები და სადილები ქალაქის სასახლეებში. ამ შეხვედრებს შენც ესწრებოდი.

ერთ საღამოს, ჟურნალისტებმა პროგრამით გაუთვალისწინებელ სადილზე წამიყვანეს ამბურვის მახლობლად, სადაც ჩვენ ხშირად გაგვიტარებია არდადეგები. ბრწყინვალე სადილი გამიმართეს უზარმაზარ, მეტად კომფორტაბელურ და შეიძლება ითქვას, საკმაოდ მდიდრულ სახლში. იმ საღამოს ლიუჟელმა ჟურნალისტებმა ოქროთი მოვარაყებული ჩიბუხი მანუქეს, რომელიც მაგიდაზე, თევზის გვერდით დავდე.

სადილის შემდეგ მომიახლოვდა ოჯახის დაასახლისი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, საკმაოდ ლამაზი, ოდნავ სრული ქალი და მითხრა:

— იცით, ბატონო სიმენონ, თქვენი და ჩვენი ოჯახები ძრავალი წელია ერთმანეთს იცნობენ.

რა შეპასუხა, არ ვიცი. მე ხომ მთელი დღეები საუზმეებზე, სადილებზე

ღა მიღებებზე დამატარებდნენ და ახლა, არც კი ვიცოდი, ვინ იყო ჩემი მასპინძელი.

— მე ვარ მ-ის ქალიშვილი... იგი პაპათქვენის მეგობარი იყო.

გაოგნებულმა ხმის დამკვრა ვერ მოვახერხე. კინაღამ ავდექი და იქაურობა მივატოვე. ეს ქალი იმ კაცის შვილი იყო, ვის გამოც მამაშენი გაკოტრდა. ცოტა ხანს კიდევ დავრჩი იქ, შემდეგ კი წამოვედი, თან ხუთი წლის წინ რევეტ ბრულზე ვფიქრობდი. მეორე დღეს შევამჩნიე, რომ ლიეჟელი კოლეგების მიერ ნაჩუქარი ჩიბუხი აღარ მქონდა. ეს ერთ ჩემს მეგობარ ჟურნალისტს გავანდე, რომელიც მაშინვე ძებნას შეუდგა.

ჩიბუხი ძალე იპოვეს. იგი ჩემი მასპინძლის ვაჟიშვილს აღმოაჩნდა თავის ოთახში დამალული. როგორც ხედავ, ჩვენ ორჯერ გაგვიქურდა ერთი და იგივე ოჯახმა.

ჩიბუხი არ იყო აქ მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი იყო ის წლები, შენ რომ ხუთი წლის ასაკიდან განვლე იმ დღემდე, როცა ტანმორჩილი, მორცხვა ქალიშვილი „ინოვასიონში“ მოეწყვე.

არ ვიცი, რამდენ ხანს იცოცხლა მამაშენმა გაკოტრების შემდეგ. მხოლოდ ის ვიცი, რომ კიბოთი გარდაიცვალა. რამდენი წლისანი იყვნენ მამინ შენი და-ძმები? როგორი ურთიერთობა გქონდა მათთან? რატომღაც მგონია, რომ შენ მამინ ბუდიდან გადმოვარდნილ ბარტყს ჰგავდი.

მთელი ოჯახი ხან გერმანულად ლაპარაკობდით, ხან ფლამანდიურად. მამა გერმანელი გყავდათ, დედა — პოლანდიელი.

ფერონსტრეს ქუჩა, ისევე როგორც პიუიტ-ან-სოკის ქუჩა, სადაც მამა-ჩემი დაიბადა, უბრალო ხალხითა და ვაჭრებითაა დასახლებული. წარმომიდგენია, ამ ქუჩის დუქნებში შესვლისას როგორ ჩურჩულებდი პატარა გოგონა აქა-იქ ყურმოკრულ ფრანგულ სიტყვებს.

სად დადიოდი სკოლაში? თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, სადაც არ უნდა გეულო, ყველგან საქილიკო პატარა უცხოელი იქნებოდი. შენთვის უნდა ეთარგმნათ ლამის ყოველი ფრანგული სიტყვა. როდესაც სახლში ბრუნდებოდი დედასთან, ფლამანდიურსა და ფრანგულს ერთმანეთში ურევდი. ამ ნარევ ენაზე ლაპარაკობდი მთელი სიცოცხლე შენს და-ძმებთან, როგორც კი ერთმანეთს შეხვდებოდით, ვერც კი ამჩნევდით, როგორ იწყებდით ამ ენაზე ლაპარაკს. მამაჩემი კი იჯდა კუთხეში და დუმდა, რადგანაც ვერაფერს იგებდა თქვენი ოჯახური საიდუმლოებებიდან.

სიცოცხლის მიწურულს, როდესაც მშვიდად იწევი და სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დაგთამაშებდა, ნეტავ იმ პატკანზე ხომ არ ფიქრობდი, პატარაობაში რომ გყავდა, იქნებ ხეებით დატვირთულ მამაშენის კარჭაებს ხედავდი, არხში რომ დაცურავდნენ, ან იქნებ პერსტალის კოშკის გარშემო დაგროვილი შეშა გელანდებოდა? ასეთ რამეებზე არასოდეს ლაპარაკობდი, იქნებ საავადმყოფოს ლოგინში მწოლი იმ შორეულ ზმანებებს ხედავდი, მართო შენ რომ გეკუთვნოდა.

შენი და-ძმები ამქვეყნად აღარ არიან; ისინი შენზე ბევრად უფროსები იყვნენ, შენ კი უკვე ოთხმოცდათერთმეტი წლისა ხარ. ნაბოლარამ ბოლომდე გაუძლო ცხოვრებას. გასაკვირი კი ის არის, რომ როცა შენი და-ძმების ოჯახები

იშლებოდნენ, ისინი შენთან აფარებდნენ თავს. ყველა აქეთ მოისწრაფოდა წყალგაღმიდან. ლიეჟში უტრემეზის უბანი ცნობილია როგორც უბრალო ხალხის უბანი ანუ ღარიბთა უბანი. შენი და-ძმები ერთმანეთის მიყოლებით მაინც აქეთ მოდიოდნენ სახლის საყიდლად ან დასაქირავებლად, რომ შენთან უფრო ახლოს ყოფილიყვნენ. მე არ მინდა ვთქვა, რომ ამით განგება შეურს უძეგბდა მათზე. მაგრამ შენ აღბათ ასე ფიქრობდი გულის სიღრმეში, რადგან სწორედ ეს და-ძმანი იყვნენ „კატის არჩივს“ რომ გეაზხდნენ და მერე როდის? გარდატეხის ასაკში, როცა ძალიან გახდი, ხერვები უაღრესად დაძაბული გქონდა და უმიზეზოდ ტიროდი ხოლმე.

ამ „კატის არჩივმა“ კი ისინი ყველანი წინ გაიმძღვარა.

გწერ და ვფიქრობ, იმ დროს, როდესაც ერთმანეთს უსიტყვოდ, თითქმის თვალმოუშორებლად ვუყურებდით, ნეტავ ზოგჯერ მაინც თუ ვფიქრობდით ერთი და იგივე რამეზე. ერთი ამბავი გამახსენდა, რომლის მოგონებისას ყოველთვის სინდისის ქენჯნას ვგრძნობ. ისე კი, უნდა გითხრა, რომ ჩემს ცხოვრებაში იშვიათად მომხდარა ისეთი რამ, რის გამოც მერე სირცხვილს შევუწუხებივარ.

ეს იყო 1952 წელს ლიეჟში. იქ ყოფნისას თან მახლდა ჩემი მეორე ცოლი რომელიც რატომღაც ყოველთვის ცდილობდა, რაც შეიძლება დიდი ადგილი დაეკავებინა ჩემ გვერდით და ყველაფერში მთავარი როლი ეთამაშა. ქალაქის ბურგომისტრმა და მუნიციპალიტეტის მესვეურებმა შესანიშნავი მიღება მოგვიწყეს. დიდი სადილიც გაგვიმართეს ასემბურგის მუზეუმში. ეს უძველესი სასახლე, რომელიც ოდესღაც კეთილშობილ პატრიცს ეკუთვნოდა, თავისი პირვანდელი სახით არის შემორჩენილი. არაფერი არ არის იქ შეცვლილი, არც ავეჯი, არც სურათები, არც ხალიჩები, არც სამშვენისები. უზარმაზარი სასადილო დარბაზის გვერდით, პატარა ოთახში კამერული ორკესტრი უკრავდა სეზარ ფრანკის, გრეტრის, მოცარტის ნაწარმოებებს.

ის ამბავი მანამდე მოხდა, სანამ ორკესტრი დაკვრას დაიწყებდა. შენ დაინახე ჩემი სკამის მარჯვნივ მდგარ სკამზე მიკრული პატარა მუყაოს ფირფიტა, რომელზეც შენი სახელი ეწერა. უცებ დ-მ ხელი სტაცა ამ ფირფიტას და მბრძანებლურად მოვმართა:

— აქეთ მობრძანდით, ღედა.

და წავიყვანა იმ ადგილისაკენ, რომელიც მისთვის იყო განკუთვნილი. ჩემს ხეებმაც თუ შეამჩნიეს ეს? აუცილებლად შეამჩნევდნენ. მე კი იმდენი გამბედაობაც არ აღმომაჩნდა, რაღაც მეღონა. სუფრასთან ისე მრცხვენოდა საკუთარი თავისა, რომ არც მუსიკა მესმოდა და არც ჩემი მისამართით წარმოთქმული სიტყვები. ეს ამბავი ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდად მოსაგონარი ამბავია.

ამის გასაქარწყლებლად ერთი სასაცილო ამბავი მინდა გავიხსენო, რომელიც აგრეთვე იმ ხანებში მოხდა. მინდა მოგაგონო ქალაქის ერთ-ერთ დიდ ლუდხანაში გამართული სადილი. ჩემმა კოლეგა ჟურნალისტებმა, რომლებთანაც მე ადრე ვმუშაობდი, ჩემი დროის უმეტესი ნაწილი ოფიციალურ პირებს დაუთმეს. მთხოვეს მხოლოდ ერთი საღამო გამეტარებინა მათთან. ამ ლუდხანაში გულთბილ, ყოვლად უპრეტენზიო საღამოზე მეპატივებოდნენ.

ოდონდ მარჩიეს, თან არ წამყვანე, რადგან ეს თავშეყრა ოფიციალური არ იქნებოდა და შესაძლოა ისეთი მხიარულებით დამთავრებულიყო, რაც შენ-

თვის გაუგებარი იქნებოდა. მეც ვაცნობე, რომ ამ საღამოს მიპატივებული არ იყავი.

შენ ყოველთვის შეშფოთებით უყურებდი ყველაფერს, რაც კი შეგე ხებებოდა. ზოგჯერ ჩემზე გამჭრიახი იყავი, უფრო ხშირად კი ცდებოდი.

მაშინაც, მახსოვს, როგორ გააქნიე თავი და ნაწყენმა შემხარა:

— ღმერთო ჩემო, ფორე, თავს გაუფრთხილდი, რაიმე შენმა მსგავსმა გაგხვიონ! რა თქმა უნდა, იქ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა.

ამ შენმა იტყუებულობამ ჩემ მიმართ, რომელსაც ლამის პატარაობიდანვე ვერძნობდი და რომელიც ვერაფრით ვერ ამეხსნა, ერთგვარი ბარიერი აღმართა ჩვენს შორის. ყოველთვის გეგონა, რომ რაღაცას ვაშაყებდი. თუ ჩემზე სამი წლით პატარა ძმა კრისტიანი ატირებოდა, შეგე მატრალელებდი:

— დაუშავე რამე?

არადა, ამ დროს საერთოდ გაკარებულიც არ ვიყავი კრისტიანს, არც კი ვიცოდი ხოლმე, რაზე ტიროდა. ახლა იმასაც კი ვფიქრობ, ალბათ ოჯახში უნდა ყოფილიყო ერთი ვინმე, ვისაც ყველაფერს დააბრალებდნენ და ეს „ვინმე“ შეგე ვიყავი.

მაგრამ ამის გამო სულაც არა ვარ შენზე ნაწყენი — თუმცა ხანდახან მართლა ვბრაზდებოდი. 1942 წელს დაწერილ „Pedigree“-ში ელიზას პროტოტიპად შენ მყავდი. ახლა ვხედე, რომ ის პორტრეტი, რომელსაც ასე გულდასმით ვქმნიდი, სულაც არ იყო ზუსტი.

ვერილებოდა მის გამოქვეყნებას, თითქმის ათი წელი უჯრაში მქონდა ჩაკეტილი, მეშინოდა არ გამენაწყენებინე. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვაქვეყნე. მაგრამ ძალიან გამიკვირდა, როცა შენი მეზობლებისაგან შევიტყვე, რომ შენ თურმე ქუჩაში ყველას ხმამაღლა აკითხებდი ამ მოთხრობას, წერილებსაც კი ქვემოთ ანრიეტას ნაცვლად ელიზას აწერდი.

რაც ყველაზე ძალიან მესიამოვნა ის იყო, რომ თურმე ლიეჟში ჩემი ჩამოსვლის მერე, ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლები, მერი იქნებოდა ის თუ გუბერნატორი, არა მარტო ყველა ოფიციალურ ცერემონიაზე და საღილზე გიწვევდნენ, არამედ მანქანასაც კი გთავაზობდნენ წასაყვანად.

შენ ხედავ, რომ ჩემმა მეხსიერებამ ცუდი მოგონებებიც შემოინახა და კარგიც, როგორც საერთოდ ყველას მოგონებებშია ხოლმე. ბავიერის საავადმყოფოს პალატაში შეიძლება იმასაც კი ფიქრობდი, რომ სინამდვილეში არც ისეთი „ცუდი“ ვიყავი, როგორიც გეგონა.

ლიეჟიდან რომ გავემგზავრე, ცოტა ხნის მერე შეერთებულ შტატებში, კონკტიკუტში მიგიწვიე ხანგრძლივი დროით. იქ უზარმაზარი სახლ-კარი მაქვს და ცოტა არ იყოს მეშინოდა, როგორ შეხედებოდი ამ ამბავს — შენ ზომ ყოველთვის შიში ვიპყრობდა, როცა ჩემთან რაიმე ფუფუნებას შეამჩნევდი.

საერთაშორისო აეროპორტში მოვედი დასახვედრად, გავოცდი, როცა დარიბულად ჩაცმული დაგინახე, რადგან დანამდვილებით ვიცოდი, რომ ერთმა ჩვენმა ნათესავმა, რომელიც მოღვაწის ძრავალი სახლის მფლობელი იყო, კარადა ტანსაცმლით ავივსო.

მერე, სახლში რომ მივედი, გკითხე, სხვა ტანსაცმელი თუ გაქვს-მეთქი: რაღაც გამომწვევად მიპასუხე — არაო. ამ გამომწვევი კილოს არსს მხოლოდ ახლა ვიგებ, და, რაღა დაგიძალო, ვიწონებ კადეც.

ფერონსტრესქუჩელი ნაბოლარა, „ინოვაციონის“ გამყიდველი, რომელსაც თავისი გამდიდრებული ძმები არახოდეს ეხმარებოდნენ, ინსტიტუტურად ილაშქრებდა ყოველგვარი ფუფუნების წინააღმდეგ.

- ხედავ, ჩემო საწყალო მარია, მე ხომ მხოლოდ ის მაქვს, რაც ყველაზე აუცილებელია...

ბოლომდე ასე იცხოვრე. ნიუ-იორკში წაგიყვანე და კაბები ვიყიდე, სწორედ მაშინ მოხდა ერთი პატარა ტრაგიკომიკური ამბავი, მაგრამ თუ კარგად ჩავუფიქრდებით, უფრო ტრაგიკული, ვიდრე კომიკური.

ჩემს მეუღლე დ.-ს ჩვევად ჰქონდა გაეჩხრიკა სხვისი უჯრეტები და ნივთები. მან აღმოაჩინა, რომ შენ მხოლოდ ერთი ძველი, დახეული კორსეტი გქონდა. დ.-მ დაუკითხავად გიყიდა ახალი კორსეტი, ძველი კი სანაგვე ყუთში გადააგდო.

წარმოიდგინე ჩემი მეუღლის გაკვირვება, როცა მეორე დღეს ეს კორსეტი კვლავ იხილა. შენ თურმე ღამე ამდგარხარ, შემოგიბრებნია ეს მიხვეულ-მოხვეული კორიდორები, ღმერთმა იცის, როგორ გაგიღია კარი და პატარა თავისასავით გაჰყოლიხარ კედლებს, სანამ სანაგვე ყუთი არ გიპოვია. მეორე დღეს არც ერთს არაფერი არ ვითქვამთ. გაჯიუტებულმა დ.-მ ისევ გადააგდო კორსეტი. მაგრამ შენ არც ამჯერად დაუთმე.

ეს უკვე ბრძოლა იყო, ბრძოლა ორ ქალს შორის, ორ სურვილს შორის. ერთი მხრივ დ, ქედმაღალი, აგრესიული, სასტიკი ქალი და მეორე მხრივ, ღიეჟიდან ჩამოსული პატარა ქალი თავისი ძველმანით, ქალი, რომელიც თითქოს აცხადებდა:

- თქვენ მე მომიწვიეთ, გინდოდათ ჩამოესულიყავი. კეთილი, მაგრამ უნდა მიმიღოთ ისეთი, როგორიც ვარ, სულაც არ მეხატება გულზე თქვენი მდიდრული მანერები.

ნეტავი შემდეგ კიდევ თუ გიფიქრია ამ ამბავზე, დედა? მე კი ვიფიქრე ამაზეც და კიდევ სხვა ბევრ რამეზეც, რასაც მერე შენც ავიხსნი.

მოგიყვები ყველაფერს, რაც წლების განმავლობაში არ წამლილა ჩემს მეხსიერებაში.

როდესაც ოთახში მარტო ხარ მეორე ადამიანთან, რომელიც მომაკვდავია და რამდენიმე დღის სიცოცხლეა დარჩენია, ბევრ რამეს ჩაეკითხები საკუთარ თავს და მთელი გულწრფელობით, მიუკიბ-მოუკიბავად გასცემ პასუხს მრავალ კითხვაზე.

უამრავი ხალხი მოდის შენ სანახავად, მაგრამ ჩვენ ვერც მათ მოსვლას ვამჩნევთ და ვერც წასვლას. ისინი ისე ფეხაკრეფით შემოდიან, ვერც კი ვივებთ. თუ იპოვეს სადმე ჩამოსაჯდომი ადგილი, დასხდებიან, თუ არადა, ფეხზე დგანან მთელი საათები; უეჭველია, სიკვდილის მოსვლას ელოდებიან. მხოლოდ მონაზონი ზის გახვევებული, ცვილისაგან ჩამოსხმული გეგონება, კალთაში ყავისფერი, ძალზე მსხვილ მარცვლებიანი კრიალოსანი უღევს. ის რას ელოდება, არ ვიცი, ალბათ იმას, რასაც სხვები.

ყველაზე ხშირად შენ სანახავად ერთი შორეული ნათესავი, ჩასუქებული კაცი მოდის. ადრე მან ერთი-ორჯერ წერილი მომწერა, სადაც მოხოვდა, მისი ოჯახისათვის სახლი მეყიდა ღიეჟის მახლობლად. მე შენთვის არ მითქვამს ეს, მაგრამ ვიცი, რომ ხვდებოდი.

ძირითადად კი ჩვენ ორნი ვართ ერთმანეთის პირისპირ. შენ ოთხმოცდათერთმეტი წლის ხარ, მაგრამ ჩემთვის ჯერ არ დაბერებულხარ, ყოველთვის ასეთი თხელი სახე, მკრთალი ფერი და მაგრად მოკუმული ტუჩები გქონდა.

მეც უკვე სამოცდაათს გადავაბიჯე. უკვე ორმოცდაათი წელია, ცალ-

ცალკე ვცხოვრობთ, არ ვიცი, როგორ იყავი ამ პერიოდში, ისევე როგორც ძალიან ცოტა რამ ვიცი შენი ცხოვრების ადრეულ ხანაზე.

როგორ მოხდა, რომ შენ, ოჯახის ნაბოლარას გაქვს საოჯახო ალბომი? ნუთუ შენს და-ძმებს არასოდეს მოუნდომებიათ მისი წართმევა? თუ ისიც ისეთივე სიჯიუტით მოიპოვე, როგორც დანარჩენი ყველაფერი რაც ცხოვრებაში გავაჩნია?

ეს არის დიდი, მწვანე ტყავადაკრული ალბომი მხოლოდ ერთი კუთხეებით, გარეკანზეც მოქროვილი ყვავილი ახატია.

მრავალჯერ მიკითხავს შენთვის, ვინ იყვნენ ალბომში ჩაკრულ სურათებზე აღბეჭდილი ადამიანები. იმ დროს ფოტოგრაფია ნაკლებად იყო გავრცელებული. წახვიდოდი ფოტოგრაფთან, რომელიც შავ ნაჭერს გადაიფარებდა თავზე, გაასწორებდა ობიექტივს და გადაგიღებდა სურათს. საერთოდ, სურათის გადასაღებად მხოლოდ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევის გამო მიდიოდნენ.

ალბომში საპატიო ადგილზე დევს შენი ძმობლების სურათები. აქვეა აგრეთვე შენი დებისა და სიძეების სურათები, რომლებიც მე მხოლოდ პატარაობაში მინახავს.

მაგრამ იქ მრავალი ისეთი ვინმეს სურათებაცაა, ვინც ჩემთვის უცნობია. ნეტავი თვითონ თუ იცოდი, ვინ იყვნენ ისინი? ერთი ფოტოდან ჩემთვის დღემდე უცნობი, არაბუნებრივად გაშეშებული, უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი იმზირება მკაცრად. არც ეს კაცი მეცნობა, რომელიც ჩემი აზრით, ერთ-ერთი გერმანული რელიგიური სექტის წევრი უნდა იყოს. მე არც კაიზერის ოფიცრის მუნდირში გამოწყობილ ახალგაზრდა კაცს ვიცნობ, რომელიც ალბათ რომელიმე შენი ძმია. მაგრამ ახლა, როდესაც ვიყურებ, მათზე კი არა, ერთ ფოტოსურათზე ვფიქრობ. მასზე გამოსახულია ჯერ კიდევ ყმაწვილი ქალი, რომელსაც კოჭებამდე სცემს შავი სამგლოვიარო კაბა.

ეს ვოგონა შენა ხარ. არც ის ვიცი, რამდენი წლის იყავი მაშინ და არც ის, თუ ვისზე გეცვა შავები. ნეტავი შენ თუ იცი? იმ დროს დიდი სიკვდილიანობა იყო თქვენს ოჯახში. ამიტომაც შენ და შენს დებს სამგლოვიარო უკუალით უფრო ხშირად გხედავდით, ვიდრე სხვა ფერის კაბებში ჩაცმულებს.

ზოგჯერ მგონია, რომ ჩვენ ორნი — შენ ლოგინში მწოლიარე, მე სკამზე მოუხერხებლად მჯდომი — რაღაც უცნაურ თამაშს ვთამაშობთ.

შენ იცი, რომ უნდა მოკვდე. ჩემმა მეგობარმა ორბანმა არ დაგიძალა სიმართლე და ძალიან კარგადაც მოიქცა. თუმცა შენთვის რაიმეს დამალვა ხომ ყოველთვის შეუძლებელი იყო.

შენ, თითქმის მოწყვეტილი სამყაროსა და ადამიანებს, ჩვენ — ამ ქვეყნის მკვიდრთ — ერთგვარი ირონიითა და სიბრაღულით ვვიყურებ, იმიტომ რომ ჩვენ ჯერ კიდევ წინ გვიდევს ვის მეტი, ვის ნაკლები გზა და როგორი იქნება იგი, ამის შესახებ წინასწარ არაფერი ვიცი. შენ კი იცი და ამით დგახარ ჩვენზე მაღლა. იქნებ სწორედ ეს არის იმ ღიმილის მიზეზი, ხანდახან რომ გამოკრთება ხოლმე შენს ტუჩებზე.

მაშინ ალბათ ჩვიდმეტი წლისა იყავი, ან თვრამეტის. ყოველ შემთხვევაში, მე ამ ხნისა მგონია სურათიდან მომზირალი მგლოვიარე ქალიშვილი. სახეზე ჯერ კიდევ ბავშვური გამომეტყველება გაქვს შერჩენილი.

ეს ის დრო იყო, როცა ლიეჟის ერთ-ერთ მთავარ უნივერსიტეტში „ინოვაციონში“ მიხვედი. ჩემთვის ხშირად მოგიყოლია, რა თავდაჯერებულად და

ერთგვარად გამოძწევალაც კი წარსდექი მაღაზიის დირექტორის — ბატონი ბერნეიმის წინაშე. ხედავ, მე მისი გვარიც კი მახსოვს. ბატონი ბერნეიმი! სწორედ მან განსაზღვრა შენი ცხოვრების პირველი ეტაპის დასასრული რადგან მეორე დღიდან უკვე დახლში იდექი.

როცა პატარა ვიყავი, ხშირად მიგყავდი ხოლმე „ინოვასიონში“; შენ თითქმის ყველა გამყიდველს იცნობდი, სექციიდან სექციაში შედილობდა და ყველას და შენს ამბებს უყვებოდი.

ეს ამბები ალბათ სასიხარულო არ უნდა ყოფილიყო, რადგან მათ მოყოლას ყოველთვის ცრემლები მოჰყვებოდა ხოლმე.

ძალიან მინდა მქონდეს შენა ბავშვობისდროინდელი სურათი, იმდროინდელი, მაშა რომ ახალი გარდაცვლილი გყავდა და დედასთან ერთად ფერონსტრეს ქუჩის მახლობლად ცხოვრობდი. მაგრამ იმდროინდელი სურათი ალბომში არ შემხვედრია. შენი ცხოვრების ამ პერიოდზე თითქმის არაფერი ვიცი, მე კი ზუსტად ეს მაინტერესებს.

მაგრამ შემიძლია ზოგი რამ უკვე თვითონ ვივარაუდო. შენ პატარა, მაგრამ უკვე ძალიან მგრძნობიარე და აღვზნებული გოგონა იყავი. მიუხედავად ამისა, რაღაც სასწაულით მაინც შეგვიძლო წინასწარობისა და ნებისყოფის შენარჩუნება.

მთელი სიცოცხლე იმას აკეთებდი, რაც გინდოდა, და ახლა, როცა საავადმყოფოში წევხარ, საწოლზე, რომელიც ალბათ შენი სასიკვდილო სარეცელი იქნება, დარწმუნებული ვარ, აღსასრულის დღესაც თვითონ ამოირჩევ. ეს შენ შეგიძლია.

კიდევ ერთი ამბავია ჩემთვის იდუმალებით მოცული: როგორ შეხვდით ერთმანეთს შენ და მამაჩემი? შენ და ვალერი, შენსავით ტანმორჩილი, მაგრამ უსახური გოგონა, „ინოვასიონის“ ერთ სექციაში მუშაობდით. დიდი მეგობრები იყავით. როდესაც მაღალი დეზირე თქვენი ვიტრინების წინ ჩაივლიდა, შენ ან ვალერი ალბათ ამბობდით:

— რა ლამაზად დადის!

მამაჩემი გამხდარი კაცი იყო, სიმაღლით მეტრი და 85 სმ, ლამაზი, გამოზომილი ნაბიჯებით დადიოდა.

იქნებ ამ ვიტრინაში ცქერისას გაიბა თქვენ შორის უხილავი ძაფები და დაიბადა ის, რასაც მერე სიყვარული დაერქვა? მშობლები ჩემს პატარაობაში და არც შემდეგ, როცა გავიზარდე, ასეთ ამბებზე არ ლაპარაკობდნენ.

ყოველ დღით, ერთი და იმავე საათზე, დეზირე პუიტ-ან-სოკის ქუჩაზე შეივლიდა დედამისის სანახავად და მერე ლამის ანგარიშმიუცემლად მიემართებოდა კანტორისაკენ, რომელიც გიემენის სადგურის ახლოს მდებარეობდა. იგი საკმაოდ მნიშვნელოვან თანამდებობაზე მუშაობდა დაზღვევის კანტორაში, რადგან თანამშრომლებიდან მხოლოდ მას ჰქონდა კოლეჯი დამთავრებული.

საუზმის შემდეგ სამსახურში მიმავალი დეზირე იქნებ განგებ იგრძელებდა გზას, რომ „ინოვასიონის“ ვიტრინებს მიღმა შენთვის მოეკრა თვალი? იქნებ უკვე შემჩნეული ჰყავდი? იქნებ უკვე უყვარდა პატარა, ქერათმიანი ქალიშვილი?

არც ეს არ ვიცი. ნუთუ მაინცდამაინც სამოცდაათი წლისათვის უნდა ვადამებიჯებინა, რომ მიემხვდარიყავი; ჩემი წარსული, შენი წარსული და მამაჩემის წარსული, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში, ჯერ კიდევ თეთრი კედელივითაა ჩემ წინ აღმართული?

ალბომში ხან მოლიანი სილუეტი გამოჩნდება, ხან ნაცნობი და უფრო ხშირად უცნობი სახეები. აქა-იქ მიწერილ სიტყვებსაც ვაკვებ თავს.

შენი დებიდან ორნი შენსავით ნერვიულები და მგრძობიარენი ყოფილან, მაგრამ არც მთლად ზღვარგადასულები, და მაინც ერთი მათგანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გარდაიცვალა, მეორე კი ორმოცი წლის ასაკში გლოთობამ მოკლა.

შენ მეტისმეტად მგრძობიარე იყავი. ეს თვასება მხოლოდ მე როდი გამოძევა შენგან. ბავშვობაში და სიყმაწვილეში მთვარეული ვიყავი. ერთხელ თურმე ბამბაზის თეთრპერანგიანი ღაგიჭერივართ ღამით ქუჩის კუთხეში. ექიმმა გირჩიათ ჩემი ოთახის ფანჯრებისათვის გასოსები გაგეკეთებინათ. სანამ ლიეჟიდან წამოვიდოდი, ჩემი ოთახი ციხესავით იყო გასოსებში ჩასმული.

მე ახლაც მეძარბება ასეთი რამ, რაც ჩემი ასაკის ადამიანებში საკმაოდ იშვიათია. ჩემი ორი ვაჟიც მთვარეულია, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დედის შვილები არიან. ასევე მთვარეულია ჩემი შვილიშვილიც. ნუთუ შენგან მოგვლგამს ეს? ალბათ ასეა. მამაჩემი მშვიდი კაცი იყო, არასოდეს მინახავს იგი გაღიზიანებული და აღვზნებული. სამთვარიო ფერონსტრესქუჩელი პატარა გოგონასაგან გამოძევა. სწორედ ამიტომ შემოვცქერო დაჟინებით და კითხვით აღსავსე თავლებით.

იქნებ სწორედ საკუთარ ბუნებას ეწინააღმდეგებოდი, როცა ცდილობდი, რაღაც არ უნდა დაგჯდომოდა სიმშვილე მოგებოვებინა?

მოხუცებულობის პენსიები და სოციალური დახლევვა მაშინ არ არსებობდა. ერთი უბრალო ავადმყოფობა შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო ოჯახისათვის. საბრალო დეზირეს კი ისეთი სამსახური ჰქონდა, რომ არავითარი პენსიისა და სტაბილურობის გარანტიის იმედი არ უნდა ჰქონოდა. ხშირად, როცა ბოღმა მოგაწვებოდა ხოლმე, დეზირეს საყვედურობდი:

— იმის გაფიქრებაც კი არ მინდა, რომ დახლვეული არ ხარ.

დეზირე ხმას ვერ იღებდა, გვერდზე გაიხედავდა ხოლმე. ან კი რას ვიპასუხებდა?

ეს ამბავი მერე შევიტყვე მისი ექიმისაგან, როცა დეზირე ორმოცდაოთხი წლისა გარდაიცვალა გულის მანკით. ოცდახუთი წლისა ის უკვე ავადმყოფი იყო და არც ერთი სადაზლვევო კომპანიისათვის, მათ შორის იმ კომპანიისათვის, სადაც თვითონ მუშაობდა, ის ხელსაყრელ კლიენტად არ ითვლებოდა.

შენს საყვედურზე კი ხმა არ ამოუღია არასოდეს. მაგრამ არ შემიძლია ამის გამო დაგემდურო. მომავალში მისაბამ პიროვნებად არასოდეს მისახავდი დეზირეს. მაგალითად ყოველთვის ვინმე ბატონ რეკულეს მისახელებდი. არ ვიცი, როგორ და საიდან გახდა იგი ჩვენი ოჯახის მეგობარი.

ბატონი რეკულე უკვე სამოცს იყო გადაცილებული, აღარ მუშაობდა — პენსიაზე იყო. ადრე ჩრდილოეთ ბელგიის რკინიგზების კომპანიაში მსახურობდა, სადაც პენსია უკვე არსებობდა. მუდამ მომღიმარი ბატონი რეკულე თავდაჯერებული იერით სეირნობდა ქალაქში, ამაყობდა სამსახურში გატარებული წლებით. არც ცოლის მომავალი არ ადარდებდა — იგი ხომ პენსიას მიიღებდა მისი სიკვდილის შემდეგ.

დედა, როგორც ხედავ, ბავშვებს თურმე ყველაფერი ესმით და ყველაფერს აკვირდებიან. მამაჩემის ავადმყოფობის გამო და უფრო კი იმიტომ, რომ მას პენსია არ ჰქონდა, ყოველთვის ჩამჩინებდი სამსახურში შევსულიყავი,

წოდებით ბელგიის ან სხვა რომელიმე მისი მსგავსი კომპანიის კანტორაში დამუშავო მუშაობა,

შეძიძლია კი ამის გამო ნაწყენი ვიყო შენზე?

ახლახან ფიქრებით შევაყსე კიდევ ერთი ჩემთვის უცნობი ფურცელი შენი ახალგაზრდობიდან. ხანდახან როცა ვიყურებ, ვფიქრობ, ნეტავნა მოსამკვლავები თუ დასტირიაან-მეთქი საკუთარ თავს, და თუ ეს ასეა, ნეტავნა შენ თუ დასტირია ხოლმე.

სწორედ ცრემლებმა ამიშალეს ერთი მოვონება.

ერთი შენი დაი მდიდარ მედუქნეზე იყო გათხოვილი. ძალიან ლამაზი ქალი იყო, ბოლოს ღოთობისაგან მოკვდა. ორი შვილი ჰყავდა: უფროსი — ბიჭი, უმცროსი — გოგო.

დედა რომ მოგიკვდა, ამ შენმა დამ და სიძემ თავიანთთან წავიყვანეს, მაგრამ წავიყვანეს არა როგორც და, არამედ როგორც ბავშვების ძიძა. სუფრასთან თავიანთ გვერდით არ გსვამდნენ, სამხარულოში ორ-სამ სხვა მოსამსახურესთან ერთად სადილობდა. როცა ბავშვებისაგან თავისუფალი დრო დაგრჩებოდა, მაშინვე სხვა საქმეს გაგიჩენდნენ ხოლმე.

ეს ამბავი ცრემლებმა იმითომ გამახსენა, რომ ერთხელ შენ თვითონ თქვი: რასაც მაშინ უტიროდი, იმდენი ჩემს სიცოცხლეში არ მიტირიაო. შენი სიძე უხეში კაცი იყო, შენი და კი ხან ყველაზე გულთბილი და ალერსიანი ქალი იყო, ხან კიდევ — ყველაზე ავი და ღვარძლიანი. მე იგი ძალიან კარგად მახსოვს. მათი მალაზია დიდი შენობის პირველ სართულზე იყო მოთავსებული. აქ ყიდულობდნენ სურსათს ბაზრის გამყიდველი ქალები და წვრილ-წვრილი მედუქნეები. როდესაც მათთან მიხვიდოდი, მაშინვე შეატყობდი, რა ხასიათზე იყო შენი და.

ხან შენი წინააღმდეგობის მიუხედავად, ძალით გაგიტყენიდა ხოლმე ჩანთას სარდინითა და სხვადასხვა კონსერვებით, ხან კიდევ გესლიანად შეგეკითხებოდა: — ისევ მოხვედი, მათხოვარო?

წარმომიდგენია, როგორ ცხოვრობდი მათთან პატარა თხუპნია გოგო, ალბათ სიტყვის შებრუნებასაც კი ვერ ბედავდი და მჯერა, რომ მართლაც ბევრი სატირალი გექნებოდა.

ნეტავი როგორ გეყო გამბედაობა, რომ მათგან გაქცეულიყავი და მარტოს გეცხოვრა? სად ათეუდი ღამეს? ვინ გირჩია, რომ ბატონ ბერნიმთან მისულიყავი სამუშაოს სათხოვნელად?

ხომ ხედავ, ასე გაჩუქებულები რომ არ ვისხდეთ, რამდენი რამ მექნებოდა შენთვის შესაკითხი. იქნებ ჩემთვის კარგად ნაცნობ ვალერიისთან და დედამისთან ცხოვრობდი? ისინი გარეგნულად მახინჯ ქონდრისკაცებს ჰგავდნენ, მაგრამ შენი სიტყვებით რომ ვთქვა, მკერდში გულის მაგავრად ოქრო ედით.

ღეზირე, როგორც ყველა მოსამსახურე იმ დროს, ცილინდრს იხურავდა. შენგან გამიგონია, რა ლამაზი სიარული იცოდა, ისიც შენგან ვიცი, რა მოხდენილად იხდიდა ცილინდრს მისალმებისას.

ერთ საღამოს, ალბათ როდესაც შენ და ვალერი მალაზიიდან გამოხვედი, ღეზირემ მოიკრიბა გამბედაობა, დაგეწიათ და ქუდის მოხდით მოგესალმათ ნეტავი რა სიტყვები წაიბუტბუტა, ის ხომ ძალიან მორცხვი იყო.

ღეზირე საქველმოქმედო საზოგადოების დრამატული ჯგუფის წევრი იყო. მაგრამ არახიდეს სცენაზე არ გამოსულა, სუფლითობას სჯერდებოდა.

როგორ გაბედა ასეთმა მორცხვმა კაცმა თქვენთან მოსვლა, იმ დროს ხომ მიუღებელი იყო ქუჩაში ქალს ადევნებოდა ვინმე.

რამდენ ხანს იყავით დანიშნულები?

ღეზირეს მაღალი კაცი ეთქმოდა, 1 მ. 85 სმ. იყო, შენ კი მასზე ბევრად დაბალი იყავი, 1 მ 60 სმ-ზე დაბალი. ალბათ გაძნელებოდათ მკლავგაყრილი სიარული.

შენ ღეზირე იმ დას გააცანი, ვისაც ბავშვებს უზრდიდი. დამ და სიმემ არ გირჩიეს გაყოლოდი უბრალო მოსამსახურეს, რომელსაც არავითარი მომავალი არ გააჩნდა. მაშაჩემმა კი თავის მშობლებს გააცნო შენი თავი. პუიტან-სოკის ქუჩაზე, ქუდების მაღაზიის უკან მცხოვრები მთელი სიმენონების საგვარეულო აღდგა მორცხვი ფლამანდიელი გოგონას წინააღმდეგ.

ოჯახში არაეინ ჰყავდათ ფლამანდიელი. შენც ფლამანდიელი, უფრო სწორად, პოლანდიელი მხოლოდ დედით იყავი, რომლის მშობლები უზაზმაზარი ფერმის მფლობელები იყვნენ პოლანდიის ლიმბურგში. ამაყი, მდიდარი ხალხი იყო, მაგრამ შენთვის არაფერი გამოუმეტებიათ, მხოლოდ ერთი მუხისფრად გადაღებილი თეთრი ხის კომოდი მოგცეს, რომელიც წელან უკვე გავიხსენე.

სად დადიოდით შენ და ღეზირე კვირაობით? თეატრში ალბათ არა, კინო იმ დროს არ არსებობდა. მაშაჩემს კაფეში ფეხს ვერ შეადგმევინებდი, მხოლოდ კვირაობით თუ შეივლიდა ბანქოს სათამაშოდ. ალბათ ავრუას პარკში სეირნობდით, სადაც მოგვიანებით მეც დაგყავდით. მე იმ პარკს იხვევის პარკს ვეძახდი იმიტომ, რომ იქ ტბა სავსე იყო იხვეებით.

არც თქვენი ქორწინების, არც ქორწინების შემდგომი პირველი თვეების ამსახველი სურათი არა მაქვს. მაშაჩემის ამბავი რომ ვიცე, ალბათ კვირაობით პუიტან-სოკზე მდებარე სახლის შემინულ სამზარეულოში მიჰყავდი, სადაც მთელი სიმენონები დედ-მამასთან იყრიდნენ ხოლმე თავს.

ნეტავი ხმას თუ გცემდნენ? ან შენ თუ ბედავდი ხმის ამოღებას? სიმენონები ისე იყვნენ შეკრულები, ძნელად თუ მოახერხებდი მათთან საერთო ენის გამონახვას. მათთან ყოფნისას ალბათ თავი უცხო ქვეყანაში გეგონა.

ერთ წელზე ცოტა მეტი ხანი ლეოპოლდის ქუჩაზე ცხოვრობდით, სადაც დავიბადე მე, შემდეგ უტრემეზის ქუჩაზე გადასახლდით, პუიტან-სოკიდან ორ ნაბიჯზე. ეს უბანი უკვე აღარასოდეს დავიტოვებიათ.

შენ ახლა ოთხმოცდათერთმეტი წლისა ხარ. მეც უკვე სადაცაა სამოცდაათს გადავაბიჯებ. ჩვენ-ჩვენი ცხოვრება თითქმის უკვე განვკვლეთ, ხომ ასეა? შემოინახე მოგონებანი წარსულ დღეებზე?

ვუყურებ შენს სახეს და ვხვდები, უკვე განთავისუფლებულხარ მოახლოებული აღსასრულის ხილვისაგან.

მე გავიხსენე პატარა თავუნია, ლეიკვილის ეზოში ღამით რომ გაცუნცულდა თავისი კორსეტის საძებნელად. მთელი სიცოცხლე ასე, თავუნიასავით დაცუნცულებდი. იშვიათად მინახიხარ დამჯდარი. ახლა კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პირველად გხედავ დაწოლილს.

ვუყურებ შენს ოდნავ შეცვლილ სახეს, ნათელ ნაცრისფერ კვლავ ცოცხლად მომზირალ თვალებს და ჩემს თავს ევკითხები — შენი ბოლო ამოსუნთქვა შვების ამოსუნთქვა ხომ არ იქნება?

პალატაში არის რაღაც ისეთი, რაც სულს მიხუთავს და ზოგჯერ ფიქრში ხელს მიშლის. ეს აქ გამეფებული სიჩუმეა, რომელსაც იშვიათად თუ დაარღვევს წასასვლელად წამოწეული მნახველის სკამის ჭრიალი, ახალშემოსულთა ჩუმი ნაბიჯების ხმა და მათი შენდამი ჩურჩულით მომართული მოკითხვის უხერხუ-

ლი სიტყვები. რაღაც ეკლესიის იერი დაძვრავს აქაურობას, ეკლესიის, რომლის შუაგული შენა ხარ, მართალია, უძრავი, მაგრამ არაჩვეულებრივად მთავარი შუაგული; შენ ხომ ჩვენზე მაღლა დგახარ, იმ უცხო ადამიანებზე მაღლა, რომლებიც მოდიან და მიდიან, და რომელთა შორის ალბათ მეც ვარ, მეც ხომ უცხო ვიყავი შენთვის. თითქოს პალატის კარიც კი გემორჩილება, რომელსაც შემთავლებენ და მერე უხმაუროდ მიხურავენ ხოლმე და რომელიც ყოველჯერ გაღებისას ცივ ნიავს უშვებს ოთახში.

მხოლოდ მღვდლის მოსვლა თუ არღვევს პალატის მყუდროებას. იგი მაღალი, ბრგე კაცია და როგორც ჩანს, საერო ცხოვრებაში კაი მოძღვნიც უნდა იყოს. როგორც კი ის გამოჩნდება, ყველა, და მათ შორის მეც, პალატიდან გავდივართ. მხოლოდ კრიალოსნიანი მონაზონი არ ტოვებს სკამს.

ღერუფანში ჯგუფ-ჯგუფად დგას ხალხი. ხანდახან ავადმყოფებს ჩაატარებენ გორგოლაჭებიანი საწოლებით. მათ არაფრის მთქმელი, ბედს შერიგებული მზერა აქვთ.

მე კვლავ შენი ჭეშმარიტი არსის ძიებაში ვიძირები, სხვანაირად რომ ვთქვათ, შენს შეცნობას ვცდილობ.

„Pedigree“-ში, ცოტა არ იყოს, სქემატურ პერსონაჟად მყავხარ გამოყვანილი. მე აღეწერე ზოგიერთი შენი ქცევა, მანერები, გავაცოცხლე შენი სიტყვები. დღეს კი ნამდვილი ანრიეტა მინდა შევიცნო.

ქორწინების შემდეგ ერთი წელიწადი ლეოპოლდის ქუჩაზე, ქულების მაღაზიის თავზე, ორთახიან ბინაში ცხოვრობდით შენ და დეზირე. წყლის ამოსატანად ეზოში გიხდებოდა ჩასვლა. ამ სახლში უბრალო ხალხი ცხოვრობდა და შენც ამაყობდი, რომ მათ ნაწილს შეადგენდი.

ალბათ გაგიკვირდება, რასაც ახლა ვეტყვი: ამ ხნის კაცს საკუთარი თავის ვერ მიპატიებია ერთი რამ: მე ხომ მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მეც იმ უბრალო ხალხის ნაწილი ვარ და რომ ეს სამყარო ჭეშმარიტების სამყაროა.

შენთვის ბატონი რეკიულე ჩრდილოეთ ბელგიის კომპანიის მიერ დანიშნული პენსიით უზრუნველყოფის სიმბოლოს წარმოადგენდა. იყო კიდევ ერთი ადამიანი, რომლის ცხოვრებასაც შენატროდი და რომელიც დმერთმა იცის საიდან და როგორ გახდა ჩვენი ოჯახის ახლობელი.

ეს გახლდათ ბატონი რორივი, პატარა, ჩასუქებული, ბავშვივით ვარდისფერლოყება კაცი. იგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა საკუთარ გარეგნობას და, მე მგონი, ჯიბით პატარა ჩვარიც კი დაქონდა თავისი ყვითელი ფეხსაცმელების საწმენდად.

ბატონი რორივი წლების მანძილზე რძის მაღაზიის მეპატრონე იყო, საიდანაც კარაქისა და ყველის მომწაურო სუნი გამოდიოდა ხოლმე. მისი ცოლიც მასავით დაბალი და მსუქანი იყო. როდესაც მათ უყურებდი სუფთებს, კარგად ჩაცმულებს, მუდამ მომდიმართ, შენდა უნებურად რაღაც სისავსის გრძნობა გუფლებოდა ადამიანს.

შენ უთაყვანებოდი ცოლ-ქმარ რორივებს. ფულიც კა ესესხე შენს მდიდარ, კოშკის მფლობელ ძმას რძის მაღაზიის გასახსნელად. ძმამ უარი გითხრა, იგი საქმოსანი კაცი იყო და რძის სავაჭროებზე და პატარა დებზე ზრუნვით თავს ვერ შეიწუხებდა.

იბისათვის, რომ როგორმე ფული ვეშოვნა, მომავალი უზრუნველყოფილი გქონოდა და აღარასოდეს გაგეგო, რა იყო გაჭირვება, შენ აიძულე დეზირე მგზობელ ქუჩაზე სახლი დაეჭირავებინა.

ამ უბანში მხოლოდ უბრალო სახლები იდგა, თითქმის ყველა ერთნაირი

იყო, მხოლოდ კარის ფერთა და ფანჯრის ჩარჩოს ფორმით თუ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მერე სახლზე განცხადება გამოაკარი: „ქირავდება ავეჯით გაწყობილი ოთახები“, უფრო სწორად: „მოწყობილი ოთახები“, როგორც ამას ლიეჟში ამბობდნენ.

გიყურებ ახლა ასეთ სუსტსა და ღონემიხდილს და ვფიქრობ: უღმობლად ხომ არ მოიქეცი, დეზირეს რომ სახლი აქირავებინე? შენ ხომ კარგად კაცობდი მამაჩემს და ისიც გეცოდინებოდა, რომ მას უყვარდა სიმშვიდე, სამსახურის მერე მოწნულ სავარძელში მოკალათება და გაზეთის კითხვა.

ქორწინებიდან სულ რაღაც სამი წლის შემდეგ პატარა ანრიეტამ, რომელსაც დები „კატის არჩივს“ ეძახდნენ, შეძლო საკუთარი სურვილი მოეხვია თავზე დიდი დეზირესათვის. ამის გამო შენზე ნაწყენი ვიყავი. ჯერ კიდევ ბავშვმა ვიგრძენი, რომ რაღაც უთანასწორობა დამყარდა ოჯახში, სადაც მთავარი ახლა შენ იყავი. ძალიან ბევრს მუშაობდი დიდიდან საღამომდე, რეცხვისაგან ხელები აღარ გიუარგოდა. როდესაც საღამოთი დეზირე შინ ბრუნდებოდა, ხშირად თავის სიყვარულ სავარძელში ვიღაც პოლოჩელი ან რუსი მღვმური ხვდებოდა ჩამჯდარი მისი გაზეთით ხელში.

ახლა კი ვხვდები, რომ არავითარი პიროტება და ეგოიზმი არ ყოფილა მაშინ შენი მხრიდან. შენ შენი კომკის ძფლობელი ძმასავით ბედს მიჰყვებოდი და ვერანაირი გულჩვილობა ამ გზიდან ვერ გადაგახვევინებდა.

რვა-ცხრა წლისა ვიქნებოდი, როცა შენი ერთი და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანეს. მეც იქ ვიყავი. მახსოვს, ძალიან შემეშინდა. ახლაც თვალწინ მიდგას კართან მომდგარი ეტლი, ახლაც ყურებში ჩამესმის კედელზე მიყრდნობილი, ხელებში თავჩარგული მისი ქმრის ტირილი.

მინდა ახლა ვაღიარო, რასაც მაშინ ვფიქრობდი:

— დედაჩემის წასაყვანადაც რომ მოვიღეს ეტლი?

შენზე ამბობდნენ, მეტი სმეტად ნერვიულიაო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ავადმყოფურად განიცდიდი ყველაფერს, რაც კი შენს თავმოყვარეობას ლახავდა და რაც შენს ნება-სურვილს ეწინააღმდეგებოდა.

მახსენდება, როგორი იყო კვირა დღე ჩვენს ოჯახში. დილით გადავწყვეტდით სასკირნოდ წავსულიყავით სადმე ლიეჟის მახლობელ სოფელში. რადგან ტრამვაის გარდა სხვა ტრანსპორტით მგზავრობა ჩვენს შესაძლებლობას აღემატებოდა. საუზმის შემდეგ გახვიდოდი შენს ოთახში და ცდილობდი ლამაზად მოგერგო შინიონი, რასაც ვერასოდეს ვერ ახერხებდი. რამდენჯერაც დაგეშლებოდა, იმდენჯერ აღმური აგვარდებოდა სახეზე, ცრემლები მოგაწვეებოდა და ქვითინით დაემხობოდი ლოჯინზე. მე და ჩემი ძმა კი, საკვირაოდ გამოწყობილები, ქუჩაში გელოდებოდით, ერთი სული გვქონდა, როდის გამოხვიდოდი, დაგვიანების მიზეზის გაგება კი არ შეგვეძლო. მამა, რომელიც ჩვენსავით უკვე მზად იყო, ხან შენთან შემოდისოდა, ხან ჩვენთან გამოდიოდა.

— ცოტაც მოითმინეთ, ბავშვებო, დედა რაღაც ვერ გრძნობს თავს კარგად.

ეს ძალიან ხშირად მეორდებოდა. მე და კრისტიანი სახლში შემოსვლას ვერ ვბედავდით, მაგრამ გვესმოდა ყვირილი, ტირილისაგან აკანკალებული ხმით ნათქვამი მონოლოგები, რომლებიც საყვედურებს წარმოადგენდნენ. ეს საყვედურები მამაჩემს ეკუთვნოდა, მომთმენ, აღუშფოთებელ კაცს.

ნეტავი როგორ იტანდი იმ მღვმურებს, რომლებსაც ნახშირის დაზოგვის მიზნით დიდიდან საღამომდე ისე კქონდათ „დაპყრობილი“ სამზარეულო, რომ იქ შენთვის ადვილი აღარ რჩებოდა. მათთან ყოველთვის მოდიმარი იყავი, რაც ძალიან მაკვირვებდა. ახლა კი ვხვდები, რატომაც: ამ მღვმურებში შენი მოხუცე-

ბულობის დღეების უზრუნველყოფას ხელავდი. შენც ხომ მოხუცებულობაში დედაშენივით ცეცხლზე ცარიელი ქვაბების შემოდგმა დაგჩემდა.

დადგებოდა დრო, აღარც დეზირე იქნებოდა და აღარც მისი საკმარისი, მაგრამ მოკრძალებული ხელფასი, ხოლო შვილების იმედზე ყოფნა არ გონდოდა. ამიტომ საჭირო იყო წინდაწინ გეზრუნა სიბერის დღეების უზრუნველყოფად. შესაძლოა, იყო რაღაც ავადმყოფური ამ აკვიტებულ აზრში. შენც ერთი და სულით ავადმყოფი ვარდაიცვალა. მამაშენს ნაადრევი, უცნაური აღსასრული ჰქონდა. ბოლოს სასმელში ჰპოვა შვება და ოჯახი დალუპვის პირამდე მიიყვანა. ერთი შენი ძმა დღე და ღამე უმიზნოდ დაეხეტებოდა; ხშირად ხელაედნენ ქუჩაში არეული ნაბიჯით მიმავალს. ერთი დაც ლოთი გყავდა. როდესაც მის გოგონას, ბითუმად მოვაჭრის ქალიშვილს მეგობარი გოგონები ესტუმრებოდნენ, დედას მეორე ოთახში ჩაკეტავდა ხოლმე, რომ მთვრალი არ ენახათ. შენ კი წვეთიც არ დაგიღვევია არასოდეს, თუ არ ჩავთვლით იმ ერთ ჭიქა ღვინოს, რომელსაც ახალი წლის ღამეს სვამდი ხოლმე ერთ დასთან.

ამ დას შენსავით მტკიცედ ეყრა ხელთ ოჯახის მართვის სადავეები. ქმარი მასზე ბევრად ხნიერი იყო. ვიტრაჟებზე გამოხატული წმინდანივით გრძელი, თეთრი წვერი ჰქონდა. იჯდა ეზოში გამავალ თავის პატარა, ბნელ ოთახში და ტირიფის წნელებისაგან მეზღვაურებისათვის კალათებს წნავდა. შენი და კი დახლში იღვა და კალათებთან ერთად სასმელსაც ყიდდა.

წესიერად არც კი ვიცნობდი იმ შენს სიძეს, ბიბლიურ წმინდანს რომ ჰგავდა. იგი არასოდეს დამჯდარა ჩვენთან ერთად სამზარეულოში, დიდ ოთახში კი, სადაც ჩემი დეიდაშვილები პიანინოზე უკრავდნენ, საერთოდ ფეხს არ ღვამდა. დაბმული ძაღლივით პატარა კუთხე ქონდა ამოჩემებული იმ ოთახში, რომელსაც მზე არასოდეს აღგებოდა.

შენც სხვებივით ცხოვრების დინებას მიჰყვებოდი. ახლა კი მესმის მამაჩემის დედისა, რომელიც უნდობლად შეხვდა შენს შესვლას ოჯახში. ყველასაგან განსხვავებული იყავი, ყველაფრისადმი რაღაც თანდაყოლილი შიში გქონდა.

და შენ სახეზე ძნელად ამოსაცნობი დიმილი აიფარე და ცხოვრების მიზნად ბრძოლა დაისახე.

არიან ადამიანები, რომლებიც თითქმის ყველა ჩვენთაგანს თან გვედევნებოდა მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე. მხოლოდ ბოლოს, განვლილ გზას რომ გადავხედავთ, მაშინ თუ ვხვდებით, რა გავლენა იქონიეს მათ ჩვენს ბედზე.

მამა ხუთი წლისას გარდაგვეცვალა, დედაშენი რამდენადაც შემოძლია აღვადგინო მოვლენები, თითხმეტი თუ თხუთმეტი წლისა იყავი, ამ ქვეყნიდან რომ წავიდა.

როცა მოგვიანებით „ინოვასიონში“ მიხვედი, ვილაცა უნდა ამოგდგომოდა გვერდში და ეს „ვილაცა“ ვალერი აღმოჩნდა. ჩემი ღრმა რწმენით, მან შენს ცხოვრებაში ბევრად უფრო დიდი როლი ითამაშა, ვიდრე ეს გარეგნულად ჩანს. მაშინ ორივენი იმ ასაკში იყავით, როცა გოგონები საიდუმლოებებსა და მომავალ ოცნებებზე ეჩურჩულებიან ერთმანეთს. ვალერი, როგორც უკვე ვთქვი, ღამაში გოგო არ იყო, პირიქით, მიუხედავად უაღრესად კეთილი გულისა, უშნო უფრო ეთქმოდა. იქნებ მან დაგანახა პირველად „ინოვასიონის“ ვიტრინებიდან დეზირე — მამაკაცი, რომელიც ღამაჩად დადიოდა? განა შენი გულისთვის არ უთვალთვალებდა ვალერი დეზირეს ყოველი გავლა-გამოვლისას?

ლიეჟიდან წამოსვლამდე ვალერის კარგად ვიცნობდი. შეცვლით აღბათ ძალიან არ შეცვლიდა, მხოლოდ ნაოჭები გაუჩნდებოდა სახეზე.

კვირაში ერთხელ სადილად დადიოდა ჩვენთან, პირველ ხანებში თავის ღელასთან ერთად, მერე კი მარტო. ახლაც მახსოვს მამაჩემისაკენ მიმართული მისი მზერა და გაღიზიანებული სიცილი, როცა მამა აჯავრებდა ხოლმე. მამა კი ხშირად აჯავრებდა ხოლმე ვალერის, შეიძლება სულაც იმიტომ, რომ მისი არაგულწრფელი გაბრაზება გამოეწვია.

ერთი შენი ნათქვამი გამახსენდა. ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო შენ იმიტომ, რომ ვალერის დედა მძიმედ იყო ავად, შენ იძულებული იყავი ღამე გაგეთია მათთან. მეორე დღეს სახლში რომ დაბრუნდი, თქვი:

— არაფრით არ შემიძლია ქალის გვერდით წოლა. ქალის სუნი გულს მირევს.

მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ უმნიშვნელო ნიშან-თვისებებს წარმოადგენენ შენი პიროვნების დასახასიათებლად. იმისათვის, რომ აღვადგინო მთელი ოთხმოცდათერთმეტი წლის ცხოვრება, ბევრი ასეთი შტრიხი უნდა მოვიძიო მეხსიერებაში, ჩემკენ მოპყრობილ თვალეებში უნდა წავიკითხო და წარმოვიდგინო ის, რასაც შენი ტუჩები არ მეუბნებიან.

ბევრი მდგმური გყავდა, ზოგჯერ ერთდროულად სამი-ოთხიც გვოლია. ზოგი მათგანი, რომ იტყვიან, გავლით იყო ჩვენთან, რადგან მხოლოდ ერთი წელი რჩებოდა ლიუვის უნივერსიტეტში, ზოგი კი სამი-ოთხი წელი ცხოვრობდა ჩვენს სახლში. ყველასთან ერთნაირად მომთმენი იყავი, კეთილგანწყობილი, ალერსიანი, განსაკუთრებით კი ყველაზე დარიბებთან. გვიანობამდე არ იძინებდი, მათ წინდებს კემსავდი.

მახსოვს, ერთი ისეთი დარიბი მდგმური გყავდა, წინდებიც კი არ ჰქონდა. მის ყოველდღიურ საკვებს ერთი კვერცხი და ერთი ნაჭერი პური შეადგენდა. როგორღა არ ცდილობდი, რომ შენგან შეთავაზებული ძეხვის პატარა ნაჭერი აეღო ან სადილზე დაგწვეოდა. მაგრამ იგი უფრო ამაყი აღმოჩნდა, ვიდრე ის დარიბი ქალი, რომელიც შენ გინდოდა ყოფილიყავი.

არ ვიცი, რას წარმოადგენს ახლა იგი. ალბათ ინჟინერია პოლონეთში, თუმცა კი ვისურვებდი სხვაგან წასულიყო, რადგან ებრაელი იყო და იქ გაზის კამერაში მოუწევდა სიკვდილი.

ერთი-ორჯერ კვირა დღის გასატარებლად შენს დას ვესტუმრეთ, იმ დას, შვილები რომ დაუზარდე, ბითუმად მოვაჭრე ქმარი რომ ჰყავდა და ბოლოს, ღოთობისაგან რომ გარდაიცვალა. რა მოხდა მერე თქვენს შორის? უფრო სწორად, მათსა და დეზირეს შორის?.. რადგან მე როგორც მაშინ მიეხვდი, დეზირეს გამო შევწყვიტეთ მათთან სიარული.

და ასე დავდიოდით კვირაობით რიგრიგობით შენს დებთან, ზოგთან დიდი ხნით, ზოგთან — უფრო ცოტა ხნით. მხოლოდ შენს ნათესავეებთან დავიარებოდი. სამყარო, რომელსაც პუიტ-ან-სოკზე მცხოვრები სიმენონები შეადგენდნენ, შენთვის სინამდვილეში არ არსებობდა.

მამაჩემი ყოველ დღით, სამსახურში წასვლის წინ მშობლებთან შეივლიდა და გადაეხვეოდა ხოლმე მათ. დედა რომ მოუკვდა, ჩვეულებას არც მაშინ უღალატა და მიცვალებულს აკოცა. კვირაობით მთელი სიმენონები ოჯახებით პუიტ-ან-სოკზე იყრიდნენ თავს შემინულ სამზარეულოში, სადაც ყოველთვის საჭმელების სუნი ტრიალებდა. ჩემი დიდი პაპა, რომელიც ბრმა იყო, სავარძელში იჯდა, შვილიშვილები და შვილთაშვილები მიდიოდნენ და კოცნიდნენ, ის კი ხუთ-ხუთ სანტიმს ურიგებდა მათ. მე ათ სანტიმს მაძლეოდა ხოლმე, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სხვებზე მეტად ვუყვარდი, უბრალოდ, ის სიმენონი იყო და გონებაც სხვანაირად უჭრიდა: მე მისი უფროსი ვაჟიშვილის უფროსი შვილი

ვიყავი, სხვანაირად რომ ვთქვათ, ოჯახის მომავალი მეთაური.

აი ასეთი მოგონებები ამეშლება ხოლმე, დედა, როცა ვცდილობ, გავიგო, სანამ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ. ერთ-ორ დღეში შენ უკვე აღარ იქნები. ადამიანები, ახლა პალატაში რომ გაქვავებულან სკამებზე, მერე ადგებიან, წავლენ და თავ-თავიანთ საქმეებს დაუბრუნდებიან. მეც შინ წავალ ჩემს შვილებთან.

ნეტავი ისინიც თუ დაინტერესდებიან ოდესმე ჩემი პიროვნებით მსუ, როგორც ახლა მე ვარ შენით დაინტერესებული? არა მგონია. თუმცა ამის შესახებ მე ვერაფერს ვავიგებ.

როცა ლიეუიდან წამოვედი, მამაჩემი ახალი გარდაცვლილი იყო. სახლში მართო დავტოვე ძაძებით მოსილი პატარა ქალი. მართალია, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და არავითარი სახსარი არ გამაჩნდა, მაგრამ რაღაც პასუხისმგებლობას ვგრძნობდი შენ წინაშე და ყოველთვის ცოტაოდენ ფულს გიგზავნიდი. წერილებსაც გწერდი, არ ვიცო, რამდენად შემძლია ახლა იმ წერილების შინაარსის აღდგენა, მაგრამ, ვგონებ, მაღალფარდოვანი უნდა ყოფილიყო. იმ წერილებში ალბათ გრძნობის ნატამალიც არ იყო — ჩვენ ხომ არასოდეს სიახლოვე არ გვქონია.

ამის დასამტკიცებლად ერთი ამბავი მინდა გავიხსენო, რომლის ამოშლას მეხსიერებიდან მთელი ცხოვრება ვცდილობდი და ვერ შევძელი. ამ ამბავმა წარუშლელი დაღი დაასვა ჩემს სიყმაწვილეს. მაშინ თორმეტი-ცამეტი წლისა ვიქნებოდი. აღარ მახსოვს, რა მიზეზით გამიბრაზდი; მეც ჩემის მხრივ, გავჯიუტდი, როცა თავი მართალი მეგონა, არავის არაფერს ვუთმობდი. შენ, როგორც ხშირად გემართებოდა საკვირაო გასეირნების წინ, საშინელი ისტერია დაგემართა, თითქმის გონდაკარგული მომვარდი, არ მესმოდა, რა სიტყვებს გაჰკიოდი, ანგარიშმიუცემლად ფლამანდიურად თუ გერმანულად ლაპარაკობდა, ძირს დამავდე და ფეხით შემდეგი. როგორღაც მოვახერხე და გაგექეცი. მამასთან მივედი სამსახურში. სიმართლის თქმა ვერ გავბედე. განცდილი შიშისაგან ჯერ კიდევ ვკანკალებდი.

— რა მოგივიდა, შვილო?

მამა არასოდეს სახელით არ მომმართავდა, ყოველთვის „შვილოს“ მეძახდა, ისევე როგორც მე მივმართავ ახლა ჩემს შვილებს.

მთლად სიმართლე არ მითქვამს. უუთხარი, დედა ძალიან გამიბრაზდა და გამარტყა-მეთქი. მამას არც ჩემთვის და არც ჩემი ძმისთვის არასოდეს გაურტყამს. იმიტომ კი არ გავიხსენე ეს ამბავი, რომ შენზე ნაწყენი ვარ. უბრალოდ, იგი შენი პიროვნების ახსნაში მეხმარება. ძალიან ღიღხანს ვიყავი შიშით შეპყრობილი, ვაითუ ჩვენთანაც მოვიდეს ის ეტლი, დედაჩემი რომ წაიყვანა საავადმყოფოში-მეთქი. იყო რაღაც ზედმეტად მოჭარბებული შენში, რის შეკავებასაც ვერ ახერხებდი, მაგრამ ამავე დროს უკიდურესად ფხიზელი გონება გქონდა.

კიდევ ერთი ამბავი მინდა გავახსენო, რომელიც ახლაბან მოყოლილს უკავშირდება, ოღონდ საპირისპირო აზრით. ეს ამბავი არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მოხდა. ამ სამიოდე წლის წინათ ეპალენჟში მოგიწვიე. ვინაიდან უკვე საკმაოდ მოხუცებული იყავი და თვითმფრინავითაც არასოდეს გემგზავრა, ჩემი მდივანი ქალი გამოვაგზავნე ლიეუში შენ წამოსაყვანად.

შენთვის ბავშვების ოთახი მოვაწყობინე, სხვა ავეჯთან ერთად ოთახში პატარა კარადაც დავიდგი. აქვე სადილობდი ხოლმე, ვინაიდან უკვე საკმაოდ გადაღლილი იყავი და პირველ ხართულზე სასადილო ოთახში ჩამოსვლა გიჭირდა. ნასადილევს იძინებდი ხოლმე.

ერთ დღეს ჩუუელ დროს არ გაიღვიძე, არც ნახევარი საათის შემდეგ გამო

ჩნდი. ბოლოს აღვა იოლი, ჩვენი მოახლე, წელა შემოვილო კარი და რა დაინახა: სკამზე იჯექი, სახე ჩალურჯებული გქონდა, ტუჩებზე ტკივილი აღგებჭლოდა. მაგრამ მაინც გაღიმებას ცდილობდი.

თურმე მართლაც ყოფნით გისარგებლია, ამდგარხარ და კარადისკენ წასულხარ. ძალიან პატარა იყავი და ზედა თაროს რომ მისწვდებოდი, ტუჩებზე დამდგარხარ და უცებ კარადა ზედ დაგმხოვია. იმის მაგივრად, რომ მისწვდებოდი გეხმოვინებ, გვევირა, არ ვიცი, როგორ და რანაირად მიხობებულხარ სკამთან და როგორღაც დამჯდარხარ, გამხმარ ხელებში კი ის განძი ჩაგებლუჯა, რისთვისაც ბიადექი კარადას.

ეს ხომ მართლა განძი იყო — პატარა, ოქროთი სავსე ქისები, თითოეულზე ჩემი შვილების სახელები რომ ეწერა. მთელი სიცოცხლე იმისათვის მუშაობდი, რომ შავი დღისათვის ერთი-ორი გროში გადაგენახა. ახლა კი მთელი შენი ნაჯაფი ჩვენ მოგვეცი. ქისები ჯერ არ დამირიგებია, ვუცდი, როდის გაიზრდებიან ჩემი შვილები, როდის მონახავენ საკუთარ გზას ცხოვრებაში, რომ ქარს არ გაატახან ის, რისი შექმნისთვისაც შენ ამდენი იწვალე.

იმავლე დღეს ისეთი რაღაცა გააკეთე, რამაც ძალიან შატკინა გული, მაგრამ მაინც უნდა თაყვანი შეცა შენთვის. კაბინეტში შემოხვედი და კონვერტი გადმოძეცი. კონვერტში ის ფული იდო, მთელი ორმოცდაათი წელი რომ გიგზავნიდი ყოველთვე.

გინდოდა ღარიბი ყოფილიყავი, გინდოდა უზრუნველად გაგეტარებინა სიცოცხლის უკანასკნელი წლები, მაგრამ ისე, რომ არავისი არაფერი გმართებოდა, თუნდაც ეს საკუთარი შვილი ყოფილიყო.

ახლა, ქისების ამბის მოყოლისას, ერთი შეცდომა გამეპარა, მაგრამ ეს იმის გამო მოხდა, რომ იოლმა რომ კარი შემოვილო, მე იქ არ ვიყავი. სახე ჩალურჯებული კი არა, სისხლიანი გქონია. მე რომ არ შემშინებოდა, თურმე ჩემს მოსვლამდე მოგბანეს და შერე სასწრაფოდ ერთი ჩემი მეგობარი ექიმიც მოვიყვანეს.

სასწრაფო დახმარების მანქანით ლოზანაში წაგვიყვანე რენტგენის გადასაღებად, რადგან ერთი ფეხი და გვერდები ძალიან გტკიოდა. საბედნიეროდ, არცერთი ძვალი მოტეხილი არ აღმოჩნდა, მაგრამ მაინც დიდხანს კოჭლობდი და სიარული გიჭირდა.

კიდევ ერთი ამბავი მინდა გავახსენო, როგორც უკვე გითხარი, აკვიატებული მქონდა, რომ ერთ დღეს შენს წასაყვანად მოვიდოდა ეტლი, ისევე როგორც შენი დის წასაყვანად მოვიდა. ნებსით თუ უნებლიეთ შენც ხელს უწყობდი, რომ ამ შიშს უფრო ღრმად გაედგა ჩემში ფესვები. ხშირად გაბრაზებული დამიყვირებდი ხოლმე:

— ვაიმე, მუცელი... აი, ნახე, ყოფ, თუ საავადმყოფოში არ ამომავოფინო თავი!

ბავშვი ვიყავი, როცა აქ, ამ საავადმყოფოში, მღვდელს დილის წირვაზე ვეხმარებოდი. იმ დროს საავადმყოფოები ძირითადად ლატაკებისათვის იყო განკუთვნილი. ახლაც თვალწინ მიდგას მათი ზოლებიანი სამოსი და გახუნებული შალის ხალათები. იმის გაფიქრებაც კი, რომ შეიძლებოდა შენც ამ საავადმყოფოში წოლილიყავი და ასეთი სამოსი გცმოდა, ისეთ თავზარს მცემდა, რომ სულ ერთია, დამნაშავედ ვთვლიდი თავს თუ არა, მუხლებზე ვეცემოდი და პატიებას გთხოვდი.

და აი ახლა, ამდენი ხნის მერე, ახლა უკვე ორივე მოხუცი საავადმყოფოში

ერთმანეთის პირისპირ აღმოუჩნდით იმ ადამიანებით გარშემორტყმული, ცვილ-
ისგან გაკეთებულებს რომ ჰგვანან.

დედამიწაზე ორი თუ სამი მილიარდი კაცი ცხოვრობს. ეს ციფრი ალბათ
ზუსტი არ არის, მე ხომ ალერგიულად ვარ განწყობილი, სტატისტიკისა და
ყოველგვარი ციფრების მიმართ. არავინ არ იცის, კიდევ რამდენი უძველესი
ადამიანი ცხოვრობდა პრეისტორიულ ხანაში. მხოლოდ ის შეიძლება შეფასა-
ოდეთ, რომ ისინიც ებრძოდნენ ერთმანეთს, ზოცავდნენ მეზობლებს, ადამიანებს
მუსრს ავლებდა კოსმიური კატაკლიზმები და სხვადასხვა ეპიდემიები.

ყველა დროში კი ალბათ იდგა ასეთი საჭირობოლო საკითხი:

— რა არის ადამიანი? ვინ არის ჩემი მეზობელი?

დღეს ეთნოგრაფები ეძებენ იმ უძველესი ადამიანების ნაკვალევს, რომლე-
ბიც ალბათ ჩვენი წინაპრები იყვნენ. მთელი მსოფლიოს ბიოლოგები ლაბორატ-
ორიებში იკვლევენ, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე ადამიანი.

და მაინც, არ ვიცნობთ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენ გვერდით ცხოვრო-
ბენ, რომლებსაც ყოველდღე ვხვდებით ქუჩაში, ვის გვერდითაც ვმუშაობთ მთე-
ლი სიცოცხლე.

ჩვენ ორნი ვართ, დედა, ერთმანეთის პირისპირ: მე და შენ, შენ გამაჩინე
ამ ქვეყანაზე, შენი წიაღიდან ვიშვი მე, შენ მაწოვებდი ძუძუს, მაგრამ მაინც
ერთმანეთს არ ვიცნობდით.

ისე შევცქერით ერთმანეთს, თითქოს უცხოები ვიყოთ და ერთმანეთის ენა
არ გვესმოდეს. ისე, ბევრს არც ვლაპარაკობთ, თითქოს ჯერ კიდევ ვერ ვენდობ-
ით ერთმანეთს.

მერწმუნე, დედა, იმიტომ გიყურებ ასე დაუინებით, რომ წავშალო ყველა
ის მცდარი აზრი, რომელიც კი შენზე მქონია ოდესმე, შევიცნო შენი არსების
ჭეშმარიტება და შეგიყვარო. აი, ამიტომ ვცდილობ მოვიძიო ჩემს მეხსიერებაში
მიმობნეული მოგონებები და გავიაზრო ისინი.

შენც გქონდა გამარჯვების დღე, თუმცა ზუსტი თარიღის აღდგენა არ შე-
ძიძლია. მე როცა ოცი წლისა ვიყავი, შენ მაშინ დაახლოებით ორმოცისა იყავი.
ამ ასაკში უხამსობად მიმაჩნდა იმაზე ფიქრიც კი, რომ შენ კიდევ შეგეძლო
მამაკაცთან სარეცელის გაყოფა. უკვე დრომოჭმულ, მოხუც ქალად მიმაჩნდი.
მაგრამ მართლაც მე არ ვფიქრობდი იმ ასაკში ასე, ამასვე ვხედავ ჩემი ქალ-ვაჟის
გამოხედვაში, ალბათ ასეა მეზობელ სახლშიც და საერთოდ, მთელ ქალაქში.

ჩემთვის შენ ქვრივი იყავი, ისეთი ცხოვრება გქონდა, როგორც ბედმა გა-
რგუნა, არავითარი ცვლილება აღარ უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი. მაგრამ
მოხდა ცვლილება და თანაც ისეთი მნიშვნელოვანი, რომლითაც ახალგაზრდობი-
სა და ქალობის ოცნება აისრულე.

აღარ მახსოვს სად გავიგე ეს ამბავი, საფრანგეთში, აფრიკასა თუ შვედთ-
ებულ შტატებში. შენი ხერვიული ხელით ნაწერი წერილი მივიღე, მატყობინე-
ბდი, გავთხოვდი.

უნდა გამოვიტყდე. მაშინ ამ ამბავმა თავხარი დამცა. იმდენად ვცემდი თა-
ყვანს მამაჩემის ხსოვნას, რომ ფიქრშიც კი ვერ დავუშვებდი, იგი ვინმეს შეე-
ცვალა. როცა წერილის კითხვა განვაგრძე, ყველაფერს მივხვდი. პენსიაზე მყოფ
კონდუქტორს გაჰყოლოდი ცოლად. მისი მატარებელი ჩრდილოეთ ბელგიის კო-
მპანიას ეკუთვნოდა, ისევე როგორც კანტორა, რომელსაც ბატონი რეკიულე გა-
ნაგებდა.

ბოლოს და ბოლოს, პენსიას მიიღებდი, სიბერე უზრუნველყოფილი გექნ-
ებოდა. განა ამით რამე დაშავდებოდა?

მერე ფოტოსურათები და ღია ბარათები მომდიოდა შენგან. მთელი სიცოცხლე უტრემეზის უბანს არ გასცილებიხარ, ახლა კი ლურდში იმოგზაურე, ნიცაში, ოსტენდში და არ ვიცი კიდევ სად. რაც მთავარია, შენ აქ უფასოდ მგზავრობდი, რადგან შენს მეუღლეს ყოველ წელიწადს რაღაც გარკვეულ მანძილზე გროშის დაუხარჯავად შეეძლო ემგზავრა. შენ ძისი სურათიც გამომიგზავნე. ეს იყო გამხდარი, დაძარღვული არღენელი კაცი, მკვეთრი სახის ნაკვთებითა და არაფრისმთქმელი გამომეტყველებით. მხოლოდ ერთხელ ვნახე იგი, ლიეჟში ერთ-ერთი ჩამოსვლისას.

მაშინ ჯერ კიდევ მშვიდობა სუფევდა ოჯახში. არ ვითქვამთ, სად და როდის გაიცანით ერთმანეთი. მხოლოდ ის მითხარი, რომ თურმე იმის ავადმყოფ ცოლს უთევდი ღამეებს და უვლიდი ბოლო ამოსუნთქვამდე.

შენი ქმარი ჩვენთან ახლოს არ ცხოვრობდა, ლიეჟის სულ სხვა უბნელი იყო.

ახლაც ის მინდა გკითხო, რასაც ღეზირეზე გეკითხებოდი:

— სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი?

მაგრამ დედას ასეთ რამეებს არ ეკითხებიან.

შეგეკითხე:

— როგორ არის ვალერი?

თქვენ ხომ ერთად განვლეთ ცხოვრების გზა და ყველაზე ინტიმურ ფიქრებს ანდობდით ერთმანეთს. შენ კი მშრალად მიპასუხე:

— მე მას აღარ ვნახულობ.

შემდეგ კი ნაძალადევად გაიღიმე და დასძინე:

— წარმოიდგინე, მას ჩემი მეორედ გათხოვება შეშურდა.

საოცარია, თუკი მამაჩემი სხვა კაცით შეცვალე, რატომ გვარიც არ შეიცვალე? მეორე ქმრის გვარი ანდრე იყო. შენ კი წერილებზე და ოფიციალურ ქაღალდებზეც კი, რომელიც ხელში ჩამვარდნია, ასე აწერდი: ქალბატონი ანდრე სიმენონი.

ამან გული მატკინა. ჩემი აზრით, ეს ნდობის ბოროტად გამოყენებას ჰგავდა. სხვა კაცმა შეგიცვალა მამაჩემი სახლშიც, საწოლშიც, შენ კი მაინც დაიტოვე პირველი ქმრის გვარი.

ეს იმიტომ ხომ არ გააკეთე, რომ მე უკვე ცნობილი პიროვნება ვიყავი? იქნებ რაღაც თილისმა იყო შენთვის ეს გვარი? მჯერა, ასე იყო. ისიც კი ვიფიქრე, გულში ისევე მაღალ ღეზირეს ეთაყვანებოდი და მეორეჯერ გათხოვილი ცდილობდი რაღაც კავშირი შეგენარჩუნებინა მასთან.

მე კი მეგონა, შენს პალატაში მესდამი რწმენა დამეკარგებოდა.

არ გეგონოს, დედა, გაყვედურობდე ან შენი საქციელის განსჯას ვაპირებდე. მე არავის განვსჯი. აღამიანები რომ უძველესი დროიდან ერთმანეთს ხოცავენ, იმის ბრალი ხომ არ არის, რომ არ ესმით მეზობლისა, სხვა ტომის აღამიანისა?

შენ ქალბატონი ანდრე გახდი, მეუღლე მოსამსახურისა, რომელიც პენსიით სარგებლობდა და მოგვიანებით თავის ქვრივსაც უზრუნველყოფდა. მაგრამ არც ქალბატონი სიმენონობა გეთმობოდა.

მე იგი მხოლოდ ერთხელ ვნახე, იმ კაცს შენ მამა ანდრეს ეძახდი. საკმაოდ სასიამოვნო აღამიანად მომეჩვენა, არანაირი უცნაურობა არ ეტყობოდა. გამანდლო: კონდუქტორობა ამქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე რთული და საფრთხილი პროფესიაა, რომ მუდმივი რყევა ორგანიზმისათვის საზიანოა, რომ მისი უსაყვარლესი საქმიანობაა სახლის გვერდით, საკუთარ ბაღში მუშაობა, მისი პატ-

არა სახლი გორაკზე იყო წამომართული. მან იქ ოციოდე წელი იცხოვრა პირველ ცოლთან ერთად, იმ ქალთან, შენ რომ ასე კარგად უკვლიდი ავადმყოფობისას. ახლა, როცა გიყურებ და შენს წარსულზე ვფიქრობ, ცოტა არ იყოს მიკვირს, ასე მშვიდად რომ ხარ.

მამა ანდრემ და შენ ძალე დაუწყეთ ერთმანეთს ეჭვის თვალით ცქერა. ის გაბრალებდა, გინდა რომ ძალე მოეკვლე და ჩემი პენსია მარტო შენ დაკრძალვის იცის, იქნებ იმახაც გაბრალებდა, ჩემი პირველი ცოლის სიკვდილიც შენ დაჩქარეო.

ანსენმანის ქუჩაზე, სადაც მდგმურები აღარ გყავდათ, მარტო დარჩით ერთმანეთის პირისპირ ორი უცხო ადამიანი, უფრო სწორად, მტერი. არავის არ გაუგონია ის სიტყვები, რითაც თქვენ ერთმანეთს მიმართავდით. ალბათ რა საშინელი სიტყვები იყო ისინი და რა დიდ სიძულვილს გამოხატავდა, რომ ერთდღეს გადაწყვიტეთ, ხმა არ გაგეცათ ერთმანეთისთვის. როცა დალაპარაკება აუცილებელი იყო, ქალაღის ნაგლეჯზე უჯღაბნიდით ერთმანეთს სათქმელს.

როდესაც სიძულვილზე ვლაპარაკობ, სრულიადაც არ ვაჭარბებ. მე თქვენი ურთიერთობის მოწმე არ ვყოფილვარ, მაგრამ როდესაც მამაკაცი და ქალი, ერთმანეთთან ქორწინებით დაკავშირებულნი, ერთად ცხოვრობენ და ცალ-ცალკე იმზადებენ კერძს, თავიანთ საჭმელს მალავენ და ელოდებიან, როდის გაათავისუფლებს მეორე სამზარეულოს, რომ იქ შევიდეს, აბა სხვა რითი ავხსნა ეს, თუ არა სიძულვილით?

ერთმანეთისა გეშინოდით, არ მომწამლოსო, ეს ფიქრი ისე აგეკვიპათ, რომ ავადმყოფობად გექცათ.

ავადმყოფური აკვიატების გახსენებაზე ისევ შენი და და მის წასაყვანად მოსული უტლი მაგონდება, და კიდევ კედელზე მიყრდნობილი მისი ქმარი, ხელებში თავჩარგული რომ ქვითინებდა.

და მაინც, შენ და მამა ანდრემ დიდხანს იცხოვრეთ ერთად. შენ შენთვის დადიოდი ბაზარში, ის — თავისთვის. შენ შენს საჭმელს იმზადებდი, ის კი გელოდებოდა, როდის მორჩებოდი, რომ მეზე თვითონ შესულიყო სამზარეულოში. ნეტა დანარჩენ დროს რაღას აკეთებდი? ასე უძძრახად ხომ არ ისხდებოდი სამზარეულოში ან ოთახში? ის თავის ბაღში მიდიოდა, შენ კი ალბათ რომელიმე მეზობელთან ყავის დასალევად. რა თქმა უნდა, ეს ბრძოლა შენი გამარჯვებით დამთავრდა — მოიპოვე ის პენსია, რაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდი. ამ ფულის აღება არ გეთაკილებოდა — შენ ხომ ამაყად დამიბრუნე მთელი ის თანხა, რასაც მე ვიგზავნიდი.

მამა ანდრე მოკვდა. ისიც მამანემივით უცებ გარდაიცვალა.

ნეტავი რაზე ფიქრობ ახლა, რა მოგონებები გიტრიალებს თავში? ხან ზედმეტად გაყურებული ხარ, ხან კიდევ დამცინავი დიმილი გამოგიკრთება ხოლმე სახეზე. ვის დასცინი? დეზირეს? მამა ანდრეს? იქნებ ჩვენ დაგვცინი, გაუნძრევლად რომ ვსხედვართ პალატაში, ან იქნებ მონაზონს დასცინი, გულგრილად რომ მარცვლავს კრიალოსანს? იქნებ ცხოვრებას დასცინი, რომელსაც ალბათ სულ სხვანაირად ხედავს სასიკვდილო სარეცელზე მწილი ადამიანი.

უკვე ჩვეულებად მექცა ყოველ დღით ათ საათზე საავადმყოფოში მოსვლა. მის ვრცელ ეზოში, სადაც მრავალი ნაგებობა დგას, მზის ამოსვლისთანავე გამოიფინებიან ხოლმე ერთნაირ ხალათებში გამოწყობილი ავადმყოფები. სანამ სანიტრები დილის პროცედურებს არ ჩავიტარებენ და პალატას არ დაალაგებენ, არ შემოვდივარ.

ზოგჯერ ამ დროს შენთან მხოლოდ მოწყალების და ზის ხოლმე. ამ მო-

წყალების დებს თავიანთი ჩაცმულობის, უძრავობის თუ სიფერმკრთალის გამო ერთმანეთისგან ვერ ვარჩევ და დილით პალატაში დამხედურს ისე მიემართავ, თითქოს მარტო ის მოდიოდეს შენთან.

— როგორ ხარ, ჟორჟ? — მიღიმი შენ.

ნეტავი თუ მელოდია? ნეტავი თუ გსიამოვნებს დღეში ორჯერ რომ მოვდივარ? — თუ იმ შორეულ ნათესავებთან, მეზობლებთან და უცხო ჩაღბთან ვირჩევნია ყოფნა, შენა სიკვდილის მერე სასწრაფოდ რომ გაეცლებიან აქაურობას? ამის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია, ყოველ შემთხვევაში, არასოდეს გამოვიმჟღავნებია სურვილი ჩემთან განმარტოებისა, არც ის გემჩნევა, რომ პირადად ჩემთვის გაქვს რაიმე სათქმელი.

გუშინ მე და ტერეზა იმ სამლოცველოს სანახავად წავედით, სადაც ბავშვობაში მღვდელს წირვის დროს ვეხმარებოდი. მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, მეხსიერება ხომ არ მღალატობდა, სამლოცველო მართლა ისეთი ლამაზი იყო თუ არა, ის მრავალი საუკუნის წინ აუშენებია ვინმე ერნესტ დე ბავიერს. ნეტავ ვინ იყო იგი, გრაფი, ჰერცოგი, პრინცი თუ იმპერატორი? თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, ლიეჟს ხომ მრავალი უცხოელის ბატონობა ახსოვს.

ეს სამლოცველო იმით იყო განსაკუთრებული, რომ მას ორი დანიშნულება ჰქონდა. პირველ სართულზე ავადმყოფები იყვნენ მოთავსებული. წითელ ხალიჩადაგებულ თორმეტსაფეხურიან კიბეს ავყავდით მეორე სართულზე, შენობის ორივე მხარეზე მიშენებული იყო პატრონივე მონაზვნებისათვის.

კვირაობით ორჯერ იმართებოდა წირვა. პირველი, ჩვეულებასამებრ, ექვს საათზე, მეორე კი უფრო საზეიმო — რვა საათზე. ამათ შორის შუალედში ს სადილო ოთახში შემიყვანდნენ ხოლმე და ორი თოხლო კვერცხით, კარაქიანი პურით და რძიანი ყავით მიმასპინძლებოდნენ.

ახლაც მახსოვს ის მძიმე სუნი, რომელიც შემდეგ სხვა მონასტრებშიც მიგრძენია. მაგრამ მარტო სუნი კი არა, იმ კარაქიანი პურის, თოხლო კვერცხისა და რძიანი ყავის გემოც ჯერ არ დამვიწყებია.

ერთმა მონაზონმა ჩაგვიარა გვერდზე. ვკითხე, დედა საკრისტინი თუ ცხოვრობს-მეთქი აქ კიდევ. მაშინვე წავედით მის სანახავად. ძალიან დაბერებულიყო დედა საკრისტინი, ყურსაც დაჰკლებოდა, თვალიც ველარ უჭრიდა ძველებურად და, მგონი, ნათქვამსაც ველარ ხვდებოდა.

რა თქმა უნდა, ვერ მიცნო. ერთი ჩემი მოგონების შემოწმება მოვიხდომე, კვირაობით და სადღესასწაულო დღეებში ნაზმაქმანებიან სტიქარს დიდი სიფრთხილით მაცმევდნენ ხოლმე. იქნებ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში არსებობდა? მაგრამ დედა საკრისტინთან ყოფნამ ეს ეჭვი გამიქარწყლა — სტიქარს ხომ ის ინახავდა საგულდაგულოდ და ჩაცმითაც ხომ ის მაცმევდა ხოლმე, მან უჯრები გამოსწია, იქიდან ხის პატარა ზანდუკები ამოაღაგა, რომელშიც ეს ძვირფასი ტანსაცმელი იყო ჩალაგებული.

დედა საკრისტინს ველაპარაკებოდი იმ დროზე, როცა წირვის დროს მღვდელს ვემსახურებოდი, ისიც ვუთხარი, ამ ტანსაცმელს მეც მაცმევდნენ-მეთქი, მაგრამ ჩემმა სიტყვებმა ვერავითარი გამოძახილი ვერ ჰპოვეს მასში.

განსაზღვრულ დღეებში მე და მღვდელი ეზოში გამოვიდოდით ხოლმე. მღვდელი წინ მიდიოდა, მე უკან მივყვებოდი რამდენიმე ნაბიჯზე, ერთ ხელში მეჭირა გრძელი შავი ხის ჯოხი, რომლის ბოლოშიც დამაგრებული იყო ვერცხლის ჯვარი, ხოლო მეორეში — პატარა ხარი, რომლის წკრიალიც ავადმყოფებს ზიარების დაწყებას ამცნობდა.

ჩვენ ჯერ ყველაზე მძიმე ავადმყოფებს ვაზიარებდით. დიდ ოთახში ოცი-

ოდე საწოლი იდგა. ვიდრე რომელიმე მომაკვდავს ვაზიარებდით, დანარჩენი აუადმყოფები იდაყვზე წამოიწეოდნენ და პირჯვარს იწერდნენ ხოლმე.

ეს წუთები ყველაზე არასასიამოვნო და მძიმე იყო ჩემთვის. თავისთავად სიკვდილს დიდად არ განვიცდიდი. კვირაში ორჯერ-სამჯერ ცოდვების მონანიება იყო, რასაც შემდეგ დასაფლავება მოჰყვებოდა. თუ ყოველ დღე ვწერავთ მიხმარებისათვის თვეში მხოლოდ ორ ფრანკს მაძლევდნენ, თითოეულ ცოდვების მონანიებაზე ორმოცდაათ სანტიმს მიხდიდნენ. მუნიციპალიტეტის მიერ ასე იყო დადგენილი. ზოგჯერ კი ისე ხდებოდა, ერთ მონანიებას მეორე მოჰყვებოდა ხოლმე.

მე და ტერეზა ქალაქში ვსაუზმობდით. არცერთხელ არ შევსულვართ დიდ რესტორანში. მხოლოდ იქ შევდიოდით, სადაც შემწვარ კერძებს ამზადებდნენ. ჩვენი მენიუ ერთფეროვანი იყო: ხამანწკა, შემწვარი კარტოფილი და ხანდახან გველთეუზა.

მაგრამ იქაც სულ შენზე ვფიქრობდი. ვდარდობდი, ჩემს არყოფნაში არ მომხდარიყო ის, რაც ყველას მოგველის და ერთი სული მქონდა, როდის დავბრუნდებოდი საავადმყოფოში.

ეპალენეში რომ მესტუმრე ორი თუ სამი კვირით — აი, მაშინ, ოქროს ფულების ძეხნაში კარადა რომ დაგეცა — აღარ მინდოდა ბელგიაში შენი გაშვება. ჯანმრთელობა შერყეული გქონდა. აღარ მინდოდა სახლში მარტო ყოფილიყავი. ვერაფრით დაგიყოლიე, რომ დამხმარედ ვინმე ქალი გამომეყოლებინა შენთვის, თუკი შეიძლება სიტყვა „ჯიუტი“ ვინმეს მიუდგეს, უპირველეს ყოვლისა, შენ. არა ერთი წელი ამაოდ ვცდილობდი შენს სახლში აბაზანა გამეკეთებინა, რამდენჯერაც მოვიდნენ ხელოსნები, იმდენჯერ გამოყარე. მინდოდა ტელევიზორი მეყიდა შენთვის. ორი წლის ხვეწნა-მუდარის შემდეგ როგორც იქნა დაგითანხმე. მერე კი ძალიან მოგწონდა. შენი მეზობლებიდან ცოტას თუ ჰქონდა ტელევიზორი და ამიტომაც თითქმის ყოველ საღამოს ნახევარი ქუჩა შენთან იკრიბებოდა.

შენი მარტობაც არანაკლებ მადარდებდა. ერთხელ ქუჩაში დაცემულხარ და სანამ შემთხვევით გავლილი პოლიციელი არ შეგშველებია, ვერ წამომდგარხარ. აღბათ მუხლებიდან და იდაყვებიდან სისხლი გდიოდა. პოლიციელს უნდოდა საავადმყოფოში წაეყვანე, შენ კი ლიეჟურ-ფლამანდიურ კილოზე გიბასუხია:

— არა, არა, არაფერიც არ მტკივა, ჩემო ბატონო. აი, აგერ ვცხოვრობ ორ ნაბიჯზე. მიმაცილეთ და ნახაუთ, რა კარგ ღვინოს დაგალევინებთ.

პოლიციელიც, ჩემსავით, ვერაფერს გამხდარა შენთან. ვერც იმაზე დაგითანხმა, რომ უბნის ექიმთან მაინც წაეყვანე გასასინჯად. ბოლოს, რაღას იზამდა, წამოგყოლია სახლში და შენი ნაქები ღვინო მიურთმევია.

ხომ ხედავ, სიტყვა „ჯიუტი“ მართლაც შენზეა ზედგამოჭრილი. მაგრამ, ხომ შეიძლება ერთ ღღეს ღოგინიდან ველარ წამოდგე და პუიტან-სოკის ქუჩაზეც ველარ გახვიდე სურსათის საყიდლად?

აი, ამიტომაც არ მინდოდა გამეშვი. ამის შესახებ ჩემს ეპალენეულ ექიმსაც ვესაუბრე, რომელმაც რამდენჯერმე გაგსიჯნა. მაგრამ ჰან მითხრა, ვერაფერს გახდებით, პირიქით, უარესიც კი იქნება დედათქვეყნის სურვილის წინააღმდეგ წახვიდეთო.

ძალიან მინდოდა ჩემთან ახლოს, ენეევასა და მონრეს შორის მდებარე რო-

მელიძე პენსიონერთა სახლში მომეთავსებინე. ეს სახლები სულაც არ ჰკვანან მოხუცთა თავშესაფრებს, არც სევდიანი და მოღუშული იერი აქვთ, უფრო მდიდრული სასტუმროები ეგონება კაცს.

მაგრამ შენ ფუფუნება სულაც არ გინდოდა. პენსიონერთა სახლს გავიხსენებაც კი არ გინდოდა. მხოლოდ შენი სახლისაკენ მიგიწევდა გული, იმ სახლისაკენ, რომლის გამოსასყიდლადაც ამდენი იშრომე და რომელიც ბოლოს და ბოლოს შენი საკუთრება გახდა.

დარწმუნებული ვარ, ანსენმანის ქუჩის მცხოვრებლები „ცუდ შვილად“ მთვლიან, ალბათ ამბობენ, მოხუცი დედა გაჭირვებაში მიატოვაო.

მაგრამ ერთი ჩემი დეიდაშვილის, თითქმის შენი ხნის ქალის წერილმა საბოლოოდ გადაამაწყვეტინა, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ავტორიტეტი გამომკვნიბინა და შენს სურვილს წინ აღვდგომიდი.

რამოდენიმე დღე სახლიდან აღარ გამოსულხარ თურმე. მაცივარში ხორცი, ტორტის ნაჭერი და კიდევ სხვა სანოვაგე დაგიობდა და ამ დაობებულს ჭამდი. ასე იმიტომ იქცეოდა, რომ არ დაგეთმო, გესმის? მეც მიგიხვდი. ჩემმა ექიმმაც გამაფრთხილა:

— სახლიდან რომ წამოიყვანოთ, აღსასრულს დაუჩქარებთ.

მაგრამ შემემძლო კი მომეთმინა, ძველი კერძები გეჭამა? ან როგორი იქნება ერთ დღეს რომელიმე მეზობელმა რომ მოგიხაკლისოს, კარი შემოგიმტკრიოს და რამდენიმე კვირის მკვდარი გნახოს?

გავიკითხე და გავიგე, რომ ლიეჟთან ახლოს არის ერთი მშვენიერი კომფორტაბელური, მწვანეში ჩაფლული სახლი, სადაც მოწყალებას დები მხოლოდ რამდენიმე მოხუცს იღებენ და დიდებულად უვლიან მათ.

ერთი კვლევი მოვაშლევინე, რომ შენთვის პატარა სალონი მომეწყო. სააბაზანოც გაეკეთებინე. მინდოდა, როგორც საკუთარ სახლში, ისე გეგრძნო თავი, ლაღად და თავისუფლად.

წავიყვანე იქ. სახეზე ღიმილი დაგთამაშებდა, დამცინავი და ბედშერიგებული. შენ ჩემს სურვილს მორჩილებდი, მაგრამ გულში სულ სხვას ფიქრობდი. რამდენიმე დღის შემდეგ ეს ნებივრობა მოგბეზრდა და დაიჟინე, შინ წამაყვანეთო.

— დაო ჩემო, ხალხმა რომ ისარგებლოს ჩემი არყოფნით და გამქურდონ?

მაშინ ოთხმოცდაათ წელს იყავი მიტანებული და იმაზე წუხდი, არ გამქურდონო. კი მაგრამ, რა უნდა მოეპარათ შენთვის? ავეჯი? თეთრეული? მეორე ქმართან ერთად მოგზაურობის დროს შეძენილი სუვენირები, ოსტენდის ნიჟარა თუ წმინდა ქალწულის პატარა ქანდაკება?

ორჯერ წამაყვანინე თავი ლიეჟში, რათა შენი თვალით გენახა და დარწმუნებულიყავი, რომ ყველა კარი საიმედოდ იყო დაკეტილი. მერე კი საჭირო გახდა ბავიერის სააუადმყოფოში დამეწვინე საოპერაციოდ.

სანახავად მოვედი. შესანიშნავად გადაგეტანა ოპერაცია და უკვე ფეხზეც წამომდგარიყავი.

ჩემი მეგობარი ორბანი თვალებს არ უჯერებდა.

— ეტყობა, ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. მან სიცოცხლე კიდევ რამდენიმე თვით გაიხანგრძლივა.

როგორი გამომწვევი, როგორი გამარჯვების ღიმილი იღვრებოდა შენი მონაცრისფრო-მოცისფრო თვალებიდან!

ერთ უცნაურობას ვამჩნევ ჩემს თავს. საერთოდ, ძალიან მგრძობიარე ვარ ამინდის მიმართ; ჩემზე მოქმედებს მზით გაკამკამებული ქვაფენილიც, მოქუფრული, ღრუბლიანი ცაც, სიცივეც და სულის შემხუთავი სიცხეც. მაგრამ ლიეჟში გატარებული ექვსი, რვა, ათი თუ უფრო მეტი დღიდან რაღაც ნაცრისფერი ერთფეროვნების შეგრძნება გამომყვა. იქაურობა ისე დამამახსოვრდა, როგორც თეთრ ქაღალდზე ფანქრით შესრულებული ნახატი.

ერთ დღით, როცა პალატაში მართო დავრჩით, თუ არ ჩავთვლით მონაზვნის იქ ყოფნას, მკითხვე:

— სახლს რას უპირებ?

ამ ერთი კვირის განმავლობაში, რაც შენს პალატაში ვარ და უკანასკნელ დღეებს გითვლი, ეს პირველი შემთხვევაა, როცა სიკვდილზე სიტყვა გადამიკარი. როცა ბავშვი ვიყავი, საკმაოდ ხშირად და, არ ვიცი, როგორ ვთქვა, ერთგვარი კმაყოფილებითაც კი ლაპარაკობდი სიკვდილზე.

— მე როცა მოვკვდები, ბავშვებო...

ან კიდევ:

— შენ ამას მაშინ გაიგებ, როცა აღარ ვიქნები...

მაგრამ ეს იყო ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ. ახლა კი, როცა პალატაში უკვე დაძრწის სიკვდილის ლანდი, შენ არც ახსენებ მას. შიში არ გეტყობა. ასე მგონია, პირდაპირ თვალეში უყურებ სიკვდილს და მოუთმენლობაც კი გიპყრობს, ასე რომ აგვიანებს ძოსვლას.

— სახლს რა უნდა უყო?

მე გავიმეორე ის, რაც ადრეც მითქვამს შენთვის:

— სახლს მთლიანად ჩემს ძმისშვილს ვუტოვებ.

— ავეჯს, თეთრეულს და დანარჩენს?

— ყველაფერს მას ვუტოვებ.

დიდი ხანია, რაც ჩემს ძმას ეს პირობა მივეცი. იგი დაახლოებით მამაჩემის ხნისა გარდაიცვალა, ორმოცი-ორმოცდაათი წლისა, მეუღლე და სრულწლოვანი ვაჟი დარჩა. ისინი თავიანთი შრომით ცხოვრობენ, მაგრამ მაინც ფიქრადაც არ გავივლებ, დედაჩემის მემკვიდრეობიდან რაიმე დავისაკუთრო.

ერთხელ, ჩემი ლიეჟში არცთუ ისე ხშირი სტუმრობის დროს, დიდხანს მაკვირდებოდი ყურადღებით, მერე კი ისეთი რამ მითხარი, რასაც ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ:

— რა სამწუხაროა, ჟორჟ, რომ მაინცდამაინც კრისტიანი მოკვდა.

ეს იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ შენი აზრით და სურვილით, პირველი მე უნდა გავმგზავრებულიყავი იმქვეყნად?

მერე კი დასძინე:

— ის ისეთი ნაზი და მოსიყვარულე იყო...

აღბათ მე ისეთი არ ვიყავი ან არ ვამჟღავნებდი.

სახლი! შენი სახლი! მართლაც შენი სახლი, რომლის ყოველი აგური, ფანჯრები, იატაკი მხოლოდ შენ გეკუთვნოდა. ოთხმოც წელს იყავი უკვე გადაცილებული, როცა შენმა უკანასკნელმა დიშვილმა, ჩემმა დეიდაშვილმა მარიამ, რომელიც თითქმის შენი თანატოლია და დროდადრო წერილებსაც მწერს, მითხრა, რომ ერთხელ თურმე ისეთ დროს მოსულა შენთან, როცა კიბის თავზე იდექი და კორიდორის კედლებს ღებავდა. ღობეც შენ ავითონ გადაგიღებია თურმე.

შენი სახლი სხვა სახლებს არ ჰგავს. იგი სიმბოლურია, ფერონსტრესქუჩელი ხუთი წლის გოგონას გამარჯვების სიმბოლო, სიმბოლო მისი ოცნების აღსრულებისა.

უტრემეზის უბანი უბრალო ხალხითაა დასახლებული. „უბრალო ხალხს“ იმიტომ ვამბობ, რომ არ ვიცი, სხვანაირად რა ვუწოდო მათ. პუიტ-ან-სოკი, ცენტრალური არტერია, ვიწრო, ხმაურიახი ქუჩაა, სადაც ტრამვაი წკარუნით მიიკვლევს გზას მაღაზიებს შორის.

უტრემეზი სიმენონების უბანია. შენ იშვიათად მიდიოდი, მაგრამ, იშვიათად იჯექი შემინულ სამზარეულოში და კარგად არც კი იცნობდი ჩემს სუბიექტებს, მაგილებსა და მათ შვილებს. არც კი ვიცი, რამდენი ბიძაშვილ-მამიდაშვილი მყავდა, ერთი ოცდაათი მაინც იქნებოდნენ, შეიძლება ამაზე ოდნავ ნაკლები. ეს ის ბავშვები იყვნენ, ყოველ კვირას ხუთ-ხუთი სახტიმის მისაღებად რომ მოდიოდნენ ამ სახლში.

სენ-ნიკოლას სამრეკლო ორმოცდაათიოდე მეტრითაა დაშორებული შენს სახლთან. სანამ მე ლიეუიდან წამოვიდოდი ცხრამეტი წლისა, ორჯერ თუ სამჯერ გამოვიცვალეთ სახლი, და ყოველი მათგანი, ისევე როგორც შენი სახლი, ამ სამრეკლოს მახლობლად მდებარეობდა.

ბინას ხან იმიტომ ვიცვლიდით, რომ იჯარას ვადა გაუვიდოდა, ხან კიდევ იმიტომ, რომ შენ სხვა, უფრო დიდ სახლს მოძებნიდი ხოლმე. მხოლოდ ავეჯს არ უცვლიდი ადგილს, ამ უბანში ხომ ყველა სახლი მეტ-ნაკლებად ერთნაირი გეგმითაა აშენებული.

ამ უბანში ცხოვრობენ პენსიონერები, წვრილ-წვრილი მოხელები, ხელოსნები, პენსიით უზრუნველყოფილი ქვრივები, ვისაც მე უბრალო ხალხს ვეძახდი და ვის წარმოშადგენლადაც ვთვლი თავს დღემდე.

შენი სახლი სულ ბოლო იყო ქუჩაზე, რამდენიმე ნაბიჯით დაშორებული იმ სახლიდან, საიდანაც წამოვედი მე პარიზში. მე იქ ერთი ღამეც არ გამითევია. ერთ-ორ საათზე მეტხანს არასოდეს დავრჩენილვარ, გზადმიმავალი თუ შემოვივლიდი ხოლმე.

ბოლოს რომ ჩამოვედი, მეგონა, სახლი შემეშალა. ყოველთვის ვცნობდი, მაგალითად, ანრი III სტილს მიმსგავსებული სასადილო ოთახის ავეჯს — მაგიდას, რომლის ოთხივე კუთხეზე მოჩუქურთმებული იყო ღომის თავეები, ფერად-მინებიან ბუფეტს, კორდოვული იმიტირებული ტყავით გადაკრულ სკამებს.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, შენს სახლში დამხვდა სასადილო ოთახის ორი თითქმის ერთნაირი ავეჯი, ორი თითქმის ერთნაირი მაგიდა, ორი ფერადმინიანი ბუფეტი და კიდევ სავარძლები, რომლებსაც პირველად ვხედავდი.

ყველაზე უცნაური ის იყო — ვერ ვხედავ, ვთქვა, ყველაზე სასაცილო-მეთქი — რომ თავად შენც ვეღარ ვერკვეოდი, რომელი იყო შენი ავეჯი, ის ავეჯი, რომელიც შენ და მამაჩემმა შეიძინეთ ძალიან დიდი ხნის წინათ, დაქორწინების შემდეგ, აქვე იყო მამა ანდრეს ნაყიდი თითქმის ისეთივე ავეჯი და შენ ისინი ერთმანეთში გეშლებოდა. მაგალითად, მეუბნებოდი:

— შეხედე, ჟორჟ, ეს ის მაგიდაა, რომელზეც შენ „არშის ხიდზე“ დაწერე.

ეს ის მაგიდა არ იყო. მე ეს მაგიდა არასოდეს მენახა. იგი სხვა ოჯახის საკუთრება იყო. ამ ოჯახს კი მე არ ვიცნობდი.

სხვათა შორის, არაფრით არ მითხარი, სად გაქრა ის წითელი ხის მაგიდა, რომლის პრიალა ზედაპირს ზუსტად ისეთი ანარეკლი ჰქონდა, მე რომ მომწონს. მეფიცებოდი, ეს არის ის მაგიდაო, მაგრამ მე ხომ უკვე ვიცოდი, რომ ის მაგიდა შენს დისშვილს, შენს უკანასკნელ ნათესავს მარიას აჩუქე.

შენ ხომ ნაბოლარა იყავი, შენსა და შენს და-ძმებს შორის ისეთი ასაკობრივი სხვაობა იყო, რომ ბოლოს შენლა დარჩი ოჯახიდან, და კი აღარ გეღვა

გვერდით ღრმა მოხუცებულობაში, არამედ თითქმის შენი თანატოლი, ერთაწლით უმცროსი, შენსავით დაკოჭლებული დისშვილი.

როდესაც მან აკადემიულობის გამო ველარ შეძლო შენთან სიარული, ველარც მე ვიგებდი შენს ამბებს, თუ არ ჩავთვლით იმ წერილებს, რომლებსაც იმდროინდელად მწერდი. მაგრამ უკვე ერთმანეთში იმდენად გერეოდა აზრები, თარიღები, მოვლენები, რომ მამა ანდრეზე ისე მელაპარაკებოდა, როგორც მამა ანდრეზე.

ნუთუ ახლა, სააკადემიუოს ლოგინს მიჯაჭვულს, კიდევ გერევა ადამიანები და თარიღები? არა მგონია. შენს მზერას რაღაც უჩვეულო სინათლე ახლავს. ძალიან ცოტას ლაპარაკობ, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც მნახველები გახვევია თავზე. ისე და ისე შენს ნება-სურვილზე და გადაწყვეტილებებზე ლაპარაკობ.

— მომისმინე, ფორუ, ხომ იცი, რომ არასოდეს არ მომწონდა ის სასაფლაო, მამაშენს რომ გაუკეთე.

დეზირეს საფლავს გაუთლელი გრანიტის დიდი ფილა ადევს, ზედ გვარი და თარიღი აწერია მხოლოდ. ყოველთვის მზარავდა სასაფლაოზე წამოძარბოული ძეგლები, მარმარილო, სვეტები და მათში ჩასმული პორტრეტები.

— იცი, მე მგონია, ის სასაფლაო დაბლა იწევს.

ეს, ჩემი მზრვი, გულცივობა როდია. პირიქით, მე ყოველთვის ვეთაყვანებოდი და ახლაც ვეთაყვანები დიდ დეზირეს. მაგრამ მის საფლავზე არასოდეს არ მიზრუნია განსაკუთრებით, არც არასოდეს მივსულვარ იქ თავის დასახრელად. როდესაც მომინდებოდა, რომ დეზირეს ყოფნა ვიგრძნო ჩემ გვერდით, მასზე ფიქრს ვაწევ.

მერე ისეთი რამ დახდინე, რის უხამსობაზე ალბათ არც დაფიქრებულხარ:

— მიჩვენებია, მამა ანდრესა და მისი ცოლის გვერდით დავიძარბო.

გაოგნებული დავრჩი. სიცოცხლის ბოლოს ერთმანეთში გერეოდა ორი მამაკაცი, რომელთაგან თითოეულს შენი ცხოვრების გარკვეული ნაწილი ეკუთვნოდა. ნეტავ მართლა თუ ვიყვარდა მამაჩემი? ამაზე მხოლოდ ახლად დავფიქრდი. რაზეც შენ ოცნებობდი ქორწინების პირველ დღიდან, ეს თქვენი ორივეს ოცნება კი არა, მხოლოდ შენი ოცნება იყო.

მაშინ უკვე საკუთარ სახლზე ფიქრობდი და დეზირესაგან ფარულად ფულსაც აგროვებდი. სინამდვილეში, ეს მართლაც შენი ფული იყო. ეს ის ფული იყო, მდგმურების მოვლის საფასურად რომ იღებდი. ეს გადანახული ფული მხოლოდ შენ გეკუთვნოდა, რაც, ჩემი აზრით, თქვენი სიყვარულის სასარგებლოდ არ ლაპარაკობდა.

ისიც მართალია, რომ მაინცდამაინც არც მამა ანდრეზე ვიუდებოდი. ისე კი, ვერ გამოვიდა, რატომ ეძახდი „მამა ანდრეს“? იგი ხომ არავის მამა არ ყოფილა, არასოდეს შვილი არ ჰყოლია და არც რომელიმე რელიგიურ ძმობას არ მიეკუთვნებოდა.

მაგრამ ის მაინც მამა ანდრე იყო, ჩემი მამა კი დეზირე იყო.

ლუას ქუჩაზე მდებარე სახლის პირველ სართულზე ორი ოთახი და კორიდორის ბოლოში მითავსებული შემინულკარიანი სამზარეულო იყო. ორივე ოთახი სასადილო ოთახის ავეჯით, ძველი მკარძლებით იყო გამოჭედილი, კედლებზე ეკიდა კრისტინის, ჩემი, მამა ანდრეს, მისი ცოლის, დეზირეს სურათები.

ამ კედლებზე ორი ოჯახი იყო ერთმანეთში არეული, ოთახებში კი ორი ერთნაირი ავეჯი იდგა, რომლებშიც უკვე თავგზა გერეოდა და ახლად დაქორწინე-

ბული წყვილის შენაძენად თელიდი იმას, რაც სინამდვილეში მოხუც პენსიონერს ეკუთვნოდა.

ეს ამბავი ყოველთვის მაცბუნებდა, მე მგონი, ახლაც მაცბუნებს.

მე თვითონ ორი ცოლი მყავდა, ახლა მესამესთან ვცხოვრობ, მაგრამ ჩემს ნოვონებებში არასოდეს ამრეკია ისინი ერთმანეთში.

ჩემმა შვილებმა კარგად იციან, საიდან გვაქვს ესა თუ ის, მაგრამ ჩემი თუ სურათი, მაგრამ მე მგონი, ეს მათ სულაც არ აინტერესებთ.

ხედავ, დედა, მე არაფერი მაქვს შენთვის სასაყვედურო და არც გასაყვედურობ. შენ შენი ცხოვრების დინებას იშვიათი, უფრო სწორად, უიშვიათესი ერთგულებით მიჰყვებოდი. რაც გინდოდა, მიაღწიე, საავადმყოფოს საწოლზე მიჯაჭვულს, იქნებ ამიტომაც გაქვს ასეთი მშვიდი გამომეტყველება, რომელშიც ხანდახან ირონია გამოკრთება ხოლმე:

ვულგარულად რომ ვთქვათ:

— შენ ყველა გააბითურე, გააცურე!

ჩემო ძვირფასო დედიკო, როგორც ხედავ, ისევ იმ სიტყვებით მოგმართავ, რითაც ეს წერილი დავიწყე, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ვღელავ.

ერთ საღამოს, ის იყო დაწოლას ვაპირებდი, როცა საავადმყოფოდან დამირეკეს და მითხრეს, რომ შენ გარდაიცვალე. ამას ყოველ წუთს ველოდებოდი, მაგრამ სინამდვილემ თავხარი დამცა. სასწრაფოდ ჩავიცვი და გამოვეშურე საავადმყოფოსაკენ, შენი პატარა პალატისაკენ, რომელსაც ასე შევეჩვიე და სულაც არ ვფიქრობდი, რომ ის შენი დროებითი ადგილსამყოფელი იყო. დამშვიდებული სახე გქონდა, არამიწიერად დაწყნარებული. შუბლზე გეამბორე, ისევე როგორც მამაჩემს, და გვერდით მოგიჯექი. მონაზონი ისევ იქ იყო, ისევ უძრავად იჯდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ვკითხე, ხომ არ უწვავლია-მეთქი. არაო, მიპასუხა.

ჩემდა უნებურად ისევ ფიქრებს მივეყვებოდი. ჩვენი ერთად, თითქმის უსიტყვოდ გატარებული კვირა მაკლდა. მეჩვენებოდა, რომ ეს კვირა ჯერ არ დამთავრებულიყო, რომ ჩვენი ურთიერთობა ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი. არ მინდოდა შენი გაშვება შენს შეუცნობლად, გაუგებრად. შენს თვალებს, ახლა უკვე დახუჭულს, არამიწიერი უძრავობის იერი დაჰფენოდა, ტუჩებზე კი ისეთი იდუმალი ღიმილი შეგყინვოდა, რომლის აზრს ახლაც ვერ ვხვდებოდი: რა იყო ეს, ირონია თუ სიმშვიდე? როგორ გავიგო? ალბათ უფრო სიმშვიდე.

ტანსაცმელი ჩაგაცვეს. შენს პატარა საწოლზე იწექი ღამაში, დიდებული, მბრძანებლური. ჩვენ კი, შენს გარშემო შეკრებილნი, ჩვეულებრივი ადამიანები ვიყავით ჩვენ-ჩვენი პატარა საწუხარით, საზრუნავითა და გაუბედაობით შეპყრობილნი. შენ ყველაფერი ეს უკვე უკან მოიტოვე და ახლა ზევიდან გვიყურებდი გაქვავებული და უძრავი.

ისევ ვფიქრობდი, კვლავ შენს შეცნობას ვცდილობდი. და მე მივხვდი, რომ მთელი სიცოცხლე კეთილი იყავი. კეთილი არა აუცილებლად სხვებისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის. ეს იყო შინაგანი სიკეთე. შენ იბრძოლე იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც ხუთი წლის გოგონამ დაისახე. ძალიან გჭირდებოდა, ყოველთვის გჭირდებოდა კეთილი ყოფილიყავი, გეგრძნო, რომ კეთილი იყავი. ამიტომ იყო, დედა, რომ მთელი სიცოცხლე თავს სწირავდი. ეწირებოდი პირველივე გამკლელ უბედურს, დანგრევის პირზე მყოფ ოჯახებს, მარტოხელებს და ყველაფერს, რაც კი შენ გარშემო ხდებოდა.

გულში ყველასათვის სინაზისა და მოთმინების ზღვა გედვა. არაფერს არ

შეეძლო შენი შედრკომა, პირიქით, რაც უფრო ძნელი იყო საქმე, მით უფრო ეჭიდებოდი მას.

განა გასაკვირია, რომ არასოდეს გული არ მიგიწევდა მათგან, ვისაც ამ ცხოვრების ნებიერად თვლიდი?

ასეთებად ჩვენ მიგაჩნდიო. შენ ჩვენსკენ არც კი იხედებოდი, იმ კატეგორიას გვაკუთვნებდი, ვისაც მოყირჭებული აქვს ამქვეყნიური სიბრძნე.

შენ იმ ხალხის შვილი იყავი, რომელსაც ცხოვრებამ არაფერი არ გუნა, ვისთვისაც უმნიშვნელო სიხარულიც კი გამარჯვებაა, რომელიც ძალით უნდა გამოგლიჯონ ბედს.

ბრძოლას განაგრძობდი. შენი ცხოვრების საქმე ჯერ არ დაგემთავრებინა. სანამ მე და კრისტიანი კოლეჯში ვიყავით, მღვმურების საქმეებით იყავი გართული. ჩვენი მომავალი უკვე განადგებულად მიგაჩნდა. მაგრამ შენი მომავალი კი ისევ სადარდებელი იყო, შენიც და იმ ხალხისაც, საყიდლებზე გასულს უბანში რომ გხვდებოდნენ.

ჩვენთან კი ის სიკეთე კი არა, — დედაშვილური სიყვარული გაკავშირებდა. თუმცა კი ეს სიკეთეც უნდა ყოფილიყო და არა მარტო სხვების მიმართ, არავისგან არ ელოდი მადლობას. თვითონვე გჭირდებოდა, რომ კეთილი ყოფილიყავი.

მე მგონია, რომ ზუსტად ეს აღმოვაჩინე იმ პალატაში, სადაც გაატარე შენი ცხოვრების უკანასკნელი რვა დღე.

შენ, ისევე როგორც მამაშენს და შენი და-ძმების უმრავლესობას, გრძნობები გაფაქიზებული გქონდა. ახლა ამას ნევროზს ეძახიან. გადაჭარბებულად მგრძნობიარენი იყავით. ზოგიერთი შენი და-ძმა ამაოდ ეძებდა შვებას სასმელში. ნაბოლარამ კი, რომელმაც საკუთარი თავით უყურა ოჯახის ბრძოლას და თანდათანობით დაცემას, ჯერ კიდევ სრულიად პატარამ გადაწყვიტა, თვითონვე ეშველა საკუთარი თავისთვის.


ეს ღია ფერის, თითქმის თეთრთმიანი გოგონა, „ინოვასიონის“ გამყიდველი და ვალერის მესაიდუმლე, ის ქალიშვილი იყო, დეზირეს სიარულს და ქუდის მოხდით მისაღმებას ალტაცებაში რომ მოჰყავდა.

მერე უკვე ოჯახის უღელდადგმული და მტირალა ბავშვის პატრონი მიხვდი, რომ ეს საკმარისი არ იყო. სახლი იქირავე, მღვმურები დააყენე, ნამდვილ მონურ შრომას შეეხე. ასე იყო დეზირეს სიკვდილამდე. ნუტავ რამდენი წლის მერე გათხოვდი მეორედ? მე ეს არ ვიცი. უკვე მიზანს უახლოვდებოდი — უზრუნველ სიბერესა და ამ ყბადაღებულ პენსიას.

განა შემიძლია ამის გამო ნაწყენი ვიყო შენზე? მე ვიცი, რომ ომის დროს ოქროს ფულს ნახშირის გროვაში მალავდი. განა იმიტომ, რომ შენთვის ინახავდი და ძუნწი იყავი: თან პატარა ქისებს კერავდი ჩემი შვილებისათვის.

მე იმდენს გიგზავნიდი, რომ შეგეძლო ხელგაშლილად გეცხოვრა. მაგრამ მოვიდა დრო და ის ფული უკლებლივ უკან დამიბრუნე.

ხედავ, დედა, შენ ყველაზე რთული ადამიანი ხარ, რომელიც კი ოდესმე შემხვედრია. ხშირად შენზე ფიქრისას ის ეტლი დამდგომია თვალწინ, შენი დის წასაყვანად რომ მოვიდა. ჩვენ ორ შორის იყო მხოლოდ ერთი ძაფი. ეს ძაფი იყო შენი ძლიერი სურვილი, ყოფილიყავი კეთილი სხვებისათვის, მაგრამ განსაკუთრებით საკუთარი თავისათვის ალბათ.



ტკივილი

დიდამ შემოსა მზის სხივებით ბნელი სამყარო,
 ზეცის თავანზე ნათელ ფერთა დასხდნენ მტრელები,
 მაგრამ ეს ჰანგი არის ექო წარსულ ვედრების
 და იმედები ისევ მასზე როგორ ვამყარო?!



ახლა, როდესაც ტკივილები სხეულს უკლიან,
 ახლა, როდესაც უბილობა თვალებს მინისლავს
 და გარდასული ტანჯვის გზები დასისხლულია,
 მე რაღას მარგებს მომხიბლავი შუქი დილისა?

და მაინც ვუმზერ ბრბოს უღარდელს, ქუჩას რომ ეძმო,
 ვუსმენ მათ სიცილს და სიმღერას, ხალისით სავსეს.
 ვოხრავე და ვფიქრობ, რომ შემეძლო მეძღვრა ასე
 და მგოსნის ქნარზე უმძაფრესად ეს ჰანგი მეგრძნო,
 სანამ სიღალეს განდევნიდა ტანჯვა ტირანი,
 სანამ სულ ნაღვლით ამავესებდა ყოფნა მეგმინავი.

ოღა მღუმარებას

სანთლად დნება ყოველივე შენს წინარე, მღუმარებავე,
 თვით დიდება საუკუნო კარგავს ფერს და მხურვალებას,
 ჩემს წლებს, შენთვის შემონახულს, ნუ დატოვებ ნურასოდეს,
 რომ ვაების განრიდებას შენს ღვთაებას ვუმაღლოდე.
 მღუმარებავე, შემოგწირე ადრეული საიდუმლო,
 რომ მარადეამს ჭეშმარიტის განსახებად დაგიგულო,
 მე დავლოცე სანატრელი, საოცნებო შენი კიდე,
 რაკი შმაგი ქარიშხალი ჩემს მარტოსულს განარიდე.

ის, ვინც ეძებს მიმწუხრისას შენს უმყდრეს ნავს და ყურეს,
 მღუმარებავე, მას ღვთიური შენი შუქი თავს დაჰყურებს,
 მაგრამ ვიცი, გულს გიწყლულებს მისი ზნე და ჩვეულება,
 თუ სიზანტე თან დაჰყვება, მორეული სნეულებად,
 თუ თან დასდევს ცრუ იმედი, მოგონება კომმარული
 და მოკვდავი იქანცება ამ წამებით მოშხამული,
 სიზმარს ვესლავს მოჩვენება, ცხადს მოწამლულ ისარს ასობს,
 წინ მიუძღვის ეს ჩვენება, თვითონ უკან მიღასღასობს.

მე კი შენი ნაზი ტრფობა დამიმკვიდრებს ნაცნობ მდელს,
 ეს ახდება აისის ჟამს, სასოებით საპოვნელი,
 და ზაფხულის ნაცნობ ხვატში მაზიარებ გრილ სავანეს,
 არასოდეს ამაცილო, სასურველო, იმ სამანებს.
 შემოდგომის ქარაშოტი გადახვეტავს ღრუბლის ფთილებს
 და ამ ღრუბელს შორი გზისკენ მივარის სხივი გააცილებს.

იმ დროს ფიქრი გაიუღვებს უტკბილესი, უმთავრესი,
 ფიქრი წყნარი და მსუბუქი, ნათელი და უმთვარესი,
 დაუცხრომელ გულს უყოფადს, შენ რომ გრძნობით შემოგცინა,
 შენვე გაძღვნი და მხოლოდ შენ, და მხოლოდ შენ შემოგწირავ!

პანთისოკრატია

ეროვნული
 ბიზნისი

განვიღო დღეების გავიხსენებ გაცრეცილ ღანდებს,
 როგორც საწუთროს უმდაბლეს და მდარე სახსოვარს,
 იმედის ზვირთი ოკეანეს უვრცელესს ვანდე,
 რაა იმედი, თუ კაცის სულს არ ესასოვა.

მიველტვი დაბლობს, იქ აღთქმული მელის საფარი,
 იქ მე ვიქნები მეუფე და ძალთა მპყრობელი,
 იქ მთვარის შუქზე აცეკვდება ველის ზღაპარი,
 ყველა ტკივილის, ყველა ეჭვის დამამხობელი.

და ავცრემლდები ერთ დროს საესე მწარე ნაღველით,
 ცით მოვლენილი სიხარულის გასხივოსნებით,
 როგორც ისინი, ვისაც ხუთავს ღამე მსახვრელი
 და გულს უკოდავთ მისტიური შავი ფრთოსნები.

დადგება დილა, ღვთის ნაკურთხი, ნაამბორალი
 და მზის სხივებით გაიბმება ძმათა ბორანი.

კიანი დედაივას

მიწავ მშობელო, ურიცხვ შვილთა მზრუნველო დედავ,
 ოი, ქალღმერთო, საღმად გაძღვნი უნათლეს ხოტბას,
 შენთვის აქლერებს ეს სიმები უტკბილეს ჰანგებს,
 ო, სულს ჩემო, ეს სიმღერა ირგვლივ მოჰფინე!
 ვჭვრიტე მდელიონი და წყარონი შენი წიაღის,
 ვარსკვლავთ სიწმინდით მოციალე ნაკადულები,
 ათრთილლებული მშვენიერი სანახაობით,
 დიდო მშობელო, მე შენს მკერდში გულს ჩემსას ვმარხავ,
 შენს წიაღს შეენის ზმანებანი შუაღამეთა,
 ოი, ქალღმერთო, გამამხნევე, მომამყარ მზერა,
 შთაბერე მეტი ხმოვანება პოეტურ არფას,
 რომ ჟღერდეს იგი უწრფელესი უმანკოებით.
 ცვარად აკურე ჩემს გულს სევდაც და სიხარულიც,
 სანამდე იგი დაიღვრება ცრემლის ღვარებად,
 მიწავ მშობელო, ურიცხვ შვილთა მზრუნველო დედავ,

* პანთისოკრატია — ყველას ძალაუფლება, თვისუფელ ადამიანთა
 თემი, რომლის დაარსებასაც აპირებდა ამერიკაში ახალგაზრდა კოლრიჯი.
 (მთარგმნელის შენიშვნა).

ვარსკვლავთა დაო, სანატრელი სიამეუ მზისა,
 მთვარის მფარველო და მოყვარევ, ო, დედამიწავ,
 მარად ნორჩო და დაუმჭკნარო, ტრიალებ მუდმივ,
 მარად ნორჩო და ახალგაზრდავ, სივრცეებს იპყრობ,
 ზეცის მეცხედრევ, მშვენიერო, ო, დედამიწავ,
 საყვარელ მზერას მაღლიდან რომ უტკბესად გააყრობს,
 ნეტავი იმ დროს, სიყვარული ზეცამ რომ გიძღვნა,
 ღრუბლები თვისი შემოგხვია ძვირფას სამოსად
 და რომ შეგიტკბო, შეგითვისა, ნეტავი იმ დროს!
 მე მახსოვს, როგორ შეგეპარა სიწითლე ნაზად
 და ნეტარების ჩუმი განცდა, ო, რა ღრმა იყო!
 მაგრამ იპოვე შენი თავი ისევ შენშივე
 და სიყვარულში აღორძინე თვითგანახლება!
 ზეცის მოხვევნით მირიადმა ჩქროლვამ იხუვლა
 და დედამიწის მობინადრეთ მძლავრად დაჰბერა
 და მდინარენი, ნაკადულნი ჩქეფდნენ ოცნებით
 და ოკვანე გადმოზვიროდა, ღელვის მოსურნე,
 ნორჩი სიცოცხლე გადაეკლო მთასა და კორდებს,
 ნაზი ჟღერტულით ჩაუსახლდა ხასხასა ყლორტებს.



უილიამ უორდსუორთი

მიმართვა დედამიწისადმი

(თებერვალი, 1816)

მწუხარე ლანდი სიმღერაში აქსოვდა სევდას:
 „ო, დედამიწავ, კაცთა მოდგმის მშობელო დედაე,
 დაე მშვიდობა შენს საკანეს ფარად უძლოდეს,
 მოვედი შენთან, რომ გხედაუდე მარად უცოდველს,
 ვარ სამეფოდან, არ ბოგინობს სადაც ავსული,
 მსურს აღარ იყო ხუნდგაყრილი, აღარც ჯვარცმული
 და დაგანახო უშფოთველი დღენი მოძაველის,
 ცად აღგაველინო წმინდანების თეთრი ხომალდათ.
 ავივსეს მკერდი სისხლიანი საპყრობილეთი,
 დღესაც საკსეა წამებულთა, ტყვეთა დილეგი.
 იმედიათი ცხოვრების ხეს ტანჯულ-გვემული
 ბევრი განშორდა ქარიშხლის ფრთით დანარცხებული.
 რამდენს წამებით აღმოხდა სული
 და წილად ერგო მარადისად ბნელეთი კრული.
 არავის ახსოვს მათ გვემაზე მოთქმა-გოდება,
 თუმც მოსწყდნენ მიწას ანგელოზებად.
 მათ სულს არ აკრთობს ზეცის გრგვინვა, დაბურუსება,
 შორს განიფანტნენ ფრთოსან მუზებად.
 ო, დედამიწავ, იქნებ უფრო დედინაცვალო

ნუთუ არ გვეო მილიონთა ბედი აწვალო,
 მე მოგაპკურებ ციურ ცვარ-ნაბს, რომ დედის განცდა
 ისევ შთავბერო და არ იყო მტანჯველი კაცთა,
 ჩამოვისხურებ ნეტარ წვეთებს ჩემი ფრთებიდან
 და დალოცვისას შეგავედრებ მე ერთ სათხოვარს:
 მდინარეები სისხლისაგან გადაფერილან
 და ნუ ისურვებ ნურასოდეს ამგვარ სახსოვარს,
 რომ აღარ იფოს ხოცვა-ელეტა ენით უთქმელი,
 რომ სისხლის ნაცვლად დადგეს უამი ლოცვა-კურთხევის,
 მაშინ მოგწვდება სერაფიმთა ლოცვა ციური
 და ვინც შებილწოს წმინდანების ალაგ-სამყოფი,
 ყველა მოსურნე მათი დამხობის
 შერისხოს ზენამ, არ ასცილდეს რისხვა ღვთიური,
 სამარადუამოდ დაიმკვიდროს შავი უფსკრული.
 შენ კი, მიწაო, ნუ იქნები ასე მდუმარი
 და შენთა შვილთა ბედზე იყავ გადანასკვული".
 და თურმე ესმა დედამიწას ხმა იღუმალი.



მშვენიერი ხარ

მშვენიერი ხარ, მაგრამ იცოდე,
 გულს ნუ მოგიკლავს ჩემი სათქმელი:
 ერთ ღროს მიყვარდა შენში სიმორცხვე
 და სათნოების წმინდა კანდელი.

დღეს კი სულ სხვა ხარ, სულ სხვა
 შროშანი,
 ეს შეგონება მუდამ იახლე, —

სული, რომელიც ჩემგან შორს არი,
 შენდამი ტრფობას ვერ განმიახლებს.

მშვენიერი ხარ და ის იკმარე,
 რასაც ბუნება უხვად გთავაზობს,
 ამიერიდან ვინც შეგიყვარებს,
 ამპარტავნება შენი დააზრობს.

... ს-ადმი

დაე, სხვა მგოსნებმა უმღერონ ანგელოსს,
 უმღერონ ანგელოსს, კაშკაშა მნათობებს,
 შენ არ ხარ უნაკლო და დაე გათოვდეს
 სხივი და ცხოვრება უმანკოდ განგევლოს.

რომ გახლდეს მარადის მშვენება უზადო
 და ყველა მოკვდავმა ალერსი შეგატკბოს,
 მაშინ ჩემს ფიქრებში რიდათი შეგამკო
 და ხარკი ჩემს გრძნობებს რიდათი
 ვუხადო?

დაე, ნუ გიხმობენ სახულად ანგელოსს,
 სხვას რას შეგადარო, თუ არა მშვენებას,

სხვას რას მიგამსგავსო, თუ არა
 მშველელად
 მოხმობილ ჩვენებას, ოცნების კანდელი!

არ არის ახდელი დღეს მისი ვუალი,
 სადაც თვლემს განცხრომით მშვენება
 ნამდვილი
 და მისით დატკბობა ჩანს გარდაუვალი,
 რომ იგრძნო ხიცოცხლე კვლავ გულის
 წადილით.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთხრობა

თარგმნა ლილი აქაღლიშვილმა

I.

დაიწყო მიხვეულ-მოხვეული გზა. მეგონა, ამაგის უღელტეხილს მივადექი - მეთქი, რომ უცებ შხაპუნა წვიმა წამოვიდა, მთის ძირას ტანაყრილი კრიპტო-მერიის ტყე თეთრად გადაახუნა.

მაშინ ოცი წლის ჭაბუკი ვიყავი. თავზე უმაღლესი სკოლის ფორმის ქუდი მეხურა, მეცვა ბამბის ლურჯად მოჩითული კიმონო და პაკამა¹. ზურგზე უბრალო სტუდენტურ ჩანთამოკიდებული მარტოდმარტო მივაბიჯებდი იძუელ-უკვე მეოთხე დღე იყო გზას ვადექი. პირველი ღამე სიუძენძის, დანარჩენი ორი - იუგასიმას ცხელ წყლებზე გავატარე და ახლა ხის მაღალძირიან, იაფფასიან გეტებზე შემდგარი ამაგის უღელტეხილისაკენ მივაბიჯებდი. დაბურულ ტყეებში, ბინდით მოცულ ხეობებსა თუ მთის ფერდობებზე დავახებული შემოდგომა გრძნებით მკრავდა, მაგრამ გზას ვერქარებოდი, იმედით აფორიაქებული გული წინ მისწრებდა.

შხაპაშხუპით წამოსულმა წვიმამ სეტყვასავით რომ დამცხო, მთისაკენ მიმავალ მიხვეულ-მოხვეულ გზას სირბილით შევეყევი. მთის თავზე, ჩრდილოეთის მხარეს, პატარა საჩაიე იყო. საჩაიეში შევეკარდი, ერთი ღრმად ამოვისუნთქე და... გავშეშდი. ალბათ არ დაიჯერებთ, მაგრამ ოცნება ამიხდა - მოხეტიალე მსახიობთა დასი დასასვენებლად სწორედ ამ საჩაიეში იყო გაჩერებული.

კარის ზღურბლთან გაშეშებული რომ დამინახა, მოცეკვავე გოგონა დასაჯდომი ბალიშიდან გადაცურდა, ბალიში გადააბრუნა და ჩემ წინ დადო.

- ე-ე-ე...

აღმომხდა ჩემდა უნებურად ეს გაურკვეველი შემახილი, როდესაც ბალიშზე დავეშვი. სირბილისა და გაოცებისაგან სუნთქვა ისე შემეკრა, მაღლობის თქმა(ე) ვეღარ მოვახერხე.

მოცეკვავე გოგონას გვერდით ვზივარ, თანაც ასე ახლოს-მეთქი, - ახლა უკვე საბოლოოდ დავიბენი, უბიდან სიგარეტი ამოვიღე და მოვუკიდე. გოგონამ საფერფლე მომიცურა, რომელიც იქვე, მის მეზობლად მჯდარი ქალის წინ იდგა, მე კი სიტყვა ვერც ახლა დავძარი.

შესახედად ჩვიდმეტი წლის თუ იქნებოდა. თმა ძველებურ ყაიდაზე ჰქონდა დავარცხნილი. მსხვილ, უცნაურ ტალღებად დაწყობილი ღამაზად დასდგომოდა მის ნატიფ, მოგრძო სახეს. სახე თითქოს პატარა გეჩვენებოდა, მაგრამ ო, რა საყვარლად ეხამებოდა თმის ამ ვარცხნილობას! ასე დაყენებული თმა არასოდეს მენახა. მეგონა, ეს დიდებულად დავარცხნილი ქალიშვილი ძველთა-ძველი თქმულებებით შთაგონებული მხატვრის ყალბით იყო ნახატი. დასი, გარდა მოცეკვავისა, ორმოციოდე წლის ქალის, ორი სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილისა და

1. იაპონური შარვალი.

ოცდახუთიოდე წლის მამაკაცისაგან შედგებოდა. ჰაპიში¹ გამოწყობილ მამაკაცს ზურგზე სასტუმრო ნაგაოკას ემბლემა ჰქონდა ამოქარგული.

გზაზე მე უკვე შესამედ ვხვდებოდი მოცეკვავესა და მთელ ამ დასს. პირველად იუგასიმას გზაზე შევხვდი, იუგავას ხიდთან. მაშინ დასში კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალი იყო. მოცეკვავეს უშველებელი დოლი ეჭირა, მე წარამარა უკან ვიყურებოდი და მათ კვალს ვაყვებოდი. ასე მეგონა, ჩემი უსაქციელი მგზავრის ჩვეულებრივი თანაგრძნობა იყო — თანაგრძნობა მეორე, მასავით დაღლილი მგზავრის მიმართ. იუგასიმასში კიდევ შევხვდი დასს, ისინი — ხალხის გასართობად სასტუმროში დაპატივეს. მოცეკვავე გოგონა სასტუმროს შესასვლელში ცეკვაავდა, მე კი ვიჯექი კიბეზე და თვალს ვერ ვაცილებდი, მთელი ჩემი სული და არსება მისკენ მიისწრაფოდა. მახსოვს, გუნებაში გავიფიქრე — ესეაა სიუძენძში იყვნენ, ახლა აქ არიან, ხვალ ალბათ უღელტეხილის სამხრეთით, იუგანოს ცხელ წყლებზე გადავლენ-მეთქი. და მერე მთელი გზა მეტიმეტად ვჩქარობდი, დარწმუნებული ვიყავი, უსათუოდ დავეწეოდი — აბა სამი რი² რა ისეთი დიდი მანძილია-მეთქი, — ვფიქრობდი. მიუხედავად ამისა, შეხვედრა საჩაიეში, სადაც იმ შხაპუნა წვიმას შევეფარე, ჩემთვის მეტად მოულოდნელი აღმოჩნდა.

მალე მოხუცი დიასახლისიც მოვიდა და ერთ უკარ-უსიობო პატარა ოთახში შემიყვანა. ეტყობა, აქ ასეთ ოთახებს მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ მგზავრები. მე ქვევითკენ გავიხედე — შორს, უძირო უსასრულობაში თვალჩაუწვდენელი ხეობა იყო ჩაწოლილი. მთელ ტანში ჭიანჭველებმა დამიარეს. კბილს კბილზე ვაცემინებდი, აკანკალებული ყრფოლას ვერ ვიცავებდი.

— თი, ბატონო, ხომ არ დასველდით? აქეთ მობრძანდით, ტანისამოსი გაიშრეთ, გათბით... მობრძანდით, მობრძანდით! — თითქმის ძალით წამიყვანა მოხუცმა ქალმა თავისი ოთახისაკენ.

კერიაში ცეცხლი ღუღღუღებდა. სიოძი³ გავწიე თუ არა, სახეში უმაღლობილი, სასიამოვნო ჰაერი მეცა. წუთით ზღურბლზე შევღექი. ცეცხლის პირას დამხრჩვალავით სახეგალურჯებული, გაბერილი მოხუცი ვაცი იწვა. მოხუცმა თავისი ჩამქრალი, ყვითლად ჩაშრეტილი თვალები მომანათა. ირგვლივ გაყვითლებული წერილებისა და ქალაქების პაკეტების მთები ედგა და თითქმის ჩამარხული იყო ქალაქის ამ გროვაში. რატომღაც გული არ მიმივიდა, ახლოს ვერ მივეკარე ამ ცოცხალმკვდარ, უმოძრაოდ გაშუშებულ საფრთხობელას.

— ჩემი კაცია, — მითხრა დედაბერმა, — ბოდიშს გიხდით! თავისი უძღურებისა ერიდება... მაგრამ, ნუ გაგვიბრაზდებით, ჩემო ბატონო, სულ ვეღარ მოძრაობს, წევს ასე გაუნძრევლად... — მერე განაგრძო, — უკვე კაი ხანია, დამბლა აქვს. ამ ცოტა ხნის წინ კი ისევ დაეცა წვეთი და მთლად ბოლო მოუღო. აი ეს ქალაქის მთები წერილებია, მათში დამბლის სამკურნალო რჩევა-დარიგებებია. პაკეტებში წამლები აწევია. წერილებსა და ამ წამლებს პროვინციებიდან უგზავნიან, თითქმის ყველგანა აქვს მიმოწერა, საიდან აღარ აგზავნიან შინაურ წამლებს, თვით იაპონიის შორეული კუთხეებიდანაც კი... რა იცი, ქალაქის ეს ნაგლეჯები იქნებ ცოტათი მაინც უაღვილებს ცხოვრებას — სხვა თუ არა, ცოტა გაერთობა მაინც...

მე კერის პირას თვალებდახრილი ვიჯექი და არ ვიცოდი, რა მეთქვა, რით

¹ სამუშაო ქურთუკი.

² სივრძის საზომი, უდრის 3.927 კმ-ს.

³ გასაწევი შიგნითა ტახარი იაპონურ სახლში.

მეზღვეშებინა ეს მოხუცი ქალი. ნეტავი რატომ ჰყავდათ პაპა ამ ულელტეხილზე? არ ჯობდა, ბარში ჩაუყვანათ? აქ ახლაც ძალიან ციოდა, ცოტა ხანში კი თოვლი ალბათ სულ გადაათეთრებდა აქაურობას... უცებ სახლი შეზანზარდა — გვერდით მანქანამ ჩაუარა. კერიაში ცეცხლი ისე ცხარობდა, ტანსაცმელზე ობობიანი ამოვიდა. მალე დედაბერი საჩაიეში დაბრუნდა და მოხეტიალე დასის ერთ-ერთ წევრ ქალს გამოელაპარაკა:

— ეს გოგონა ხომ... ეს გოგონა არ არის, ამას წინათ შენთან ერთად რომ იყო? როგორ გაზრდილა, ნამდვილი მზეთუნახავი გამხდარა!.. ბედმა გაგიღია, ძვირფასო... წარმოგიდგენია, რა სწრაფად იზრდებიან გოგონები...

ერთი საათის შემდეგ საჩაიედან ხმაური მოისმა — უტყობა, მსახიობები წასახველელად ემზადებოდნენ. მინდოდა, წამოვმხტარიყავი, უკან გავეკილებოდი, მაგრამ მერიდებოდა და ეს მორიდებულობა ხელ-ფეხს მიკრავდა. ვიჯექი კერიის წინ — არა უშავს, შორს მაინც ვერ წავლენ, მართალია, სიარულს მიჩვეული, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ქალები არიან, ვთქვათ, ორი-სამი ტიოთა! ჩამოვრჩი, დიდი ამბავი, ხელად დავეწევი-მეთქი, — თავს ვინუგეშებდი.

გალუღლუღებული ნაღვერდლისა და მოუთმენლობისაგან მთელ ტანში ცეცხლი მეკიდა. მსახიობები რომ წავიდნენ, ოცნებაში ისე გავერთე, თითქოს ბორკილები ამხსნოდეს. დედაბერმა მსახიობები გააცილა და უკან რომ დაბრუნდა, ვკითხე:

— ამ ხალხმა ამაღამ სად უნდა გაათენოს?

— აბა რა ვიცი, ბატონო... ამათ ამბავს რას გაიგებ, თვითონაც არ იციან, სად უღამლებათ და სად უთენდებათ. გამოუჩნდებათ ვინმე კლიენტი და იმასთან მოეწყობიან, მათთვის ხომ სულერთია.

ქალის ხმაში ამკარა დაცინვა იგრძნობოდა. ჩემთვის კი მისი ეს სიტყვები ნამდვილი ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო: „ძალიანაც კარგი! თუ ასეა, მოცეკვავე გოგონას ჩემს ნომერში დავპატიეებ...“

წვიმა შეთხელდა, ულელტეხილზე აიშუქა. დედაბერი კი არა და არ მიშვებდა — ათიოდე წუთში სულ გამოიღარებს, ცა მოიწმინდებაო, მაგრამ მე უკვე ერთ ადგილზე ვეღარ ვისვენებდი.

— ბაბუ, თავს გაუფრთხილდით, მალე სიცივეებს დაიჭერს, — გულითადად ვუთხარი ბერიკაცს და წამოვდექი.

დედაბერი უკან გამომეკიდა, თავს მიკრავდა და მომძახოდა:

— ბატონო, ბატონო, ასე ბევრი რატომ დამიტოვეთ!.. აბა როგორ შეიძლება! ასე ბევრი როგორ უნდა ავიღო, სირცხვილია.

ქალმა ჩემი ჩანთა გულში ჩაიკრა და რამდენი არ ვეხვეწე, არაფრით არ დამანება. მოდიოდა და მოკვლავობდა ასე გულში ჩანთაჩაკრული. თითქმის ასიოდე მეტრი მაინც გავიარეთ, ის კი მაინც მომდევნა და მობუტბუტებდა:

— არა, არ მეკუთვნოდა ამხელა გასამრჯელო... სირცხვილია ჩემო კეთილო ბატონო, მე ხომ წესიერად არც კი მოვმსახურებივართ... მე ამას არასოდეს დავივიწყებ. უკან რომ დაბრუნდებით, შემოიარეთ, სიკეთეს სიკეთითვე გადაგიხდით... ძალიან ვთხოვთ, აუცილებლად შემოიარეთ...

ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ვიყავი, გული ისე ამიჩუყდა, ლამის ცრემლები წამომცვივდა. ორმოცდაათი სენის! გამო ასეთი მადლობის თქმა პირდაპირ წარმოუდგენელიც კი იყო! მაგრამ ისე უჩქარობდი, ისე მინდოდა მოცეკვავე

² ტიო — სივრძის საზომი, უდრის 109,09 მ-ს.

1. წვრილი ფული, ხურდა ფული.

გოგონას დავწეოდი, რომ ძლივს მოლასლასე დედაბერი უკვე ხერვებსაც კი მიშლიდა.

— დიდი მადლობა, ბებო! ძალიან ვთხოვთ, დაბრუნდით, პაპა ხომ სულ მარტოღმარტოა სახლში, — ვუთხარი დედაბერს და იმანაც ბოლოსა და ბოლოს, როგორც იქნა, დამიბრუნა ჩანთა.

გვირაბში რომ შევედი, წყლის ცივი წვეთები თალებიდან¹ სტუდენტურებით ცვიოდა. წინ სამხრეთ იძუზე გასასვლელი პაწაწა ნათელი დაჭა-მხჩანდა.

2.

მთიდან მომავალი გზა გვირაბიდან ქვევით ელვასავით მოიკლაკნება. უფსკრულის მზარეს გზას თეთრად შეღებილი ქვის ჯებირი მიუყვება. ამ მაკეტის მსგავსი პანორამის ქვევით, სადღაც, შორს, წერტილისოდენად მოჩანან მსახიობთა ფიგურები. ჩვენ შორის მანძილი მხოლოდ ექვსი ტიო თუ იქნება, ამიტომაც მე მათ სულ ძაღვ ვეწევი. მაგრამ მეუხერხულება უცებ ნაბიჯის შენელება, მოჩვენებითი გულგრილობით ქალებს წინ ვუსწრებ და ოდნავ დაწინაურებულ კაცს ვუსწორდები.

— სწრაფი სიარული გცოდნიათ... — მეუბნება კაცი. — რა კარგია, უკვე სულ გამოიდარა.

როგორც იქნა, შვებით ამოვისუნთქე და გვერდით გავყევი. რას არ მეკითხება, კითხვას კითხვაზე მაძლევს. ქალებმა დაგვინახეს რომ ესაუბრობდით და დაგვეწივნენ. კაცს ზურგზე დიდი წნელის კალათი აქვს წამოკიდებული: ორმოცი წლის ქალს ხელში ძაღლი უჭირავს. ქალიშვილებს ტვირთი მოაქვთ — შეღარებით უფროსს ფუთა უჭირავს, მეორეს — ტირიფის კალათი, მოცეკვავე გოგონას ზურგზე დიდი და დილის სადგარი ჰკიდია.

უფროსი ქალიშვილი მოცეკვავე გოგონას ჩუმად ეუბნება:

— ეს ბატონი სტუდენტია.

ამის გაგონებაზე მათკენ ვბრუნდები.

— ხომ მართალია? — მეკითხება ქალიშვილი. — ამას მე მაშინვე მივხვდი... ჩვენთან, კუნძულზედაც ჩამოდიან სტუდენტები.

როგორც ირკვევა, ისინი კუნძულ ოსიმადან, საპორტო ქალაქ ხაბუდან არიან. სახლიდან რომ წამოვიდნენ, ჯერ კიდევ გაზაფხული იყო, ახლა კი საცაა წვიმები დაიწყება... ათიოდე დღეს სიმოდამი დაჰყოფენ, მერე კი იტოს ცხელი წყლებიდან გზას შინისაკენ გაუდგებიან.

კუნძული ოსიმა... მე პოეზიის სიომ დამბერა, მაგრამ ჩემი მზერა ისევ მოცეკვავის უცნაურმა ვარცხნილობამ მიიზიდა.

— ჩვენთან საბანაოდ ბევრი სტუდენტი ჩამოდის, — ეუბნება მოცეკვავე გოგონა თავის თანამგზავს.

მე მას შეეხედე და ვუთხარი:

— ალბათ ზაფხულში?

გოგონამ დაირცხვინა და ჩუმად რაღაც ჩაიბურღლუნა, მგონი — ზამთარშიცო...

— ზამთარშიც? — ჩაკვითხე გოგონას.

გოგონამ თანამგზავს შეხედა და ხმამაღლა გაიცინა.

— ესე იგი, თქვენთან ზამთარშიაც შეიძლება ბანაობა?

სახე შეეფაკლა, უცებ ძალიან დასერიოზულდა და თავი დამიქნია.

— ოი, რა სულელი ხარ! — ჩაიცინა ორმოცი წლის ქალმა.

¹ წერილი დიდი, სურდა ფული.

იუგანომდე დაახლოებით კიდევ სამი რი იყო დარჩენილი. კავაძეს ხეობაში გზა სულ ფერდობ-ფერდობ ეშუებოდა. უღელტეხილს იქით ფერები სრულიად შეიცვალა — ციდანაც და მთიდანაც სამხრეთულმა სურნელმა დაჰბერა. მე და ის ახალგაზრდა კაცი მივდიოდით და მთელი გზა ძველი მეგობრების ვლადიკებდით.

უკან მოვიტოვეთ პატარ-პატარა სოფლები — ჰაგინო... ნასიმონტო... მთის მხნეობა მოვიკრიბე და კაცს გამოვუტყდი, რომ მინდოდა, სიმონამდე მათთან ერთად მეველო, რამაც იგი ძალიან გაახარა.

როდესაც ერთი იაფფასიანი სასტუმროს წინ გაჩერდით, ორმოცი წლის ქალმა ჩემთან გამომშვიდობება დააპირა. მე ისევ ძალიან დავიბენი, მაგრამ ჩემმა თანამგზავრმა მიხსნა:

— ამ ბატონს ჩვენთან ერთად უნდა წამოსვლა.

— მართლა? ძალიან კარგი! გზაში კაცისათვის თანამგზავრი იგივეა, რაც მწუხარების დროს ნუგეში. ჩვენ უსწავლელი ხალხი ვართ, მიუხედავად ამისა ხანდახან მაინც ვეხმარებით ადამიანებს, სევდასა და მოწყენილობას ვუმსუბუქებთ... რახან ასეა, მობრძანდით, ბატონო სტუდენტო, ჩვენთან ერთად დაისვენეთ, — თქვა ქალმა და თავი აღერსიანად დამიკრა.

ქალიშვილებმა ერთად შემომხედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ. თუ ერთად ყოფნაა, ერთად ყოფნა იყოს, — ეწერა მათ სახეებზე, — აბა, აქ გასაკვირი რა არისო... და მაინც, მე მგონი, თავს ცოტა უხერხულად გრძნობდნენ.

მე მათთან ერთად მეორე სართულზე ავედი. მთელი ის ბარგი კუთხეში მიაწყევს. ტატამიცა¹ და ფუსუმაც² ძველი და ჭუჭყიანი იყო. მოცეკვავე გოგონა ქვევით ჩავიდა და ჩაი ამოიტანა. ჩემ წინ რომ ჩაიძუხლა, სახეზე ცეცხლი წაეკიდა, ფინჯანი ლამის გაუვარდა აცახცახებული ხელიდან და რომ არ გასტეხოდა, ტატამზე დადგა. მაგრამ ჩაი მაინც დაიღვარა, მე კი გოგონას ამ ზომავადასულმა სიმორცხვემ ძალიან გამაკვირვა.

— აი შე საძაგელო!.. ჯერ მიწას არ ასცდენია, ავალი კი სულ ბიჭებისაკენ უჭირავს... — ორმოცი წლის ქალმა წარბი შეიკრა და მოცეკვავე გოგონას პირსახოცი გადაუგდო.

ვერ მივხვდი, მართლა ბრაზობდა თუ ყასიდად?

ქალიშვილმა პირსახოცს ხელი დაავლო და ტატამს წმენდა დაუწყო. მოძრაობაზე გაუბედაობა, შებოჭილობა ეტყობოდა.

ქალის მოულოდნელ უხეშ ნათქვამზე უცებ გონს მოვეგე... საჩაიეს ბებერი დიასახლისის მიერ მოხეტიალე მსახიობებზე დაუდევრად ნათქვამი სიტყვები გამახსენდა და ჩემი ოცნების ათასფერადი ბუშტი ხმაურით გასკდა.

ორმოცი წლის ქალმა ყურადღებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მერე გვერდით მჯდომ გოგონას მიუბრუნდა და უთხრა:

— შეხედე, რა ლამაზი კომონო აცვია ბატონ სტუდენტს. შესანიშნავი კასური³... სახეც კი ზუსტად ისეთი აქვს, როგორც ტამიძისას... ვახსოვს ტამიძის კომონო? ხომ ზუსტად ისეთი სახე აქვს? — თქვა და ერთხელ კიდევ ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— იცით, ბატონო სტუდენტო, თქვენი კომონოც ზუსტად ისეთი კასურისა არის, როგორისაც ჩემი შვილისაა. ერთი ბიჭი მყავს... სახლშია, სკოლაში და-

1. ტატამი — ჭილობი.

2. ფუსუმა — ვასაწვევი (გარეთა) კედლები იაპონურ სახლში.

3. კასური — ბამბის ქსოვილი.

დის... შევხედე თქვენს კიბონოს და ჩემი შვილი გამახსენდა... ეჰ, ახლა ყველაფერი ძვირია, ლურჯი კასურიც კი... პირდაპირ უბედურებაა!

— თქვენი შვილი სად სწავლობს?

— დაწყებითში, მეხუთე კლასშია.

— თუ მეხუთე კლასშია, ჯერ სულ პატარა ყოფილა. მე კი შკვე!

— დიახ, დიახ... კოფუში სწავლობს... მართალია, დრეხნახანს ოსიმაში ვცხოვრობთ, მაგრამ წარმოშობით კოფუელები ვართ, კასტრონიცნიდან.

ცოტა რომ შევისვენეთ, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კაცმა შემოძთავაზა, სხვა სასტუმროში წაგიყვან, იქ სადაც სამკურნალო წყლებიაო. მე კი მათთან ერთად ამ იაფფასიან სასტუმროში ვაპირებდი ღამის გათენებას.

ძალე მთავარი გზიდან გადაუხვიეთ, ქვით მოკირწყლულ ბილიკს შევუყვით და საერთო საბანაოსთან პატარა მდინარეზე გაღებულ ხიდზე გადავედით.

მივედი თუ არა სასტუმროში, რომელიც იქვე, ხილს გაღმა მდებარეობდა, აუზში ჩავვდი. უკვე ცხელ წყალში ვიჯექი, რომ ის კაცი ისევ გამომეცხადა და ისევ ლაქლაქს მოვყევით. ცოტაოდენი თავის თავზედაც მიამბო: ოცდაოთხი წლისა ვარ, ცოლიანი, ჩემს ცოლს პირველი მუცელი მოეშალა, მერე კი ნაადრევი მშობიარობა ჰქონდაო... ვუსმენდი, მის სასტუმროს ემბლემიან ჰაპის შევყურებდი და ვფიქრობდი: ნაგაოკა ალბათ მისი სამშობლოა, გარეგნობითაც და ლაპარაკითაც ინტელიგენტის შთაბეჭდილებას ტოვებს, ნეტავი როგორ მოხვდა ამ მოხეტიალე დასში, ხელოვნებისა თუ იმ ქალის სიყვარულით, რომლითაც ასე ძალიან არის მოხიბლული? აი დადის ახლა მათთან ერთად და ბარვის წაღებაში ეხმარებათ-მეთქი.

აუზიდან ამოვედი თუ არა, მაშინვე სასადილოდ გავწიე, თუმცა ჯერ საბანაოთი არ იყო. რა საოცრად გარბის დრო — რვა საათიც არ იყო, დილას იუგასიმადან რომ გამოვედი... სადილის შემდეგ მეორე სართულზე, ჩემს ნომერში ავედი. კაცი ძირს, ეზოში იდგა და გამომშვიდობების ნიშნად ხელს მიქნევდა. კაცს ქალაქში გახვეული ფული გადაუკდე და ვუთხარი:

— უკაცრავად, ფანჯრიდან რომ გივლებთ, რაიმე გემრიელი იყიდეთ... პერსიმონები ხომ გიყვართ?

კაცს ფულის აღება არ უნდოდა, იგი გასასვლელისაკენ წავიდა, მაგრამ მიწაზე დაგდებული ფული რომ დაინახა, უკანვე მობრუნდა.

— ძალიან გთხოვთ, ასეთ რამეს ნუ იზამთ! — თქვა და ფული ხევათ ამომიგდო.

ფული პირველი სართულის ჩაღურ სახურავზე დაეცა, ჩემამდე ვერ ამოაღწია. მე ისევ ჩავუგდე, მაგრამ ამჯერად წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, აიღო და წავიდა.

იმ საღამოს თავსხმა წვიმა წამოვიდა, მთების სილუეტი წაიშალა, სითეთრეში ჩაინთქა, თვალს საწიერი დაეკარგა, სასტუმროს წინ მოჩუხჩუხე მდინარე მორუხო-მოყვითალო ცოფიან ნაკადად იქცა.

ასეთ წვიმაში დასი ვერ იმუშავებს, მოცეკვავე გოგონა ვერ იცეკვებს.

ერთ ადგილზე ვეღარ ვისვენებ, რამოდენიმეჯერ აუზშიაც ჩაუდივარ, ნომერში ნახევრად ბნელა — ნათურა ფუსუმას კუთხეში ამოჭრილ ოთხკუთხა ღიობში კიდია და ერთდროულად ორ ოთახს ანათებს.

წვიმის ხმაურში უცებ დოლის ძლივს შესამჩნევი ბრახუნი მომესმის. ფანჯარას გადარეულივით ვეცი. დარაბას ხელი ისე ვკარი, თითქოს მტერს ვერკინებოდი და გარეთ გავიხედე. ხმა თითქოს ახლოვდება. წვიმა თქაფათქუფით მცემს თავ-პირზე. თვალი დავხუჭე და მივაყურე... ნეტავი საიდან ისმის? ერთბ-

აშად ყურში სიაპისუნის! ხმა ჩამწვდა. ამ ხმას მალე ქალის გაბმული ყვირილი მოჰყვა. არ გასულა დიდი დრო, რომ სიცილი და მხიარული ფრიამული გაისმა. ესე იგი, დაპატიჟეს. ეტყობა, იაფფასიანი სასტუმროს გადამა, იაპონურ რესტორანში არიან... ისევ მოისმა ქალებისა და მამაკაცების ხმები. მე კვლავ ვუსმენდი და დიდხანს, დიდხანს ველოდი: „იქ რომ დაამთავრებენ, იქნებ აქეთ წამოვიდნენ...“ მაგრამ არაფერი ჩანს. იაპონურ რესტორანში სუფრა, ეტყობა, ჩვეულებრივი მხიარულების საზღვრებს გასცდა, თავაწყვეტილ ღზინში გადმობარდა. ღამის სიბნელეს დროდადრო ქალის კვილი ელვასავით გადაუვლის. ნერვები უკვე დაწყვეტაზე მაქვს. კვლავ ღია ფანჯარასთან ვზივარ, დარაბებს განგებ არ ვხურავ. ყოველთვის, როცა კი წვიმის ხმაურს დოლის ხმაური შეერევა, გულზე ნათელი მეფინება — ესე იგი, ისევ მუშაობს, მოცეკვავე გოგონა ისევ დოლს ურტყამს...

მალე ჩემი ყურთასმენა დოლის ნაწყვეტ-ნაწყვეტ გუგუნს ვეღარ იჭერს, სამაგიეროდ უწესრიგო ტალღებად აწყდება მრავალთა ფეხის ბრაგუნო. ნეტავი რას აკეთებენ — ერთმანეთს დასდევენ თუ ცეკვავენ?.. უცებ სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. თვალები ფართოდ გავაღე. მინდა წყვილიადში სიჩუმე დავინახო. ნუთუ ეს ღამე საშინელებად იქცევა პატარა მოცეკვავე გოგონასათვის?.. გულში ტკივილი ელვასავით მივლის: ნუთუ ამაღამ ვაღაც წაბილწავს მის სიწმინდეს?..

დარაბები მივხურე და ლოგინში ჩაეწეკი. გული ისევ ყრუდ მჩხვლევს. ისევ საბანაოდ მივდივარ, წყალს გაბრაზებული ვადგაფუნებ.

მალე წვიმამ გადაიღო, ცას მთვარის შუქი მოეფინა. მშვიდად ციმციმებს წვიმით განბანილი ნათელი ღამე.

„იქნებ გავიქცე... ახლავე... აი ახლავე... აი ასე, ფეხშიშველა... ეჰ, სულერთია ვერაფერს უშველი“...

უკვე ღამის მესამე საათია.

3.

ცხრა საათზე კაცი ჩემთან, ნომერში ამოვიდა. მე, ის იყო, ავდექი. მალე ორივენი აუზში საბანაოდ მივდივართ. გვიანი შემოდგომის დარიანი დილაა. ფანჯრის იქით კამკამა ცა და ახლახანს გადავლილი თავსხმა წვიმისაგან აღიდებული მდინარე მოჩანს. წყალი ხალისით ისრუტავს მზის სხივებს. ჩემი წუხანდელი ტანჯვა ცუდ სიზმრადლა მეჩვენება, მაგრამ კაცს მაინც ვეკითხები:

— გვიან დაწვეით წუხელის? მგონი, გაგიგრძელდათ ღზინი.

— გესმოდათ?

— რა თქმა უნდა.

— ეს სულ აქაურები იყვნენ. ეჰ, მხიარულება კი არა, საშინელი მოწყენილობაა! სვამენ და გიჟებივით ყვირიან... სხვა არაფერი შეუძლიათ.

გუშინდელ ღრუობას, ჩანს, აინუნშიაც არ ავლებს.

— უყურე, უყურე! ხედავ, აი იქ, გაღმა, საბანაოში! იცინიან, ეტყობა, დაგვიანახეს.

მდინარის გაღმა, საბანაოსაკენ გაეიხედე. ცხელი წყლის ბულში შიშველ სხეულთა სითეთრე გამოკრთის.

სწორედ ამ დროს საბანაოს ჩაბინდული სიღრმიდან მოცეკვავე გოგონა გამოვარდა, ღია გასახდელამდე მოიარბინა და შეჩერდა — ხელები წინ გამოეწვდინა და რაღაცას ხმამაღლა იმახდა. გოგონა სრულიად დედიშობილა იყო — იდგა თა-

1. სიაპისუნი — სიმბიანი მუსიკალური საკრავი.

ვით ფეხამდე შიშველი, გრძელკანჭება, ქათქათა და ტანწერწეტა. შევცბი, ერთბაშად თითქოს ცივი წყალი გადამესხა, ღრმად ამოვისუნთქე და გავიციხე: „ბავშვია!.. ნამდვილი ბავშვია!.. დაგვინახა, სიხარულისაგან ყველაფერი გადავიწყდა და პირდაპირ კაშკაშა მხეში გამოვარდა... აი, ღვას ახლა ფეხისწვერებზე შემდგარი, ჩვენკენ ხელებგამოწვდილი...“ — გული უსახლვრო ურილობ სიხარულით მევსება, გონება მეწმინდება, ვდგევარ და ვილიმები, რა სულელი ვარ, ასე მეგონა, ჩვიდმეტიისა იყო, ის კი არა, თვრამეტისაც... და ეს სულ იმ უცნაური ვარცხნილობის გამო — გამოპრანჭავენ და დაუყენებენ თმას მართლა ქალიშვილივით!

მე და ის კაცი ჩემს ოთახში დავბრუნდით. ძალე ეზოში უფროსი ქალიშვილი შემოვიდა და ქრიზანთემების კვლებს თვალიერება დაუწყო.

ამასობაში მოცეკვავე გოგონას ჩაეცვა, იგი უკვე შუა ხილზე მოაბიჯებდა. საერთო საბანაოდან გამოსული ორმოცი წლის ქალი გოგონას გასცქეროდა. გოგონა უცებ ისე მოიბუზა, თითქოს უნდოდა ეთქვა, ახლა კი ნამდვილად მომხვდებაო, მერე ერთი კი გაიციხა და უკან გაბრუნდა. ხიდიდან რომ გადმოდიოდნენ, ორმოცი წლის ქალმა დამიძახა:

— ჩვენთან წამობრძანდით!

— ჩვენთან წამობრძანდით! — გაიმეორა უფროსმა ქალიშვილმაც და გზა განაგრძეს.

კაცი საღამომდე ჩემთან დარჩა.

საღამოს ქალღლით ნარდად მოვაჭრესთან ვიჯექი და იაპონურ შაშს ვეთამაშებოდი. უცებ ეზოდან დოლის ხმა მომესმა.

— მოხეტიალე მსახიობები მოვიდნენ! — ეთქვი და წამოდგომა დავაპირე.

— ჰმ... მსახიობები... ადექით და გაყარეთ... ძალიან არ გვჭირდება... — ვაჭარი ისე იყო შაშში გართული, თავი არ აუწევია:

— ითამაშეთ, თქვენი სვლაა.

ვვრძნობდი, ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავი, ადგილზე ვეღარ ვისვენებდი... წავლენ, რა თქმა უნდა, წავლენ-მეთქი, ვფიქრობდი. კაცმა ქვევიდან ამომძახა:

— საღამო მშვიდობისა!

წამოვხტი, გაღერებაში გავუდი და ხელი დავუქნიე. მსახიობებმა ერთხანს რაღაც იჩურჩულეს და სადარბაზოსაკენ წამოვიდნენ. დამწკრივებულები მოდიოდნენ — წინ კაცი მოუძლოდათ, უკან სამი ქალი მოჰყვებოდა. ქალიშვილებმა გეიშებივით თავი მდაბლად დამიკრეს, თითებით იატაკს შეეხნენ და მომესალმნენ: „საღამო მშვიდობისა!“

წამით თვალი დაფას ვკიდე: „აჰა, ესე იგი, წავაგე!.. ძალიან კარგი!“

— სხვა რა გზა მაქვს, გნებდებით!..

— რას ბრძანებთ, მე გაცილებით ცუდი მდგომარეობა მაქვს... ვნახოთ.. კიდევ ვიფიქროთ, საკმაოდ რთული პოზიციაა...

ვაჭარს მსახიობებისათვის არც კი შეუხედავს. დაფაზე თავწახრილი თვითვე უჯრას ითვლიდა და სვლის ყოველ ვარიანტს არჩევდა. მსახიობებმა დოლი და სიამისენი კუთხეში მიაწყეს და შაშის დაფას მიუსხდნენ. მე თითქმის მოგებული ხელი წავაგე. ვაჭარი ჩამაჯინდა:

— ერთიც... კიდევ ერთი ხელიც ვითამაშოთ!.. მხოლოდ ერთი!

მე კი თავს ვაქნევდი და უაზროდ ვილიმებოდი. იმედი რომ გადაეწურა, ადგა და წავიდა. ქალიშვილებმა ახლოს მოიწიეს.

— კიდევ აპირებთ დღეს მუშაობას? — ვკითხე მე.

— წესით უნდა ვიმუშაოთ... — თქვა კაცმა და ქალიშვილებს შეხედა. — რა ვქნათ? ბატონის ნებართვით, იქნებ დავისვენოთ, არსად არ წავიდეთ?

— ვაი, რა კარგია!

— მერედა, არ იზარალებოთ ამის გამო?

კაცმა ხელი ჩაიქნია.

— ე-ე, რა განსხვავებაა! წახვალ თუ არ წახვალ, რა ახრი ^{მეტი} ^{წესი} ^{სამსახური} მუშტარი მაინც არ გვყავს.

ასე ვისხედით ღამის პირველ საათამდე. ვისხედით და ვთამაშობდით შაშს. როდესაც წავიდნენ, როდესაც მოცეკვავე გოგონა კარს მიუფარა, უცებ სრულიად გამოვფხიზლდი. თვალზე რული არ შეკარებოდა. გაღერეაში გავედი და დავიძახე:

— ბატონო კომერსანტო!.. ბატონო კომერსანტო!

ქალღმერთი მოვაჭრე, სამოცდაექვსი წლის დარბაისელი ბიძა, ოთახიდან ბიჭვივით მკვირცხლად გამოვიარდა:

— ა-ა, თქვენა ხართ? შესანიშნავია! ესე იგი, ვთამაშობთ!.. ახლა კი ნამდვილად ვითამაშებთ გათენებამდე!

მეც უკვე მტკიცედ ვიდექი ამ გადაწყვეტილებაზე.

4.

გზას დილით ადრე უნდა დავდგომოდით. გადაწყვეტილი გვქონდა, დილას რვა საათზე შევხვედროდით ერთმანეთს. თავზე მეზურა ახალი კეპი, რომელიც აქ, საერთო საბანაოში ვიყიდე, ხელში ჩემი განუშორებელი ჩანთა მეჭირა, რომელშიაც ჩემი განუშორებელი სტუდენტური ქუდი განისვენებდა. გზის პირას მდგარ იაფფასიან სასტუმროსთან ზუსტად დანიშნულ დროს მივედი. მეორე სართულის ყველა დარაბა და სიოძი გაფრიალებული იყო. დიდხანს არ მიფიქრია, გაღერეის კიბეზე ავირბინე და გაოცებისაგან გავშეშდი — მსახიობებს ჯერ ისევ ეძინათ.

იქვე, შესასვლელთან, უფროსი ქალიშვილის გვერდით მოცეკვავე გოგონა იწვა. ჩემ დანახვაზე დაწვები აღისფრად წამოენთო და სახეზე ხელები აიფარა — სახეზე ჯერ ისევ გუშინდელი გრიძის ნაკვალევი ეტყობოდა, ტუჩებსა და ქუთუთოების კიდეებზე ვარდისფერი საღებავი ოდნავ წაღლაბნოდა...

ლოჯინში მწილარე ქალწული... რა ტკბილი, რა ნეტარი, რა საამო სურათია... ერთბაშად მღელვარებამ შემიპყრო. თითქოს თვალეში დამაბრმავებელი შუქი ანათებსო, სახეზე ისევე ხელებაფარებული გოგონა მეორე გვერდზე გადაბრუნდა, საბნიდან გამოძვრა, იატაკზე დაჯდა და ქედი დარბაისლურად მოიდრიკა:

— უმორჩილეს მადლობას მოგახსენებთ გუშინდელი საღამოსათვის...

ახლა კი სულ მთლად დავიბენი.

კაცი უფროს ქალიშვილთან იწვა. ერთ ლოჯინში რომ დავინახე, მხოლოდ მაშინდა მივხვდი, რომ სწორედ ეს უფროსი ქალიშვილი იყო მისი ცოლი.

— გთხოვთ, მოგვიტევეთ დიდსულოვნად. მოვილაპარაკეთ, ერთად ვიმგზავროთო, აგერ ახლა კი რაღაც იმედი გავვიჩნდა, შეიძლება დაგვატყუონ ამ საღამოს. ჰოდა, ჩვენც გადავწყვიტეთ, ეს ერთი დღეც დაერჩეთ. დარჩენას თუ არ მოისურვებთ, სიმოდამში შევხვდეთ, სასტუმრო კოსიუში, ადვილი საპოვნელია, სულ ადვილად მოგვაგნებთ... — მომიბოდიშა ორმოცი წლის ქალმა.

აღბათ თავს მარიღებენ-მეთქი, — გავიფიქრე.

— იქნებ დარჩენილიყავით? — თქვა კაცმა. — ჩვენც წამოვიდოდით, მაგრამ, აი, დედამ ასე გადაწყვიტა, ამას კი ახლა ვეღარავინ გადაათქმევინებს... რა თქმა უნდა, ერთად რომ წავსულიყავით, უკეთესი იქნებოდა, არც ჩვენ მოგვეწყინებოდა, არც თქვენ. ხომ ასეა? რაც არის, არის, მოდი ხვალ წავიდეთ ყველანი.

— რა თქმა უნდა! — აიტაცა ნათქვამი ორმოცი წლის ქალმა, — თუ შეიძლება, გვაპატიეთ! თქვენ ისეთი პატივი დაგვდეთ, მგზავრობა ჩვენთან ერთად მოისურვეთ, ჩვენ კი თითქმის თავპატიყსაც ვიდებთ... აი ხვალ, ქვეყანაც რომ დაიქცეს, უსათუოდ წამოვალთ!.. ჩვენ ხომ ბავშვი დაგველუბა გზაში, ზეგ სწორედ ორმოცდაცხრა დღე გადას. კაი ხანია გადაწყვეტილი მაქვს, ამ დღეს უსათუოდ სიმოდამი ვიყო, მინდა პანაშვიდი გადავუხადო. უსათუოდ გადავუხდით... როგორც შევძლებთ, ისე. გადახდით კი აუცილებლად უნდა გადავუხადოთ. ამის გამო სულ ვჩქარობდი, სხვებსაც ვაჩქარებდი. მაგრამ, აი, რახან ასეთი შემთხვევა გამოგვიჩნდა, გადავწყვიტე, დავრჩენილიყავით... თქვენ კი ისე უბრალოდ გავეცანიტ... პირდაპირ საოცარია, ესეც, ეტყობა, ბედია. ძალიან გთხოვთ, უარს ნუ გვეტყვით, ზეგ თქვენც ჩვენთან ერთად ილოცეთ ჩვენი პატარას სულის მოსახსენიებლად.

გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი. ქვევით ჩავედი და ვიდრე კაცს ველოდი, პორტიეს დაუწყე ლაქლაქი. მალე კაციც მოვიდა და შემომთავაზა, ცოტა გავიაროთო. გზას სამხრეთისაკენ დავუყევით. იქვე ახლოს ლამაზი ხიდი იყო. ხიდზე გავჩერდით და მოაჯირს დავეყრდენით. კაცმა ისევ თავისი ამბის მოყოლა დაიწყო: ერთხანს ტოკიოში ახალი თეატრალური სკოლის დასში ვიყავიო. როგორც გამოირკვა, ხანდახან ოსიმაში თურმე ახლაც დგამდა პიესებს, ზოგჯერ კი ბანკეტებზედაც მართავდა თეატრალურ წარმოდგენებს. მართლაც, ჯერ კიდევ პირველ დღეს შევამჩნიე ბოლჩიდან თავამოჩრილი ქარქაშები. მისი თქმით, კალათებშიაც, გარდა ჯამ-ჭურჭელისა, თეატრალური კოსტიუმებიც ელაგა.

— ვცხოვრობთ აი ასე... — თქვა მან ცოტაოდენი დუმილის შემდეგ. — მართალია, მე სულ დავლუპე ჩემი თავი და სულ მოვეშვი, მაგრამ სამაგიეროდ ჩემი უფროსი ძმა მართლაც რომ ღირსეული ადამიანია. კოფუში ჩვენი სახლი იმას ერგო მემკვიდრეობით, შესანიშნავადაც უძღვება ოჯახს. მე იქ თითქმის საჭირო არა ვარ, თავს ზედმეტადაც კი ვგრძნობ.

— მეგონა, ნაგაოკადან იყავით, ცხელი წყლებიდან.

— არა, რას ბრძანებთ!.. ცოლად კი ის ქალიშვილი მყავს, რომელიც ამათში ყველაზე უფროსია. იგი თქვენზე ერთი წლით არის პატარა — ცხრამეტი წლისაა. გზაში ნაადრევი მშობიარობა ჰქონდა. ბავშვმა სულ რაღაც ერთი კვირა იცოცხლა. საბრალო, ამ ამბის შემდეგ ვერა და ვეღარ გამოკეთდა... აი ის უფროსი ქალი დედაა იმისი, ყველაზე უმცროსი — მოცეკვავე გოგონა — ჩემი დვიძლი დაა...

— აი ის თოთხმეტი წლის გოგონა? მგონი, თქვენ მითხარით, თოთხმეტი-საათ.

— დიახ... ძალიან არ მინდოდა, ჩემი დაიკო მოხეტიალე მსახიობი გამხდარიყო, მაგრამ...

შემდეგ თქვა, რომ თავად მას ეიკიტი ერქვა, მის მეუღლეს — ტიოკო, მის დას — კაორუ, და რომ დასში მხოლოდ ერთი უცხო ქალიშვილია — იურიკო, იგი დაქირავებულია და მათი ნათესავი არ არის. ეიკიტის გული აუჩუყდა, გრძნობა მოერია, მოიწყინა, სწრაფად მოჩუხჩუხე მდინარისაკენ მიპყრობილ თვალეში ცრემლი მოეძალა.

მალე ისევ სასტუმროში დავბრუნდით. სუფთად პირდაბანილი, შეუპურავ-

შეუღებავი კაორუ გზის პირას ჩაცუცქულიყო და ძაღლს თავზე ხელს უსვამდა. ჩემს სასტუმროში წასვლა რომ დავაპირე, კაორუს უუთხარი:

- ჩემთან მობრძანდით სტუმრად.
- დიდი სიამოვნებით, მაგრამ მარტო...
- მაშინ ძმასთან ერთად მოდიო.
- ღიახ, მოვალთ... მე და ეიკიტი მოვალთ.



- ეიკიტის დიღხანს არ უღლიდინებია.
- დანარჩენები ხად არიან?
- ძალიან მკაცრი დედა გვყავს... — თქვა ეიკიტომ.

ჩვენ კვლავ შაშის სათამაშოდ დავსხედით. მალე ერთმანეთის მიყოლებით ტიოკო და იურიკო გამოჩნდნენ. მდინარეზე ხიდი გადმოიარეს, გაღერვაში მოსვლისას დარბაისლურად თაყვანი გვცეს და იქვე იატაკზე ჩასხდნენ — ჩანს შოერითაოთ ოთახში შემოსულა. ბოლოს კაორუ ადგა და ღიმილით თქვა:

- მობრძანდით, ეს ჩემი ოთახია.

ერთი საათის შემდეგ ქალები საბანაოდ წავიდნენ. მეც დაუინებით მეპატიუებოდნენ, მაგრამ უუთხარი, ცოტა მოგვიანებით მოვალ-მეთქი — სამ ახალგაზრდა ქალთან გახდა და ბანაობა მერიდებოდა. ჯერ წასულები არც კი იყვნენ, რომ კაორუ დაბრუნდა და ტიოკოს ნათქვამი გადმოძცა:

- უფროსმა დამ გთხოვათ, თქვენც მობრძანდით, ზურგს გაგიხეხავით.

მე ისევე უარი ვუთხარი და კაორუსთან შაშის სათამაშოდ დავჯექი. კაორუ კარგად თამაშობდა, მართლაც რომ შესანიშნავად. როცა გასვლაზე უთამაშობდით, ძმასაც მოუვო და ქალებსაც. მე ნამდვილი მოთამაშე ვიყავი, წაგება თითქმის არ ვიცოდი, მაგრამ მოცეკვავე გოგონა ჩემთვის ღირსეული პარტნიორი აღმოჩნდა. იოლი ხელის გაკეთება ერთხელაც არ მიფიქრია, ეს კი ჩემთვის მეტად სასიამოვნო გახლდათ. თანაც ცოტა მორცხვობდა — ჩვენ ხომ მარტონი დაერჩით ერთმანეთის პირისპირ! — კოჭებს შორიდან აადგილებდა. მალე თამაშში მთელი სულითა და გულით ჩაერთო, ახლოს მოიწია და კოჭის ყოველი გადაადგილებისას ცხვირს ღამის დაფაზე ახლიდა. ამ დროს მისი არაჩვეულებრივი, ზღაპრულად ღამაზი თმა თითქმის მკერდზე მეხებოდა. უცებ სახე წამოეჩითო:

- ახლა კი ნამდვილად მომხვდება!.. უკაცრავად.

თამაში მიატოვა და ოთახიდან გავარდა.

საერთო საბანაოსთან ორმოცი წლის ქალი გამოჩნდა. აუზიდან ამოსული ტიოკო და იურიკო ჩემთან არ ამოსულან, პირდაპირ თავიანთი სასტუმროსაკენ გასწიეს.

იმ დღეს ეიკიტი დაღამებამდე ჩემს ოთახში იჯდა. სასტუმროს დიასახლისი, ერთი კეთილი, უბრალო ქალი სულ იმას ჩამჩიჩინებდა, ამ ქარაფშუტა ადამიანთან დრო არ დამეკარგა.

საღამოს მსახიობებს ვესტუმრე. კაორუ ორმოცი წლის ქალის მეტვალეურეობით სიამისენზე დაკვრაში მეცადინეობდა. ჩემ დანახვაზე სიამისენის მიტოვება დააპირა, მაგრამ ქალმა უბრძანა, მეცადინეობა არ შეეწყვიტა და გოგონა კვლავ სიმებს შეეხო, თან ხმადაბალი სიმღერაც ააყოლა. ხმას ოდნავ აუწევდა თუ არა, ქალი უმაღ შენიშვნას აძლედა:

- ჩუმაღ, ჩუმაღ! რამდენჯერ უნდა ვითხრა!

ეიკიტი სასტუმროს პირდაპირ იაპონურ რესტორანში იყო დაპატიუებული. იგი მეორე სართულის ერი-ერთ კაბინაში იჯდა და მე მას აქედანაც მშვენივრად ვხედავდი. ტუჩებს ისე ამოძრავებდა, ეტყობოდა, რაღაცას დუღუნებდა.

- რა არის, რას შვრება?

- რასდა, „უტაის“ მღერის.
- „უტაი“ ვახშობისას? უცნაურია!

— არ იცით, ვინ ქეიფობს? ვინ და, მემწვანილე! ასეთებს კი, მოვეხსენებათ, რა არ მოუვათ თავში აზრად...

ოთახებს შორის ფუსუმა გაიწია, ვიღაც კაცმა თავი გამოყო და ქალიშვილები ვახშამზე მიიპატიჟა — ეს კაცი ფრინველით მოვაჭრე, ^{მამ სასტუმროს მუ-}
დმივი ბინადარი გახლდათ.

კაორუ და იურიკო წავიდნენ, თან თავ-თავისი ხასიცი¹ წაიღეს. ვხედავდი ქვაბში ქათმის ნაჭრებს როგორ ეძებდნენ. მალე ვაჭართან ერთად უკანვე დაბრუნდნენ. ოთახში რომ შემოვიდნენ, ვაჭარმა კაორუს მხარზე ხელი მსუბუქად დაჰკრა.

ორმოცი წლის ქალმა გაბრაზებულმა დაუყვირა:

- ხელი არ დააკარო გოგონას! ხომ ხედავ, სულ ბავშვია.

კაორუმ ვაჭარს ხვეწნა დაუწყო:

— „თავადი მიტოს მხიარული მოგზაურობა“ წავკვიკითხეთ... წავკვიკითხეთ, რა, წავკვიკითხეთ, რა, ძია!

მაგრამ მალე ძია წამოდგა და თავისი ნომრისაკენ გასწია. მაშინ კაორუმ, იმის გამო, რომ შერცხვა და პირდაპირ ვერ მომმართა, ორმოცი წლის ქალს სთხოვა, მე წამეკითხა „მოგზაურობა“. იმედით გულმოცემულმა მოთხოვნების კრებული ხელში ავიღე თუ არა, კაორუმ ჩემკენ მოიწია, ხოლო კითხვა რომ დავიწყე, კიდევ უფრო ახლოს მომიჯდა და ყურადღებად ქცეული სახე ლამის მხარზე მომადო. ჩანს, ასეთი მოსმენა იცოდა. ეს მაშინ შევამჩნიე, ფრინველით მოვაჭრეს რომ უსმენდა. ქუთუთოების საოცრად ლამაზი, სწორი ჭრილიდან დიდი, ნათელი, მოელვარე თვალები მომჩერებოდა. არ ვიცი, იქნებ სადღაც ჩემს იქითაც იმზირებოდნენ... მართლაც რომ არაჩვეულებრივად ლამაზი თვალები ჰქონდა. ჰქონდა კიდევ გასაოცრად მომხიბვლელი დიმილი. ნამდვილი ყვავილივით იყო... დიახ, ნამდვილი ყვავილივით იყო...

მალე რესტორნის მოსამსახურე ქალმა მოაკითხა.

— ახლავე დაბრუნდები, — მითხრა უკვე გამოწყობილმა, მორთულ-მოკაზმულმა კაორუმ. — ძალიან... ძალიან გთხოვთ, არ წახვიდეთ! რომ მოვალ, ისევ წამიკითხეთ, კარგი?

იგი გაღერვაში იატაკზე ჩაჯდა, ქედი მოიდრიკა და იატაკს თითებით შეეხო:

— შეიძლება, წავიდე?

— ოღონდ იცოდეთ, არ იმღერო! — უთხრა ორმოცი წლის ქალმა.

კაორუმ თავი ოდნავ დაუქნია და დოლი აიღო. ქალი ახლა მე მომიბრუნდა:

— ისეთ ასაკშია, ხომ იცით, ხმა ეცვლება.

გოგონა რესტორნის მეორე სართულზე იჯდა — ძალიან მორიდებულად. ძალიან დინჯად, ღირსეულად. იჯდა და დოლს ურტყამდა. მე მას ზურგიდან ვხედავდი, ასე მეგონა, სულ ახლოს, მეზობელ ოთახში იყო და ჩემს გულსაც დაღვივით გაჰქონდა ბრაგაბრუვი.

— როგორ ახალისებს დოლი სუფრას, — თქვა ორმოცი წლის ქალმა, რომელიც ასევე მოცეკვავე გოგონას გაჰყურებდა.

მალე რესტორანში ტიოკო და იურიკოც წავიდნენ.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ყველანი დაბრუნდნენ.

1. საჭმლის ახადების ჩხირები.

— ნახე რამდენია! — კაორუმ მუჭა გაშალა და ვერცხლის ორმოცდაათიანე-
ბი ორმოცი წლის ქალს ხელის გულზე წკრიალით დაუყარა.

ერთხანს კიდევ ვუკითხე „ მხიარული მოგზაურობა“...
მსახიობები ჩუმად საუბრობდნენ ერთმანეთში, გარდაცვლილ ბავშვზე ლა-
პარაკობდნენ — წყალივით გამჭვირვალე დაიბადა, ტირილის თავიც არა ჰქონდა,
მიუხედავად ამისა, მთელი ერთი კვირა მაინც იცოცხლაო. *ერქვენი*

სრულიად არ მერიდებოდნენ, როგორც ჩანს, მათ გულეებს ჩემს ცუდსრული
კეთილმოსურნეობით ეინადირებდი, რომელშიაც ცნობისმოყვარეობისა და ქედ-
მაღლური შემწყნარებლობის ნატამალიც არ იყო.

ჰოდა, თავისთავად მოხდა ისე, რომ მე მათ სახლში, კუნძულ ოსიმაზე დამ-
პატიყეს. ცხადია, დაეთანხმდი, მათთან ერთად უკვე გეგმების დაწყობასაც კი
შევუდექი.

— ჩვენ იქ ორი სახლი გვაქვს, — ამბობდნენ ისინი, — მართალია, პატარა
სახლებია, მაგრამ ადგილი სრულიად საკმარისია. ის, რომელიც მთაში დგას,
თითქმის ცარიელია, მხოლოდ პაპა ცხოვრობს. იქ დაგაბინავენთ, იმ სახლში
სრული სიხალვათეა. პაპა თუ ხელს შეგიშლით, იმასაც ჩვენთან გადმოვიყვანთ,
ისეთი სიწყნარეა, შეგიძლიათ იმეცადინოთ კიდევაც...

მერე ერთხანს თავისთვის ისაუბრეს, დროდადრო მეც გადმომხედავდნენ და
საკუთარ აზრებს მიზიარებდნენ.

ბოლოს გადაწყვიტეთ, ახალი წლისათვის პორტ საბუში პიესა დაგვედგა.
თანდათან მივხვდი, ცხოვრების როგორი წესი ჰქონდათ... მე მგონი, ეს არც
ისე მძიმე, არც ისე ცუდი ცხოვრება იყო. სულ გზას აღვხე... თუმცა ამასაც,
კვიქრობ, თავისი მომხიბვლელობა გააჩნდა — უზრუნველობა... სილაღე... სურ-
ნელოვანი მინდვრები... ერთმანეთსაც შესანიშნავად ეწყობოდნენ — ერთმანეთ-
თან მათ ნათესაური სიახლოვე აკავშირებდა. თითქმის ერთი ოჯახიც კი ეთქ-
მოდა — დედა თავისი ქალიშვილით, სიმე, სიმის უმცროსი და... ერთადერთი ადა-
მიანი, რომელიც ნათესავად არ ერგებოდათ, იურიკო იყო, რაც იგრძნო-
ბოდა კიდევაც: საოცრად მორცხვი, სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი
ხმას თითქმის არასოდეს იღებდა, ჩემი თანდასწრებით ხომ სულ კოპებშეკრუ-
ლი დადიოდა.

უკვე შუალამე იყო გადასული, მათი სასტუმროდან რომ წამოვედი. ქალი-
შვილები ჩემს გასაცილებლად წამოდგნენ. კაორუმ ვეტები მომაწოდა, მეორე
კარებში თავი გაყო და მოკრიალებულ ცას ახედა:

— ვაი, რა ლამაზი მთვარეა!.. ხვალ უკვე სიმოდამი ვიქნებით. ისე მიხარია...
პანაშვილის შემდეგ დედილო ახალ სავარცხელს მიყიდის. მერე კი ბევრი, კი-
დევ ბევრი სასიამოვნო რამ იქნება. დედილო კინემატოგრაფში წაყვანასაც დამ-
პირდა...

ამ ხალხისათვის ნავსადგური სიმოდა, ჩანს, ნამდვილად აღთქმული ქვეყანა
იყო. დაეხეტებოდნენ იძუ-საგამის ცხელ წყლებზე და ისეთივე მონატრება ჰქო-
ნდათ მისი, როგორც დიდი ხნით მიტოვებული მშობლიური ადგილებისა.

5.

ყველამ თავ-თავისი ბარგი აიღო, რომელიც ამაგიზე გადმოსვლისას მოჰ-
ქონდა. ორმოცი წლის ქალს, ისევე როგორც მაშინ, ხელში გოშია ეჭირა. ძალ-
ლი არხეინად მოკალათებულიყო მის მკლავებში, წინა თათები გადმოეწყო და
მთელი თავისი გარეგნობით მგზავრობისათვის მზადყოფნას გამოხატავდა. იუკ-

ავას რომ გავცდით, ისევ ზევით, მთისაკენ მიმავალ გზას შევუყვებით. შორს მოლივლივე ზღვას ახლად ამოსული მზე დასდგომოდა, მისი ოქროსფერი სხივები მთის გადამწვანებულ წიაღში იღვრებოდა. ჩვენც სწორედ მისკენ მივდიოდით — მივდიოდით ახლად ამოსული მზისაკენ, მდინარე კავაბუს შესართავის მიმართულებით, მზის შუქში განბანილი ზღვისპირეთისაკენ.

— აი ისიც, ოსიმა!

— ხელავთ, რამოდენა კუნძულია! აქედანაც ჩანს, რა დიდია! — თქვა კაროუმ; — ჩვენთან წამოდით, კარგი?

ცას შემოდგომისათვის უჩვეულო ნათელი შესდგომოდა, ასე გვეგონებოდა, მზის დისკო ზედ წყლის ზედაპირზე ესვენა. ზღვის თავზე ისეთი მსუბუქი ნისლი დაცურაუდა, როგორც მაისში. ტოკომ წყნარი, სევდიანი სიმღერა წამოიწყო.

ყველამ მე მკითხა, რა გზით წავსულიყავით — მთავარ გზას დავდგომოდით თუ ბილიკ-ბილიკ გვეკლო: შარაზე სიარული ადვილია, მაგრამ ბილიკი გზას ოცი ტიოთი მაინც ამოკლებსო. მე, რა თქმა უნდა, მოკლე გზა ვირჩიე.

ჩამოცვენილი ღიპი ფოთლებით მოფენილი დაკლაკნილი ბილიკი ისე აღმართ-აღმართ მიდიოდა, ისეთი ციცაბო იყო, ფეხი უკან გვრჩებოდა, ტანი კი წინ გვისწრებდა. უკვე ველარ ვსუნთქავდით. როგორმე საკუთარი თავისათვის რომ მეჯობნა, ნაბიჯს მოუჩქარე, აღმართზე ხელებს ვიშველიებდი. მალე ყველას გაუუსწარი, მათი ხმა ახლა უკვე სადღაც ქვევით, ხეებს შორის მესმოდა. მხოლოდ კაორუ მომყვებოდა ფეხდაფეხ. კომონოს კალთები ხელში აეკრიფა და ჩემს უკან ორსამ ნაბიჯზე გულდაგულ მოყოფხავდა. საკმარისი იყო მიმეხედა, გამოვლაპარაკებოდი, რომ მაშინვე ჩერდებოდა, სახეს ნათელი, ოდნავ გაოცებული ღიმილი გაუნათებდა. თუ ის დამიწყებდა ლაპარაკს, იმ იმედით, იქნებ ახლოს მოვიდეს-მეთქი, მეც ვჩერდებოდი. მაგრამ, ისიც იდგა და მუდოდა. ასე იარა ჩემს უკან. მალე ჩვენ წინ ნამდვილი ციცაბო ბილიკი აღიმართა, მაგრამ, ნაცვლად შენელებისა, ნაბიჯს კიდევ უფრო მოუჩქარე. ირგვლივ მღუმარება სუფევდა. მსახიობები უკვე შორს ჩამოგვრჩნენ, ახლა მათი ხმაც აღარ ისმოდა.

— თქვენი სახლი რა ადგილას არის ტოკიოში?

— ტოკიოში სახლი არა მაქვს, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ.

— მე ერთხელ ნამყოფი ვარ ტოკიოში. საკურას ყვავილობის დღესასწაულზე ვიცეკვე... მაგრამ ახლა აღარაფერი მახსოვს, პატარა ვიყავი.

რას არ მეკითხებოდა:

მამა თუ გყავსო?

კოფუში თუ ყოფილხართო?

ისევ და ისევ მიყვებოდა გარდაცვლილ ბავშვზე, ხმამაღლა ოცნებობდა სიმოდასა და კინემატოგრაფზე.

და აი, როგორც იქნა, მივადწიეთ მთის მწვერვალს. გამხმარ ბალახებში სკამი იყო ჩადგმული. კაორუმ დოლი სკამზე დადო, ცხვირსახოცით სახე მოიწმინდა და უნდოდა კომონოდან მტვერი ჩამოებერტყა, მაგრამ შემომხედა, ჩემ გვერდით ჩაიცუცქა და ჩემს ჰაკამას წმენდა დაუწყო. მე ისე სწრაფად გავწიე, გოგონამ თავი ვერ შეიკავა, მუხლით მიწას დაეცა; მაგრამ, ვითომც არაფერი, როგორც იყო, ეგრევე ფეხის წვერებზე ჩაცუცქული ჩემკენ მოწიწდა და ჰაკამადან მტვერი მაინც მომაცილა. მერე წამოდგა და თვითონაც ჩამოიბერტყა მტვერი. უკვე ძლივს ვსუნთქავდი.

— დაჯექით, დაისვენეთ, — მითხრა ბოლოს კაორუმ.

საიდანღაც ჩიტების გუნდი მოფრინდა. ირგვლივ საოცარი სიჩუმე გამეფებულიყო. ისეთი სიჩუმე იდგა, შტოდან შტოზე ჩიტის გადაფრენა და გაბხმარი ფოთლების შრიალიც კი ისმოდა.

— ასე სწრაფად რატომ მოდიოდით?

ეტყობა, ძალიან იყო დაღლილი. მე დოღზე თითები უმაღლესად აფროთხილდნენ, ფოთლები ააშრიალეს.

— მწყურია.

— წავალ, წყალს მოვძებნი.

ამ სიტყვებით კაორუ ბუჩქნარს შეეერთა, მაგრამ მალე უკან ხელცარიელი დაბრუნდა.

— ოსიმაში რას აკეთებთ ხოლმე? — ვკითხე მე.

გოგონამ მოყოლა დაიწყო, მაგრამ დაბნეულად და არცთუ ისე გასაგებად. ერთი-ორი ამხანაგი გაიხსენა, დაწყებით სკოლაში მეორე კლასამდე ერთად ვსწავლობდითო... მგონი, ოსიმაზე კი არა, კოფუზე ჰყვებოდა.

ათიოდე წუთის შემდეგ ეიკიტი და ქალიშვილებიც გამოჩნდნენ. მალე ხეივნიდან ორმოცი წლის ქალიც გამოვიდა.

დაღმართზე უკვე აღარ ვჩქარობდი, წინ განგებ ქალები გაეუშვი. ეიკიტი ჩემ გვერდით მოაბიჯებდა, რაღაზე აღარ ვლაყობდით... ვხედავ, კაორუმ მოიბრბინა:

— აი, აგურ წყაროა. წამობრძანდით, ჩქარა, ჩქარა წამობრძანდით! ასე დამაბარეს, ვიდრე არ მოხვალთ, არ დაქლევთ, თქვენ დაგელოდებითო.

წყლის გაგონებაზე ასე გავიქეცი, უკან არ მომიხედავს. ტოტებგაშლილი ხის ძირში, კლდის ნაპრალიდან, კამკამა წყარო მოჩუხჩუხებდა. ქალები წყაროსთან იდგნენ და მიცდიდნენ.

— თქვენ გელოდებით... თორემ, ამოიღებ მუჭით წყაროდან წყალს, აიძვრევა და მეორე შეიძლება დაღევათ კი შეგეზაროთ, განსაკუთრებით ჩვენ შემდეგ.

წყალი პეშვით ამოვიღე და დავლიე. ქალები დიდხანს არ მოსცილებიან წყაროს — სვამდნენ და სველი პირსახოცით შეხურებულ სახეებს იგრილებდნენ.

ბოლოს მთიდან დავეშვით და სიმოდას გზას დავადექით. ადგილ-ადგილ კვამლი ამოდიოდა, ეტყობა, ნახშირს სწვავდნენ... გადავწვიტეთ, ცოტა დაგვესვენა და გზისპირას დაგდებულ მორზე ჩამოვსხედით. კაორუ ჩაცუცქდა, თავისი ვარდისფერი სავარცხლით ძაღლს ვარცხნა დაუწყო.

— იცოდე, სავარცხელი გაცუდლება, — გააფროთხილა ორმოცი წლის ქალმა.

— რა უჭირს, სიმოდაში თქვენ ხომ ახალი უნდა მიგიდოთ.

რა ხანია გუნებაში მქონდა, ვიდრე დავცილდებით, ეს თმაში დასაბნევი სავარცხელი იქნებ სამახსოვროდ მე დამიტოვოს-მეთქი. აი ახლა კი დავინახე, იმ სავარცხლით ძაღლს როგორ ვარცხნიდა და არ მესიამოვნა.

გზის იქითა მხარეს ბამბუკის კონები ელაგა. მე და ეიკიტიმ გადავწვიტეთ, თითო ჯოხი აგვეღო — სიარულს გაგვიადვილებსო. ის იყო, უნდა წამოვმდგარიყავით, რომ კაორუმ დაგვახწრო, სასწრაფოდ წამოხტა და ერთი თავისზე გრძელი ჯოხი მოარბენია.

— ეს ამოდენა კეტი რისთვის გინდა? — ჰკითხა ეიკიტიმ.

კაორუმ დაირცხვინა, გაწითლდა და ჯოხი მე გამომიწოდა.

— თქვენ გქონდეთ... მარჯვე ჯოხია, გამოგადგებათ. ყველაზე მსხვილი ამოვარჩიე...



ავანტურისტული მუშაობები
ბიზნისური

— არა, არ მინდა, წაიღე, ძალიან მსხვილია... ვიღაც დაგვინახავს და მაშინვე მიხვდება, რომ მოვიპარეთ... არ შეიძლება.

ვოგონამ ჯოხი უკან წაიღო, მის მაგივრად, ცოტა უფრო წვრილი ამოარჩია, მერე ისევ ჩვენთან მოირბინა, ბამბუკის ჯოხი გამომიწოდა, მერე მოცელი-ლივით მიწაზე დაეშვა და ბრინჯის მინდვრებს შორის ნაყარ მიჯნას ზურვით მიეყრდნო. იჯდა და იცდიდა, ქალები როდის წამოიღებოდნენ.

აი ჩვენ ისევ გზაში ვართ. მე და ეიკიტი წინ მივაბიჯებთ. უცებ ყურში კა-ორუს ხმა ჩამესმის:

— დიდი ამბავი! ამოიღებს და ოქროსას ჩაისვამს.

იგი ტიოკოს გვერდით მოაბიჯებდა, იურიკო და ორმოცი წლის ქალი ოღნავ უკან მოჰყვებოდა.

— ესეც მართალია. ისე, უნდა ურჩიოს კაცმა... — თქვა ტიოკომ.

ეტყობა, ჩემზე ლაპარაკობდნენ, ჩემს გარეგნობაზე მსჯელობდნენ. ტიოკომ, როგორც ჩანს, ჩემი ოღროჩოდრო კბილები ახსენა, რაზედაც კაორუმ — ოქროსას ჩაისვამსო — უპასუხა. ჩემი სული ისეთ სიახლოვეს გრძნობდა ამ ადამიანებთან, ეს სულაც არ მწყენია, ის კი არა, ყურიც აღარ დამიგდია, ერთხანს ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, მაგრამ მალე კვლავ კაორუს ხმამაღალი ნათქვამი მომესმა.

— კარგი ადამიანია...

— მგონი, მართლაც კარგი ადამიანია.

— რა კარგია, ასეთი კარგი რომ არის, არა?

რა უბრალოდ, რა გულლიად გაიჟღერა ამ სიტყვებმა! როგორი ბავშვური და უშუალო იყო ეს ხმა! მეც როგორ მინდობილად ვირწმუნე: რა თქმა უნდა, კარგი ადამიანი ვარ, მართო მე კი არა, ეს გარს შემოჯარული მთებიც რა კარგი, რა შუბლნათელია-მეთქი... თუმცა, ოცი წლის ასაკში, ამ ჩემმა კარგმა ადამიანობამ, ვინ მოსთელის, უკვე რამდენი ტანჯვა, რამდენი წვალება მომაყენა. ობლობა გულსა და გონებას მიწამლადა. მის სიმძიმეს რომ ვეღარ გავუძელი, დავადე თავი და სამოგზაუროდ იძუში წამოვედი. და აი, ამ ადამიანების მიმართ, რომელთაც კარგ ყმაწვილკაცად, კარგ ადამიანად ჩამთვალეს, ამ სიტყვის სრულიად ჩვეულებრივი მნიშვნელობით, გული ახლა უდიდესი მადლიერების გრძნობით მქონდა სავსე. ზღვას რომ მივუახლოვდით, მთები უკვე სულ განათდა. ბამბუკის ჯოხი მოვიქნიე და ბალახებს თავი წავაცალე.

ზოგიერთი სოფლის შესასვლელში, გზაზე, ფირნიშები იდგა:

„მათხოვრებისა და მოხეტიალე მსახიობებისათვის სოფელში შესვლა აკრძალულია...“

6.

იაფფასიანი სასტუმრო „კოსიუ“ სიძიდას გარეუბანში, ჩრდილო შესასვლელთან იყო. მოხეტიალე მსახიობებთან ერთად მეორე სართულზე ავედი. ეს იყო სრულიად ჩვეულებრივი სხენი, რომელსაც ჭერიც კი არ ჰქონდა, გზის მხარეს ზედ ფანჯარაზე გადმოვიდებულ სახურავი ლამის თავზე მაწვებოდა.

— ბეჭებში ხომ არ გამტვრევს? ხელები ხომ არ გტკივა? — მზრუნველობით ჰკითხა კაორუს ორმოცი წლის ქალმა.

— არა, სულ არ მტკივა! დაკვრა შემიძლია.

კაორუმ ხელები მაღლა ასწია და ისე, როგორც დოლის დაკვრისას, ძირს ნარნარად დაუშვა.

— ძალიან კარგი...

დოღს ხელი მოკიდე და ავწიე.

— რა მძიმეა!

— რა თქმა უნდა, მძიმეა. არ იცოდით? მაგ თქვენს ჩანთაზე გაცილებით მძიმეა,

— გაიცინა კაორუმ.

ჩემი თანამგზავრები მხიარული ჟრიაშულით ეცნობოდნენ კოსიუს მღვმურებს. აქ სწორედ მათი ყაიდის ხალხს მოეყარა თავი — მოხეტიალე მსახიობებს, ცირკის ჯამბაზებს... ამ გადამფრენი ჩიტებისათვის სიმოდა, ეტყობა, საყვარელი თავშესაფარი იყო. ოთახში დიასახლისის ბავშვი შემობაჯბაჯდა — პატარა, მუხლგაუმაგრებელი ბიჭუნა. კაორუმ ხელში სპილენძის ბრჭყვიალა მონეტა შეაჩქა. წახვლა რომ დავაპირე, გოგონამ წინკარში გამასწრო, გეტები მომაწოდა და ჩუმად მითხრა:

— წამიყვანეთ რა კინემატოგრაფიაში!

სასტუმროში, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ქალაქის ყოფილ გამგებელს ეკუთვნოდა, ეიკიტი ჩემთან ერთად წამოვიდა. გზაში ვიდაც კონკიაულარუნა ავექტორდიალა, მაგრამ შუაგზაზე ჩამოგვმორდა. დაახლოებით ერთ საათს აუზში ვისხედით, მერე წავედით და სადილად ახალი თევზი მივირთვიით.

გამომშვიდობებისას ეიკიტის ქაღალდში გახვეული ცოტაოდენი ფული ხელში ჩავუღე და ვუთხარი:

— ხვალ ყვავილები იყიდეთ ბავშვის სულის მოსახსენიებლად, ჩემი სახელით საკურთხეველზე დაღეთ...

ფული უკვე მითავდებოდა, იძულებული ვიყავი, მერე დიღას გემით ტოკიოში დავბრუნებულიყავი. მსახიობებს კი უუთხარი, ტოკიოში აუცილებელი საქმეები მელოდება-მეთქი, ამიტომაც, გინდა თუ არა დარჩიო, აღარც იმათ დაუძალეზაით.

სადილიდან სამიოდე საათის შემდეგ კვლავ შიმშილი ვიგრძენი, ვივახშმე და სასეირნოდ ვავწიე — მარტოდმარტომ. ხიღზეც გადავედი, ერთხანს ქალაქის ჩრდილო ნაწილში ვიხეტიალე, მერე კი მთაზე — იქაურ ფუძიამაზე ავედი. მთელი ნავსადგური ჩემ წინ ხელისგულივით მოჩანდა — სანახაობა მართლაც რომ თვალწარმტაცი იყო.

უკან რომ ვბრუნდებოდი, „კოსიუსი“ მსახიობებთან შევიარე. ისინი ამ დროს სწორედ ვახშმად იხხდნენ — ბრინჯსა და მოხარშულ ქათამს პირდაპირ ქვაბიდან შეექცეოდნენ.

— ცოტა მაინც გასინჯეთ! — დამიწყო ხვეწნა ორმოცი წლის ქალმა. სულ ცოტა! იქნებ არ გსიამოვნებთ, ქალები ქვაბში თავიანთ ხასებს რომ ურევენ, მაგრამ, არა უშავს, ნუ შეგეზიზღებათ... გემო მაინც გაუსინჯეთ. მერე მოსაყოლად გექნებათ, მოხეტიალე მსახიობებთან ვივახშმეო...

ქალმა კალათიდან ფიალა და ხასი ამოიღო, იურიკოს უთხრა, გაერეცხა და ჩემთვის მოურთმია.

მერე ყველამ ერთად დამიწყო ხვეწნა, ერთი დღე კიდევ დავრჩენილიყავი — ხვალ ხომ სულის მოსახსენიებელი წირვაა, ორმოცდაცხრა დღე გახდება, რაც საბრალო ბავშვი დაიღუპაო. მაგრამ საქმე მოვიმიზნე და უარი ვუთხარი. მაშინ ორმოცი წლის ქალმა მითხრა:

— რას იზამ, სხვა რა გზაა... აი ზამთრის არდადეგებზე კი უსათუოდ ჩამოდით. იცოდეთ, გელოდებით... უარს ნუ გვეტყვიით... ჩამოსვლას რომ დააპირებთ, შეგვატყობინეთ, ნავსადგურში დავხვდებით. სასტუმროზე არც იფიქროთ, იცოდეთ, ძალიან გვეწყინება... ჩამოდით, უსათუოდ ჩამოდით, დაგიხვდებით...

მოგვიანებით, როდესაც ოთახში მხოლოდ ტიოკო და იურიკო იყვნენ, მე ისინი კინემატოგრაფში დავპატიე. გაფითრებულმა, სახეგაწამებულმა ტიოკომ ხელები მუცელზე მიიჭირა და მითხრა:

— აბა სად უნდა წამოვიდე, ძლივს ვდგავარ. ისეთი საშინელი გზა იყო.

თავდახრილი იურიკო კი გარინდებული იჯდა და ხმას არ იღებდა.

კაორუ დიასახლისის ბავშვს ეთამაშებოდა დაბლა. დამინახა თუ არა, დედობილს ეცა და ხვეწნა დაუწყო, ჩემთან ერთად კინემატოგრაფში გამოეშვა. მერე დაბნეული და ფერწახული მოძიახლოვდა და გეტები მომაწოდა. სახლიდან რომ გამოვდიოდი, კაორუ ახლა ძაღლს ეთამაშებოდა. ამჯერად თავიც არ აუწევია, ასე გვეგონებოდა, ღონე სულ გამოლეკია, არაფრის ძალა და არაქათი აღარა აქვსო. ისეთი გულჩათხრობილი, განრისხებული სახე ჰქონდა, გამოლაპარაკებაც ვერ გავბედე.

კინემატოგრაფში მარტოდმარტო წავედი. პაწაწა ნათურის შუქზე წამკითხველი ახსნა-განმარტებით¹ ტექსტს კითხულობდა. მე მაშინვე გამოვბრუნდი სასტუმროში. ჩემს ნომერში რომ ავედი, რაფაზე ჩამოვჯექი და ღამეულ ქალაქს ფანჯრიდან ყურება დაუწყო. ვიჯექი და ვუყურებდი სიბნელეში ჩანთქმულ, აქა-იქ აბგუტებულ ფარნის სინათლეებს. სულ ასე მეგონა, შორიდან დოლის ყრუ ხმაური ჩამესმის-მეთქი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ერთბაშად თვალთავანცრეული დაპალუპით წამსკდა.

7.

დილის შვიდი საათი იყო. ვიჯექი და ვსაუზმობდი, რომ ქუჩიდან ეიკიტიმ დამიძახა. ტანზე ღერბებით მოხატული შავი ჰაორი² ეცვა. როგორც ჩანს, ჩემს გასაცილებლად თავის ყველაზე საუკეთესო სამოსში გამოეწყო. ქალები რომ ვერ დავინახე, გული სევდით შემეკუმშა.

— გვინდოდა ყველას ერთად გაგვეცილებინე, — თქვა ეიკიტიმ, — მაგრამ წუხელ ძალიან გვიან დავწექით. ქალები პირდაპირ დაიტანჯნენ, წამოდგომის თავი აღარ ჰქონდათ. მთხოვეს, მათ მაგივრად დიდი ბოდიში მომეხადა. ასე შემოვითვალეს, ზამთარში აუცილებლად ჩამობრძანდით, იცოდეთ, გელოდებითო.

შემოდგომის ქარი უბერავდა, ციოდა. გზად ეიკიტიმ ოთხი კოლოფი „სიკისიმა“, პერსიმონები და სურნელოვანი გამაგრილებელი აბები მიყიდა. გამაგრილებელ აბებს „კაორუ“ ერქვა.

— კაორუ ხომ ჩემს დას ჰქვია... — ჩაიცინა ეიკიტიმ. — პერსიმონები კი გემზე გამოგადგებათ. ამბობენ, პერსიმონები ზღვის დაავადებას შეეღისო, მანდარინი ამას ვერ შეედრება.

ახალთახალი კეპი მოვიხადე და თავზე დავახურე;

— ჩემს სახსოვრად გქონდეთ.

მერე ჩანთიდან დაჭმუჭნული ფორმის ქუდი ამოვიღე, ნაკეცები გავუხსწორე და ყურებამდე ჩამოვიფხატე.

ამაზე ორივეს გაგვეცინა.

უკვე ნავმისადგომზე ვიყავით, რომ ნაპირთან პატარა, მობუზული ფიგურა დავინახე. გული შემიტოკდა, თითქოს შუაზე გამეპო, გულში თითქოს თავად

¹ იაპონიაში მუნჯი ფილმის ჩვენებას თან ახლდა განმარტებითი ტექსტის კითხვა. მ

² ჰაორი — მოკლე კიმონო.

მოცეკვავე გოგონა შემოფრინდა. მაგრამ ვიდრე არ მივუახლოვდით, გოგონა არც შერხეულა. ბოლოს თავი მღუპარედ დამიქნია. საოცრად გულამარწყებელი იყო, თვალის კუთხეებში გუშინდელი საღებავის ნარჩენი შერჩენოდა... გაბუტული ბავშვივით ამაყი, კუშტი და მიუკარებელი იდგა.

— ისინიც მოვლენ? — ჰკითხა ეიკიტიმ.

გოგონამ თავი გააქნია.

— ისევე სძინავთ?

ამ სიტყვებით უცნობი კაცი მომიახლოვდა.

— ბატონო სტუდენტო, — თავი დამიკრა კაცმა, — ხომ ტოკიოში მიდიხარ? თანხმობის ნიშნად ახლა თავი დაუქნია ძმას კაორუმ.

ვიდრე ეიკიტი გემის ბილეთისა და კატერის ტალონების ასაღებად იყო წასული, გადავწყვიტე, გამოვლაპარაკებოდი. როგორ არ ვეცადე, საიდან არ მოვუარე, მაგრამ ხმაც ვერ ამოვალე ბინე — იდგა და სადღაც სიურცეში, იქ, სადაც არხი ზღვას უერთდებოდა, ერთ წერტილს მისჩერებოდა. დუმდა და მხოლოდ თავს აქნევდა, წინადადების დამთავრებასაც არ უცდიდა.

უცებ ვიღაცის ხმა შემომესმა:

— დეიდა, აი ამ სტუდენტს ვთხოვოთ...

ამ სიტყვებით უცნობი კაცი მომიახლოვდა.

— ბატონო სტუდენტო, — თავი დამიკრა კაცმა, — ხომ ტოკიოში მიდიხარ?

ჰოდა, რაღაც უნდა ვთხოვოთ... გადავწყვიტეთ, სწორედ შენტვის მოგვემართა... გეტყობა, საიმედო კაცი ხარ... ჰქენი სიკეთე, ეს დედაბერი ტოკიოში ჩაიყვანე... საბრალო მოხუცია... ეჰ, ისეთი უბედურება დაატყდა! ამისი შეილა რენტაიძის ვერცხლის მაღაროებში მუშაობდა. ახლახან გარდაიცვალა... რძალიც დაეღუპა, რა ვიცი, ინფლუენციას თუ რაღაც... იმისაგან დაიხოცნენ. სამი ბავშვი დარჩათ, სამი პატარა ბავშვი! აბა რა უნდა ექნა ამ მოხუცებულ ქალს, როგორ უნდა მოეველო ამ ბავშვებისათვის. მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, თავის სამშობლოში გაგვემგზავრებინა. თვითონ იგი მიტოვანაა, ბატონო სტუდენტო, უარს ნუ გვეტყვი, მიგვიხელე. ეს ჩვენი ბებია ამ ბოლო დროს სულ დაუძღურდა, აღარაფერი შეუძლია. რეიგანტოში რომ ჩახვალთ, უეხოს სადგურზე მატარებელში ჩასვი... რა თქმა უნდა, ბევრი წვალუბა მოგიწევს, მაგრამ, ძალიან ვთხოვ, ნუ დაგვზარდები! აი შეხედავ და შენ თვითონ შეგებრალე.

დედაბერი ფეხზე ძლივსლა იდგა. ზურგზე ძუძუთა ბავშვი ჰყავდა მოკიდებული. კალთაში ორი — სამი და ხუთი წლის გოგონა ჩაჰფრენოდა. ჭუჭყიან ფუროსიკიში ბრინჯის გუფთები და დამარილებული ქლიავი ჰქონდა გამოკრული. ირგვლივ მაღაროელები შემოხვეოდნენ, რაც შეეძლოთ ამხნევებდნენ.

ცხადია, მათ თხოვნას სიამოვნებით დავთანხმდი.

— პირდაპირ გაჭირვებიდან გვიხსენი, ბატონო სტუდენტო! შენი იმედი გვექნება... — მაღლობის თქმას არ აცლიდნენ ერთმანეთს.

— წესით, ჩვენ თვითონ უნდა გავვეცილებინა მიტომდე, მაგრამ...

კატერი საშინლად ირწეოდა. კაორუ კი იდგა ტუჩებმოკუმული და ისევე ერთ წერტილს მისჩერებოდა. გემთან რომ მივედით, თოკის ტრაპს ჩავეჭიდე და გამოვემშვიდობე. კაორუმ პირი გახსნა, თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა არც ახლა ამოუღია, მხოლოდ თავი დამიქნია კიდევ ერთხელ.

1. ფუროსიკი — ფერადი ბოხჩა, რომელშიაც საჯვალს ან რიბე ნივთებს გამოკრევენ ხოლმე.

კატერი გაბრუნდა. ეკითხებ კეპი მოიძრო და დამიქნია. კარგა დიდ მანძილზე რომ დამცილდნენ, კაირუმაც პაერში რაღაც თეთრი ააფრიალა.

მე მანამდე ვიდექი გემის ქიმთან, მანამდე გავფურებდი კუნძულ ოსიძას, ვიღრე გეში ზღვაში არ შევიდა და ნახევარკუნძულ იძუს საძხრეთი ხაზი თვალს არ მიეფარა. პატარა მოცეკვავე გოგონა... გამომშვიდობება... ყველაფერი სადღაც შორს... სამუდამოდ დაკარგულ წარსულში ჩაინთქა.

მერე დაბლა ჩავედი ბებიას სანახავად. მოხუცს ირგვლივ სხვები შემოხვეოდა, რაღაცას ეკითხებოდნენ, ამხნევებდნენ. დამშვიდებულმა გზა განვაგრძე და მეორე განყოფილებაში გავედი. საგამას სრუტეში უზარმაზარი ტალღები ბობოქრობდა, გემს აქეთ-იქით ახეთქებდა. მატროსმა შემოიხედა და ყოველი შემთხვევისათვის თასები ჩამოგვირიგა. უკვე ჯდომის თავიც აღარ მქონდა, ჩანთა თავქვეშ ამოვიდე და დავწექი. სადღაც შიგნით, გულში საშინელი სიცარიელე ვიგრძენი. დრო თითქოს წაიშალა. ცრემლმა ჯერ წვეთ-წვეთად, მერე კი ღვარივით იფეთქა თვალთაგან. ცრემლით დასველებული ჩანთა უსიამოვნოდ მეღებოდა ლოყაზე და იძულებული ვიყავი, გადამებრუნებინა. მერე ვიღაც ჭაბუკი გამომელაპარაკა — კავადუელი ფაბრიკის მეპატრონის შვილი ვარო. უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად ტოკიოს მიემგზავრებოდა. ჩემმა სტუდენტურმა ქუდმა, ეტყობა, შთაბეჭდილება მოახდინა. ატირებული რომ დამინახა, მკითხა:

— რაიმე უბედურება ხომ არ შეგემთხვათ?

— არა, არაფერი... უბრალოდ, ერთ ადამიანს გამოვეთხოვე... — გულლიად, სრულიად მოურიდებლად გამოუტყდი ჭაბუკს.

ხალხი მიყურებდა, როგორ ვტიროდი, მაგრამ მე ამას აინუნშიაც არ ვავდებდი, პირიქით, ყოველის განმწმენდელმა ცრემლმა გულს ოდნავი შეებაც კი მოგვარა.

ვერც კი შევამჩნიე, ზღვას უკუნი ღამე როგორ ჩამოაწეა... სანაპიროზე, ამიროსა და ატამში სინათლეები რომ აციმციმდა, მხოლოდ მაშინ მივხვდი, უკვე კარგა გვიანი ღამე რომ იყო. მციოდა და მშიოდა კიდეც.

ჭაბუკმა ბამბუკის ხრალით შეკრული ფუთა გახსნა და სუსი² შემომთავაზა.

მართალია, საჭმელი ჩემი არ იყო, მაგრამ არხეინად, მოურიდებლად შევექეცი — ლუკმას ლუკმაზე ვნთქავდი. მერე მოსასხამქვეშ შევუძვერი, რამეთუ ადამიანური სიკეთის ყოველი გამოვლინება ჩემთვის სრულიად ბუნებრივი რამ გახლდათ. ჩავალთ თუ არა, ბებიას სადგურ უნომდე მივაცილებ. ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმებოდა. მთელი ქვეყნიერება ჩემთვის ახლა ერთიანად და განუყოფელი იყო.

ჭერში ფანარი ჩაქრა. ზღვის ძლიერმა სურნელმა დაჰბერა. ტრიუმიდან ახლად დაჭერილი თევზის მძაფრი სუნის წამოვიდა. ჭაბუკისაკენ ახლოს მივიწიე, ვცდილობდი, მისი სხეულის სითბოთი გავმთბარიყავი... და უკუნეთ სიბნელეში ჩემი თვალებიდან კვლავ ცრემლმა იწვიმა. ერთბაშად ტკბილი, გულისწამლება გრძნობა დამეუფლა. თითქოს ყოველივე გაქრა, თითქოს კრიალა, გამჭვირვალე წყლად ვიქეცი, რომელიც ცრემლად გადმოინთხეოდა, ისე, რომ უბრალო ნაკვალევსაც არ ტოვებდა.



² სუსი — მოხარშული ბრინჯის ბურთულები რისიმე გულით.



გერმანულიდან
თარგმნა ბიორბი მაჭუტაძემ

მოქალაქეობა გერმანიაში

გაჭირვება და საზრუნავი, ღმერთ-ქალები — გერმანული მუსიკოსის მფარველები არიან (რა თქმა უნდა, მაშინ, თუკი იგი არ გამხდარა რომელიღაც სამეფო კარის თეატრის კაპელმაისტერი), გაჭირვება და საზრუნავი, თქვენთვის შემისხამს ხოტბა ამ ჩემს მოგონებებში! თქვენ გლოცავთ, ჩემი ცხოვრების ერთგულ მომხრეებო! ყოველთვის მხარში მედევით და არასოდეს მიგიტოვებთ, თქვენი ძლიერი ხელებით მუდამ განმარიდებდით ჩემს ცხოვრებაში მოსალოდნელ ბედნიერ ცვლილებებს, გამუდმებით მიფარავდით ჩემი ბედ-იღბლის მოსაბეზრებელ, მზიურ გაელვებისგან! ყოველთვის ჩრდილაკდით ქვენა მიწიერ კეთილდღეობას! ჰოდა, ნება მიბოძეთ, მადლობა გითხრათ თქვენი მარადიული მხარდაჭერისათვის! მაგრამ, თუკი შესაძლებელია, სხვა ვინმე გააბედნიერეთ თქვენი თანადგომით; ოჰ, რა მწადია ვიცოდე, რანაირად ვიცხოვრებდი უთქვენოდ. შემისრულეთ თხოვნა და უყურადღებოდ ნუ მიატოვებთ თუნდაც ჩვენს პოლიტიკურ მეოცნებეთ — ჭკუაზე გადასულებს, რაღაც უნდა დაუჯდეთ, მთელი გერმანიის ერთ სამეფოდ გაერთიანება რომ მოუწადინებიათ: მაშინ ხომ ერთი სამეფო კარის თეატრი იქნებოდა, მაშასადამე, ერთი სამეფო კარის

კაპელმაისტერის ადგილი. რა მოუვა მაშინ ჩემს უკვე ისედაც ბუნდოვანსა და გაურკვეველ გეგმებს, გერმანიაში ჯერ-ჯერობით ხომ უთვალავი თეატრია, მაგრამ ვატყობ, მკრეხელობას ჩავდივარ. მაბატიეთ, მფარველო ღმერთ-ქალებო, ასეთი თავხედური სურვილისთვის! მაგრამ ხომ იცით, რა გულის პატრონიცა ვარ, თქვენთვის ცნობილია ჩემი ერთგულება, ჩემი უცვლელი ერთგულება მაშინაც კი, გერმანიაში თუნდაც ათასი სამეფო კარის თეატრი იყოს! ამინ!

ამ ყოველდღიური ღოცვით ვიწყებ და, მაშასადამე, ამით დავიწყებ ბეთჰოვენთან ჩემი მომლოცველობის ამბავსაც.

თუკი ჩემი სიკვდილის შემდეგ ეს საბუთი გამოქვეყნდება, საჭიროდ მივიჩნევ, ვიამბოთ, ვინ ვარ, ვინაიდან უამისოდ შეიძლება ბევრი რამ გაუგებარი დარჩეს. ჰოდა, იცოდეთ ეს, ჩემო მკითხველებო და ანდერძის აღმსრულებლებო!

შუაგულ გერმანიის ერთ პატარა ქალაქში დავიბადე. ზუსტად ვერ ვეტყვით, რას მიპირებდნენ ჩემი მშობლები, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ერთ საღამოს პირველად მოყისმინე ბეთჰოვენის ერთი სიმფონია და მოსვენება დამეკარგა, ციებ-ცხელება დამემართა,

ხოლო, როცა მოვიკეთე, მუსიკოსი გაუხდი. ამას, ალბათ, იმას უნდა ვუმაღლოდე, რა გამოირჩეული სიყვარულით, ალტაცებითა და თაყვანისცემით ვეპყრობოდი ბეთჰოვენს, თუმცა შემდეგ სხვა ჩინებული კომპოზიტორების ნაწარმოებებსაც გავეცანი. უდიდეს სიხარულს მანიჭებდა, მთლიანად ჩავძირულიყავი ბეთჰოვენის გენიის სიღრმეში, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი თავი მისი ნაწილი იყო და ამ ერთნამცეცა ნაწილს მისი ამაღლებული იდეებისა და შეხედულებების თანაზიარად მივიჩნევდი. ერთი სიტყვით, ის გაუხდი, ვისაც გონიერი ხალხი, ჩვეულებრივ, სულელს უწოდებს, მაგრამ ჩემი აკვიატება არავის ენებდა; იმხანად მეტიხმეტად გამხმარ პურს ვჭამდი და წყალგარეულ ღვინოს ვსვამდი, ვინაიდან მუსიკის გაკვეთილებით, პატივცემულო მკითხველებო და ანდერძის აღმსრულებლებო, ბევრს ვერაფერს იმოვი-

აი, ასე ვცხოვრობდი სხვენზე, როცა ერთ მშვენიერ დღეს თავში გამიელვა, ის ადამიანი, ვის ქმნილებებზეც სული მიმდის, მკვდარი არ იქნება-მეთქი. ვერ წარმომედგინა, თუ ბეთჰოვენი, ჩვენი, ცოდვილებისა არ იყოს, ჭამდა პურს, ისუნთქავდა ჰაერს — ერთი სიტყვით, სული ედგა. ბეთჰოვენი ვენაში ცხოვრობდა და ერთი ღარიბი გერმანელი მუსიკოსი იყო.

ამის შემდეგ მოსვენება დავკარგე! მთელი გონება მართო იმისკენ იყო მიმართული, მენახა ბეთჰოვენი! არც ერთი წინასწარმეტყველის საფლავის სანახავად წასული მუსულმანი ისე გულანთებული არ იწვოდა, ბეთჰოვენის უბრალო სავანის მოსახილავად რომ მივისწრაფოდა.

მაგრამ რით დავიწყო, ვით აღვისრულო ჩანაფიქრი? ვენამდე შორს იყო, იქამდე მისასვლელად ფული მჭირდებოდა. მე უბედური კი ძლივს ვშოულობდი პურის ფულს! პოდა, უცნაური რამ უნდა მედონა გზის ფულის საშოვნელად. F ზების გამომცემლობაში

რამდენიმე საფორტეპიანო სონატა წავიღე, რომლებიც ჩემი სათაყვანებელი ოსტატის მიბაძვის შედეგები. გამომცემელმა რამდენიმე სიტყვით მაგრძობინა, სულელი ხარო და მირჩია, თუკი მუსიკალური ნაწარმოებებით რამდენიმე ტალერის შოვნა გინდა, ჯერ გალოპებითა და პოპურით სახელი გაიგდო. შევერთი, მაგრამ ბეთჰოვენის ხილვის სურვილმა წამძლია; ვქმნიდი გალოპებსა და პოპურის, მაგრამ სირცხვილით ბეთჰოვენის სურათისკენ ვერ გამეხედა, რადგან ეს მკრეხელობად მეჩვენებოდა.

ჩემდა საუბედუროდ, გამომცემელმა არაფერი მომცა ჩემი შეცოდების ამ პირველ ნიბუშებში, ჭკუა დამარიგა, თავდაპირველად სახელი უნდა მოიხვეჭო. შევეცბი და სასო წარმეკვეთა, მაგრამ სასოწარკვეთილმა რამდენიმე მშვენიერი გალოპი დავწერე. მართლაც, იმ გალოპებში ფული გადამიხადეს; ბოლოს და ბოლოს იმდენი ფული დავაკროვე, რომ ჩანაფიქრს ავისრულებდი. მაგრამ ამასობაში ორმა წელიწადმა განვლო, და სულ მეშინოდა, ბეთჰოვენი იმაზე ადრე არ გარდაცვლილიყო, ვიდრე გალოპებითა და პოპურებით სახელს მოვიხვეჭდი. მადლობა ღმერთს, მანამდე იცოცხლა, სანამ სახელს ვავიგდებდი! უწმინდესო ბეთჰოვენ, მომიტევე, ეს სახელი იმისთვის მჭირდებოდა, რომ შენ მენახე!

რა ნეტარებას განვიცდიდი! მალე მიზანს მივალწევდი! კაცი არ იყო ჩემზე ბედნიერი! მხოლოდ უნდა მოვმზადებულიყავ და გზას გავდგომოდი. როდესაც ქალაქის ბჭეს გამოვცდი და ფეხი სამხრეთისკენ გადავდგი, გამაერჟოლა! სიამოვნებით ჩაუჯდებოდი დილიჯანსში, იმიტომ კი არა, რომ ფეხით სიარული გამიჭირდებოდა (ოპ, სიხარულით ავიტანდი ყოველგვარ გაჭირვებას იმისთვის, რაც ჩაფიქრებული მქონდა!), — არა, მხოლოდ იმიტომ, რომ მალე მივსულიყავი ბეთჰოვენთან. მაგრამ ჩემი გალოპებით ჯერ კიდევ არ მომეხვეჭა სახელი, ამიტომაც ვერ გადავიხდიდი

მგზავრობის ფულს. ჰოდა, მზად ვიყავი ნებისმიერი ვაჭირვება ამეტანა და ბედნიერ კაცად მივიჩნევიდი თავს, თუ მიზანს მალე მივაღწევდი. ოჰ, რა ოცნებებს, რა ზმანებებს ვხედავდი! ჩემზე ბედნიერი ის სატროფოც კი ვერ იქნებოდა, რამდენიმე წლის განშორების შემდეგ თავის შეყვარებულს რომ უბრუნდება.

ჰოდა აი, ბოქემიაში, მეარფეთა და ქუჩის მომღერლების მხარეში შევამოხვე. პატარა ქალაქში მოხეტიალე მუსიკოსებს გადავეყარე, მომცრო ორკესტრი შეედგინათ: კონტრაბასი, ორი ვიოლინო, ორი ვალტორნა, კლარნეტი და ფლეიტა; ამას გარდა, მათთან იყვნენ მეარფე ქალები და დიდებული ხმის პატრონი ორი მომღერალი. უკრავდნენ საცეკვაოებს და მღეროდნენ სიმღერებს; ფულს რომ მოაგროვებდნენ, მიდიოდნენ. ისევ გადავაწყდი მათ. დასასვენებლად და საჭმელად მიმსხდარიყვნენ გზატკეცილის გადაღმა ხეების ჩრდილში. მათთან მივედი, მეც მოხეტიალე მუსიკოსი დავირქვი და მალე დაემეგობრდით. მოვისმინე: საცეკვაოებს უკრავდნენ და ამიტომაც მორიდებით გამოვიკითხე, ჩემს გალოპებსაც ხომ არ უკრავთ-მეთქი? რა კარგები იყვნენ! ჩემს გალოპებს არ იცნობდნენ, ოჰ, რა მესიამოვნა!

ვკითხე, ცეკვების გარდა სხვა რამეს ხომ არ უკრავთ-მეთქი?

— დიახ, — მიპასუხეს, — მაგრამ ჩვენთვის ვუკრავთ და არა ბატონებისათვის.

ამოიღეს ნოტები და, ბეთპოვენის მეშვიდე სიმფონია რომ დავინახე, გაოცებულმა ვკითხე, ნუთუ ასეთ რამესაც უკრავთ?

— რატომაც არა? — მითხრა უფროსმა. — იოზეფს, მეორე ვიოლინოს, ხელი სტკივა, დაკვრა არ ძალუძს, თორემ ამ სიამოვნებას არ მოგაკლებდით.

გახარებულმა მაშინვე ეტაცე ხელი იოზეფის ვიოლინოს, აღვუთქვი, რაც

შემეძლება, შეგცვლით-მეთქი და ბეთპოვენის სიმფონია დაუკარი.

ოჰ, რა ზეადმტაცია! აქ, ბოქემიაში, გზატკეცილზე, ღია ცის ქვეშ გესმოდეს მოხეტიალე მუსიკოსების მიერ შესრულებული ბეთპოვენის სიმფონია. თანაც ისე ზუსტად, ისე ბრწყინვალედ, ისე გულშიამწვდომად, რომ უბადლო დამკრეფლებსაც კი გაუჭირდებოდათ. დიდო ბეთპოვენ, მიიღე ჩვენგან დამსახურებული მსხვერპლი!

უკვე დასასრულს ვუკრავდით, როდესაც — გზატკეცილი ამ ალაგას მკვეთრად უხვევდა და მაღლა აღიოდა — იქვე ახლოს ნელა და უხმაუროდ გაჩერდა კოხტა სამგზავრო ეტლი. ეტლში საოცრად მაღალი და საოცრად თეთრფეროვანი ყმაწვილი კაცი იწვა, ყურადღებით მოისმინა ჩვენი მუსიკა, მერე საფულე ამოიღო და რაღაცა ჩაინიშნა. შემდეგ ოქროს ფული მოგვიგდო და ეტლი წააყვანინა, რამდენიმე სიტყვა ინგლისურად უთხრა ლაქიას, საიდანაც ვავიგე, რომ ინგლისელი იყო.

ამ შემთხვევამ გუნება გაგვიფუჭა; საბედნიეროდ, სიმფონია დავასრულეთ. ახალ მეგობრებს ხელი მოვხვიე და ვიფიქრე, ამათთან ვიქნები-მეთქი, მაგრამ მითხრეს, შინ, მშობლიურ სოფელში დაბრუნებას ვაპირებთ, გზატკეცილიდან უნდა გადაუხვიოთ, შარავხით წავიღეთო. ბეთპოვენი მელოდა, თორემ მათ გავაცილებდი. ჰოდა, გულაჩუყებულები დავშორდით ერთმანეთს, მე ჩემს გზას ვეწიე. მერე გამახსენდა, რომ არავინ დახრილა ინგლისელის მიერ გადმოგდებული ფულის ასაღებად.

უახლოეს ფუნდუკში, სადაც დასასვენებლად და სულის მოსათქმელად შევიარე, ინგლისელი დავინახე, სუფრას უჯდა და სადილობდა. დიდხანს მიყურა, მერე კი ასე თუ ისე გამართული გერმანულით დამელაპარაკა.

— სად არიან თქვენი ამხანაგები? — მკითხა.

— შინ წავიდნენ, — უპასუხე.

— აიღეთ ვიოლინო და კიდევ დაუკა-

რით რამე, — მითხრა მან. აიღეთ ფული.

ამან გამაბრაზა და განუცხადე, ფულის გულისთვის არ დაუკრავ-მეთქი, გარდა ამისა, ვიოლინო არ მქონდა, და ორიოდ სიტყვით ვუთხარი, რანაირად გადავეყარე იმ მუსიკოსებს.

— კარგი მუსიკოსები არიან, — მითხრა ინგლისელმა, — ბეთჰოვენის მუსიკაც ძალიან კარგია.

მისმა სიტყვამ შემძრა; ვკითხე, მუსიკოსი ხომ არა ხართ-მეთქი.

— Yes, — მიპასუხა, — კვირაში ორჯერ ფლეიტაზე ვუკრავ, ხუთშაბათობით — ვალტორნაზე, შაბათობით კი მუსიკას ვწერ.

გამიკვირდა: რა ნიჭი ჰქონია! არასოდეს გამეგონა რამე ინგლისელ მოხეტიალე მუსიკოსებზე; ალბათ, კარგად ცხოვრობენ, რაკი კეთილმოწყობილი ეტლით მგზავრობენ-მეთქი, გავიფიქრე. პროფესიული მუსიკოსი ხომ არა ხართ, ვკითხე.

დიდხანს არ გამცა პასუხი; ბოლოს ძლივს ამოღერდა, ბევრი ფული მაქვსო.

მივხვდი ჩემს შეცდომას: ცხადია, ჩემმა კითხვამ შეაცბუნა. შემკრთალმა ენას კბილი დავაჭირე და ჩემს ღარიბულ სადილს შევექეცი.

მაგრამ ინგლისელმა, დიდხანს რომ მათვალიერა, ისევ ხმა ამოიღო.

— იცნობთ ბეთჰოვენს? — მკითხა მან.

ვენაში არასოდეს ვყოფილვარ-მეთქი, ვუპასუხე, ახლა სწორედ იქით მივემგზავრები ჩემი სურვილის დასაკმაყოფილებლად — სათაყვანებელი მაესტრო უნდა ვნახო.

— საიდან ხართ? — მკითხა მან.

— ლ-დან.

— ეს ახლოსაა, მე ინგლისიდან მოვდივარ ბეთჰოვენის გასაცნობად. ორივე გავეცნობით; ძალიან ცნობილი კომპოზიტორია.

„რა საოცარი დამთხვევაა! — გავიფიქრე. — რა განსხვავებულ ადამიანებს

იზიდავ, დიდებულო მაესტრო! მოდიან ფეხით, მოდიან ეტლით“. ინგლისელმა ცნობისწადილი აღმიძრა, მაგრამ, გამოვიტყდებით, სრულებით არ მშურდა მისი ეტლი. ჩემი აზრით, ჩემს რთულ ფეხით მომლოცველობაში მჭეტნი სწინდუ, მეტი ღეთისმოსაობა იყო, და თუ მიზანს მივალწვედი, ეს უფრო დიდ ბედნიერებას მომანიჭებდა, ვიდრე მას, ამ ქედმაღალ კუდაბზიკას.

გაისმა ფოსტალიონის საყვირის ხმა: ინგლისელმა გამოთხოვებისას დამიყვირა, თქვენზე ადრე ბეთჰოვენს არ ვნახავო და წავიდა.

სულ რამდენიმე საათი გავიარე ფეხით და მოულოდნელად ისევ მას გადავაწყდი. მისი გატეხილთვლებიანი ეტლი გზაზე იდგა, სრულებით მშვიდი ინგლისელი თავის ლაქიასთან ერთად ეტლის ძარის უკანა სატერფულზე იჯდა, თუმცა ეტლი ძალიან გადახრილიყო ცალ მხარეზე. მითხრეს, ფოსტალიონს ველოდებით, საკმაოდ შორეულ სოფელში მჭედლის მოსაყვანად წავიდაო. უკვე დიდი ხანია ელოდნენ. ლაქია მხოლოდ ინგლისურად ლაპარაკობდა, ამიტომ გადავწყვიტე, სოფელში წავსულიყავი, ფოსტალიონი და მჭედელი დამენქარებინა. მართლაც ფოსტალიონი სასადილოში ვნახე, სადაც არაყს სვამდა, თავისი მგზავრის ბედი დიდად არ აწუხებდა; მჭედელი და იგი მაინც ძაღვ მივიყვანე დამტვრეულ ეტლთან. ეტლის თვალი შეაკეთეს, ინგლისელი დამპირდა, ბეთჰოვენს თქვენს ჩამოსვლას ვაუწყებო და... წავიდა.

რა დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა მეორე დღეს იგი ისევ გზაზე დავინახე! ამჯერად ოთხთვლიანი ეტლი ქუჩის განაპირას იდგა. ინგლისელი წიგნს კითხულობდა და თითქოს ჩემმა დანახვამ გაახარა.

— კარგა ხანია აქ ვდგავარ, — მითხრა მან, — ვიფიქრე, რა უზრდელად მოვიქეცი, ბეთჰოვენთან ერთად წასვლა რომ არ შევთავაზე-მეთქი. ეტლით მგზავრობა უფრო დიდ სიამოვნებას განიჭებს.

კაცს, ვიდრე ფეხით სიარული. დაჯექით ეტლში.

ისევ გავიკვირვე. თუმცა ერთხანს ვყოყმანობდი, თანხმობა მეოქვა თუ არა მის მიპატიჟებაზე, მაგრამ მალე გამახსენდა გუშინ დაღებული ფიცი, ამგზავრებულ ინგლისელს რომ გავცქეროდი — რაც უნდა მომხდარიყო, ფეხით გამეხრულებიანა ჩაფიქრებული მომლოცველობა, და მოვახსენე კიდევაც. ახლა ინგლისელმა გაიკვირვა: ჩემი ვერ გაეგო. გამიმეორა მიპატიჟება, მითხრა, უკვე რამდენიმე საათია გელოდებითო, დიდი დრო წაუღია დამის თევას, თვალი ძირფესვიანად შეუკეთებიათ. გადაწყვეტილება არ შემიცვლია, და კვლავ გაოცებულმა დამტოვა.

სიმართლე რომ ითქვას, გულით ვერ განვეწყვე მისდამი — რაც იმის ბუნდოვანი წინათგრძნობა გამიჩნდა, რომ ეს ინგლისელი მრავალ უსიამოვნებას შემამთხვევდა. ამასთან ბეთჰოვენის თაყვანისცემა, როგორც მისი გაცნობის სურვილი, უფრო მდიდარი ბატონის ახირებად მეჩვენა და არა ერთი ვინმე აღტაცებული კაცის დრმა, გულიდან ამომდინარე მოთხოვნილებად. ამიტომაც განზე დავდექი მისგან, რათა მასთან ურთიერთობით არ შემებღალა ჩემი მოკრძალებული ლტოლვა.

მაგრამ თითქოს ამ საშიშროებისთვის მამზადებდნენ, იმავე საღამოს ბედმა მასთან შემაჩეხა დუქნის ახლოს, სადაც, როგორც ჩანს, მელოდა, ვინაიდან ეტლის წინა სკამზე იჯდა და გამოვლილ გზას გასცქეროდა.

— სერ, — მომიბრუნდა იგი მე, — აი, უკვე რამდენიმე საათია ისევ თქვენ გელოდებით: ხომ არ გამოწყვებით ბეთჰოვენთან?

ამჯერად გამიკვირდა კი არა, შეტსაც ვიტყვი, შემეშინდა კიდევ. პატივისცემის დაუძლეველი სურვილი მარტო იმით შეიძლებოდა ამეხსნა, რომ მზარდი არაკეთილგანწყობილების შემყურე ინგლისელმა თავისი ურთიერთობით ჩემი სიკვდილი გადაწყვიტა. მიწვევაზე

კვლავ უარი ვტკიცე, ახლა დაუფარავი წყენა გამოვხატე.

მაშინ ამაყად განმიცხადა: — Goddam,¹ ჯეროვნად ვერ აფასებთ ბეთჰოვენს. მე მას მალე ვნახავ!

იგი მაშინვე გამეცხადებინა: — ამჯერად უკანასკნელად! შემეხვდით ერთმანეთს — ეენამდე დიდი ხნის სავალზე ეს ალბიონის შვილი მეტი აღარ მინახავს. და აი, ვენის ქუჩებში ამოვყავო თავი. აღსრულდა ჩემი მომლოცველობა. გრძნობამორეულმა შევვდიე ფეხი მექაში! დამავიწყდა ხანგრძლივი და რთული მოგზაურობის ყველა სიმწუღე: ჩემს მიზანთან, იმ ქალაქის კედლებთან ვიყავი, სადაც ბეთჰოვენი ცხოვრობდა.

მეტისმეტად ველეაუდი, რომ დაუყოვნებლივ მეფიქრა ჩემი განზრახვის აღსრულებაზე. მართალია, მაშინვე გავიკითხე, სად ცხოვრობდა ბეთჰოვენი, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ თვითონ მეცხოვრა მის მახლობლად. თითქმის იმ სახლის პირდაპირ, სადაც მაესტრო ცხოვრობდა, არც თუ ძალიან მიმზიდველი სასტუმრო იდგა; შეექვსე სართულზე ერთი პატარა ოთახი ვიქირავე და მოვემზადე ჩემი ცხოვრების უდიდესი მოვლენისათვის — ბეთჰოვენთან შესახვედრად.

ორი დღის დასვენების შემდეგ, როდესაც ვმარხულობდი, ვლოცულობდი და არ მიცდია, ახლოს გავცნობოდი ვენას, მხნეობა მოვიკრიბე, სასტუმროდან გამოვედი და ამ გამორჩეული სახლისაკენ გავემართე. მითხრეს, ბატონი ბეთჰოვენი სახლში არ ბრძანდებო. კმაყოფილება ვიგრძენი: ამგვარად, მრჩებოდა გარკვეული დრო აზრის მოსაკრებად. მაგრამ, როდესაც ოთხჯერ იგივე გამიმეორეს, თანაც ხმამაღლა, ის დღე დანავსულად მივიჩნიე და, შეწუხებულს, სტუმრად წასვლა აღარც მიფიქრია.

სასტუმროში რომ ვბრუნდებოდი, ბე-

1. დასწყევლოს ღმერთმა (ინგლის.).

ლეტაეის ფანჯრიდან კარგა თავაზიანად მომესალმა ჩემი ინგლისელი.

— ნახეთ ბეთჰოვენი? — მკითხა მან.

— ჯერჯერობით არა: სახლში არ დამხვდა, — ვუპასუხე ამ ახალი შეხვედრით გაოცებულმა. იგი კიბუზე მელოდა და მეტისმეტად თავაზიანად შემიპატიჟა შინ.

— ბატონო, — მითხრა მან, — დღეს ხუთჯერ მოხვედით ბეთჰოვენის სახლთან. მე უკვე რამდენიმე დღეა აქ ვარ და ამ საზიზღარ სასტუმროში ვავჩერდი, რათა მაესტროსთან ახლოს ყყოფილიყავი. დამიჯერეთ, ძალიან ძნელია მასთან დალაპარაკება; ეს ჯენტლმენი მეტისმეტად ჭირვეული ვინბეა. პირველივე დღეს ექვსჯერ მივედი მასთან და ექვსჯერვე სახლში არ დამხვდა. ახლა ძალიან ადრე ვდგები და გვიან დამემდე ვზივარ ფანჯარასთან, სახლიდან გამოსულ ბეთჰოვენს თვალი მოვკრა-მეთქი. გაგიგონია, ეს ჯენტლმენი თითქოს არასოდეს გამოდიოდეს სახლიდან.

— მაშასადამე, თქვენი ვარაუდით, ბეთჰოვენი დღესაც სახლში ბრძანდებოდა და ბრძანა, არ მიიღოთ? — წამოვიყვირე მთლად შეცბუნებულმა.

— რასაკვირველია, არც თქვენ მივიღოთ და არც მე. ეს ამბავი ძალიან მაწუხებს, ვინაიდან ბეთჰოვენის გასაცნობად ჩამოვედით და არა ვენის დასათვალიერებლად.

ამ ამბავმა გული მომიკლა. მით უმეტეს, მეორე დღეს ისევ ვცადე ბედი, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ — ციური ბჭენი არ იღებოდა.

გამუდმებით ფანჯარასთან მდგარი ინგლისელი დაძაბული ადევნებდა თვალყურს ჩემს ამაო ჭაპანწყვეტას, და ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ ბეთჰოვენის ბინა ქუჩას არ გადმოჰყურებდა. გულდაწყვეტილი იყო, მაგრამ მაინც ბოლომდე მტკიცედ ეჭირა თავი. სამაგიეროდ მე თვითონ საბოლოოდ დამეკარგა მოთმინება, რისი საფუძველიც ცხადია, უფრო მალე: შეუმჩნევლად

განვლო ერთმა კვირამ, მე კი მიზანს ვერ მივალწიე, ჩემი გალოპების შემოსავლით კი ვენაში დიდხანს ვერ ვიცხოვრებდი. თანდათანობით სასო წარმეკვეთა.

ჩემი საწუხარი ~~ქასტუმროს~~ პატრონს გაეუმხილე. ჩაეცენჯ და დამეჭირდა, თუკი ამას ინგლისელს არ ვეტყოდი, მარცხის მიზეზს გამომხელდა. რაკი ვიგრძენი, რომ ბედი-მღევარი საშველს არ მომცემდა, აღთქმა მივეცი.

— იცით რა, ჩემთან ძალიან ბევრი ინგლისელი ჩერდება იმ მიზნით, იხილოს ბატონი ბეთჰოვენი და გაიცნოს იგი, — მითხრა პატიოსანმა მასპინძელმა. — ეს ძალიან აღიზიანებს ბატონ ბეთჰოვენს, ისე შეიძულა ეს ბატონები, რომ ჩამოსულეებს ახლოს არ იკარებს. რა თქმა უნდა, მასაც აქვს თავისი ხუმტურები, მაგრამ უნდა შეუნდო. ჩემთვის კი ეს შემოსავალია — სასტუმრო ყოველთვის საესეა ინგლისელებით, რომლებიც დიდხანს ცხოვრობენ აქ, ვინაიდან ბეთჰოვენთან მიახლოება ჭირს, მაგრამ რაკი დამპირდით, ამ ბატონებს არ დაგიფრთხობთო, იმის იმედით მრჩება, რომ დაგეხმარებით და მოვიფიქრებ, რანაირად შეგახვედროთ ბატონ ბეთჰოვენს.

მისმა სიტყვებმა ძალიან გამამხნევა. მაშასადამე, მე საწყალს იმიტომ არ გამიმართლა, რომ ინგლისელი ვეგონე! დიახ, არ მოუუტყუებებოვარ წინათგონობას: ინგლისელი — აი, ვინ იყო ჩემი დამაქცევარი! მაშინვე იქიდან გადასვლა დავაპირე, ვინაიდან ყველა აქაური სტუმარი ბეთჰოვენის ოჯახში ინგლისელი ვეგონათ, ამიტომაც მეც აღმაცერად მიყურებდნენ, მაგრამ სასტუმროს პატრონის დაპირებამ დამაკავა, გასწავლი როგორ შეხედე და ბეთჰოვენს გამოელაპარაკო. მთელი სულით და გულით საძულველმა ინგლისელმა ამასობაში ათასი რამ დახლართა და მოსყიდვას მიჰყო ხელი, მაგრამ უშედეგოდ.

განვლო კიდევ რამდენიმე უნაყოფო დღემ, რომლებმაც კარგა ლამაზად და-

აღნო გალოპებში აღებული ყული. ბოლოს სასტუმროს მოვლობელმა გამანდო, რომ აუცილებლად ვნახავდი ბეთპოვენს ერთ ბაღიან სალუდეში, სადაც იგი, თურმე, თითქმის ყოველდღე დადიოდა ერთსა და იმავე დროს. ჩემმა მრჩეველმა დიდი კომპოზიტორის უტყუარი გამოსაცნობი ნიშნები გამაცნო, რომელთაც წყალი არ გაუვიდოდათ. გამოვცოცხლდი და გადავწყვიტე, ეს ბედნიერება ხვალისთვის აღარ ვადაშედი. არ შექმდლო სახლიდან გამოსულ ბეთპოვენს დაეღარაჯებოდი, რადგან სულ სხვა გზით გამოდიოდა, მაშასადამე, იმის გარდა სხვა აღარაფერი დამრჩენოდა, სალუდეში წავსულიყავი. ჩემდა სამწუხაროდ, იმ და მომდევნო ორ დღეს სულ ტყუილუბრალოდ ველოდე. ბოლოს და ბოლოს მეითხე დღეს, როდესაც ისევ ვეწვიე იმ წყვეულ სალუდეს, შევამჩნიე, რომ უკან ფრთხილად და აუჩქარებლად მომყვებოდა ჩემი ინგლისელი. ის უბედური არ ტოვებდა ფანჯარასთან თავის სამეთვალყურეთ აღვილს და მის თვალს არ გამოეპარებოდა, რომ ყოველდღე ერთსა და იმავე დროს გამოვიდიოდი სასტუმროდან და ერთ გზას დავადგებოდი ხოლმე. გაოცებულმა მაშინვე იაზრა, რომ ბეთპოვენთან მისასვლელ გზას ვადექი და გადაწყვიტა, ესარგებლა ამ აღმოჩენით. ძალიან თავისუფლად განმიცხადა ეს და დაუმატა, სულ კუღში უნდა გდიოო. ვეცადე მის გაცურებას, ვარწმუნებდი, დროს გასათარებლად დავდივარ ამ იაფ სალუდეში, თორემ თქვენნაირი ბატონების საკადრისი ხომ არ არის და არ არის-მეთქი. გადაწყვეტილება არ შეუცვლია, მე ისლა დამრჩენოდა თავბუდი მეწყევლა. ბოლოს ვცადე, უხეშად მომეშორებინა თავიდან, უზრდელად მოვპყრობოდი და ხელი მეკრა, მაგრამ სრულებითაც არ გაბრაზებულა, მხოლოდ თვინიერად იღიმებოდა. ის აზრი აეკვიატებინა: ენახა ბეთპოვენი და დანარჩენზე თავი არ შეეწუხებინა.

ამჯერად კი ნამდვილად ამიხდა —

პირველად ვიხილე დიდებული მაესტრო. სიტყვით აუწერელია ჩემი აღტიცება, როდესაც მაგიდასთან დადებული ინგლისელის გვერდით მჯდომარემ მოახლოებული კაცი უდავინახე. გარეგნობითა და თავდაჭერითაც ისევე როგორ შეეფერებოდა სასტუმროს პატრონის მიერ დახატულ ბეთპოვენის გარეგნობას. გრძელი, ლურჯი ფერის სერთუკი, გაწეწილი ჭაღარა თმა; სახის გამოქვეყვლება სწორედ ისეთი, დიდი ხანია კომპოზიტორის კარგი სურათის მიხედვით რომ დავხატე ჩემს წარმოდგენაში. შეცდომა გამორიცხული იყო: მაშინვე ვიცანი! ჩქარი მოკლე-მოკლე ნაბიჯებით ჩავვიარა გვერდით; მოულოდნელობისა და მიწიწებისაგან თავს ვედარ ვიკავებდი.

ინგლისელს არ გამოპარვია ჩემი გრძნობების გამოხატულება; ცნობისმოყვარე მზერა მიეპყრო შემოსული სტუმრისთვის, რომელმაც ბაღის შორეულ კუთხეს მიაშურა, სადაც იმ დროს სიცარიელე იყო, ღვინო შეუკვეთა და ფიქრმა წაიღო. ამოვარდნილი გული არ მომატყუებდა: ის იყო! წამით დამავიწყდა ჩემი მეზობელი და აუწერელი მღელვარებით მივჩერებოდი იმ ადამიანს, რომლის გენიამ მას შემდეგ დაიპყრო ჩემი აზრები და გრძნობები, რაც აზროვნება ვისწავლე და შეგრძნება გამიჩნდა. ჩემდა უნებურად, საკუთარ თავს გამოველაპარაკე და თავისებური მონოლოგი წარმოვთქვი, რომელიც საკმაოდ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვებით დავასრულე: „მაშასადამე, მართლაც შენი მხილველი ვარ, ბეთპოვენ?!“

არაფერი გამოეპარა ჩემს ბედნავს მეზობელს, რომელმაც ახლოს მოიჩინა და სუნთქვაშეკრული უსმენდა ჩემს ბუტბუტს. მან შემდეგი სიტყვებით გამომაღვიძა და აღტყინება გამიფანტა:

— ეს ჯენტლმენი ბეთპოვენია! ახლავე ვიახლოო!

შეშინებულმა და სასოწარკვეთილმა ვტაცე ხელი ინგლისელს, შევაჩერეთ მეთქი.

— რას აპირებთ? — დაუყვირე მე. — ჩვენი შერცხვენა გდომებიათ აქ, სალუდეში... ზრდილობის ყველა წესს აბუნად იგდებთ?

— ოჰ, რა მშვენიერი შემთხვევაა, — შემესიტყვა იგი, — ამაზე უკეთესი აღარ გვეღირსება.

ამ სიტყვებით ჯიბიდან თითქოს ნოტების რვეული ამოიღო და ლურჯსერთუკიანი კაციისკენ წასვლა დააპირა. საშინელებით აღსავსემ სერთუკის საყელოზე ვტაცე ხელი იმ ყვეყნს და განრისხებულმა შევძახე:

— ჭკუაზე შეიშალებ?

ამ ამბავმა ლურჯსერთუკიანი სტუმრის ყურადღება მიიპყრო. მისდა სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ჩვენი მღელვარების მიზეზი იყო, საჩქაროდ გამოსცალა ღვინო, წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა. ამის შემხედვარე ინგლისელი ისე მოწყვეტით გავარდა წინ, რომ სერთუკის ერთი კალთა ხელში შემატოვა და ბეთჰოვენს გზა გადაუღობა. მაესტრო შეეცადა გასცლოდა, მაგრამ უკეთურმა ინგლისელმა დაასწრო. ნატიფი საღამო მისცა უკანასკნელი ინგლისური მოდის მიხედვით და ასეთი სიტყვებით მიმართა ბეთჰოვენს:

— პატივი მაქვს წარმოგიდგეთ სახელგანთქმულ კომპოზიტორს, უღირსეულეს ბეთჰოვენს.

მეტი აღარ გაუგრძელებია: პირველი სიტყვების შემდეგ ბეთჰოვენმა მე გამომხედა, საჩქაროდ განზე გახტა და ელვისსისწრაფით გავარდა ბაღიდან. აუმღვრეველი ბრიტანელი ლტოლვილს უკან დაედევნა, მაგრამ მაშინვე სერთუკის შერჩენილ კალთაზე წავავლე ხელი. გაკვირვებული შეჩერდა და მისთვის უჩვეულო ხმით წამოიძახა:

— Gaddom! ეს ჯენტლმენი ინგლისელობის ღირსია! მართლაც უდიდესი ადამიანია და უთუოდ გავიცნობ.

გავხევდი: ამ საშინელმა შემთხვევამ იმის იმედი გადამიწურა, რომ გულით

ნაკარნახებ მხურვალე სურვილს აღვისრულებდი.

ღიახ, ახლა მივხვდი, რომ ამიერიდან ყველა მცდელობა, უბრალოდ მივსულიყავი და ბეთჰოვენს გამოვლაპარაკებოდი, მარცხით დამთავრდებოდა. ჩემი ფულის ამბავს ჩემი შუღლი სიკვამლით, ჰოდა, რაღა მექნა, ან ახლავე ხელმოცარული უნდა გავბრუნებულიყავი, ანდა უკანასკნელად მეცადა ბედი. პირველმა აზრმა სულით ხორცამდე შემძრა. რანაირად შეიძლებოდა განადგურებულად არ მეგრძნო თავი: მე ხომ უდიდესი ტადრის ბჭესთან ვიდექი, რომელიც დღეიდან ჩემთვის გამოკეტილი იყო! ჰოდა, ვიდრე ჩემი სულის გაბედნიერებაზე უარს ვიტყოდი, ერთხელ კიდევ უნდა გამებრძოლა. მაგრამ როგორ? რა მექნა, რა გზას დავდგომოდი? დიდხანს ვერაფერი მოვიფიქრე. გამიწყდა აზრი. ავზნებულ წარმოდგენაში მხოლოდ ის შესახებოდა, რაც განიცადე, როდესაც იმ საშინელ ინგლისელს სერთუკის საყელოზე ვტაცე ხელი. არ გამოძპარვია მხერა, რომელიც ბეთჰოვენმა მესროლა მთელი ჩემი იმედების მსხვრევის უამს. ვგრძნობდი, რას ნიშნავდა ეს გამოხედვა: ინგლისელად მაქცია.

რა მექნა ახლა, ვით გამეფანტა მაესტროს ეჭვი? რაღაც უნდა დამჯდომოდა, მისთვის აუცილებლად ამეხსნა, რომ ერთი უეშმაკო გერმანელი ვიყავი, მიწიერ სიღარიბეს შეზრდილი, მაგრამ გული მქონდა იმქვეყნიური აღფრთოვანებით აღსავსე.

ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე მეოქვა, რაც გულში მქონდა და წერილი მიმეწერა ბეთჰოვენისთვის. ასეც მოვიქეცი. მივწერე: მოკლედ უუამბე ჩემი ცხოვრების ამბავი, მოვუყევი, როგორ გავხდი მუსიკოსი. რა მოწიწებით ეხრი თავს მის წინაშე, ვოცნებობდი მის გაცნობას, ორი წელი დავკარგე: გალოპებს ვქმნიდი სახელის გასაგდებად, მომლოცველობას შევუდექი და დავასრულე, ინგლისელმა ათასნაირი

სატანჯველი გამიჩინა და ახლა საშინელ ყოფაში ვარ. ჩემი სატანჯველის მოყოლამ შვება მომგვარა; ეტკებოდი ამით, რაღაც შინაურულად განვეწყვე და წერილში სავსებით გულახდილად, საკმაოდ მკაცრი საყვედურები შევკადრე კომპოზიტორს იმ გულქვაობისთვის, მე, ერთ საწყალ ვინმეს რომ მომექცა. ბოლოს და ბოლოს აღფრთოვანებულმა დავასრულე წერილი: თქვამს დამიბნელდა, როდესაც მისამართს ვწერდი: „ბატონ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს“; გულში ლოცვა გავიმეორე და წერილი იმ სახელში წავიღე, სადაც ბეთჰოვენი ცხოვრობდა.

აღტაცებული ვბრუნდებოდი უკან და ოჰ, ღმერთო! — ისევ ის უკეთური სიგლისელი გამოძეცხადა! ფანჯრიდან მითვალთვალებდა, არ გამოპარვია ჩემი უკანასკნელი ნაბიჯი; განარებულა რომ დამინახა, მიხვდა, რომ იმედმა ფრთა შემასხა და ეს საკმარისი აღმოჩნდა — კვლავ დამეუფლა. მართლაც კიბუხე გამაჩერა და მკითხა:

— არის იმედი? როდის ვიხილავო ბეთჰოვენს?

— არასოდეს, არასოდეს! — შეეყვირე სასოწარკვეთილმა. — არ სურს ბეთჰოვენს თქვენი ნახვა არც ახლა, არც მომავალში და არც არასოდეს. მომეშუით, სამაგელო ადამიანო, ჩვენ არაფერი გვაკავშირებს!

— ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებს, — ცივად მიპასუხა მან, — სად არის ჩემი სერთუკის კალთა, სერ? ვინ მოგცათ იმის უფლება, ძალად წამართვათ? განა არ გესმით: თქვენი ბრალია, ბეთჰოვენი ასე რომ შეპყრობა? აბა, იმას ხომ არ იკადრებდა, ლაპარაკი გაეხა ცალკალთიან ჯენტლმენტან?! —

— თქვენი კალთა უკანვე დაგიბრუნდებათ, ბატონო! — ვუთხარი ბრალდებით მოთმინებადაკარგულმა. — შეინახეთ იმ სამარცხვინო ამბის მოსაგონრად, თუ როგორ შეურაცხვეთ ბეთჰოვენი და სასოწარკვეთილი დატოვეთ საწყალი გერმანელი მუსიკოსი!

ჩემს შეყოვნებასა და დაწყენებას შეეცადა, მარწმუნებდა, ძალიან ბევრი ჩინებული სერთუკი მაქვს, თქვენ მხოლოდ ის მითხარით, ბეთჰოვენი როდის მიგვიღებსო. მაგრამ თავპირისმტერევით გაუაქადე, მაგისტროსკართულზე ავედი, ჩავიკეტე და ბეთჰოვენის პასუხს დაველოდე.

მაგრამ რანაირად ავიწეროთ, რა ხდებოდა ჩემს გულში, როდესაც ერთი საათის შემდეგ მართლაც მივიღე სანოტო ქაღალდის ნახევი, რომელზეც გაკრული ხელით ეწერა:

„მომიტყვეს, ბატონო, რ., იმას რომ გთხოვთ, ხვალ მეწვიეთ-მეთქი, ვინაიდან დღეს დაბეჭდილი მუსიკალური ნაწარმოებების პაკეტი უნდა წავიღო ფოსტაში. გელოდებით ხვალ, ბეთჰოვენი“.

უპირველეს ყოვლისა დავინოქე და ლოცვა აღვაღვინე ასეთი არნახული მოწყალებისათვის; მღულარე ცრემლებს ვღვრიდი. შემდეგ კი გრძნობები თავშეუკავებელ სიხარულად მექცა; წამოვხტი და გაშმაგებით წავიცეკვე ჩემს სენაკში. თვითონაც არ ვიცოდი, რას ვცეკვავდი, ჩემდა სამარცხვინოდ, მხოლოდ ის დამამახსოვრდა, რომ ჩემს ერთ გალოპს ვუსტვენდი. ამ სამწუხარო აღმოჩენამ გონზე მომიყვანა. გამოვედი ოთახიდან, სასტუმროდან და სიხარულით მოკრალი დაუყევი ვენის ქუჩებს.

უფალო ღმერთო, მარცხით დანთქმულმა სულ დავივიწყე, რომ ვენაში ვიმყოფებოდი. ოჰ, რა აღტაცება მომგვარა ავსტრიის დედაქალაქის ქუჩებში გამეფებულმა საზეიმო განწყობილებამ! აღფრთოვანებული ვიყავი და ყველაფერს შეფრფინვით შევცქეროდი. ახალგაზრდული გატაცებით ეხსნიდი ვენელების რამდენადმე ზერელე მგრძნობიარობას. მათი ასე თუ ისე დაუფიქრებელი და გაუგებარი ტკბობის სურვილს, ყოველივეს მშვენიერის ბუნებრივ და გულახდილ აღქმად მივიჩნევდი. ხუთი ყოველდღიური თეატრალური აფიშა შევისწავლე. ღმერთო! ერთ-

ზე წავიკითხე: „ფიდელიო“, ვან ბეთჰოვენის ოპერა“. თეატრში წაუსვლელობა არ შემეძლო, თუმცა ჩემი გაღობების შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს იყო „ლეონორად“ წოდებული გადაკეთებული ოპერა, რომაც ვენის განათლებული მაყურებლის სასახლოდ მარცხი იწვინა. ჩემთვის არავის უთქვამს, თუნდაც ამ მეორე ვარიანტს სადმე ღვამენო. წარმოიდგინეთ, რა აღტაცებული ვიქნებოდი, როდესაც აქ პირველად მოვისმინე ის მშვენიერი რამ. ლეონორას ყმაწვილი ქალი მღეროდა; ასე გვეგონებოდა, ესოდენ ახალგაზრდა მომღერალი ბეთჰოვენის გენიას შეზრდიაო. რა მგზნებარებით, რა პოეტურად შეასრულა მან თავისი როლი, რა შეგვძრა ამ უჩვეულო ქალმა მისი შექმნილი ხატებით!.. მომღერლის სახელი და გვარი ვილჰელმინე შრედერი. დიდია მისი წვლილი: მან აღმოაჩინა გერმანელი მაყურებლისათვის ბეთჰოვენის ქმნილება; ამ საღამოს ზერელე ვენელებიც კი აღტაცებულები იყვნენ. ჩემზე თუ ჩამოვარდება სიტყვა, ზეცა გადამეხსნა; ვნეტარებდი და კლოცულობდი ამ გენიოსზე, ვინც ფლორესტანის დარად სიბნელიდან სინათლეში გამოიყვანა და ბორკილები ამხსნა — გამათავისუფლა.

დამით თვალი არ მომიხუჭავს. ის, რაც ახლა განვიცადე და რაც ხვალ უნდა განმეცადა, იმდენად დიდებული, ისე წარმტაცი იყო, რომ სიზმარში გულგრილად ამის ატანა შეუძლებლად მიჩნდა. არ მეძინა, ვოცნებობდი და ბეთჰოვენის წინაშე წარსადგენად ვემზადებოდი. ბოლოს შერიჟრაჟდა; მოუთმენლად ველოდი იმ დროს, როცა დილით მასთან მივიდოდი; დაჰკრა საათმა და სახლიდან გამოვედი. ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა მომხდარიყო და ამ აზრის ტყვეობაში ვიყავი.

მაგრამ, თურმე, კიდევ ერთი საშინელი გამოცდა მელოდა.

იმ სახლის შესასვლელ კარს, ს.დ.ც ბეთჰოვენი ცხოვრობდა, მშვიდად, გულგრილად მიყრდნობოდა ჩემი ბოროტი გენია, წყეული ინგლისელი და მელოდა. მან ყველა, მათ შორის ჩვენი სასტუმროს პატრონიც, მინიწინა; ჩემზე ადრე წავიკითხა ბეთჰოვენის ბარათი და უკეთურ ბრიტანელს გაუმხილა.

მის დანახვაზე ციკმა ოფლმა დამახსხა; გაქრა პოეზია და წმინდა მღელვარება: ისევ მის ხელთ ვიყავი.

— წავიდეთ, — მითხრა მან, — წარვუდგეთ ბეთჰოვენს!

ჯერ ტყუილის თქმა დავაპირე და კუმტკიცებდი, ბეთჰოვენთან არაფერი მესაქმება-მეთქი. მაგრამ მაშინვე მომიჭრა უკანდასახევი ვზები — გულახდილად მიამბო, რანაირად გაიგო ჩემი საიდუმლოება და განმიცხადა, მანამდე არ მოგეშვებით, ვიდრე ბეთჰოვენთან არ წავალთო. ჯერ ვცადე, უარი მეთქმევი-ნებინა განზრახვაზე, მაგრამ არაფერი გამოვიდა; მაშინ გავცოფდი, ამანაც ვერ გამოიღო შედეგი. ჩემი სწრაფი ფეხების იმედიღა დამრჩა. ისარივით ავეარდი კიბეზე და ვიყვირით ჩამოვკარი ზარს. მაგრამ გაღება ვერ მოასწრეს: ჯენტლმენი მაშინვე იქ გაჩნდა, სერთუკის კალთაზე მტაცა ხელი და მითხრა:

— ნუ გარბიხართ! სრული უფლება მაქვს თქვენს სერთუკის კალთაზე. მხოლოდ მაშინ გავუშვებ ხელს, როდესაც ბეთჰოვენის წინაშე წარვდგებით.

გამწარებული შემოვბრუნდი, ვცდილობდი ხელიდან გავსხლტომოდი; ერთი პირობა ვცადე, ხელებით დამეცვა თავი ალბიონის ამაფი შვილისგან, მაგრამ ამ დროს კარი გაგვიღო მოხუცმა მსახურმა ქალმა. ამ უჩვეულო სცენის შემყურემ კარის დაკეტვა დააპირა. შეშინებულმა ვუთხარი, ვინც ვიყავი და ვარწმუნებდი, ბატონ ბეთჰოვენთან მიპატივებული ვარ-მეთქი.

ისევ ყოყმანობდა, ინგლისელმა მთელი თავისი შესახედაობით თითქოს ბუნებრივი ეჭვი გაუღვიძა, მაგრამ ამ დროს კართან თვით ბეთჰოვენი გამოჩნ-

ნდა. მაშინვე ვისარგებლე ამ წამით, სასწრაფოდ შევაბიჯე ოთახში და ოსტატისკენ გავემართე ბოდიშის მოსახდელად. მაგრამ ამასთან ინგლისელიც შევათრიე, რომელიც მაგრად ჩამჭიდებოდა. შეისრულა თავისი განზრახვა და მხოლოდ მაშინ შემიშვა ხელი, როდესაც ბეთჰოვენის წინაშე წარვდექით. დავიხარე და ჩემი გვარი წავიბურტყუნე. რა თქმა უნდა, ბეთჰოვენმა ვერ გაარჩია ჩემი ნათქვამი, მაგრამ, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ სწორედ ის ვიყავი, ვინც ბარათი მისწერა. ოთახში შემიწვია, და ჩემი თანამგზავრიც, ბეთჰოვენის გაოცებული მზერისთვის ყურადღება რომ არ მიუქცევია, სწრაფად შემომყვა.

მე აქ — ტაძარში ვიყავი, მაგრამ იმ სატანჯველისგან, წყუღმა ბრიტანელმა რომ ჩამავდო, საბოლოოდ დავიბუნე და გუნებაზე ვერ ვიყავი, რათა როგორც ჯერ არს, ისე დავმტკბარიყავი ჩემი წილი ბედნიერებით. ბეთჰოვენის შესახედლობა თავისთავად სასიამოვნო და მიძხიდველ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. საშინაოდ, საკმაოდ დაუდევრად იცვა, წელზე წითელი შალის შარფი შემოეხვია; გრძელი ჭლარა სქელი თმა გაწეწოდა, მისი მოღუშული, კუშტი სახის გამომეტყველება მოწიწებას ვერ გამიფანტავდა. ქალაქი და კალმებით ხავსე მაგიდას შემოვუსხედით.

დაძაბულობა იგრძნობოდა. ვდუმდით. ბეთჰოვენს აშკარა უკმაყოფილება ეტყობოდა, რომ ერთის ნაცვლად ორი ვესტუმრეთ.

ბოლოს მან ხმა ამოიღო.

— ლ.-დან ხართ? — ჩახლუჩილი ხმით მკითხა მან.

პასუხის გაცემა დავაპირე, მაგრამ შემაწყვეტიხა, ქალაქის ფურცელი და ფანქარი მომიჩოჩა.

— დამიწერეთ, ყურთასმენა აღარა მაქვს, — დაუმატა მან.

ვიცოდი, რომ ბეთჰოვენი ყრუ იყო და ამისთვის მომზადებული ვიყავი. მაინც ჩახლუჩილი, გაბზარული ხმით ნათქ-

ვამმა სიტყვებმა, ყურთასმენა აღარ მაქვსო, შიგ გულში გამჭოლა. დარიბულად ცხოვრობდა, ერთადერთი სიხარულს ბგერათა მძლავრი მეტყუება ანიჭებდა და იძულებულყოფილად ეტყუებოდა: ყურთასმენა აღარა მაქვსო! ესეც ახლობელი გახდა ბეთჰოვენის გარეგნობა, მისი ტანჯული სახე, მოღუშული, უკმაყოფილო გამოსხდვა, ჯიუტად მოკუმული ტუჩები: არაფერი ესმოდა!

მთლად დაბნეულმა, რა დაწვერომეთქი, პატიება ვთხოვე და ორიოდ სიტყვით ავუხსენი, რად ვესტუმრე ინგლისელის თანხლებით. ის კი, სავსებით კმაყოფილი ჩუმად იჯდა ბეთჰოვენის პირდაპირ, რომელმაც გადაავლო თუ არა თვალი ნაწერ სტრიქონებს, გაჯავრებულმა ჰკითხა ინგლისელს, მაინც რა გნებაყოფ.

— პატივი დამდეთ... — დაიწყო ბრიტანელმა.

— ვერაფერი გავიგე — უხეშად შეაწყვეტინა ბეთჰოვენმა. — არაფერი მესმის და ბევრი ლაპარაკი არ შემიძლია. დამიწერეთ, რა გნებავთ ჩემგან.

ინგლისელი წამით ჩაფიქრდა, მერე ჯიბიდან თავისი დიდებული სანოტო ფურცელი ამოიღო და მე მომიბრუნდა:

— კარგი. დაწერეთ, რომ ბატონ ბეთჰოვენთან ერთი სათხოვარი მექნება: გადახედოს ჩემს თხზულებას; თუ რომელიმე ადვილი არ მოეწონება, კეთილ ინებოს და ჯვრით აღნიშნოს.

სიტყვასიტყვით დაწვერე მისი თხოვნა იმის იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს თავს დავიხსნიდი მისგან; ასეც მოხდა. წაიკითხა თუ არა, ბეთჰოვენს უცნაურად გაეღიმა, ინგლისელის თხზულება მაგიდაზე დაღო, თავი დაუქნია და უთხრა:

— გაახლებო...

ჯენტლმენი ძალიან კმაყოფილი დარჩა, წამოდგა, ძალიან ნატიფად დაუკრა თავი და გამოეთხოვა. შვებით ამოვისუნთქე: წავიდა.

მხოლოდ ახლა ვიგრძენი თავი ტა-

მარში. ბეთჰოვენს სახეც კი გაუნათლა; წამით მშვიდად მომჩერებოდა.

— ბრიტანელმა ბევრი უსიამოვნება მოგაყენათ, — დაიწყო მან შემდეგ. — ვინუგემით თავი. მოგზაურმა ინგლისელებმა გული გამიწყალეს. დღეს უბედური მუსიკოსის სახახავად ისე მოდიან, თითქოს უცნაური მხეცი ვიყო. სამწუხაროდ, ერთმანეთში ამერიეთ. მწერლით, თქვენი თხზულებები მომწონსო. სისიამოვნოა, ახლა არა მაქვს იმის იმედი, რომ ჩემს თხზულებებს წარმატება ხვდება წილად.

მისმა მადლიერმა კილომ მორიდება გადამაკვიწყა; ამ უბრალო სიტყვების გაგონებაზე სიხარულისაგან ავითოთლდი.

მივწერე, რომ არა მართლ მე მგერის აღტაცებას მისი თითოეული ნაწარმოები და ჩემი გულითადი სურვილია — ჩემს მშობლიურ ქალაქში ეახილო მაესტრო, უდიდეს ბედნიერებად მივიჩნევ მის ჩამობრძანებას; მაშინ ოსტატი დარწმუნდება, რა ზემოქმედება აქვს იქაურ მსმენელებზე მის ნაწარმოებებს.

— დიას, ჩემი აზრით, ჩრდილო გერმანიაში ჩემი თხზულებები მოსწონთ. ვეჩელები ხშირად მაბრაზებენ; იმდენ საძაგლობას ისმენენ, რომ კარგი რამის მოსმენა ენატრებათ.

შევესიტყვე და დაუუდასტურე, რომ გუშინ თეატრში იმის მოწმე ვიყავი: რა გულწრფელი აღფრთოვანებით უსმენდა ხალხი „ფიდელიოს“.

— კმ, კმ! — წაიბუტბუტა ოსტატმა. — „ფიდელიო!“ ვიცი, რომ ეს ხალხი მართლედნ პატივმოყვარეობის გამო უკრავს ტაშს, თავს ჩააგონეს, თითქოს ოპერა მათი რჩევით გადამეკეთებინოს. ჰოდა, სურთ, პატივი მომაგონ ამ მცდელობისთვის, ბრავო, ყვირიან! ვენელები უბრალო, უსწავლელი ხალხია, ამიტომაც მირჩევნია ვინებადამჯდარ ხალხს... მოგწონთ „ფიდელიო“?

ვუთხარი, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე გუშინდელმა სპექტაკლმა

და დაუმატე, დანართით სპექტაკლმა მოიგო-მეთქი.

— საძაგელი სამუშაო! — შემეპასუხა ბეთჰოვენი. — არა ვარ ოპერების მწერალი, ყოველ შემთხვევაში, არ ვიცი ისეთი თეატრი, რომლისთვისაც სიამოვნებით კიდევ დავწერდი ოპერას! მე რომ ჩემი გემოვნებით დამეწერა ოპერა, მაყურებელი გაიტყუოდა ოპერიდან იმით, რომ ამ ოპერაში არ იქნებოდა არიები, დუეტები, ტერცეტები და ნაკვეთები, რომელთაგან ჩვენს დროში ოპერები იწერება, ხოლო იმას, რასაც მე ამის ნაცვლად დავწერდი, ვერც ერთი მომღერალი ვერ იმღერებდა და მაყურებელი არ მოუსმენდა. მას მოჩვენებითი ბრწყინვალეობა, და მოსაწყენი დათაფლულობა მოსწონს. ჭკუშარიტი მუსიკალური დრამის დამწერი ვიყავ მიაჩნიათ და იგი მართლაც ვიყი იქნებოდა, რომ ასეთი ნაწარმოები თავისთვის კი არ დაეტოვებინა, არამედ ხალხის სამსჯავროზე გამოეტანა.

— ჰოდა, რანაირად უნდა დაიწყო მუშაობა ასეთ მუსიკალურ დრამაზე? — კკითხე ავზნებულმა.

— როგორც ამას შექსპირი შერებოდა, როდესაც დრამებს წერდა, — მკვახედ მიპასუხა მან. მერე კი განაგრძო: — ვინც ეცდება ყველანაირი უაზრობა აკიდოს მეტნაკლებად ასატანი ხმის პატრონ მომღერალ ქალებს, ტაში და შეძახილები დაიმსახუროს, ურჩევნია პარიზელი ქალების მკერავი იყოს და არა მუსიკალური დრამების კომპოზიტორი. რაც შემეხება მე, თავის შექცევა არ შემიძლია. ბრწყინვალედ ვიცი, რომ, ჭკვიანი ადამიანების აზრით, თითქოს ინსტრუმენტულ მუსიკაში ვარ ძლიერი, ხოლო ვოკალური მუსიკა ჩემი სტიქია არ არის. მართალი არიან, ვინაიდან ვოკალურ მუსიკად მხოლოდ საოპერო მიაჩნიათ, მე კი, ღმერთმა დამიფაროს როდისმე ასეთ მუსიკას შევზარდი!

გავბედე და ვკითხე, მართლა ხომ არ ფიქრობთ, რომ — „ადელაიდას“ მოსმენის შემდეგ ვინმეს დააუჭვებს თქვენი, როგორც ვოკალური მუსიკის ბრწყინვალე ნიჭი-მეთქი.

— „ადელაიდა“ და ამ ჯურის ნაწარმოებები, ბოლოს და ბოლოს, წვრილმანები, — მომივო მან ცოტა ხნის შემდეგ, — მათ ძალიან ძალე ასრულებენ პროფესიული შემსრულებლები და ეს საკუთარი ოსტატობის ჩვენების კარგი საბაზი ხდება. მაგრამ რატომ არ უნდა იქცეს ვოკალური მუსიკა ანგარიშგასაწევ ჟანრად, რაც არ იქნება ინსტრუმენტულზე ნაკლები, მით უმეტეს თუ ქარიფანტია მომღერლები ისევე პატივისცემით შეასრულებენ, როგორც მაგალითად, ამას სიმფონიური ორკესტრისაგან ითხოვენ? ხმები არის. ადამიანის ხმა უფრო სრულყოფილი და კეთილშობილია, ვიდრე ნებისმიერი საორკესტრო საკრავი. რატომ არ შეიძლება მისი საკრავით დამოუკიდებლად გამოყენება? სავსებით ახალ შედეგს მივიღებდით, თუკი ასე მოვიქცეოდით! ადამიანის ხმა, თავისი ბუნებით სულ რომ არ წააგავს ინსტრუმენტს, განსაკუთრებით გამორჩეული და დასამახსოვრებელი იქნებოდა ორკესტრის საერთო ფონზე და სულ სხვადასხვა კომბინაციის შექმნის საშუალებას მოგვცემდა. საკრავები სამყაროსა და ბუნების თავდაპირველ ბგერებს გადმოსცემენ, არ შეიძლება გადაჭრით განსაზღვრო მათი ბუნება, რადგანაც დასაბამიერ გრძნობებს გამოხატავენ, პირველქმნილი სამყაროული ქაოსიდან არიან წარმოქმნილი, შესაძლოა, ჯერ კიდევ იმ ადამიანის მოსვლამდე, რომლის გულში იყო ეს გრძნობები. სულ სხვა რამაა ადამიანის ხმა; იგი ადამიანის გული და პირადული გრძნობაა. ეს ზღუდავს მის ბუნებას, სამაგიეროდ თვალნათლივი და აშკარაა. ჰოდა, უნდა გაერთიანდეს ეს ორი ნაწილი, შეერწყას ერთმანეთს! საკრავების მიერ გამოხატულ თავდაუჭერელ, თავდაპირ-

ველ, განუსაზღვრელ გრძნობებს დაუპირისპირდეს ადამიანური გულის გარკვეული შეგრძნებები, რომელთა გამოხატველი ადამიანის ხმაა. ამ მეორე ელემენტის მართვა კეთილშობილურად შემოქმედებას იქონიებს დასაბამიერი გრძნობების ბრძოლაზე, განსაზღვრულ საერთო კალაპოტში ჩააყენებს მათ, ხოლო ამ თავდაპირველ გრძნობათა აღმქმელი ადამიანური გული უფრო გაფართოვდება, გაძლიერდება და შეიცნობს თავის ღვთაებრივ არსობას, მანამდე ვით ხეარსს ბუნდოვნად რომ შეიგრძნობდა.

ბეთქოვენი რამდენიმე წამს დუმდა, თითქოს დაიღადაო, მერე ამოისუნთქა და კვლავ ალაპარაკდა.

— თუმცა ამ ამოცანის გადაწყვეტისას ზოგიერთ სიძნელეს წააწყდები კაცი. სასიძნელოდ სიტყვებია საჭირო. მაგრამ რა სიტყვებით გადმოიცემა ის პოეზია, რომელიც ყველა ამ ელემენტის ერთიანობის საფუძველია? ლექსოწმობაზე ხელი უნდა ავიღოთ, ვინაიდან ამისთვის სიტყვები ძალიან სუსტად ეღერენ... ძალე მოისმენო ჩემს ახალ ნაწარმოებს: სიმფონიას ქოროს თანხლებით. თქვენი ყურადღება მიხდა იმას მივაქციო, რომ გამიჭირდა ლექსოწმობის უკმარისობის გამო, უნიათო იყო დასახმარებლად მოხმობილი ლექსოწმობა. ბოლოს გადავწყვიტე ჩვენი შიღერის დიდებული — ჰიმნი „სასიხარულოდ“ გამომეყენებინა; ყოველ შემთხვევაში, ეს კეთილშობილი და ამაღლებული ლექსია, თუმცა სავსებით ვერ გამოხატავს იმას, რასაც, მართალი რომ ითქვას, ვერც ერთი ლექსი ვერ გამოხატავდა.

ახლაც მხელად აღვიქვამ ჩემს წილ ბედნიერებას, როდესაც ბეთქოვენი მიანიშნებით დამდო ვალი, ბოლომდე გამეგო მისი უკანასკნელი დიდებული სიმფონია, რომელიც იმხანად დაასრულა და ჯერ არსად შეესრულებინათ. ვულმხურვალე მადლიერება გამოვხატე ამ მართლაც იშვიათი თავაზიანობისა-

თვის. ამასთან ისიც მივწერე, რა აღფრთოვანება მომგვარა მოულოდნელმა ცნობამ, რომ მალე მექნებოდა შესაძლებლობა, მისი ახალი დიდი ნაწარმოები მომესმინა. თვალები ცრემლით ამევსო — მინდოდა მის წინაშე დამეჩოქა. ბეთჰოვენის თითქოს მიხვდა, რა აღელვებული და შეძრული ვიყავი. გაღიმებულმა შემომხედა და ეს დიმილი დარღიანიც იყო და დამცინავიც.

— შეგიძლიათ დამიცვათ, როდესაც ჩემს ახალ ნაწარმოებზე ჩამოვარდება სიტყვა. აი, ნახავთ: ჭკვიანი ადამიანები იფიქრებენ, რომ გავგიჟდი, ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა იტყვიან ამას. მაგრამ თქვენ ხომ ხედავთ, ბატონო რ., ჯერ კიდევ არ შევშლილვარ, თუ მცა ჩემს უბედურებას ესეც შეიძლებოდა დართვოდა. ჩემგან იმას ითხოვენ, რომ მიღებული წარმოდგენების შესაბამისად ვწერო, რაც კარგია და დიდებულია, და იმას აღარ ფიქრობენ: მე ერთ დაფრუებულ კაცს, ჩემი, სავსებით პირადული აზრები შეიძლება მქონდეს, და ისე უნდა ვწერო, როგორც ვგრძნობ. მათი ბრწყინვალე ნაწარმოებების არც შეგრძნება შემიძლია და არც გულში გავლება, — დაცინვით დაუმატა მან, — ესაა ჩემი უბედურება.

ამ სიტყვებზე იგი წამოდგა და პატარა პატარა ნაბიჯებით ოთახში ფეხაჩქარებით გაიარ-გამოიარა; მეც ავდექი სულით ხორცამდე შეძრული; ვგრძნობდი, რომ ვცახცახებდი. უაზრო იყო საუბრის გაგრძელება მიხრა-მოხრითა თუ ბარათებით. მივხვდი, რომ მოსახვევთან მივედით და ახლა ჩემი აქ ყოფნა ბეთჰოვენისთვის საძნელესი იქნებოდა. მაღლიერებისა და გამოთხოვების ღრმად მგრძნობიარე სიტყვების მიწერა მეტისმეტად ჩვეულებრივად მეჩვენა, ავიღე ჩემი შლაპა, მაესტროსთან მივედი და თავად მივანდე, ჩემს თვალეში წაეკითხა, რაც გულში მიდუღდა.

როგორც შევატყვე, მიმიხვდა.

— მიდიხართ? — მკითხა. — კიდევ რამდენიმე დღეს დარჩებით ვენაში?

დავუწერე, რომ ამ მგზავრობის მიზანი მხოლოდ ერთი რამ იყო — გავცნობოდი მას, უჩვეულო მიღებას, რისი ღირსიც გამხადა, სიხარულით ამივსო გული; ჩემი აზრით, მიზანს მივაღწიე და ხვალ უკან ვბრუნდებოდი.

— თქვენ მწერდით, რანაირად იშოკეთ წამოსასვლელი ფული. დარჩენილიყავით ვენაში და გეწერათ გალოპები — აქ ამას ფასი ადევს.

ვუთხარი, ამას სამუდამოდ მოელობოლო, ამ მსხვერპლის მოტანა საჭირო აღარ იქნება-მეთქი.

— ჰო-ჰო, გამოიძებნება რამე, რისთვისაც საჭირო იქნება, — შემესიტყვა ის. — მე, ბებური სულელი უკეთესად ვიცხოვრებდი, გალოპები რომ მეწერა; ასე მუდამ ხელი მექნება გაშვერილი. კეთილ მგზავრობას გისურვებთ, — დასძინა მან, — გამიხსენეთ და გაჭირვებისას თავი დაიმშვიდეთ ჩემი გახსენებით.

თვალზე ცრემლმომდგარმა წასვლა დავაპირე, მაგრამ დამიძახა:

— მოიცადეთ! ის მუსიკალური ინგლისელი უნდა მოვიშორო! მოდი, ვნახო, სად დავუსვა ჯვრები!

ეს თქვა, ბრიტანელის სანოტო რვეული აიღო და ქირქილით გადაშალა; შემდეგ გულდასმით დააწყო ფურცლები, ქალაღი შემოახვია, ხელში სანოტო კალამი დაიჭირა და მთელ ყდაზე უზარმაზარი ჯვარი დაუსვა. მერე რვეული მე გადმომცა და დააყოლა:

— გადაეცით იმ ბედნიერს მისი გენიალური ქმნილება! ვერია და მაინც მშურს მისი გრძელი ყურებისა. მშვიდობით ძვირფასო, კარგად მეყოლეთ!

ასე გამოემშვიდობა. სულით ხორცამდე შეძრულმა დავტოვე ბეთჰოვენის ოთახი და სახლი.

სასტუმროსთან თვალი ვკიდე; ინგლისელის ლაქია ეტლში აწყობდა თავისი ბატონის ჩემოდნებს. მაშასადამე, მანაც აისრულა წადილი. მართალი რომ ითქვას, მანაც სიმტკიცე გამოიჩინა. ჩემს ოთახს მივაშურე და მეც გავამზა-

დე ჩემი ბოხია. ხვალ უთენია ფეხით დავადგებოდი ვზას. ინგლისელის ქმნილებაზე ჯვარს რომ დავხედე, ხარხარი ამიტყდა. ეს ჯვარი მაინც ბეთაოვენის სახსოვარი იყო და არ მოვისურვე ვადამეცა ჩემი მომლოცველობის ბოროტი გენიისათვის. მაშინვე ასე გადავწყვიტე: ყდა მოვაძვრე, ჩემი ვალოპები ამოვიღე და იმ ქალაქში გავახვიე, რომელზეც მკაცრი განაჩენი ეხატა. ინგლისელს მისი ქმნილება უყლოდ დავუბრუნე და ბარათი მივაყოლე, რომლითაც ვატყობინებდი, რომ ბეთაოვენს შურს მისი და არ იცის, სად დაუსვას ჯვარი.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

— მშვიდობით! — დამიყვირა მან. — დიდი სამსახური გამიწიეთ. ძალიან გამახარა ბატონი ბეთაოვენის გაცნობამ. იტალიაში ხომ არ წამოხვალთ?

— იქ რა გინდათ? — ახლა მე შევუბრუნე კითხვა. *ბიზლიჩიუსკა*

— ბატონი როსინის გაცნობა მწადია, იგი ხომ ძალიან ცნობილი კომპოზიტორია.

— ვისურუებთ წარმატებას! — შევძახე. — მე გავიცანი ბეთაოვენი და ჩემს სიცოცხლეში მეტი აღარაფერი მინდა.

დავმორდიე ერთმანეთს. ერთხელ კიდევ შევაველე ხალკლიანი მხერა ბეთაოვენის სახლს და ამაღლებულმა, გაკეთიშობილებულმა ჩრდილოეთისკენ გადავდგი ფეხა.



სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.

სასტუმროდან გამოსულმა ჩემს უბედურ ამხანაგს მოვკარი თვალი, კარუტაში რომ ჯდებოდა.



კლემენტრა

პოეტური დან

თარგმნა ამბროსი ბრიჟიასვილია

ეს წიგნი მართოდენ ეგვიპტის უკანასკნელი დედოფლის ამბავი როდია, — მასზე საკმაოდ ბევრია დაწერილი, — ჩვენ შევეცადეთ ზუსტად და თანამიმდევრულად გადმოგვეცა იმდროინდელი ეპოქა, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევიან ისტორიული წყაროები. კლემენტრას, როგორც ქალის შესახებ, ეს წყაროები ბევრს არაფერს გვაუწყებენ. სამაგიეროდ, მშვენივრად ახასიათებენ ეპოქას და იმდროინდელი გამოჩენილი ადამიანების მთელ პლევადს. ვინაც დედოფალი ფრიად დრამატულ სიტუაციაში შეახვედრა ბედმა, იტორი ერიდებოდა ამბის შელამაზებას. კლემენტრას ტრაგიკული ბედი — მისი უღიადესი პატივმოყვარეობა და უმნიშვნელო პოლიტიკური ძალაუფლება — მაინც მთელის სიმკვეთრით აისახა. ნათლად გამოჩნდა, რომ ეგვიპტის სისულმწიფოს დაცემა უკანასკნელი მეფეების, განსაკუთრებით, კლემენტრას მამის სუსტი მმართველობის შედეგი იყო. პირველად ეგვიპტის საშინაო საქმეებში სწორედ ამ ხელმწიფის სიცოცხლეში ჩაერივნენ ადამიანები, რომლებმაც შემდგომში გადამწყვეტი როლი შეასრულეს სახელმწიფოს ცხოვრებაში. ესენი იყვნენ ცეზარი და ანტონიუსი, ამიტომ, უმჯობესად მივიჩნიებ, თბრობა დავიწყეთ იმ საოცარი ამბებით, რაც მეფე პტოლომეუსს, მეტახელიდ ფლეიტისტს გადახდა თავს.

ავტორი

ნაწილი პირველი

კლემენტრას მამის „ღვთისმოსაობა“ და განალი საჩხევაი

ტა-იხმობების აკლდამა

ჰოი, მოსამართლენო და სწავლულნო, შეძლებულნო და გამოჩენილნო, მოგმართავთ თქვენ, რომელნიც ადღესმე შემოხვალთ ამ აკლდამაში; შემოკრბით და ისმინეთ ამბავი ჩემი ცხოვრებისა!

მე დავიბადე ხოაკის თვის მეცხრე დღეს, როდესაც ზემო და ქვემო ეგვიპტეში მეფობის მეცხრე წელს ითვლიდა ორივე ქვეყნის მბრძანებელი, ფილოპატორ-ფილადელფი, მზე რას მე, ღმერთი პტოლომეუსი. დაე მარადის ცოცხლობდეს იგი, პტაჰისა და ისიდას რჩეული. ამ მბრძანებლის მეფობის ოცდამესამე წელს, ეპიფის თვის პირველ დღეს, მამაჩემმა გამათხოვა. ჩემი მბრძანებელი გახდა ღმერთი პტაჰის ქურუმი, ღმერთის წიგნსაცავის მწერალი, აღმოსავლეთის სახლის ქურუმი, ღმერთების წმინდა სახლის ქურუმი მეფისში, ზემო და ქვემო ეგვიპტის ყველა ღმერთის ქურუმი, ზემო ეგვიპტის თვალისჩინი, ქვემო ეგვიპტის ყურთასმენა, მეფის შემდგომ მეორე ლიგნიტის წყობაში; მეფის კვერთხი ტამრისა, ღმერთ გების ნაცვალი; ქურუმი, ვისი ბაკეებითაც ღმერთი თოტი შეტყუებ-



ლებს; ღმერთ ხნუმის შესაქმის განმმეორებელი, ღმერთ თოტის პირისპირმჭვრეტელი — მემფისის ქურუმთუხუცესი, პშერენი-პტაპი, ამავე ტიტულების მატარებელი პეტუბასტიისის ვაჟი.

სამგზის დავფხმძიმდი და სამჯერეე გოგო ვშობე. მხურვალედ ვევედრებოდი წმიდათაწმიდა მშვენიერსა და მოწყალე დიდებულ ღმერთ იმპოტეპს, პტაპის ვაჟს, ბიჭი მოეცა ჩვენთვის. შეისმინა ჩვენი ვედრება და შეგვიწყალე ქვედრებელნი. ქურუმთუხუცესს სიხმრად გამოეცხადა და უთხრა:

— მოახატეინე ანებტაუის ტაძარი, სადაც ასვენია ჩემი სხეული.

გამოიღვიძა თუ არა, ქურუმთუხუცესი მყისვე მუხლებზე დაეცა დიდებული ღმერთის წინაშე. მაშინვე უბრძანა ქურუმებსა და ხელოსნებს, მხატვრულად მოეხატათ ტაძარი. ღვთის ქანდაკების სულის ჩადგმის წეს-ჩვეულება აღასრულა და ღმერთს მრავალი ბრწყინვალე ნივთი შესწირა. ხელოსნებსაც უხვად უბოძა გასამრჯელო და დიდად გაახარა ისინი.

ყოველივე ამის წილ ღმერთმა წყალობა მოიღო, დავორსულდი და ვაჟი ვშობე. შვილი გამიჩნდა ეპიფის თვის მეთუთმეტე დღეს, რვა საათზე, ორივე ქვეყნის მბრძანებლის, კლეოპატრას, დღეგრძელი იყოს მისი სახელი, მეფობის მეექვსე წელს, დიდებული ღმერთის იმპოტეპის, პტაპის ვაჟის, დღესასწაულზე; მემფისის ყველა მცხოვრები ზეიმობდა. ბიჭს იმპოტეპი, მეტსახელად კი პეტუბასტიისი დავარქვით.

გარდაეცვალე მეხარის თვის მეთექვსმეტე დღეს, გათხოვებიდან მეთექვსმეტე წელს. ჩემმა ქმარმა, პტაპისა და ოსირისის ქურუმმა, პშერენი-პტაპის ქურუმთუხუცესმა, საიქიოს დიდი პატივით გამაცვილა; შემისრულა ყველა წეს-ჩვეულება, რაც კი წარჩინებული გვარის წარმომადგენელს შეუფერის. მარადიული განსვენებისთვის რაკოტიისის ახლოს მდებარე საკუთარ აკლდამაში ჩამასვენა.

ასე გვიამბობს თავისი ცხოვრების ამბავს მანდილოსანი, რომელსაც ტა-იმპოტეპი რქმევია. წარწერა ეგვიპტური იეროგლიფებით საფლავის ქვაზეა ამოკვეთილი, როგორც ანტიკურ ქვეყნებში იყო მიღებული; თარიღები მეფეთა ზეობის ქრონოლოგიას მისდევს. თუ ტა-იმპოტეპის ბიოგრაფიას ჩვენს წელთაღრიცხვას მივუსადაგებთ, იგი ასეთს სახეს მიიღებს:

დაბადებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 72 წელს. 58 წელს, 14 წელი შესრულებია თუ არა, ცოლად გაჰყოლია მემფისის ქურუმთუხუცესს პშერენი-პტაპს. ძველად, მით უმეტეს აღმოსავლეთის ქვეყნებში, გოგონებს ადრე ათხოვებდნენ. ტა-იმპოტეპმა მეუღლეს სამი ქალიშვილი აჩუქა, შემდეგ კი, 47 თუ 46 წელს, ნანატრი ვაჟიც; ამის შემდეგ, როგორც ჩანს, მალე, 42 წელს, გარდაცვლილა, ოცდაათი წლის ასაკში. დაკრძალეს როკოტიისში. ეგვიპტური წარწერები ამ სახელით მოიხსენიებენ ალექსანდრიას.

განსაკუთრებით საინტერესოა ტა-იმპოტეპის საფლავის ქვის წარწერის დასასრული, სადაც გარდაცვლილი თავის მეუღლეს მიმართავს: „ჰოი, ჩემო მეუღლე, ძმავ და მეგობარო, ღმერთ პტაპის ქურუმი! დრო ატარე, რაც შეგიძლია, არაფერზე არ უთხრა შენს გულს უარი, იმხიარულე დილიდან საღამომდე! სხვა საზრუნავზე ნუ დახარჯავ დროს, რადგან არას წარმოადგენს უამი, რომელიც დედამიწაზე სიამოვნებაში არ გაგიტარებია. დასავლეთი მწუხარების მხარეა. მის მკვიდრთ ღრმა ძილით ხმინავთ და თვალს საიმისოდაც კი ვერ ახელენ, საკუთარი მშობლები და დედმამიშვილები იცნონ. გულში ცოლ-შვილის ხსოვნაც აღარ დარჩენიათ.

სრულიად აღარ გამაჩნია მაცოცხლებელი წყალი, ყოველ სულიერ არსებას რომ ასულდგმულებს. იგი მხოლოდ მათთვის მიედინება, ვინც დედამიწაზე ცხოვრობს. წყურვილი მკლავს, თუმცა წყალი აქვია. წარმოადგენს არა მაქვს, სად ვიმყოფები, ანდა საიდან გავჩნდი ამ ველზე. მომავლადე მოჩუჩრუხე წყაროს წყალი! მათხარ: დარჩი წყლის პირად სამუდამოდ! შემომიბრუნე სახე ჩრდილოეთიდან მქროლავი ქარებისაკენ! გამათავისუფლე ამ ცეცხლოვანი, სატანჯველი-საგან!

სიკვდილი ყველას უხმობს. „მოხვედ“! აი, მისი სახელი. ყველა უყოყმანოდ გაჰყვება ხოლმე უკან, თუმცა გული შიშისაგან უკანკალებთ. მას ვერ გაექცევა ვერც ღმერთი და ვერც ადამიანი. არავის ძალუძს, დაიფაროს უსაყვარლესი არსებაც კი. მარტოხელა მოხუცს დედისერთა ყრმას არჩევს ხოლმე. ყოველი სულიერი ბუდარით მიმართავს, ის კი არავის უჩვენებს სახეს, არასოდეს ეწვევა მას, ვინც ევედრება წამიყვანეო“.

ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ კაცი იფიქრებს: ცოლის სიკვდილის შემდეგ, რომელმაც ვაყიშვილი აჩუქა, პშერენი-პტაპის ქურუმთუხუცესი დანადვლიანდა და მწარე ფიქრებს მიეცა. გარდაცვლილი კი პატივის მიგებას საჭიროებდა; ქურუმს წესისამებრ უნდა ეგლოვა. არადა, სიმწიფეში შესულ მამაკაცს ჯერ კიდევ მიუწევდა გული ამქვეყნიურ სიამეთაკენ. არც ის უნდოდა საკუთარი სინდისის წინაშე გამტყუნებულობა. ძველევგვიპტურმა საგალობლებმა ასწავლეს გამოსავალი. მათი შინაარსი ერთნაირად ესადაგებოდა როგორც ქვრივის მწუხარებას, ასევე მამაკაცის გულის მაცოცხლებელ ზრახვებს. გარდაცვლილი მეუღლის პირით წარმოთქვამს ცნობილი პოემის, „არფაზე დამკვრელის გალობის“ სტრიქონებს. ეს პოემა პშერენი-პტაპის ეპოქამდე ოცი საუკუნით ადრე შეიქმნა. უთვალავი გადამწერის წყალობით ჩვენამდე რამდენიმე ვერსიად მოაღწია. აი, ერთ-ერთი მათგანი:

„თაობები თაობებს სცვლიან. გარდაცვლილის ადვილს ახალდაბადებული იჭერს დაუფოვნებლივ და ასე გრძელდება სამარადისოდ. მეფეები, რომლებსაც ჩვენამდე უცხოვრიათ, თავიანთ პირამიდებში განისვენებენ და სულსაც აკლდამებში დაუდევთ ბინა. სახლების მშენებელთაგან, ოდესღაც ამაყად რომ იჭიმებოდნენ, კვალიც კი აღარ შემორჩენილა. რა ბედი ეწიათ? ყველას პირზე აკერია იმპოტეპისა და პორ-ჯდუფის სიტყვები, მაგრამ ისიც კი არ ვიცით, სად არის მათი აკლდამები. ისე აღიგავნენ პირისაგან მიწისა, თითქოს არც არასოდეს ყოფილან.“

ჯერ არავის უნახავს საიქიოდან დაბრუნებული. ვერავინ გვეტყვის, როგორ გამოიყურება მიცვალებული ანდა რა სურს მას. ვერავინ შეძლებს ჩვენი გულების დამშვიდებას მანამდე, ვიდრე ჩვენც არ გავემგზავრებით იქით, საითაც გარდასულნი წავიდნენ. ამიტომ, ლაგამს ნუ ამოსდებ შენს გულისთქმათ! თავიდან ამოიგდე სამკლოვიარო რიტუალები, რამეთუ თავის დროზე მათ ასრულებას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება. მიჰყევ გულისთქმას, მოირთე და მოიკაზმე, გამთეწყე ნატიფი სელის სამოსელში, სასწაულებრივ ღვთაებრივ სურნელს რომ გ. მოსცემს. დრო ატარე. დაე, შენს გულში მხოლოდ სიზარულის გრძნობა იყოს დასადგურებული. რა სურვილიც უნდა გაგიჩნდეს, შეისრულე, არაფერზე თქვა უარი, ვიდრე შენთვისაც მწუხრის დღე არ დამდგარა. ოხირისს არავისი კვნესა არ შესმენია ჯერ. ვერანაირი გოდება ვერ გიხსნის სიკვდილისაგან. თავი მიეც განუწყვეტელ ღზინს! გახსოვდეს, რომ საიქიოში ვერაფერს წაიღებ, და რომ იქ წასულთაგან ჯერ არავინ დაბრუნებულა“.

კშერენი-პტაპის კარიერა

ხუ ვიქნებით მეტისმეტად მკაცრნი და ხუ გავამტყუნებთ ქურუმთუხუცესს კშერენი-პტაპს, რომელმაც ხელქვეით მწერალს ამგვარი შინაარსის ეპიტაფიის დაწერა დაავალა. წარჩინებული მოხელე ალბათ ვარაუდობდა, უაღრესად უღმერთოდ მოვიქცევი, თუ უკუვაგდებ ამქვეყნიურ სიამეთო. ეს ხომ წამდგომელი უმადურობა იქნებოდა ღმერთ პტაპის მიმართ, ვისაც მისი დაბადების პირველი დღეებიდანვე არავითარი სიამოვნება არ მოუკლია თავისი ქურუმთუხუცესისათვის.

კშერენი-პტაპისათვის უდიდესი ღვთისწყალობა იყო, რომ ამქვეყნიანს ბრწყინვალე ქალაქ მემფისში მოეკლინა. იგი დიდგვაროვან ოჯახში დაიბადა, რომლის წევრთა შორისაც ქურუმთუხუცესის უზენაესი თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა. ათეულ შთამომავალთა სიცოცხლის მანძილზე თანამდებობა მამიდან შეიღს გადაეცემოდა ხოლმე, რაღა თქმა უნდა, ეგვიპტის ფარაონის თანხმობით. ეგვიპტის ფარაონი კი მწყალობელი იყო მემკვიდრე ყრმისა, — დიახ, ყრმობიდანვე ქურუმის მფარველი ღვთაება. ამიტომაც იყო, რომ როდესაც კშერენი პტაპი საკუთარ ცხოვრებას თვალს გადაავლებდა, სიამაყით იხსენებდა ხოლმე:

„ცამეტი წლისა ვიყავ, მამა რომ გარდამეცვილა. მაშინ ფარაონმა პტოლომეუსმა, ფილოპატორმა, ფილადელფმა, ახალმა დიონისემ, ძემ მზისა, განაცხადა: — კშერენი-პტაპმა უნდა ჩაიბაროს მემფისის ქურუმთუხუცესის მაღალი წოდება!

მხოლოდ თოთხმეტი წლისა გახლდით, როდესაც ხელმწიფეს თავს დავადვი გველის იკონოგრაფიით დამშვენებული დიადემა. ეს იმ დღეს მოხდა, როცა მან ზემო და ქვემო ეგვიპტის განმგებლობა მიიღო და იმ სენაკებში, სადაც ჩვეულებრივ ოცდაათი წლის დღესასწაული იმართება ხოლმე, სათანადო რიტუალი აღსრულდა. ცერემონიალს მე ვხელმძღვანელობდი. ჩემი მითითებებით მიმდინარეობდა მეფე-ღმერთის კურთხევა. ეს მოხდა მზის დაბადების დღეს. მაშინ გავემგზავრე მეფის სასახლეში დიდი ზღვის პირად, როკოტისის აღმოსავლეთით. ზემო და ქვემო ეგვიპტის ფარაონმა, ორთავე ქვეყნის მპყრობელმა, ახალმა ოსირისმა, გვირგვინი საკუთარ სასახლეში დაიდგა. ამის შემდეგ მალე მივიდა იგი ისიდას ტაძარში და მრავალი ძვირფასი ძვენი შესწირა. როდესაც ტაძარს სტოვებდა, ეტლი შეაჩერა და საკუთარი ხელით დამადგა თავზე მშვენიერი, ფერად-ფერადი პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ოქროს გვირგვინი.

მივიღე თუ არა ქურუმთუხუცესის ხარისხი, მეფემ მაშინვე წერილები დაგზავნა ეგვიპტის ქალაქებსა და პროვინციის ცენტრებში და აუწყა მათ, რომ ზემო და ქვემო ეგვიპტის ყველა ტაძარს საკუთარი შემოსავლებიდან ყოველწლიურად გარკვეული წილი უნდა გაეღო ჩემთვის.

მემფისში ხელმწიფე ზეიმის დღეს ჩავიდა. ხომალდით ჯერ ზევით აუყვა ნილოსს, შემდეგ — ქვევით დაჰყვა. ორივე მხრიდან სწადდა ქალაქის ხილვა. როგორც კი ხომალდი ნაპირს მიადგა, სწრაფად გასწია ტაძრისაკენ, თან ქალები და ბავშვები იახლა. ღირსეული პატივი მიაგო მემფისის ყველა ღმერთს.

კშერენი-პტაპს ნამდვილად ჰქონდა ამ მოვლენის უკვდავყოფის საბაბი, რამეთუ არც ერთ მის წინაპარს ასე მცირეწლოვან ასაკში არ მიუღწევია ქურუმთუხუცესის წოდებისათვის. ეგვიპტის ყველა ტაძარში ჩვეულებად იყო დამკვიდრებული, რომ ქურუმები თანდათან ადიოდნენ თანამდებობის ქვედა საფეხურიდან — ზედაზე. თვით ქურუმთა გვარების შთამომავალნი, რომელნიც სწრაფად

ალექსანდრიაში. იმ ხანებში ბრწყინვალე მეფის ერთ-ერთმა ყოფილმა სარდალმა, პტოლომეუსმა, ეგვიპტის მმართველობა მიიღო და ელინისტური ეგვიპტის სამეფოს დამაარსებელი გახდა. იმ დროიდან მოყოლებული, თითქმის სამე საუკუნე მეფობდნენ ამ ქვეყანაში მისი შთამომავალნი; სახელად ყველა მათგანი პტოლომეუსს ატარებდა. მათ ძარღვებში მაკედონური და ბერძნული სისხლი ჩქეფდა. სამეფო კარზე, არმიასა თუ ადმინისტრაციაში სახელმწიფო პუნქტებზე მუშაობის ხალხი ჭარბობდა. ეგვიპტის ფარაონის კარზე ბერძენი პოეტები და მეცნიერები დიდ პატივში იყვნენ. ეგვიპტის მეფეები ფულს არ ზოგავდნენ, ოღონდ ელალური ლიტერატურის მთელი შემკვიდრებისათვის ალექსანდრიაში მოეყარათ თავი.

თავის მხრივ პტოლომეუსი ძალზე მოხერხებულად ბაძავდა ალექსანდრე მაკედონელს — ცდას არ აკლებდა, რათა მოსახლეობაში ის რწმენა ჩაენერგა, რომ ნამდვილად ფარაონთა კანონიერი შემკვიდრე იყო. განსაკუთრებით იმას ცდილობდა, ჯანსაღი ურთიერთობა დაემყარებინა ქურუმებთან. მათ ხომ უდიდესი გავლენა ჰქონდათ ხალხის ფართო მასებზე. სწორედ ამიტომ იყო, რომ პტოლომეუსის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი ეგვიპტის ტაძრები გახდა: აახლებდა, აფართოებდა, ამშვენებდა მათ. მის დროს დამთავრდა იმ ტაძართა მშენებლობა, რომელთა სამირკველიც ჯერ კიდევ ეგვიპტის ფარაონების დროს ასეული წლების წინ გაეჭრა. პტოლომეუსთა დინასტიის წარმომადგენლები ტიტულურსაც ფარაონთა მაგალითისამებრ ატარებდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რათა, ეგვიპტელებს მათთვისაც ისეთივე ღვთიური პატივი ეცათ, როგორც ეგვიპტის უწინდელ ხელისუფალთათვის. ბევრი მათგანი მემფისის ქურუმთუხუცესის ხელით იღვანდა თავს ეგვიპტის მბრძანებლის ორმაგ ვკირგეინს.

პტოლომეუსი, რომელსაც პშერენი-პტაჰმა დაადგა თავს ვკირგეინი, რიგით მეთორმეტე იყო, ამ სახელს რომ ატარებდა. მეფედ კურთხევის ცერემონიალი, როგორც ამას თავად ქურუმთუხუცესი წერს, „მზის დაბადების დღეს“ ანუ ადრე გაზაფხულზე, მარტის ბოლოს ჩატარდა. აქედან ცხადი ხდება, რომ, თანამედროვე კალენდრის მიხედვით, ეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 76 წელს მომხდარა.

ზეიმი, რომლის შესახებაც პშერენი-პტაჰი ასეთი სიამაყით წერს, წარსულში ჩატარებულ ანალოგიურ ზეიმებთან შედარებით უჩვეულო ხასიათს ატარებდა.

მისი უჩვეულობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ, თუ სხვა დროს მსგავსი დღესასწაულები, წესისამებრ, მემფისში ტარდებოდა, ახლა, როგორც ცხადად მიანიშნა ქურუმთუხუცესმა, იგი როკოტისის აღმოსავლეთით, დადი ზღვის პირას მდებარე ქალაქში, ანუ ალექსანდრიაში იქნა გადატანილი.

სამაგიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ ქურუმთუხუცესი ისე წერს, თითქოს პტოლომეუს XII მეფედ მაშინვე იკურთხა, როგორც კი მან ზემო და ქვემო ეგვიპტის მმართველობა მიიღო, ეს სინამდვილეს არ შეეფერება. არსებითად იგი ქვეყანას 80 წლის იულისიდან მართავდა. გამოდის, რომ მისთვის ფარაონთა სარიტუალო წესის დაცვით ვკირგეინის დადგმა... ოთხი წლის დაგვიანებით მომხდარა!

გადაწყვეტილება, თუ სად და როდის უნდა ჩატარებულიყო მეფედ კურთხევის ცერემონიალი, მხოლოდ და მხოლოდ მეფეს უნდა მიეღო. ეს დაკავშირებული იყო სახელმწიფო პოლიტიკასთან, რაც შესაძლოა პშერენი-პტაჰის არც კი სცოდნოდა. მისთვის ის პატივიც საკმარისი იყო, რომ სახელდობრ მას, თანაც ესოდენ მცირეწლოვანს უნდა დაედგა გველის გამოსახულებიანი ფარაონთა დიადემა მონარქის თავზე. ქურუმის ბედნიერების ფიქლას დღესასწაულიდან მიღე-

ბული შემოსავალიც აღავსებდა. ამიტომაც მორიდებით შენიშნავს იგი თავისი აკლდამის წარწერაში:

„გამოჩენილი ადამიანი ვიყავი, ყელამდე სიმდიდრეში ჩაფლული და მშვენიერი ჰარამხანის პატრონიც“.

ამ წარწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პშერენი-პტაჰი 49 წლისა გარდაცვლილა. ეს იყო კლეოპატრას მეფობის მეთერთმეტე, ^{მანქანა} წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაშასადამე, ქურუმთუხუცესმა მხოლოდ ერთი წლით მეტი იცოცხლა თავის მეუღლეზე. არც ისე დიდ ხანს შეეძლო მას ცოლის რჩევას მიჰყოლოდა.

— სვი და ჭამე, რაც შეგიძლია. აჰყე ვნებებს და გართობის გარდა სხვა არაფერში ხარჯო დრო! გულანთქმას სდიე ღლითა და ღამით!

ყოველივე ეს კი ეჭვს ბადებს: ნუთუ შეიძლებოდა ამგვარი ეპიტაფია ქურუმთუხუცესს თავის სიცოცხლეშივე დაედო მისთვის, ვინც მხოლოდღა მცირე დროით გაუსწრო ქმარს? მართალია, ქურუმთუხუცესს ეცოდინებოდა ეპიტაფიის შინაარსი, მაგრამ ტექსტი მაინც სხვისი შედგენილია. ეს ჩანს კიდევ ტა-იმპოტების აკლდამის წარწერის ბოლო სტრიქონებიდან: „მწერალმა, მოქანდაკემ და სწავლულმა პორის ქურუმმა, გარდაცვლილი ქურუმის ხააპის ვაჟიშვილმა, გააკეთა ეს წარწერა“.

როგორც ჩანს, ტა-იმპოტების ძმა იყო იგი.

ამიტომაც საოცრად ჟღერს ეს სინანულის და რჩევის სიტყვები გარდაცვლილი ცოლისა ქმრისადმი, რომელიც უკვე მიაშურებს მას, დასავლეთში, უაღრესი მწუხარების, სიმშვიდისა და არყოფნის მხარეში.

ფარაონ პტოლომეუსის სეფე სახელები

ჭაბუკმა ქურუმთუხუცესმა ფარაონთა ორმაგი გვირგვინი თავისზე გაცილებით ასაკოვან ადამიანს დაადგა თავს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 76 წელს პტოლომეუსი 30 წლისა მაინც იქნებოდა. როგორც ზეუითაც ითქვა, იგი მეთორმეტე იყო იმ დინასტიიდან, რომელსაც საფუძველი ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლმა და სარდალმა პტოლომეუსმა ჩაუყარა. ოღონდ იმდროინდელ ეგვიპტეში მეფენი ოფიციალურად ჩამოითვლებოდნენ არა „ქრონოლოგიური წელთაღრიცხვით“, არამედ სეფე სახელებით; ოფიციალურად მეფეები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ იმ სეფე სახელებით, რომელთაც იღებდნენ ისინი ტახტზე აღსაყდრებისას; პტოლომეუსები, პირველი ორის გამოკლებით, სეფე სახელთა რიცხვს ან სამეფო ინსიგნიების ხელში ჩავდებისთანავე ზრდიდნენ ან შემდგომ, მმართველობის პერიოდში. წინაპრების მსგავსად, პტოლომეუს XII მიათვალა საკუთარ სახელს ბრწყინვალედ მეფერი სეფე სახელი. ოღონდ, თუ მისი წინაპრები, ჩვეულებისამებრ, ერთი ან ორი სეფე სახელით კმაყოფილდებოდნენ, მან ერთდროულად სამი სახელი დაირქვა. ქურუმთუხუცესი პშერენი-პტაჰი მას ყველა ამ სეფე სახელით იხსენიებს, სათანადო პატივისცემით. ამგვარადვე ფორმდებოდა ყოველი საბუთი, სახელმწიფო თუ პირადი, რომელიც იმხანად იწერებოდა ეგვიპტეში. ამას ხელისუფლება მოითხოვდა. ტიტულები ხომ არა მხოლოდ განასხვავებდნენ მეფეებს და დროს განუსაზღვრავდნენ მოკლენებს, არამედ ღვთიური შარავანდითაც მოსავდნენ მათ მფლობელს.

უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი სახელები პტოლომეუსს XII საგულდაგულოდ შეარჩია, ისე რომ, თანამედროვეთათვის და განსაკუთრებით დედაქალაქის მკვიდრთათვის მათი მნიშვნელობა გასაგები ყოფილიყო.

მაგალითად, რატომ დაირქვა მეფემ თეოს ფილაპატორი, ანუ მამის ძოყვარული ღმერთი? ხომ შეიძლებოდა ეს განსაკუთრებული ხაზგასმა მამაშვილური გრძნობისა გამოთქმულიყო მოკლედ და ამასთან უბრალოდაც? საქმე ის გახლავთ, რომ პტოლომეუს XII ქორწინების გარეშე დაიბადა; დედამისი პტოლომეუს IX ხასადაა მიჩნეული. დაუკანონებელი კავშირის შედეგად დაბადებულმა პტოლომეუსმა ეგვიპტის ტახტი მხოლოდ მრევლურად დატოვა. მატული განვითარების შედეგად დაისაკუთრა, რამეთუ წერტილს დაქსეპს დაქსეპიანვალე გვარის მთავარ შტოს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ქვეყნის ხელისუფალს მართებდა ამკარად მიენიშნებინა, რომ იგი პტოლომეუსების დინასტიის მემკვიდრეა და მასში მეფეთა სისხლი ჩქეფს.

რა მოვლენებმა შეუწყო ხელი პტოლომეუს XII ტახტზე ასვლას? 80 წელს ეგვიპტის ფარაონი გახდა ოცი წლის პტოლომეუს XI. მას უნდა ემეფა დედოფალ ბერენიკასთან ერთად, რომელიც ფარაონზე გაცილებით უფროსი იყო. ეს ქალი პტოლომეუს XI ერთსა და იმავე დროს ბიძაშვილად და დედინაცვლად ერგებოდა. მიუხედავად ამისა, ყმაწვილი მეფე ქალს უნდა შეუღლებოდა. ამას მოითხოვდა რომის მაშინდელი დიქტატორი სულა. რომის იმპერიის დედაქალაქიდან მიღებულ ბრძანებებს იმ დროს ყველა ემორჩილებოდა, თვით გარეგნულად დამოუკიდებელი მონარქებიც კი, ეს ქორწინება სულას თითქოს ახალგაზრდა პტოლომეუსის საკეთილდღეოდ სურდა. ტახტზე ასვლამდე იგი ხომ რამდენიმე წელს გადახვეწილი იყო თავისი ქვეყნიდან. ეგვიპტის მომავალი ფარაონი ბოლო დროს რომში იმყოფებოდა. დიქტატორს ეწადა ქორწინების გზით დაებრუნებინა იგი ალექსანდრიაში და წინაპართა ტახტზე აეყვანა. სხვაგვარად ბერენიკა ტახტს არ დათმობდა. საქორწინო კავშირი კი ორივესთვის ხელსაყრელი ჩანდა.

მაგრამ წინასწარვე შეიძლებოდა იმისი განჭვრეტაც, რომ ამგვარი შეუფერებელი წყვილისათვის ერთობლივი მმართველობა სასიკეთოდ ვერ წარიმართებოდა. ორივენი მეტისმეტი პატიემოყვარენი იყვნენ და ერთმანეთს უსწუროდნენ. ქორწინებიდან ცხრამეტი დღეც არ იყო გასული, პტოლომეუსმა დედოფალი საკუთარი ხელით დააზრჩო.

პტოლომეუსების ოჯახში მკვლელობა არ იყო იშვიათი შემთხვევა, ამიტომაც ხელქვეითები დიდ ყურადღებას როდი აქცევდნენ ამას, მაგრამ ამ შემთხვევაში მოსახლეობის რეაქცია უადრესად მძაფრი გამოდგა. მკვლელობის მსხვერპლი დედოფალი ბერენიკა დიდი სიმპათიით სარგებლობდა დედაქალაქის მცხოვრებთა შორის. პტოლომეუსი კი ალექსანდრიელებმა იმ დღიდანვე შეიჯავრეს, რადღესაც მისი ხომალდი ალექსანდრიის ნავსადგურს მიადგა. არცთუ უსაფუძვლოდ მასში ხელაუდნენ რომის მიერ თავსმოხვეულ მმართველს. ქალაქში ამბოხებამ იფეთქა. აღელვებული ბრბო სასახლეში შეიჭრა, მეფე გამოათრია და გიმნაზიონის ეზოში მოკლა.

გაშმაგებულ ადამიანთა ბრბო გასისხლიანებულ გვამს რომ ჯიჯგნიდა, აღბათ კარგად ვერც აცნობიერებდა, რომ ესოდენ შეშამრწუნებელი სახით სამეფო დინასტიის უკანასკნელ კანონიერ წარმომადგენელს უღებდა ბოლოს. როცა მიხვდა, ეგვიპტის ტახტი ობლად იყო დარჩენილი, მსწრაფლ გამოფხიზლდა. კიდევ უფრო სამწუხარო ის იყო, რომ ახლა არც კი იცოდნენ, ვინ დაესვათ ტახტზე. თანაც ყველას კარგად ესმოდა, რომ თუ ტახტის მემკვიდრეს უმაღლ არ გამოძებნიდნენ, შეიძლებოდა ქვეყნის რომაელები დაპატრონებოდნენ. ასეთ შემთხვევაში ეგვიპტე რომის იმპერიის ახალ პროვინციად გადაიქცეოდა. ხოლო რომის იმპერიის ხელქვეითთა ბედი არაფრით არ იყო შესაშური. თუმცა პტოლომეუსები

სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ ეგვიპტის მკვიდრთ, რის შედეგადაც სახელმწიფო მეურნეობა საგრძნობლად დაეცა, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში, მაგრამ (და ამას ყველა უწევდა ანგარიშს) სამეფო ბიუროკრატიული მანქანის მიერ გამოწოვილი სახსრების დიდი ნაწილი, საბოლოო ანგარიშში, მანც აუცილებლად ქვეყანაშივე რჩებოდა. თუ რომაელები გაბატონდებოდნენ, საგადასახადო პოლიტიკა უფრო გამკაცრდებოდა და თანაც მთელი შემოსავალი წავიდოდა უცხო სახელმწიფოს ხაზინაში და რომაელი გამგებლების, მანკირების და მრევვლების ჯიბეში. ალექსანდრიელებმა, განსაკუთრებით იქაურმა შეძლებულებმა, რომელთაც დიდძალი ფული და გავლენა ჰქონდათ, გამწარებულებმა იწყეს ფიქრი იმაზე, ვინ დაესვათ ტახტზე. სამეფო შტოდან, გარდა მემკვიდრე მანდილოსნებისა, დარჩენილი იყო აგრეთვე პტოლომეუს IX ხასის ხელში შექმნილი ორი ვაჟი, რომლებიც მაშინ სირიაში იმყოფებოდნენ. დიდებულებმაც სწორედ მათ შესთავაზეს: ჩაებარებინათ დაობლებული ეგვიპტის სამეფო. ძმები, ცხადია, უყოყმანოდ დათანხმდნენ. უფროსი გახდა ეგვიპტის მეფე პტოლომეუს XII, ხოლო უმცროსმა მიიღო კუნძული კვიპროსი, რომელიც ოდითგანვე პტოლომეუსების მონარქიის შემადგენლობაში შედიოდა. ახალმა მეფემ თავის ტიტულს მიუმატა სეფე სახელი: „მამის მოყვარული ღმერთი“, რითაც იმას გაუსვა ხაზი, რომ თავი პტოლომეუსების დინასტიის კანონიერ წარმომადგენლად მიაჩნდა. მის მდგომარეობაში ეს გასაგები და აუცილებელიც იყო.

პტოლომეუს XII სურდა ისიც, რომ მისთვის პატივი მიეგოთ როგორც „დის მოყვარული ღმერთისთვის“. დედაქალაქელებისათვის ესოდენ საყვარელ ამ სეფე სახელში განსაზღვრული პოლიტიკური აზრი იყო ჩადებული. მოკლული დედოფალი ბერენიკა აკი მეფის ბიძაშვილი იყო! პტოლომეუს XII კი გულით ეწადა მიჩნეული ყოფილიყო დედოფლის მემკვიდრედ და უახლოეს ნათესავად. ამით მან მოიპოვა ის სიმპათიები, რომლითაც ბერენიკა სარგებლობდა მოსახლეობის ფართო ფენებში. შეიძლება ასევე ვივარაუდოთ, რომ ალექსანდრიის გარეთ სხვაგვარად ესმოდათ მეფის ამ სეფე სახელის მნიშვნელობა: უბრალოდ, იგი მიიჩნეოდა მეფის გრძნობების გამოხატულებად საკუთარი მეუღლის მიმართ — პტოლომეუსი ხომ ძალაუფლების ხელში აღებისთანავე ღვიძლ დაზე — კლეოპატრა-ტრიფენზე დაქორწინდა!

ეგვიპტეში ფარაონების დროიდან მომდინარეობდა ღვიძლ ნათესავთა შორის ქორწინება და არა მხოლოდ პრივილეგირებული კლასების წარმომადგენელთა შორის. ჩვეულებრივ, ოჯახებში ასეთ ქორწინებას, როგორც ჩანს, უმეტეს შემთხვევაში ქონებრივი საფუძველი ჰქონდა. ხოლო ამ ზნე-ჩვეულების გამართლებასა და დასაბუთებას რელიგიაშიც ეძიებდნენ. კერძოდ, ჩვეულებას, რომელიც ასე ხშირად გვხვდება ეგვიპტელთა ოჯახებში, ანალოგი ეძებნებოდა ღმერთების სამყაროში: ისიდა იყო დაი და ცოლი ოსირისისა; მიწის ღმერთი გები დაქორწინდა ცის ქალღმერთ ნუტზე, საკუთარ დაზე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ის მიზეზები კი, რომელთა გამოც ფარაონები და შემდეგ პტოლომეუსებიც ცოლებად ირთავდნენ ღვიძლ დებსა და ბიძაშვილებს, უმთავრესად პოლიტიკური ხასიათისა იყო. ისინი შიშობდნენ, რომ მეფური სისხლის ქალწული ცოლად არ გაჰყოლოდა არისტოკრატიის წარმომადგენელს და ამით ტახტის პრეტენდენტთა შესაძლო წრე არ გაფართოებულყო. ალბათ უზომო პატივმოყვარეობის გამოვლინებად ჩათვლიდნენ, თუ სამეფო დინასტიის რომელიმე წარმომადგენელი სხვა ოჯახიდან მოიყვანდა ცოლად ქალიშვილს. დინასტიური თვალსაზრისით ძნელია უარყოთ ამგვარი საქციელის ერთგვარი სარგებლიანობა, ბიოლოგიური ასპექტით კი ერთი და იმავე ოჯახის შიგნით ქორწინება, რაიც თაობიდან

თაობაში გრძელდებოდა, შეიძლება სასიცოცხლოდ საშიშიც კი გამხდარიყო. პტოლომეუს XII საკუთარ პირველ-ორ სეფე სახელზე უფრო ძალდა აყენებდა მესამე სახელს: ახალი დიონისე. პტოლომეუსს სურდა ექვემდებარებინა, რომ იგი არის განსახიერება ბერძენთა, რაიც იყო აგრეთვე სიმბოლო ცნობების ექსტაზური სიხარულისა, ისევე როგორც — სიმბოლო სიკვდილზე გამარჯვებისა; დიონისე ხომ მფარველობდა ღვინოს და თეატრს და სხვადასხვა მღვდლებს, რომლებიც მის მისტერიებში იღებდნენ მონაწილეობას; სხვადასხვა მისტერიებს კი პირდებოდა. ამიტომ ოდიოგანვე მიჩნეული იყო, რომ ეგვიპტის ღმერთთა პანთეონში დიონისეს შესაბამისი ღმერთი იყო ოსირისი, ისიდას სასწაულებრივად აღმდგენელი მეუღლე, დასავლეთის მეუფე.

პტოლომეუს XII ამ სეფე სახელს რომ ირქმევდა, არტისტული ინტერესები ამოძრავებდა. საუკუნე ნახევრის უკან მეფის წინაპარი მარმარილოს იატაკებიან პალატებში დასდევდა თითქმის შიშველ გოგოებს, რომლებიც, როგორც ტყის ვაკხილები, მეფეს კოლონებს უკან ემალებოდნენ. ახლა იმავე ბრწყინვალე დარბაზებში თეატრალური წარმოდგენები და ქორთა გამოსვლები ეწყობოდა. აღმაშფოთებელი და დასაძრახისი არაფერი იყო იმაში, რომ ქორთს აკომბირებდას ფლეიტაზე ასრულებდა თავად მონარქი, მამის მოყვარული ღმერთი, დის მოყვარული ღმერთი, ახალი დიონისე, თვითონ პტაპისა და ისიდას რჩეული.

ალექსანდრიის გესლიანმა და ბოროტმა მაცხოვრებლებმა თავის მხრივ მესვე მოუძებნეს მეფეს შესაფერისი სეფე სახელი. მას მოკლედ და უბრალოდ შეარქვეს აულეტეს, რაც ბერძნულად „ფლეიტისტს“ ნიშნავს.

სირიელი უფლისწულები

შომქანცველი პოლიტიკური საქმეები მეფეს, სამწუხაროდ, საშუალებას არ აძლევდა გულისწადილს აპყლოდა და მხოლოდ არტისტულ სიამოვნებას მისცემოდა. სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მას ხშირად უწევდა ფლეიტისა და ქორთის მიტოვება. დროს მიჰქონდა წლები. მწიფდებოდა ერთობ სერიოზული პრობლემები, რომლებიც მოითხოვდა გადაჭრას, რამეთუ თანდათან საშიშიც კი ხდებოდა.

არსებითად ყველაფერი ერთ საკითხამდე დადიოდა. პტოლომეუს XII ტახტი ალექსანდრიელებმა შესრავაზეს, მაგრამ სცნობდა ამ ფაქტს რომის სენატი და რომაელი ხალხი? ახალი მეფის ტახტზე აყვანა მათთვის არავის შეუტყობინებია და იგი მათი თანხმობის გარეშე განხორციელდა. ნუთუ რომი უფურაადლებოდ დატოვებდა იმ ამბავს, რომ ალექსანდრიელებმა მოკლეს მეფე, ვინც რომის კეთილი ნების ძალით განაგებდა ქვეყანას?

საბედნიეროდ, სულა, რომელიც მხარს უჭერდა ახალგაზრდა პტოლომეუს XI, ჩამოვიდა ისტორიის სცენიდან. 79 წელს მან უარყო ხელისუფლების რეგალიები, ზღვის პირას, საკუთარ ვილაში დასახლდა და წლისთავზე გულის შეტევით გარდაიცვალა. რომაელები, უმთავრესად, სახელმწიფოს შინა საქმეებით იყვნენ დაკავებულნი, იმპერიის ცენტრიდან არავითარი ცნობა არ მოდიოდა; არავინ იცოდა, როგორ პოზიციას დაიჭერდა სენატი ეგვიპტის მიმართ.

ასე რომ, პტოლომეუს XII მეფობდა, მაგრამ ტახტის ლეგალური მფლობელი არ ყოფილა. ფრთხილად იქცეოდა და მეფედ კურთხევის ცერემონიალის ჩატარებას არა ჩქარობდა. ეს საქმე მთელი ოთხი წლით გადასდო. მხოლოდ 76 წელს გადაწყვიტა ცერემონიალი შეესრულებინა. ოღონდ ერთი საზრუნავიც გაუჩნდა: მეფისში ღმერთ პტაპის ყოფილი ქურუმთმომღვარი მოკვდა და უკიდურესი დასავლეთის წყვდიადში გადასახლდა. ამან მეფე იძულებული გახადა ეს

მაღალი რელიგიური თანამდებობა მისი ვაჟიშვილისათვის, პშერენი-პტაჰისათვის მიენიჭებინა, თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ თითხმეტი წლისაც არ იყო.

მეფედ კურთხევის ცერემონიალი ჩატარდა არა მემფისში, არამედ — ალექსანდრიაში. აღბათ იმიტომ, რომ მეფეს სწყუროდა ამ ღონისძიებას უფრო მეტი ბრწყინვალება და რეზონანსი შეეძინა. მემფისი ქვეყნის სიღრმეში მდებარეობდა, საპორტო ქალაქ ალექსანდრიას კი ფართო კონტაქტები ჰქონდა მთელ სამყაროსთან.

მაგრამ რად აჩქარდა მეფე ოთხი წლის ყოყმანის შემდეგ? ასე გულმოდგინედ რატომ ცდილობდა ცერემონიალის შესახებ ეგვიპტის საზღვრებს გარეთაც შეეტყობო?

ამის მიზეზი სირიიდან მოსული ცნობები იყო. სირიაში გამოჩნდნენ ეგვიპტის ტახტის პრეტენდენტები და ამასთან ეგვიპტის ტახტზე მათ უფრო მეტი უფლება ჰქონდათ, ვიდრე ფლეიტისტს. თვითონ თუ პტოლომეუს IX და ფარაონის ხარჭის ვაჟი იყო, სირიაში ჯერაც ცოცხალი იყო მეფის ღვიძლი და, სელენა, სელევკიდების გვარის მესამე მონარქის ცოლი. სელენას ორი ვაჟიშვილი ორივე დინასტიის კანონიერი მემკვიდრე იყო.

ამიტომაც ასე სასწრაფოდ და ასეთი ზარ-ზეიმით დაიდგა თავზე გვირგვინი პტოლომეუს XII; იმედი ჰქონდა, ამით ეგვიპტეში გამეფების მცდელობის სურვილს მოუკლავდა სირიელ უფლისწულებს. ყმაწვილკაცები მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ ალექსანდრიის ცერემონიალს, რომელიც ასე ვამბოვებთ თითხმეტი წლის ქურუმთუხუცეს პშერენი-პტაჰს. ამიტომ 75 წელს სირიელი უფლისწულები გაემგზავრნენ რომში, რათა ეგვიპტის ტახტზე თავიანთი პრეტენზიები გაეცხადებინათ.

მაშინდელი მსოფლიოსთვის კარგად იყო ცნობილი რომში გაბატონებული ადამიანთაშორისი ურთიერთობები. არც უფლისწულები წასულან იქ ხელცარიელნი. მათ დიდძალი ძვირფასი განძი მიჰქონდათ, რათა რომაელი დიდებულები სიუხვით გადაებირებინათ.

უკვე ორი წელი ხდებოდა, უფლისწულები რომში იმყოფებოდნენ. მთელი ფული დახარჯეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. სენატმა მათი მოსმენაც არ იხება. იმდროინდელ სიტუაციაში ეს გასაგები იყო. რომს ჯერჯერობით არ ეწადა ეგვიპტის საშინაო საქმეებში ჩარევა, რადგან ეს საქმე პოლიტიკური და სამხედრო ვართულებებით იმუქრებოდა. რომს კი საკუთარი პრობლემებიც თავსაყრელად ჰქონდა. თუ სირიელი უფლისწულების მხარეს დაიჭერდა, მაშინ მათთვის სამხედრო მხარდაჭერაზედაც არ უნდა ეთქვათ უარი; მაგრამ ფლეიტისტი კიდეც რომ დამარცხებულიყო და ტახტი დაეცადა, მაინც არ იყო ცნობილი, როგორ მოიქცეოდა ალექსანდრიის აღშფოთებული მოსახლეობა. რომში ჯერ კიდევ ახსოვდათ პტოლომეუს XI ბედი, მხოლოდ 19 დღეს რომ იმეფა. თანაც ვის უნდა მიეღო მეთაურობა ეგვიპტის ექსპედიციისა, რომელიც, როგორც ოფიციალური, ასევე ძარცვა-გლეჯის გზით, ნამდვილად აურაცხელ სიმდიდრეს მოიტანდა? — ასე ფიქრობდნენ რომში. ვიდაც ამ საქმიდან დიდ მოგებას ნახავდა; ამიტომაც ჯობდა, არავის ესარგებლა ამით!

ბოლოს და ბოლოს უფლისწულები მიხედნენ, რომ ყველაფერი დამოკიდებული იყო კეთილგანწყობილებაზე იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ფულის აღებითა და დაპირებებით კმაყოფილდებოდნენ. მშებმა გადაწყვიტეს, დაეტოვებინათ იმპერიის დედაქალაქი. ისინი თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ 73 წელს, მაშინ, როდესაც იტალიაში სპარტაკის მეთაურობით მონების აჯანყებამ იფეთქა. ცხადია, ასეთ საშინელ დროს რომში არავინ მოჰკიდებდა

ხელს იმის გარჩევას, ვის ეკუთვნოდა ტახტი ეგვიპტეში: პტოლომეუს IX დის-
წულს, თუ მისი ხარჭის ნაშობს.

ანდერძი და თავშესაფარი



ეგვიპტის ტახტის მაძიებელი სირიელი უფლისწულების წარმომადგენლებმა უზომო სიხარული მოჰკვარა პტოლომეუს ფლეიტისტს. ამჯერად მან შეინახა მეფობა. უფლისწულთა უკან გაბრუნება იმასაც მოასწავებდა, რომ რომაელე-
ბი უახლოეს მომავალში ნაბიჯს არ გადასდგამდნენ ეგვიპტის წინააღმდეგ.

ოღონდ მეფის სიხარული ხანმოკლე იყო, რადგან მალე, ჯერ კიდევ 74 წელს მეფემ საშიში გაფრთხილება მიიღო: რომი ხშირად აყოვნებს, მაგრამ არასოდეს არაფერს ივიწყებს!

ამ წელს რომაელებმა დაიპყრეს ეგვიპტის დასავლეთით მდებარე ცირენაი-
კა (დღევანდელი ლიბია). რომის მიერ ამ სახელმწიფოს ანექსია ფორმალურად უსაფუძვლო არ ყოფილა. რომაელები მოქმედებდნენ ამ ქვეყნის მეფის ანდერ-
ძის შესაბამისად; ცირენაიკის მეფემ თავისი სიკვდილის, ანუ 96 წელს, მამა-
სადაც, 22 წლის უკან, ცირენაიკის სახელმწიფო ანდერძით დაუტოვა რომს.

ავი ანდერძი გამონაკლისი არ ყოფილა. მანამდის ორი სხვა მეფე მოიქცა ამგვარად, და თუმცა მსგავსი მოქმედება საოცარი ჩანს, იგი ერთგვარი რაციონა-
ლური მოსაზრებიდან გამომდინარეობს. აცხადებენ რა უკანასკნელ სურვილს, მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე მეფეები კვებდნენ რომაელთა ნდობასა და მხარდაჭერას. ხოლო თუ რა მოხდება მათს შემდგომ — ეს მათთვის სულერთი იყო, — მით უფრო, თუ შთამომავლები არ ჰყავდათ. ამ უკანასკნელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ადრე თუ გვიან ყველა ქვეყანას რომის იმპერია ჩაყლაპავდა, რადგან ისტორიული პროცესი აქეთ მოისწრაფოდა.

ცირენაიკა უკვე რამდენიმე ათეული წლის წინ მეფის ანდერძით იყო შეწი-
რული რომისათვის. რომაელებს ეს შემკვიდრეობა მაშინ არ მიუღიათ. ახლაც დიდხანს აყოვნებდნენ. ფლეიტისტისათვის ცირენაიკის საკითხი სამმაგად მნიშ-
ვნელოვანი იყო. ჯერ ერთი, ეს ქვეყანა ეგვიპტეს ესაზღვრებოდა; მეორეც, ყო-
ველთვის ემორჩილებოდა პტოლომეუსებს, და ბოლოს და უმთავრესად კი იმის გამო, რომ ცირენაიკის ანექსიიდან მცირე ხნის შემდეგ ავბედითი ჭორი გავრ-
ცელდა:

ვითომც რომაელთა განკარგულებაში ყოფილიყოს ეგვიპტის უკანასკნელი მეფის, პტოლომეუს XI მიერ შედგენილი ანდერძი, სადაც მეფე თავის უშუალო შემკვიდრედ რომაელ ხალხს აცხადებდა.

მეფის ეს ანდერძი არასდროს არავის უნახავს. ოღონდ ყველა ჯიუტად იმე-
ორებდა, რომ ამგვარი რამ არსებობდა და შესაფერის სიტუაციაში გამოაჩენდნენ კიდევ. თანაც შემდეგ ფაქტსაც იმოწმებდნენ:

სენატმა პტოლომეუს XI სიკვდილისთანავე ელჩები გაგზავნა ფინიკიის ქა-
ლაქ ტირში, სადაც რომმა ჩაიბარა გარდაცვლილი მეფის ფულადი შემკვიდრეო-
ბა. ხოლო ანდერძი, როგორც ბევრი ფიქრობდა, არა მხოლოდ არსებობდა, არა-
მედ მისი ჭეშმარიტება უკვე დადასტურებული იყო სენატის მიერ. ამჯერად დას-
ჯერდნენ ეგვიპტის მეფის ფულს, მაგრამ დადგება ეგვიპტის ქვეყნის ჯერიც, —
ასკვნდნენ ავისმსურველები.

ყოველივე ეს ჭეშმარიტებას წააგავდა. ამბავი კი შეიძლებოდა შემდეგნაირად განვითარებულიყო: დიქტატორმა სულამ ოცი წლის ბიჭი რომიდან ალექსანდ-
რიას გაგზავნა და ეგვიპტის ტახტზე აიყვანა. სამაგიეროდ, მოითხოვა მხარდა-

ჭერის საფასური. ოღონდ, დიდი ქვეყნის მოძველებულ მპყრობელს იმჟამად არაფერი გააჩნდა და სულას მიმართ მადლიერება მხოლოდ ანდერძით შეეძლო გამოეხატა; მემკვიდრეობას ანდერძით რომაელებს უტოვებდა.

როდესაც პტოლომეუს XI ამ დოკუმენტს ხელს აწერდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ დიდხანს იცოცხლებდა, იქნებ რამდენიმე ათეულ წელს, ამ ხნის მანძილზე კი ალბათ ბევრი რამ შეიცვლებოდა როგორც რომში, ასევე საქართველოში. თანაც ანდერძი მაშინ შევიდოდა ძალაში, თუ მემკვიდრედ გადაეგებოდა. ამგვარ სიტუაციაში მეფის ანდერძი არ იყო მაინც და მაინც მნიშვნელოვანი და საშიში.

მოვლენები კი, როგორც ეს ზემოთ ითქვა, კატასტროფული სისწრაფით ვითარდებოდა. ახალგაზრდა მონარქი თავისი მეფობის მეცხრამეტე დღეს დაიღუპა. მემკვიდრე არ დარჩენია და ამგვარად მოიშთო პტოლომეუსების დინასტიის უკანასკნელი შტოც. მაგრამ ანდერძი? რა მოხდებოდა, თუ ანდერძი ნამდვილად არსებობდა?

ხსენებული დოკუმენტის შესახებ რომში არასოდეს არ გაუკეთებიათ რაიმე ოფიციალური განცხადება. ამიტომაც ყველაფერს, რაც კი მოხახლეობის ფართო ფენებმა იცოდა, ჭორის, ვარაუდის ან საექვო მითქმა-მოთქმის ხასიათი ჰქონდა. ამასთან კომპეტენტური პირების სიტყვებში ხშირად ჟღერდა მუქარა, რომ უკვე დრო იყო, ხელი მოეკიდათ ამ საქმისათვის. მეორე მხრივ, მეფის სიკვდილის ოცი წლის თავზე ცირენაიკის მემკვიდრეობის მიღება იმაზე მიუთითებდა, თუ რა აუჩქარებლად, მაგრამ ამავე დროს, რა მოულოდნელად შეეძლო მოქმედება რომის იმპერიის მთავრობას.

სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთ სიტუაციაში პტოლომეუს XII, საკუთარ ტახტზე ასე არამყარად მჯდარი, ძლიერ ცდილობდა თავისი ქვეშევრდომების კეთილგანწყობის მოპოვებას. ეწადა, რომ იგი კეთილ და სამართლიან მეფედ მიეჩნიათ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა ქურუმებს, რადგანაც ხალხში მათ უდიდესი გავლენა ჰქონდათ. ხოლო ქურუმთა კეთილგანწყობილების მოპოვების ყველაზე უბრალო და იაფ საშუალებას თავშესაფრების უფლების უხვად გაცემა წარმოადგენდა.

საუკუნეთა მანძილზე ეგვიპტის ზოგიერთი ტაძარი განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობდა: თუ დევნილი ტაძრის საზღვრებს თავს შეაფარებდა, ხელისუფლებას მასზე უკვე აღარავითარი უფლება აღარ ჰქონდა, თუნდ ძალიანაც მოეწადინებინა მოვალის, ბოროტმოქმედის, გაქცეული მონისა თუ გლეხის ხელში ჩაგდება, საკუთარ განზრახვაზე ხელი უნდა აეღო. ყოველ ტაძარში თავის შეფარების უფლების მიღება უაღრესად სანატრელი რამ იყო, რადგან ყოველივე ეს ქურუმობას გავლენას ჰმატებდა და შემოსავლის წყაროსაც ზრდიდა. ტაძარს თავშეფარებული ადამიანი მეფეებისა და მისი მოხელეებისაგან თავს კი იცავდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ქურუმთა მორჩილებაში ექცეოდა. თავშესაფრის აღმომჩენისთვის გასამრჯელო მას შრომით უნდა გადაეხადა. პტოლომეუსების დინასტიის პირველ წარმომადგენლებს არ მოსწონდათ ტაძართა ეს პრივილეგიები, რადგან მათ მიაჩნდათ და ამაში მართლებიც იყვნენ, რომ ტაძრების მსგავსი პრივილეგიები მეფის ძალაუფლებას ასუსტებდა. ცხადად ჩანდა, რომ თავშესაფრების რაოდენობის ზრდა უარყოფითად მოქმედებდა სახელმწიფო მეურნეობის ფუნქციონირებაზე და ბლაღაქდა ხელისუფალთა ავტორიტეტს, თანაც თუ დინასტიის მეფობის დასაწყისში პრივილეგიებს იღებდნენ ყველაზე დიდი და ღირსეული ტაძრები, შემდგომში ამგვარი მდგომარეობა შეიცვალა, თითქმის ყველა ტაძრის ქურუმები ჯიუტად ცდილობდნენ ამ ძვირფასი უფლების მოპო-

ვებას, რასაც მეფეები, განსაკუთრებით რთულ პოლიტიკურ სიტუაციებში, უფრო და უფრო გულუხვად გასცემდნენ ხოლმე.

ტადარი, რომელიც მოიპოვებდა პრივილეგიას, საკუთარი ტერიტორიის საზღვარზე ათავსებდა სახელმწიფო ედიქტის ტექსტს, რომლის შესავალს წვეულებრივ ამგვარად იყო ჩამოყალიბებული:

„ვისაც საქმე არა აქვს, შესვლა ეკრძალება“.

ამგვარად, ამით ქურუშობა არა მხოლოდ ლტოლვილთა მდევარ სახელმწიფო მოხელეებსა და კერძო პირებს უკრძალავდა ტადარის ტერიტორიაზე შესვლას, აფრთხილებდა აგრეთვე მლოცველებსაც, რომ მათგან მიიღებდა მხოლოდ იმას, ვისაც შესაფერისად სცნობდა, რადგან ისეთი შემთხვევებიც ხშირად ხდებოდა, რომ ტადარში იჭრებოდა ღატაკთა ბრბო ანდა, — ყაჩაღები. ეს არასასურველი სტუმრები ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობდნენ და გარდა ამისა, მოითხოვდნენ ბინასა და საკვებს. ასეთ შემთხვევაში თავშესაფრის პრივილეგიას ტადარის გამგებლისათვის უსიამოვნების მეტი არაფერი მოჰქონდა.

აღბათ, არც ერთი ეგვიპტის მმართველი ისე არ ფანტავდა თავშესაფრის უფლებას, როგორც პტოლომეუს XII, რომელიც ისევე როგორც მისი წინაპრები, იმავდროულად თავშესაფრის უფლებით დაჯილდოებულ ტადარის ქურუშობას ყოველგვარი ვადესახადისა და მორჩილებისაგანაც კი ათავისუფლებდა. არცთუ შემთხვევით შემოინახა ამ მეფის რამდენიმე წყალობის სიგელი, რომლებიც მან სრულიად მოკლე პერიოდში გასცა. თანაც სიგელები არც თუ ისე დიდ ტადარებს ებოძათ.

ცეზარის ეგვიპტური გეგმები

პტოლომეუს XI ანდერძი სახალხო განხილვის საგნად რომში მხოლოდ 65 წელს იქცა. მარკუს კრასუსმა, მდიდარმა მეწარმემ და ფინანსისტმა, ამასთან პატივმოყვარე პოლიტიკოსმა, წამოაყენა პროექტი, რომლის თანახმადაც ეგვიპტეს ისევე უნდა ეძლია ხარკი რომისათვის, როგორც ყველა სხვა პროვინციას. ამ საქმეს კრასუსმა ისეთი სახე მისცა, თითქოს რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის ზრუნავდა. მას იმ წელს სენატორის თანამდებობა ეჭირა და მის კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე სახელმწიფო ქონების გამგებლობაც. მაგრამ სახელმწიფო შემოსავალზე ამგვარი ზრუნვის მიღმა დაკვირვებული თვალი სხვა რამესაც დაინახავდა: იმ ხანებში გაიუს იულიუს ცეზარმა თავისი მეგობრების საშუალებით წამოიწყო აგიტაცია, რათა მისთვის რომის ახალ პროვინციად ეგვიპტის გადაქცევის მისია მიენდოთ.

რომში უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა, რომ ცეზარი კრასუსის ერთ-ერთი თანამდგომი იყო. მაშინ შედარებით ახალგაზრდა, 37 წელს ოდნავ გადაცილებული, არცთუ ძილად დადებითად ცნობილი ცეზარი, სახელოვანი პიროვნება იყო. ზუსტად 65 წელს, წლის პირველ ნახევარში, რომში გავრცელდა ხმები, რომ ცეზარი კრასუსთან და გაკოტრებულ არისტოკრატ კატილინასთან ერთად გაბედულ სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდა. ცეზარსა და მის მომხრეთა ბანდას განზრახული ჰქონდა ორივე კონსულის დახოცვა, რის შემდეგაც კრასუსი გახდებოდა დიქტატორი, ცეზარი კი — ცხენოსანი ჯარის უფროსი (ტრადიციულად ასე ეწოდებოდა დიქტატორის მოადგილეს). ცნობილია, რომ ამ გადატრიალებამ თავის მიზანს მხოლოდ იმიტომ ვერ მიაღწია, რომ ბოლო წუთებში კრასუსი შედრკა. რაც შეეხება ცეზარს, ისეთი რა უნდა მომხდარიყო, მას უკან დაეხია!..

მეორე მხრივ, ხალხის ფართო მასებში ცეზარი უდიდესი სიმპათიით სარგებლობდა. ეს ნაწილობრივ იმითაც იყო გამოწვეული, რომ იგი ოცე წლის უკან გარდაცვლილი პოპულარების ბელადის — გაიუს მარიუსის ახლო ნათესავი იყო. ამიტომ ზოგიერთები მასში ხედავდნენ იმ იდეების მემკვიდრეს, რომელთაც სული ჩაუდგეს უდიდეს პოლიტიკურ მოძრაობას, ჯერ კიდევ გრეკებმა რომ წამოიწვეს: საზოგადოების დემოკრატიზაციას, სენატის უპირატესობის შეკვეცას, გლეხობის საშუალო და შეძლებული ფენების აღორძინებას. ძლიერ სცდებოდნენ, როგორც ყველა გონიერი ადამიანი, ცეზარი მართლაც ნათლად ხედავდა, რომ რესპუბლიკური სახელმწიფოებრივი წყობა დამძალი იყო; და თუ იგი მართლაც ფიქრობდა რაიმე რეფორმის გატარებას, ეს, ალბათ, მხოლოდ ისეთი რეფორმები იქნებოდა, რომლებიც მას ფულს შესძენდა და უფლებასაც მოუტანდა.

ფული კი ძლიერ სჭირდებოდა. განუწყვეტელმა ორგიებმა მილიონიან კალში ჩააგდეს. განსაკუთრებით ბევრ ფულს ქალებში ხარჯავდა.

მისი საყვარლების, გართობისა და ორგიების თაობაზე გავრცელებული ჭორები სერიოზული ხალხის წრეში, ცხადია, მეგობრებს როდი გაუჩენდა მას. ხოლო ოპტიმატების პარტია მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა, რათა ჩანასახშივე მოესპო იმ კაცის კარიერა, რომელიც პოპულარების სიმპათიებითა და მხარდაჭერით სარგებლობდა.

პროექტს, რომელიც ეგვიპტეს რომის პროვინციად გადაქცევას უქადდა, იქნებ, ჰქონოდა კიდევ წარმატების რაიმე შანსი, თუკი მას სხვა ვინმე წამოაყენებდა. მაგრამ უკვე სახელებიც კი ცეზარის და კრასუსისა წინააღმდეგობის გაწევის გუნება-განწყობაზე აყენებდა არა მხოლოდ კონსერვატორულ, არამედ ზომიერთა პარტიასაც კი. ამ ორი პოლიტიკოსის მოქმედების მიზანი მათთვის ცხადზე ცხადი იყო:

პირდებოდნენ რა სახელმწიფო ხაზინასა და რომის ყველა მოქალაქეს დიდ თანხას, იმედი ჰქონდათ, ადვილად გაატარებდნენ კანონს. მაგრამ მისი მიღების შემთხვევაში არსებითად ყველაზე მეტად თავად ისარგებლებდნენ. ახალი პროვინციის ხელში ჩაგდების შემთხვევაში ისინი ეგვიპტის მეფის მიერ ავლადილებას დაუფლებოდნენ, გაძარცვავდნენ ტაძრებს, მდიდრებს უკანასკნელ გროშსაც წაართმევდნენ და მილიონებს დაუპატრონებოდნენ. ეგვიპტის ასეთი სიმდიდრის ხელში ჩამგდები ეს წყვილი კი რესპუბლიკისათვის საშიში გახდებოდა. თუ ნილოსის პირად ნაცვლად პტოლომეუსებისა კრასუსისა და ცეზარის დინასტია გამეფდებოდა, ამით ისინი ტიბროსის ნაპირებზეც გაბატონდებოდნენ.

ნათელი იყო, რომ თხუთმეტი წლის შემდეგ — ზუსტად ამდენი დრო გავიდა ხელქვეითების მიერ პტოლომეუს XI მოკვლის დღიდან — ანდერძით კრასუსის მოულოდნელ დაინტერესებას უმეტესად პირადი სარჩული ედო. კრასუსი ხომ უკვე დიდი ხანი იყო, რაც პომპეუსს ექიმებოდა. ხოლო ეს ბრწყინვალე სარდალი იმ დროს, ანუ 66 წლის შემდგომ, იბრძოდა აღმოსავლეთში, მცირე აზიაში, მარცხს მარცხზე აწვნივდა მეფე მითრიდატეს. 65 წელს პომპეუსმა იმპერიას შეუერთა ორი შაეიზღვისპირა ქვეყანა: პონტო და ბითვინია. კრასუსი ფიქრობდა, რომ, მიუხედავად იმისა, თავად მშვიდობიანი გზით ჩაიგდებდა ხელში ეგვიპტეს, მაინც იმგვარივე დიდებით შეიმოსებოდა, როგორც პომპეუსი იყო მოხილი.

ოპტიმატებმა, რომელთაც ყოველთვის უპირატესობა ჰქონდათ სენატში, გაუგონარი წინააღმდეგობა გაუწიეს ამ პროექტს. პოლემიკის საგნად განსაკუთრებით ანდერძის იურიდიული მხარე იქცა. ხშირი იყო ამგვარი კითხვები: ზუსტად რა სახითაა წარმოდგენილი ანდერძი? სად ინახება იგი? რამდენად სარწმუნოა? ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი აქამდე რატომ არ გახდა სენატში განხილვის

საჯანი? რატომ ყველაფერი რაღაც მოსაზრებებს, სამხილებს, ნართაულად ნათქვამს ემყარება? თავდაპირველად საჭიროა წარმოვადგინოთ დოკუმენტი და გამოვიკვლიოთ მისი უტყუარობა! მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადაწყვიტოთ, მიუიღოთ აღთქმული შემკვიდრეობა თუ — არა. ტირში პტილომეუსის ძველ შენახული ფულის წამოღების საქმე სრულიად სხვაა. არ შეიძლება იგი გიგივებული იქნეს ეგვიპტის საქმესთან. კრასუსი და ცეზარი ყველაფერს ამას დაეკიდებიან, როგორც უგზავლ, ცხად, ადვილად მოსაგვარებელ საქმეს — კარგად მოითხოვს, რათა მისი პოსტულატები განუხრელად დავიცვათ!

ზუსტად ასეთი მოთხოვნები და ბრალდებები წაუყენა პროექტის ორივე ავტორს ციცერონმა, იმ დროის ყველაზე უფრო გაელენიანმა სენატორმა. მას სახელი, უპირველეს ყოვლისა, გაუთქვა დიდ პროცესზე წარმოთქმულმა რამდენადმე პოლიტიკური ხასიათის სასამართლო სიტყვამ. 65 წელს ციცერონი პროტორის თანამდებობას ასრულებდა. თუმცა არისტოკრატიული ოჯახიდან არ წარმოღვებოდა, მისი სიმპათიები მაინც ოპტიმატების მხარეს იყო. კრასუსისა და ცეზარის წამოწყების წინააღმდეგ მიმართული ოპოზიციის სული და გული, 65 წელს მეორე ცენზორად მყოფი, კვინტუს კატულუსი იყო. მან მოქმედების შემდეგი ტაქტიკა აირჩია: კოლეგა ხალხის თვალში რომ დაემცირებინა, საერთოდ ეწინააღმდეგებოდა მისი ინიციატივით წამოწყებულ ყოველ ღონისძიებას. ამიტომ სენატის სხდომებზე მხოლოდ ამ ორი სენატორის გაუთავებელი ურთიერთკამათი ისმოდა. სენატორები კი არა თუ არ ეწინააღმდეგებოდნენ მათ ამგვარ კინკლაობას, არამედ ერთგვარი კმაყოფილებითაც კი უსმენდნენ მათ. სწორედ ამის გამო იყო, რომ 65 წელს ამ ორმა ცენზორმა ისიც კი ვერ შეძლო, რაც მათ უპირველეს მოვალეობას შეადგენდა; კერძოდ, მოემზადებინათ სენატორთა სია და ჩაეტარებინათ მოსახლეობის აღწერა. ბოლოს, რამდენიმე თვის უნაყოფო ქიშპობის შემდეგ, ორივე სენატორი თანამდებობიდან გადადგა.

რულუსის პროექტი

თუმცა კრასუსმა და ცეზარმა უკუაგდეს ეგვიპტის დაპყრობის თავიანთი თავდაპირველი გეგმა, მაგრამ ეს განზრახვა არ დაეიწყინათ. ეს საკითხი მათ 64 წლის ბოლოს კვლავ აღძრეს. ამჯერად ორივე პოლიტიკოსი მეტად გონივრულად მოემზადა და უფრო წინდასხედულადაც მოქმედებდნენ. კერძოდ, ის, რომ ეგვიპტის დაპყრობის გეგმა მათი ინიციატივით იყო შედგენილი, საიდუმლოდ იყო დაცული, ხოლო თავად ეს გეგმა კი, ვითომ სხვათაშორის, ერთ-ერთ პუნქტად იყო შეტანილი მათი იმ ღონისძიებების პროგრამაში, რომელსაც რომის მთელი იმპერია უნდა დაეინტერესებინა:

64 წლის დეკემბერში სახალხო ტრიბუნმა რულუსმა წარმოადგინა ახალი სამიწათმოქმედო კანონპროექტი. იგი ითვალისწინებდა სახელმწიფოს მიერ დიდი ტერიტორიების შესყიდვას და ამ მიწის ფართო კოლონიზაციას. ტერიტორიის შესასყიდად ფული ყველა იმ დომენისა და მოძრავი ქონების გაყიდვის გზით უნდა ეშოვათ, რომლებიც რესპუბლიკამ ამა თუ იმ გზით 88 წლის შემდეგ შეიძინა და რომელთა მიმართაც ვერ არავითარი გადაწყვეტილება არ იყო მიღებული. მთელი ამ უდიდესი აქციისათვის უნდა ეხელმძღვანელა ათთა კომისიას — დეკემვირს, რომელიც განსაკუთრებული წესით იყო ორგანიზებული.

ნებისმიერ გამოცდილ პოლიტიკოსს ადვილად შეეძლო ამოეკითხა რულუსის პროექტის არსებითი მიზანი და შინაარსი. რესპუბლიკის მიერ 88 წლის შემდეგ პერიოდში შექმნილ ქვეყნებს შორის ხომ ეგვიპტეც უნდა ჩათვლილიყო —

თუკი ჭეშმარიტებად მივიჩნევდით იმას, რომ პტოლომეუს XI მართლაც შეადგინა ყბადალებული ანდერძი. არადა ზოგიერთ წრეში ანდერძის არსებობაში ეჭვიც კი აღარ ეპარებოდათ, ანდა მიაჩნდათ, რომ, თუკი ანდერძი არ არსებობდა, ძნელი როდი იყო ამგვარი დოკუმენტის შედგენა. ამიტომ კომისიის რომელიც ამ ნამდვილსა თუ ყალბ დოკუმენტს დაეყრდნობოდა, შეეძლო შესდგობოდა საქმეს და გასაყიდად გამოეტანა ეგვიპტის მეფის სახაზინო ქონება ფუნქციონირებად საკუთრება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომისიას იგივე უფლებები და შესაძლებლობანი ეძლეოდა, რაც კრასუსსა და ცეზარს, თუმცა სხვა სახით ორი წლის უკან სურდათ ეგდით ხელთ. არადა წინასწარვე ეტყობოდათ, რომ ეს ორი პოლიტიკოსი ყველაზე უწინ შევიდოდა კომისიის შემადგენლობაში. რულუსი ხომ უბირატესად მათი ინიციატივითა და მათივე ფულით მოქმედებდა. და ისევე როგორც ადრე, ადვილი იყო იმის მიხვედრა, რომ კანონი მთელი სიმკაცრით პომპეუსის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. მართლაც, თუკი კომისია ხელს იგდებდა იმოდენა ავლა-დიდებას, რაც სახელმწიფომ 24 წლის მანძილზე მოიპოვა, მაშინ მათს ხელში აღმოჩნდებოდა ისიც, რაც პომპეუსმა თავისი აღმოსავლეთის ლაშქრობის შედეგად მოიხვეჭა. არა და პომპეუსი ის კაცი იყო, რომელმაც ბოლო ხანებში იმპერიას შეუერთა კიდევ ერთი ახალი პროვინცია — სირია. ამგვარად, მისი ხვედრი იქნებოდა მხოლოდ ღვაწლი და ცხარე ბრძოლები, სამაგიეროდ, ნამდვილი ნადავლი მხედართმთავრის გამარჯვებებისა წილად ხვდებოდა პოლიტიკოსებს, რომლებიც დედაქალაქში წყნარად აბამდნენ ინტრიგების ქსელს.

ისევე როგორც ადრე, 65 წელს, ამჯერადაც ამ ავისმზრახველთა წინააღმდეგ ციცერონი გამოვიდა. 63 წლის 1 იანვარს მან კონსულის თანამდებობა მიიღო. ეს უმაღლესი სახელმწიფოებრივი თანამდებობა ციცერონს უმთავრესად ოპტიმატების მხარდაჭერამ მოუპოვა. ამიტომაც იცავდა იგი ასე ერთგულად მათს ინტერესებს.

სენატის წინაშე რულუსის პროექტის წინააღმდეგ ციცერონმა ამგვარი სიტყვა წარმოთქვა: ¹

„მიღწევა მიზნისა, რომლისკენაც აქამდე აშკარად ისწრაფოდნენ, ახლა ფარული გზებით განუზრახავთ. კომისიის წევრები იტყვიან, და ეს ადრეც მრავალგზის თქმულა, — რომ სულას და გნეუს პომპეუსის კონსულობის დროიდან — ალექსანდრიის მეფის ანდერძის ძალით ეგვიპტე რომაელი ხალხის საკუთრება გახდა. ამ გადაწყვეტილებას მრავალი დაუჭერს მხარს. მაშ, თქვენ ალექსანდრიას ხელთ უგდებთ იმ ხალხს, რომლებიც ამ მიზნისაკენ მიისწრაფიან ძალუღად, რადგან მათს აშკარად გამოხატულ ამგვარ მოთხოვნას წინ აღუდექით? გაფიცებთ უკვდავ ღმერთებს, მითხარით, რა უუწოდო ამგვარ წამოწყებას? ფხიჩელი ადამიანის წინადადება თუ მთურაღთა ბოღვა? გონიერ ადამიანთა გეგმებია ესენი თუ შეშლილთა ზრახვები?“

შემდგომ, სახალხო საკრებულოს წინაშე წარმოთქმულ მოხსენებაში ციცერონმა ეს საკითხი კიდევ უფრო ფართოდ გააშუქა:

„ალექსანდრია და მთელი ეგვიპტე? რა მოხერხებულად შეაპარეს მათ ეს საკითხი, როგორ უვლიან გვერდს ამ მიწებს და ძალუღად მოლიანად გადასცემენ მას კომისიას. აბა რომელმა თქვენთაგანმა არ იცის, რომ ბევრს მიაჩნია: ეგვიპტის სამეფო პტოლომეუსის ანდერძის ძალით რომაელი ხალხის საკუთრება რომ ხდება? მე, ამ ხალხის კონსული, არა მხოლოდ თავს ვიკავებ მსჯავრის გამოტანისაგან, არამედ არც კი ვამხელ, თუ როგორია ამ საკითხზე ჩემი აზრი. მე მიმაჩნია, რომ ეს უადრესად მნიშვნელოვანი საკითხია, ამიტომ ძნელია მის შესახებ არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღება, არამედ აზრის გამოთქმაც. მე

ვხედავ, რომ არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ ანდერძის უტყუარობის ფაქტს: ისიც ვიცი, რომ სენატი დაეთანხმა მემკვიდრეობის მიღებას; ეს დადგენილება მაშინ იქნა გამოტანილი, როდესაც პტოლომეუს XI სიკვდილის შემდეგ ხალხი იქნა გაგზავნილი ტირში მეფის მიერ იქ გადანახული ფულის ჩამოსატანად. ბოლოს იმასაც ვხედავ და ამაში, ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ადამიანი, რომელიც იმ ქვეყანას ჰვლობს, არც თავისი წარმომადგენელი და არც სულით მეფე არ არის, მაგრამ მეორე მხრივ, ასეთი ხმებიც მესმის: — სინამდვილეში არავითარი ანდერძი არ არსებობს. რომაელმა ხალხმა თავისი საქციელით ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შექმნას, თითქოს ყველა ქვეყნის საკუთარ პრინციად გადაქცევა სურდეს. თუ ეგვიპტეს დავიპყრობთ, იტალიის მოსახლეობა ხომ მასობრივად იქ გადასახლდება, რადგან იმ ქვეყნის მიწა ბარაქიანია და მოსავალსაც უხვად იძლევა.

თუ გამოიტანს რულუსი და მისი კომისია ასეთი მნიშვნელოვანი და სადაო საკითხების შესახებ რაიმე გადაწყვეტილებას? თუ განსჯის იგი სამართლიანად? დავუშვათ, რომ იგი ისურვებს ხალხს თავი მოაწონოს, მაშინ ეგვიპტეს გასცემს და თავისი ამ კანონის ძალით გაყიდის მას, გაყიდის ალექსანდრიას და თავად გახდება გამკითხავი, მსაჯული, ბატონ-პატრონი ასეთი მშვენიერი ქალაქისა და მთელი იმ ქვეყნის ბარაქიანი მიწებისა! ბოლოს, ისიც კი აღმოჩნდება, რომ იგი ვახდება ასეთი მდიდარი სახელმწიფოს მეფე. მაგრამ შესაძლოა, არ აღმოჩნდეს ასეთი ხარბი და არ დაისაკუთროს ესოდენი ძალაუფლება. მაშინ, ასეთ შემთხვევაში, ალექსანდრიას იგი მეფის საკუთრებაში დატოვებს და რომაელ ხალხს მასზე ყოველგვარ უფლებას წაართმევს. რატომ“?

ამ პაექრობაში ციცერონმა და ოპტიმატებმა გაიმარჯვეს. შესაძლოა, არა იმდენად კონსულის სიტყვის შედეგად, რამდენადაც იმ გარემოების წყალობით, რომ რომაელთა ფართო მასებს სრულიადაც არ აინტერესებდა ახალი მიწების დაპყრობა და კოლონიზაცია. ყველაზე მოხერხებული საცხოვრებელი მათთვის თავად იმპერიის დედაქალაქი იყო. ფულს, პურს და გასართობს აქ დიდი შრომის გარეშე შოულობდნენ, — უბრალოდ თავისი ხმის მიყიდვით გავლენიანი ბატონისათვის არჩევნებსა თუ სახალხო საკრებულოში.

კრასუსისა და ცეზარის პროექტმა მეორედაც კრახი განიცადა. ანდერძისა და ეგვიპტის დაკავების საკითხი ამჯერადაც გადაიდო. პტოლომეუს XII კვლავ შეინარჩუნა ტახტი, თუმცა რომში, როგორც ავტორიტეტულად ამტკიცებდა თავად კონსული, იგი ფლეიტისტად და გარეწარად მიაჩნდათ. შემდგომმა მოვლენებმა უჩვენეს, რომ შემთხვევების ასეთ განვითარებას, — რა პარადოქსულიც არ უნდა იყოს ეს, სარგებლობა უნდა მოეტანა, უპირველეს ყოვლისა, თავად ცეზარისათვის.

იუდაა და ეგვიპტე

რომის პოლიტიკური ბრძოლების შესახებ ცნობებმა ჩააღწია ალექსანდრიაში, სადაც მოუთმენლად და დაძაბულად ელოდნენ მათ. თანაც მხოლოდ მეფის კარზე როდი აინტერესებდათ რომის ამბები! იმაზე, თუ კრასუსისა ანდა რულუსის პროექტს როგორ მიიღებდა სენატი და ხალხის საკრებულო, დამოკიდებულნი იყო მთელი ეგვიპტის ბედი. ტიბროსისპირა ქალაქში არჩევნების შედეგებს შეეძლო დღე-დღეზე შეეცვალა ნილოსის დელტასა და ველზე მცხოვრები ხალხის ბედი. მეფის ძალზე გაბერილი ადმინისტრაციის მნიშვნელოვან ნაწილს უმუშევრობა ემუქრებოდა. დამპყრობლები ხომ თავიანთ სამსახურში რომაელებს

ჩააყენებდნენ. არც ის იყო ცნობილი, თუ მომავალი ბატონები როგორ განსჯიდნენ ტადრების ქონებისა თუ თავის შეფარების პრივილეგიის საკითხებს. უბრალო გლეხიც კი, ჩაგრული და უფლებააყრილი, ახალი ხელისუფლების მხრივ მხოლოდ უარესის მოლოდინში შეიძლებოდა ყოფილიყო. უფრო მეტ ხარკსაც წაგლეჯდნენ და უფრო ბევრსაც ამუშავებდნენ.

ეროვნული

აი, ამიტომ იყო 65 წლის შემდგომი პერიოდი ეგვიპტეში უკუჩვენებელი. ამავე დროს აღმოსავლეთიდან ქვეყანას ახალი საშიშროება დაემუქრა.

64 წელს პომპეუსი, რომელიც უკანაქველ ხანებში მცირე აზიაში, გამარჯვებას გამარჯვებაზე იმკიდა, დამასკოში შეჩერდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სირია იმხანად რომის ახალი პროვინცია გახდა. სამეფო ვეარის უკანასკნელმა წარმომადგენლებმა თავიანთი მემკვიდრეობის ნარჩენებიც კი დაკარგეს. ეს გაფრთხილება იყო ეგვიპტის მეფისათვის. სელევკიდების დინასტიამ პტოლომეუსებთან ერთად დაიწყო ბატონობა. სელევკი, მისი ფუძემდებელი, პტოლომეუს I თანამებრძოლი და მასაყით ალექსანდრე ბრწყინვალის ერთ-ერთი სარდალი იყო. მის მიერ ჩამოყალიბებულმა სამეფომ თანდათან უდიდესი ტერიტორიები შემოიერთა და ინდოეთის ნაწილიც კი დაიკავა. შემდგომ პერიოდებში სელევკიდების გავლენის სფერო თანდათან შესუსტდა, ვიდრე ბოლოს, ყველაფერი, რაც დარჩა, ისიც უბრძოლველად არ დაიპყრეს რომაელთა ლეგიონებმა. პტოლომეუსებსა და სელევკიდებს შორის არასოდეს ყოფილა გულწრფელი დამოკიდებულება. ორივე დინასტიის მონარქები ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით პალესტინის გამო. ოღონდ ახლა ალექსანდრიის სამეფო კარზე მწარე ფიქრებით შეპყრობილთ უნდა ეცქირათ სირიის სახელმწიფოს დაქვეყნებისათვის.

იმ სახელმწიფოთაგან რომლებიც ზუსტად ორი საუკუნუნახევრის წინ ალექსანდრე ბრწყინვალის მსოფლიო მონარქიის ნანგრევებიდან წამოიმართნენ, ჯერჯერობით მხოლოდ პტოლომეუსების ეგვიპტე იყო დარჩენილი, თუკი ამ სახელმწიფოს ახლანდელი ყოფისთვის შეიძლებოდა გვეწოდებინა სუვერენული და დამოუკიდებელი. რომში კვლავაც არ აღიარებდნენ მეფედ პტოლომეუსს. მითქმა-მოთქმა ავბედითი ანდერძის ირგვლივ, რაც ნებისმიერ წუთს შესაძლოა მიზეზად გამომდგარიყო ეგვიპტის დაპყრობის მცდელობისათვის, ისევ გრძელდებოდა. მართალია, სენატი ჯერჯერობით მის მოწინააღმდეგედ რჩებოდა და პომპეუსიც სენატის მიმართ ლოიალურ პოზიციას ადგა. მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ რომში პოლიტიკური კოალიციები არასოდეს ყოფილა მყარი. გამორიცხული არ იყო, რომ პომპეუსს ნებისმიერ დროს მიეღო გადაწყვეტილება, თავად ექცია ეგვიპტე პროვინციად, რითაც სხვა პოლიტიკოსებს მოუსპობდა ამდენი შეხლა-შემოხლის საფუძველს. შესაძლოა, მას სენატის დასტურისათვისაც კი არ ეცადა და რაღაც საბაბით დამასკოდან პარდაპირ სამხრეთისაკენ, ეგვიპტისაკენ, გაეწია. ვის შეეძლო მისი შეკავება? ეგვიპტე თითქმის შეუიარაღებელი იყო; იუღეა კი, რომელიც ეგვიპტესა და სირიას შორის მდებარეობდა, სუსტი და შინაგანად გათიშული.

ეგვიპტელ დიდებულთა რჩევის გაკლენით, პტოლომეუსმა გადაწყვიტა ნებისმიერ ფასად მოეპოვებინა პომპეუს დიდის კეთილგანწყობა. 63 წლის გაზაფხულზე დამასკოში ეგვიპტის ელჩები გამოჩნდნენ. მათ მართლაც რომ ხელმწიფური საჩუქრები ჩამოიტანეს: ბაჯადლო ოქროს დიადემის ღირებულება თითქმის ოთხი ათას ტალანტს აღემატებოდა.

მცირე ხნის შემდეგ პომპეუსი დამასკოდან დაიძრა და პალესტინაში შეიჭრა. მას ნაბატელ არაბთა მდიდარი დედაქალაქის, პეტრას დაპყრობა ჰქონდა გადა-

წყვეტილი. ქალაქი მკვდარი ზღვის სამხრეთით მდებარეობდა. პეტრასაკენ მიმავალი რომაელი სარდალი იუდეის ტახტის გამო ამტყდარ დავაში ჩაერია. ხას-მონეუშების გვარის წარმომადგენლები, ძმები პირკანი და არისტობულე უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც ტახტის გამო ერთმანეთს ებრძოდნენ. პომპეუსმა ლა-შქრობის თავდაპირველი გეგმა შეცვალა და პირკანთან ერთად იერუსალიმისაკენ დაიძრა. მან ქალაქი უბრძოლველად დაიკავა, მაგრამ არისტობულეს მომხრეები უდიდეს ტამარში შეიყუვნენ და იქ სამი თვის განმავლობაში იჯდნენ. ტამარი ნპ წლის შემოდგომაზე აიღეს. ტამარისათვის გამართულ ბრძოლებში დაახლოებით თორმეტი ათასამდე ებრაელი დაიხოცა. იუდეის განმგებლად პომპეუსმა პირკანი დატოვა, ოღონდ ამ ქვეყნის საზღვრები ძლიერ შეკვეცა. იუდეამ მაშინ უკვე სამუდამოდ დაკარგა ყოველგვარი დამოუკიდებლობა: პირკანი კი, რომელსაც უარი ეთქვა მეფის ტიტულზე, სირიის გამგებლის ზედამხედველობის ქვეშ დარჩა.

იერუსალიმის ალყის დროს პტოლომეუსი ფარულად, მაგრამ ძალზე ქმედითად ეხმარებოდა რომაელებს. იგი პომპეუსის არმიის ცხენოსანთა მთელ კორპუსს, 8000 კაცსა და ამდენივე ცხენს ინახავდა — აწვდიდა სურსათს, ფურაჟსა და ფულს. როგორც კი იერუსალიმი დაეცა და იუდეის ბედი უკვე გადაწყვეტილად ჩაითვლებოდა, პტოლომეუსმა რომაელი სარდალი ალექსანდრიაში მიიპატიჟა: საჩუქრის სახით რომაელ ჯარისკაცებს ტანსაცმელი გაუგზავნა, ხოლო რომაელთა სამხედრო ხაზინას დიდი თანხა შემატა.

პომპეუსი იღებდა ყველაფერს, რასაც კი მეფე უგზავნიდა, მაგრამ ვალდებულებით კი არაფერს არ კისრულობდა. ალექსანდრიაში სტუმრობაზედაც უარი განაცხადა. სწორადაც მოიქცა. თუ უცხო ქვეყნის დედაქალაქს სტუმრად ეწვეოდა, ეს იქაური ხელისუფალის ოფიციალურად ცნობის დასტური იქნებოდა. ხოლო ეგვიპტეში შეიარაღებული შეჭრის და მეფის ტახტიდან გადაყენების უფლება მას არ ჰქონდა, რადგან სენატს ჯერაც არ გამოეტანა რაიმე გადაწყვეტილება ეგვიპტის ბედ-იღბლის თაობაზე.

გარდა ამისა, პომპეუს დიდს მიაჩნდა, რომ უკვე საკმაოდ დიდი დრო შესწირა აღმოსავლეთს და რომში დაბრუნება განიზრახა. მას სურდა რომში ტრიუმფით შესულიყო, ხოლო შემდეგ კი გამოეყენებინა თავისი დიდი ავტორიტეტი და იმპერიის დედაქალაქში მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობა დაეკავებინა. უახლოესმა მომავალმა უჩვენა, რა ფანტასტიური იყო სარდლის ამგვარი გეგმები. პომპეუსმა უარყო თავისი თავდაპირველი ჩანაფიქრი ნაბატელი არაბების დამორჩილებისა და პალესტინა დატოვა.

პომპეუსის კეთილგანწყობის მოპოვების მცდელობა ეგვიპტის მეფეს ძალზე ძვირი დაუჯდა, შედეგად კი არაფერი მიუღია. პირიქით, ხალხს კიდევ უფრო გაუფუჭდა განწყობილება, რადგან საჩუქრების სიმძიმე, რომელსაც მეფე ასე უხვად უძღვნიდა სარდალს, ქვეშევრდომთა მხრებს დააწვა. არადა, — ამას უბრალო გლეხიც ნათლად ხედავდა, — ხარჯი ამაოდ იქნა გაწეული. ეგვიპტის მიმართ რომი კვლავ გულგრილი რჩებოდა. მანამდე კი, ვიდრე რომი ოფიციალურად არ აღიარებდა ეგვიპტის მეფედ, პტოლომეუსის მეფობას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

ხალხის თვალში პტოლომეუსს ძლიერ ავნო იმ დახმარებამაც, რომელსაც იგი რომაელთა მხედრობას იერუსალიმის ტამრის ალყისას უწევდა. განსაკუთრებით ღელავდნენ ებრაელები, რომელთა რიცხვი ეგვიპტეში რამდენიმე ასეულ ათასს უდრიდა. მათი უმეტესობა ალექსანდრიაში იყო დამკვიდრებული.

— იაპეეს ტამარი ღირსებააყრილია! — ღელავდნენ ისინი, — პომპეუსი შე-

ვიდა წმიდათა შორის უწმინდეს ტაძარში, სადაც შესვლის უფლება მხოლოდ ქურუმთუხუცესს აქვს, ისიც მხოლოდ დიდი დღესასწაულების დროს, დანაშაულში გარეულია ეგვიპტის მეფეც და წყველა-კრულვა მას, განა ის არ აწვდიდა საკვება და სამოსელს ღვთისმგმობელ ჯარისკაცებს?!

არც ბერძენები და არც მკვიდრი ეგვიპტელები არ იყვნენ კმაყოფილნი იმით, რომ მათი მეფე პალესტინის აღებაში დაეხმარა რომელებს. კარგად ახსოვდათ, რომ პირველი პტოლომეუსების მეფობისას ჰაქმესტისსი ეგვიპტეს ემორჩილებოდა. ებრაელთა უდიდესი ტაძრების კედლებზე ქურუმები ახლაც კითხულობდნენ ფარაონთა დროინდელ უძველეს წარწერებს. ეს წარწერები იმ გამარჯვებებს განადიდებდნენ, რომლებიც ეგვიპტელთა ჯარებს მოეპოვებინათ მრავალი საუკუნის წინათ არა მხოლოდ პალესტინის მიწაზე, არამედ გაცილებით შორსაც — ჩრდილოეთით, ევფრატის ნაპირებზე. ეს ადგილები ახლა ზღვის-გალძელ უცხოელებს ჩაუვარდათ ხელში და თანაც ეგვიპტის მნიშვნელოვანი დახმარებით!

ამგვარად, მეფე პტოლომეუს XII, ახალ დიონისეს, ბლომად ჰყავდა მტრები: პოპულარები — რომში, ებრაელები — ალექსანდრიაში და პატრიოტები — ეგვიპტეში. ამიტომ ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რათა ფათერაკი რამ არ შემთხვეოდა რომელსამე წმინდა ცხოველს, რადგან ნებისმიერ უბრალო შემთხვევას შეეძლო პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება, როგორც ეს ერთმა ამბავმა დაადასტურა კიდევ.

წმინდა კატის სიკვდილი

ზუსტად იმ ხანებში, როდესაც პტოლომეუსის ქვეშევრდომებში დაძაბულობა თანდათან მატულობდა, ალექსანდრიას ახალგაზრდა ბერძენი სიცილიელი, უაღრესად განათლებული და წარსულის მგზნებარე მკვლევარი, დიოდორე ესტუმრა. ცხადია, ეგვიპტეში წასვლა მან იმიტომ ირჩია, რომ განთქმულ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ემუშავა. იგი შეუდგა უდიდესი გამოკვლევის წერას, რომელშიც უძველესი მითოლოგიური ხანიდან მის თანამედროვე დრომდე კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორია სურდა აესახა. იმდროინდელ მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ცივილიზაციის აკვანი აქ, ეგვიპტეში დაირწა, ამდენად ამ ქვეყნის ისტორიას ღირსეული ადგილი უნდა დაეჭირა დიოდორეს თხზულებებში.

ალექსანდრიამ მოხიბლა ახალგაზრდა ისტორიკოსი. მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლიური კუნძულიც მრავალ მშვენიერსა და მდიდარ ქალაქს ფლობდა, თუნდაც ისეთებს, როგორებიც იყო სირაკუზა და აკრაგასი. დიოდორე, უპირველეს ყოვლისა, თავად ეგვიპტის დედაქალაქის ადგილმდებარეობამ განაცვიფრა. ალექსანდრე ბრწყინვალის მითითებით ქალაქი გაშენებული იყო შედარებით ვიწრო სრუტის პირად, ზღვასა და ტბას შორის. ნილოსის ყურეს სრუტე არხით უერთდებოდა. იქვე ნაპირთან მდებარეობდა პატარა კუნძული ფაროსი, რომელსაც ქალაქთან მსხვილი ქვებისაგან ნაგები ფართო, სტადიონად წოდებული დამბა აერთებდა. დამბის ორივე მხარეს წარმოქმნილი იყო ორი უაღრესად მოხერხებული პორტი: აღმოსავლეთისა — დიდ პორტად წოდებული და დასავლეთისა — რომელსაც ეუნოსტოსს უწოდებდნენ. მთელ ქალაქს მძლავრი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ნაგებობები თავიდანვე გვეგმიურად შენდებოდა — სწორი, ფართო ქუჩები ერთმანეთს მართკუთხედებად კვეთდნენ. მთავარი არტერია, რომელიც ქალაქს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შუაზე კვეთდა, დაახ-

ლოებით ორმოცი სტადიონის სიგრძისა, ანუ ექვს-ნახევარი კილომეტრი იყო. მისი სიგანე კი 100 ნაბიჯს უდრიდა, ანუ დაახლოებით ორმოციოდე მეტრს. მოავარი ქუჩის ორივე მხარე მშვენიერი ტაძრებითა და სხვა მდიდრული ნაგებობებით იყო დამშვენებული, თუმცა ლამაზი შენობების ნაკლებობა არც სხვა უბნებში იგრძნობოდა. მეფის სასახლეს ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი ეკავა პატარა ნახევარკუნძულის ღობისათვის ახლოს. ეს იყო ბაღებსა და მრავალფეროვან ნაგებობათა უდიდესი კომპლექსი. პტოლომეუსების წინააღმდეგეული ცდილობდა თავისებური ხიბლი შეემატებინა საკუთარი რეზიდენციისათვის.

მწერალი ისტორიკოსი ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა რაოდენობამ დააინტერესა და ამის შესახებ შეეკითხა მოხელეებს, რომლებიც აღწერას აწარმოებდნენ. მათ უპასუხეს, თავისუფალი მოსახლეობის რიცხვი ალექსანდრიაში სამას ათასზე მეტს შეადგენსო. ოღონდ ცნობილი არაა შედიოდა თუ არა ამ რიცხვში ქალები და ბავშვები. არც იმის შესახებ არსებობს არავითარი მონაცემები, რა რაოდენობის მონები ჰყავდათ. მაგრამ როგორი სიფრთხილაც არ უნდა გამოვიჩინოთ ამ საკითხში, უნდა ვირწმუნოთ, რომ ალექსანდრიაში მილიონზე მეტ მოსახლეს უნდა ეცხოვრა. მაშასადამე, უეჭველია, რომ იგი იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდ ქალაქს წარმოადგენდა.

დიდორე უმთავრესად ეგვიპტურ სიძველეთა ძეგლებმა, წეს-ჩვეულებებმა და სარწმუნოებამ დააინტერესა. მისი ყურადღება აქ უმაღლესი საყოველთაოდ გავრცელებულმა ცხოველთა კულტმა, რომელთა შესახებაც იგი შემდეგს გადმოგვცემს:

„ეგვიპტელები ზოგიერთ ცხოველს განსაკუთრებული პატივითა და მზრუნველობით მოსავენ, არა მხოლოდ სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც. განსაკუთრებით დიდ პატივში ჰყავთ კატები, იქნემონები, ძაღლები, იბისები, მგლები, ნიანგები და სხვები. ყოველი ამ სახეობის ცხოველისათვის გამოყოფილია მიწის ნაკვეთები, რომლის შემოსავალიც მათ გამოკუთვასა და მფარველობაზე იხარჯება. თუ ბავშვი გახდება ავად, ეგვიპტელი აღთქმასა სდებს, რომ მისი გამოჯანმრთელების შემთხვევაში იმდენსავე ოქროსა და ვერცხლს შესწირავს ღმერთებს, რამდენსაც ბავშვის თმები იწონის. ამგვარ შემოსავალს უშუალოდ წმინდა ცხოველების მფარველები აგროვებენ. ისინი ძვრებისათვის ჭრიან ხორცს, უხმობენ მათ ხაფი ხმით და მოფრენილ ფრინველებს ხორცის ნაკუწებს ესვრიან. სამაგიეროდ კატებს და იქნემონებს რძეში ჩამბალი პურით და თევზით უმასპინძლებიან. ამგვარადვე უმზადებენ სხვა სახეობის ცხოველებს შესაფერის საკვებს. ცხოველთა მფარველები ძალზე აფასებენ საკუთარ საქმიანობას და მიანიანთ, რომ უადრესად ღირსეულ სამსახურს ეწევიან ღმერთებისათვის. ისინი დადიან სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში და ატარებენ განსაკუთრებულ ნიშნებს. შორიდანვე მოჩანს, თუ რომელი ცხოველის მფარველი მოდის. ვინც მას შეხვდება, მიწაზე დამხობით უნდა სცეს პატივი.

როდესაც წმინდა ცხოველი მოკვდებოდა, მას ხელის ნახ ტილოში ხვედნენ, დასტიროდნენ, მკერდზე მჯიღებს იცემდნენ და მძორი დასაბალზამებლად მიჰქონდათ. შემდეგ კედარის ზეთს და სხვა სურნელოვან ნივთიერებებს უსვამდნენ მას, რასაც მძორი გახრწნისაგან უნდა დაეცვა და სარკოფაგში ჩაასვენებდნენ. თუ ვინმე ასეთ ცხოველს განზრახ მოკლავდა, სიკვდილით სჯიდნენ. ხოლო, კატის ან იბისის მკვლელს სიკვდილისაგან ვერავინ დაიფარავდა, მიუხედავად იმისა, შეგნებულად მოკლა ცხოველი თუ შემთხვევით შემოაკვდა. ბრბო საშინლად ეპყრობოდა მას. ხშირად მისი სიკვდილით დასჯა სასამართლოს გადაწყვე-

ტილების გარეშე ხლებოდა. სასჯელის წინაშე შიში ისე დიდი იყო, რომ ყოველი, ვინც მკვლარ ცხოველს დაინახავდა, მყისვე შეჩერდებოდა და შორიდან ქვიინითა და გოდებით არწმუნებდა შეკრებილთ, რომ მკვლარი დაინახა იგი.

აი მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა ძლიერ აქვს ფესვები გადგმული რწმენას ცხოველთა ხელშეუხებლობის შესახებ და რა მკაცრად ცდილობენ მის დაცვას:

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როდესაც რომს ჯერაც არ ეცნო მეფე პტოლომეუსი მოკავშირედ და მეგობრად. ალექსანდრიელები ძალიან ცდილობდნენ იტალიელი სტუმრების გულის მოგებას. ალექსანდრიის მცხოვრებნი ფროთხილობდნენ, რომ რაიმეთი წყენა არ მიეყენებინათ იტალიელებისათვის და მათთან ომი არ გამოეწვიათ. და აი, იმ ხანებში ვიღაც რომაელს კატა შემოაკვდა. უმაღვე მოგროვდა ხალხი მის საცხოვრებელთან. ვერ გასჭრა ვერც ძალაღი თანამდებობის პირთა თხოვნამ, რომლებიც მეფემ საგანგებოდ გამოაგზავნა შემთხვევის ადგილზე და ვერც იმ დროს საყოველთაოდ გავრცელებულმა შიშმა რომაელების მიმართ. და თუმცა იმ რომაელს კატა სრულიად შემთხვევით შემოაკვდა, მაინც ვერაფერმა ვერ დაიფარა იგი სიკვდილისაგან. ეს მე ვიცო არა გადმოცემით, არამედ თავად ვიყავი ამ ამბის ცოცხალი მოწმე, როდესაც ეგვიპტეში ვიმყოფებოდი“.

ამას ჰყვება დიოდორე. ოღონდ, მიუხედავად წმინდა კატის მოკვლისათვის ბრალდებულის ღონის წესით გასამართლებისა რომთან ომი არ ამტყდარა. პირიქით, ისე მოულოდნელად, რომ ამას ვერავინ წარმოიდგენდა, ეგვიპტის მიმართ რომის პოლიტიკა მკვეთრად შემოტრიალდა.

ტრიუმვირები და ეგვიპტე

60 წლის ზაფხულში ალექსანდრიაში საშინელი ცნობა მოვიდა. მან ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა იმედს, რომ რომი ოდესმე ცნობდა პტოლომეუსს ეგვიპტის კანონიერ მეფედ. მომავალ, 59 წელს კონსულად აირჩიეს ცეზარი.

ცეზარის ადრინდელი მოღვაწეობიდან გამომდინარე შეიძლებოდა იმის ვარაუდი, რომ თანამდებობის ხელში ჩაგდების შემდეგ მისი პირველი ღონისძიება ეგვიპტის რომის ახალ პროვინციად გადაქცევა იქნებოდა. საეჭვო იყო, რომ ოპტიმატებს ყოფნოდათ ძალა წინ აღსდგომოდნენ ამას, რადგან მათი სახელით კონსულად არჩეული იყო არცთუ იმდენად ენერგიული მარკუს ბიბულუსი. რაც შეეხება პომპეუსს, რომელიც აქამდე ყოველთვის არასიმპათიურად იყო განწყობილი კრასუსისა და ცეზარის მიმართ, ახლა საოცარ თავშეკავებულობას იჩენდა, რადგან მას დაკარგული ჰქონდა რწმენა სენატისა და ოპტიმატების მიმართ.

59 წელს კი, უკვე ცეზარის კონსულობის პერიოდში, აღმოჩნდა, რომ ამ სამეულს — პომპეუსს, კრასუსსა და ცეზარს — საიდუმლო შეთანხმება ჰქონიათ დადებული: არაფერი არ უნდა მომხდარიყო რესპუბლიკაში ისეთი, რაც რომელიმე მათგანს არ აწყობდა. ეს შეთანხმება ისტორიაში „პირველი ტრიუმვირატის“ სახელით შევიდა.

შეუდგა თუ არა მმართველობას, ცეზარმა წარმოადგინა სამიწათმოქმედო კანონპროექტი, რომელიც არსებითად რულუსის ძველი მოსაზრების გამეორება იყო, თუმცა მათ შორის პრინციპული სხვაობაც არსებობდა: კანონპროექტი ამჯერად ნართაულადაც კი არ მოიხსენიებდა ეგვიპტეს და პრეტენზიას არ აცხადებდა ეგვიპტის მეფის ქონების ხელში ჩაგდებაზე. მიუხედავად მარკუს ბიბულუსისა და სენატორთა ნაწილის მედგარი წინააღმდეგობისა, კანონპროექტი მიღებულ იქნა. ეს იყო პირველი კონკრეტული არგუმენტი ტრიუმვირატის არ-

სებობისა და იმაღროულად მისი ძლიერების დემონსტრირებისა, რომში ამ სა-
მი პოლიტიკოსის გაერთიანებული ძალისა და გავლენის წინააღმდეგ გამოსვლა
უკვე აღარაფერს შეეძლო. ორივე პარტიამ, პოპულარებისა და ოპტიმატებისა,
გამოაგონა სრული უსუსურობა. მხოლოდ ზოგიერთებს აღმოაჩნდა ხაკმარისი
მოქალაქეობრივი გაბედულება, აშკარად და შეუპოვრად დაეცვათ ძველი იდეალე-
ბი. ასეთ მამაცთა შორის უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდა მარკუს კვერინციუსი.

ის, თუ რატომ არ მოიხსენიებოდა ეგვიპტე ახალ სამიწაში მარკუს კვერინციუსის
პროექტში, მალევე, ჯერ კიდევ 59 წლის გაზაფხულზე გახდა ნათელი. ცეზარმა
სენატსა და სახალხო საკრებულოს მიმართა, რათა ეცნოთ პტოლომეუს XII
არა მხოლოდ მეფედ, არამედ რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედაც. ამ
წინადადების დასასაბუთებლად მან გაიხსენა ის სამსახური, რომელიც მეფემ გა-
წიანადების დასასაბუთებლად მან გაიხსენა ის სამსახური, რომელიც მეფემ გა-
წიანადების დასასაბუთებლად მან გაიხსენა ის სამსახური, რომელიც მეფემ გა-
წიანადების დასასაბუთებლად მან გაიხსენა ის სამსახური, რომელიც მეფემ გა-
წიანადების დასასაბუთებლად მან გაიხსენა ის სამსახური, რომელიც მეფემ გა-
წიანადების დასასაბუთებლად მან გაიხსენა ის სამსახური, რომელიც მეფემ გა-
წიანადების დასასაბუთებლად მან გაიხსენა ის სამსახური, რომელიც მეფემ გა-
წიანადების დასასაბუთებლად მან გაიხსენა ის სამსახური, რომელიც მეფემ გა-

ამრიგად, პტოლომეუს ფლევითისტმა მიაღწია იმას, რასაც იგი ამაოდ ცდი-
ლობდა აგერ უკვე ოცი წლის მანძილზე, და მიაღწია სახვლდობრ იმ ადამიანის
შემწეობით, რომელიც აქამდე ღამობდა ყველაფერი წაერთმია მისთვის. უცნაუ-
რი სიტუაციაა. რა გზით უნდა შეტრიალებულიყო ეს ამბავი ასე პარადოქსულად?
უფრო სწორი იქნებოდა კითხვის ამგვარი დასმა: რის ფასად მიაღწია მეფემ
ამას? რომში ამის შესახებ დაუფარავად ლაპარაკობდნენ: პტოლომეუსმა ამაში
ან ერთობ დიდი თანხა გადაიხადა ანდა გადახდას შეპირდა — დაახლოებით ექვსი
ათას ტალანტს, ანუ ზუსტად იმდენს, რამდენსაც შეადგენდა მისი სახელმწიფოს
ეროვნული შემოსავალი მთელი წლის მანძილზე.

მართალია, ეს ფული ცეზარს პომპეუსისათვის უნდა გაეყო, მაგრამ ისიც,
რაც მას დარჩებოდა, დიდძალ თანხას წარმოადგენდა. ძველი ვალებიდან ის უკვე
განთავისუფლებული იყო შორეული ესპანეთის მარცვის შედეგად, სადაც ცეზარ-
ი 61 წელს გამგებლობდა. ახლა მშვიდად შეეძლო ეფიქრა იმაზე, თუ სად დაე-
ბანდებინა თანხა, რომელიც მიიღო მეფისაგან, რათა კარგად ესარგებლა იმით.

სამაგიეროდ, პტოლომეუსისათვის მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა ამგვარი
ხარჯი. მისი ხაზინა, როგორც ჩანს, არ ფლობდა რაიმე რეზერვს. წინა წლებშიც
ბევრი დახარჯა პომპეუსის საჩუქრებსა და მისი არმიის რჩენაზე. ამიტომ ახლა
მეფე იძულებული გახდა, სესხისთვის მიემართა, რათა დაეკმაყოფილებინა ცე-
ზარის გაუმაძღრობა.

იმდროინდელ მსოფლიოში ყველაზე დიდი გამსესხებლები თავად რომის მე-
ვახშენი და მეწარმენი იყვნენ. პროვინციების მოსახლეობის ექსპლუატაციით
ისინი დიდ შემოსავალს იღებდნენ. ერთ-ერთმა რომაელმა მილიონერმა, რაბი-
რიუმ პოსტუმეუსმა ფული ასესხა ეგვიპტის მეფეს. რომაელს კარგად ჰქონდა შეგ-
ნებული, რომ სახიერო გარიგებას კრავდა: მისი ფულების წყალობით პტოლო-
მეუსი თავისი ტიტულისა და ძალაუფლების აღიარებას მიაღწევდა და, მაშასადა-
მე, გადახდის გარანტიაც მტკიცე იყო; პროცენტი კი — ძლიერ მაღალი და უხ-
ვად აანაზღაურებდა მცირე რისკს. ამრიგად, ეგვიპტის მეფის მძიმე მდგომარეო-
ბით მხოლოდ ტრიუმვირებმა როდი მოითბეს ხელი.

საჭიროა აქვე ითქვას, რომ ფულის საკითხში ცეზარი წვრილმანი კაცი არა
ყოფილა. გამოართვა თუ არა პტოლომეუსს თავისი წილი, იგი დათანხმდა სხვე-

ბსაც ესარგებლა მეფის მღვთმარობით, განსაკუთრებით კი — ციცერონს.

ჯერჯერობით კი ცეზარი და ციცერონი, როგორც გვახსოვს, ერთმანეთის მტრები იყვნენ. 65 წელს ციცერონმა უარყო კრასუსისა და ცეზარის პროექტი, რომელიც ეგვიპტის რომის პროვინციად გადაქცევას ითვალისწინებდა. 63 წელს კი იგი, როგორც კონსული, მკაცრად დაესხა თავს და გააკრიტიკა კრასუსის მიწათმოქმედების პროექტი. იმავე 63 წელს, როდესაც კათილინის მუცრუს მუცრულება გაამჟღავნეს, ციცერონი ყველაზე დიდი მოძხრე იყო იმისა, რომ შეთქმულების ორგანიზატორები მკაცრად დაესაჯათ. საიდუმლოს არ წარმოადგენდა აგრეთვე, რომ ცეზარი და კრასუსი, როგორც უწინ, ახლაც შეთქმულების ფარულ მონაწილეებს მიეკუთვნებოდნენ. და მიუხედავად ყოველივე ამისა, ახლა თავად ცეზარი იწვდიდა ხელს შეთანხმებისათვის. იგი ამას იმიტომ ჩადიოდა, რომ დიდად აფასებდა ციცერონის გონიერებას, ტალანტს, კარვად ხედავდა მის დიდ გავლენას სენატში. ცეზარმა იმავე დროს აგრძნობინა სახელგანთქმულ ორატორს, რომ მას შეეძლო ელჩადაც წასულიყო ეგვიპტეში, რათა მეფისათვის საამური ცნობა ეხარებინა. ასეთი ელჩობა კი, არა მხოლოდ დარსების საქმე იყო, არამედ — დიდად მოძგებიანიც. კარგი ამბების მაცნეთ, მეფეები, ჩვეულებისამებრ, გულუხვად ასაჩუქრებდნენ!

ციცერონი სერიოზულად მოეკიდა ამ წინადადებას, ოღონდ ერთგვარი მორალური ხასიათის მოსაზრების გამო ვერ დათანხმდა. თავის მეგობარს ატიკს იგი ასე სწერდა:

„ძლიერ მსურს და თანაც დიდი ხანია ალექსანდრიისა და კერძოდ, ეგვიპტის ნახვა. ასევე მსურს, მოვძორდე ხალხს, რომელთაც უკვე თავი მოკაბუზრე და მხოლოდ მაშინ დავბრუნდე, როდესაც მათ ჩემი ნახვა გაეხარდებათ. მაგრამ ახლანდელ სიტუაციაში, როდესაც მე იქ ასეთმა პიროვნებებმა უნდა გამგზავნონ, — მრცხვენია. რას იფიქრებენ ამაზე ჩვენი ოპტიმატები, თუკი ისინი საერთოდ კიდევ დარჩნენ. განა არ იტყვიან, რომ ჯილდომ მაიძულა აზრის გამოცვლა? პირველ რიგში კი ასე ჩვენი მეგობარი კატონი იტყვის, რომელიც ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ასი ათასი სხვა. ანდა რას იტყვის ისტორია ექვსასი წლის შემდეგ? მისი მსჯავრის მე ხომ გაცილებით მეშინია, ვიდრე ჩვენი თანამედროვეების მითქმა-მოთქმის!“

ამიტომ ციცერონმა ეს წინადადება არ მიიღო და ეგვიპტეში არ წასულა. ასევე უარყო მან ცეზარის სხვა წინადადებებიც, რომლებიც მას ღირსეულსა და ძალზე შემოსავლიან მისიას აღუთქვამდნენ სხვადასხვა პროვინციაში. იგი ძალზე წინდაუხედავად მოიქცა — ასეთია ისტორიის შეფასება ორი ათასი წლის შემდეგ.

ისილა რომში

გაბინიუსიც და პიზონიც, ანუ ორივე კონსული, რომელთაც ეს თანამდებობები მიიღეს ცეზარისა და ბიბულუსის შემდეგ, მჭიდრო კავშირში იყვნენ ტრიუმვირებთან. ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ სახელმწიფოში ძველებურად ყველაფერი ამ უკანასკნელთა ნების მიხედვით უნდა ვაკეთებულყო. იულიუს გაბინიუსი საკმაოდ კარგა ხანი იყო, რაც პომპეუსს მეგობრობდა, ხოლო პიზონის ქალიშვილზე, კალპურნიაზე, ცეზარი რამდენიმე თვის უკან დაქორწინდა.

58 წლის 1 იანვარს, როდესაც ახალმა კონსულმა, რომაული წეს-ჩვეულების მიხედვით, რესპუბლიკის კეთილდღეობისა და თავიანთი წარმატებების საწინდრად ღმერთებს მსხვერპლი შესწირეს, მოულოდნელად ქალაქში რაღაც მღელვარებამ იფეთქა. კაპიტოლიუმის საკურთხეველის წინ, სადაც კონსულებმა და ქურუმებმა ცხოველი დაკლეს, რათა მათს შიგნეულობაზე ღმერთის ნება ამო-

ეკითხათ, მოულოდნელად ბრბო შემოცვივდა. ისინი ყვირილითა და მუქარით მოითხოვდნენ, რათა ამავე კაპიტოლიუმში აღედგინათ ეგვიპტური ღმერთების — ისიდასა და სერაპისის საკურთხევლები, რომლებიც მცირე ხნის უკან სენატის გადაწყვეტილებით დაანგრეს. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ საზვიალო რიტუალის შემდგომი გაგრძელება შეუძლებელი შეიქნებოდა, მაგრამ კონსულებმა პოზიციები არ დათმეს. განსაკუთრებით მტკიცედ იდგა გაბინიუსი.

ამ შემთხვევამ, რომლის მსგავსიც აქამდე არასოდეს მომხდარა, კლემენტა აღაშფოთდა, რომ რომაელ ხალხში თანდათან უფრო მეტ მიმდევრებს იძენდა ეგვიპტური რწმენა. ამ პროცესის ჩახახვის შემჩნევა ყურადღებიან დამკვირვებელს აღრეც, ოცი წლის უკან, შეეძლო, რომის ზარაფხანებში მოჭრილ მონეტებზე ოფიციალურად მიღებული მთავარი მონეტების გვერდით საკმაოდ ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე მომცრო, იდუმალი სიმბოლოებიც: ლოტოსის ყვავილი, ღრიანკალი, ნიანგი, პირამიდა. ბევრი ამგვარი სიმბოლოებიანი მონეტა გამოჩნდა განსაკუთრებით სულას დიქტატურის პერიოდში. მაშინ შეიძლებოდა მონეტებზე გამოსახულიყო: სისტრუმი, ანუ ისიდას წმინდა მუსიკალური ინსტრუმენტი; სისტრუმი და ლოტოსის ყვავილი; ნიანგი ანდა ბეჭეძოტი და სხვა გამოსახულებები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეგვიპტესთან.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებდა, რომ სახელმწიფო ზარაფხანებში, სადაც ათასობით ადამიანი, მოხები და თავისუფლები მუშაობდნენ, იყვნენ აგრეთვე მიმდევრები ეგვიპტური ღმერთქალისა და ცდილობდნენ მისი კულტის გავრცელებას. ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა ისიდას სხვა ადგილებშიც — კერძო სახლების მოსამსახურენი, მეღუქნეები, მწერლები, ხელოსნები.

ისიდა ნილოსის ნაპირებიდან იტალიაში „შევიდა“ ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ინტენსიური პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობის შედეგად. ეჭვი არაა, მისი გზა საბერძნეთსა და სამხრეთ იტალიაზე გადიოდა. ისიდას მიმართ პატივისცემა მოსახლეობის დაბალ ფენებში განსაკუთრებით ორი მიზეზით აიხსნება: უპირველეს ყოვლისა, ადამიანის და განსაკუთრებით ქალების წარმოსახვაზე ძლიერ მოქმედებდა რიტუალების ეგზოტიკურობა. მეორეც, ცერემონიებსა და მისტერიებში მონაწილეობა ადამიანს არწმუნებდა, რომ მიაღწევდა სამუდამო ცხოვრებას საიქიოში, სადაც მეფობს ოსირისი, ავაზაკურად მოკლული სეთხის მიერ, შემდეგ ისიდას მიერ ნაპოვნი და დატირებული. აღდგომილნი ბატონობენ მკვდრებზე.

თუ რას წარმოადგენდა ისიდა მორწმუნეთათვის, რა დამსახურება და ძალა მიეწერებოდა მას, ყველაზე უკეთ გვაძნობს ბერძნული ჰიმნები, რომლებიც საკმარისადაა შემონახული სხვადასხვა ქვეყანაში: ესენი, როგორც წესი, ეგვიპტური შედეგების პერიფრაზს წარმოადგენდნენ. აი, შინაარსი ჰიმნისა, რომელიც წარწერილი იყო ფაიუმის ოაზისში, ერთ-ერთი ტაძრის კარიბჭეზე; ეს ჰიმნი პტოლომეუს ფლეიტისტის ან კლეოპატრას დროს მიეწერება:

„სიმდიდრის მომნიჭებელი, ღმერთთა დედოფალი, ყოვლისშემძლე, ბედნიერო ბრწყინვალე სახელის მქონე, შემქმნელი ყოვლისა, რაც კი არსებობს, — ისიდაე! არაფერს ივიწყებ, რათა ადამიანებს მიაწილო მშვიდობა და ცხოვრება. შენ დაადგინე კანონები, რათა ბატონობდეს წესრიგი, გამოივონე ხელოვნება, რათა ცხოვრება გამშვენებულყო. შენ მიეც ათასგვარი ფერი მრავალგვარ ნაყოფს. შენის წყალობით არსებობს ცა და დედამიწა, ნიაკის ქროლა და ტკბილი მზის სხივები. ეს შენი ძალმოსილებითაა, რომ შემოდგომაზე ნილოსი ნაპირებიდან გადმოდის და მისი შლამი ეფინება მთელს ქვეყანას, რათა სიუხვე ღუდდეს. რამდენი ხალხიც ცხოვრობს ამ თვალუწვდენელ დედამიწაზე — ელადელები,

თრაკიელები, ბარბაროსები, — ყველანი აღიღებენ შენს მშვენიერ, ღირსეულ სახელს, თუმცა საკუთარ, მშობლიურ ენაზე ყველა მათგანი შენ სხვადასხვა სახელს გიწოდებს:

სირიელები და ლიდიელები ასტარტეს, არტემიდეს, ანაისს, ლეტოს ვიწოდებენ; თრაკიელები ღმერთების დედად ვიხმობენ. ელადელები გიწოდებენ პერასა და აფროდიტეს, კეთილ ჰესტიას და რე-ს, ასევე ღმერთს, რომელიც კიროვორც ერთადერთს ისე ვიხმობენ, რადგან, ყველა ეს ღმერთი ქვეყანას დასხვაგვარად ხმობილი, შენა ხარ, — ერთადერთო!

დედოფალო, განუწყვეტლივ ხოტბას აღეკვლენ შენი ძალმოსილების მიმართ, უკვდავო მხსნელო, ბევრი სახელის მქონე, კეთილშობილო ისიდავ, ომებისაგან რომ იფარავ ქალაქებსა და მის მკვიდრთ, იფარავ მათ, ვინც ციხეებში სიკვდილს ელის; ვისაც არ სძინავს გაუსაძლისი ტკივილებისგან; ვინც ზღვაზე ცურავს საშინელ ქარიშხალში, როდესაც იღუპება ხალხი და იძირება ხომალდები, — ისინი შენში ეძიებენ ხსნას, შენ გევედრებიან, რათა მეოხ ექმნე. შეისმინე ჩემი ლოცვა, დიდებული სახელის მქონე დედოფალო, აღმოძინე სიკეთე, გამათავისუფლე ყოველგვარი საზრუნავისაგან!“

მეორე ჰიმნი უფრო შემდგომი ხანისაა და კუნძულ იოსზეა ჩაწერილი. ეს ერთგვარი მონოტონური ლიტანიაა:

„ისიდა ვარ, ყოველი მიწის დედოფალი. დაუდგინე ადამიანებს წესები და კანონები, რომელთა შეცვლაც არავის ხელეწიფება. ვარ კრონოსის უფროსი ქალიშვილი. ვარ ცოლი და დაი მეფე ოსირისისა. ვარსკვლავად ვბრწყინავ ღვთაებრივი ქოფაკის თანავარსკვლავედში. ჩემთვის აიგო ქალაქი ბუბასტიისი. მე განვატალკვე ცა დედამიწისაგან. დაუდგინე წესი ვარსკვლავებს, მზესა და მთვარეს. გამოვიგონე ნაოსნობა, ძალა მივეცი სამართალს; მე შევაკავშირე კაცი და ქალი, დავაწესე, რომ ქალს ცხრა თვეს უნდა ეტარებინა ნაყოფი თვისი, ხოლო შვილებს მშობლები უნდა ჰყვარებოდათ. მე ვსჯი მათ, ვინც პატივს არ სცემს მამასა და დედას. ჩემს ძმასთან ერთად მოვსპე კაციჭამიობა. ვაზიარე ადამიანები მისტერიას. ვასწავლე ღმერთთა გამოსახულებების შესრულება. მე დავადგინე ღვთის საყდრები, მოვსპე ტირანები. ჩემით დაედო სათავე კაცის ქალისადმი სიყვარულს. ჩემი შემწეობით სამართალი ოქროსა და ვერცხლზე უფრო ძლიერია და სიმართლემ შეიძინა თავისი ხიბლი. მე გამოვიგონე საქორწინო კავშირები“.

ეჭვს გარეშეა, რომ რომში ღვთისმსახურებისას მსგავსსავე ჰიმნებსა და ლიტანიებს წარმოსთქვამდნენ.

ტრადიციის თანახმად, ისიდას მიმდევრებს შორის ტიბროსის ნაპირებზე საუკუნეების მანძილზე რომაა შემონახული, პირველი რელიგიური თემი, რომელიც ამ ქალღმერთს სცემდა თაყვანს, რომის იმპერიის დედაქალაქში სულას დროს დაარსდა. შესაძლოა რაღაც როლი ამაში პტოლომეუს XI ითამაშა. როგორც ვვახსოვს, ეს ახალგაზრდა უფლისწული საკმაოდ ხანს იმყოფებოდა რომში და 80 წელს ალექსანდრიას სულას გადაწყვეტილებით გაემგზავრა. იქ დაქორწინდა ბერენიკაზე, რომელიც ცხრამეტი დღის შემდეგ მოაკვდინა. სულ მალე თავად პტოლომეუსიც დაიღუპა.

რომის ხელისუფლება უაღრესად მტრულად იყო განწყობილი ამ კულტისადმი, რომელიც უმთავრესად მონებსა და უბრალო ხალხს შორის პოპულარობდა მიმდევრებს. ამიტომ გადაწყვიტეს ანგარიშის გასწორება ისიდასთან, რისთვისაც დაანგრიეს მისი საკურთხეველი. მაგრამ შემდგომი წლების მოვლენებმა აჩვენა, ამ ღონისძიებამ შედეგი რომ არ გამოიღო.

53 წელს სენატმა უკვე მერამდენედ დაადგინა რომში არა მხოლოდ ისიდას

საყდრების დანგრევა, არამედ მისი კერძო სამლოცველოების აკრძალვა. სამი წლის შემდეგ, 50 წელს კი პრაქტიკულად შეუდგნენ ისიდას და სერაპიის საყდრების განადგურებას. მაგრამ არც ერთ ხელოსანს არ უნდოდა ამ უღმრთო საქმის აღსრულება, მაშინ თავად კონსულმა, ემილიუს პაულუსმა სტატა ნაჯახს ხელი და პირველმა დაპყრა საყდრის კედელს.

არც ამან გამოიღო შედეგი. დანგრეული საკულტო ნაგებობების აღდგენა დაუყოვნებლივ აგებდნენ ახალს. ისიდა კონსულებზე ძლიერ აღმოჩნდა და როგორც ვნახავთ, შურიც კი იძია მათზე.

58 წელი, რომელიც რომში ეგვიპტური ღმერთის მიმდევართა ასეთი საშინელი გამოსვლებით დაიწყო, უჩვეულო მოვლენებით უხვი აღმოჩნდა ეგვიპტეშიც.

კვიპროსის საკითხი

59 წლის ბოლოს პტოლომეუს XII ბედმა გაუღიმა, რომმა იგი ეგვიპტის მეფედ აღიარა. მაგრამ სულ რაღაც რამდენიმე თვის შემდეგ, 58 წლის ზაფხულში მან თავისი სამეფო დაკარგა და უმიწაწყლო მეფედ გადაიქცა. რანაირად უნდა მომხდარიყო ყოველივე ეს?

ოც წელზე მეტი ხნის მეფობის მანძილზე პოლიტიკაში პტოლომეუსი იმ რწმენით ხელმძღვანელობდა, რომ მისი ბედი რომაელთა კეთილგანწყობილებაზე ეკიდა და, რათა ეშოვა საჭირო სახსრები, რაც რომაელ დიდებულთა სიმპათიებს მოუპოვებდა, იგი თანდათან უფრო აძლიერებდა საკუთარ ქვეშევდრომთა ექსპლუატაციას. მხოლოდ ქურუმებისა და საყდრების მიმართ იყო იგი კეთილად განწყობილი და გარკვეულ პრივილეგიებსაც ანიჭებდა მათ, რათა მათი საშუალებით ზეგაეღუნა მოეხდინა ეგვიპტის მოსახლეობაზე. მეორე მხრივ, მეფის ისეთი ღონისძიებები, როგორც იყო იუდეის დაპყრობაში რომაელთათვის დახმარების აღმოჩენა, როგორც ბერძნებს, ასევე ებრაელებს და მკვიდრ ეგვიპტელებსაც უღირსად მიაჩნდათ. ხალხში ჯერაც ცოცხალი იყო იმის შეგნება, რომ ნილოსისპირა ქვეყანა უდიდეს სახელმწიფოს წარმოადგენდა და უფლება ჰქონდა არა მხოლოდ საკუთარ დამოუკიდებლობაზე, არამედ იმ მომიჯნავე მიწების ფლობაზეც, რომლებიც ოდესღაც ფარაონებს და არცთუ ისე დიდი ხნის უკან პირველ პტოლომეუსებს ეპყრათ.

მღვდმარეობა განსაკუთრებით მაშინ გამწვავდა, როდესაც 58 წლის გაზაფხულზე ალექსანდრიელებმა კვიპროსის სამეფოს ხვედრის შესახებ შეიტყვეს. ეს კუნძული ყოველთვის პტოლომეუსების მონარქიის ნაწილი იყო. როდესაც 80 წელს ეგვიპტის ტახტზე პტოლომეუს XI დაჯდა, კვიპროსი მის უმცროს ძმას მისცეს. ცხადია, მასაც პტოლომეუსი ერქვა. ოღონდ, პტოლომეუს XI ფატალური ანდერძი არა მხოლოდ ეგვიპტეს, არამედ კვიპროსსაც ეხებოდა. როდესაც ოცი წლის მანძილზე ფლევიტიუსი ცდილობდა, რომში მეფედ ეცნოთ, თავისი ძმის სასარგებლოდ ერთი სიტყვაც არ დასცდენია. ცხადია, იგი ეკონისტური ზრახვებით ხელმძღვანელობდა. არ სურდა, საკუთარი სიტუაცია ამ ამბითაც დაემძიმებინა. ასევე 59 წელს, როდესაც მან ცეზარის შემწეობით მიაღწია იმას, რომ რომმა აღიარა და რომაელი ხალხის მოკავშირისა და მეგობრის ტიტული მიაანიჭეს, იგი სრულიადაც არ ცდილა, ტრაქტატში კვიპროსის საკითხი ერთი სიტყვით მაინც ყოფილიყო მოხსენიებული. ძმა საკუთარ ბედს მიაჩლო.

ამასობაში, 58 წლის დამდეგს სახალხო ტრიბუნმა კლოდიუსმა შეძლო სენატისათვის მიუღებინებინა საკუთარი კანონპროექტი, რის მიხედვითაც კვიპრო-

ნი რომის ახალ პროვინციად ცხადდებოდა. კუნძულის მეფის ქონება იმპერიის ხაზინას უნდა გადასცემოდა უმიწო გლეხებისათვის მიწის შესაძენად.

ცხადია, კანონპროექტი ტრიუმვირატის და, განსაკუთრებით, ცეზარის უშუალო მონაწილეობით იყო მომზადებული. მას სურდა, ამ ვზით ხალხის მუხსიერებიდან ამოეშალა ის ფაქტი, რომ წინა წელს თავისთავად ძველ პროკრატას უღალატა და იმას მიაღწია, რომ ეცნოთ პტოლომეუსი. კლოდიუსსაც თავისი ანგარიშები ჰქონდა. ცხრა წლის წინათ, 67 წელს, აღმოსავლეთში იგი მეკობრეებს ჩაუვარდათ, რომელთაც განთავისუფლების საზღაურად დიდი თანხა მოითხოვეს. დანძარებისათვის კლოდიუსმა კვიპროსის მეფეს მიმართა. მან კლოდიუსს ორი ტალანტი გაუგზავნა. პომპეუს დიდის ფლოტი რომ არ მიხმარებოდა, კლოდიუსი მეკობრეების ხელით დაიღუპებოდა.

ოპტიმატების პარტიამ კლოდიუსის კანონპროექტი მკვეთრად გააკრიტიკა, რასაც იმით ასაბუთებდნენ, რომ კვიპროსის მეფე მსგავს მოპყრობას არ იმსახურებდა, რადგან იგი, ისევე როგორც მისი წინაპრები, რომის ერთგული მოკავშირე იყო. და აი, ახლა, თუმცა მას არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა, მაინც ყველაფერს კარგავდა. ისე გამოიყვანეს, თითქოს სამეფო მოწვეულთან, კვერთხთან და დიადემასთან ერთად გასაყიდი საქონელი ყოფილიყო.

მაგრამ ოპტიმატების პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია. პასუხად კლოდიუსის მიმდევრები იმას ამტკიცებდნენ, რომ მეფის მეკობრობა ყალბი იყო და იგი არსებითად მხარს უჭერდა რომის მტრებსა და მეკობრეებს. ეს ისეთი ბრალდება იყო, მისი არც დასაბუთება შეიძლებოდა და არც უარყოფა. გაბოროტებულმა კლოდიუსმა იმასაც კი მიაღწია, რომ კვიპროსის შესახებ მიღებული დადგენილების სისრულეში მოყვანა სენატმა ოპტიმატების პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, კუნძულის დაპყრობის გეგმის გაშმაგებულ მოწინააღმდეგეს — მარკუს კატონს დაავალა.

კატონი დიდხანს უარყოფდა ამ წინადადებას, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა სენატის გადაწყვეტილებას დაჰყოლოდა. ერთი შეხედვით ასეთი ღირსეული მისიის მისთვის მიხდობა შემდეგნაირად იყო არგუმენტირებული:

— მხოლოდ კატონს, ამ უაღრესად პატიოსან ადამიანს, შეუძლია გარანტიის მოცემა, რომ კვიპროსის ხაზინა რომში ხელუხლებელი ჩამოვა!

ასეთი შეფასება თუ ერთი მხრივ ბრწყინვალედ ახასიათებდა კატონს, მეორე მხრივ, ტალახში სვრიდა ყველა დანარჩენ პოლიტიკოსს. არადა, კორუპცია და ცინიზმი იმ დონემდე ბობოქრობდა რომში, რომ ამგვარი შეფასება სრულიად სერიოზულად იქნა მიღებული.

58 წლის გაზაფხულზე რომიდან კატონის წასვლა ძლიერი დარტყმა იყო ოპტიმატებისათვის. იგი მით უფრო მტკივნეული გამოდგა, რომ კატონის გამგზავრებამდე მცირე ხნით ადრე — 20 მარტს — დედაქალაქს დაემშვიდობა მეორე ცნობილი სენატორი — ციცერონი. ამჯერად იგი ოფიციალური მისიით არ წასვლა დედაქალაქიდან. ციცერონი გაიქცა რომიდან, რადგან მას ელოდა სასიკვდილო განაჩენი. ბრალი ამაში ისევ კლოდიუსს მიუძღოდა. ამ ტრიბუნმა დაადგინა, რომ „ახლოს არ გაეკარებინა წყლისა და ცეცხლისათვის“ და მაშასადამე, საზოგადოებიდან მოეკვეთათ ყოველი, ვინც სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე სიკვდილს მიუსჯიდა რომის მოქალაქეს. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ეს კანონი, უპირველეს ყოვლისა, ციცერონის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელმაც 63 წელს სენატი კატილინას მიმდევრების სიკვდილით დასჯაზე დაიყოლია. რა ძალიან უნდა ეჩანა ბრწყინვალე ტრიბუნს, რომ არ მიიღო ის ელჩობა, რომელსაც რამდენიმე თვის უკან სთავაზობდა ცეზარი.

მარტის ბოლოს ცეზარმაც მიატოვა იტალია. იგი ხუთი წლის მანძილზე გამგებლად უნდა ყოფილიყო ორ პროვინციაში, რომლებიც დღევანდელი ჩრდილოეთ იტალიისა და სამხრეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარეობდნენ. შემდეგ მას განზრახული ჰქონდა, დაეპყრო მთელი ალპებს იქითა იტალია ატლანტიკის ოკეანესა და რეინს შორის მდებარე ქვეყნები. ამ გეგმების შესრულებაში დიდი როლი ეკისრებოდა ეკვიპტის მეფის ფულეებს. ისინი ცხნაძის სამხედრო დაშქრობის დაფინანსებაში უნდა დახმარებოდნენ. იმდროინდელ ხაზმაროში ევლაფერი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, ისე შორი-შორ მცხოვრები ხალხის ბუდიც კი, როგორც იყვნენ ეკვიპტელები და გალები.

რაც შეეხება კატონს, იგი პირდაპირ კვიპროსში არ წახულა. კუნძულ როდოსზე შეჩერდა და იქიდან აწარმოებდა მოლაპარაკებას კვიპროსის უბედურ მეფესთან. კატონმა, უპირველეს ყოვლისა, შეუთვალა მეფეს, რომ მას რომაელთა წინააღმდეგ შეიარაღებული ჯარი არ გამოეყვანა. შემონათვალს უფრო გაფრთხილების ხასიათი ჰქონდა, რადგან კატონს თავის განკარგულებაში ჯარი არ ჰყავდა. მას მხოლოდ მოხელეები გამოუყვეს დავალების შესასრულებლად. მათე დროს რომის სრულყოფილებიანმა წარმომადგენელმა ალუთქვა პტოლომეუსს, რომ თუ ევლაფერს ექსცესების თვინიერ შეასრულებდა, კვიპროსის ქალაქ პაფოსში აფროდიტეს საყდრის ქურუმად დანიშნავდა. დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა მეფემ, რა თქმა უნდა, უარყო ეს საეჭვო წინადადება. თავდაპირველად განზრახული ჰქონდა ხელში არ ჩაეგდო რომაელებისათვის ქონება, სარომლისო მადაც გახსნოდათ. მთელი თავისი ავლა-დიდების გემზე გადატანა და წყალში ჩაძირვაც კი ჰქონდა გადაწყვეტილი. ბოლოს უარი თქვა ამ განზრახვაზე, რადგან შეეშინდა, გააუბუღი რომაელები მთელ დანაკარგს კუნძულელების ხარჯზე აინაზღაურებენ, თვითონ მათ კი ვაჭრებს შიპყიდიან მონებადო.

მეფეს პროტესტის მხოლოდ ერთი გზა დაარჩენოდა: სიკვდილი. მან თავი მოიწამლა. ასე დაიღუპა კვიპროსის უკანასკნელი მეფე იმ დინასტიიდან, რომელიც კუნძულზე ორას წელზე მეტი ხნის მანძილზე ბატონობდა.

ამ ამბებიდან მცირე ხნის შემდეგ, 58 წლის ზაფხულში, როდოსზე, სადაც კატონს ჯერ არ მოუშალა თავისი შტაბ-ბინა, ალექსანდრიული ხომალდი მიცურდა. მის გემბანზე იმყოფებოდა პტოლომეუს ფლეიტისტი, ღვიძლი ძმა ასე ტრაგიკულად დაღუპული მეფისა; მაგრამ იგი იქ იმისათვის კი არ მისულა, რომ თუნდაც ასე დაგვიანებით, ეშუამდგომლა ძმისთვის.

პტოლომეუს XII იძულებული შეიქნა თავისი ქვეყნიდან გაქცეულიყო, რადგან ეკვიპტელები კვიპროსის ამბების შეტყობამ ძალზე ააღელვა და მეფის საკუთარ ქვეყანაში დარჩენა ფრიად საშიში იყო.

კატონის რჩევა

მეფემ, კუნძულზე გადავიდა თუ არა, კატონთან კაცი ვაგზავნა რჩევით, რომ კვიპროსის გამგებელს მასთან მისვლა ენებებინა. ოდითგანვე დაღვენილი წესჩვეულებით ხომ ასე იყო მეფე. უმიწაწყლოც კი, მაინც მეფედ ითვლებოდა, ხოლო გამგებელი — მხოლოდ მოხელე იყო, თანაც ამ შემთხვევაში არცთუ ისე მაღალი რანგისა. მაგრამ კატონმა სტუმრობაზე უარი განაცხადა, იმ მიზეზით, რომ ზუსტად ახლა მიეღო კუჭის გამოსარეცხი საშუალებები. თუ მეფეს რაიმე ს შერი საქმე აქვს, სიამოვნებით ეუმასპინძლები, — დააბარა წარუზავნილს.

პტოლომეუსი იძულებული შეიქნა თავად ხლებოდა გამგებელს შტაბ-ბინაში,

სადაც მორიგი დამცირება ელოდა: კატონი ლამის ქოთნიდანაც კი არ ამდგარა მეფესთან შესაგებებლად და, როდესაც პტოლომეუსი ოთახის ზღურბლზე გამოჩნდა, ისე მხიარულად მიესალმა მას, თითქოს ძველისძველი მეგობრები ყოფილიყვნენ; ამან ძალზე აღაშფოთა სტუმარი. რა უზრდელო ვიღაც ყოფილა ეს რომაელი და თან რა ქედმაღლურად უჭირავს თავიო!

როდესაც პოლიტიკაზე დაიწყეს ლაპარაკი, პტოლომეუსი არ მალავდა თავის სამომავლო ზრახვებს, სამაგიეროდ ძალზე ბუნდოვნად ლაპარაკობდა იმაზე, თუ რამ აიძულა მიეტოვებინა დედაქალაქი. ალექსანდრიაში ხომ მეფის წინააღმდეგ აშკარა ამბოხებას არა ჰქონია ადგილი. უბრალოდ, მღელვარებამ იფეთქა, კვიპროსის დაპყრობის გამო მოსახლეობამ მოულოდნელი პროტესტი განაცხადა. მათ მიაჩნდათ, რომ მეფეს უკან უნდა დაებრუნებინა კუნძული, როგორც ეგვიპტის განუყრელი და უძველესი შემადგენელი ნაწილი. ხოლო, თუ რომის იმპერია არ სცნობდა ეგვიპტის ამ ისტორიულ უფლებას, ასეთ შემთხვევაში ალექსანდრიელები ერთი წლის უკან დადებული სამეგობრო ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვდნენ.

ამ ამბებს მეფე მართლაც დიდი მღელვარებით ყვებოდა. ეს როგორ? ეგვიპტის ესოდენ დასუსტებულ სახელმწიფოს განა შეუძლია თვითნებურად ჩაშალოს მეგობრობის ხელშეკრულება? რა უტიფრობაა, რა უაზრობა! ნუთუ ძნელია იმის წარმოდგენა, როგორი იქნებოდა ამაზე მეგობარი სახელმწიფოს რეაქცია. მაშინ ხომ მეფეც თავისი ძმის ბედს გაიზიარებდა. იგი, პტოლომეუსი, არასოდეს არ დაუშვებს ამას! ოცი წლის მანძილზე ცდილობდა ამ ხელშეკრულების დადებას და ახლა გაანადგუროს მთელი თავისი ცხოვრების საქმე? ისიც ბრბოსა და საიდუმლო ორგანიზაციის დაწოლით? არავითარ შემთხვევაში! აი, ამიტომ დატოვა თავისი დედაქალაქი, თუმცა მის სიცოცხლეს უშუალოდ არავითარი საფრთხე არ დამუქრებია; მან ნამდვილად უნდა აჩვენოს ბრბოს, თუ ვინაა სინამდვილეში ქვეყნის მმართველი. მოკლედ, დაბრუნდება ალექსანდრიაში, ოღონდ რომაელთა თანხლებით. დაე ყველამ საკუთარი თვალთ დაინახოს, თუ ვინ არის მისი ხელისუფლების ჭეშმარიტი გარანტი!

ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ამ არეულ-დარეული აზრების მიღმა ჩვეულებრივი სიმხდალე იმალებოდა. ფლეიტისტს კარგად ახსოვდა თავისი წინამორბედი მეფის ბედი, ალექსანდრიელებმა რომ აკუნეს. ამიტომ, როგორც კი მღელვარების პირველი ნიშნები შენიშნა, მყისვე თავს უშველა.

მეფისათვის მოულოდნელად კატონმა მოქმედება არ მოუწონა. კვიპროსის გამგებულმა მეფეს დაახლოებით შემდეგი უთხრა:

— რა უაზრობაა მშვიდი ცხოვრების ასე ადვილად მიტოვება! უტყობა, მეფე ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რა ელის მას ახლა, რამდენი მონდომება, ენერჯის დახარჯვა და მცდელობა დასჭირდება. თუ მას სურს, ნამდვილად დაეხმაროს რომი, უნდა მოიპოვოს გავლენიანი ხალხის კეთილგანწყობილება. მაგრამ მთელი ეგვიპტეც რომ გაყიდო, მაინც არ გეყოფა ფული რომაელ დიდებულთა სიხარბის დასაკმაყოფილებლად. ამიტომ სჯობს, უკუაგდო აზრი რომში გამგზავრებაზე. გონივრული, რისი ვაკეთებაც ახლა შეიძლება, ესაა უკანვე ალექსანდრიაში გაბრუნება და ქვეშევრდომებთან შეთანხმების მიღწევა. კატონი მზად იყო ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობა გაეწია.

მეფეს თავი ისე ეჭირა, თითქოს მოსწონდა კატონის რჩევა. მაგრამ კატონთან გამომშვიდობებისთანავე, ჩანს, მეგობრების გავლენით, აზრი შეიცვალა. როდოსიდან კი გაემგზავრა, მაგრამ არა — ალექსანდრიისაკენ, მისმა ხომალდმა გეზი დასავლეთისაკენ, იტალიისაკენ აიღო.

სტუარდ კოპპერსონი

რომში ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ფლეიტისტს აწყობდა. უმიწაწყო მეფეს მფარველობას არ აკლებდა თავად პომპეუს დიდი. მან მეფეს თავისი აგარაკიც კი დაუთმო — ალბანიის ტბასთან, ქალაქიდან ოდნავ მოშორებით. მალე გამოიძებნენ ბანკირებიც, რომელთაც სიამოვნებით გაუხსნეს კრედიტი. ფული კი მეფეს ძალზე სჭირდებოდა, როგორც კარისკაცების შესანახად, ასევე სენატორთა უმრავლესობის მოსახყიდად. აუცილებელი გახდა, აგრეთვე, მრავალი გავლენიანი რომაელის გადაბირებაც. ასეთი პირობები კი, როცა მეფეს აღვილად ეძლეოდა განუსაზღვრელი რაოდენობის სესხი, შეიძლებოდა იმედისმომცემ ამბად ჩათვლილიყო. თუ არა იმის მოლოდინი, რომ სენატი დათანხმდებოდა მეფისათვის დახმარების გაწევას, საეჭვოა რომელიმე ბანკირს გაერისკა მისთვის სესხად ერთი სესტერცის მიცემაც კი. და რაც უფრო მეტი ფინანსისტი აბანდებდა კაპიტალს პტოლომეუსის საქმეში, მით უფრო ძლიერდებოდა მისი გავლენა ცალკეულ სენატორებზე. ყველაზე მეტი თანხა ახლაც რაბირიუს პოსტუმუსმა ვაიღო, რომელმაც მეფეს ადრეც აღმოუჩინა ფინანსური დახმარება.

მეფე ნდობით შეპყრებდა მოძავალს და თუკი ახსოვდა კატონის რჩევა, ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მასთან შეხვედრისას ღამის ქოსანზე წამომჯდარი ცნობილი ბრძენი ზურგს უკან გაეჭილიკებინა. მაგრამ კარვად რომ სცოდნოდა რომში აღადმიანთა ურთიერთობები, არ შეიძლებოდა მისი არსება მოუსვენრობას არ შეეპყრო.

ჯერ ერთი, მისი მასპინძელი პომპეუსი მაშინ უკვე ყოვლისშემძლე აღარ იყო რომში. კრასუსთან და ცეზართან მისი შეთანხმება უკვე ჩაშლილი იყო. პომპეუსი გაშმაგებული თავდასხმების საგანი გახდა ტრიბუნ კლოდიუსის მხრიდანაც და ისე ეშინოდა თავისი მტრის ბანდისა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში სახლიდან აღარ გამოდიოდა. ცხადია, კლოდიუსი კრასუსისა ან ცეზარის, ან იქნებ, ორივეს წაქეზებით და მხარდაჭერით მოქმედებდა. სამაგიეროდ, საქმის ასეთი შემობრუნება დიდად ხელსაყრელი გამოდგა ციცერონისთვის. 57 წელს ხალხთა საკრებულომ მას სამშობლოში დაბრუნების ნება დართო. ეს მოხდა პომპეუსისა და ასევე ამ წლის კონსულის ლენტულუსის ინიციატივით, რომელსაც ეწადა ამ გზით კლოდიუსზე ზემოქმედება მოეხდინა.

ცხადია, ასეთ სიტუაციაში პომპეუსი სიამოვნებით წავიღოდა დედაქალაქიდან რაიმე შესაფერისი მისიის განსახორციელებლად, რათა ემრავლებინა თავისი ქონება და კვლავ მოეხვეჭა დიდება. ასეთ ასპარეზად კი ეგვიპტე ესახებოდა. სამხედრო თვალსაზრისით მეფის ალექსანდრიაში შეყვანა სიმწელეს არ წარმოადგენდა. ისეთი ხმებიც კი დადიოდა, რომ პომპეუსის ნდობით აღჭურვილმა პირებმა, მისმა აგენტებმა ალექსანდრიაში, დაითანხმეს მეფე ეგვიპტიდან გაქცეულიყო, რათა სარდალი დარწმუნებულიყო, რომ სახელდობრ მას დაავალდებდნენ მეფის ხელახლა ტახტზე დასმას.

ოღონდ პომპეუსი, მეტისმეტად ამაყი და თავის თავში დარწმუნებული, ამკარად არ ცდილობდა ეგვიპტის მისია მისთვის მიენდოთ. იგი იმედოვნებდა, რომ სენატი თავად მიმართავდა თხოვნით, რათა მას აეღო თავის თავზე ეს მისია ამასობაში კი გამოირკვა, რომ ალექსანდრია ბევრს ხიბლივდა. ერთ-ერთი ასეთი სახლო პიროვნება აღმოჩნდა 57 წელს კონსულად მყოფი ლენტულუსი. იმავე წლის ზაფხულში სწორედ მას დაავალა სენატმა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც სიცოცხლის გამგებლობას მიიღებდა, დახმარება აღმოეჩინა პტოლომეუსისათვის. თუმცა პომპეუსი გამოვიდა ლენტულუსისათვის ამ დაავალების მი-

ცემაზე მხარის დამჭერის როლში, მაგრამ კულისებს მიღმა თავისი მეგობრების მეოხებით ცდილობდა ამ დადგენილების გაბათილებას

რომში შექმნილი ისედაც მძიმე სიტუაცია ერთმა მოუღვინამ კიდევ უფრო გაართულა: იტალიის ნაპირებს ალექსანდრიელი ელჩები მოადგინეს

ფილოსოფოს დიონ ალექსანდრიელის ეკვლავი

ეროვნული

ბიზუიციუსი

როდესაც პტოლომეუსმა ალექსანდრია დატოვა, მისი უფროსი შვილი, მეფის ასული ბერენიკა, დაახლოებით ოცი წლისა იქნებოდა, ხოლო კლეოპატრა ის-ის იყო თერთმეტისა გახდა: ის ხომ 69 წელს დაიბადა. პტოლომეუსის შესამეკალიშვილი, არსინოე, ჯერ კიდევ პატარა ბავშვი იყო. პტოლომეუსს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა. ცხადია, ორივე მამის სახელს ატარებდა. უფროსი დაიბადა 6 წელს, უმცროსი — 58 წელს.

მეფის მოულოდნელმა გაქრობამ დელაქალაქის მცხოვრებთა უაღრესი შეშფოთება გამოიწვია. კარგა ხანს არავინ იცოდა, რა შეემთხვა მეფეს ან რა პქონდა გულში განზრახული. ქვეყანაში არსებულმა საგანგაშო მდგომარეობამ ზოგიერთ რაიონში მღელვარებაც კი გამოიწვია. ქალაქ პერაკლეოპოლისის სიახლოვეს მოხელეების თავნებობითა და ყაჩაღთა მარცვა-გლეჯით გაწამებული გლეხები სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მიტოვებით იმუქრებოდნენ.

ბოლოს გამოაშკარავდა, რომ მეფე იტალიაში იყო. ცხადი გახდა მისი გეგმებიც: ფლუიტისტს სურდა სამშობლოში დაბრუნება რომაელთა დახმარებით, რათა ამიერიდან სახელმწიფოს მართვისას თავისი ხელქვეითებისათვის ანგარიში აღარ გაეწია. მაგრამ მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა გადაწყვიტეს მეფისათვის უკანდასახევი გზა მოეჭრათ. მონარქს, საერთოდ, ჩამოართვეს ტახტზე ასვლის უფლება და მეფის ასული ბერენიკა გაამეფეს.

ამის შემდეგ გადაწყვიტეს წინ აღდგომოდნენ პტოლომეუსის ღონისძიებებს რომში და იქაური პოლიტიკოსებისათვის თვალი აეხილათ ეგვიპტეში არსებულ სიტუაციაზე; რომში უნდა გაეგოთ, რომ მეფე ეზიზღებოდა ხალხს, რადგან იგი მკაცრ ექსპლუატაციას უწევდა და დაუნდობლად ჩაგრავდა მათ. ალექსანდრიელები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებდნენ სრულ ერთგულებას რომის რესპუბლიკის მიმართ, თუ იგი ეგვიპტის საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდა.

კატონმა პტოლომეუსი გააფრთხილა, რომ ძალზე უბრვეილოდ იქცეოდა, რადგან იმედს ამყარებდა რომაელებზე, რომელთა სიზარბის დაკმაყოფილებას ვერანაირი ხაზინა ვერ აუვიდოდა. მაგრამ რაღას იტყოდა იგი ახლა ალექსანდრიელთა გულუბრვეილობაზე! მათ ასზე მეტი ადამიანი, სხვადასხვა სოციალური ფენისა და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, ვაგზავნეს იტალიაში. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ფილოსოფოსი დიონი, ორატორული ხელოვნებითა და მტკიცე არგუმენტებით ცნობილი. ალექსანდრიელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ წარგზავნილები აღვილად შეძლებდნენ დაერწმუნებინათ რომის სენატი და ხალხი მათს სიმართლეში. ეს იმედები მოწმობდნენ იმპერიის დელაქალაქში გამეფებული ურთიერთობების დამღუპველ უცოდინრობას. ამიტომ ძალზე მძიმე იყო მისია, რომელიც ელჩობას ეკისრებოდა.

ალექსანდრიელთა მიერ ვაგზავნილმა ხომალდმა ლუზა პუტეოლის პორტში, ნეაპოლიტანიის სრუტეში ჩაუშვა, იმ პერიოდში იგი წარმოადგენდა უმთავრეს ჭიშკარს, რომლის საშუალებითაც რომი აღმოსავლეთის ქვეყნებს უკავშირდებოდა. როგორც კი ელჩები ნაპირზე გადავიდნენ, ისინი მეფისა და მისი კრედი-

ტორების მიერ დაქირავებულ ბანდიტებს ჩაუვარდნენ ხელში. მევალეები უადრესი გულითადობით თანამშრომლობდნენ პტოლომეუსთან, რადგან კარგად იცოდნენ, თუ მეფე ტახტს დაკარგავდა, თავიანთ ფულს უნდა გადამშვიდობებოდნენ. დაქირავებულმა მკვლელებმა ბევრი ალექსანდრიელი პორტში ბევრი რომისაკენ მიმავალ გზაზე და ზოგიც — შიგ რომში დახოცეს. ელჩების ნაწილი პანიკამ მოიცვა და სამშობლოში გაიქცა; ზოგიც მეფემ მოისყიდა. მკვლელებმა მნე-ლი დიონის დაყოლიება აღმოჩნდა, თუმცა იგი ფილოსოფოსი იყო, მაგრამ გამბედაობითა და მოხერხებულობით გამოირჩეოდა. ამ უნარის წყალობით შეძლო თავი აერიდებინა ყოველგვარი მახისათვის. მან ბინა დაიღო ორ ძმასთან, რომლებიც ალექსანდრიაში მისი მოწაფეები იყვნენ.

ელჩების თავსდამტყდარმა ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ დაშინებული ელჩები არც თავიანთი პოლიტიკური მისიის განხორციელებას შესდგომიან და არც იმის მოთხოვნა გაუბედავთ, ხელისუფალი მომხდარი ამბის გამოძიება დაენიშნათ. მხოლოდ ერთმა სახალხო ტრიბუნმა გამოიყენა თავის სიტყვაში ამ ბინძური დანაშაულის ფაქტი, რათა გამოეაშკარავებინა სენატის კორუმპირებულობა და უუნარობა. ჩვენების მისაცემად სასამართლოზე დიონი გამოიძახეს, მაგრამ ფილოსოფოსმა სასამართლოს დარბაზამდეც ვერ მიაღწია; იგი დაქირავებულმა მკვლელებმა გამოასალმეს სიცოცხლეს.

56 წელს დიონის მკვლელობასთან დაკავშირებით ორი სასამართლო პროცესი გაიმართა. დამცველის როლში ორივე პროცესზე ციკერონი გამოვიდა. პროცესები მსჯავრდადებულთა განთავისუფლებით დამთავრდა. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მეორე პროცესი, რომელსაც მდიდარი პოლიტიკური და რიტუალური ფონი ჰქონდა. მსჯავრდადებული ცელიუსი ოდესღაც კლოდიას, ცნობილი ტრიბუნის, კლოდიუსის დის მიჯნურთა წრეს ეკუთვნოდა. იმ ტრიბუნისა, 58 წელს თავისი რომ გაიტანა და იმას მიაღწია, ციკერონი რომიდან გაეძევებინათ. მისი და კლოდია კი პომპეუსს მოეკიდა მტრად.

სილამაზით და გარყვნილებით განთქმული ქალი მრავალი წლის მანძილზე გაგიჟებამდე უყვარდა პოეტ კატულუსს; უმშვენიერესი სატრფიალო ლექსები, საუკეთესონი მათ შორის, რომლებიც ოდესმე დაწერილა ლათინურ ენაზე, შთაგონებულია მხურვალე გრძნობით იმ ქალის მიმართ, საყოველთაოდ ცნობილი კახპა რომ იყო. როდესაც ცელიუსი ჩამოშორდა, კლოდიამ დაიფიცა შური ეძია მასზე; მის მიერ მოსყიდულმა მოქალაქეებმა ცილი დასწამეს ცელიუსს, თითქოს კლოდიას ესესხებინოს მნიშვნელოვანი თანხა, რითაც ცელიუსმა მოისყიდა მონა-მოსამსახურენი და ფილოსოფოსი მოაკვლევინაო. ცელიუსს კლოდიას მოწამვლაც ჰქონდა გადაწყვეტილიო. — ამტკიცებდნენ ცილისმწამებელნი.

ციკერონმა ადვილად დაასაბუთა, რომ ბრალდება შეთითხნილი იყო და არავითარ სარწმუნო წყაროებს არ ეყრდნობოდა. სასამართლოს წინაშე ორატორმა ხმამაღლა განაცხადა:

— ადამიანს, რომელმაც მართლა მოკლა დიონი, არათუ ეშინია თავისი დანაშაულის შედეგებისა, არამედ არც მალავს მას, — ვინაიდან იგი მეფეა, იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ხალხის აზრისათვის. სახელდობრ ამ მიზეზით, როდესაც სასამართლო მიმდინარეობდა, პტოლომეუსი უკვე აღარ იყო რომში. 57 წლის ბოლოს იგი მცირე აზიაში გაემგზავრა და ეფესოში, არტემიდეს ცნობილ ტაძარში დასახლდა. ეს მიდამოები უხსოვარი დროიდან სარგებლობდა თავის შეფარების პრივილეგიით. მეფე საკუთარ ქვეყანაში ასე უხვად რომ არიგებდა ამგვარ პრივილეგიებს, უცხო მხარეში იძულებული გახდა თავმდაბლად ესარგებლა ამით.

ედფუს ტაძარი

იმ პერიოდში, ანუ 57 წლის ბოლოს, ზემო ეგვიპტეში, ნილოსის ველზე, გრანდიოზული რელიგიური დღესასწაული გაიმართა. იქ, ედფუს მთაძოვებში, ჰორის ტაძრის მშენებლობა დამთავრდა. ისიდასა და ოსირისის ვაჟი, ფრთებგაშლილი შევარდენი, სეთხის დამსჯელი, საუკუნეების მანძილზე მუფის ხელისუფლებისა და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, ეგვიპტის ფარაონები ითვლებოდნენ ამ ღმერთის სულის ხორციელ გარსად და „ცოცხალ ჰორსად“ იწოდებოდნენ.

ედფუს ტაძრის მშენებლობა 237 წელს დაიწყო და თითქმის ორასი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. პტოლომეუსების დინასტიის ყოველი წარმომადგენელი ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ამ ტაძრის მშენებლობასა და გამშენიერებაში. შენობათა უდიდესი კომპლექსი ყოველწლიურად ფართოვდებოდა და უფრო და უფრო დიდებული ხდებოდა. იგი ერთიანი გეგმის მიხედვით შენდებოდა მკაცრად ტრადიციულ ეგვიპტურ სტილში. მისი მშენებლობის ისტორიაში გაუცნობიერებელი ძნელად თუ მიხვდება, რომ ტაძარი იმ ეპოქაში აიგო, როდესაც ეგვიპტეს უცხოელები მართავდნენ. აქ ყველაფერი ერთიან, არქაულ, ძველეგვიპტურ ხასიათსაა დამორჩილებული, ბერძნულის იოტის ოდენი გავლენაც კი არ იგრძნობა. ეგვიპტურია აქ არა მხოლოდ მთავარი არქიტექტურული ელემენტები: პილონები, მკვრივი კედლები, მძიმე სვეტები (კოლონები), არამედ — გამოყენებითი ხელოვნებაც: ბარელიეფი, ფერწერა, იეროგლიფური წარწერები. პარადოქსულია: ედფუს ტაძარი, ძველეგვიპტური სტილის ერთ-ერთი საუკეთესოდ შემონახული ძეგლი, უცხოელი დამპყრობლების მიერ არის აგებული.

ედფუსში სამუშაოთა დამთავრების სიმბოლო — ბრინჯაოთი მოჭედილი კედრის ხის კარიბჭის შებმის სადღესასწაულო ცერემონიალი ტარდებოდა; ტაძარი შემდგომი მრავალი წლის მანძილზე უფრო და უფრო მშენიერდებოდა, რათა უკვდავყოფილიყო ესოდენ ღირსსახსოვარი მოვლენა. ტაძრის შესასვლელში, პილონებზე ამოკვეთილი წარწერა იუწყებოდა (მისი წაკითხვა დღესაც შეიძლება), რომ ტაძრის მშენებლობა ხოაკის თვის პირველ დღეს (5 დეკემბერი) დამთავრდა, მაშასადამე, ახალი დიონისეს, პტოლომეუსის, და მისი დის, დედოფალ კლეოპატრა ტრიფენის გამეფებიდან მეოცე წელს.

მაგრამ მაშინ ეგვიპტეში ხომ ბერენიკა მეფობდა, პტოლომეუსი საერთოდ არ ყოფილა ეგვიპტეში; მაშ როგორ ავხსნათ ამგვარი დათარიღება? ამ კითხვაზე ძალზე ადვილია პასუხის გაცემა: მშენებლობის მეთვალყურე ქურუმებმა ყურადღება არ მიაქციეს იმას, რაც ალექსანდრიაში ხდებოდა. მათთვის კანონიერ მეფედ კვლავინდებურად პტოლომეუს XII რჩებოდა. თანაც ქურუმებს უშიშრად შეეძლოთ ამგვარი წარწერის გაკეთება: ეგვიპტური იეროგლიფების საიდუმლოს ხომ ბერძნების მხოლოდ მცირე ნაწილი ფლობდა; ამრიგად, მეფის პოლიტიკამ, მისმა განუწყვეტელმა მცდელობამ მოენადირებინა ქურუმების გული, შედეგი გამოიღო.

ბერენიკას ძმრები

ამასობაში ალექსანდრიელები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა განემტკიცებინათ თავიანთი მეფის ძალაუფლება. წეს-ჩვეულება ქალს უფლებას არ აძლევდა ემეფა მართლ. ამიტომ საჭირო იყო ბერენიკასათვის ისეთი საქმრო მოეძებნათ, რომელიც აუცილებლად უფლისწული იქნებოდა, ამასთან, მომავალი

ქმრის ძარღვებში პტოლომეუსების მცირედენ სისხლს მაინც უნდა ერქეფა. ამას ითხოვდა ერთგულების გრძნობა, რომელიც ალექსანდრიის მაღალ წრეებში ჯერაც შემორჩენილიყო.

თავდაპირველად სირიელ უფლისწულ ანტიოქს მიმართეს. ეს ის ანტიოქია, რომელიც 75 წელს თავის ძმასთან ერთად გაემგზავრა რომში, სადაც რომაელ დიდებულთა კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა ეგვიპტის ტახტის ხელში ჩასაგდებად, და სადაც ამაოდ დაშვრა. ამრიგად, ანტიოქი უმისწავლო უფლისწულად დარჩა, რადგან, როგორც გვახსოვს, სირია 64 წლიდან რომის პროვინციას წარმოადგენდა. ალექსანდრიელთა წინადადება უფლისწულს მშვენიერ პერსპექტივას უსახავდა და მანაც სიხარულით მიიღო იგი. ოღონდ ფარაონებისა და პტოლომეუსების ტახტზე ასვლა მას არ დასცალდა. შეუდგა თუ არა ეგვიპტეში გამგზავრების სამზადისს, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

ბერენიკას ქმრობის შემდეგი კანდიდატი ასევე სირიელი იყო, სელევკიდების გვარისა. ისიც სიამოვნებით დაქორწინდებოდა ბერენიკაზე, მაგრამ პროვინციის გამგებელმა არ დართო მას ნება, დაეტოვებინა ქვეყანა. ეს გამგებელი გახლდათ აულიუს გაბინიუსი, რომელმაც რომში 58 წელს კონსულად ყოფნისას ისიდას მიმდევრები ალაგმა.

ბოლოს გამოძებნეს მაყანი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ვითომდა ორივე გვარის, სელევკიდებისა და პტოლომეუსების საგვარეულო შტოს მიეკუთვნებოდა. როდესაც მომავალი მონარქი სასახლეში დასვეს, მას ბაზრის ვაჭრუკანასავით ეჭირა თავი. ამიტომაც შეარქვეს მეტსახელად „კიბიოსაკტესი“ ანუ „ღარიღებული თევზით მოვაჭრე“. აღშფოთებულმა ბერენიკამ რამდენიმე დღის შემდეგ დაახრჩობინა ქმარი.

55 წლის შემოდგომაზე, როგორც იქნა, გამოიძებნა შესაფერისი კანდიდატურა. ეს იყო უფლისწული არქელაოსი, რომლის მამასაც რამდენიმე წელს ემსახურა პონტოს მეფის, მითრიდატეს ლაშქარში და შემდეგ რომაელთა მხარეს გადასულიყო. პომპეუსის კეთილგანწყობილების წყალობით არქელაოსს მიეღო ღმერთების დიდი ღედის ტაძრის ქურუმთუხუცესის თანამდებობა მცირე აზიაში, მაგრამ რელიგიური ცერემონიალები და ტაძრის ქონებაზე მზრუნველობა ვერ აკმაყოფილებდა ენერგიულსა და პატივმოყვარე ახალგაზრდა უფლისწულს. ამიტომ, გაიგო თუ არა, რომ რომაელები პართელების წინააღმდეგ ლაშქრობას ამზადებდნენ, სირიის გამგებლის ლაშქარში გამოცხადდა. აქ იგი დაუმეგობრდა კავალერიის ახალგაზრდა ოფიცერს მარკუს ანტონიუსს და ამავე დროს კონტაქტი დაამყარა ეგვიპტის წარმოგზავნილებთანაც, რომლებიც თავიანთი დედოფლისათვის საქმროს დაეძებდნენ. მან დაარწმუნა ისინი, რომ თვით მეფე მითრიდატეს ვაჟი იყო, რომელიც თავის მხრივ ნათესავად ერგებოდა პტოლომეუსს; ამგვარად, არქელაოსი მოთხოვნებს აკმაყოფილებდა და ბერენიკას სასურველ საქმროდ გამოიყურებოდა.

ამასობაში გარიგების ამბავმა გაბინიუსის ყურამღე მიაღწია. მან არქელაოსს ციხეში ჩასვა, თუმცა მალევე გაათავისუფლა. რატომ? ნუთუ გამგებელი მოისყიდეს? ან, იქნებ, ორმაგ თამაშს ეწეოდა? იქნებ იმას ცდილობდა, რომ ეგვიპტეში სიტუაცია კიდევ უფრო დაემძიმებინა? არც ისაა გამორიცხული, რომ მაშინ არქელაოსს ანტონიუსიც გამოექომაგა. ყოველ შემთხვევაში, ყოფილმა ქურუმთუხუცესმა მიაღწია იმას, რომ დაქორწინდა ეგვიპტის დედოფალზე და მასთან ერთად მართავდა ქვეყანას.

პტოლომეუს ფლეიტისტიისათვის, რომელიც ამ დროს ეფესოშია, არტემიდეს ტაძარში იყო თავშეფარებული, ეს ამბავი დამამცირებელი გახლდათ. სიტუაციას

ისეთი პირი უჩანდა, რომ ეგვიპტეში ღმერთების დიდი ღედის ყოფილ ქურუმს უნდა ემეფა, ის კი, ეგვიპტის ყოფილი მეფე, არტემიდეს ქურუმთუხუცესად უნდა დარჩენილიყო, თანაც, თუ ამას რომაელები დაყაბულდებოდნენ.

სიბილუბის წიგნები



56 წლის იანვრის დასაწყისში რომი უჩვეულო და აკბედითი ამბის მოწმე შეიქნა. იაპვეს ქანდაკებას, თავის საკუთარ ტაძარში, რომის ახლოს, ალბანის მთაზე მეხი დაეცა. როგორც ყოველთვის, მსგავს შემთხვევებში, ახლაც ეს მოვლენა ღმერთის რისხვის გამოხატულებად იქნა მიჩნეული. თუ რაზე მრისხანებდა ღმერთი, ამის ასახსნელად სიბილუბის წიგნებს მიმართეს. ქურუმთა კოლეგიამ, რომელთაც ებარებოდათ ეს წიგნები, მათში ვითომ ასეთი პასუხი ამოიკითხა:

— „დახმარებისათვის მოსვლის შემთხვევაში ეგვიპტის მეფეს არაფერზე უთხრათ უარი. მას მხოლოდ სამხედრო დახმარებას ნუ გაუწევთ, რადგან ამით დიდ საფრთხეს დაიტეხთ თავს“.

ცხადი იყო, რომ სიბილუბის ბაგვებით გარკვეული პარტიული დაჯგუფება მეტყველებდა, რომელსაც არ სურდა რაიმე მნიშვნელოვანი აქციის წამოწყება ეგვიპტეში, რადგან იგი უდიდეს სარგებლობას მოუტანდა მის განმახორციელებელს. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ პარტიებს შორის ბრძოლაში წინასწარმეტყველება წარმოადგენდა ერთ-ერთ ხერხს, რომელსაც უძველესი ხანიდან იყენებდნენ სხვადასხვა სიტუაციის დროს. ოღონდ არავის ყოფნიდა საიმიხოდ გამბედაობა, რომ ეს სახალხოდ გამოეცხადებინა, რადგანაც ამის მოქმელს უსასტიკესად დასჯიდნენ. გარდა ამისა, სენატორების უმეტესობას ხელს აძლევდა ეგვიპტის საკითხის შემდგომი დროისათვის გადადება.

პოლიტიკურ დებატებს სენატში ბოლო არ უჩანდა, რადგან განუწყვეტლივ აყენებდნენ ახალ და ახალ კონცეფციებს. ლენტულუსი, რომელსაც რამდენიმე თვის უკან მიანდეს პტოლომეუსის ტახტზე აყვანის მისია, უკვე თავის პროვინციაში, მცირე აზიაში, ქილიკიაში, გაემგზავრა და მოუთმენლად ელიდა საბოლოო გადაწყვეტილებას. მისადმი კეთილგანწყობილი ციცერონი ძლიერ ხშირად სწერდა წერილებს შორეულ, მთიან ქვეყანაში. მაგრამ მიუხედავად გულწრფელი თანადგომისა, არავითარი დამამშვიდებელი ცნობის მიწოდება არ შეეძლო. თუ რა დახლართული იყო სიტუაცია, რამდენი შეხედულება ებრძოდა ერთმანეთს, რა ვერაგულ ხერხებს მიმართავდნენ სხვადასხვა პარტიები ერთმანეთთან ბრძოლაში, ამაში ყველაზე უკეთ ლენტულუსისადმი მიწერილი ციცერონის წერილის ერთი ფრაგმენტი დაგვარწმუნებს:

„პორტენიუს, მე და ლუკულუსი იმ აზრისანი ვართ, რომ საჭიროა ანგარიში გავუწიოთ წინასწარმეტყველებას, რომლის თანახმადაც ეგვიპტეში ჯარები არ უნდა გაიგზავნოს, ვინაიდან სხვაგვარად ვერაფერს გავხდებით. მაგრამ სენატმა შენი წინადადების საფუძველზე მიღებული დადგენილების თანახმად გადაწყვიტა, შენ გევალება მიიყვანო მეფე თავის ქვეყანაში, რითაც სახელმწიფოს სარგებლობას მოუტან. თუმცა რელიგიური მოსაზრებით ამ საქმეში ჯარების გამოყენება არ ეგების, მაგრამ სენატი შენ გტოვებს აღმასრულებლად. კრასუსს კი მიაჩნია, რომ საჭიროა გაიგზავნოს სამი სრულუფლებიანი წარმომადგენელი და მათ შორის პომპეუსიც. ასევე წარმომადგენლის გაგზავნის მომხრეა ბიბულუსიც, ოღონდ, ისეთებისა, რომლებსაც სახელმწიფოში რაიმე თანამდებობა არ უჭირავთ. ათ მხარს უჭერენ დანარჩენი სენატორებიც, გარდა სერვილუსისა.“

იგი, სავროთოდ, წინააღმდეგია მეფისათვის ხელისუფლების დაბრუნებისა. სამი წარმომადგენლის გაგზავნის წინააღმდეგია ავრეთვე ვოლკაციუსიც. მას მიაჩნდა, რომ ეს მისაა უნდა დაევალოს პომპეუსს. მისი ამგვარი წინადადება აძლიერებს ეჭვს, რომ პომპეუსს ეგვიპტეში გამგზავრება სურს“.

მალე პომპეუსსაც გადაუწყვდა ეგვიპტეში წასვლის იმედი, რასაც თავად შეუწყო ხელი. როდესაც სენატში ირჩეოდა საკითხი, ვის უნდა ჩაეჭვებინათ კლემოპატრაში, სარდალმა დაუყოვნებლივ განაცხადა, რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის მზადა ვარ მივიღო ეს დავალება შეიარაღებული ჯარების გარეშეც. ვინაიდან მისი გამოყენება წინასწარმეტყველთა მიერ არისო აკრძალული. სენატმა უარყო ეს წინადადება და პომპეუსის კეთილი განზრახვა თავაზიანი განცხადებით აირიდა:

— შეიძლება განა ასეთი დამსახურებული ადამიანის განსაცდელში ჩავლება?!

შემდგომში ეგვიპტის საქმე მიჩქმალა სხვა მოვლენებმა. თავდაპირველად კლოდიას ავანტიურისტულმა საქციელმა, ხოლო შემდეგ, 56 წლის აპრილში — ტრიუმვირთა შეხვედრამ პატარა ქალაქ ლუკაში. სადაც ცეზარმა, კრასუსმა და პომპეუსმა განაახლეს 60 წელს დადებული ხელშეკრულება, განსაზღვრეს თავიანთი გავლენის სფეროები სახელმწიფოში და გაინაწილეს თანამდებობები. ცეზარი უწინდებურად დარჩა გალიის გამგებლად, პომპეუსისა და კრასუსისათვის კი გათვალისწინებული იყო კონსულობა 55 წელს. შემდეგში პირველი მათგანა დარჩებოდა ესპანეთის გამგებლად, მეორე — სირიისა.

საქმის ასეთმა შემობრუნებამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო არა მხოლოდ ეგვიპტეში მყოფი პტოლომეუსი, არამედ მისი რომაელი მკვალეებიც, განსაკუთრებით — რაბირიუს პოსტუმუსი. მეფის საქმეებში მას დიდძალი ფული ჰქონდა ჩაყრილი, ხოლო მისი დაბრუნება უპერსპექტივოდ გამოიფურებოდა; მათ ხომ ასეთი პირობით დადეს თამასუქი: მეფე ვალს მხოლოდ მაშინ გადაიხდიდა, როდესაც ტახტზე დაჯდებოდა.

დროთა ვითარებამ ცხადყო, რომ ტრიუმვირატთა ახალ ხელშეკრულებას პტოლომეუსისათვის სასარგებლო მხარეც აღმოაჩნდა. კერძოდ, ამ ხელშეკრულებით გაძლიერდა პომპეუსის გავლენა. მას ახლა (რაკი კონსულობა ელოდა) აღმოსავლეთში პირადად გამგზავრება არ შეეძლო, მაგრამ შეეძლო შემოქმედება მოეხდინა მოვლენებზე. ისე მოაწყო, გაბინიუსს სირიის გამგებლობა 55 წელსაც გაუგრძელეს და პომპეუსმა წააქეზა იგი, რომ ეგვიპტის საქმეებისათვისაც მოეკიდა ხელი. გაბინიუსსა და პტოლომეუსს შორის ამ მოლაპარაკებაში შუამავალი რაბირიუსი იყო. გამგებელს მან აღუთქვა გარანტია, რომ მეფისაგან მიკრძალულ თანხას, ათი ათას ტალანტს მიიღებდა.

გაბინიუსისათვის ეს დიდ რისკზე წასვლას ნიშნავდა. მას უნდა ემოქმედა სენატის რწმუნების გარეშე და სიბილგების წიგნების წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოდ. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ იგი კარგა ხანს ფეხს ითრევდა და ყოყმანობდა. ამბობენ, რომ საბოლოოდ დაარწმუნა და მოქმედებისაკენ უბიძგა მისივე შტაბის ოფიცერმა, მარკუს ანტონიუსმა.

გაბინიუსის ჯარები სირიიდან 55 წლის მარტში დაიძრნენ. საბაბად მოიღეს, სირიის საზღვრებს ბერენიკასა და არქელაოსის ფლოტის მხრიდან საფროხე ემუქრებოდა. გარდა ამისა, მათი მტკიცებით, ზღვა სავსე იყო მეკობრეებით, რომელთაც მხარს უჭერენ და თავშესაფარს აძლევენ ეგვიპტის ახლანდელი მმართველებიო...

მარკუს ანტონიუსი

ეგვიპტის ჯარების ბრძოლისუნარიანობაზე რომაელები მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისანი არ ყოფილან. მთავარ სიძნელეს წარმოადგენდა არა მათთან ბრძოლა, არამედ ზღვისპირა ციხე-სიმაგრის პელუსიონის აღება, რომლისკენაც გაზადან გადიოდა გზა და ქვიშიანსა და უკაცრიელ სანაპიროს მდებარეობდა.

კავალერიას წინ მარკუს ანტონიუსი მიუძღოდა. იგი სწრაფად და შეუპოვრად მოქმედებდა. რაშიც დიდი დამსახურება ებრაელ წარჩინებულს — ანტიპატრს მიუძღოდა. მან გაუკეთა ორგანიზაცია სურსათისა და წყლით მომარაგების საქმეს, ხოლო როდესაც ანტონიუსის კავალერია პელუსიონის კედლებთან შედგა, კიდევ ერთი სამსახური გაუწია; კერძოდ, ციხის დამცველ რაზმებს, რომლებიც უმთავრესად ებრაელებისაგან შედგებოდა, ურჩია: დანებებულიყვნენ. მათაც დაუჯერეს და პელუსიონის და, მაშასადამე, ეგვიპტის კარიც გაუღეს რომაელებს. ციხე-ქალაქის რაზმს კაპიტულაცია კინაღამ საცოცხლის ფასად დაუჯდა, რადგან პტოლომეუსი, რომელიც რომაელთა ძირითად კორპუსს მიჰყვებოდა, მოითხოვდა, არც ერთი ციხის დამცველი არ დაეტოვებინათ ცოცხალი. ეს წინადადება მხოლოდ ანტონიუსის პრინციპული წინააღმდეგობის შედეგად არ განუხორციელებიათ.

ეგვიპტეში რომაელების ორი კორპუსი შევიდა. არქელაოსი შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას. მან ალექსანდრიის მისადგომებთან გამოიყვანა ყველა მამაკაცი და მათ სანგრების გათხრა უბრძანა. მაგრამ ალექსანდრიელები მალევე გაბრუნდნენ უკან და მეფეს ურჩიეს, ეს სამუშაოები შესაბამისი უწყებისათვის დაევალებინა. ამის მიუხედავად, ჯარის ცალკეული დანაყოფები და პირადი დაცვა მეფის ერთგული დარჩა. ზოგიერთ ადგილას მცირე მასშტაბის შეტაკებებიც მოხდა. მალე არქელაოსი მოკლეს.

არქელაოსის სიკვდილის ორი ვერსიაა ცნობილი. ერთ-ერთის თანახმად, იგი ტყვედ შეიპყრეს გაბინიუსის ბრძანებით და მოკლეს. მეორე ვერსიის მიხედვით კი — ბრძოლის ველზე დაეცა. ანტონიუსმა განკარგულება გასცა, ღირსეულად შეემოსათ იგი და შესაფერისი პატივით დაეკრძალათ. თუ ეს სინამდვილეს შეეფერება, ძნელია შენიშვნისაგან თავი შეიკავო: რა იცოდა მაშინ ანტონიუსმა, რომ ზუსტად ოცდახუთი წლის შემდეგ სწორედ იმავე ადგილებში დატრიალდებოდა ანალოგიური ტრაგედია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ტრაგედიის მსხვერპლი თავად აღმოჩნდებოდა.

ბერენიკა მამის ბრძანებით დასაჯეს სიკვდილით.

სამეფო გვარის დანარჩენმა წევრებმა საღსალამათად დააღწიეს თავი კატასტროფას. დედამამიშვილებს შორის ახლა ყველაზე უფროსი კლეოპატრა იყო, რომელსაც ჯერ თითხმეტი წელიც არ შესრულებოდა.

ზოგი ისტორიკოსის ცნობით, მიუხედავად კლეოპატრას ასეთი სინორჩისა, იგი იქცევდა ანტონიუსის ყურადღებას, რომელიც ოცდაათი წლისა ხდებოდა. ეს, შესაძლებელია, შორს არ იყოს სინამდვილისაგან. სამხრეთელი ქალიშვილები სწრაფად მწიფდებიან, ანტონიუსი კი გულგრილი არა ყოფილა ღამაში ქალებისადმი. თუმცა ამ შემთხვევაში უფრო ანტიკური ავტორების მიერ შეთხზულ რომანტიკულ ისტორიასთან გვაქვს საქმე, რომლებიც უკან ეწევიან იმ სიყვარულის დასაწყისს, შემდგომში ასე რომ გახმაურდა. ეგვიპტის დედაქალაქმა ანტონიუსზე ნამდვილად უდიდესი მთაბეჭდილება მოახდინა; მას შეეძლო დაეფასებინა დიდი ქალაქის ცხოვრების მომხიბვლელობა.

ანტონიუსის მამა შედარებით ახალგაზრდა მოკვდა. მას ვაჟიშვილისათვის მე-
მკვიდრეობა არ დაუტოვებია, თუმცა არისტოკრატიული წარმოშობისა იყო და
არც თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე ამბობდა უარს. ხმები დადიოდა მე-
კობრეებთან მის საიდუმლო თანამშრომლობაზეც. მარკუსის დედა, იულია, იული-
უსების გვარს მიეკუთვნებოდა, ცეზარს ენათესავებოდა; მეორედ გათხოვდა და
ისევ მალე დაქვრივდა. მისი ქმარი, კატილინას შეთქმულებზე მონაწილე, 63
წელს ჩახვეს ციხეში და საკანში დაახრჩვეს. ამგვარად, მკრეჭური მხრე-
მხრუნველობის გარეშე იზრდებოდა და სრული თავისუფლების ყოველგვარი სი-
კეთით სარგებლობდა. იგი წარმოსადგვი, ლამაზი მამაკაცი იყო, საღი აზროვნე-
ბის პატრონი. ჰყავდა მეგობართა ფართო წრე. მიღებული იყო როგორც „ოქროს“
ახალგაზრდობის ერთ-ერთი წინამძღოლი. ერთადერთი, რაც მას არ ჰყოფნიდა,
ფული იყო. სამავიეროდ, ორგიები და ვალები არ აკლდა. მას სრულიად არ
აინტერესებდა პოლიტიკა, რადგან კარგად იცოდა, რომ უქონელი კაცისათვის
კარიერის გაკეთება თითქმის შეუძლებელი იყო. მხოლოდ მცირე ხნით მიეკუთვ-
ნებოდა კლოდიუსის, ამ უაღრესად აქტიური სახალხო ტრიბუნის, წრეს.

ბოლოს, მევალებების დევნით შეწუხებულმა, ანტონიუსმა ათენისაკენ გას-
წია, ვითომც ფილოსოფიისა და ორატორული ხელოვნების დასაუფლებლად. მას
ამ საუნივერსიტეტო, წყნარ ქალაქში გული არ დაუდგა და სირიაში გაემგზავრა,
რადგან მისთვის ცნობილი გახდა, რომ პარტელების წინააღმდეგ ლაშქრობა
მზადდებოდა. ეს ის ლაშქრობა იყო, რომელშიც, როგორც გვახსოვს, მონაწილე-
ობის მიღება სურდა არქელაოსსაც. მაგრამ იგი არ შემდგარა და რომაელთა ჯა-
რები იუდეის ამბოხების ჩასაქრობად გაგზავნეს. აქ ვაიცნო ანტონიუსმა ანტი-
პატრი, რომელიც ეგვიპტის ლაშქრობაში დაეხმარა კიდეც.

მიუხედავად აშკარა სურვილისა, გაბინიუსსა და ანტონიუსს ალექსანდრია-
ში დიდხანს გაჩერება არ შეეძლოთ, რადგან შეიტყვეს, რომ სირიაში მღელვარე-
ბა ჩაწყნარებულიყო. რომაელთა ჯარები ეგვიპტიდან გავიდნენ, ხოლო მეფის
დასაცავად დატოვებული იქნა რამდენიმე კოპორტა, რომლებიც უმეტესად გერ-
მანელი და კელტი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა.

54 წელს გაბინიუსი იტალიაში დაბრუნდა, სადაც, როგორც იმედოვნებდა,
ტრიუმფი ელოდა. მის თანამებრძოლ ანტონიუსს კი არც შეუხვდავს ქალაქში,
სადაც მევალებები ეგულებოდა, სირიის ცხელი უდაბნოდან პირდაპირ შორეულ
დასავლეთში, ტყიან გალიაში გაემგზავრა და ცეზარის მებრძოლ არმიას შეუერ-
თდა.

რაბირიუსის ბნელი საქმიანობა

დაჯდა თუ არა ფლევითისტი ტახტზე, მყისვე შეუდგა ქვეშევრდომების უწ-
ყალო ექსპლუატაციას. ხომ უნდა გაესტუმრებინა ვალები, სამ წელს ემიგრაცია-
ში ყოფნის დროს რომ დაუგროვდა. ყველაზე სავალალო მაინც გაბინიუსის პრე-
ტენზიები იყო: ათი ათასი ტალანტი!

ერთ-ერთ პირველ ღონისძიებას, რითაც პტოლომეუსმა თავისი პოლიტიკუ-
რი მოღვაწეობა განაახლა, წარჩინებულ ეგვიპტელთა მუსერა წარმოადგენდა.
ამით მან ორ მიზანს მიაღწია: სანიმუშოდ დასაჯა ბერენიკას მომხრეები, ხოლო
ჩამორთმეული ქონებით ნაწილობრივ გაისტუმრა ვალები. მაგრამ რადგანა,
დიდძალი ვალის გასტუმრება გრძელვადიან ოპერაციას საჭიროებდა, მეფემ მი-
ზანშეწონილად ჩათვალა ამ საქმის ხელმძღვანელად რაბირიუს პოსტუმუსი დაე-
ნიშნა. მოხერხებულმა საქმის კაცმა მიიღო „დიოკეტესის“ ანუ ფინანსთა მინის-

ტრის თანამდებობა. რომის მოქალაქე ეგვიპტის მონარქის ქვეშევრდომად და მსახურად იქცა. მან სამოსიც კი შეიცვალა: ტოვა გააძრო და ბერძნულ ტანსაცმელში გამოეწყო.

რაბირიუში ძალზე ენერგიულად შეუდგა საქმეს. მას შეელოდა მთელი არმია ერთგული ადამიანებისა, რომლებიც იტალიიდან ჩამოიყვანა; როგორც მონები, ასევე — თავისუფლებიც. მოსახლეობიდან მათ უნდა ეკრძინათ არა მხოლოდ 10 000 ტალანტი გაბინიუსისათვის, არამედ უნდა გადაეხადათ რაბირიუშის სესხიც. ძნელია წარმოვიდგინოთ, რაოდენ დიდი იყო ეს თანხა. მიუხედავად ამისა, ეს კაცი სხვა საქმეებსაც აკვარაბჭანებდა. ასე, მაგალითად, იტალიაში გაქჷონდა პაპირუსი, ხელის ტილო, შუშის საგნები და სხვა პოპულარული ეგვიპტური ნაკეთობანი.

საქმეს კარგი პირი უჩანდა. მოსახლეობის დრტვინვას რაბირიუში აინუნშიც არ აგდებდა, რადგან საჩივრებს კარგა ხანია მიხეუული იყო ყველა იმ ქვეყანაში, სადაც საქმიანობდა ხოლმე. უცებ, რაბირიუშისათვის სრულიად მოულოდნელად, ხარკის ამკრეფთა მშვიდი საქმიანობა მეფის ჯარისკაცებმა შეწყვიტეს. რაბირიუში და მისი ხელქვეითები ციხეში ჩაყარეს და მთელი მათი მრავალთვიანი მუშაობის ნაყოფი სახელმწიფოს ხაზინაში მოათავსეს. ისინი არც ამით დაკმაყოფილებულან: ციხეში „დიოკეტეს“ ძალზე უხეშად ექცეოდნენ და ხშირადაც ემუქრებოდნენ, რომ მალე მკაცრად დასჯიდნენ.

მოკლე დროში შევახშე ასევე მოულოდნელად გაანთავისუფლეს ციხიდან და უბრძანეს, სასწრაფოდ დაეტოვებინა ეგვიპტე. ისიც მათხოვარივით ძონძებში გამოხვეული გაემგზავრა. არადა, რაბირიუში აქ მოდიოდა იმედებით აღსავსე, თითქმის როგორც ამ ქვეყნის გამგებელი და ბატონ-პატრონი.

იმავე ხანებში, 54 წელს ტიბროსის ნაპირებიდან უადრესად სახიფათო გამოსვლის გამო რომმა დიდი ზარალი განიცადა. წყალმა დატბორა დაბლობებში განლაგებული რაიონები, დაანგრია მრავალი სახლი, დააბრჩო ბევრი ადამიანი. სტიქიური უბედურება რომაელებმა ღვთის რისხვად მიიღეს ეგვიპტის საქმეებში სიბილების წინასწარმეტყველების უგულვებელყოფის გამო. ამიტომ ხალხი მრისხანებდა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც გაბედეს და ფლეიტისტი შეიარაღებული ძალების დახმარებით აიყვანეს ტახტზე. ამით მათ ქალაქს საშინელი უბედურება დაატეხეს თავს. მოსახლეობის უძრავლესობა წყევლა-კრულვას უთვლიდა სირიის გამგებელ გაბინიუსს. სახალხო ზიზღს კიდევ უფრო აღვივებდნენ ისიდას და სერაპისის მიმდევრები, რომელთაც კარგად ახსოვდათ 58 წლის 1 იანვარს გაბინიუსის წინააღმდეგობა ეგვიპტურ ღმერთთა კერპების აღმართვისას.

სირიის გამგებელი ღამით მალულად დაბრუნდა ქალაქში და რამდენიმე დღის განმავლობაში სახლი აღარ მოუტოვებია. მალე იგი წარსდგა სასამართლოს წინაშე, სადაც ხალხის ბრბო შეიჭრა და მის აკუწვას მოითხოვდა. მოსცილდებოდა მსჯულებმა მსჯავრდებული გაათავისუფლეს, თავად კი ძლივს დააღწიეს თავი სასამართლოს შენობას, რადგან ხალხი შხად იყო, ისინიც დაეხოცა. სასამართლო იძულებული გახდა სხდომა მეორედ მოეწვია და გაბინიუსისათვის სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ ათი ათასი ტალანტის გადახდა მიესაჯათ, მაგრამ იმის გამო, რომ არ გააჩნდა ეს თანხა, გადაასახლეს.

ამ საქმემ ჩრდილი მიაყენა ციცერონის სახელსაც. პირველ პროცესზე მან გაბინიუსს მსჯავრი დასდო და ძალზე მკაცრადაც, მეორეზე კი, პომპეუსის ზეგავლენით მის დასაცავად გამოვიდა.

რაბირიუშმა, რომელსაც სირიის გამგებელთან თანამშრომლობაში ედებო-

და ბრალი, მისი ბუღი გაიზიარა. როგორც კი სამშობლოში დაბრუნდა, სახამარ-
თლოში გამოიძახეს. ფინანსურ კრახში მან მრავალი რომაელი ჩაითრია, რად-
გან გამოაცხადა, რომ როგორც ბანკოტს, აღარ შეეძლო ანგარიში გაესწორე-
ბინა თავისი კომპანიონებისა და გამსესხებლებისათვის.

ამ ამბებით გათამამებულმა ფლეიტისტმა შეწყვიტა ვალების ვასტურება.
54 წლის ბოლოს ციცირონი ერთ-ერთ თავის მეგობარს, რომელიც ცეცხლის არ-
მიაში ქონების საშოვნელად წავიდა, სწერდა: იქ შენ ისე იხტარე-ფიქრე, როგორც
როგორ და სახლში დაბრუნდე, თითქოს ჯიბეში სარდლისათვის გასახადებლად
წარდგენილი თამასუქი გედოს და არა — სარეკომენდაციო ბარათი! თავშიც კი
არ მოგსვლია, რომ იმათაც კი, რომლებიც ალექსანდრიაში თამასუქებით გაემკ-
ზავრნენ, აქამდე გროშიც არ მიუღიათ.

კეთილი სიტყვა ფლეიტისტზე

51 წლის მაისის ბოლოს, თავისი მეფობის ოცდაათი წლის თავზე, გარდაა-
ცვალა მეფე პტოლომეუს XII, მამის მოყვარული დემეტრი, დის მოყვარული
დემეტრი, ახალი დიონისე. უკანასკნელ თვეებში, მარტიდან მაინც, როგორც ჩანს,
იგი თავის უფროს ქალიშვილთან, კლეოპატრასთან ერთად მეფობდა. ასეთი დას-
კვნის გაკეთების საფუძველს ვაძლევს ზოგიერთი დოკუმენტის დათარიღება.

უკვე დიდი ხანია, რაც მზად იყო მეფის ანდერძი და მისი შინააღიარების-
ისე არ იყო დაფარული. მწარე გამოცდილებანაწევნევი პტოლომეუსი შეცვალა
უკუგდო ყოველგვარი ეჭვი მეფის უკანასკნელ ნებაში. დოკუმენტი ორ ეგვიპტე-
ლარად შეადგინა. ერთი რომში გაგზავნა თხოვნით, ჩაბარებოდა სახელმწიფო
არქივს. მაგრამ რაღაც მოსაზრებით იგი პომპეუსს შერჩა ხელთ. მეორე კი —
ალექსანდრიაში შეინახეს. ანდერძის აღმსრულებლად მონარქი ასახელებდა რო-
მაელ ხალხს, რომლის მფარველობის ქვეშ სტოვებდა თავის ქვეყანასა და ოჯახს.
ცხადია, ეს დამოუკიდებლობის მცირე შანსსაც კი აღარ სტოვებდა, მაგრამ ამ-
გვარი მოქმედება იყო ერთგვარი თავდასაცავი ხერხი, რომელიც რომაელ პოლი-
ტიკოსებს გაუძნელებდა ეგვიპტის დაპყრობას.

თავის შემკვიდრებლად მეფემ დანიშნა უფროსი ვაჟი, პტოლომეუს XIII,
რომელიც მაშინ ათი წლისაც არ იყო და უფროსი ქალიშვილი, თერამეტი წლის
კლეოპატრა. პტოლომეუსების დინასტიაში იგი რიგით მეშვიდე დედოფალი იყო,
რომელიც ამ სახელს ატარებდა. და-ძმას ერთად უნდა ემეფა. ეს კი ნიშნავდა,
რომ ისინი საქორწინო კავშირში უნდა შესულიყვნენ

გარდაცვალებულ მეფეს, ცხადია, არავინ არ ეთხოვებოდა წრფელი ცრემლე-
ბით. ოჯახისათვის იგი, უპირველეს ყოვლისა, იყო საკუთარი ქალიშვილის ბე-
რენიკას მკვლელი. მართალია, თავის დროზე ტახტზე ალექსანდრიელებმა მიი-
წვიეს, მაგრამ შემდგომში მასში მხოლოდ ტირანს ხედავდნენ, რომელიც რომა-
ელებმა ერს ძალად მოახვიეს თავს. თავის ხელქვეითთათვის იგი ღარჩა მწავ-
რულად, რომელიც მათ უკანასკნელ ლუკმას აცლიდა პირიდან, რათა თავისი რო-
მაელი მფარველების სიხარბე დაეკმაყოფილებინა. ერთადერთი, რაც მეფემ თავისი
მწყალობლით, ტაძრებისათვის თავის შეფარების პრივილეგიის მინი-
ჭებით მოიპოვა — ეს იყო ქურუმების მიუმხრობლობა. და ბოლოს, რომაელთა
თვალში იგი იყო ტიპური აღმოსავლეთელი დესპოტი: მხდალი — ძლიერთა წი-
ნაშე და ტირანი — უუფლებოთა მიმართ. ჭეშმარიტად მეფეს აღბათ მხოლოდ
სახახლის კარის გუნდი და ორკესტრი თუ გლოვობდა.

როგორც მკვლეი, ისე თანამედროვე ისტორიკოსები, უადრესად მკაცრნი

არიან პტოლომეუს XII შეფასებაში. რისი თქმა შეიძლება მის დასაცავად? ალბათ მხოლოდ შემდეგის:

იმდროინდელ სიტუაციაში პტოლომეუს XII ნამდვილად ვერ ხედავდა რაიმე გამოსავალსა და ხსნას ვერც საკუთარი თავისთვის და ვერც თავისი სამეფოსათვის. ეგვიპტეს შეეძლო ეარსება, მხოლოდ როგორც რომის სატელიტს.. ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ სისუსტე იძლეოდა გადარჩენის შესაძლებლობას რომის იმპერია ისეთი სახელმწიფოების არსებობას არ ეწინააღმდეგებოდა, რომლებიც არც ერთ სიტუაციაში არ გახდებოდნენ მისთვის საშიშნი. ამიტომ ერთადერთი, რაც დარჩენოდა პტოლომეუსს, — იყო ის, რომ რომაელთა კეთილგანწყობილებით დიდხანს შეენარჩუნებინა ძეფის შემოსავლიანი ტიტული, ვიდრე დიდძალბელური მოლოხი არ შთანთქაედა. ამ მიზნის მისაღწევად ბრძოლაში კი არაფრის წინაშე არ იხევდა უკან. ქრთამავდა, ინტრიგებს ხლართავდა, სასიკვდილოდ თავის ღვიძლთაც კი არ ინდობდა. რა ექნა, არსებობისათვის იბრძოდა. მას არ გაუტარებია არც ერთი ღირსეული პოლიტიკური ღონისძიება. ანდა რა ღონისძიების გატარების თავი ჰქონდა უღონო პაიკს?

ამიტომ მის უმთავრესსა და უმნიშვნელოვანეს საქმედ ფლეიტაზე დაკვრა ქცეულიყო. სიტუაციაში, როდესაც ისტორიულად მნიშვნელოვან მოვლენებზე თუნდაც უმცირესი გავლენის მოხდენაც კი შეუძლებელია, ბედთან შერიგების ყველაზე უკეთესი გზა არის ისეთი საქმის გამოძებნა, რაც კარგად განგმუხტავს, თან არავის ავნებს, არც ეჭვს აღუძრავს. შეიძლება დაუკრა ფლეიტაზე, თხზა ლექსები ანდა წერო ფილოსოფიური ესეები, მოაშენო ქათმები ანდა ვარდები, ითევზაო, შეისწავლო ანტიკური ხანის ისტორია. აქ, ცხადია, მხედველობაში გვყავს კლაუდიუსი, ვიდრე იგი ცეზარი გახდებოდა.

ხოლო კლეოპატრა, ყმაწვილი ქალი, ინტერესთა ფართო სფეროთი და უზომო პატივმოყვარეობით გამოირჩეოდა.

(გაგრძელება იქნება)



არც ეს, არც ის

3. უარყო საბანთა რეალობა...

უარყო რეალობა, ეს ნიშნავს
ვერ დაინახო მათი რეალობა;
მტკიცება საგანთა სიცარიელისა, არანივთიერობისა,
ესეც კვლავ მათი რეალობის უარყოფაა.
რაც უფრო მეტს ლაპარაკობთ და ფიქრობთ ამაზე,
მით უფრო სცილდებით ჭეშმარიტებას.
შეწყვიტეთ ლაპარაკი და ფიქრი —
და არაფერი იქნება ისეთი, რომლის
მიხვედრა, გაგება თქვენ ვერ შეძლოთ.

რეალობა იმყოფება და მუდამ გელით პირდაპირ თქვენს გულთან, თქვენს
თვალბთან, ხელებთან. თქვენ შეგიძლიათ მას შეეხოთ, განიცადოთ იგი, მაგ-
რამ მისი მოფიქრება, მოსაზრება არ შეიძლება. შეეცადეთ გაიგოთ, ჩაწვდეთ
ფიქრის, აზროვნების ბუნებას.

ფიქრი მუდამ „შესახებ“-ს გულისხმობს, იგი არასოდეს არ არის უშუალო.
თქვენ შეგიძლიათ ხედავდეთ რეალობას, მაგრამ იძულებული იქნებით იფიქროთ
მასზე — ეს „შესახებ“, ეს „ზე“, არის სატყუარა, ხაფანგი, რადგან, როცა არ
უნდა ფიქრობდეთ მათზე, — თქვენ სცილდებით ჭეშმარიტებას. „შესახებ“ ნიშ-
ნავს „არა-პირდაპირ“. თქვენ ვერ დაინახავთ ამ ყვავილს აქ და ახლა, თქვენ
იფიქრებთ მასზე და „ზე“ იქნება ბარიერი, „ზე“-თი თქვენ ვერასდროს ვერ
მიაღწევთ ყვავილამდე.

ხედა უშუალოა, შეხება უშუალოა — ფიქრი კი არა. აი, რატომ ვერ აღ-
წევს აზროვნება მიზანს. მიჯნურს შეუძლია ჩაწვდეს, გაიგოს რეალობა, მოცუკ-
ვავესაც ძალუძს, მომღერალსაც შეუძლია შეიგრძნოს ეს, მაგრამ მოაზროვნე
ვერ შეძლებს ამას.

მე ვიცნობდი ერთ ებრაელ ფილოსოფოსს. იგი ჩვეულებრივი გლეხი იყო,

1. გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ხაუნჯე“ № 1-2, 1996 წ.

მაგრამ ძალზე ფილოსოფიური პიროვნებაც. სახელად იოსები ერქვა. ის ყველაზე ფიქრობდა, როგორც ჩვეულებისამებრ ფილოსოფოსები. ძალიან უჭირდა გაეკეთებინა რაიმე, რადგან ფიქრი და ტვინისჭყლეტა დიდ დროს ართმევდა, ხოლო მაშინ კი, როდესაც მზად იყო რაიმეს საკეთებლად, შესაძლებლობა უკვე აღარ ჰქონდა. ერთხელ ბაზარზე წავიდა მეზობელ სოფელში, რათა ხორბალი გაესაღებინა. ცოლს დაუბარა: ხორბალს რომ გავყიდი, დეპუშაქ ვაშაფაგზავნი. გლუხმა კარგა სარფიანად გაყიდა ბაზარზე ხორბალი. შემდეგ ფიქრში წავიდა, აიღო ბლანკი — და დაიწყო ფიქრი. მან დაწერა: ხორბალი ხელსაყრელ ფასში გავყიდე. ხვალ ჩამოვალ. მიყვარხარ და გკოცნი. იოსები, მაგრამ შემდეგ კვლავ ფიქრებმა შეიპყრო: ჩემი ცოლი იფიქრებს ჩემზე, ჭკუიდან შეიშალაო. რატომ დავწერე „ხელსაყრელ ფასში“? მე რა, ხორბლის გაყიდვას „წამგებიანად“ ვაპირებდი? ამიტომ იოსებმა წაშალა სიტყვა „ხელსაყრელ ფასში“. შემდეგ უფრო დაუკვირდა თავის ნაწერს: რაკი შეცდომა დაუშვა, და დაწერა არასწორი სიტყვა, ხომ შეიძლებოდა სხვა უზუსტობებიც დაეშვა? ამიტომ გულისყური მოიკრიბა და თითოეულ სიტყვაზე ფიქრი დაიწყო. შემდეგ ჩაილაპარაკა: რატომ „ხვალ ჩამოვალ“? მე რა, ერთი თვის შემდეგ ვაპირებდი სახლში დაბრუნებას? თუ მოძავალი წლისათვის? ცოლს ხომ დაუბარე, დავბრუნდები, როგორც კი ხორბალს გავყიდი-მეთქი? ამიტომ იოსებმა წაშალა სიტყვები „ხვალ ჩამოვალ“. შემდეგ იფიქრა: ცოლმა უკვე იცის, რომ ხორბლის გასაყიდად წავყიდი, მაშ რაღაზე ვწერ „ხორბალი გავყიდე“? ესეც წაშალა და სიცილი დაიწყო: საკუთარ ცოლს ვწერ წერილს, ჰო-და, რაღა საჭიროა — „მიყვარხარ და გკოცნი“? სხვის ცოლს ვწერ, თუ რა? ან მისი დაბადების დღეა, თუ სხვა რამ აღსანიშნავი ამბავი? ეს სიტყვებიც წაშალა. დარჩა მხოლოდ თავისი სახელი „იოსები“. მან თქვა: იოსებ, შეიშალე? შენმა ცოლმა უკვე იცის, რა გქვია შენ. და იოსებმა დეპეშა დახია და გაიხარა, რომ ამდენი ფული დაზოგა და სისულელე აღარ ჩაიდინა.

მაგრამ ეს სწორედ ასე ხდება! თუ აგრძელებთ ფიქრს რაიმეს „შესახებ“, თქვენ ხელიდან გიფრინდებათ მთელი ცხოვრება: ნელნელა ყველაფერი იშლება და ბოლოს თქვენც „წაიშლებით“, „ამოიშლებით“. ფიქრები ბოლად, კვამლად იქცევა: ყველაფერი კვამლად გადაიქცევა და იჭვარტლება, იმურება. და მოქმედებაც შეუძლებელი ხდება — დეპეშის გაგზავნაც კი აღარ არის შესაძლებელი. მოქმედება შეუძლებელია, რადგან იგი უშუალოა, ფიქრი და აზროვნება კი არა. მათი თანხვედენა არ ხდება. აი ამქვეყნიური პრობლემა: ხალხი, რომელიც ფიქრობს, არასდროს არ მოქმედებს, ხოლო ხალხი, რომელიც არ ფიქრობს, მოქმედებს. ქვეყანა უბედურებას განიცდის, რადგან ისინი, ვინც სულელები არიან, განაგრძობენ მოქმედებას, ისე, რომ არასდროს არ ფიქრობენ და ყველაფერს ეღებინან. ჰიტლერები, ნაპოლეონები, მათები განაგრძობენ მოქმედებას, ხოლო ბრძენი ხალხი, ე. წ. მოაზროვნენი — არისტოტელე, კანტი თუ ჰეგელი — განაგრძობენ ფიქრს, მაგრამ ისინი არავითარ მოქმედებას არ ახორციელებენ. პრობლემა ადამიანისათვის, რომელიც ეძიებს რეალობას, გამოიხატება იმაში, როგორ შეაჩეროს ფიქრთა ეს მანკიერი წრე და მაინც ყოველივე ჰქონდეს გაცნობიერებული. იმითომ, რომ „სულელებიც არ ფიქრობენ, მაგრამ მათ არც აქვთ გაცნობიერებული ყოველივე ზემოთქმული. ენერჯია, რომელიც გადადის აზროვნებაში, უნდა გახდეს ცნობიერება. აზროვნება უნდა შეჩერდეს და არა ცნობიერება. ცნობიერება უნდა გამოკრისტალდეს, გაიწმინდოს; უნდა იყოს მოქმედება, ქმედება — იგი არ უნდა შეწყდეს. ცნობიერება პლუს მოქმე-

დება და თქვენ იმწამსვე აღწევთ რეალობას. და არა მხოლოდ თქვენ — თქვენ შექმნით სიტუაციას, სადაც სხვებიც შეძლებენ შეაღწიონ, ჩაწვდნენ რეალობას. თქვენ იქცევით კლიმატად, პოლუსად, რომლის გარშემოც განხორციელდებიან საგნები და მოვლენები. ეს არის ის, რასაც ადგილი ჰქონდა ბუღასთან, სუ-ცანთან, ჩუუან-ძისთან. დაიხსომეთ: ქმედობა, მოქმედება — ეს არის აზროვნება კი — მანკიერი წრე, რომელსაც არსად არასდროს არ შეეძვარებოდა უნდა შევაჩეროთ აზრები, მაგრამ არა მოქმედება. არის ხალხი, რომელიც გააგრძელებს, არ შეწყვეტს აზროვნებას, მაგრამ მოქმედება შეწყდება. ეს მოსდის იმას, ვინც ხელს აიღებს, უარს ამბობს ცხოვრებაზე და მიდის ტყეში, ანდა ჰიმალაიში — ასეთი კაცი უარყოფს მოქმედებას, მაგრამ არა ფიქრს. იგი უარყოფს სამყაროს, სადაც აუცილებელი იყო მოქმედება, იგი უარყოფს თვითონ რეალობას, რადგან მოქმედების „გავლით“ ჩვენ ვამყარებთ კონტაქტს რეალობასთან. ხედვა — მოქმედებაა, მოძრაობა, ცეკვა, ხატვა, — ესეც მოქმედებაა. რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ამით კონტაქტს ამყარებთ რეალობასთან.

თქვენ უნდა გახდეთ უფრო და უფრო მგრძობიარე თქვენს საქმიანობაში, მოქმედებაში. საქმიანობაზე და მოქმედებაზე უარი არ უნდა თქვათ — უნდა იყოს ტოტალური მოქმედება: ეს არის საშუალება, რომლითაც თქვენ შედიხართ რეალობაში, რეალობა კი შემოდის თქვენში. შეეცადეთ გაიგოთ, ჩაწვდეთ ამას, რადგან ეს ყველაზე მთავარია — მთავარი ჩემთვის, საკუთარი თავისთვის. დაანებეთ თავი ფიქრს, უარი თქვით ფიქრებზე, აზროვნებაზე და გააგრძელეთ ამასთან მოქმედება, მუდმივად და რეგულარულად.

იმ ხალხმა, რომელიც უარყოფს მოქმედებას და აგრძელებს ფიქრთა ნაკადს, რა უნდა გააკეთოს ჰიმალაის მთებში? მთელი ენერგია, რომელიც არ გადადის მოქმედებაში, გადავა აზროვნებაში. მათ შეუძლიათ გახდნენ დიდი ფილოსოფოსები, მაგრამ ფილოსოფია — „ზედაპირული“ ქვეყანაა: ისინი ცხოვრობენ სიტყვებში და არა რეალობაში. სიყვარული ქრება, რჩება მხოლოდ სიტყვა „სიყვარული“. ღმერთი ქრება; ღმერთი იქ იყო — ველ-მინდვრებში, ბაზრებში, საერთოდ, ამ სამყაროში; ახლა კი დარჩა მხოლოდ სიტყვა „ღმერთი“. მოქმედება ქრება — დარჩა მხოლოდ კონცეფციები. თქვენი თავი თავისი ფიქრებით და აზროვნებით მთელი თქვენი არსება და არსი ხდება.

აიცილეთ ეს, მოერიდეთ ამას — არასდროს უარყოთ მოქმედება, უკუაგდეთ მხოლოდ ფიქრები. მაგრამ როდესაც თქვენ უარყოფთ ფიქრებს, აზროვნებას, არის შესაძლებლობა, რომ თქვენ გახდეთ ადამიანი, რომელიც ვერაფერს იცნობიერებს, ანდა სულელი — შეიძლება იმოქმედოთ ქაოსურად, რადგანაც ახლა აღარ იცით, რა ქნათ, თქვენ აღარ ფიქრობთ; შეიძლება შეიშალოთ. ფიქრები, აზროვნება უნდა უკუაგდოთ, მაგრამ უნდა აირიდოთ გაუცნობიერებლობა, უნდა გახდეთ უფრო ცნობიერი, გაცნობიერების, წვდომის უნარის მქონე.

ესაა მედიტაციის ხელოვნება: უნდა ვიყოთ ინტენსიურ მოქმედებაში, უკუაგდოთ ფიქრები და ენერგია, რომელიც გადადიოდა აზროვნებაში და ვაქციოთ ისინი ცნობიერებად. ეს უნდა გავაკეთოთ ძალიან ფრთხილად და ფაქიზად, რადგან, თუ გამოტოვებთ თუნდაც ერთ ნაბიჯს, გადავარდებით უსაზღვრო უმეცრებაში. ადვილია ფიქრების შეჩერება — მაგრამ მაშინ თქვენ ჩაგვიძინებთ. ეს ყოველთვის ხდება ღრმა ძილში: ფიქრები, აზროვნება წყდება, — მაგრამ მაშინ თქვენ აღარ ხართ, ცნობიერება იხსნება, იკარგება. თქვენი ცნობიერება ისეა ასოცირებული აზროვნებასთან, რომ, როცა წყდება ფიქრები, თქვენ ვარდებით უგონო მდგომარეობაში. ეს არის პრობლემა: უნდა უარყოთ ფიქრები და არ

ჩავვარდეთ უგონო მდგომარეობაში, რადგან უგონო მდგომარეობა არ მიგიყვანთ რეალობამდე — თქვენ უბრალოდ ღრმად გძინავთ, როცა ვარდებით არაცნობიერში, ცნობიერება გაიხსნა არაცნობიერებაში. მიღწეული კი უნდა იქნას საპირისპირო — არაცნობიერი უნდა გაიხსნას ცნობიერში.

თუ ცნობიერი ვარდება არაცნობიერში — თქვენ უგონო მდგომარეობაში ვარდებით. ხოლო, თუ არაცნობიერი ვარდება ცნობიერში და სიხსნის ხდება გამცნობიერებელი, მაშინ თქვენ ხდებით ნათელმხილველი, ხდებით ბუდა, სენცანი.

ძალზე იოლია, ცნობიერი გადავარდეს არაცნობიერში, რადგან ცნობიერია თქვენი არსების მხოლოდ ერთი მეათედი ნაწილი, ცხრა მეათედი კი არაცნობიერია. თქვენი არსების მცირე ნაწილი გახდა ცნობიერი, მაგრამ ისიც სულ მერყეობს: იგი შეიძლება ნებისმიერ მომენტში გადავარდეს არაცნობიერში, ეს ხდება ინტოქსიკაციის დროს: თქვენ იღებთ ალკოჰოლს და შეგნებულად ვარდებით არაცნობიერში. აი, რა არის ალკოჰოლის მიზიდულობა და მომხიბვლელობა ყველა დროში, ყოველგვარ კლიმატში, ყველა ქვეყანაში.

რეალური ცხოვრება ბეჩაყია, მაგრამ ნუ გამოეკიდებით ზმანებებს, რადგან ამ შემთხვევაში არის მხოლოდ ერთი გზა — დავეხმაროთ ცნობიერს კვლავ იქცეს არაცნობიერად.

უმცირესი, ერთი ცილა ნაწილი აიწია არაცნობიერიდან და ამაშია ადამიანის არსების სილამაზე. ჭეშმარიტად, ადამიანის არსების სილამაზე იმაშია, რომ ის გახდა კუნძული უსახლვრო არაცნობიერში. ეს კუნძული უნდა გაიხარდოს მანამ, ვიდრე არ გახდება კონტინენტი. ნარკოტიკებით იგი კვლავ წყალში ეშვება — თქვენ კვლავ ცხოველის ან ხის ცხოვრებით ცხოვრებით — რაც თავისთავად საუცხოოა, მაგრამ უმნიშვნელო, რადგან თქვენ ამდენს კარგავთ: თქვენ შეგეძლოთ მიგედწიათ რეალობისათვის, კუნძული შეიძლებოდა გამხდარიყო კონტინენტი. საერთოდ, არა მხოლოდ ნარკოტიკები, არამედ სხვა საშუალებებიც, ეხმარებიან ცნობიერს, გახდეს არაცნობიერი. ეს შეიძლება მოხდეს მუსიკის მეოხებით ანდა ბუტბუტით. თუ განუწყვეტლივ იმეორებთ მანტრას, თქვენ ჩაგეძინებათ. ყოველგვარი მონოტონური გვგვრის ძილს, გვაგდებს უგონო მდგომარეობაში.

თუკი რაიმე ახალი არა ხდება, გონება ინერტულია. თუ მხოლოდ „რამ, რამ, რამ“ გესმით და იცით, რომ ეს ბუტბუტი განმეორდება კვლავ და კვლავ, დაუსრულებლად, გონება თვლუძას იწყებს. ეს ყველა დედამ კარგად იცის. როდესაც ბავშვი არ იძინებს, დედა იმეორებს სიმღერის სტროფს, ძალიან მარტივს, ორ-სამ სიტყვას. კვლავ და კვლავ იმეორებს იაენანას, რაც მანტრად იქცევა და ბოლოს ბავშვი ჩაიძინებს. გონებაც ასევეა — ბავშვი ხართ თუ მოხუცი, ამას მნიშვნელობა არა აქვს; გონება ჩათვლემს იაენანით — პროცესი ერთნაირია.

ფიქრები უნდა შეწყდეს — მაგრამ არა გაუცნობიერებელში გადასვლით, არამედ ცნობიერების, სიფხიზლის ამაღლებით, რათა ენერგია, რომელიც იხარჯებოდა ფიქრების წარმოებით, გადაიქცეს გაცნობიერების საფუძვლად — ამ დროს თქვენში იღვიძებს მოწმე: დაიმახსოვრეთ: ფიქრთა ნაკადი უნდა შეწყდეს არა ბუტბუტის საშუალებით, არამედ იმით, რომ ჩნდება მოწმე, დამკვირვებელი სააზროვნო პროცესისა: მასზე თვალყურის დაჭერა, დაკვირვება — მეთვალყურე, დამკვირვებელი...

თუ თქვენ ღრმად ჩაუკვირდებით სიტყვებს; ჩაწვდებით მათ — ისინი

გაქრებიან, ჩნდება ინტერვალი, შუალედი, მანძილი. ქრებიან ღრუბლები და საჩინო ხდება ლურჯი ცა. ამ დროს თქვენ ფხიზელი, მგრძობიარე, გაფაქიზებული ხართ. ცნობიერებას ჩაერთო მეტი არაცნობიერი, ინტუიციური — ალი უფრო ავიზგიზდა, უფრო მხურვალე გახდა, თქვენ უფრო სიცოცხლისუნარიანი, ცხოველყოფელი გახდით. ახლა უფრო მეტს ხედავთ, წვდებით მუცრძობით. თქვენი ქმედებანი ახალ თვისებას იძენს — თვისებას ღვთაებრივს.

როდესაც თქვენ ბუდა გეხებათ — მისი შეხება გამორჩეულია. თქვენც ეხებით და გრძნობთ განსხვავებას. ზოგჯერ ეხებით ადამიანს მხოლოდ შემთხვევით და ამ დროს თქვენ „არ მოძრაობთ“ ხელის საშუალებით — მაშინ ხელი უსიცოცხლოა, დახურულია, უძოძრაია. თქვენ უბრალოდ ეუბნებით „ჰელლოს“ უძოძრათ ხელს. თქვენ შეგიძლიათ იგრძნოთ ეს — ხელი გაწვდილი იქნა და მაინც არ იქნა გაწვდილი. ეს იყო „დიპლომატია“. ხელი უსულო იყო — ცივი, უგრძნობელი, თქვენთან, თქვენს არსებასთან დაუკავშირებელი. ზოგჯერ, როცა ხელი გამოწვდილია, შემოთავაზებულია სიყვარულისათვის — ეს გახსნა: ენერჯია მასზე გადის — ეს გულის გადაშლაა. ამ ხელით არსება შეხვედრას გთავაზობთ: იგი თბილია, ცოცხალია, მას სჯერა თქვენი. თუ ბუდა გეხებათ, ეს სრულიად სხვაგვარად, განსხვავებულად ხდება; იცვლება თვისება, რადგან, როდესაც გაცნობიერება ტოტალურია, აბსოლუტურია, მაშინ ყოველი მოქმედებაც ტოტალური ხდება. როდესაც ბუდა შეხებას ახდენს, იგი ერთიანად შეხებას განასახიერებს. მისი არსება შეხებაა. იგი გახსნილია მასში; სხვაგან აღარსად აღარ არის — მთლად შეხებაშია. ამ მომენტში ის აღარც თვალეხია, აღარც ყურები, მხოლოდ იგი გადაიქცევა ტოტალურ შეხებად და თქვენ იგრძნობთ, რომ განათებული ხართ მისი შეხებით — თქვენში ენერჯია დაიძრა. თუ მზად არა ხართ, შეიძლება შეცბუნდეთ კიდევ. ხოლო თუ მზად ხართ, მაშინ სიხარული გიპყრობთ, ნეტარებთ ამ განცდით; როდესაც ბუდა გიყურებთ, იგი თვალეხადაა ქცეული; სხვანაირად შეუძლებელია; ის განუყოფელია, მთლიანია შინაგანად. როდესაც თქვენ იყურებით, უყურებთ, მაგრამ ამასთან ბევრ სხვა რამესაც აკეთებთ: ფიქრობთ ნაკადი გრძელდება, თქვენ განაგრძობთ გაყოფას. განცალკევებას — თქვენი თვალეხი ტოტალური არაა. როდესაც ბუდა გიყურებთ, მისი თვალეხი ტოტალურია. მისი თვალეხი მაცოცხლებელ მზესავითაა, ისინი აღწევენ თქვენში, ისინი გააკეთებენ „ხერვლს“ თქვენს არსებაში და „მიადგებიან“ პირდაპირ თქვენს გულს. თქვენ აღარასოდეს იქნებით იგივე ძველებური — თუკი თქვენ მოინდომებთ და ამის საშუალებას მისცემთ. მეორეს მხრივ, თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ დახურული, გაუხსნელი და ის ვეღარ შემოაღწევს თქვენში. მაშინ, კიდევ რომ შეგეხოს, ეხება უსულო სხეულს; თქვენ დახურული რჩებით.

როდესაც არის გაცნობიერება (წვდომა) და მოქმედება, მაშინ ისინი ერთიანობად, მთლიანობად იქცევიან. ახლა შეეცადეთ ჩაწვდეთ ამ სიტყვებს, ისინი მართლაც საუცხოოა:

უარყო საგანთა რეალობა, ეს ნიშნავს
ვერ დაინახო მათი რეალობა;
ამტკიცო საგანთა სიცარიელე, არანივთიერობა,
ესეც კვლავ მათი რეალობის უარყოფაა.

საგანთა რეალობის უარყოფა, იყენენ ფილოსოფოსები, რომლებიც უარყოფდნენ საგნების რეალობას. დააკვირდით, როგორ შეიძლება გავაკეთოთ რაიმე

ერთი-ორი ხერხით, ორი საშუალებით. აი, მშვენიერი ისტორია: ერთხელ მოხდა ისე, რომ აკბარმა — დიდმა მონღოლმა იმპერატორმა კედელზე ხაზი გაავლო, დახაზა და თავის ბრძენ ხელქვეითებს უბრძანა, არ შეხებოდნენ ხაზს, ისე დაეპატარავენინათ, დაემოკლებინათ იგი. საგონებელში ჩაკარდნენ ბრძენნი და ბოლოს იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ, რომ ეს შეუძლებელი იყო. მაშინ ერთმა ბრძენმა, ბირბალმა, იმ ხაზს გვერდით კიდევ ერთი ხაზი მიუხაზა, პირველზე უფრო გრძელი. ეს რომ გააკეთა, პირველი უფრო მოკლე გახდა. თუ თქვენ დახატავთ პატარა ხაზს, მაშინ პირველი მასზე დიდი იქნება... სწორედ ამიტომ ორი გზა არსებობს. ან თქვენ ზრდათ, უფრო მეტს ხდით თქვენს არსებას და მაშინ სამყარო პატარავდება, ხულ უფრო და უფრო მცირე ხდება (ამ დროს დგება მომენტი, როდესაც თქვენი არსება ხდება საყოველთაო, ბრაჰმა; სამყარო ქრება და სამყარო აღარ არის), ანდა არის მეორე გზა, რომელიც — მხოლოდ უბრალო ხერხია: თქვენ ამბობთ, რომ სამყარო ილუზორულია, მაიაა, ის არ არსებობს; არარეალურია და ეს მხოლოდ და მხოლოდ ზმანებაა, სიზმარია. ამგვარად, თქვენ ირწმუნებით თავს, რომ სამყარო სიზმარია — და ახლა გრძნობთ, რომ თქვენ რეალობა ხართ. მაგრამ ეს შეგრძნება ყალბია. ეს სიცრუეა, თავის მოტყუებაა. ფილოსოფია მუდამ ამას აკეთებს: ის ამბობს, რომ სამყარო არარეალურია; გაიხსენეთ, მაგალითად, ვედანტიანები. სრულიად სხვა სიტუაციას ვხვდებით შანკარასთან. შანკარამ თავისი არსების რეალიზება მოახდინა და უსაზღვრო გახდა — მაშინ სამყარო გაქრა, რადგან არ შეიძლება არსებობდეს ორი უსაზღვროება. თუკი თქვენ უსაზღვრო ხდებით, სამყარო ქრება, შთაინთქმება: ორი უსაზღვროება შეუძლებელია, შესაძლებელია მხოლოდ ერთი. შანკარა უსაზღვრო გახდა, იგივე ბრაჰმა, აბსოლუტი. მას შეეძლო ეთქვა, რომ სამყარო ილუზორულია და მართალიც იქნებოდა. მაგრამ ეს არ იყო ფილოსოფიური მტკიცება — ეს იყო რელიგიური შეგრძნება. ის გრძნობდა ამას: სამყარო არ არსებობს. მაგრამ შემდეგ მიმდევრებმა აიტაცეს სიმღერა და ათასი წელი მღეროდნენ: სამყარო ილუზორულია, სამყარო მაიაა, იგი არ არსებობს და ჩვენ ასე ვკვონია... დიახ, ფილოსოფიით შეიძლება ამ რწმენამდე მიხვიდეთ: შეიძლება დაირწმუნოთ თავი, რომ სამყარო არ არსებობს. შეგიძლიათ შეეცადოთ გამონახოთ საბუთები და არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ სამყარო ილუზია. და თუ შეგიძლიათ დაირწმუნოთ გონება, რომ სამყარო ილუზორულია, მაშინ გაგიჩნდებათ მცდარი შეგრძნება — შეგრძნება იმისა, რომ თქვენ ბრაჰმად იქეცით. თქვენ რეალურად უნდა გახდეთ ბრაჰმა, მაშინ სამყარო ილუზორული შეიქნება და ეს მხოლოდ და მხოლოდ ასე იქნება. როგორ გახდებით ბრაჰმა, თუ სამყარო ილუზორული იქნება? — და ის კი ვერ გახდება ილუზორული მხოლოდ იმის გამო, რომ თქვენ მას განიხილავთ, მხოლოდ როგორც კონცეფციას... ვედანტიანები ამბობენ, სამყარო ილუზორულიაო — მაგრამ, აბა, დააკვირდით მათ! ესროლეთ კენჭი, იმწამსვე გული მოუვათ, ჩხუბს დაგიწყებენ. სამყარო არაა ილუზორული; ეს მხოლოდ მათ აქვთ ასეთი კონცეფცია, ფილოსოფია — ფილოსოფოსები კი შეიძლება ძალიან ცბიერები, ეშმაკები იყონ. ნაგარჯუნიმ — ერთ-ერთმა უდიდესმა ინდოელმა მისტიკოსმა, თავისი უსაზღვრო არსების, არსის რეალიზება მოახდინა: სამყარო გაქრა; შემდეგ გამოჩნდნენ მიმდევრები. მიმდევრები კი — მუდამ ასლები არიან; ეს ასეც უნდა იყოს, როცა ისინი არ ცდილობენ თვითონ ჩაწვდნენ რეალობას, თუკი არ ამბობენ უარს სიტყვაზე ერწმუნონ ოსტატს.

ოსტატის სიტყვები კაცს ამხნევენ და ეხმარება — მაგრამ არაა საჭირო

მათი დაჯერება, თუ არა და ის ფილოსოფიად იქცევა. თქვენ უნდა მოახდინოთ მათი რეალიზება და, როდესაც ამას გააკეთებთ, მაშინ შეგიძლიათ თქვათ: დიახ, ოსტატი მართალი იყო.

...გამოჩნდნენ მიმდევრები. ერთ-ერთი მათგანი დიდი ფილოსოფოსი და დიდი მოკამათე, პოლემიკოსი იყო. იგი მრავალი ხერხით ამტკიცებდა, რომ სამყარო არ არსებობს. მისი სახელი მეფემაც გაიგო, სასახლეში დასწავრა და ჰკითხა: მართლა ფიქრობ, რომ სამყარო არარეალურია? ორჯერ დასწავრა მე საშიში კაცი ვარ, არა სიტყვების, არამედ საქმის, მოქმედების კაცი ვარ. მე რაღაცას გაუაკეთებ, რაც დაგიმტკიცებს შენ, რომ სამყარო რეალურია. ამიტომ ორჯერ დაფიქრდი.

ფილოსოფოსმა უპასუხა: ეს ის საკითხი არ არის, რომ ორჯერ დაფიქრდე. ამაზე მილიონჯერ მიფიქრია და ყველა საბუთი მაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ სამყარო არარეალურია. მაგრამ ფილოსოფოსმა არ იცოდა, რის გაკეთებას აპირებდა მეფე. მეფეს ჰყავდა ერთი ფიცხი, შმაგი სპილო, რომელიც ეზოში შემოაყვანიდა. ამ ეზოში ჩაავდეს ფილოსოფოსიც. მან ყვირილი მორთო და სირბილს მოჰყვა ეზოში. სპილო დაეწია საბრალოს. მან შეჰყვირა: მიშველე, მეფეო! სპილო რეალურია. ჩემი მტკიცება უკან მიმაქვს! ნაცემი, ნაბუგვი, დაჭრილი და აკანკალებული ფილოსოფოსი გადაარჩინეს და მეფეს მიჰგვარეს. ახლა რას იტყვი? ჰკითხა მეფემ. ფილოსოფოსმა უპასუხა: სამყარო არარეალურია. მეფემ ჰკითხა: რას გულისხმობ? რამდენიმე წუთის წინ, იმ მომენტში, როცა სპილოს უნდა დაეგლიჯე, შენ თქვი, რომ სამყარო რეალურია. ახლა ისევ შეიცვალე აზრი? ფილოსოფოსმა უპასუხა: სპილო, ადამიანი, მტკიცება — ყოველივე ეს არარეალურია. სპილო, სპილოს სიშმაგე, კაცი, რომელსაც შენ თვალწინ ხედავ, კაცი, რომელიც ამტკიცებდა, რომ სამყარო რეალურია — ყოველივე ეს არარეალურია. მეფემ უთხრა: მაშინ მე ისევ მოვაყვანინებ შმაგ სპილოს. ფილოსოფოსმა მიუგო: მაშინ მე ვიტყვი, რომ ეს რეალურია. ისევ ვიტყვი.

ფილოსოფია შეიძლება ძალიან ეშმაკური იყოს. თქვენ შეგიძლიათ საკუთარ თავსვე ეთამაშოთ, შეგიძლიათ დაირწმუნოთ თავი, რომ სამყარო არარეალურია. მაგრამ რა საჭიროა დარწმუნება და დამტკიცება? ეს აუცილებელია იმის გამო, რომ თქვენ ვერ ჩაწვდით, როცა ჩაწვდებით, გაიცნობიერებთ, აღარ არის საჭირო დარწმუნება, დამტკიცება და არგუმენტირება. ფილოსოფია — ცოდნის სანაცვლოა. თუ ცოდნა გაქვთ, ფილოსოფია საჭირო აღარაა. თუ არ იცით, მაშინ არის საჭიროება, რადგან ცოდნა, მიღებული ფილოსოფიის საფუძველზე, რეალურ ცოდნად გვეჩვენება. მაგრამ საქმე იმის დამტკიცება კი არ არის, რომ სამყარო არარეალურია. სუტრა ასე ეღერს: უარყოფით საგანთა რეალობა, — ნიშნავს, — ვერ დავინახოთ მათი რეალობა... მათი რეალობა კი ღმერთია, მათი რეალობა ჭეშმარიტებაა. მაგალითად, ხე. თუ უარყოფით ხის რეალობას, უარყოფით ღვთაებრივს მასში, მის არსში. ხე — უბრალოდ ფაქტია. ფაქტი უბრალოდ ჭეშმარიტების საფარია, საფარველია. ფრინველი — სხვა ფაქტია, მაგრამ ჭეშმარიტება იგივეა. ზოგჯერ ჭეშმარიტება წარმოსდგება როგორც ფრინველი, ზოგჯერ როგორც ხე, ზოგჯერ როგორც კლდე, ზოგჯერ კი როგორც ადამიანი. ყოველივე ეს ფორმებია; ფაქტები ფორმებია, მაგრამ, თუ უფრო ღრმად განჭვრეტთ, ნახავთ, რომ ყოველ ფაქტში არის ჭეშმარიტება. თუ უარყოფით ყველა ფორმას, უარყოფით უფორმოს მის შიგნით. თუ ამბობთ, რომ არაფერია რეალური, როგორ შეიძლება რეალური იყოს ღვთაებრივი, როგორ შე-

იძლება რეალური იყოს ღმერთი? თუ ამბობთ, სამყარო ილუზორულია, როგორ შეიძლება რეალური იყოს ამ ილუზორული სამყაროს შემქმნელი? როგორ შეიძლება რეალურმა ღმერთმა წარმოქმნას, შექმნას არარეალური სამყარო? რეალობიდან გამოდის რეალობა, ხოლო არარეალობიდან — არარეალური. რეალურ ღმერთს არ შეუძლია შექმნას არარეალური სამყარო. და თუ სამყარო არარეალურია, მაშინ არარეალურია შემქმნელიც...

თუ უარყოფთ „ფაქტობრიობას“, — უარყოფთ ჭეშმარიტებასაც. უარყოფთ საგანთა რეალობა, ნიშნავს, უარყოფთ მათი რეალობა. ეს რეალობა ჭეშმარიტებაა...

ვამტკიცოთ საგანთა სიცარიელე, უშინაარსობა, ესეც მათი რეალობის უარყოფაა.

თუ იტყვიან, საგნები არსებობს, მაგრამ ისინი უშინაარსონი არიანო, ესეც ფილოსოფიური თვალსაზრისია, თუმცა ცოტა უფრო უკეთესი, ვიდრე პირველი, რომელიც ამტკიცებს, რომ სამყარო არარეალურია: ის არ არსებობს, იგი მხოლოდ თქვენს გონებაშია და სხვაგან არსად; ეს გონების პროექციაა, აზრია, სიზმარივითაა.

ფილოსოფია, ცოტა უფრო უკეთესი ფილოსოფია, ამბობს, რომ საგნები არსებობს, მაგრამ ისინი ცარიელია, მათ არა აქვთ არავითარი შინაგანი არსი, არ გააჩნიათ სუბსტანცია. ისინი სხვა არაფერიათ, თუ არა კომბინაცია. ხე არსებობს, მაგრამ მხოლოდ როგორც კომბინაცია — ხეს არა აქვს სული, ანუ „ატმან“ (სანსკრიტში). თუკი თქვენ დაშლით კომბინაციას, არაფერი აღარ დარჩება. ზუსტად ისეა, როგორც მექანიზმი: თუ მოაცილებთ ყველა ნაწილს, რადგან აღარაფერი დარჩება. ასეთი ფილოსოფიური განმარტებაც ყალბია, რადგან ხე არსებობს არა როგორც შეხამება, ნაერთი, არამედ როგორც არსება. თვითონ კლდეც კი აქვს თავისი ყოფიერება. თუ ხლებით სენსიტიური (შეგრძნებითი) და აღვილად აღმქმელი, გრძნობთ, რომ თვითონ კლდეც კი აქვს თავისი განწყობილებები: ზოგჯერ ის „უბედურია“ და მაშინ თქვენ შეიგრძნობთ მის უბედურებას; ზოგჯერ ის „ბედნიერია“ და თქვენ შეგიძლიათ შეიგრძნოთ კლდის ბედნიერება. ზოგჯერ კი კლდე მღერის და თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ მისი სიმღერა. მაგრამ ამისათვის საჭიროა გქონდეთ ძალიან ძალაღი სენსიტიურობა, მგრძნობელობა; რადგან თქვენ ახლა არ შეგიძლიათ გაიგოთ ბუდას სიმღერა — კლდის სიმღერას როგორღა გაიგებთ? თქვენ უსიცოცხლო ხართ და უგრძნობელი, გაუცნობიერებელი, თქვენი ცნობიერება — გაცნობიერების უნარი — ისე მცირე მარცვალია, რომ მისი ამოწურვა ხდება ყოველდღიურ საქმეებსა და ყოველდღიურ რუტინაში. თქვენ საკმარისი ცნობიერება გაქვთ, რათა წახვიდეთ კანტორაში და სახლში დაბრუნდეთ მშვიდობით, — აი, მთელი ცნობიერება, რომელიც თქვენ გააჩნიათ. მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ შეიგრძნოთ კლდე, მისი შინაარსი, არ შეგიძლიათ შეიგრძნოთ, განიცადოთ ხე, მოახდინოთ მისი არსისმიერი განცდა: სწავლულებმა უკვე აღმოაჩინეს და გამოიკვლიეს, რომ ხეებს გააჩნიათ წარმოუდგენლად ძალაღი მგრძნობელობა: ხეები ესალმებიან ადამიანებს, როცა ისინი მეგობრულად, კეთილად არიან განწყობილნი; ან და პირიქით — გულდახურული, ჩაკეტილები ხდებიან, როცა ადამიანები მტრულად უყურებენ. თუ მოდის მეზაღე და ტოტებს აჭრის ხეს, მაშინ ხე დახურული ხდება. მანამდეც კი, ვიდრე მეზაღე გამოჩნდებოდეს, მთელი ბაღი დახურულია, რადგან მტერი მოდის. ერთმა სწავლულმა, რომელმაც ძალზე ღრმა და სერიოზული გამოკვლევები ჩაატარა, აღმოაჩინა, რომ ხეები შფოთავენ და დრტვი-

ნაკენ არა მხოლოდ თქვენი მოქმედების, არამედ თქვენი აზრების გამოც კი. მან ერთი ექსპერიმენტი ჩაატარა მცენარეზე: ეს მცენარე შეუერთეს უფაქიზეს, უნატიფეს ხელსაწყოებს, რათა ჩაეწერათ ყოველივე, რაც მოხდებოდა მასში, მის არსებაში. სწავლულმა გაიფიქრა: რა მოხდება, თუ მე მოულოდნელად, სწორედ ახლა ამ მცენარის ნახევარს მოვჭრი? და ჩხარმა ხელსაწყოზე სწრაფად იწყო რხევა: მცენარემ შეიგრძნო აზრი. მოგვიანებით სწავლულმა მრავალი ექსპერიმენტი ჩაატარა, და როგორც კი მოუვიდოდა აზრი მოჭრისა, ან დაზიანებისა, ჩხირი აჩვენებდა, რომ მცენარე ძალზე შეწუხებულია და შფოთავს... და არა მხოლოდ ეს. თუ თქვენ ჭრით მცენარეს, მეზობელი მცენარეებიც იწყებენ წუხილს, შფოთვას, გულისწყრომას, მოუსვენრობას. ახლა აღმოჩენილია ხელსაწყოები, რომლებიც აჩვენებენ, რა ხდება მცენარეში. ადრე თუ გვიან აღმოჩენენ ხელსაწყოებს, რომლებიც აჩვენებენ, რა ხდება კლდის შიგნით... ყოველივე ცოცხალია, არაფერია ცარიელი, უსაგნო. ყოველივე აღსავსეა ცნობიერებით, შეგრძნებით, ცნობიერების სხვადასხვა სახეებით — აი, რატომ არ შეგიძლიათ ჩაწვდეთ: ეს ძნელია ცნობიერების განსხვავებული „ენების“ გამო. ხეს აქვს ცნობიერების, მგრძნობელობის განსაკუთრებული სახე, ასევე კლდეცაც. მათთან ძნელია ურთიერთობა, რადგან ენები განსხვავებულია. მაგრამ, თუ უფრო მეტად მგრძნობელი, ყურადღებიანი და აღმქმელი გახდებით (ამ დროს, ცხადია, თქვენი ტვინი, გონება არ უნდა იყოს სავსე აზრებით), მაშინ შეგეძლება ურთიერთობა კლდესთან. არაფერი არ არის ცარიელი, ყოველივეს თავისი სული აქვს. ინდოელებს მუდამ ესმოდათ, რომ ყოველივე ღმერთითაა სავსე, ყველაფერში ღმერთია. აი, რატომ შეუძლიათ მათ თაყვანი სცენ მდინარეს, თაყვანი სცენ ხეს; აი, რატომ ამბობენ ისინი, „მდინარის ღმერთი“, „მცენარის ღმერთი“, „კლდის ღმერთი“. სამყაროში ყოველივე აღსავსეა ღმერთით, არაფერი არ არის უსულო და ცარიელი, უშინაარსო. როდესაც ამბობთ, საგნები ცარიელია, უშინაარსოა, თქვენ კვლავ ვერ ხედავთ, ვერ გრძნობთ მათ რეალობას. მაგრამ რატომღა ცდილობენ ფილოსოფოსები დაამტკიცონ, რომ საგნები არ არსებობენ, რომ ისინი ცარიელები არიან? იმიტომ რომ, თუ დაამტკიცებ, საგნების სიცარიელეს, მაშინ თქვენ შედარებით უფრო სავსე ხდებით. სიცარიელეა თქვენ გარშემო და თქვენ ხდებით სავსე. მაგრამ ეს მცდარი გზაა. ეს შეფარდებითი ტრიუკი საქმეს ვერ შველის. გახდით სავსე, აივსეთ! როდესაც აღსავსე იქნებით სიყვარულით, უმანკო ცნობიერებით, მედიტაციით, მაშინ სამყარო აღარ მოგეჩვენებათ ცარიელად. ფაქტობრივად, იმის გამო, რომ თვითონ თქვენ ხართ ცარიელი, ამიტომ ყოველივე ცარიელადვე გამოიყურება. რადგან ცარიელი თვალებით უყურებთ, სხვა ყველაფერიც ცარიელი, არარეალური ხდება — თქვენი თავი საგნებში „შეგაქვთ“, საგნებსვე ეთანაბრება... თუ სიყვარული არ გაგაჩნიათ, არ გამოძრავებთ, მაშინ იტყვით, რომ სამყაროში არ არსებობს სიყვარული. თუ თქვენი გული სიყვარულით ცემს, მაშინ სიყვარულს ყველგან შეიგრძნობთ, — ქარში, მდინარეში — ყველგან და ყველაფერში იგრძნობთ სიყვარულს. თქვენ შეგიძლიათ იგრძნოთ მხოლოდ ის, რაც გაქვთ — ყოველივე სხვა რამის შეგრძნობა შეუძლებელია. ფილოსოფია — არის ხერხი, საშუალება, ვიგრძნოთ ჩვენი მნიშვნელობა, მნიშვნელოვნება. და ჩვენ ამის მსხვერპლი ვხდებით, რადგან ამ ხერხის სპეციალისტები ვართ. ამიტომაც, როცა ვინმე ამბობს, თქვენი მეზობელი ბოროტი და ამორალური ადამიანიაო, თქვენ მყისვე იჯერებთ ამას. თუ ის ბოროტი და ამორალურია, თქვენ ხომ მაშინვე მორალური და კეთილი ხდებით; მაგრამ, თუ ვინმე ამბობს, რომ თქვენი მეზობელი მორალური, წმინდა და

ბრძენი ადამიანიაო, თქვენ არ გჯერათ და ამბობთ: დაამტკიცეთ ეს! შესაძლოა თქვენ ვერ შეიცნოთ, ვერ გაიცნობიეროთ ეს ტრიუკი — მაგრამ ასე ხდება ეს თამაში. არსებობს ორი გზა: თქვენ ან წმინდანი ხლებით, ანდა ამტკიცებთ, რომ ყველანი ცოდვილები არიან. ამ ტრიუკს ფილოსოფია აკეთებს, სამყაროში ყოველივეს უარყოფთ, რათა თქვენი თავი და აზრი გაამართლოთ — მაგრამ ეს საქმეს არ შეუღის; თქვენ არავის არ ატყუებთ გარდა საკუთარი თავისა. სენ-ცანის ეს სუტრა ფლერს:

ერეკნეში
ბიზლიქთეკე

უარყო საგანთა რეალობა — ნიშნავს
ვერ დაინახო მათი რეალობა;
ამტკიცო საგანთა სიცარიელე, არანივთიერობა,
ესეც მათი რეალობის უარყოფაა.
რაც უფრო მეტს ლაპარაკობთ და ფიქრობთ ამაზე,
მით უფრო შორდებით ჭეშმარიტებას.

ფიქრები — მიმართულების დაკარგვა, ჭეშმარიტებისაგან დაცილებაა. როდესაც რაიმეზე ფიქრობთ, სწორ გზას სცდებით. მე აქ ვარ, თქვენ შეგიძლიათ იყოთ ჩემთან — მაგრამ თუ ჩემზე ფიქრს შეუდგებით, თქვენ „მოგზაურობაში“ ხართ, რომელიც გრძელდება და გრძელდება; და რაც უფრო ღრმად შედიხართ ფიქრებში, მით უფრო შორს მიდიხართ, მით უფრო შორს იქნებით. ფიქრები — რეალობიდან გადახვევაა. იგი გაძლევთ თქვენ შინაგან მიმართულებას, იგი ჰკვალავს გზას გონებაში და თქვენ მიჰყვებით, თვითონ იგი ხლებით.

მოფიქრალი არასოდეს არ არის აქ და ახლა — ის არასდროს არ არის ახლანდელში. ის სადღაც სხვაგანაა. მედიტატორი ყოველთვის აქ არის და ახლა სხვაგან აღარსად არ არის, აი, რატომ არის, რომ ფიქრები — ერთადერთი ბარიერია მედიტაციისათვის. უნდა გახდეთ ფხიზელი, ფხიზელი უფრო მტკიცედ წყვეტთ კავშირს ფიქრებთან.

მე მოგიტანეთ ვარდი — და თქვენ წამსვე იწყებთ ფიქრს. ფიქრი დაუყოვნებლივ „ამბობს:“ საუცხოოა, მე არასოდეს მინახავს ასეთი ლამაზი ვარდი, ანდა: მე მინახავს რამდენიმე ვარდი, ზუსტად ისეთები, როგორიც ესაა — და ასე შემდეგ. შემდეგ თქვენმა ჭკუამ, გონებამ შეიძლება დასვას შეკითხვა: რა არის სილამაზე? ეს არავინ იცის, არავის გაუკეთებია რაიმე დასკვნა.

ამ საუკუნის ერთ-ერთმა დიდმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა გ. ე. მორმა დაწერა წიგნი „პრინციპული ეთიკა“, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო ლოგიკურ ცდას განისაზღვროს, რა არის სიკეთე. მტკიცე ლოგიკური დასაბუთებების შემდეგ იგი ამბობს, რომ ეს განუსაზღვრელია. ასე ცდილობს ერთ-ერთი გაწაფული გონებათაგანი, ცდას არ აკლებს — და მიდის დასკვნამდე, რომ სიკეთის განსაზღვრა შეუძლებელია. იგი ამბობს, ეს უბრალოდ თვისებრიობააო — ისევე როგორც, ვოქვათ, ყვითელი.

ვარდი ვარდია. როგორ ფიქრობთ განსაზღვროთ იგი? თუ იტყვით, ლამაზიაო, იცით, რა არის სილამაზე? ვინმეს როდისმე განუსაზღვრავს ის? არა! ამბობენ, რომ სილამაზე განუსაზღვრელია. როდესაც ერთ ვარდს მეორესთან აღარებთ, განა არ იცით, რომ არაფრის შედარება არ შეიძლება? როგორ შეადარებთ ამ ვარდს სხვებს, — ეს ვარდი უბრალოდ ეს ვარდია, ის სხვა ვარდი არ არის. რატომ აღარებთ მას სხვებს? — როდესაც გონება აფორიაქებულია, მაშინ თავში ათასი რამე ვიტრიალებთ და ეს დაბრკოლებად, ბარიერად იქცევა ხოლმე. მაშინ ვარდი ვერ „შეძლებს“ მიუახლოვდეს თქვენს გონებას; არადა, ის

რეალური რამ არის, მას შეუძლო შეჭრილიყო თქვენში, შეუძლო გაეფლინეთ თაყვისი არომატით. ვარდი მზად არის, ეწვიოს, შეაღოს თქვენი გულის კარი — მაგრამ თქვენ იწყებთ ფიქრს მასზე და იმ დროს, როცა გამოერკვევით, ვარდი გაქრება — მას არ შეუძლია ცდა, იგი ჭკნობას დაიწყებს.

ფილოსოფოსი ფიქრობს ვარდზე, პოეტი კი გრძნობს მას; და თუ ვსურთ გადაწყვიტოთ, ყოველთვის გადაწყვიტეთ პოეტის სასარგებლოდ, იგი უკეთესება რეალობას, ვიდრე ფილოსოფოსი. მისტიკოსი კი არ ფიქრობს ვარდზე (ე. ი. თავს ძალას არ ატანს) — ის უბრალოდ ვარდის „თანდასწრებით“ რჩება. ეს იმიტომ, რომ გრძნობასაც განზე გავყავართ, ისე ძლიერ არა, როგორც ფიქრს, მაგრამ მაინც განზე; გრძნობა — ესეც ნატიფი აქტიურობაა. მისტიკოსი უბრალოდ ვარდთან რჩება: არც აქტიურობა, არც ფიქრები, არც გრძნობები, არც გონება. ის უბრალოდ იქ არის, ვარდთან, მის უშუალოებაში. ინდოელები ამას „სატსანგს“ უწოდებენ.

როდესაც არსებობს „კაცობრიული ვარდი“ — ბუდა, ოსტატი, — უბრალოდ დარჩით მასთან; ნუ ფიქრობთ, ნუ გრძნობთ, — უბრალოდ იარსებეთ მასთან ერთად, იყავით მასთან, უშუალოდ მასთან, იყო ჭეშმარიტებასთან, მის რეალობაში — ეს „სატსანგია“.

ფიქრი — ძალიან მძლავრი აქტიურობაა, გრძნობა — ფაქიზი აქტიურობა. მაგრამ იცოდეთ: გრძნობა შეიძლება გადაიქცეს ფიქრად, ფიქრი კი გრძნობად; ისინი ურთიერთშექცევადია და არც თუ ისე ძალიან არიან დაცილებული ერთმანეთს. შესაძლოა, გრძნობა — მარცვალია, მხოლოდ აღმოცენებადი, ხოლო ფიქრი კი ხეა; მაგრამ პროცესი არ განსხვავდება: გული და თავი არც ისე დაშორებული არიან. საგნები იწყება გულში და, ვიდრე თქვენ მათ შეიცნობთ, ისინი მიადწევენ გონებას. უბრალოდ „იყავით“ რაიმესთან — მაშინ ყველაფერი გაიხსნება, ყველა კარი გაიღება. არ არის შეკითხვები, არ არის პასუხები: თქვენ უბრალოდ შეუერთდით რეალობას, ხოლო ფიქრის დროს — თქვენი მთლიანობა ირღვევა. ადგილი აქვს გრძნობებს და თქვენ არც ისე გაყოფილი (ე. ი. მთლიანობადადარღვეული) ხართ, მაგრამ ბოლოს მაინც გაყოფილი გამოდიხართ. თქვენ უერთდებით, მაგრამ მაინც გაყოფილი, დანაწევრებული ხართ. არც ფიქრები, არც გრძნობა — უბრალოდ ერთობლივი ყოფიერება — და უეცრად აღარა ხართ თქვენ და აღარ არის სამყარო. ერთიანი ბრაჰმა — გახსნილია. თქვენ და სამყარო — ორივენი ერთნი გახდით. არსებობს უსაზღვრო, არსებობს უფორმო — და ეს არის ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება — ფილოსოფიური დასკვნა როდია, ეს ეგზისტენციალური განცდაა: ის არ არის არც აზრი, არც გრძნობა, იგი თქვენი არსების ყოფიერებაა — თქვენ მასთან ხართ, როცა წვეთი წყალი უერთდება ოკეანეს — უერთდება მთლიანად. გული, თავი, ყოველივე კარგი თუ ყოველივე ცუდი, წმიდანი თუ ცოდვილი — ყველაფერი: იგი ჩაედინება, უერთდება მთლიანად.

არც წმიდანებს შეუძლიათ შეიცნონ ღვთაებრივი — რადგან ისინი მეტისმეტად ხნეობრივნი არიან და ზნეობა ბარიერად იქცევა; არც ცოდვილებს ძალუბით ეს, რადგან ფიქრობენ, რომ მეტისმეტად ცუდები არიან და ეს „ცულობა“ ბარიერი ხდება. ეს შეუძლიათ იმათ, რომლებიც არც წმიდანები არიან, არც ცოდვილები, არც ეს, არც ის. ის, ვინც არ ირჩევს არაფერს, და საჯაროდ არ აცხადებს, რომ იგი ეს არის, ან ის, — ვინც უბრალოდ „თანდამსწრეა“, შეიძლება ჩაწვდეს ღვთაებრივს. არ არის აუცილებელი წასვლა ტაძარში — თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ ხესთან და ყველაფერი „მოხდება“. არ არის აუცილებელი

წახელა ჰიმალაიზე, — შეგიძლიათ, უბრალოდ დარჩეთ კლდეებთან... არც ხესთან მისვლაა აუცილებელი — თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ საკუთარ თავთან და ყველაფერი მოხდება: სწორედ ეს არის „ყველგან“. ყოველი ატომი ვიბრირებს მასთან, ყოველი ატომი ზეიმობს მას, ყოველივე სამყაროში სხვა არაფერია, თუ არა ეს.



რაც უფრო მეტს ლაპარაკობთ და ფიქრობთ ამაზე, მით უფრო სცილდებით ჭეშმარიტებას, შეწყვიტეთ ლაპარაკი და ფიქრი — და არ არსებობს ისეთი რამ, რასაც ვერ მიაღწევთ.

არ-ფიქრი — ეს კარგია; უსიტყვობა — ეს ბჭეა; არა-გონება — ეს გზაა.

როგორ მივაღწიოთ ამას? რა გავაკეთოთ, რომ ამას მივაღწიოთ? აქ მარტო ყურის გდება არ კმარა, გონება ისე მარდია, რომ ის დაიწყებს ფიქრს ამაზე და იმაზე, რასაც ამბობს სენ-ცანი. გონება ამაზე თეორიების თხზვას დაიწყებს, გონება „იტყვის“: დიახ, ეს, ეტყობა, სწორია; მაგრამ, როგორც კი გონება იტყვის ასე, — თქვენ დაცილდით სინამდვილეს. გონება იტყვის: არა, ეს მგონი, ძნელია, შეუძლებელია. როგორ შეიძლება შეაჩერო ფიქრები? და თქვენ კვლავ ცდილობთ სინამდვილეს. უსმინეთ გონებას — და თქვენ არასდროს არ იქნებით სიმართლესთან. უსმინეთ გონების ხმას და თქვენ მუდამ „მოგზაურობაში“ ხართ.

მე მსმენია ერთ ქალზე, რომელიც იყო ფილოსოფოსი, მოაზროვნე, მრავალი წიგნის ავტორი და კარგად ცნობილი პიროვნება. შემდეგ, მოულოდნელად, მან განუცხადა თავის მეგობრებს, გათხოვებას ვაპირებო. მეგობრებს მანამდე არაფერი სმენოდათ მის სასიყვარულო გატაცებაზე; რადგან ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, აზროვნებენ, არასოდეს არ უყვართ. არავინ არასდროს არ ფიქრობდა იმაზე, რომ ეს ქალი შეიძლებოდა გათხოვილიყო, ამიტომ ყველანი გაოცდნენ... ბოლოს ჰკითხეს: ვინ არის ის კაცი? ქალმა გაამჟღავნა საქმროს ვინაობა, რამაც კიდევ უფრო გააოცა ისინი, მათ თქვეს: რა ნახეთ თქვენ ამ ადამიანში? — კაცი ჩვეულებრივი პიროვნება იყო, ქალი კი ცნობილი მეცნიერი — იყო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰქონდა მრავალი ნაშრომი, მისი სახელი მთელს ქვეყანაში იყო განთქმული. ქალმა უპასუხა: მას ერთი კარგი რამ აქვს: იგი მოგზაური კომერსანტია. ის არასდროს არ იქნება აქ, მუდამ მოგზაურობაში იქნება...

მოაზროვნენი მუდამ თხოვდებიან მოგზაურ კომერსანტებზე: — ის არასდროს არ იქნება აქ და მე თავისუფალი ვიქნები ჩემს ფიქრებში და მოქმედებებში;

სწორედ გონების გამო, რომელიც მუდამ „გზაშია“, მუდამ „მოგზაურობს“, თქვენ არასდროს არ ხართ კონტაქტში რეალობასთან. თქვენ მიირთმევთ, ჭამთ, მაგრამ „გამოგრჩებათ“ ხოლმე ჭამა: არომატი, გემო, სურნელება — თქვენ ვერ გრძნობთ ხოლმე ყოველივე ამას. თქვენ უბრალოდ „ისვრით“ პროდუქტებს კუჭში — ეს ძალზე არასწორია, ამით დიდ შეცდომას უშვებთ. და რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ გონება განაგრძობს ფიქრს: თქვენ ათას რამეზე ფიქრობთ, ვიდრე საჭმელს მიირთმევთ. რინძაი ამბობდა: როდესაც ვჭამ, მე მხოლოდ ვჭამ; როცა მძინავს, მე მხოლოდ მძინავს; ამაზე ვილატამ თქვა: კი, მაგრამ ამაში არაფერია განსაკუთრებული, ამას ყველა აკეთებს. რინძაიმ ჩაიციინა და თქვა: თუ ყველა ამას აკეთებს, მაშინ ყველა ბუდა ყოფილა, მაშინ ყველანი ნათელმხილველები არიან.

იყავით მომენტთან ერთად!

როდესაც ჭამთ, უბრალოდ ჭამეთ; იყავით ამ მომენტში ჩართული. როცა სეირნობთ, უბრალოდ ისეირნეთ, „იყავით“ იქ. ნუ უსწრებთ მომენტს, სუ დახტიხართ იქით-აქეთ. გონება მუდამ წინ მირბის, ანდა უკან რჩება. იყავით მომენტთან ერთად. თავიდან ძალიან ძნელი იქნება, იყოთ მომენტთან. ზოგჯერ მომენტი შეიძლება ძალიან სასიამოვნოც არ იყოს: თქვენ განრისხებული, გულ-მოსული ხართ, და მაშინ გონება იწყებს ფიქრს სინანულზე ანდა „ვინაობს“, რომ გულისწყრომა აღარ განმეორდეს. ზოგჯერ ნაღვლიან გუნებაზე ხართ და რთავთ რადიოს ან ტელევიზორს, ანდა იწყებთ წიგნის კითხვას; ეს იმიტომ, რომ არ გსიამოვნებთ ნაღვლიანად ყოფნა; გსურთ გაართოთ, გაახალისოთ გონება. იმის გამო, რომ სევდიანი მომენტები გაცილებით მეტია, ვიდრე ბედნიერი, ეს მუდმივ ჩვეულებად იქცევა და როდესაც ეს განმტკიცდება, მაშინ ვეღარ „გვიპოვნიათ სახლში“, მაშინ თქვენ „მოგზაურობთ“, თუნდაც ამ დროს ბედნიერება მოდიოდეს — თქვენ სადღაც სხვაგან ხართ — არა მომენტთან... გაითვალისწინეთ: რაც არ უნდა იყოს: სევდა თუ გულისწყრომა, დებრესია თუ უიღბლობა — იყავით მასთან. და უცებ გაოცებული შენიშნავთ, რომ, თუ თქვენ „ხართ“ (ე. ი. არ გაურბიხართ) სევდასთან, ის გადაიქცევა სიღრმედ. თუ თქვენ ხართ გულისწყრომასთან ისე, რომ არ ფიქრობთ მასზე, მხოლოდ იმყოფებით მასთან — მაშინ ძრისხანება, გულისწყრომა ტრანსფორმირდება: იგი გადაიქცევა მიტევებად, პატიებად. თუ თქვენ ხართ სექსთან, იგი იძენს სხვა თვისებას: ის იქცევა სიყვარულად; საერთოდ, როცა იწყებთ ცხოვრებას მომენტთან, შენიშნავთ, რომ თქვენი ყოფნა რაიმესთან ერთად საოცრებაა, მაგიურია.


შეგიმჩნევიათ, მაგალითად, რომ თუ მიემგზავრებით შვებულებით ჰიმალაიში ანდა შვეიცარიაში, უკვე ერთი თვით აღრე გევმავთ იქ ჩასვლას; იმავე მომენტში, როდესაც ჩახვედით, გონება უკვე შეუდგა სახლში დაბრუნების დაგეგმვას.

დაუკვირდით! — ერთი თვით აღრე გევმავთ, როგორ ჩახვიდეთ, აღვიღზე ჩასვლისას, ანდა ჯერ კიდევ გზაში გონებამ უკან იწყო დაბრუნება, თქვენ უკვე წამოსვლას გევმავთ. ყოველი თქვენი წასვლა — მხოლოდ და მხოლოდ წამოსვლის დასაწყისია: თქვენ არასოდეს არა ხართ იქ, რადგან არ შეგიძლიათ იყოთ იქ. დაბრუნებისას — ისევ იწყებთ ფიქრს იმაზე, რა მოხდა ჰიმალაიში, თუ რა მშვენიერი განცდები გქონდათ იქ: თქვენ კი იქ არ ყოფილხართ! ეს ისეა, თითქოს თქვენ წაიკითხეთ ვინმეს განცდების შესახებ, თითქოს სხვამ გაიმბოთ ამის შესახებ: თქვენ იშველიებით მეხსიერებას, თითქოს იგი ფუნქციონირებდა თავისთავად, თითქოს იგი იღებდა ფოტოგრაფიებს და იქცა ალბომად. სახლში რომ დაბრუნდებით, გადაშლით ალბომს, თვალს გადაავლებთ და ეტყვიან მეგობრებს: ეს საუცხოო იყო! და თქვენ კვლავ „აწყობთ“ გევმებს: მომავალ წელს კვლავ აპირებთ ჰიმალაიში წასვლას...

გონება არასოდეს არ არის იქ, სადაც თქვენ ხართ. ცნობიერება მუდამ იქ არის, სადაც თქვენ. სულ უფრო და უფრო ხშირად მოიცდილეთ თავიდან ფიქრები და ტვინისჭყლეტა — გახდით სულ უფრო შეგნებული და ფხიზელი. „ჩაერთეთ“ მთლიანად მომენტში... თავიდან ეს გაძნელდება. ძველი ჩვეულების გამო გონება ისევ და ისევ „გაგეჰქცევათ“. დააბრუნეთ იგი უკან. არ არის საჭირო ძალდატანება და ბრძოლა, უბრალოდ უკან გამოიხმეთ იგი: მოდის! ის კვლავ „წავა“, წამში „გაქრება“. ისევ მოუხმეთ მშვიდად. და ცოტ-ცოტათი, როდესაც თქვენ ისწავლით გახარებდეთ ეს მომენტი: ახლა მარადიული, ერთადერთი დრო,

რომელიც აქ არის — როცა თქვენ გაგახარებთ ეს — თქვენი გონება უფრო და უფრო ხშირად დაუბრუნდება ამას, უფრო და უფრო იშვიათად „წავა სხვაგან“.

შემდეგ ხდება „აწყობა“, მომართვა: უეცრად თქვენ აქ „ხართ“ სახლში და რეალობაც ამკარაა. რეალობა მუდამ აქ იყო, თქვენ არ იყავით აქ. პრობლემა ჭეშმარიტებაში როდია, რომელსაც უნდა მივაკვლიოთ — პრობლემა თქვენშია; თქვენ უნდა დაბრუნდეთ შინ.



4. დაბრუნება პირველწყაროდან, საწყისთან.

დაბრუნება „ფესეთან“, საწყისთან — ნიშნავს იძიებო აზრი, მაგრამ სდიო გარეგნულ გამოვლინებებს — ნიშნავს გამოგრჩეს წყარო,

შინაგანი გათავისუფლების — ნათელხილვის მომენტში ხდება გარ გამოვლინებათა

და სიცარიელის დაძლევა; ცვლილებებს, რომლებიც გვგონია, რომ მიმდინარეობენ

ცარიელ სამყაროში. ჩვენ ეუწოდებით რეალურს, ჩვენივე უცოდინარობის გამო; ნუ ეძებთ ჭეშმარიტებას; უბრალოდ, შეწყვიტეთ ფაქრები; ნუ დარჩებით გაორებულ მდგომარეობაში — მოერიდეთ ამგვარ „მეცადინეობებს“. თუკი არის კვალი ამის, ან იმის, სწორის, ან არასწორის, გონების არსი ჩაიკარგება შეცბუნებაში; გონება დავეფანტებათ.

და თუმცა ყოველგვარი გაორებები გამომდინარეობენ ერთიდან, ნუ დაემყარებით თუნდაც ამ ერთს.

როდესაც გონება აღუშფოთებლად არსებობს, არაფერს ამქვეყნად არ შეუძლია შეურაცხყოფის მოყენება; და როცა რაიმეს არ

შეუძლია შეურაცხყოფის მოყენება, იგი წყვეტს არსებობას

ძველებური წესით. როდესაც არ წამოიჭრება არავითარი განმასხვავებელი აზრები, ძველი გონება წყვეტს არსებობას.

ცნობიერების ბუნება ის არის, რომ უბრალოდ იყოს... სარკე. სარკეს არ გაანია საკუთარი არჩევანი — რაც არ უნდა აღმოჩნდეს მის წინ, იგი აირეკლავს, გამოსახავს მას: კარგს თუ ცუდს, ღამაზს თუ გონჯს — ყოველივეს. სარკე არაფერს არ ანიჭებს უპირატესობას, არ ახდენს არჩევანს, მას არ აქვს განსჯის, მსჯელობის უნარი. ცნობიერების ბუნება თავისი პირველწყაროდან, სათავიდან გამომდინარე „სარკისებურია“, სარკისმაგვარია. მაგალითად, დაიბადა ბავშვი, ის აირეკლავს ყოველივეს, რაც მის წინაშე წარსდგება: იგი არაფერს არ ამბობს, არაფრის ინტერპრეტირებას არ ახდენს. იმ მომენტში, როცა ხდება ინტერპრეტაცია, სარკე კარგავს „სარკეობას“: ის სუფთა აღარ არის, ის სავსეა აზრებით, ის შეწუხებულია — სავსეა ფრაგმენტებით, დანაყოფებით, „ნაფოტებით“. სარკე „შიზოფრენიული“, არეულ-დარეული ხდება: როდესაც ცნობიერება დაყოფილია, გახლეჩილია, სარკისმაგვარი არ არის, იგი გონებად იქცევა. გონება, ტვინი — ეს გატეხილი სარკეა. თავისი პირველწყაროდან გამომდინარე კი გონება ცნობიერებას წარმოადგენს; თუკი შეწყვეტთ შედარებებს, განსხვავებებს, — შეწყვეტთ გაორებას: ამოირჩიოთ ერთი მეორის ნაცვლად, გიყვარდეთ ეს და არ გიყვარდეთ ის — თუკი შეწყვეტთ ყოველივე ამას, მაშინ გონება კვლავ

სარკვე იქცევა, კრისტალურ ცნობიერებად. ამიტომ მაძიებლის მთელი მცდელობა იქითკენაა მიმართული, როგორ უკუაგდოს, როგორ მოიცილოს აზრები, ფილოსოფიური მსჯელობანი, უპირატესობის მინიჭება, განსჯა, არჩევანი და ეს, თუვისთავად, არ უნდა იქცეს არჩევნად — ესაა პრობლემა. შეეცადეთ გაიგოთ: თქვენ ეს არ უნდა აქციოთ არჩევნად, თორემ თქვენ უკვე აირჩიეთ; მე არ მოვახდენ არჩევანს, მე არ ვიქნები ამრჩევი; ახლა მე არჩევანს არ ვაჩვენებ, ახლა „არარჩევითობის“ ცნობიერებას ვამჯობინებ“. თქვენ არჩევნის წინააღმდეგი ხართ და მხარს უჭერთ „არჩევითობას“, თქვენ ისევ დასცილდით სინამდვილეს — არავინ არ შეიძლება იყოს „არარჩევითობის“ მომხრე, იმიტომ რომ, იყო რალაციის მომხრე — უკვე არჩევანია.

მაშ როგორ მოვიქცეთ? აუცილებელია უბრალო, მარტივი გაგება, სხვა არაფერი არ არის საჭირო. პირველწყარო, საწყისი მიიღწევა წვდომით, გაგებით, არა ძალების დაძაბვით, არა ძალდატანებით. ვერავითარი ძალვა, ძალ-ღონის დაძაბვა ვერ მიგიყვანო ჭეშმარიტებამდე — ძალვა ყოველთვის გამოძინარეობს გაორებული გონებიდან. მაშინ თქვენ არ გიყვართ სამყარო და გიყვართ ღმერთი; მაშინ გძულთ მონობა და ამჯობინებთ თავისუფლებას; თქვენ არ შეგიძლიათ არაფრის გაკეთება, უბრალოდ უნდა იყოთ ფხიზლად ყოველი სიტუაციისადმი საერთოდ. თუ თქვენ ფხიზლად ხართ, გონებას დაუფლებსა მოულოდნელი ნათელბილვა; უეცრად ცნობიერება ხდება სარკვესავით მთლიანი, თქვენ უბრუნდებით თქვენს საფუძველს, პირველწყაროს, და როდესაც უერთდებით თქვენს საწყისს, მთელი არსებობა უერთდება საწყისს. არსებობა ხდება ისეთივე, როგორიც ხართ თქვენ.

ეს ერთ-ერთი ფუნდამენტური კანონია: ყველაფერი, რასაც ხედავთ, დამოკიდებულია იმაზე, საიდან უყურებთ თქვენ. თუკი გაყოფილი, დანაწევრებულია — მაშინ მთელი ცნობიერება გაყოფილია. არსებობა მხოლოდ არეკლავს, ასახავს თქვენს ყოფიერებას. თუ თქვენ დანაწევრებული, არამთლიანი, დარღვეული გონება გაქვთ, მაშინ თქვენთვის მთელი სამყაროც ასეთივე იქნება, მაშინ დღე დაუპირისპირდება ღამეს — მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან დღე გადაიქცევა ღამედ, ხოლო ღამე გადაიქცევა დღედ: ისინი ქმნიან შეკრულ წრეს; არ უპირისპირდებიან ერთმანეთს — ისინი ავსებენ ერთმანეთს.

ღამის გარეშე არ შეიძლება დღე, ხოლო დღის გარეშე არ არსებობს ღამე. ისინი არ შეიძლება იყვნენ დაპირისპირებულნი, წინააღმდეგობრივნი, პირიქით, ღრმად ერთიანნი არიან. სიცოცხლე და სიკვდილი წარმოგვიდგება დაპირისპირებულად სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გაყოფილები ვართ. წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლე იქცევა სიკვდილად — სიკვდილი კი სიცოცხლედ. თქვენ დაიბადეთ და იმავე, სწორედ იმავე დღეს დაიწყეთ კვლევა; და იმ მომენტში, როცა თქვენ კვლებით, ყოფიერებაში შემოდის ახალი სიცოცხლე: ეს წრეა, ის წრე, რომელსაც ჩინურად „ინ-იანს“ უწოდებენ.

ეს სიმბოლო — წრე — მუდამ უნდა გვახსოვდეს.

წრე — ერთი ყველაზე უფრო მთავარ პრინციპთაგანია, რაც კი საერთოდ აღმოუჩენიათ. ვერც ერთი სხვა სიმბოლო — ჯვარი, სვასტიკა — მას ვერ შეედრება. ჩინური „ინ-იანი“ წარმოადგენს არსებობის მთელ დაპირისპირებულობას: ღამე — დღე, სიცოცხლე — სიკვდილი, სიყვარული — სიძულვილი. ყველა დაპირისპირებულობა არსებობს ერთობლივად. როდესაც უერთდებით თქვენს პირველწყაროს, უბრუნდებით ნამდვილ „მეს“, თქვენ კვლავ მთლიანდებით — მთელი არსებობა უეცრად „გამწკრივდება“ ერთ ხაზზე და ხდება ერთიანი, მთლიანი. ხოლო, როცა თქვენ მთლიანი ხართ, წარმოჩნდება **ბრახმა**, ე. ი. პირველსაწყისი.

სი, რადგან ერთს წარმოუდგება, გამოუცხადება მხოლოდ ერთი, ორს — ორი, მრავალს—მრავალი. თქვენ კი „მრავალი“ ხართ: თქვენ ორიც კი არა ხართ, არამედ მთელი გროვა — თქვენს არსებაში მრავალზე მრავალი „მეა“!

გურჯიევი ჩვეულებისამებრ ამბობდა, რომ თქვენ ხართ სახლი, სადაც არავინ იცის, ვინ არის პატრონი; მასში ბევრი ხალხია, ისინი სტუმრები არიან, მაგრამ, რადგან არავინ იცის, ვინ არის სახლის პატრონი, ყოველი მათგანი ფიქრობს, რომ პატრონი — თვითონ არის. ამიტომ პატრონის როლს ნებისმიერ მომენტში თამაშობს ძლიერება, სიძლიერე; როდესაც მრისხანება, გულისწყრომა ძლიერდება, — მაშინ ის არის პატრონი. როდესაც ძლიერი ხდება ეჭვიანობა, მაშინ ის არის პატრონი. და ეს გაუთავებელი ბრძოლაა, რადგან სტუმარი ბევრია და ყოველ მათგანს სურს, პატრონი, მფლობელი იყოს. მაგრამ ვინ არის პატრონი, ეს არავინ იცის — იგი ან ხანგრძლივ მოგზაურობაში წავიდა, ან არადაღრმად სძინავს.

თქვენს „მეს“ მაგრად სძინავს, ამიტომაც მოგვიწოდებენ დაჟინებით მასწავლებლები, მოძღვრები — იესო, კრიშნა, ბუდა: „გაიღვიძეთ!“ იესო სიტყვას „გაიღვიძეთ“ ძალიან ხშირად ხმარობს: გამოიღვიძეთ, დაუკვირდით, იყავით ფხიზელი. ბუდა ამბობს: გახდით უფრო შეგნებული, ჩამწვდომი; აქ ახრი ერთია: როდესაც ჩაწვდებით, მიხვდებით, — „პატრონიც“ გამოჩნდება; და იმავე მომენტში — და ამაშია მთელი მისი სიმშვენიერე — სტუმრები გაქრებიან. იმ მომენტში, როდესაც შემოდის პატრონი, სტუმრები უბრალოდ ძირს ცვივიან და ხლებიან მსახურნი; ახლა ისინი აღარ აცხადებენ, პატრონები ვართო.

რეალური პრობლემა ის კი არ არის, ვებრძოლოთ გულისწყრომას, ეჭვიანობას, სიძულვილს; არამედ გავხდეთ საზრიალნი, ცნობიერნი, — მაშინ ყოველივე მოგვარდება. მაგრამ ასეთი ცნობიერება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ვზიარებით პირველწყაროს, თქვენს თავდაპირველ, ჭეშმარიტ „მეს“.

გონება იძულებულია დარჩეს გაყოფილი, დანაწევრებული, მას არ შეუძლია გახდეს მთლიანი, ასეთია თვითონ გონების „ბუნება“. შეეცადეთ ჩაწვდეთ გონების „ბუნებას“ და მაშინ სუნ-ცანის სუტრები თვალნათლივი და ცხადი გახდება.

თუ თქვენ ეკითხებით ლინგვისტებს, რა არის გონება, ისინი ამბობენ: „არა მატერია“; და თუ ჰკითხავთ, რა არის მატერია, გეტყვიან, „არა გონება“. არაფერი არ არის გარკვეული, განსაზღვრული. როგორ შეიძლება ერთმა განუსაზღვრელმა ტერმინმა განსაზღვროს რაიმე? თუკი მე გეკითხებით, სად ცხოვრობთ, თქვენ ასე მპასუხობთ: მე ა-ს მეზობელი ვარ. კითხვაზე, თუ სად ცხოვრობს მეზობელი, თქვენ მეუბნებით: ის ჩემი მეზობელია. როგორღა ვიპოვო მე ის ადგილი, სადაც თქვენ ცხოვრობთ? არც ა და არც თქვენ განსაზღვრული არ ხართ. ა ცხოვრობს ვ-ს გვერდით, ვ ცხოვრობს ა-ს გვერდით. მაგრამ ყველაფერი რომ ასე ხდება?

გონებას არ შეუძლია გაიგოს რაიმე, თუ არ არის დაპირისპირებულობა. თუკი ადგილი არა აქვს წინააღმდეგობას. გონებას შეუძლია „დაინახოს“ მხოლოდ კონტრასტის მეოხებით. სიცოცხლეს ვერ გავიგებთ, თუ არ არის სიკვდილი. შეუძლებელია შევიგრძნოთ ბედნიერება, თუკი არ არის უბედურება. როგორ შევიგრძნობთ ჯანმრთელობას, თუკი არახოდეს არ ყოფილხართ ავად? ჯანმრთელიცა ხართ, მაგრამ არ შეგიძლიათ ამის განცდა. ჯანმრთელად ყოფნა შესაძლებელია ავადმყოფობის გარეშე, — მაგრამ გონებას არ შეუძლია „აღნუსხოს“ ეს, ჩაწვდეს მას: ამისათვის თქვენ ავად უნდა გახდეთ. გონებისათვის ასეა: რომ იყოს წმინდა, ადამიანი ჯერ უნდა იყოს ცოდვილი; რომ იყოს ჯანმრთელი, უნდა

„იცოდეს“ ავადმყოფობა, ხოლო რომ უყვარდეს, უნდა „იცოდეს“ სიძულვილი. თუ თქვენ გიყვართ და არა გაქვთ სიძულვილი — თქვენ ვეღარ გაიგებთ ამას. გონებას აღარაფერი ეცოდინება ამის შესახებ.

...საით მიემართება ჩვენი არსებობა, დანიშნულების ადგილი? გონებისათვის აზრი, როგორც ჩანს, სადღაც დანიშნულების პუნქტშია: **სად მიუღივართ.** სუტრა კი აცხადებს: დაუბრუნდეთ „ფესვს“, ანუ პირველსაწყისს — **ქსანთს** — **იმპონო აზრი.** არა მომავალში, არა სადღაც ნახატრ ბედ-იღბალში, არა სადღაც **ქსანთს** — არამედ — ჩვენს პირველწყაროში, ჩვენს თავდაპირველ ჭეშმარიტ „მეში“. არა ბოლოში, არამედ დასაწყისში.

შეეცადეთ გაიგოთ: აქ ბევრი რამ უნდა იქნას გაგებული. პირველი: თუ არის რაიმე აზრი, ის უნდა იყოს მარცვალში — დამალული, უხილავი, მაგრამ მარცვალში, რადგან არაფერი არ შეიძლება გაჩნდეს, წარმოიშვას, რაც არ არის მარცვალში. არაფერი არ წარმოიშობა სიცარიელიდან. თუნდაც იყოს „დანიშნულება“, „მოწოდება“, „ხვედრი“ — ისიც დამალული უნდა იყოს მარცვალში. ეს ზუსტად ყვაილივითაა, მარცვალში რომ ჩამალულა: ყვაილი ხის აზრია — როდესაც ხე ჰყვავის, ის ექსტატიურია, იგი მღერის და ცეკვავს; მან „შიაღწია“, იგი ბედნიერია, ნეტარებს და არაფერი არ აკლია. ყვაილი — ნეტარებაა, ეს ხის ცეკვაა, რომელიც ჰყვავის.

მაგრამ ყვაილები სადღაც უნდა იყვნენ მარცვალში, აბა საიდან გაჩნდებოდნენ ისინი? **ბოლო უნდა იყოს დასაწყისში;** ომეგა ჩამალული უნდა იყოს ალფაში. იესო ამბობს: მე ვარ დასაწყისი და ბოლი. მე ვარ ალფა და ომეგა. დასაწყისი დასასრულია. დასასრული არ შეიძლება გახსნილი იქნას პირდაპირ ახლა — მაგრამ ის უნდა იყოს იქ, მარცვალში. და როცა მარცვალშია, მაშინ თქვენ არ დაგჭირდებათ მომავლის მოსვლის ცდა — ყვაილის გამოჩენა, გამოცხადება. თქვენ შეგიძლიათ ჩაწვდეთ დასაწყისს უშუალოდ ახლა: იგი აქ არის. დაიმახსოვრეთ: მარცვალი — წარსულში არ არის; იგი ყოველთვის აქ არის და ახლა, აწმყოში, რადგან მთელი წარსული ახლანდელშია.

რასაკვირველია, მთელი მომავალიც ახლანდელშია — მაგრამ მომავალი ჯერ კიდევ არ მომხდარა, წარსული კი უკვე მოხდა, დასაწყისი უკვე მოხდა. ჩაწვდით საწყისს, დაუბრუნდით ფესვს, პირველწყაროს, სათავეს — და აზრი ნაპოვნი იქნება. თქვენ ატარებთ, გაქვთ მარცვალი შივნით პირდაპირ ახლა: მარცვალი ყველა აზრისა, ყველა შესაძლებლობისა, ყველა კარისა, რომელიც კი შეიძლება გაიღოს; მარცვალი ყველა საიდუმლოსი, რომელიც კი შეიძლება მოხდეს, წარმოიშვას. თქვენ შინაგანად ატარებთ მარცვალს. მაგრამ თუკი უცდით მომავალს — ის შეიძლება არასდროს არ მოვიდეს, რადგან მომავალი განუსაზღვრელია და ლოდინი იქნება დაკარგვა სიცოცხლისა, დროისა, ენერჯიისა. და როდესაც მოლოდინი იქცევა ჩვეულებად, მაშინ ყვაილი იყვაილებს, მაგრამ თქვენ შეიძლება უნარი აღარ გექნეთ მისი დანახვისა. ეს იმიტომ, რომ თქვენ მიეჩვიეთ უყურით მომავალს, თქვენი მზერა გაყინულია, ისინი ვეღარ ხედავენ ახლოს და გვერდით, იყურებიან მხოლოდ მუდამ შორეთში, შორეულში. თუ მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში იყურებოდით მომავალში და ეძებდით აზრს, მაშინ თქვენ ვეღარ შეძლებთ მის დანახვას: როდის ჰყვავის ყვაილი? „დანახვა“ არ არის დამოკიდებული ყვაილზე, იგი დამოკიდებულია თქვენი თვალების გამჭრიახობაზე. თქვენი თვალები კი ვერ არიან გამჭრიახი, „გამტარი“ — თორემ საწყისი მუდამ აქ არის, მარცვალი მუდამ აქ არის, თქვენ შეგიძლიათ „შეგეჭვრიტათ“ მასში. როდესაც უყურებთ მომავალს და ელოდებით, აი, ახლა მაინც „გაიხსნება“ აზრი, — ადრე თუ გვიან იგრძნობთ ცხოვრებისეულ უაზრობას, აბსურ-

დულობას. ეს არის ის, რაც დასავლეთში ხდება, რადგან ყველა დროის ფილოსოფია თვლის, რომ მიზანი სადღაც მომავალშია.

აბსურდულია: იფიქრო, მიიხნიო, რომ მიზანი მომავალშია. ეს არიქმება წინააღმდეგობად, რადგან, როგორ შეიძლება — მიიხნევთ თქვენ — რომ მიზანი დასაწყისში იყოს. ამიტომ, გონება თვლის, რომ მიზანი ყოველთვის წინ არის: გონება არსებობს სურვილით, გამსჭვალულია სურვილით და ამის გამო განხრახვა, წადილი უნდა იყოს იქ, მომავალში... და ახლა, მომავლის ტერმინებზე რომ იფიქრა, დასავლური გონება თვლის, რომ ცხოვრებაში აზრი არ არის, რადგან მომავალი, რომელსაც ველოდით, არ დადგა, არ მოვიდა.

მომავალი არასოდეს არ მოდის.

მას არ შეუძლია „მოვიდეს“ თავისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, მომავალი მუდამ „მოუსვლელი“ რჩება, ის ყოველთვის მოსვლის პროცესშია, მაგრამ არასოდეს არ მოდის. ეს არის „ხვალ“, რომელიც არასოდეს არ დადგება. აჰ მოვა, რადგან, როდესაც არ უნდა მოვიდეს იგი, — ეს უკვე დღეს არის, — მუდამ ახლანდელია.

მომავალი არასდროს არ მოდის, თვითონ მისი ბუნება — იმედი, ზმანება — ილუზორულობაა. მომავალი ჰორიზონტივითაა — მას ვერასოდეს ვერ მიაღწევთ და ელით მას — და თქვენ იწყებთ უაზრობის შეგრძნებას. მთელი დასავლური მოაზროვნე აღიზნება დღეს მიიხნევს, გრძნობს, რომ ცხოვრება უაზროა, აბსურდია, და როდესაც ადამიანი ფიქრობს, ცხოვრება აბსურდული და უაზროაო მაშინ თვითმკვლელობა ერთადერთ საშუალებად რჩება ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

ჩვენი საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა დასავლელმა მოაზროვნემ მარსელმა, დაწერა, თვითმკვლელობა ერთადერთი გამოსავალიაო. თუკი თქვენ შეიგრძენით ცხოვრებისეული უაზრობა, მაშინ რაღა რჩება, რატომღა ვაგრძელოთ მისი ამოწურვა? რაღა საჭიროა საერთოდ სიცოცხლე? თუ აზრი არა აქვს და თქვენ მაინც მიჰყევით ბორბალს: ყოველდღე დგებით და მიდიხართ სამუშაოდ, გამოიმუშავენთ ცოტა ფულს, ღამით გძინავთ და ხედავთ სიზმრებს — დილით ბორბალი, ჩარხი კვლავ მოძრაობაში მოდის, თქვენ ვერსად მიდიხართ და ბოლოს კი სიკვდილია... მაშ რაღას ვუცადოთ, რატომ არ მოვუდით ბოლო ამ უაზრობას და არ მოვახდინოთ თვითმკვლელობა? რატომ ვიყოთ გულდამძიმებული, შეწუხებული? რატომ ვიცხოვროთ მუდმივ შფოთვასა და მოუსვენრობაში იმის გულისათვის, რაც უაზროა? ასეთია ლოგიკური დასკვნა.

და თუ თქვენ მაინც იფურებით მომავალში, მიდიხართ მხოლოდ იმის გაგებაში, რომ აზრი არ არსებობს. მაგრამ თუკი თქვენ ნამდვილად გსურთ იგი, მაშინ თქვენი გზაა: ჩაიხედეთ მარცვალში, მარცვალი კი მუდამ აქ არის და ახლა, მაგრამ თქვენ უფრო მოგწონთ უფროთ მომავალს — ეს უფრო ადვილია, ასე უფრო შეჩვეული ხართ. ჩახედით მარცვალს — ეს ძნელია. ესაა საღებანი — დაძაბულობა, ძალვა — რომ ჩახედო მარცვალს. იმიტომ რომ, თუკი მოინდომეთ მარცვალში ჩახედვა, მაშინ თქვენ დაგჭირდებათ „ხედვის“ სხვა თვისება: დაგჭირდებათ მესამე თვალი, რადგან ჩვეულებრივ თვალს შეუძლია, შეხედოს მხოლოდ გარსს, ხოლო უხილავი, საიდუმლო დამალულია გარსის მიღმა, და ჩვეულებრივ თვალს არ შესწევს უნარი შეაღწიოს უფრო ღრმად, არ ძალუძს უფრო ღრმად „შესვლა“.

(გაგრძელება იქნება)

